

ბიბლიკური უიოზიანი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი**



Բոթոլ Կոչնան

დღიგიტრი ყიფიანი

თს ზუღეგანი

ათ ტოგად

დიმიტრი ყიფიანი

თსუ ზღაპარი

ტომი IV

**ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმე
რეცენზიები
„ახალი ქართული გრამატიკა“**

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,
კომენტარები და საძიებლები დაურთო

თამაზ ჯოლოგუაძე



საქართველოს ახილავანის
ქოვანელი ბიბლიოთეკა

თბილისი 2019

UDC (უაკ) 336.712:332(479.22)+94(479.22), 1864“+340
ყ-561

დიმიტრი ყიფიანის ავტორული მემორიალის მეორე ტომში შესულია თხზულებები ამერიკის შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმის შესახებ, რეცენზიები და წიგნი „ახალი ქართული გრამმატიკა“. შემდგომ ტომებში შევა ავტობიოგრაფიული ნაწარები, დღიურები, მემორიები, საჯარო სიტყვები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები, დაუმთავრებელი თხზულებები და, დასასრულს, ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმონერა.

დიმიტრი ყიფიანის ნაწარები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე არ გამოქვეყნებულა, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის და, ვფიქრობთ, დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორები:

ბეგო ბეჟუაშვილი

რევაზ გოგია

ISBN 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი)

ISBN 978-9941-9653-0-2 (IV ტომი)

© თამაზ ჯოლოგუა, 2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმე

ნატურალური ბეგრის შესახებ ამიერკავკასიის მხარეში.....	11	424
ამიერკავკასიის მხარის დაყოფისა და სამოქალაქო მმართველობის წესდებულების პროექტი.....	44	428
მიხეილ შარვაშიძის საქმე.....	65	432
ამიერკავკასიის მხარის მიმოხილვა. ინსტრუქციის პროექტი	110	449
სპეციალური განმარტებითი ბარათი იმ შენიშვნების შესახებ, რომლებიც ინსტრუქციის შედგენისას ვერ იქნებოდა სახელმძღვანელოდ მიღებული.....	168	457
ამიერკავკასიაში სავაჭრო კატეგორიების შემოღების შესახებ.....	174	458
მეფისნაცვლის საბჭოს შესახებ	180	459

რეცენზიები

ქართული ენის პროგრამა შედგენილი ყორღანოვის მიერ.....	187	461
ვართანოვის „ქართული წერის დედანი“	189	464
ვახტანგ VI-ის კანონთა თარგმანი.....	192	466
საკანცელარიო საქმის სახელმძღვანელოები	194	468
„ყრმათა მეგობარი“ თარგმნილი ივანე კერესელიძის მიერ	198	469

დავით ჩუბინოვის „ქართული გრამატიკა“ და მისივე „რუსულ-ქართული ლექსიკონი“	200	470
კიდევ ერთხელ ჩუბინოვის „გრამატიკის“ შესახებ	231	473
ივანე კერესელიძის „ქართული ქრესტომათია“	239	477
პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული ქართული ნიგნები.....	243	478
მულიკოვსკის სტატიის შესახებ	244	480
იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“	2 46	482
იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“	251	484
ახალი ქართული გრამატიკა	258	489
შენიშვნები და კომენტარები	421	513
ტექსტისათვის.....	421	
დამონმებანი	498	
შემოკლებანი	511	
საკიბელები:		
პირთა.....	514	
გეოგრაფიულ სახელთა.....	568	

ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმე

ნატურალური ბეგრის შესახებ ამიერკავკასიის მხარეში

1837 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრი და სენატორი, ბარონი განი სამხედრო მინისტრს სწერდა, რომ გაუთანასწორებელი ფულადი და გადამეტებული ნატურალური საერობო ბეგარა მძიმე ტვირთად აწვებოდა ამიერკავკასიის მოსახლეობას. იგი მინისტრს სთხოვდა, ბეგრის საკითხის მოსაწესრიგებლად საერთო დებულების შემუშავებამდე გაეცა სპეციალური განკარგულება, რათა ხალხს მკაფიოდ და ზუსტად სცოდნოდა, თუ რა ბეგარა ჰქონდა მას დაკისრებული. ბარონი განი ასევე ითხოვდა ბეგარასთან დაკავშირებულ იმ უწესრიგობათა და ბოროტმოქმედებათა აღკვეთას, რომლებსაც ადგილობრივ მმართველობათა თვითნებური მოთხოვნები და განკარგულებები წარმოშობდა.

იმავე საკითხზე შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებთან ბარონ განის მიერ გამართული მიმონერის საფუძველზე სახელმწიფო მდივანი ბლუდოვი წინადადებით შევიდა ამიერკავკასიის მხარის მოწყობის კომიტეტში და ყოველივე ამას იმავე წლის დეკემბერში უმაღლესი ბრძანება მოჰყვა – დაევალოს ახალდანიშნულ მთავარმართებელ გოლოვინს, ბარონ განის თავმჯდომარეობით თბილისში დაარსებულ კომისიასთან მოთათბირების შემდეგ წარმოადგინოს დასკვნა: ხსენებულ უწესრიგობათა და ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად დროებითი წესების შემოღება აუცილებელი, თუ მმართველობის გარდაქმნის შესახებ დებულების გამოცემამდე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თვითონ მასვე შეუძლია ამგვარ მანკიერებათა აღმოფხვრა.

ამის შემდეგ, 1838 წლის თებერვალში, უმაღლესი განკარგულებითვე ბ-ნ მთავარმართველსა და ბ-ნ სენატორს – ბარონ განს, ერთობლივად უნდა განეხილათ საკითხი გადაჭრილი ანაზღაურების შესახებ დუშეთის მაზრის იმ მოსახლეობისათვის, რომელსაც ფრიად სამძიმო ბეგარა აქვს დაკისრებული, განსაკუთრებით, საქართველოს სამხედრო გზის სამუშაოებთან დაკავშირებით.

ბარონ განს მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის მხარეში გზების გაყვანა და შეკეთება გაცილებით მეტი სარგებლის მომტანი იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ვიდრე – მართველობისთვის. მისი აზრით, ზოგადად ბეგრის საკითხი საფუძვლიანი მსჯელობის საგნად უნდა ქცეულიყო და განსაზღვრა იმისა, თუ რა შემთხვევებში იქნებოდა სამართლიანი მოსახლეობისთვის საზღაურის გადახდა, საერთო მიდგომების ფონზე უნდა მომხდარიყო. ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნდა, მთავარმართველს ეს საკითხი ამიერკავკასიის მხარეში საერო ბეგრის შესახებ ზოგადი წესების შემუშავებისას განეხილა ერთობლივად. ეს საკითხი, დასძენდა ბარონი, აქ გაცილებით მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში, რამდენადაც, გარდა ჩვეულებრივი საერო ბეგრისა, საჭიროა შენობა-ნაგებობათა და სხვ. აგება და ამიტომაც საერო საბეგრო კომიტეტების დაარსება,¹ ჯერ ერთი, გათანასწორებული საბეგრო სისტემის შექმნის საშუალებას მოგვცემს და, ამას გარდა, წარმოდგენასაც შექმნის, თუ რა რესურსები მოიპოვება მხარეში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაჭრასაც ბ-ნი მთავარმართველი აუცილებლობად მიიჩნევს.

ევგენი ალექსანდრეს ძემ² სავსებით გაიზიარა ბ-ნი სენატორის მოსაზრებები და 1838 წლის ივლისში ბ-ნ სამხედრო მინისტრს მისწერა – საბეგრო წესების შემუშავება ვერ მოხერხდება მანამ, სანამ ახალი მმართველობა არ ჩამოყალიბდება და ამის შემდეგ სპეციალური საერო საბეგრო კომიტეტები არ შეიქმნებაო. მანამდე კი უნესრიგობათა და

ბოროტმოქმედებათა შემთხვევებს მათი გამოვლენისთანავე იგი თვითონ აღმოფხვრიდა.

ასე და ამგვარად, საბეგრო წესების შემუშავება მმართველობის გარდაქმნამდე გადაიდო. და როცა 1840 წლის 10 აპრილის დაწესება ძალაში შევიდა,³ მთავარმმართველობის საბჭოსთვის დაკისრებულ ძირითად დავალებათაგან ერთ-ერთი იყო ისეთი წესების ჩამოყალიბება, რომლებითაც საერობო საბეგრო კომიტეტები თავიდან იხელმძღვანელებდნენ და რომლებშიც საერთო-საბეგრო წესდებულებიდან მხარის თავისებურებებით განპირობებული გამონაკლისებიც აისახებოდა.

საქართველო-იმერეთის საერობო საბეგრო კომიტეტი უფრო ადრე დაარსდა, ვიდრე კასპიისა. ვინაიდან საქართველო-იმერეთის გუბერნია თავისი მდგომარეობითა და მის ძირითად ნაწილში ადრე მოქმედ დებულებათა გამო ახალი წესებისათვის გაცილებით უფრო მომზადებული იყო, ეს ახალი წესებიც სწორედ აქ დაინერგა. შესაბამისად, კომიტეტისთვის სწრაფად აღსრულება განზრახულებისა საგანგებო მნიშვნელობის საქმედ იქცა. და მთავარმმართველობის საბჭოც ენერგიულად შეუდგა საჭირო ცნობების შეგროვებას მხარეში არსებული ყველა სახის ბეგრის შესახებ, პარალელურად კი მისი მალალაღმატებულების, ევგენი ალექსანდრეს ძისა და ბარონ პავლე ვასილის ძის, უშუალო ხელმძღვანელობით საქართველო-იმერეთის გუბერნიისთვის საერობო გადასახადთა საერთო ხარჯთაღრიცხვის შედგენაც დაიწყო. ხარჯთაღრიცხვა კი მხოლოდ ერთი, 1841, წლისთვის უნდა დამტკიცებულიყო და ეს იმიტომ, რომ საერთო საფუძველზე სამი წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა ისეთ დაბრკოლებებს ნააწყდა, რომელთა დაძლევა მხოლოდ საქმის უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადადებით თუ მოხერხდებოდა. მით უმეტეს, 28 ნოემბერი, როცა აღნიშნულ საკითხზე საბჭოს სხდომა შედგა, ახლოს იყო ახალ წელთან – სწორედ ახალი წლიდან უნდა დაეწყო ყველა მიმართულებით მუშაობა გარდაქმნილ მმართველობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ თვითონ ეს ხარჯთაღრიცხვა მხოლოდ ფულად ბეგარას ეხება და იგი შეადგენს 156 914 მანეთსა და 83¹/₂ კაპიკს ვერცხლით. რაც შეეხება ნატურალურ ბეგარას, საბჭოს სხვა არაფერი ჰქონდა დარჩენილი, გარდა იმისა, რომ საბჭოს 28 ნომბრის სხდომის ჟურნალში შემდეგი ჩანაწერით შემოფარგლულიყო: „ვინაიდან ამჟამად არ არსებობს ამ საკითხის გადამწყვეტის განსაკუთრებული აუცილებლობა და, ვინაიდან ნატურალური ბეგრის შესახებ შეკრებილი ცნობების საბოლოო განხილვა უნდა მოხდეს არა უადრეს 1841 წლის იანვრის სხდომისა, ამჟამად ეს საკითხი განხილვის გარეშე იქნეს დატოვებული“.

მიუხედავად მკაცრი ღონისძიებებისა, მოთხოვნილი ცნობები ყველა ადგილიდან დღემდე არ არის წარმოდგენილი. უფრო მეტიც – ჩვენ ხელთ არსებულ მონაცემთა უმეტესობაც შევსებასა და ახალ-ახალ განმარტებებს მოითხოვს. და ეს მაშინ, როცა მთავარმართებლისა და ბარონ განის თბილისიდან გამგზავრებამდე საკითხზე მსჯელობა, თვითონ ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განუსაზღვრელი დროით ვერ გადაიდება – საქმის განხილვა საბოლოოდ მათ მალალაღმატებულებათა თანდასწრებით უნდა დასრულდეს.⁴ ამიტომაც მათივე ბრძანებით ადგილობრივ ხელმძღვანელთა მიერ დღემდე შეკრებილი, აგრეთვე, მთავარმართებლის კანცელარიის საქმეებიდან ამოკრებილი ცნობები წინამდებარე მოხსენებაში იმ სახითა და იმ წესით არის წარმოდგენილი, რა სახითა და რა წესითაც უნდა იქნეს ისინი გამოყენებული ამიერკავკასიის მხარეში ნატურალური ბეგრის შესახებ დღეს არსებული კანონდებულებითა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ნატურალური ბეგარა ორგვარია: I. სამოქალაქო მმართველობის ხაზით და II. სამხედრო უწყების ხაზით.

I. ბეგარა სამოქალაქო მმართველობის ხაზით: ა) სახაზინო სახლებისა და სადგურების გათბობა; ბ) საეროობა მმართველობის მომსახურება; გ) ერობის ჩინოვნიკთა და მი-

ნისმზომელთათვის საზიდრებისა და ცხენების გამოყვანა; დ) დახმარება სახაზინო შენობების აგებასა და შეკეთებაში; ე) მუშაობა სახაზინო მეურნეობაში; ვ) საფოსტო სადგურებისა და ყოფილი საეროხო ხელმძღვანელებისთვის მდელი-ების გამოყოფა; ზ) ფურაჟით უზრუნველყოფა; თ) სახაზინო ბარგის გადაზიდვა; ი) წყალსადენთა გაყვანა-განმენდა; კ) სასაზღვრო კავშირები; ლ) გადასასვლელთა მოვლა-პატრონობა; მ) პირადი უსაფრთხოების დაცვა; ნ) საეროხო ხელმძღვანელობის გამასპინძლება.

ა) სახაზინო სახლებისა და სადგურების გათბობა

მოსახლეობისთვის დაკისრებულ ბეგარაში შედის გათბობა: ა) 6 საფოსტო სადგური ქუთაისის მაზრაში; თითოეულზე ყოველწლიურად 10 საჟენი შემა (ხარჯთაღრიცხვით – 1841 წლიდან თითოეულზე 5 საჟენი); ბ) იმავე მაზრაში სახლები: იმერეთის მმართველისა და ყოფილი ოლქის⁵ 4 ხელმძღვანელი პირისთვის; გ) კაზაკთა 23 საგუშაგო ალექსანდროპოლის მაზრაში; დ) სახაზინო სახლები, რომლებშიც ყოფილი ჭარ-ბელაქნის სამოქალაქო მმართველობა იყო განთავსებული; ე) სახლები ახალციხის მაზრაში, რომლებშიც პროვინციის მმართველობა და სანჯაყების გამგებლები იყვნენ განთავსებულნი; ვ) იქვე – კარნახისა და ხოზაფინის კარანტინები და კაზაკთა 10 საგუშაგო; ზ) გორის სამაზრო მმართველობის სადგომი, და თ) საფოსტო სადგურები გორის მაზრაში.

ამას ყველაფერს 1839 და 1840 წლებში დასჭირდა 260 საჟენი შემა, 6 622 საზიდარი და 11 843 საპალნე. ანაზღაურდა მხოლოდ 2 420 საპალნე, თითო 5 კაპიკად (ვერცხლით), ანუ ის ოდენობა შეშისა, რომელიც კარნახისა და ხოზაფინის კარანტინებს მიენოდა.

კანონის მიხედვით, საეროხო ბეგარაში შედის საფოსტო სადგურების მოვლა-პატრონობა და, მათ შორის – გათბობაც.

ამას გარდა, ერობას საკუთარი ხარჯით მხოლოდ სათემო მმართველობათა ნაგებობებისა და ეტაპით მიმავალ პატიმართათვის განკუთვნილი სატუსალოების გათბობა აქვს დაკისრებული. რაც შეეხება სამოქალაქო უწყებათა მიერ დაკავებული სხვა სადგომების გათბობის საკითხს, ამაზე, გარდა საგუბერნიო დანესებულებათა შესახებ წესდებულებისა (ტ. 2, მუხლი 1073) და წესდებულებისა საერო ბეგრის შესახებ (ტ. 4, მუხლი 501), კანონი არ არსებობს.

ბ) საერო მმართველობის მომსახურება

საქმეებზე გასაგზავ-გამოსაგზავნად იმერეთის ყოფილი ოლქის ოთხივე ხელმძღვანელი პირისგან თითოეულს ყოველდღიურად რიგრიგობით ოთხ-ოთხი სახაზინო და საეკლესიო გლეხი ემსახურებოდა (წესდებულებათა კრებული საერო ბეგრის შესახებ – ტ. 4, მუხლი 501, პუნქტ. 6).

გ) ცხენები და საზიდრები ერობის ჩინოვნიკების, მედიკოსებისა და მიწისმზომელთათვის

იმერეთის იმავე ოლქის ხელმძღვანელ პირებთან ქალაქების წასაღებ-წამოსაღებად განუწყვეტილად იმყოფებოდა ორი ან სამი ცხენოსანი. ამას გარდა, იმერეთში პოლიციის ჩინოვნიკების, მედიკოსებისა და მიწისმზომელთა მიმოსვლისთვის უფასოდ გამოიყოფოდა საზიდრები და ცხენები. აგრეთვე, ანალოგიურ ვითარებაში საზიდრები და ცხენები უფასოდ გამოიყოფოდა ახალციხის მაზრაშიც.

მართალია, არსებობს წესები საერო საქმეებზე მიმოსვლისას უფასო მგზავრობის შესახებ (წესდებულებათა კრებული საერო ბეგრის შესახებ, ტ. 4, 501-ე მუხლის გ პუნქტის III დანართი), მაგრამ ისინი ამიერკავკასიის მხარეზე არ უნდა ვრცელდებოდეს იმდენად, რამდენადაც ამჟამად აქ ერობის ჩინოვნიკებს ეძლევათ სამგზავრო თანხა.

დ) დახმარება სახაზინო შენობების აგებასა და შეკეთებაში

ქუთაისში ჰაუპტვახტის შესაკეთებლად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ 175 მორი იქნა გამოზიდული. მათ მიერვე სამ სადგურში უფასოდ აშენდა საჯინიბოები.

ქუთაისის მაზრაში ვარციხის სახაზინო წისქვილის შეკეთება და, გარდა ამისა, მდინარე ყვრილაზე გადასასვლელების მოვლა-პატრონობა ადგილობრივ ხელმძღვანელობას სოფელ გეგუთის გლეხობისთვის ბეგრად აქვს დაკისრებული.

ახალციხის მაზრაში კაზაკთა საგუშაგოების, ნახიჩევანის მაზრის ბუნებრივ საზღვარ ინჟირლის კაზაკთა საგუშაგოების, გორის მაზრაში ოქონის კარანტინის⁶ შეკეთებას 1839 და 1840 წლებში დასჭირდა: 3 504 მუშახელი, 250 საპალნე, 478 საზიდარი, ფული – 72 მანეთი ვერცხლით და შესაბამისი მასალა.

შენობა-ნაგებობათა მშენებლობებს: კაზაკთა საგუშაგოებს, საფოსტო სადგურებს, სადგურებთან არსებულ მიწურებს, კარანტინებსა და სხვა სახაზინო სახლებს ახალციხის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახიჩევანისა და გორის მაზრებში ზემოთ მითითებულ წლებში დასჭირდა – 35 414 მუშახელი, 6 296 საპალნე, 14 255 საზიდარი და შესაბამისი მასალა.

ამას გარდა, ნახიჩევანის მაზრაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ აშენდა კაზაკთა 11 საგუშაგო. ეს საგუშაგოები გასული წლის მიწისძვრამ დაანგრია, თუმცა, მიუხედავად იმ უბედურებებისა, რომლებსაც იგივე მოსახლეობა სხვა მიზეზთა გამო განიცდიდა, ეს საგუშაგოები იმავე მოსახლეობის მიერ იქნა აღდგენილი.

თუ აღნიშნულ შემთხვევებს კანონთან მიმართებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ჰაუპტვახტების, ისევე როგორც საყარაულო ნაგებობების, მოწყობა და მოვლა-პატრონობა საქალაქო ბეგრის მეშვეობით უნდა ხდებოდეს (ნესდებულებათა კრებული საერო ბეგრის შესახებ. ტ. 4, მუხლი 676). საფოსტო სადგურების მოწყობა და მოვლა-პატრონობა უნდა

მოხდეს საერობო ბეგრის მეშვეობით (წესდებულებათა კრებული საერობო ბეგრის შესახებ. ტ. 4, მუხლი 501; წესდებულებათა კრებული მშენებლობების შესახებ. ტ. 12, მუხლები 845-866). იგივე ვითარებაა გადასასვლელებთან დაკავშირებითაც. ყველა სხვა სახაზინო ნაგებობა უნდა აშენდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი სამშენებლო თანხებით, შეკეთების ხარჯები კი იმავე სამინისტროსთვის სარემონტო სამუშაოებზე ყოველწლიურად გამოყოფილი 200 ათასი მანეთიდან უნდა დაიფაროს (წესდებულებათა კრებული მშენებლობების შესახებ. ტ. 12, მუხლები 550, 555, 610).

კანონის მიხედვით, ნატურალურ ბეგარასთან არც ერთი ზემოჩამოთვლილი სამუშაო არ არის დაკავშირებული.

ე) მუშაობა სახაზინო მეურნეობაში

სახაზინო ვენახის მოვლა-დამუშავება და შემოღობვა იმერეთში, ისევე როგორც ახალციხის მაზრაში, ადგილობრივი მოსახლეობის ბეგარაში შედის. კანონი კი ამის შესახებ არ არსებობს.

ვ) სადგურებისა და ერობის ჩინოვნიკებისათვის მდებლობის გამოყოფა

იმერეთში საბატონო და ნაწილობრივ გლეხობის მდებლობები საფოსტო სადგურებისთვის გამოიყოფა უსასყიდლოდ; ადრე გამოიყოფოდა აგრეთვე იმერეთის მმართველისა და ოლქის 4 ხელმძღვანელი პირისთვის. კანონი ამაზეც არ არსებობს.

ზ) ფურაჟით უზრუნველყოფა

ახალციხის მაზრაში პროვინციის მმართველისა და ყოფილ სანჯაყთა გამგებლებისთვის თივით უზრუნველყოფას 1839 და 1840 წლებში დასჭირდა: 422 ადამიანი, 2 082 ცხენი და 134 საზიდარი. გორის მაზრაში ხსენებულ წლებში მოლი-

თის კაზაკთა პოლკისა და სამაზრო უფროსობის თივით უზრუნველყოფას დასჭირდა 443 საზიდარი. კანონი არც ამაზე არსებობს.

თ) ბარგისა და სხვა ტვირთის გადაზიდვა

კახეთში, იმერეთსა და გურიაში საგზაო სამუშაოებზე ადგილობრივი მცხოვრებლები საჭირო იარაღებს ეზიდებიან უსასყიდლოდ. ერევნის სახელმწიფო დანესებულებებიდან ტვირთის გადაზიდვას 1839 წელს სასაზღვრო ინჟირლიში, იმავე 1839 წელს სხვადასხვა სახის სახაზინო ბარგის გადაზიდვას ახალციხისა და თელავის მაზრებში, დარაჩიჩაგიდან საკარანტინო ნივთებისა და ერევნის სახელმწიფო დანესებულებების უკან დაბრუნებას 1839 და 1840 წლებში დასჭირდა: 37 მუშახელი, 574 საზიდარი, 79 საპალნე.⁷ კანონი არ არსებობს.

ი) წყალსადენების გაყვანა-განმენდა

ერევნის მაზრაში წყალსადენთა განმენდა-გაყვანას 1839 და 1840 წლებში 10 095 მუშახელი დასჭირდა. კანონი არ არის, თუმცა ეს წესი აქ ტრადიციითაა დამკვიდრებული.

კ) სასაზღვრო კავშირები

სპარსეთში გამგზავრებასა და იქაური ხელისუფლებისთვის ნაყიდი ცხენების გაყოლას, აგრეთვე, რომელიმე დუმბულის ხანის⁸ ცერემონმაისტერის თანხლებას 1839 წელს დასჭირდა 22 ცხენოსანი. კანონი არც ამაზე არსებობს.

ლ) გადასასვლელთა მოვლა-პატრონობა

გორის მაზრაში, ლიახვის გადასასვლელზე, წყალდიდობებისას საჭირო ხდება 180-მდე მუშახელის გამოყვანა. გა-

დასასვლელებზე ხიდების, ფიჩხფენილების, გადაზიდვებისა და სხვ. მომსახურება საერობო ბეგარაში შედის იქ, სადაც არ არსებობს სპეციალური მმართველობები.

მ) პირადი უსაფრთხოების დაცვა

გორის მაზრაში ამბოხებული გლეხებისგან კნენინა სოფიო სუმბათოვას დასაცავად 1840 წელს 21 კაცი გამოიყო. გარდა ამისა, ყარაულების დასაქირავებლად აიკრიბა 94 მან. 50 კაპ. ვერცხლით. ასეთი განკარგულება არ ეწინააღმდეგება დადგენილ წესებს (წესდებულებათა კრებული დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ. ტ. 14, მუხლები 297-325).

ნ) ერობის ჩინოვნიკთა გამასპინძლება

გორის მაზრის მცხოვრებლებს სოფლებში ერობის ჩინოვნიკთა მისვლა-მოსვლა და მათი გამასპინძლება დაუფჯდათ 2 000 მან. ვერცხლით. ეს ტრადიციად ქცეული წესი, კანონის მიხედვით, დაუშვებელია.

II. ბეგარა სამხედრო უწყების ხაზით: ა) შეიარაღებული მოსახლეობის აღკაზმულობა; ბ) საზიდრების გამოყოფა; გ) ბინების გამოყოფა; დ) სათიბებისა და საძოვრების გამოყოფა; ე) საბოსტნე მიწის გამოყოფა; ვ) ჯარის მომარაგება შეშით; ზ) მუშახელის გამოყვანა; თ) გარდა ბეგრით გათვალისწინებულისა, დამატებით მომარაგება პურიით; ი) საკორდონო საგუშაგოების მოწყობა.

ა) შეიარაღებული მოსახლეობის აღკაზმულობა

ამიერკავკასიის მხარის შეიარაღებულ მცხოვრებთა აღკაზმულობაა:

1. **ვარშავისთვის განკუთვნილ მუსლიმ ცხენოსანთა პოლკისთვის.** პოლკი შედგება 768 ადამიანისა და 870 ცხენისგან. მისი ფორმირება ხდება ამიერკავკასიის მოსახლეობისგან იმ ბეგრის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ყოველ ორ წელიწადში 300 სამწყობრო და განსაზღვრული რაოდენობის არასამწყობრო ადამიანის, აგრეთვე, ცხენების გამოყვანას. აღკაზმულობის მხრივ თითოეული ვალდებულია გააჩნდეს: რიგიანი ეროვნული ტანსაცმელი ყაბალახითა და ნაბდით; გამართული იარაღი: თოფი, ხმალი, ხანჯალი, პისტოლეტი და საიმედო საჯდომი ცხენი მთელი თავისი აღკაზმულობით. ასე რომ, თითოეული ასეთი ცხენოსნის მომზადება მხარეს უჯდება 175-405 მანეთი ვერცხლით და ზოგჯერ – უფრო ძვირიც. ეს ყველაფერი კეთდება იმ დებულების საფუძველზე, რომელიც ამიერკავკასიის ცალკე კორპუსთან არსებული არალეგულარული ცხენოსანი პოლკების ფორმირებას ეხება და უმაღლესად დამტკიცდა 1835 წლის 2 ივნისს.

2. **პირველი ქართული ქვეითი პოლკისთვის.** თელავის მაზრას ამ პოლკისთვის ყოველ თვე-ნახევარში სრულად აღკაზმული 150 კაცი გამოჰყავს. ყოველი სამთვიანი ნამსახურობის შემდეგ ხდება მათი ჩანაცვლება. ამ პოლკის დაარსების მიზანი ის არის, რომ სათავე დაედოს მუდმივი ქართული ჯარის შექმნასა და ამ გზით ლეკების მტაცებლური თარეშისგან კახეთის დაცვას. ეს კეთდება 1832 წლის 22 ივნისის უმაღლესად დამტკიცებული საშტატო განრიგის საფუძველზე.

3. **ჭარის მუდმივი მილიციისთვის.**⁹ ამ მილიციაში, რომელიც ლეკთა თარეშისგან ჭარის ყოფილი ოლქის დასაცავად შეიქმნა, ადამიანები ქირით შედიან. ქირას კი იხდის ჭარის მოსახლეობა, რომელმაც საამისო სურვილი ნებაყოფლობით გამოთქვა. შესაბამისად, ეს არის ფულადი ბეგარა. საფუძველი – კორპუსის მეთაურის მიერ სამხედრო მინისტრისადმი 1839 წლის 27 იანვრის მიმართვა (№136), რომელიც უმაღლესად არის დამტკიცებული.

4. საყარაულო ბეგრისთვის კახეთის დასაცავად. კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსის მიერ მთავარმმართველობის საბჭოში წარდგენილ 1840 წ. 4 ნოემბრის (№1902) მოხსენებაში წერია: გაზაფხულობითა და ზაფხულობით თელავისა და სიღნაღის მცხოვრებლებს ადგილობრივთაგან დაკომპლექტებული საყარაულოებისათვის ამ დრომდე 500 აღკაზმული კაცი გამოჰყავდათ. ამ საქმისთვის განწვეულებს ევალებათ 7 დღის სამსახური და ამ დროის განმავლობაში – საკუთარი თავის რჩენა. თუმცა ხშირია შემთხვევა, როცა მოშორებული სოფლის მცხოვრებლები მხოლოდ რამდენიმე დღე რჩებიან და შემდეგ პროვიანტის უკმარისობის გამო შინ ბრუნდებიან. აღარაფერს ვამბობ შემდეგ გარემოებებზე: ასეთი ხანმოკლე სამხედრო-საყარაულო სამსახურით გამონწვეული უხერხულობები და მილიციელთა ხშირი ცვლა როგორც სოფლის მამასახლისებს, ისე საგუშაგოთა უფროსებს სახეირო პირობებს უქმნის ბოროტმოქმედებათა ჩასადენად – პირველები თვითნებურად ექცევიან ადამიანების საყარაულოდ გამწესების უფლებას, მეორენი ყარაულებს ფულის სანაცვლოდ ათავისუფლებენ, შემდეგ კი სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ რევიზიის ჩატარებისას მიზეზად ასახელებენ: ან ყარაული არამართებულად იყო გამოგზავნილი, ან თავის შესანახად საკმარისი საკვები არ მოეპოვებოდათო.

მხედველობაში ჰქონდა რა ამგვარი საჩოთირო ვითარება და, ამასთანავე, გაითვალისწინა რა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლების პირით გაცხადებული მზაობა ქართველი თავადაზნაურობისა, ბ-ნმა კორპუსის მეთაურმა 1839 წლის 14 მარტს სამხედრო მინისტრს წინადადება წარუდგინა. წარდგინების მიხედვით, I ქართული ქვეითი პოლკი უნდა გაძლიერდეს საქართველოს ყველა მაზრიდან განწვეული 700 მილიციონერთ, ამის შემდეგ თელავის მაზრას შეუქმნებუქმდეს საბეგრო ვალდებულებები, კერძოდ, შეწყდეს მაზრის მცხოვრებთა განწვევა საყარაულო სამსახურში. მართალია, ამ წარდგინებაზე პასუხი ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ მის

იმპერატორობით უდიდებულესობას მთავარი შტაბის მორიგე გენერლის შეკითხვა გაეგზავნა: რომელი თანხიდან უნდა ანაზღაურდეს I ქართულ ქვეით პოლკს დამატებული 200 კაცის შენახვა? ამაზე ბ-ნი კორპუსის მეთაურის პასუხი იყო, რომ საამისო საშუალება უნდა გამოიძებნოს იმავე თანხის ფარგლებში, რომელიც პოლკის ახლანდელ შემადგენლობას ხმარდება; ანუ იმ თანხიდან, რომელიც კავკასიის კორპუსის საინტენდანტოს მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინიდან მოითხოვება.

5. მთიელთა თავდასხმების მოსაგერიებლად¹⁰ ან მათ წინააღმდეგ მთებში საბრძოლველად იკრიბება დროებითი მილიცია მთავარმართებლის სპეციალური ან, ექსტრემალურ ვითარებაში, ადგილობრივი ხელმძღვანელობის განკარგულებით.

6. **ზოგადად საკორდონო ხაზების დასაცავად.** ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში სპარსეთისა და თურქეთის სასაზღვრო ზოლების დასაცავად ადგილობრივი მცხოვრებნი მხოლოდ გურიასა და ყარაბაღის მაზრაში გაჰყავთ. გურიაში ეს ბეგარა მთელ მაზრას ეკისრება, ყარაბაღში კი მთავარმართებლის განკარგულებითა და მუსლიმური პროვინციების შესახებ გენერალ-მაიორ ტარაკანოვის მიერ შემუშავებული და 1839 წელს მთავარმართებლისგან დამტკიცებული განაწესის საფუძველზე ამგვარი ბეგარა სამი მომთაბარე ტომის – პისიანელების, ჩალობიანელებისა და დიზაკ-ჯევანშირლების – 832 სახლეულობას აქვს დაკისრებული. ამის სანაცვლოდ ისინი ყველა სხვა გადასახადისგან არიან გათავისუფლებულები და, ამას გარდა, იღებენ ყარაბაღის მაზრის მოსახლეობაში აკრეფილ საგანგებო გასამრჯელოს – 17 ათას მანეთზე მეტს ვერცხლით. სპარსეთთან და თურქეთთან ჩვენი სასაზღვრო ზოლის დანარჩენ ნაწილს იცავენ კაზაკები, რომელთა დასახმარებლადაც ყველა მოსაზღვრე მაზრის მცხოვრებთა გამწესება ხდება.

ბ-ნმა მთავარმართებელმა და სახელმწიფო საბჭოს წევრ-
მა, ბარონმა განმა, 1840 წლის 27 ნოემბერს ამიერკავკასიის
მონყობის კომიტეტში გაგზავნეს მთავარმართებლის კანცე-
ლარიის მიერ მომზადებული მოხსენება და თანდართული ინ-
სტრუქცია, რომელიც საბჭოს მიერ იყო განხილული და მოწო-
ნებული. ინსტრუქცია ამიერკავკასიის საზღვრებთან განლა-
გებული ჯარების უფროსებისა და ადგილობრივ სამოქალაქო
მმართველთა ურთიერთობის წესებს ეხება. ინსტრუქციის
მიხედვით, ადგილობრივი მცხოვრებნი საჭიროებისამებრ
გამწესდებიან იმ ჯარების დასახმარებლად, რომლებიც 6
სპეციალური საოლქო უფროსის ხელმძღვანელობით ეწევიან
საკორდონო დაცვას. ესენია: საქართველო-იმერეთის გუბერ-
ნიის გურიის, ქუთაისის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახი-
ჩევანის, თელავისა და ბელაქნის მაზრების, აგრეთვე, კასპი-
ის ოლქის ყარაბაღის, შირვანის, შაქის, დერბენტისა და ყუბის
მაზრების მცხოვრებნი. საამისოდ კი უნდა არსებობდეს ხელ-
მძღვანელობის სპეციალური განკარგულებები, რომლებიც,
თავის მხრივ, დაეყრდნობა წინასწარ შეთანხმებას სამხედ-
რო-საოლქო ხელმძღვანელობასა და ადგილობრივ მმართ-
ველობას შორის. საკორდონო საგუშაგოების მოწყობა, მათი
უზრუნველყოფა განათების საშუალებებით, სათანადო მა-
სალებითა და მუშახელით, ახალი ნაგებობების აშენება თუ
არსებულის შეკეთება, როგორც საბევრო ვალდებულება,
სამხედრო-საოლქო ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება
მაზრის მმართველობათა მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშ-
ნული მოთხოვნა კი უნდა დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც
სამოქალაქო მმართველობის მიერ იქნება შემუშავებული.
თავის მხრივ, საკორდონო საგუშაგოებზეა დამოკიდებული
მძარცველ-მტაცებელთა მოგერიება, გადამდები სენის შე-
მოღწევისაგან მხარის დაცვა, კონტრაბანდის აღკვეთა. ამი-
ტომაც საზღვრის იქითა მხრიდან შემოჭრის მცდელობისას,
თუ სამხედრო მეთაურს მტრის მოსაგერიებლად საკმარისი
ძალები არ აღმოაჩნდება, მას შეუძლია მყისიერად მიმართოს

უახლოესი მაზრის ხელმძღვანელობას, სოფლის მამასახლის-საც კი, რომლებმაც საგუშაგოს დაუყოვნებლივ უნდა მიაშვე-ლონ შესაძლებელი რაოდენობის შეიარაღებული ხალხი; და, დასასრულ,

7. ამ ტიპის ბეგარას უნდა მივაკუთვნოთ ნახიჩევანის მაზ-რაში მცხოვრები ქენგერლის ტომის ვალდებულება – და-ახლოებით 1270 სახლეულობას ეკისრება, ნებისმიერ დროს მზადყოფნაში ჰყავდეს 200 შეიარაღებული ცხენოსანი, რომელთაგან თითოეულს ჯამაგირად ნელინადში ეძლევა: 24 მან. 40 კაპ., 2 ხარვალი¹¹ ქერი და 20 საპალნე ბუნენარევი ალიზი. ამათგან 50 ცხენოსანი ვალდებულია, გამუდმებით იმყოფე-ბოდეს საკორდონო ხაზზე, არაქსის გასწვრივ; 11 – ქენგერ-ლის დროშასთან; დაახლოებით 15 ცხენოსანი კი ვარშავაში მდგომ სამხედრო-მუსლიმურ პოლკში უნდა ირიცხებოდეს. ამას გარდა, მათ ევალებათ, განუწყვეტლივ მზად იყვნენ და მართებლობის მოთხოვნისთანავე ჩაებან საომარ მოქმედე-ბებში, ყოველივე ამის სანაცვლოდ კი ისინი უმაღლესი ბრძა-ნებით გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან.

ბ) საზიდრების გამოყვანა

საზიდრების მოთხოვნა ხდება: 1. კანონთა საფუძველზე, და 2. მხარეში შექმნილი განსაკუთრებული ვითარებიდან გა-მომდინარე შემთხვევებში.

1. კანონები: წესდებულებათა კრებული საერობო ბეგრის შესახებ – ტ. 4, მუხლი 772-795 და იმავე ტომში 776-ე მუხ-ლის დანართი V; სამხედრო განკარგულებათა კრებული, ნან. I, წგნ. IV; ტ. 10, წგნ. III, თავი 7 და წგნ. IV, მუხლები 655, 656, 658, 659 და 664.

სხენებულ კანონთა მიხედვით, საზიდრების გამოყვანა ხდე-ბა: შიდა და ხაზებზე განლაგებული საგარნიზონო ბატალიო-ნებისთვის, პოლკებისთვის, არტილერიისა და პურის მცხოზ-ლებისთვის. საგარნიზონო ბატალიონების გადაადგილებისას

საველე პირობებში მათი კვება-შენახვისთვის გამოყვანილ უნდა იქნეს არა უმეტეს 52 საზიდრისა, ხოლო შიდა ბატალიონების კვება-შენახვისთვის – არა უმეტეს 48 საზიდრისა. თუკი გამოყოფილი რაციონი ოფიცრებს თანა აქვთ, საამისოდ განკუთვნილი 13 საზიდარი უკვე აღარ ხდება საჭირო. პურის მცხობელთათვის ყოველ 20 კაცზე გამოიყოფა 3 საზიდარი. ამგვარივე ანგარიშით გამოიყოფა საზიდრები პოლკებისთვის. ამაზე მეტის მოთხოვნა კატეგორიულად აკრძალულია. საზიდართა განსაზღვრული ნაწილის გამოყვანისთვის ანაზღაურება მაშინვე უნდა განხორციელდეს საფოსტო პირობებით, ხოლო თუ საზიდრების მეტი რაოდენობა გახდება საჭირო, მაშინ ეს შეიძლება მოხდეს ქირითა და თავისუფალი ფასით.

2. განსაკუთრებული ვითარებიდან გამომდინარე შემთხვევები: ა) გზების განმენდა და შეკეთება ანაზღაურების გარეშე; ბ) ანაზღაურების გარეშე ჯარებისთვის დახმარების განევა შტაბ-ბინებისა და საერთოდ ისეთი სამხედრო ნაგებობების მოწყობაში, რომლებზე ზრუნვაც თვითონ საჯარისო ნაწილებს მოეთხოვებათ; გ) ანაზღაურებით (მანძილის მიხედვით) გადაზიდვა პროვიანტისა მალაზიების შესავსებად, როცა პროდუქტის ნაკლებობაში მიმწოდებელს არ მიუძღვის ბრალი; დ) ექსტრაორდინალური ცოიგჰაუზიდან გამოყოფილი სამშენებლო მასალის გადაზიდვა ანაზღაურებით (მანძილის მიხედვით); ე) დაბალი ჩინის სამხედროების გადაყვანა და პოლკის – საერთოდ ნებისმიერი სახის სამხედრო – ტვირთის გადაზიდვა ანაზღაურების გარეშე.

საზიდრების გამოყვანა ხდება კორპუსის უფროსის განკარგულებით ან სხვადასხვა სახის სამხედრო მეთაურების მოთხოვნით, ან კიდევ თვითონ ერობის ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით.

ადგილობრივი ხელმძღვანელებისგან მოწოდებული ცნობებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევების გამო 1839 და 1840 წლებში მხოლოდ საქართველო-იმერეთის გუბერნიაში გამოყვანილ იქნა:

	საზიდრები	ცხენები
თბილისის მაზრაში	53 122	–
გორის მაზრიდან	13 822	129
თელავის მაზრიდან	8 068	–
ბელაქნის მაზრიდან	10 282	505
ნახიჩევანის მაზრიდან	652	2475
ერევნის მაზრიდან	583	9 286
ელიზავეტპოლის მაზრიდან	1753	373
ალექსანდროპოლის მაზრიდან	15 808	–
ახალციხის მაზრიდან	8 871	37 502
გურიის მაზრიდან	1 228	412
და ქუთაისის ორი უბნიდან	27 586	455
	-----	-----
სულ	41 776	51 137

შტაბის უფროსი კი მწერს, რომ საზიდართა საჭირო რაოდენობა ვერც კანონებით განისაზღვრება და ვერც იმ წესებით, აქ რომ არის დაშვებული: პირველ შემთხვევაში პოლკისა თუ სხვა საჯარისო ნაწილების გადაადგილებასა და სხვა მოქმედებებთან დაკავშირებულ მოთხოვნას საზიდართა საჭირო რაოდენობის შესახებ სამოქალაქო მმართველობა სამხედრო პირებისგან იღებს (საფუძველი – სამხედრო დადგენილებათა კრებული, ტ. 10, მუხლი 1595). სხვა შემთხვევებში მომავალი ზაფხულისთვის საჭირო საზიდართა რაოდენობა უმეტესწილად შემოდგომაზე შედგენილ ხარჯთაღიწვევაშია გათვალისწინებული. მაშასადამე, სამოქალაქო მმართველობისთვის შეტყობინება შემოდგომითვეა შესაძლებელი. თავისთავად ცხადია, რომ აქ მხედველობაში ვერ იქნება მიღებული გაუთვალისწინებელი სამუშაოები; მაგალითად, გზების განმენდა ჩამონაშალებისგან, ზვავებისგან, მდინარეების ადიდების შემდეგ დარჩენილი ქვა-ღორღისგან. ასეთი სამუშაოები კი საქართველოსა და იმერეთის სამხედრო გზებზე თითქმის შე-

უნყვეტლივ არის საჭირო. ასევე შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა იმისა, თუ რამდენი საზიდრის გამოყვანა დასჭირდება ყოველწლიურად ან იმ შტაბ-ბინების მოწყობას, რომლებიც სამხედრო მინისტრის მიერ გამოგზავნილი წერილით კავკასიის სამხედრო კორპუსის მეთაურისთვის არის განსაზღვრული* და საერობო ბეგრის ფარგლებში სამუშაოების უსასყიდლოდ შესრულებას ითვალისწინებს, ან პროვიანტის გადაზიდვა, რაც ჩვეულებრივ ვითარებაში ქირითა და თავისუფალი ფასით წარმოებს. თავის მხრივ, გენერალი კოცებუ წერს, რომ შეუძლებელია, შტაბ-ბინების მოსაწყობად საჭირო რაოდენობა დღეში 4 000 ურემს ალემატებოდეს და წლითინლობით ეს რიცხვი შემცირდება კიდევაც. რაც შეეხება სახაზინო სამუშაოებისთვის საჭირო სამშენებლო მასალების გადაზიდვას, მისი თქმით, ძნელი წარმოსადგენია, ამ საქმეს წელიწადში 100 ურემზე მეტი დასჭირდეს.

გენერალ კოცებუს მიერ მიმდინარე მარტის 19 რიცხვში შედგენილ განმარტებით ბარათში (№654) აღრიცხულია ისეთ შემთხვევები, რომლებიც სამხედრო განკარგულებებში არ არის გათვალისწინებული, თუმცა მხარეში შექმნილ გარემოებათა გამო კავკასიის ცალკე კორპუსის ჯარები ადგილობრივ მცხოვრებთა საზიდრებით სარგებლობას თავს ვერ აარიდებენ. იქვეა მონაცემები, თუ როდის რამდენი საზიდრის გამოყვანა საჭირო უსასყიდლოდ ან ქირით.

* ბ-ნი კორპუსის მეთაური 1840 წლის 6 სექტემბერს სამხედრო მინისტრს სწერდა (№3654), რომ შტაბ-ბინების მოწყობისთვის საჭირო სხვადასხვა მასალის გადასაზიდვად კავკასიის კორპუსის ჯარები ადგილობრ მცხოვრებთა საზიდრებს იყენებდნენ. იგი მიიჩნევდა – საერობო ბეგრის სახით საზიდრების უფასოდ გამოყვანა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და, ამასთანავე, სამოქალაქო მმართველობის განზრახული რეორგანიზაციის ფარგლებში ამ წესს კანონის სახე უნდა მიეცესო. კორპუსის მეთაური სამხედრო მინისტრს მისი უდიდებულესობის თანხმობის მისაღებად შუამდგომლობას სთხოვდა. გრაფი ჩერნიშოვი კი 8 ოქტობრის პასუხში (№6 183) კორპუსის მეთაურს ურჩევდა, ამ საქმისთვის დადგენილი ფორმით მიეცა მსვლელობა.

საზიდრები შეკვეთითა და ქირით:

ჰოსპიტლებში გარდაცვლილ დაბალი ჩინის სამხედრო პირთა ამუნიციისა და იარაღის გადასაზიდად, როცა ჰოსპიტლები და ლაზარეთები პოლკებისა და ბატალიონებისგან დაშორებულია 200 და მეტი ვერსით (თითო საზიდარზე, რომელშიც წყვილი ხარია შებმული, მოდის ტვირთი 30 ფუთის ოდენობით); იმ ჩინოვნიკებისთვის, რომლებიც ადგილმდებარეობისა და გზების აგეგმვისთვის იგზავნებიან – თითოეული ოფიცრისთვის 3 ცხენი ან საზიდარი, რომელშიც წყვილი ხარია შებმული და ასეთივე საზიდარი თანმხლები დაბალი ჩინის პირებისა და ინსტრუმენტებისთვის.

საზიდრები უსასყიდლოდ:

1. მტრის შემოჭრისგან თავდასაცავად ჯარების დაჩქარებული მარშით გადასროლისას: ა) პროვიანტისა და სალაშქრო ბარგი-ბარხანის გადასაზიდად – ყოველ 25 კაცზე თითო საზიდარი; ბ) იმათთვის, რომლებიც შესაძლოა მარშის დროს ავად გახდნენ – ყოველ 50 კაცზე თითო საზიდარი.

2. ასეულზე ნაკლები რაზმებისთვის, რომლებიც პოლკებიდან და ბატალიონებიდან რაიმე დავალებით არიან გაგზავნილნი: ა) ექვსი დღის სამყოფი პროვიანტი, აგრეთვე, ქვაბები, თითოეულ რაზმზე 10-დან 25 კაცამდე – თითო საზიდარი, 25-დან 50-მდე – ორ-ორი საზიდარი და ა. შ.; ბ) ავადმყოფებისთვის იმავე რაოდენობით.

3. დაჭრილებისა და არაქმედუნარიანებისთვის, რომლებიც გამოსაჯანმრთლებლად ჰოსპიტლებიდან და ლაზარეთებიდან პოლკებსა თუ რაზმეულებში არიან გაგზავნილნი – 6 კაცზე თითო საზიდარი.

4. თბილისში, კრებით სასწავლო ბატალიონებში გამოძახებული დაბალი ჩინის პირებისა და სანიმუშო პოლკების ორმაგი ამუნიციისა და პროვიანტის გადაზიდვა, არანაკლებ 4 დღისა – 5 კაცზე თითო საზიდარი.

5. დაბალი ჩინის პირებისთვის, რომლებიც სასწავლო ბა-

ტალიონებიდან თავ-თავიანთ პოლკებსა და ბატალიონებში ბრუნდებიან – ყოველ 25 კაცზე თითო საზიდარი.

6. მთიელთა წინააღმდეგ ომში დაღუპულთა ამუნიციისა და იარაღის, აგრეთვე, ცხენების აღჭურვილობის გადაზიდვა – ყოველ 30 ფუთზე თითო საზიდარი.

შტაბის უფროსი მიიჩნევს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებული საჭიროებებისათვის გამოსაყვან ურემთა რაოდენობა არ გადააჭარბებს 1500-ს გუბერნიისათვის და იმავე რაოდენობას ოლქისათვის.

გ) ბინების გამოყოფა

შტაბის უფროსმა წარმოადგინა ორი უწყისი, რომელთაგან პირველში (ლიტ. ა) ნაჩვენებია, რომ ამიერკავკასიის მხარეში ჯარებისთვის საჭიროა მუდმივი ბინები: გენერლებისთვის – 8, შტაბის ოფიცრებისთვის – 55, ობეროფიცრებისთვის – 517, დაბალი ჩინებისთვის – 23 110, აგრეთვე, სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობები: კანცელარიებისთვის, სალოცავებისთვის, ცოიგჰაუზებისთვის, სახელოსნოებისთვის, სამზარეულოებისა და სკოლებისთვის – რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. მეორეში (ლიტ. ბ) ნაჩვენებია, თუ რამდენი ბინა არის საჭირო საკუთრივ თბილისში და, როგორც ირკვევა, თბილისში საჭიროა: ერთი – გენერალ-ლეიტენანტისთვის, ექვსი – გენერალ-მაიორებისთვის, 56 – შტაბის ოფიცრებისთვის, 246 – ობეროფიცრებისთვის, 97 – საკანცელარიო მწერლებისთვის, 1473 – დაბალი ჩინის პირთათვის; დასასრულ, ცოიგჰაუზებისა და სახელოსნოებისთვის – 56 შენობა-ნაგებობა და 22 სახლაკი.

პირველ უწყისში აღნიშნულ ბინებთან დაკავშირებით უცვლელი და მუდმივი ბეგარა ვერ გაიწერება მთელი წლისთვის – ჯერ ერთი, ყაზარმების აშენების კვალდაკვალ ბეგარა ისედაც მცირდება, მეორე მხრივ, შეუძლებელია იგი არ შეიცვალოს სამხედრო მოქმედებების გამო ჯარების გადაადგილების, სახელმწიფო სამუშაოებისა და სხვ. მიხედვით, ხოლო რაც შეეხება პოლკებს, ბატალიონებს – ასეულებსაც კი – გა-

დაადგილებისას ლამის სადგომად ისინი ყოველთვის ბანაკებს იყენებენ. წინასწარ შეუძლებელია განსაზღვრა იმისა, წლის განმავლობაში ამიერკავკასიის სხვადასხვა მიმართულებით რამდენი რაზმის გაგზავნა-გამოგზავნა ან რეკრუტირებულთა მეშვეობით რომელი პოლკისა და ბატალიონის შევსება გახდება საჭირო და, შესაბამისად, წინასწარ ვერც საბეგრო საკითხები დაიგეგმება.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებული კანონები მოცემულია წესდებულებათა კრებულში საერობო ბეგრის შესახებ – ტ. 4, მუხლები 596-751; სამხედრო განკარგულებათა კრებულის IV ნაწილში, მუხლები 1341-1551.

დ) სათიბებისა და საძოვრების გამოყოფა

ამიერკავკასიაში ჯარებისა და სამხედრო ჩინოვნიკებისთვის სათიბი და საძოვარი მინდვრების გამოყოფა ხდება ინფანტერიის გენერლის, თავად ციციანოვის, სახელზე 1804 წლის 7 აპრილს გაცემული უმაღლესი ბრძანების, აგრეთვე, უმაღლესი ნებით განსაზღვრული და სამხედრო მინისტრის მიერ კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის, გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის, სახელზე 1830 წლის 12 აგვისტოს (№6252) გაცემული ნებართვის საფუძველზე. ამგვარი დანიშნულების სახაზინო, საეკლესიო და საბატონო მინდვრებს ერთმანეთისგან განსხვავებული საფასურით გამოჰყოფს სამოქალაქო ხელმძღვანელობა. ადრე საფასური ერთგვაროვანი იყო და 100 ზვინის ან 600 ფუთის ღირებულება შეადგენდა 2 მანეთს. 1830 წლიდან კი დადგენილია: საბატონოდან ზვინზე – 3, საეკლესიოდან – 2, ხოლო სახაზინო მინდვრებიდან – უსასყიდლოდ.

სათიბების მხრივ ყოველწლიური საჭიროებები მხოლოდ მცირეოდენ ცვლილებებს განიცდის. ცხენების საჭირო რაოდენობის შესახებ სპეციალურად შედგენილ უწყისში შტაბის უფროსი წერს, რომ საშტატო ცხრილის მიხედვით, კორპუსის მეთაურისთვის, შტაბისთვის, პოლკების, ბატალიონების,

ასეულებისა და რაზმების მეთაურებისთვის, საარტილერიო ბრიგადების, ბატალიონებისა და ასეულებისთვის, საგარნიზონო არტილერიისთვის, არსენალისა და ლაბორატორიული ასეულისთვის¹² სულ 15 534 ცხენია საჭირო; არც ცხენებისა და არც რქოსანი პირუტყვის შესახებ არავითარი დებულება არ არსებობს და მათი რაოდენობა მხოლოდ ადგილობრივი გარემოებებებით განისაზღვრება – ჯარისკაცთა არტილერიისთვის, დაოჯახებულებისგან შემდგარი ასეულებისა და სხვა საჯარისო ნაწილებისთვის, სულ 4 161 ცხენისა და 8 687 ხარისა და ძროხისთვის, 4, 6, 8 და 12 თვის ანგარიშში 2 722 144 ფუთი თივა და ბალახია საჭირო. ამას ემატება (არავინ იცის, რის საფუძველზე) მეათედი ნაწილი დანაკარგების ანგარიშში და საბოლოოდ გამოდის 2 994 363 ფუთი და 36 ფუნტი.¹³

შტაბის უფროსი დასძენს, რომ ცხენების დანესებული რაოდენობა განსაზღვრულია საშტატო ცხრილითა და ტაბელით, რომელიც სამხედრო განკარგულებათა კრებულის მე-10 ტომის 1777-ე სტატიას აქვს დართული. თივის სადღელამოსო ულუფა, აგრეთვე, მშრალი ფურაჟითა და ბალახით უზრუნველყოფა განსაზღვრულია ტაბელით (მუხლი 506), რომელსაც საფუძვლად უდევს 516-ე მუხლის მე-4 პუნქტი (იგივე ტომი).

აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: იმავე ტაბელით, გარდა ჟანდარმერიისა და პოლკების ცხენებისა (შავი ზღვისა და დონის, აგრეთვე, კაზაკთა პოლკების, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან), ყველა სხვა დანარჩენზე ვრცელდება იმპერიის სამ კლიმატურ ზონად დაყოფიდან გამომდინარე ნესი, რომლის მიხედვითაც ჩვენში მიწისგან შემოსავლის მიღება გრძელდება 6 თვის განმავლობაში. ასეთ ვითარებაში არავის ევალება ერობის სასარგებლოდ პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა არა უმეტეს $1\frac{1}{2}$, 2, $2\frac{1}{2}$ და 3 თვისა.

საერთოდ საერობო ბეგრის შესახებ კანონთა კრებულის მე-4 ტომის 760-771 მუხლებითა და სამხედრო განკარგულებათა კრებულის მე-10 ტომის 1579-1590 მუხლებით (სამხედრო გამოყენების ცხენების საძოვრებით უზრუნველყოფა)

დადგენილია შემდეგი წესები: სამხედრო გამოყენების ცხენების საკვებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს ან თვითონ პოლკების, ან ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ.

ბალახით უზრუნველყოფისთვის ადგილობრივ მცხოვრებთა საძოვრები გამოიყოფა:

1. საარმიო, დრაგუნთა, ჰუსართა, ულანისა და ცხენოსან ეგერთა თითოეული პოლკის 192 ცხენისთვის – 2 თვე (ანუ იმ ცხენებისთვის, რომლებზეც ფურაჟი მთელი სრული წლით არ გამოიყოფა. ეს ყველაფერი განმარტებულია სამხედრო განკარგულებათა კრებულის მე-10 ტომის 506-ე მუხლის დამატებაში). აქედან გამოირიცხებიან პოლკები: ულანთა მე-6 დივიზიისა, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი, ჟანდარმები და სამხედრო დასახლებებში მცხოვრებნი – ამ პოლკებიდან თითოეულზე საძოვრები გამოიყოფა ასევე 2 თვით, ოღონდ 280 ცხენზე.

2. საარტილერიო-საარმიო დასამუხტი ყუთებისთვის საჭირო, აგრეთვე, გვარდიის ქვეითი და საცხენოსანო-საარტილერიო შენაერთების ცხენებისთვის – 1½ თვე.

3. ქვეითი არტილერიის ზარბაზნებისა და ყუთების გადასაზიდად საჭირო ცხენებისთვის – 2 თვე.

4. კავალერიისა და ქვეითი თითოეული პოლკის სააღალე ცხენებისთვის, საცხენოსნო და ქვეითი საარტილერიო ასეულებისთვის, მესანგრეთა ბატალიონისთვის (საქართველოში 6 თვე უნევს).

5. კაზაკთა ყველა პოლკის სასაპალნე და საჯდომი ცხენებისთვის კლიმატური ზონების გათვალისწინებით.

6. ოფიცერთა საკუთარი ცხენებისთვის – წესი დამოკიდებულია მოქმედი საარმიო შენაერთის რაოდენობასა და, აგრეთვე, კლიმატურ ზონაზე. ოფიცერთა საკუთარი ცხენები, გარდა დებულებით გათვალისწინებულისა, შეიძლება საძოვრებზე გაყვანილ იქნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ცხენებთან ერთად, ანუ გარნიზონის ბატალიონების, ინვალიდთა და ეტაპის რაზმების, აგრეთვე, საერთოდ შინაგანი თავდაცვის ოფიცრებისთვის, ამასთანავე, ქვეითი ჯარების პორუჩიკე-

ბისტვის, პოდპორუჩიკებისა და პრაპორშჩიკებისთვის საძოვრები სპეციალურად არ გამოიყოფა. მათ შეუძლიათ ისარგებლონ ადგილობრივ მცხოვრებთა იმ საძოვრებით, სადაც მოცემულ მომენტში იმყოფებიან.

საბალახოდ გამოიყოფა ის ადგილები, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები ნახირს აძოვებენ. სადაც ამგვარი ადგილები არასაკმარისია ან საერთოდ არ არის, ცხენები გაშვებულ უნდა იქნენ გაზაფხულზე დროებით უხნავ ზოლებზე, მოგვიანებით კი, პურისა და ჭვავის ალების შემდეგ, თავისუფალ მინდვრებსა და ნათიბებზე.

საძოვრების ნატურის სახით გამოყოფა შეიძლება ჩანაცვლდეს ბალახის მიწოდებით – თითოეულ ცხენზე დღეში 60 ფუნტის ოდენობით. ადგილობრივი მცხოვრებლებისგან საძოვრის სანაცვლოდ ფულის მოთხოვნა აკრძალულია.

ადგილობრივ მოსახლეობას სამეურნეო საქმეებში არაერთი შევიწროება თუ დაბრკოლება არ უნდა შეექმნას. სამხედრო ხელმძღვანელებმა სამოქალაქო მმართველებს უნდა მიმართონ ცხენების საძოვარზე გაშვებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე. ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს ან საძოვრების გამოყოფით ნატურალური სახით, ან კიდევ უმაღლესი ნებართვის საფუძველზე – ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ანაზღაურებით.*

ე) საბოსტნე მიწის გამოყოფა

ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობაში ბოსტნეულის მოყვანის საქმე არ არის სათანადოდ განვითარებული. ამას გარდა, კავკასიის კორპუსი უმეტესწილად დასახლებებისგან მოშორებითაა განლაგებული და ამიტომ თვითონვე უნდა იზრუ-

* ფინეთში საძოვრებით სარგებლობისთვის ადგილობრივ მცხოვრებს თითოეულ ცხენზე დღე-ღამეში 12 კაპიკს, პოლონეთის სამეფოში კი დღე-ღამეში 6 პოლონურ გროშს უხდიან (სამხედრო განკარგულებათა კრებულის მე-10 ტ., მუხლი 1591).

ნოს, ერთი მხრივ, პოლკებისა და ბატალიონთა ლაზარეთების ბოსტნეულით მომარაგებასა და, მეორე მხრივ, ზოგადად კვების გაუმჯობესებაზე. ეს იწვევს საბოსტნე ადგილების გამოყოფას ყოველგვარი წესისა და რიგის გარეშე. ამის შესახებ არავითარი კანონი არ არსებობს. შტაბის უფროსი გვატყობინებს, რომ მუშავდება აუცილებელი განკარგულებები ამ საკითხის მოსგვარებლად, ამჟამად მიმდინარეობს ცნობების შეკრება და დამატებით მოსაზრებებს წარმოადგენს მოგვიანებით.

შემდგომ – 1840 წლის 26 ნოემბრის (№2053) – მოხსენებაში შტაბის უფროსი წერს: ბ-ნმა კორპუსის მეთაურმა არტილერიის უფროსის, გენერალ-მაიორ კოზლიანინოვის, თავმჯდომარეობით შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ამიერკავკასიაში განლაგებული ჯარებისთვის საჭირო სათიბებისა და საძოვრების საკითხი. იმავე კომიტეტს დაევალა გაარკვიოს, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ჯარებისთვის საბოსტნე მიწებით სარგებლობის საქმე და წარმოადგინოს სათანადო დასკვნა.

ვ) ჯარების უზრუნველყოფა შეშით

კავკასიის კორპუსში შემავალი ჯარების ვალდებულებაა, საკუთარი ძალებით მოაგვარონ შეშითა და განათებით უზრუნველყოფის საკითხი. საამისოდ ისინი ფულს ხაზინიდან იღებენ: თითოეული ასეულზე – 290 კაცზე ოფიცრების ჩათვლით – გამოიყოფა 51 მან. და 15 კაპ. ვერცხლით, რათა მათ როგორც სახაზინო, ისე კერძო საკუთრებაში არსებული ხე-ტყის ქრის საშუალება ჰქონდეთ.

ადგილობრივ მცხოვრებლებს შეშის ბეგარა მხოლოდ რეკრუტირებულთა და მოცემულ ტერიტორიაზე გზად მიმავალი ჯარების სასარგებლოდ აქვთ დაკისრებული. ამას გარდა, ასეთ ჯარებს ტყით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება აქვთ: შეშის გამოსატანად, ალალისთვის საჭირო ტერიტორიის, იარაღის საცავისა და თავიანთი სადგომების მოსაწყობად.

კავკასიაში განლაგებული ჯარების მთლიანად უზრუნველყოფისთვის, შტაბის უფროსის ანგარიშით, საქიროა 32 634 საყენი დაჭრილ-დაპობილი შეშა. ქალაქებში საქალაქო ბეგარაში შედის საყარაულოების განათება.

კანონი შეშით ჯარების უზრუნველყოფის შესახებ მოცემულია სამხედრო განკარგულებათა კრებულის მე-10 ტომის 1270-ე მუხლსა და წესდებულებათა კრებულში საერობო ბეგრის შესახებ – ტ. 4, მუხლები: 702, 704, 706, 707-709, 711-713.

ზ) მუშახელის გამოყვანა

მუშახელის ყოველწლიურად გამოყვანა ხდება გზების შესაკეთებლად, ხიდების ასაგებად, ზოგჯერ – ციხესიმაგრეებთან დაკავშირებულ სამუშაოებზე.

თბილისის გუბერნიის მთიანეთის ნაწილის მცხოვრებთათვის ერთ-ერთ უმთავრეს ბეგარას საქართველოს სამხედრო გზის მოვლა-შეკეთება წარმოადგენს. ადგილობრივი ხელმძღვანელობა, რომელსაც თოვლისა და ჩამონახვავებისგან გზების გასანმენდად განუწყვეტლივ უწევდა მუშახელის გამოყვანა, ამ საქმეს მცხოვრებთათვის უალრესად სამძიმოდ მიიჩნევდა. ეს მოხსენდა კიდევაც ხელმწიფე იმპერატორს, როცა მისი უდიდებულესობა თბილისიდან რუსეთში სწორედ ამ მთიანი გზით ბრუნდებოდა.¹⁴ მიაპყრო რა მისმა უდიდებულესობამ ამ საკითხს ყოვლადმონყალე ყურადღება, იმდროინდელ მთავარმართებელს, ბარონ როზენს, უბრძანა, საქართველოს სამხედრო გზის მოვლა-შეკეთება ისევ გზის განაპირა მთიანი სოფლების მცხოვრებთა ბეგრად დაეტოვებინა, ოღონდ გაეთავისუფლებინა ისინი ფულადი გადასახადისგან, რომელიც შეადგენდა 2 643 მან. 50 კაპ. (ვერცხლით) წელიწადში. უმაღლესი ბრძანება ბარონ როზენსა და ფინანსთა მინისტრს შორის გამართული მიმოწერის შემდეგ ზუსტად შესრულდა – ყოფილმა საქართველოს სახაზინო ექსპედიციამ გრაფ კანკრინის მონერილობის საფუძველზე შეწყვიტა ხსენებული გადასახადის მოთხოვნა და 1838 წლის დასაწყისი-

დან ამოიღო იგი თავისი შემოსავლიდან, რაც ბარონ როზენს იმავე წლის 25 იანვარს მოხსენდა (№587). მაშასადამე, სამხედრო მინისტრის 1838 წლის 13 თებერვლის წერილობითი მიმართვა (№1095), აგრეთვე, მთავარმართებლისა და ბარონ განის ერთობლივი მოსაზრებები და დასკვნა მთის სოფლების მცხოვრებთათვის გზების მოვლა-შეკეთებისთვის საფასურის მიცემის შესახებ, რომლებიც უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით არის გამყარებული, შეუძლებელია დამატებით განხილვას საჭიროებდეს.

ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში გზების მოვლა-შეკეთებასთან დაკავშირებული ბეგრის საქმე ასეთ სურათს იძლევა:

იმერეთის სამხედრო გზაზე დღეში 250-დან 300-მდე, ანუ წელიწადში 100 000-ზე მეტი კაცი გამოჰყავთ, აგრეთვე, 90-მდე ურემი თავისი ხარებითა და მეურმეებით. ამისთვის დაწინიებულია დღე-ღამეში 10 კაპ. ვერცხლით როგორც კაცზე, ისე – ურემზე. სამუშაოზე გაყვანა ხდება ერთი ან ორი კვირით, შეუნაცვლებლად და საკუთარ კმაყოფაზე. გორის მაზრიდან ამ გზაზე სამუშაოდ 1839 და 1840 წლებში გაგზავნილი იყო 28 საზიდარი და 6 816 მუშახელი. ხე-ტყის, ფიჩხის, ქვის მიზიდვა, გზის განმენდა თოვლისა და ჩამონახვავებისაგან ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებს დაკისრებული აქვთ ანაზღაურების გარეშე.

გურიის მაზრაში გზების მოვლა-შეკეთებას, ხიდების აგებას, აგრეთვე, ოზურგეთში ჰოსპიტლის, დაბალი ჩინის სამხედროებისთვის სახლების აშენებას 1839 და 1840 წლებში 21 284 მუშახელი, 412 საპალნე და 1 228 საზიდარი დასჭირდა.

თელავის მაზრაში გზების მოვლა-შეკეთებას 1839 და 1840 წლებში 6 432 მუშახელი დასჭირდა.

ბელაქნის მაზრაში 1839 წელს ერთი თვის, ხოლო 1840-ში ორი თვის განმავლობაში ანაზღაურების გარეშე გაყვანილ იქნა 22 000 მუშახელი და 900 ურემი. მხოლოდ ბელაქნის მაზრის ჩრდილოეთი ნაწილის მთიანეთის მოსახლეობას არა აქვს დაკისრებული ნატურალური ბეგარა იმის გამო, რომ ისინი მოწყვეტილნი არიან მაზრის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობას.

ახალციხის მაზრის მცხოვრებლებს აკისრიათ საფასურის გარეშე თავიანთი შიდა გზების, ხიდებისა და სხვ. მოვლა-შეკეთება. ამას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დასჭირდა 8 845 მუშახელი, 3 689 საპალნე და 3 122 საზიდარი. რამდენი იქნა ამ მაზრიდან გაგზავნილი ახალციხის სამხედრო გზის სამუშაოებზე, ამის შესახებ ცნობები არ გვაქვს, ხოლო გორის მაზრიდან გაგზავნილ იქნა 2 404 მუშახელი.

ყველაზე სამძიმო ბეგარა ახალციხის მაზრის მცხოვრებთათვის ხე-ტყის მასალით სახაზინო სამუშაოების მომარაგებაა. ამაში ისინი იღებენ 5 კაპიკს (ვერცხლით) ყოველ გრძივ საყენზე. ასეთი ანაზღაურება არა მარტო არ შეესაბამება მათ მიერ დახარჯულ შრომასა და დროს, არამედ სულაც არ არის საკმარისი თვით გამოსაკვებადაც კი. უნევთ რა სამუშაოდ საკუთარი სახლებიდან 10-დან 70 ვერსამდე წასვლა, ისინი ხშირად კარგავენ პირუტყვსაც, რომელიც აუტანელი შრომისგან ან ილუპება, ან არაქათი ეცლება, ან გაუვალ ტყეებში სახიჩრდება, ან ციცაბოებიდან მოწყდება ხოლმე. გადარჩენილი პირუტყვი კი იმდენად უძღურდება, რომ მისი გამოყენება რაიმე სახის სამუშაოზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში საერთოდ შეუძლებელი ხდება. ერთი მორის ადგილზე მიტანას, რაშიც სოფლის მცხოვრების სისხლია ჩაქცეული, სჭირდება სულ ცოტა 7 დღე-ღამე, 8-დან 10-მდე უღელი ხარი და, უკიდურეს შემთხვევაში, 4 მუშახელი. და მთელი ამ შრომის საფასურია 25 კაპ. (ვერცხლით) და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს მორი 5 საყენი მაინცაა.

ერევნისა და ალექსანდროპოლის მაზრებში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში: დილიჯანის გზის სამუშაოებს დასჭირდა 51 555 მუშახელი, 23 საპალნე და 102 საზიდარი; ერევნის გუბერნიაში გზებისა და ხიდების შეკეთებას 1840 წელს – 892 მუშახელი და 1 784 საზიდარი; ელიზავეტპოლის მაზრაში ზოგიერთი სხვა სახის სამხედრო ბეგარასთან ერთად 1839 და 1840 წლებში – 9 936 მუშახელი, 373 საპალნე, 1 753 საზიდარი და გორის მაზრაში 1839 წელს – 2 763 მუშახელი და 590 საზიდარი.

თ) ბეგრის ზემოთ საპროვიანტო უწყების მომარაგება პურით

შორაპნის უბნისა და ქუთაისის მაზრის მცხოვრებლები, კაცმა არ იცის, რის საფუძველზე – უნდა ვიფიქროთ, იმერეთის ყოფილი მმართველების განკარგულებებით – ჯარების გამოსაკვებად ბეგრის ზემოთ 126 ბათიან ხორბალსა და 166 ბათიან ლომს იძლევიან. არავითარი კანონი ამაზე არ არსებობს.

ი) სასაზღვრო-საკორდონო საგუშაგოების მონყობა და მოვლა-პატრონობა

სამხედრო ბეგარაში შედის სპარსეთისა და თურქეთის საზღვრებთან და ლეკეთის ხაზთან განლაგებული საკორდონო საგუშაგოების მონყობა, აგრეთვე, საყარაულოებისა და კოშკურების აგება გომბორის გზაზე და კახეთის იმ სოფლებში, სადაც ყარაულობა ადგილობრივ მცხოვრებლებს აქვთ დაკისრებული. მათი მოვლა-შეკეთების შესახებ შტაბის უფროსი 1 მარტის სპეციალურ მოხსენებაში (№323) ასახელებს თანხას – 13 443 მანეთს ვერცხლით.

თურქეთის ევროპული ნაწილის საზღვართან საკორდონო ყარაულობის შესახებ არსებობს კანონი – სამედიცინო დანესებულებებისა და წესდებების კრებულის (სამოქალაქო ნაწილი) მე-13 ტომის 920-ე მუხლის თანახმად, იქ საკორდონო შენობების აგება გენერალ-გუბერნატორისა და ფინანსთა მინისტრის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. საამისოდ საჭირო თანხას გამოჰყოფს სახელმწიფო ხაზინა, რომელიც ამ შენობა-ნაგებობების სათანადო დონეზე მოვლა-პატრონობის ხარჯსაც თავის თავზე იღებს. სამხედრო ბეგარაში მხოლოდ მათი გათბობა და განათება შედის.

ნატურალურ ბეგარასთან დაკავშირებული ვითარების მიმოხილვის შემდეგ უნდა ითქვას იმ ბოროტმოქმედებათა შე-

სახედაც, რომლებიც თითოეულ საბეგრო გადასახადს ახლავს – ისინი სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებულ საქმეებშია ასახული.

სამოქალაქო მმართველობაში

1. სახაზინო სახლებისა და სადგურებისთვის საჭირო შემოსების მოთხოვნა ხდებოდა განსაზღვრული წესების გარეშე და იმ რაოდენობით, რა რაოდენობასაც თვითნებურად ადგენდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელები, რომლებიც, თავის მხრივ, ანგარიშუვებად განკარგავდნენ სოფლის მცხოვრებთა შესაძლებლობებს.

2. მართალია, იმერეთის ყოფილ საოლქო მმართველთა სამსახურში წესით 4 ქვეითი და 2 ან 3 ცხენოსანი უნდა ყოფილიყო დანიშნული, მაგრამ მათი რაოდენობის გაზრდა მმართველის ნებაზე იყო დამოკიდებული.

3. ცხენები და საზიდრები ეძლეოდათ არა მარტო ერობის ჩინოვნიკებს, არამედ მათთან სამსახურებრივად თუ პიროვნულად დაკავშირებულ სხვა პირებსაც. სამგზავრო ქირის საკითხი მომთხოვნთა კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.

4. მოსახლეობისგან სახაზინო მშენებლობაში დახმარების მოთხოვნა ხდებოდა მკაფიო განსაზღვრებებისა და ყოველგვარი გათანასწორების გარეშე.

5. ბალებში სამუშაოდ იმერეთსა და ახალციხის მაზრაში იმდენი ადამიანი გამოჰყავთ, რამდენსაც სახაზინო მეურნეობის ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ – ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

6. საფოსტო სადგურებისა და ერობის ჩინოვნიკებისთვის სათიბების გამოყოფა ხდებოდა სახაზინო, უმეტესწილად კი კერძო მამულებიდან – ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

7. ადგილობრივი ხელმძღვანელობისთვის ფურაჟით მომარაგება ხდებოდა იმ წესით, რა წესითაც – შემით მომარაგება.

8. სახაზინო ტვირთის გადაზიდვას უმეტესწილად აუნაზღაურებლად ეწეოდნენ გზისპირა სოფლის მცხოვრებნი და, მაშასადამე, ყოველგვარი გათანასწოების გარეშე.

9. საზღვრებთან დაკავშირებული ურთიერთობები და წყალგაყვანილობის მონესრიგება ხდებოდა ადგილობრივ ხელმძღვანელობათა თვითნებური გადაწყვეტილებებით.

10. ლიახვის გადასასვლელების მოვლა-პატრონობა, ეს ერთი უმძიმესი ბეგართაგანი ამ მთის მდინარის ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ გარემომცველ სოფლებს აწვავდა ტვირთად.

11. ერობის ჩინოვნიკების გამასპინძლება ხდებოდა მათივე მოთხოვნით და ამაში მასპინძელს არავითარი საზღაური არ ეძლეოდა. სოფელში ჩინოვნიკის ჩასვლა საგრძნობი ტვირთი იყო სოფლის ამა თუ იმ მცხოვრებისთვის.

სამხედრო უწყებაში

1. ბოროტმოქმედებებს, რომლებიც შეიარაღებული ხალხის განწევას ახლავს, თვლა არა აქვს. ამ ბეგრის მოხდისას საქმის წარმართვა უახლოესი ერობის ჩინოვნიკების, მის განკარგულებაში მყოფი გამყოლებისა და სოფლის მამასახლისების მითითებების საფუძველზე ხდება. ვალდებულების შესრულებისას უფრო შეძლებულის ჩანაცვლება ნაკლებად შეძლებულით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი და ყოველგვარ ხიფათს მოკლებული საქმეა.

2. საზიდრების გამოყვანის ვალდებულება, თუ ამჟამინდელი ვითარება იქნება შენარჩუნებული, დაუძლეველ დაბრკოლებას შეუქმნის მეცხოველეობის განვითარებას. სოფლის მცხოვრები, რომელსაც უღელი ხარი ჰყავს, ყოველ წუთს მზად უნდა იყოს ბრძანებისთვის, შეაბას ეს ხარები და დაუყოვნებლივ გაემგზავროს განუსაზღვრელ მანძილზე და გაურკვეველი დროით. ამ მხრივ განსაკუთრებით უბედურ დღეში გზების გასწვრივ მდებარე სოფლების მცხოვრებნი არიან.

მათ, ვისაც საერთოდ არ გააჩნია პირუტყვი, უწევთ რაიმე გზით თავიდან აიცილონ ყოველგვარი უსიამოვნება, მუქარა, შეურაცხყოფა და, ძალზე ხშირად, დაუმსახურებელი ცემა-ტყეპაც. შეუძლებელია გაკვირვებას არ ინვევდეს ის, რომ ორი წლის განმავლობაში სამხედრო ბეგრის სახით გამოყვანილი საზიდრების რაოდენობა მარტო საქართველო-იმერეთის გუბერნიაში 141 776-ს შეადგენდა.

3. ქალაქებში ბინების განაწილება ხდებოდა არა დადგენილი წესის მიხედვით, არამედ ეძლეოდა იმას, ვინც მოურიდებლად და უცერემონიოდ უფრო მეტ ქრთამს მისცემდა საბინაო საქმის კომისრებს, ან მოქრთამავდა იმას, ვისაც მათგან ბინა არ ჰქონდა გამოსყიდული. ამასთან დაკავშირებით უამრავი საქმე – უმეტესწილად საფუძვლიანი და სერიოზული – ამჟამად საქართველო-იმერეთის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოებში განიხილება. თბილისის საბინაო კომისიის საქმიანობის ერთი შემონმება ხაზინას მნიშვნელოვანი თანხა და დრო დაუჯდა.

4. განცვიფრებას იწვევს ის თვითნებობა და უკანონობა, რომლებიც ბეგრის სახით სათიბებისა და საძოვრების გამოყოფას ახლავს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დიდი დანაკლისი განიცადა რამდენიმე კერძო პირმა, რომლებსაც მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოართვეს; არც იმაზე ვამბობთ რამეს, რომ მდებარეობის დაკავება ყოველგვარი ზომის, ყოველგვარი შეზღუდვის, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე ხდება და ამისგან თვით სახელმწიფო სარგებლის საქმეც ზარალდება. ფერხდება სოფლის მეურნეობის – ამ ძირითადი სახალხო სიმდიდრის – განვითარება. იმის გამო, რომ სახნავი მიწა ცოტაა, არ არსებობს სახნავი მიწის მონაცვლეობისა და თესლბრუნვის სისტემები; უშველებელ ტერიტორიებზეა გადაჭიმული ნაყოფიერი მიწები, რომლებიც სამხედროებისთვის გამოყოფილ სათიბებსა და საძოვრებს უჭირავს. სოფლის მცხოვრებმა ძალაუწებურად მომავალ წელსაც ის მიწა უნდა მოხნას, რომელიც შარშანაც მოხნა და – წელსაც. მხოლოდ უჩვეულოდ ნაყოფიერ მიწას შეუძლია აქ

მინათმოქმედების შენარჩუნება, მართალია, პირველყოფილ მდგომარეობაში, მაგრამ მაინც – შენარჩუნება.

5. საბოსტნე მინების გამოყოფის მხრივაც გარკვეულწილად იგივე ვითარებაა.

6. ჯარები შეშისა თუ სხვა საჭიროებისთვის სათავისოდ ხე-ტყეს თვითონ ჩეხავენ, მაგრამ ისეთი ოდენობით, რომ ყოველგვარი მეთვალყურეობისა და შემონმების არარსებობის გამო საქმე ყიდვა-გაყიდვამდე მიდის. ტყის – ამ მნიშვნელოვანი ქონების – განადგურებისაგან დასაცავად დღემდე არავითარი წესი და ღონისძიება არ არსებობს.

7. მუშახელის განწევასაც შესამჩნევი ბოროტმოქმედებები ახლავს ხაზინისა და თვითონ სოფლის მცხოვრებთა საზარალოდ; გზების მონესრიგება სამუშაო სეზონზე ხდება; ასობით ადამიანი ყოველდღიურად რამდენიმე კვირით სწყდება ოჯახს და იქ, სადაც გასამრჯელოდ დღე-ღამეში 10 კაპიკია (ვერცხლით) დანესებული, მუშახელის მხოლოდ არა უმეტეს მესამედისა იღებს ანაზღაურებას; დანარჩენები იმისთვის, რომ დროზე ადრე გათავისუფლდნენ სამუშაოდან, არა მარტო უარს ამბობენ ანაზღაურებაზე, არამედ ხშირად მზად არიან, ფული იქით გადაიხადონ, მათ კუთვნილ თანხას კი სამუშაოთა მწარმოებლები ან ზედამხედველები ხელზე ინანილებენ. ახალციხის მცხოვრებთა მდგომარეობა ზემოთაა აღწერილი.

8. საკორდონო საგუშაგოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის საქმეში, რაც ამიერკავკასიის მოსახლეობას ბევრად აწევს, იმგვარ ბოროტმოქმედებებს ვაწყდებით, ანგარიშგებისა და კონტროლის არარსებობისას გარდაუვალი რომ ხდება ხოლმე.

26 მარტი 1841.

ამიერკავკასიის მხარის დაყოფისა და სამოქალაქო მმართველობის წესდებულების პროექტი

თავი I მხარის დაყოფა

§ 1

ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველობა იყოფა:

5 გუბერნიად.

ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქად.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის მმართველობად.

§ 2

გუბერნიები:

1. თბილისისა.

2. ქუთაისისა.

3. ერევნისა.

4. შემახისა.

5. დერბენტისა.

თავი II

გუბერნიისა და ცალკეულ მმართველობათა შემადგენლობა

§ 3

თბილისის გუბერნია შედგება:

ა) მაზრებისგან: 1. თბილისისა; 2. გორისა; 3. თელავისა; 4. სიღნაღისა; 5. ელიზავეტპოლისა, და

ბ) მთიელ ხალხთა სპეციალური მმართველობისგან.¹

§ 4

ქუთაისის გუბერნია შედგება:

- ა) მაზრებისგან: 1. ქუთაისისა; 2. შორაპნისა; 3. რაჭისა; 4. ოზურგეთისა; 5. ახალციხისა, და
ბ) საპორტო ქალაქ რედუტ-კალეს მმართველობისგან.²

§ 5

ერევნის გუბერნია შედგება მაზრებისგან:

1. ერევნისა; 2. ნახიჩევანისა; 3. ორდუბადისა; 4. ნოვო-ბაი-აზეთისა და, 5. ალექსანდროპოლისა.

§ 6

შემახის გუბერნია შედგება მაზრებისგან:

1. შემახისა; 2. ნუხისა; 3. შუშისა; 4. ბაქოსი და, 5. ლენქორანისა.

§ 7

დერბენტის გუბერნია შედგება:

- ა) მაზრებისგან: 1. დერბენტისა და ყუბისა და, ბ) [...]³

§ 8

ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედის: ყოფილი საქართველო-იმერეთის გუბერნიის ჭარ-ბელაქნის მაზრა და ყოფილი ელისუს სასულთნო.

§ 9

შავი ზღვის სანაპირო ზოლის შედგენილობა განისაზღვრება ვითარების მიხედვით.

თავი III საერთო დანესებულებები

§ 10

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობა ამიერ-

კავკასიის მხარეში ზოგადად განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

1. სამოქალაქო მმართველობის უფროსი.
2. მთავარმმართველობის საბჭო.
3. სახაზინო მმართველობა.
4. სახელმწიფო ქონების მომწყობი კომისია.
5. საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება.⁴
6. სამშენებლო კომისია.
7. სამკურნალო მმართველობა.

შენიშვნა: შავი ზღვის სანაპირო ზოლის მმართველობა არ ექვემდებარება სამოქალაქო მმართველობის უფროსსა და მთავარმმართველობის საბჭოს.

თავი IV

საგუბერნიო დაწესებულებები

§ 11

თბილისის, ქუთაისის, ერევნისა და შემახის გუბერნიების მმართველობა განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

1. სამხედრო გუბერნატორი – მმართველი სამოქალაქო ნაწილისა.
2. ვიცე-გუბერნატორი.
3. საგუბერნიო მმართველობა.
4. საგუბერნიო სასამართლო.
5. გუბერნიის პროკურორი, ექიმი, არქიტექტორი და მინისტრომელი.
6. სამაზრო მმართველობები.
7. საუბნო ხელმძღვანელობა.
8. საქალაქო პოლიცია.

შენიშვნა: გარდა ამისა, თბილისის გუბერნიას მიეკუთვნება კეთილშობილთა საკრებულო.

§ 12

დერბენტის გუბერნიის მმართველობა ხორციელდება 1846 წლის 14 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

§ 13

ჭარ-ბელაქნის ოლქის მმართველობა ხორციელდება [...]⁵

თავი V

სამხედრო გუბერნატორებისა და ვიცე-გუბერნატორების შესახებ

§ 14

სამხედრო გუბერნატორები მართავენ მათდამი რწმუნებული გუბერნიების ყველა ნაწილს.

§ 15

ისინი გუბერნიის სამხედრო ნაწილში მოქმედებენ იმ უფლებებით, რა უფლებებიც სამხედრო გუბერნატორებს საქალაქო მმართველობაში აქვთ მინიჭებული; – სამოქალაქო ნაწილში კი ისინი მოქმედებენ იმ უფლებებით, რა უფლებებიც სამოქალაქო გუბერნატორებს მთელ ამიერკავკასიის მხარეში აქვთ მინიჭებული.

§ 16

ვიცე-გუბერნატორები წარმოადგენენ სამხედრო გუბერნატორების უშუალო თანამემნეებსა და თანამშრომლებს გუბერნიის სამოქალაქო მმართველობის ყველა ნაწილში.

§ 17

ვიცე-გუბერნატორები სრულად ექვემდებარებიან სამხედრო გუბერნატორებს, ზედმინწევნით ასრულებენ ყველა მათ დავალებას და მოქმედებენ იმ უფლებამოსილების ფარ-

გლებში, რომელიც ზოგადად ვიცე-გუბერნატორებს აქვთ მინიჭებული.

§ 18

სამხედრო გუბერნატორის ავადმყოფობის ან არყოფნის შემთხვევაში ვიცე-გუბერნატორები ასრულებენ გუბერნატორის მოვალეობას გუბერნიის სამოქალაქო ნაწილის მართვა-გამგეობაში.

თავი VI

[საგუბერნიო მმართველობა]

§ 19

ამიერკავკასიის მხარეში თითოეული საგუბერნიო მმართველობა შედგება სამხედრო გუბერნატორის (თავმჯდომარე), ვიცე-გუბერნატორის, ორი მრჩეველისა⁶ და კანცელარიისაგან.

§ 20

გუბერნიის მმართველობის მოქმედებისა და ვალდებულებების ფარგლებში შედის დაქვემდებარებულ საგუბერნიო დანესებულებებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, გარდა სასამართლო დანესებულებების, ფინანსური ნაწილის მართვა-გამგეობისა და საზოგადოებრივი სამზრუნველო დანესებულებისა.

შენიშვნა 1: საქმეებს, რომლებიც საერთო დადგენილებათა საფუძველზე გუბერნატორის კანცელარიაში შედის, განიხილავენ შესაბამისი საგუბერნიო მმართველობები, რომელთა კანცელარიები ამ გზით გუბერნატორის კანცელარიის მაგივრობას სწევენ.

შენიშვნა 2: როცა საქმე ეხება სახაზინო და სახელმწიფო ქონების პალატებთან დაკავშირებულ მოვალეობებს, საჯარო ვაჭრობა და სანარდო სამუშაოები სა-

გუბერნიო მმართველობის მეთვალყურეობით ტარდება ქუთაისში, ერევანში და შემახაში, ხოლო დერბენტში მეთვალყურეობას საგუბერნიო სასამართლო ახორციელებს. რაც შეეხება თბილისს, ასეთ საქმეებში აქ მეთვალყურეობა საფინანსო მმართველობას ეკისრება.

§ 21

წინა პარაგრაფის საფუძველზე ამიერკავკასიის საგუბერნიო მმართველობები თავიანთ მოქმედებებს ახორციელებენ ძალაუფლების იმ ფარგლებში, რომლებიც ზოგადად საგუბერნიო მმართველობებისთვისაა განსაზღვრული, ოღონდ შემდეგი გამონაკლისებით:

1. საგუბერნიო მმართველობები კერძო ქონების ჩამორთმევის შესახებ ხაზინას სარჩელს მხოლოდ იმ პირობით წარუდგენენ, თუ თითოეულ შემთხვევაში ამიერკავკასიის მხარის მთავარხელმძღვანელობისაგან შესაბამისი ნებართვა იქნება მიღებული.

2. სამსახურებრივ ჩინებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც ზოგადი კანონების მიხედვით საგუბერნიო მმართველობებისა და პალატების უფლებამოსილების ფარგლებს განეკუთვნება, წყვეტენ სამხედრო გუბერნატორები, და

3. საგუბერნიო დაწესებულებებთან დაკავშირებული ის საქმეები, რომლებიც კოლეგიალური წესით უნდა გადაწყდეს, ამიერკავკასიის მხარის მმართველობებში წარმოებს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და იმ გამონაკლისების საფუძველზე, რომლებიც 27-ე და შემდგომ პარაგრაფებშია ჩამოთვლილი.

§ 22

საგუბერნიო მმართველობის საქმეები წარმოებს სამხედრო გუბერნატორის მთავარხელმძღვანელობითა და ვიცე-გუბერნატორის უშუალო მეთვალყურეობით; მმართველობის კანცელარია შედგება სამი განყოფილებისაგან, რომელთაგან

ერთს ხელმძღვანელობს ვიცე-გუბერნატორი, დანარჩენ ორს – მრჩევლები.

შენიშვნა 1: განყოფილებების მიხედვით უფლება-მოვალეობათა თანაზომიერ განაწილებას ახორციელებს თვითონ საგუბერნიო მმართველობა და ამტკიცებს ამიერკავკასიის მხარის მთავარხელმძღვანელობა.

შენიშვნა 2: განყოფილების მმართველი მრჩევლის არყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში სამხედრო გუბერნატორი სხვა განყოფილებათა მმართველი მრჩევლებიდან ერთ-ერთს აკისრებს ორივე განყოფილების დროებით მმართველობას ან საქმეებს სამსახურში მყოფ ორ მრჩეველსა და ვიცე-გუბერნატორს შორის ანაწილებს.

§ 23

სამი განყოფილებიდან ერთ-ერთს ეკისრება სამეურნეო საქმეების გაძღოლა.

§ 24

თითოეულ განყოფილებაში ჩინოვნიკისა და მწერლის შესაბამისი შტატებით შედის თითო უფროსი და ორ-ორი უმცროსი მაგიდისუფროსი და, საერთოდ, საგუბერნიო მმართველობას ეკუთვნის:

- ა) საქმეთა მმართველი.
- ბ) მთარგმნელი.
- გ) ეგზეკუტორი, რომელიც იმავდროულად არის ხაზინადარი.
- დ) საერთო ჟურნალისტი.
- ე) საგუბერნიო არქივარიუსი.

შენიშვნა: საგუბერნიო არქიტექტორი, მიწისმზომელი და ექიმი ირიცხებიან საერთო-საგუბერნიო მმართველობაში.

§ 25

სამხედრო გუბერნატორისა და მმართველობის სახსრებს განაგებს ეგზეკუტორ-ხაზინადარი; მას უშუალო ზედამხედველობას უწევს ის მრჩეველი, რომელიც სამეურნეო განყოფილებას ხელმძღვანელობს.

§ 26

საგუბერნიო დანესებულებებისა და მმართველობის ყველა საქმე ინახება მმართველობის არქივში.

§ 27

საერთო-საიმიპერიო წესებისგან განსხვავებით, ამიერკავკასიის საგუბერნიო დანესებულებებში საქმისწარმოება იყოფა ოთხ კატეგორიად: 1. საქმეები, რომელთა გადაწყვეტა დამოკიდებულია განყოფილებათა ხელმძღვანელებზე; 2. საქმეები, რომლებსაც ვიცე-გუბერნატორები წყვეტენ; 3. საქმეები, რომლებსაც პირადად სამხედრო გუბერნატორი წყვეტს, და 4. საქმეები, რომლებიც ექვემდებარება კოლეგიალურ გადაწყვეტას.

§ 28

საქმეები, რომელთა გადაწყვეტა განყოფილებათა ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული:

ა) გათანაბრებული ან რანგით დაბალი საკუთარი თუ სხვა საგუბერნიო დანესებულებებისა და პირების მიმართ მმართველობის მიერ წაყენებული მოთხოვნების შესრულებაზე თვალყურის დევნება (საგუბერნიო მმართველობის შესახებ 1845 წლის 2 იანვრის დებულების 183-ე და 206-ე მუხლების საფუძველზე).

ბ) პასუხები განმეორებით შემოსულ მოთხოვნებზე ან ისეთ საქმეებზე, რომლებიც განმეორებული მოთხოვნის მიღებამდე უკვე შესრულებულია.

გ) მმართველობის კანცელარიასა და არქივში შესული ცნობების შეკრება-მონესრიგება და მოთხოვნის შემთხვევაში სათანადო პასუხის გაცემა.

დ) გადანერა სხვადასხვა სახის დოკუმენტებისა, რომლებიც არ არის მმართველობის სპეციალური განხილვის საგანი.

ე) გარედან მიღებული საპუბლიკაციო მასალის გაგზავნა „ვესტნიკში“ გამოსაქვეყნებლად.⁷

ვ) ცნობების მინოდება შვებულებაში მყოფი დაბალი ჩინის პირთათვის მათი სამხედრო ნაწილის გადაადგილების შესახებ, თუ ისინი რაიმე საქმის გამო გუბერნიის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

ზ) ჯარისკაცთა ცოლებისთვის მათი ქმრების გარდაცვალების შეტყობინება.

§ 29

ვიცე-გუბერნატორმა უფროსი მაგიდისუფროსების მოხსენების საფუძველზე უნდა გასცეს ნებართვა:

ა) „სენატსკიე ვედომოსტისა“ და ამიერკავკასიის მხარისთვის განკუთვნილი ბრძანებულებების დანიშნულებისამებრ დაგზავნაზე.⁸

ბ) დანიშნულებისამებრ პატიმრების გაგზავნაზე, მათთვის კვების ფულისა და ტანისამოსის გაცემაზე.

გ) საგუბერნიო საქმეებთან დაკავშირებული საპუბლიკაციო მასალის „უნყებებში“ გამოსაქვეყნებლად გაგზავნაზე შესაბამისი თანხის თანდართვით.

დ) დაწესებულებებისა და პირებისგან ნებისმიერი სახის ცნობების მიღება-შეკრებაზე.

ე) დაგირავებულ მამულთა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგებაზე.

ვ) მოსამსახურეებისთვის სხვა დაწესებულებათა განწესებებისა და გადანყვეტილებების შეტყობინებაზე.

ზ) გარედან მოთხოვნილი ფულადი ზღვევინებისა თუ გადასახადის ნარჩინებთან დაკავშირებული და საერთოდ ისე-

თი საქმეების შესახებ, რომელთა აღსრულება განხილვას არ საჭიროებს.

§ 30

ყველა სხვა დანარჩენი საქმე, გარდა მომდევნო პარაგრაფში მითითებული საქმეებისა, მოხსენდება ვიცე-გუბერნატორს ან, მისი თანხმობით, მრჩევლებს, სამხედრო გუბერნატორს და აღსრულდება სახელისუფლებო წესით.

§ 31

საქმეები, რომელთა წარმოება უნდა მოხდეს კოლეგიური წესით და გადაწყდეს საგუბერნიო მმართველობის საერთო საკრებულოს მიერ:

1. დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ან ხელქვეითთა საქმეების განხილვა იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება ეჭვი საქმისწარმოებისას კანონიერების, განსჯადობისა და ა. შ. შესახებ.

2. ჩინოვნიკთა გადაცემა სასამართლოსთვის თანამდებობის ბოროტად გამოყენების, დაუდევრობის ან სხვა გადაცდომისთვის.

3. ობოლთა მამულების გაყიდვა.

4. საქმეები, რომლებიც თავისი არსით სასამართლო განხილვას უნდა დაექვემდებაროს, თუმცა სპეციალური დადგენილებით ან სპეციალური განკარგულებით უმაღლესი თანამდებობების პირებს უნდა გადაეცეთ მმართველობაში განსახილველად.

5. საერო ბეგრის ნუსხა.

6. მოსაზრებები ნატურალური ბეგრის გათანაბრებულად გადახდის შესახებ.

7. საქალაქო შემოსავლებისა და გასავლების განრიგის შედგენა.

8. სასულიერო ნოდებიდან ამორიცხულ პირთა საქმეები.

9. სულით ავადმყოფებთან, მუშაობის უნარმოკლებულ

პატიმრებთან, აგრეთვე, სამხედრო განვევას დაქვემდებარებულ პირებთან დაკავშირებული მოწმობები.

10. საჯარო-სააქციო გაყიდვები.

11. მამულების გაყიდვასთან, სანარდო სამუშაოებსა და მიწოდება-მომარაგებასთან დაკავშირებული საჯარო ვაჭრობები.

12. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სახელმწიფო წარმოებასთან დაკავშირებული საქმეები.

13. კერძო პირებსა თუ საზოგადოებებისთვის სახაზინო ან საქალაქო საკუთრების დროებითი სარგებლობისთვის მიკუთვნება ან გადაცემა; – ზოგადად, ხაზინის ინტერესებთან დაკავშირებული საქმეები.

14. სახელმწიფო ქონების გადაცემა ღალისა და იჯარის პირობებით.

15. კერძო საკუთრებაზე ხაზინის უფლებების განხილვა-გამორკვევა; ნებართვა სარჩელების წარდგენაზე და შემდეგ თვითონ ამ სარჩელების წარდგენა.

16. დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ხელქვეითთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების რევიზიის შედეგები.

17. თვითონ მმართველობის ანგარიშები, და

18. ზოგადად ყველა საქმე, თუ სამხედრო გუბერნატორი მმართველობის წევრთა ერთობლივი განხილვის საჭიროებას დაინახავს.

შენიშვნა: მთავარხელმძღვანელობისგან სარჩელის აღძვრაზე ნებართვის მიღების შემდეგ ეს სარჩელი გადაცემა შესაბამის სასამართლო დაწესებულებას. მრჩეველი, რომელიც სამეურნეო ნაწილს განაგებს, მოქმედებს საგუბერნიო-სახაზინო სტრიაფჩებისთვის⁹ დადგენილი წესების საფუძველზე.

§ 32

საგუბერნიო მმართველობის საერთო საკრებულოს სხდომებისთვის ჟურნალები იხსნება იმ ფორმით, რა ფორმაც ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის საბჭოს ჟურნა-

ლებისთვისაა დადგენილი. ჟურნალებს ხელს აწერენ წევრები და ამტკიცებს სამხედრო გუბერნატორი; თუმცა ძალაში შესვლამდე იგი საერთო წესის საფუძველზე უნდა გაისინჯოს საგუბერნიო პროკურორის მიერ.

§ 33

სამხედრო გუბერნატორი საერთო საკრებულოს საქმეებზე თანხმობას ადასტურებს იმით, რომ ჟურნალში შეტანილი თითოეული გადაწყვეტილების ბოლოს საკუთარი ხელით წერს: **ვამტკიცებ**; და თუ საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, მას უფლება ეძლევა: ან საკითხი გადაწყვიტოს საკუთარი შეხედულებისამებრ და შედეგებზე თვითონვე აიღოს პასუხისმგებლობა, ან კიდევ საქმე განსახილველად ამიერკავკასიის მხარის მთავარხელმძღვანელობას წარუდგინოს.

§ 34

ურთიერთობა სამხედრო გუბერნატორსა და საგუბერნიო მმართველობას შორის:

მმართველობის დაწესებულებებისა და პირებისთვის განკუთვნილ წარდგინებებს ხელს აწერენ სამხედრო გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და იმ განყოფილების მრჩეველი, სადაც საქმეა მომზადებული, ხოლო დამონმება ხდება იმავე განყოფილების უფროსი მაგიდისუფროსის მიერ.

თანასწორუფლებიანი დაწესებულებებისა და პირების მიმართ სამხედრო გუბერნატორის წარდგინებებს ხელს აწერს გუბერნატორი და ამონმებს შესაბამისი განყოფილების მრჩეველი.

თანასწორუფლებიანი დაწესებულებებისა და პირების მიმართ მმართველობის, აგრეთვე, სამხედრო გუბერნატორსა და მმართველობას დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და პირთა მიმართ მიწერილობებს ხელს აწერს ვიცე-გუბერნატორი ან შესაბამისი განყოფილების მრჩეველი და ამონმებს უფროსი მაგიდისუფროსი.

სამხედრო გუბერნატორის, ვიცე-გუბერნატორის ან საერთო საკრებულოს მიერ ნებადართულ მიწერილობებში მკაფი-

ოდ უნდა იყოს აღნიშნული, თუ კონკრეტულად რომლის მიერაა ეს მინერილობა ნებადართული.

შენიშვნა: სამხედრო გუბერნატორს არ ეზღუდება, მისდამი დაქვემდებარებული დანესებულებებისა და პირების მიმართ მინერილობები გასცეს საკუთარი სახელით. ამ შემთხვევაში მინერილობას ამონმებს მრჩეველი იმ განყოფილებისა, სადაც ეს მინერილობა მომზადდა.

§ 35

გარდა მითითებული გამონაკლისებისა, საგუბერნიო მმართველობა საქმისწარმოებისას მოქმედებს იმ წესებით, რომლებიც ამიერკავკასიის მხარეში საგუბერნიო დანესებულებათა 1840 წლის 10 აპრილის დებულებითაა განსაზღვრული.

თავი VII

საგუბერნიო სასამართლოების შესახებ

§ 36

მსგავსად ქუთაისისა და დერბენტისა, საგუბერნიო სასამართლო არსდება ერევანშიც. თბილისისა და შემახის დღევანდელი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლო პალატები გადაკეთდება საგუბერნიო სასამართლოებად.

§ 37

თითოეული საგუბერნიო სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, ორი მრჩეველი, ოთხი მსაჯული: ორი თავად-აზნაურთა, ორიც – ვაჭართა ფენებიდან და კანცელარია.

§ 38

საგუბერნიო სასამართლოს დაექვემდებარება გუბერნიის მცხოვრებთა ყველა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმე; – ოღონდ სამოქალაქო საქმეებისა იმ შემთხვევაში,

როცა სარჩელის ფულადი გამოხატულება იწყება 201 მანეთი-დან.

§ 39

ყველა საგუბერნიო მოსამართლე მიეკუთვნება გუბერნიის დაბალ და საშუალო სასამართლო ინსტანციას. ოღონდ თბილისის საგუბერნიო სასამართლო, რომელიც განიხილავს თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის მცხოვრებთა საქმეებს, მიეკუთვნება მხოლოდ საშუალო ინსტანციას.

§ 40

ამის შემდეგ ამიერკავკასიის მხარის საგუბერნიო მოსამართლეები იხელმძღვანელებენ ქუთაისის გუბერნიის მმართველობისთვის 1846 წლის 14 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული დებულების 33-39 პარაგრაფებით.

თავი VIII

გუბერნიის პროკურორების შესახებ

§ 41

გუბერნიის პროკურორებს ეკისრებათ ყველა ის ვალდებულება, რომლებსაც ითვალისწინებს ზოგადი კანონი გუბერნიის პროკურორების შესახებ. თავიანთი ვალდებულებების პრაქტიკული შესრულებისას კი პროკურორები ხელმძღვანელობენ იმ წესებით, რომლებიც ამიერკავკასიის საგუბერნიო პროკურორებისთვის არის დაწესებული.

§ 42

ცნობებს თანხებისა და პატიმრების საქმეების შესახებ გუბერნიის პროკურორები განსაზღვრულ ვადაში უშუალოდ იღებენ საგუბერნიო მმართველობისა და სასამართლოებისაგან.

შენიშვნა: გუბერნიის პროკურორის ავადმყოფობის ან არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს

საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე; ან: თუ რაიმე დაბრკოლება შეიქმნება – საგუბერნიო მმართველობის ან სასამართლოს ერთ-ერთი მრჩეველი, რომელსაც ნიშნავს სამხედრო გუბერნატორი.

თავი IX **სამედიცინო ნაწილის შესახებ**

§ 43

ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველობის სამედიცინო და ფარმაცევტული ნაწილების მართვა-გამგეობა ნებისმიერი მიმართულებით რჩება იმ საფუძვლებზე, რომლებიც „კავკასიის კომიტეტის“¹⁰ 1846 წლის 17 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული დებულებით არის განსაზღვრული.

§ 44

გარდა თბილისისა, თითოეული გუბერნიის სამედიცინო ნაწილის მართვა-გამგეობას ახორციელებენ გუბერნიის მმართველობაში შემავალი საგუბერნიო ექიმები შტატიტ გათვალისწინებულ თანაშემწეებთან ან სამაზრო, ან საქალაქო ექიმებთან ერთად.

§ 45

საგუბერნიო ექიმები ექვემდებარებიან ამიერკავკასიის სამედიცინო გამგეობას, ხოლო სასამართლო მედიცინასთან ან სამედიცინო პოლიციასთან¹¹ დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში – სამხედრო გუბერნატორებსა და სამმართველოებს ზოგადი წესის საფუძველზე. თბილისის გუბერნიაში ამიერკავკასიის სამედიცინო გამგეობას ანაცვლებს გუბერნიის სამედიცინო გამგეობა, ხოლო უკლებლივ ყველა მედიკოსი-ჩინოვნიკი ამ უკანასკნელი გამგეობის მეშვეობით ირიცხება კავკასიისა და მიმდებარე ტერიტორიების

სამოქალაქო-სამედიცინო ნაწილის სასამართლო-საპოლიციო უწყების შემადგენლობაში.

თავი X **ხაზინის შესახებ**

§ 46

ხაზინა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

I. საერთო:

1. ქუთაისისა – ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრისა და უბნისთვის.
2. ერევნისა – ერევნის გუბერნიისთვის მთლიანად, გარდა ალექსანდროპოლის მაზრისა.
3. დერბენტისა – დერბენტის გუბერნიისთვის მთლიანად.
4. ბელაქნისა – ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქისთვის.

II. სამაზრო:

5. თბილისისა.
6. გორისა.
7. თელავ-სიღნაღისა.
8. ელიზავეტპოლისა.
9. ალექსანდროპოლისა.
10. ნუხისა.
11. შემახისა.
12. შუშისა.
13. ბაქოსი.
14. ლენქორანისა.

§ 47

ყველა ხაზინა ზოგადი წესის საფუძველზე ექვემდებარება სამხედრო გუბერნატორებს, შედის ამიერკავკასიის ფინანსური სამმართველოს გამგებლობაში და ფულის მიმოქცევის საკითხებში განკარგულებებს იღებს როგორც ამ სამმართველოს, ისე სახაზინო პალატისგან.

§ 48

საქმისწარმოების, ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობის წესი, რომელიც ამიერკავკასიის სამაზრო ხაზინისთვის არის დადგენილი, ყველა ზემოხსენებული ხაზინისთვის რჩება უცვლელი, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც წინამდებარე დებულების მომდევნო პარაგრაფითაა ნებადართული.

§ 49

ყოველთვიური მოწმობების გაცემა წარმოებს:

1. **საერთო ხაზინისთვის:** ვიცე-გუბერნატორის, საგუბერნიო მმართველობის სამეურნეო ნაწილის მრჩევლის, საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და ქალაქის კომენდანტის ან პოლიცმაისტერის მიერ გუბერნიის პროკურორის თანხმობით.

2. **სამაზრო ხაზინისთვის:**

ა) თბილისის, გორისა და თელავ-სიღნაღის – დღეს არსებულ საფუძველზე.

ბ) დანარჩენებისთვის – მაზრის უფროსის, მისი ერთ-ერთი თანაშემწის, სამაზრო მმართველობის ასესორის, სამაზრო ქალაქის პოლიციის უფროსის – სადაც ეს თანამდებობა არსებობს, უბნის ბოქაულის ან საქალაქო კომისრისა და ადგილობრივი სამხედრო ხელმძღვანელის მიერ.

თავი XI

სამაზრო და საუბნო მმართველობებისა და საქალაქო პოლიციის შესახებ

§ 50

სამაზრო მმართველობას შეადგენს:

1. მაზრის უფროსი. 2. მისი თანაშემწე. 3. კანცელარიის ჩიროგნიკთა და მწერალთა საშტატო განრიგით გათვალისწინებული რაოდენობა. – იმ სამაზრო მმართველობებში კი, სადაც არ არის სასამართლო დანესებულებები, ემატება ასესორი.

§ 51

უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სამაზრო მმართველობები ხელმძღვანელობენ ქუთაისის გუბერნიისთვის დაწესებული 1846 წლის 14 დეკემბრის დებულების 52-54 პარაგრაფებით.

§ 52

აღნიშნული დებულების 54-ე პარაგრაფის III პუნქტი სამეურვეო საქმეზე მეთვალყურეობის შესახებ არ ეხება თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრების უფროსებს, რადგანაც ამ მაზრებში სამეურვეო დაწესებულებები სამაზრო სასამართლოებთან არსებობს.

§ 53

საერთო წესებიდან ამიერკავკასიის სამაზრო მმართველობებისთვის დაწესებული კერძო გამონაკლისებია:

1. მაზრების უფროსებს, რომელთა სამსახურებრივი ადგილსამყოფელი საგუბერნიო ქალაქებია, არა აქვთ გავლენა საქალაქო პოლიციაზე, არ ამონმებენ ხაზინას და არ გასცემენ სამგზავრო მოწმობების ნებართვას.

2. იმ ქალაქებსა თუ დაბებში, სადაც არ არის სასამართლო დაწესებულებები, სამაზრო მმართველობას სამაზრო სასამართლოს უფლებებით ეკისრება: ბატონყმურ ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტის აღსრულება და გამოცხადება-დასწრების უზრუნველყოფა.

3. ამას გარდა, სამაზრო მმართველობას ნება ეძლევა განიხილოს სამოქალაქო საქმეები, რომელთა თანხობრივი გამოხატულება იქნება არა უმეტეს 300 მანეთისა ვერცხლით, ხოლო დერბენტის გუბერნიისთვის განკუთვნილი 1846 წლის 14 დეკემბრის დებულების მე-16 პარაგრაფის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს ისეთ საქმეებზე, რომელთა ფულადი გამოხატულება თავსდება 200 მანეთის (ვერცხლით) ფარგლებში.

შენიშვნა: თბილისის გუბერნიის მთის ხალხთა მმართველობაში ამჟამად არსებული წესები არ იცვლება.

და 4. იქ, სადაც არ არსებობს ხაზინა, მოსახლეობას უხერხულობა რომ არ შეექმნას, სამაზრო მმართველობას ნება ეძლევა ხაზინის სასარგებლოდ თვითონ აკრიფოს გადასახადები, საერობო ბეგარა, ნებისმიერი სახის მოსაკრებელი და ეს უნდა მოხდეს იმ ტაბელების საფუძველზე, რომელსაც სამაზრო მმართველობა ყოველი წლის დასაწყისში მიიღებს უახლოესი ხაზინიდან; ამასთანავე, გასცეს მოსახლეობისგან მიღებული ფულის დამადასტურებელი ქვითრები. ეს მოსაკრებლები, სამაზრო და საუბნო მმართველობების მიერ განეული მომსახურების საფასურის გამორიცხვით, მაზრის უფროსებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ შესაბამის ხაზინას, ამასთან, აწარმოონ თანხების შესახებ ყოველთვიურად განერილი მონმობები და ანგარიში წარუდგინონ საგუბერნიო მმართველობასა და საგუბერნიო ხაზინას. ხსენებული მონმობების შედგენა ეკისრებათ: მაზრის უფროსს, მის ერთ-ერთ თანაშემწეს, სამაზრო მმართველობის ასესორს, ადგილობრივ სამხედრო ხელმძღვანელს (სადაც ამგვარი თანამდებობა არსებობს), სამაზრო ქალაქის პოლიციის უფროსს, უბნის ბოქაულს ან ქალაქის კომისარს.

§ 54

რაც შეეხება მაზრის უფროსებისა და უბნის უფროსების თანაშემწეებს, მათთვის ქუთაისის გუბერნიისთვის განკუთვნილი 1846 წლის 14 დეკემბრის დებულების №№56-61 პარაგრაფები ვრცელდება მთელს ამიერკავკასიაში, გარდა დერბენტის გუბერნიისა, სადაც მმართველობა ხორციელდება იმავე 14 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული დებულების საფუძველზე და ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქისა, რომელიც საგანგებო მმართველობას ექვემდებარება.

შენიშვნა: უბნის უფროსები არ აწარმოებენ არავითარ ფორმალურ მიმონერას – სამართალს აღასრულებენ ზეპირად და თვალყურს ადევნებენ წესრიგსა და სიმშვიდეს. ისინი ცალკეული შემთხვევების შესახებ მხოლოდ მოახსენებენ მაზრის უფროსებს. წმინდა წყლის აღმასრულებელ საქმეებზე, როგორებიცაა: ძებნა, უდავო გადახდევინება-ზღვევინების აღსრულება და სხვ., მათ ურთიერთობა აქვთ მხოლოდ მაზრის უფროსებთან და მეზობელი უბნების უფროსებთან საკუთარ ან მოსაზღვრე მაზრაში.

§ 55

საქალაქო პოლიციაში, გარდა რედუტ-კალესა და ქუთაისისა, რომელთაც სპეციალური საშტატო შემადგენლობა აქვთ განსაზღვრული, საქალაქო მეურნეობის ახალი წესების შემოღებამდე რჩება ამჟამად არსებული მდგომარეობა.

შენიშვნა: რედუტ-კალეს მართვა-გამგეობა მოსაკრებლების შეგროვების, აქტების აღსრულებისა და საქმეების გადანყვეტის მხრივ მოქმედებს წინამდებარე დებულების 53-ე პარაგრაფის (სამაზრო მმართველობის შესახებ) მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე და ექვემდებარება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორსა და საგუბერნიო მმართველობას. ამჟამად შეგროვებული საქალაქო მოსაკრებლები ამიერკავკასიაში საქალაქო მეურნეობის ახლებურად მოწყობამდე ინახება ცალკე და მათი განკარგვა ხდება კავკასიის მეფისნაცვლის შეხედულებისამებრ პორტისა და ქალაქის სასარგებლოდ.

თავი XII

სამაზრო სასამართლოების შესახებ

§ 56

სამაზრო სასამართლოები გარკვეული შემადგენლობითი ცვლილებებით რჩება მხოლოდ თბილისში, გორსა და თელავში.

თავი XIV¹²
სარენაოების შესახებ

§ 57

ამიერკავკასიაში მარილისა და ნავთობის რენვის მართვა-გამგეობა, სანამ ახალი მოსაზრებები შემუშავდება, რჩება უცვლელი და ექვემდებარება ამიერკავკასიის საფინანსო სამმართველოს.

თავი XV
სამშენებლო კომისიის შესახებ

§ 58

თბილისის სამშენებლო კომისიას უფლებამოსილება ენიჭება მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით.

თავი XVI
დეპუტატთა საკრებულოს შესახებ

§ 59

თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო გარკვეულ დრომდე იარსებებს მხოლოდ თბილისში და თბილისის გუბერნიისთვის.

[1849]

მიხეილ შარვაშიძის საქმე

ფ რ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ

მიმდინარე ომთან დაკავშირებულ გარემოებათა გამო ჩვენს ჯარს აფხაზეთი უნდა დაეტოვებინა.¹ ხელისუფლების მოთხოვნით **ისინი მშვიდობიანად გამოიყვანა თვითონ აფხაზეთის მთავარმა**,^{*} რომელმაც დაახლოებით ერთი წელი სამეგრელოში იცხოვრა და შემდეგ თურქების მიერ უკვე დაკავებულ საკუთარ სამფლობელოში დაბრუნდა.

იქ მის მოქმედებებსა და განზრახვებებში ზოგმა ჩვენ წინააღმდეგ ჩადენილი ღალატი დაინახა, ზოგმა – სურვილი, ემოქმედა ჩვენს სასარგებლოდ.

მე დამევალა უკიდურესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში შემეკრიბა ცნობები იმის გამოსარკვევად, გვიღალატა თუ არა მიხეილ შარვაშიძემ. ერთი მხრივ, რუსული ხელისუფლების ღირსების საკითხი ზოგადად და, განსაკუთრებით – კავკასიაში, ხოლო, მეორე მხრივ, სულგრძელობასთან შეზავებული მკაცრი მართლმსაჯულება, როგორც სახელისუფლებო მმართველობის კონკრეტული გამოვლინება, საჭირო

^{*} აქ და ქვემოთ: დახრილი და გამუქებული სიტყვები, ფრაზები, წინადადებები თუ აბზაცები ხელნაწერში მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვის მიერ წითელი ფანქრითაა გახაზული, რაც იმას ნიშნავს, რომ მეფისნაცვალმა დიმიტრი ივანოვს არ ეთანხმება [1855 წლის 29 ოქტომბერს ნ. მურავიოვი ვ. ბებუთოვს სწერს – მოხსენებაში ის ადგილები, სადაც ავტორს არ ვეთანხმები, წითელი ფანქრით მაქვს გახაზული და ამასთან დაკავშირებით თქვენს მოსაზრებებს/დასკვნებს ველოდებიო (ჩხეტია 1963: 229)].

ცნობების შეკრების დროს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მავალდებულებდა.

ამიტომაც მნიშვნელობას იმდენად იმას კი არ ვანიჭებდი, საკითხის გარშემო ხალხში გავრცელებული რაც შეიძლება მეტი გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი აზრისთვის მომეყარა თავი, არამედ შემექმნა მთავარ შარვაშიძის, როგორც პიროვნების, პორტრეტი და წარმომედგინა მის გარშემო შექმნილი ვითარება, გავცნობოდი გარემოებებს, რომლებმაც ჩამოაყალიბა მისი ხასიათი და ქცევის განმსაზღვრელი თავისებურებები. ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი სხვა გარემოებებზე უკეთ დამეხმარებოდა მისი ამჟამინდელი მდგომარეობის ახსნა-გამორკვევაში.

სათქმელად არაფერია იმაზე ადვილი, რომ შარვაშიძემ გვიღალატა.

მაგრამ მასზე დიდი ამაგი ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებას, რომლის წყალობითაც ფლობდა მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის სამთავროს და ხალხის თვალშიც მისი სახელი რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის ჩინითა და გენერალ-ადიუტანტის მაღალი ხარისხით იყო განდიდებული. შესაბამისად, მისი მხრიდან გამოვლენილი ეს საშინელი უმადურობა მტერს საბაბს მისცემდა ეთქვა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო, მთავარ შარვაშიძისათვის რუსეთის მიმართ ერთგულების გრძნობა ჩაენერგა.

მიხეილ შარვაშიძეს ჩვენთან აკავშირებდა ერთმორწმუნეობა და ნათესაობა ისეთ ოჯახებთან, რომელთა ჩვენდამი ერთგულება ეჭვს არ იწვევდა. ამდენად, რჯულისა და ოჯახური წმინდა კავშირებისაგან განდგომაში მის დადანაშაულებას, ადვილი შესაძლებელია, წარმოეშვა საყვედურები, რომ ჩვენ მივიყვანეთ მთავარი შარვაშიძე იმ მდგომარეობამდე, რამაც საშინელი დანაშაული ჩაადენინა.

ხოლო თუ მას ღალატი არ ჩაუდენია, მაშინ უდანაშაულო ადამიანისთვის ბრალის შენამებით დავაზიანებთ როგორც ჩვენს, ისე მართლმსაჯულების ინტერესებს.

რუსული მმართველობის დამყარებამდე მთელი აფხაზეთი ამ შავიზღვისპირა მხარეში განთქმული ქელემ-ბეი შარვაშიძის ხელში იყო. იგი მოკლულ იქნა საკუთარი შვილის, ასლან-ბეის, მიერ და ამის შემდეგ სამფლობელო ქელემ-ბეის სამმა კანონიერმა შვილმა გაიყო: მამის მკვლელმა ასლან-ბეიმ, ჰასან-ბეიმ და ბათალ-ბეიმ. როცა ჩვენი ხელისუფლება იქ შევიდა, აფხაზეთს სამი დაპირისპირებული პარტია გლეჯდა და ნენავდა. ქელემ-ბეის კიდევ ერთი ძე დარჩა – საფარ-ბეი, მართალია, უკანონოდ შობილი, მაგრამ მამისა და ხალხის სიყვარულით გარემოსილი. ხელისუფლებამ ყურადღება მიაპყრო სწორედ საფარ-ბეის, როგორც შინაური შფოთისა და არეულობის აღკვეთის საშუალებას. აფხაზეთის მფლობელი გახდა საფარ-ბეის შვილი დიმიტრი, რომელიც პაყთა კორპუსში იყო აღზრდილი, მაგრამ დიმიტრი მალე მოკვდა და მემკვიდრედ მისი ძმა, მიხეილი, გამოცხადდა.

როგორც ერთის, ისე მეორისათვის სამთავრო ძალაუფლების განმტკიცებისათვის საკმარისი არ იყო დადიანებთან ნათესაობა (მათი დედა სამეგრელოს მთავრის და იყო²), საჭირო იყო აგრეთვე ჩვენი ხელისუფლების ენერგიული ჩარევა, რაც კიდევაც მოხდა და აფხაზეთი ერთ ხელში მოექცა. ქელემ-ბეის პირდაპირი და კანონიერი შთამომავლობა – თავადი დიმიტრი, ჰასან-ბეის ძე, რომელიც ამჟამად პოლკოვნიკის ჩინით ჩვენს სამსახურშია და თავადი გრიგოლი, ბათალ-ბეის ძე, გვარდიის როტმისტრი – დამოუკიდებელი თავადებიდან მთავარ მიხეილის ხელქვეითებად იქცნენ. მამის მკვლელ ასლან-ბეის შტო თურქეთში იქნა განდევნილი და იქვე დარჩა.

შეუძლებელია მიხეილს არ ეგრძნო, რომ ძალაუფლებას, რომელსაც ფლობდა, არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი და ეს ძალაუფლება მას რუსეთისგან ჰქონდა მინიჭებული. და ისიც ემსახურებოდა რუსეთს, უნდა ითქვას, ემსახურებოდა ღირსეულად. ამას ისიც ადასტურებს, რომ თავისი სამფლობელოდან გამოუსვლელად მან ახალგაზრდულ ასაკშივე (იგი

არც ახლაა 40-45 წელზე მეტი ხნისა) გენერალ-ლეიტენანტი-სა და გენერალ-ადიუტანტის ხარისხებს მიაღწია. 1830-იან წლებში მას მცირეოდენი ხარჯის გასტუმრებაც კი უჭირდა, ბოლო დროს კი შემოსავალი ისე გაეზარდა, რომ მისი ოჯახი აქ სხვებთან შედარებით ყველაზე შეძლებულად ითვლება, ხოლო ამჟამად მიმდინარე ომის განმავლობაში მას არ გასჭირვებია, ჩვენი მეომრებისთვის ყოველწლიურად **შენირა** საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა – 20 000 მანეთი ვერცხლით.

ქონებრივად იგი იდგა იმაზე მაღლა, ვიდრე აქაურთა შორის ოდესმე ვინმე მდგარა; მორალურად შეეძლო დაყრდნობოდა წინამორბედთაგან შედარებით ყველაზე დიდ მხარდაჭერას – რუსი მონარქის მფარველობას. ჩვენი ხელისუფლებისგან მას არ მოჰკლებია ყურადღება და არც ისეთი რამ ყოფილა, რუსული ხელისუფლების მიმართ მისი იმდენად დიდი უკმაყოფილება გამოეწვია, აფხაზეთის მფლობელის შეგნებაში რუსეთის მიმართ ვალდებულებით დამოკიდებულებას რომ შეარყევდა.

ორმხრივი უკმაყოფილების ერთადერთი მიზეზი იყო მისი უკანასკნელი დაქორწინება ამჟამინდელ მეუღლესთან. ჩვეულებრივ ვითარებაში ეს ქორწინება დანაშაულად ჩაითვლებოდა და, მართლაც, ან განსვენებული გენერალ-ადიუტანტი, ბარონი როზენი, იმ დროს საქართველოს მთავარმართებელი, ამ ამბავს მკაცრი სასჯელის ღირს დანაშაულად მიიჩნევდა. თუმცა საქმის უფრო დაწყნარებული განსჯა მიხეილ შარვაშიძის საქციელს სხვა კუთხით წარმოაჩინდა. პირველად იგი დაქორწინებული იყო ჩერქეზი დიდგვაროვნის ქალიშვილზე, მაგრამ უშვილობის გამო ცოლი, მათივე წესის მიხედვით, მშობლების სახლს დაუბრუნა.³ ამის შემდეგ მიხეილ შარვაშიძემ მეორედ იქორწინა – ამჯერად თავადის ასულ მენიკ დადიანზე. სიძის პირველი სტუმრობა სიმამრის ოჯახში ამ უკანასკნელის მიერ თავისი ნოდებრივი მდგომარეობისათვის – აქაურთა წარმოდგენით – არასაკადრისად იქნა მიჩნეული.

ამიტომ ჯვრისწერისთანავე ურთიერთობა დამოყვრებულ ოჯახებს შორის სერიოზულ გაუგებრობებსა და ურთიერთ-შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ეს ყველაფერი ორ თუ სამ წელიწადს გაგრძელდა.⁴ მიხეილ შარვაშიძე შექმნილი ვითარების კეთილ ბოლოს ვერ ხედავდა. მას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, არ შეეძლო, არ დამორჩილებოდა საკუთარ ვნებებს, განსაკუთრებით – გამკლავებოდა შვილების ყოლის დაუძლეველ სურვილს, რათა აფხაზეთის მთავრის უფლება მემკვიდრეთა არსებობითაც განემტკიცებინა.

მთავარმა თავისი სიყმანვილითა და დაახლოებულ პირთა რჩევა-დარიგებების მეშვეობითაც სინდისი ადვილად დაიმშვიდა იმის შეგნებით, რომ პირველი ცოლი მშობლიურ ოჯახს ადათის სრული დაცვით დაუბრუნა; მეორე ცოლთან კი, მართალია, ჯვარდანერილი იყო, მაგრამ რეალურად მასთან ცოლქმრული ცხოვრება არ აკავშირებდა. ამიტომაც მიხეილ შარვაშიძემ, რომლის სული ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანული რწმენით საკმარისად გამსჭვალული, ჩათვალა: მისთვის, როგორც ხალხის მეთაურისთვის, მაინცადამაინც სერიოზულ გადაცდომად არ უნდა ჩათვლილიყო, თუ მესამე ცოლს შეირთავდა – ქალწულს, რომელიც შემთხვევით ნახა მამიდამისის, კესარია შარვაშიძის, ოჯახში, და რომლის სილამაზემაც ახალგაზრდა და მგზნებარე მთავარი მაშინვე მოაჯადოვა. ეს ქალწული იყო მთავრის ამჟამინდელი მეუღლე ალექსანდრა, ისიც დადიანის, ოლონდ სხვა დადიანის, გიორგის, ასული.

მიუხედავად ბარონ როზენის მწვავე ბრალდებებისა, ქორწინება მაინც შედგა; შედგა იგი საეკლესიო წესითა და წოდების შესაფერისად, იმპერატორის მიერ დამტკიცდა კიდევაც და ალექსანდრას, როგორც აფხაზეთის მთავრის მეუღლეს, ნმ. ეკატერინეს ორდენი ებოძა. ამით მიხეილ შარვაშიძემ, ნაცვლად სასჯელისა, ხელმწიფე-იმპერატორის წყალობა მიიღო და ამან კიდევ უფრო განამტკიცა მისი ოჯახური ბედ-

ნიერება. მაღლიერების გრძნობა მთავრის მხრიდან არ შეიძლება გულწრფელი არ ყოფილიყო – ყველა ნიშნით მთავარს ალექსანდრა დადიანი როგორც მეუღლე, როგორც მისი ხუთი შვილის დედა,⁵ როგორც ულამაზესი, ჭკვიანი, ღვთისმოსავი და მოსიყვარულე ქალი, ამჟამადაც მხურვალედ უყვარს.

ასე რომ, ჩვენს ხელისუფლებასთან მთავრის ეს ერთადერთი უთანხმოება მაღლიერებაში გადაიზარდა და, შესაბამისად, აღარ დარჩა არც ერთი მიზეზი, რომელსაც მისი მხრიდან შეიძლება გამოეწვია მოამაგე ხელისუფლების, ფიცისა და რწმენის წინააღმდეგ მიმართული ასეთი მძიმე დანაშაული.

ამის შემდეგ საჭიროა, ვცადოთ მისი ხასიათის თავისებურებებში „შეღწევა“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის ზნეობრივი ვინაობა იმ საზოგადოების მორალური პრინციპებისა და ზნე-ჩვეულებების საფუძველზე ყალიბდება, რომლის ნაწილიც თვითონაა, თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე მნიშვნელობას იმ გარემოსი, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს, პირდაპირ უნდა ვთქვათ – მთავარ მიხეილ შარვაშიძის პიროვნული ვინაობა გარკვეული იდუმალებითაა აღბეჭდილი.

მთელი აფხაზეთი უღრანი ტყეებითაა დაფარული და მოსახლეობაც ამ ხშირ და ოდინდელ ტყეთა ჩრდილობებშია მიმოზნეული. იქაურ მკვიდრთა ურთიერთობის წესი განსხვავებულია იმ კავშირებისაგან, ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაში რომ ვხვდებით ხოლმე. ისინი აქ როგორღაც განმარტობაში იმყოფებიან და თვითგადარჩენა თუ ოჯახისა და ქონების გადარჩენაც ამგვარ სიმარტოვეში, სხვათაგან დამოუკიდებლად უწევთ. ასეთი მოსახლეობის მეთაურს არაფრით არ შეუძლია არ იყოს ენერგიული, ძალაუფლების მოყვარული, შიშის მომგვრელი და, რაც მთავარია, მეტად თუ ნაკლებად იდუმალებით მოსილი. სწორედ ასეთად

წარმოგვიდგენენ მთავარ მიხეილ შარვაშიძეს მტრებიცა და მოყვრებიც.*

ახლა ვნახოთ, რა განაპირობებს მთავარ მიხეილ შარვაშიძის ამჟამინდელ მდგომარეობას.

მიხეილ შარვაშიძის ძალაუფლებას იმ წუთიდან მოელო ბოლო, როცა მან ჩვენი ხელისუფლების ბოლო მოთხოვნით თავისი სამფლობელოდან გამოიყვანა რუსეთის ჯარები, რომელნიც, თავის მხრივ, მის დაუხმარებლად იქიდან გამოსვლას ვერ შეძლებდნენ.**

ამის შემდეგ იგი კერძო პირად იქცა სამეგრელოში. აქ, იმ სახლეულობის სამფლობელოში, რომელთანაც მის ოჯახს განწვევებული მტრობა ჰქონდა,⁶ მთავარი მიხეილ შარვაშიძე ხელისუფლებისაგან ელოდებოდა ისეთ მითითებას, რომელიც უმოქმედობის მდგომარეობიდან გამოიყვანდა. საგანგებოდ მოპოვებული ცნობების მიხედვით, რომლებზეც ქვემოთ მოგიხსნებოდა,

* **აბზაცის გასწვრივ (აშიაზე) ნ. მურავიოვის მინაწერი:** „არც ისე სწორი შეხედულებაა. აფხაზეთის დაბლობში ხალხი საკმაოდ მჭიდროდ ცხოვრობს. მართალია, არ გვხვდება დიდი სოფლები გადაბმული სახლებით, როგორც ეს ევროპაშია, მაგრამ მოსახლეობას თუნდაც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად დაშორებული სახლები რომც ედგას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი ველურ ბუნებასა და უღრან ტყეებში ცხოვრობენ. უფრო მეტიც, აფხაზეთი ლამაზად და მომხიბვლელად გამოიყურება: ეს არის ქვეყანა მარადიული სიმწვანისა, რომელსაც ვერც შემოდგომა ახუნებს და ვერც – ზამთარი; ქვეყანა, სადაც იანვარში მაღალ ხეებზე შემოხვეული ვარდი ყვავის, სადაც იშვიათი ჯიშის ტყეები ვენახებზეა გადაბმული და სადაც ყოველგვარი მცენარეულობა ხარობს. ასეთ აყვავებულ ბუნებას არ შეუძლია ადამიანს სიველურე ჩაუნერგოს. საქმე ისაა, რომ აფხაზეთში საზოგადოება ჯერ კიდევ ფეოდალურ წყობაში იმყოფება. სწორედ ამაში და არა უმშვენიერესი ბუნების პირობებში უნდა გვეცადა აფხაზთა ხასიათის ამოხსნა და გარკვევა.“

თ. ჯ.

** **უკანასკნელი სიტყვების გასწვრივ (აშიაზე) ნ. მურავიოვის მინაწერი:** „არ არის სამართლიანი: მათ შეეძლოთ გამოსვლა, თუმცა, შესაძლოა, სისხლის ღვრის ფასად. აფხაზები ქურდები, მტაცებლები, საზიზღარი ლაჩრები არიან და ამიტომაც ვერ შეძლებდნენ ჩვენს შეჩერებას.“

თ. ჯ.

დასტურდება – მთავარი მიხეილ შარვაშიძე, როგორც რუსი გენერალ-ლეიტენანტი და გენერალ-ადიუტანტი, ან განსვენებულ გენერალ რეადისა და თავად ბარიატინსკისგან ელოდა, რომ ჯარს მისცემდნენ. ასეთ შემთხვევაში მას იმედი ჰქონდა, მტრისგან როგორც საკუთარ სამფლობელოს, ისე შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე სანაპიროსაც დაიცავდა. ამით იგი იმედოვნებდა, რომ აფხაზეთში, რომლის ფარგლებსაც მისი სურვილები არ სცდებოდა, ხალხის პატივისცემასაც მოიპოვებდა და უმაღლესი ხელისუფლების მადლიერებასაც დაიმსახურებდა.

სამეგრელოს მმართველი დედოფლისთვის⁷ თავის სამფლობელოში მიხეილ შარვაშიძის ყოფნა მეტისმეტად უსიამოვნო იყო და, როგორც დედოფალმა თავისი პირით მითხრა, ეს მიხეილმაც იცოდა. მიუხედავად ამისა, მიხეილ შარვაშიძემ ჩვენი ხელისუფლებისაგან რაიმე განწესების მოლოდინში თავისი სიმამრის, გიორგი დადიანის, ოჯახში თითქმის ერთი წელიწადი იცხოვრა.

მისი ძალაუფლებისმოყვარეობა კი იმ წუთიდან დაიბრუნა, როცა ხელისუფლებამ სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში განლაგებული ჯარების მეთაურად დანიშნა გენერალ-მაიორი, თავადი მუხრანსკი, რომელსაც, თავის მხრივ, მიხეილ შარვაშიძისადმი მტრულად განწყობილ სამეგრელოს მფლობელთან ახლო ნათესაობა აკავშირებდა.*⁸

* **აზნაცის გასწვრივ (აშიაზე) ნ. მურავიოვის მინაწერი:** „აქ გამოტოვებულია სამეგრელოს მთავრის დაჯილდოება სახელმწიფო მმართველობაში სამურზაყანოს გადაცემის გამო, სამეგრელოს მთავრისთვის სოფლების, დიდი და პატარა კოკის, მიკუთვნება და, დასასრულ, მთავრის მიერ 1845 წელს აფხაზეთში დაწყებული გარდაქმნები, რომლებსაც მან თავი იმის გამო დაანება, რომ ჩვენი მხარდაჭერა ვერ იგრძნო. სამურზაყანოს გამო თ-დი დავით დადიანი ფულით რომ დააჯილდოვეს, ამანაც შეურაცხყო თ-დი მიხეილ შარვაშიძე, რომელიც სამურზაყანოს აფხაზეთის ნაწილად მიიჩნევდა. იგი, როგორც შარვაშიძეთა საგვარეულოს მეთაური, სამეგრელოსთვის დიდი და პატარა კოკის მიერთებამ გააღიზიანა, რამდენადაც მანამდე ამ სოფლებს სამურზაყანოელი შარვაშიძეები ფლობდნენ. ამ უკანასკნელთა მხრიდან კი გაისმა საყვედურები, რომ მიხეილ შარვაშიძეს იმდენი ფასიც კი არ ჰქონდა ხელისუფლების

მიხეილ შარვაშიძის შფოთვა და მოუსვენრობა იმის გამოც იზრდებოდა, რომ უსაქმოდ და უსაგნოდ ცხოვრობდა სიმამრთან ზედ სამურზაყანოს საზღვარზე; იმ სამურზაყანოსი, ვინრო ზოლად რომ მდებარეობს სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის და მთავარი იქიდან ყოველდღიურად იღებდა უსიამოვნო ცნობებს მიტოვებულ სამფლობელოზე, რომლის შენარჩუნებაც თავისი შთამომავლობისთვის სურდა. ამას გარდა, ხედავდა, თუ რა უჯდებოდა სიმამრს შენახვა მისი და მისი ამაღლისა, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე ასეულ ადამიანს აღწევდა. არადა, ადგილობრივი წესების მიხედვით, სიმამრს ამ საქმეში დახმარებასაც ვერ შეჰკადრებდა. გიორგი დადიანის ოჯახში ჰომეროსული ნადიმი, წესისამებრ, ყოველდღიურად იმართებოდა და მიხეილის სინდისს ესეც მძიმე ტვირთად აწვა.

ყოველივე ამისთვის წერტილი რომ დაესვა და აფხაზეთისგანაც უფრო შორს ყოფილიყო, შარვაშიძემ, როგორც ამბობენ, ითხოვა – ომის დამთავრებამდე გამოეყოთ მისთვის **სა-**

თვალში, რომ თავისი საგვარეულოს ინტერესები დაეცვა, ხოლო უყურადღებობამ მისი გარდაქმნების მიმართ კიდევ უფრო გაზარდა აფხაზეთის მთავრის უკმაყოფილება ჩვენ წინააღმდეგ. მე თვითონ ვარ მოწმე მიხეილ შარვაშიძის საუბრისა შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსთან, გენერალ-ადიუტანტ ბუდბერგთან, როცა მთავარმა თავისი უკმაყოფილება მწვავე ფორმით გამოხატა. საქმე ეხებოდა გადასახლებას იმ რამდენიმე აფხაზი თავადისა და აზნაურისა, რომლებიც ახალი წესწყობილების შემოღებას ეწინააღმდეგებოდნენ. მაგრამ მაშინ ბუდბერგს, რომელსაც არეულობის შიში ჰქონდა, არ გამოუხატავს მზადყოფნა, გაეთვალისწინებინა მიხეილ შარვაშიძის თხოვნა. ამის პასუხად მიხეილ შარვაშიძემ მოულოდნელად ითხოვა, ჩამოერთვათ მისთვის მთავრის ტიტული, მიეღოთ აფხაზეთი სახელმწიფო გამგებლობაში, ხოლო პირადად მისთვის ჯილდოს სახით მიეცათ ადგილ-მამული და გლეხობა რუსეთში ან იმერეთში. ბუდბერგის მტკიცებაზე, რომ შეუძლებელია აფხაზეთი მთავრის მმართველობის გარეშე დარჩეს, თ-დმა მიხეილ შარვაშიძემ უპასუხა: «მთავრის უფლებები ძალზე დამცრობილია. მთავრობა შემოიძლია, ოღონდ არა – რუსულ მმართველობას დაქვემდებარებულს. მე არ მინდა ვიყო ყაჩაღი დანიელ-ბეგი“. ამის შემდეგ მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ სიტყვიერად თუ წერილობით არაერთხელ წამოაყენა საკითხი – გადაეყენებინათ აფხაზეთის მთავრის თანამდებობიდან“.

თ. ჯ.

ხაზინო მამული რაჭაში, მაგრამ ამაზე უარი მიიღო. შემდეგ ქუთაისში გადასვლის სურვილი გამოთქვა და **საცხოვრებელ სახლზე ურიგებოდა კიდევაც სამოქალაქო მრჩეველს, თავად თუმანოვს**, რომელსაც სთავაზობდა წელიწადში 2 000 მანეთს ვერცხლით. მაგრამ თუმანოვი თვითონ ცხოვრობს იმ სახლში და ამიტომ გაქირავებაზე უარი განაცხადა, შესაფერისი სახლი კი ქუთაისში სხვა ვერ მოიძებნა. სამურზაყანოსა და აფხაზეთიდან შორს წასვლა მას ისედაც უმძიმდა: მამაა და ვაჟიშვილი ერთგან უნდა დაეტოვებინა, ორი ქალიშვილი კი – სხვაგან, რადგანაც გარკვეულ ასაკამდე გამზრდელებისგან ქალიშვილების მოშორება თვითონ ამ გამზრდელებისთვის უკიდურესად შეურაცხმყოფელი იქნებოდა. ხელისუფლების მიმართ თხოვნა სხვა ადგილას გადაყვანის შესახებ მას იმიტომაც უჭირდა, რომ ვერ მოსწყდებოდა იმ მოვალეობას, რის გამოც მართებლობისგან შემწეობას იღებდა და რომლის გარეშეც **ახლანდელი გაზრდილი ხარჯის პირობებში მას არსებობა არ შეეძლო, შემწეობის მიღება კი არაკეთილსინდისიერ საქციელად მიაჩნდა**. სიმამრის ოჯახში მცხოვრები მიხეილ შარვაშიძე ყოველივე ამან ღრმად დააფიქრა და მომავლის უპერსპექტივობის მწარე განცდამდე მიიყვანა.

საქმეს კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანება შესძინა იმან, რომ **არც ცოლს, არც სიმამრს, რომლის მიმართ მთავარი მამაშვილური სიყვარულითაა გამსჭვალული, წარმოდგენაც არ ჰქონდათ – ვფიქრობ, არც ახლა აქვთ – იმ მიზეზთა შესახებ, რომლებმაც მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთში დაბრუნება გადაწყვეტინა**.

თუკი ჩემ მიერ შეკრებილი ცნობები ზუსტია და ხსენებული მიზეზების შესახებ ასე თუ ისე წარმოდგენას იძლევა, ყველაფერს ხელსაყრელ შემთხვევებს უნდა ვუმადლოდე.

ბუნებრივია, რომ მიხეილ შარვაშიძე – ენერგიული, ძალაუფლებისმოყვარე, იდუმალებით მოსილი – დიდხანს ვერ დარჩებოდა იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც გიორგი დადიანთან იმყოფებოდა. აქედან კი მას სამი გამოსავალი ჰქონდა:

1. მთავარხელმძღვანელობისთვის სამხედრო თანამდებობა ეთხოვა და პირდაპირ მის სამსახურში ჩამდგარიყო.

2. ლალატის გზას დასდგომოდა და თურქეთის ხელისუფლებისადმი დამორჩილებისა და ჩვენთან დაპირისპირების მიზნით აფხაზეთში დაბრუნებულიყო.

3. აფხაზეთში ფარული და საიდუმლო ზრახვებით დაბრუნებულიყო და იქ რუსეთის სასარგებლოდ ემოქმედა.

პირველი გზა მისთვის მოუხერხებელი იყო: **სამხედრო სამსახური, განსაკუთრებით, გენერლის ჩინით, ზოგიერთ დაბრკოლებას ქმნიდა – უკიდურეს შემთხვევაში, სპეციალურ მომზადებასა და ჩვევებს მოითხოვდა, რაც მას არ გააჩნდა.**

იმთავითვე ნათელი და ცხადი იყო, რომ იგი ვერც მეორე გზას დაადგებოდა: ლალატი ადამიანში იწვევს მძვინვარებას იმის მიმართ, ვისაც უღალატა. მიხეილ შარვაშიძე კი არათუ გამძვინვარებული იყო ჩვენზე, პირიქით, არცთუ ხელგამლილი და კიდევ უფრო ნაკლებად – მფლანგველი, ჩვენს მეომრებს, ჩვენს საქმეს ახლანდელ ვითარებაში ყოველწლიურად **დაახლოებით 20 ათას მანეთს (ვერცხლით)** სწირავდა. ამას გარდა, მან თავისი ცოლ-შვილი სამზრუნველოდ და საპატრონოდ დაუტოვა **თ-დ გიორგი დადიანს, რომლის ერთგულება რუსეთისადმი იოტისოდენა ეჭვსაც კი არ იწვევს.**⁹ და, დასასრულ, აფხაზეთში ჩასვლიდან დღემდე მიხეილ შარვაშიძეს არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც, თვით თ-დ მუხრანსკის აღიარებითაც კი, ჩვენ მიმართ მის არაკეთილგანწყობას გამოამჟღავნებდა.

უნდა ითქვას, რომ მესამე იყო ერთადერთი გზა, რომელსაც თავისი ხასიათისა და სულიერი მდგომარეობის მიხედვით იგი უნდა დასდგომოდა.

მიხეილ შარვაშიძეს საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა მოვალეობაზე; წარმოდგენა, რომელიც თითოეულ აფხაზს იძულებულიყოფს, მკაფიოდ განსაზღვრულ მორალურ წრეში იმოძრაოს. ერთი მხრივ, რუსეთისთვის განსაკუთრებული და საგანგებო მნიშვნელობის დახმარების სურვილი, ხოლო, მეორე მხრივ, ის გარემო, რომელშიც იგი გაიზარდა და დავაჟკაცდა, მიხეილ

შარვაშიძეს აიძულებდა, დაძაბულ და გასაიდუმლოებულ პირობებში ემოქმედა, რათა საკუთარი თავისთვის საფრთხეები აეცილებინა; საფრთხის შემცველ ვითარებაში ყოფნა კი მას არ უყვარს ზოგადად. სწორედ ეს იყო ის გზა, რომლის მეშვეობითაც იგი იმოქმედებდა კიდეც და ძალაუფლების წყურვილსაც ისე მოიკლავდა, რომ ეს ყველაფერი მადლიერების გრძნობასთან ყოფილიყო შეზავებული. მადლიერების განცდა კი მას შეუძლებელია არ ჰქონოდა იმ ხელმწიფის მიმართ, რომელმაც იგი აქცია იმად, რასაც ამჟამად წარმოადგენს და რომელი ხელმწიფისგანაც მას არც წყალობის სიუხვე მოჰკლებია.

შარვაშიძე მართლაც დგას დიდი და რეალური პირადული საფრთხის წინაშე. მასზე უკვე აიღეს ეჭვი, რომ აგრძელებს ჩვენთან კავშირს. ისიც უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, აქ დარჩენილ მის მტრებს საკმარისი საშუალებები მოეპოვებათ, ხსენებული ეჭვი კიდეც უფრო გააღრმავონ. ამიტომაც ჩვენთან კავშირის დროს შარვაშიძე უკიდურესი სიფრთხილით უნდა მოიქცეს. ყოველ შემთხვევაში, მოვლენათა განვითარება მალევე გამოავლენს, რომელ გზას ადგას იგი.

ხელისუფლებამ რუსული მომთმენლობით უნდა იხელმძღვანელოს, დაელოდოს ვითარების გარკვევას და არ გამოაცხადოს გენერალ-ადიუტანტი შარვაშიძე ხელმწიფის მოლატედ. ამგვარი უმძიმესი დანაშაულის დაბრალების საფუძველს **არც არსებული ვითარება იძლევა და არც – ჩემ მიერ მოპოვებული ცნობები.**

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ვფიქრობ, აუცილებელია, რათა მშვიდ გარემოში მოხდეს განსჯა-განხილვა ჩემ მიერ მოპოვებული ცნობებისა, რომლებსაც აქ იმ თანამიმდევრობით გადმოვცემ, რა თანამიმდევრობითაც მაქვს მოპოვებული.

* * *

მიხეილ შარვაშიძის დაბრუნება აფხაზეთში ისეთი მნიშვნელობის მოვლენაა, რომ მის შესახებ მთელ ქუთაისის გუ-

ბერნიაში დღემდე ლაპარაკობენ. ყველგან – იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ვისთანაც რამეზე სიტყვა დამიძრავს, ყველა მაშინვე მიხეილ შარვაშიძის თემაზე გადადიოდა და, თანაც, მე თვითონ ამ თემის არც წამოწევა დამჭირვებია და არც მასში აქტიური მონაწილეობა, გარდა აფხაზეთის მთავრის მეუღლესთან საუბრისა.

საჭიროდ მიმაჩნია აქვე ისიც დავსძინო, რომ ამ მხარეში ჩემი ჩამოსვლის ნამდვილი მიზანი მხოლოდ სამი პირისთვისაა ცნობილი: გურიის რაზმის მეთაურისთვის – გენერალ-მაიორ მუხრანსკისთვის, რომლისთვისაც ეს, როგორც სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების **იქაური წარმომადგენლისთვის**, ისედაც უნდა გამემჟღავნებინა; მთავრის მეუღლე **ალექსანდრასა და მისი მამის – თ-დ გიორგი დადიანისთვის**, რომელთანაც ალექსანდრა ცხოვრობს თავის უფროს შვილთან – მთავრის მემკვიდრე გიორგისთან, აგრეთვე, უფროს ქალიშვილთან ერთად.¹⁰

თბილისიდან 11 სექტემბერს გამგზავრებული, ქუთაისში მომდევნო დღეს ჩავედი. გავჩერდი ნათესავეებთან, რომელთა ვინრო წრეში გაიმართა საუბარი იქაურ ამბებზე და ეს საუბარი მყისვე ჩვენთვის საინტერესო თემაში გადაიზარდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ შემდეგი ინფორმაცია მომცა:

„შარვაშიძე აფხაზეთში მთავარსარდლის სურვილით დაბრუნდა¹¹ – მან გამოიყვანა აფხაზეთიდან ჩვენი ჯარი, რომელიც მთავრის დახმარების გარეშე იქიდან ვერ გამოვიდოდა. შემდეგ ჩავიდა თბილისში; ჯერ იქ, ხოლო შემდეგ ზუგდიდში შეხვდა მეფისნაცვალს და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა აფხაზეთში. ცოლი და შვილები ჩვენთან – ე. ი. თავის სიმამრთან – დატოვა. გამგზავრების წინ სამურზაყანოს ბლალჩინს, დეკანოზ დავით მაჭავარიანს, დაავალა – სანამ უკან არ დაბრუნდებოდა, ეკლესიიდან არანაირი ნივთი და მორთულობა არ გამოეტანა. მიხეილ შარვაშიძეს ფულის შეგროვება უფრო უყვარს, ვიდრე – ფანტვა. მიუხედავად ამისა, მან რუსი მეომრების სასარგებლოდ შესწირა: მთელი სარგო, რომელსაც

ხაზინიდან იღებს, იჯარის გადასახადი, ჯამაგირი, პენსია, მთლიანობაში 20 000 მანეთზე მეტი (ვერცხლით) წელიწადში და ეს ყველაფერი ომის დასრულებამდე უნდა გაგრძელდეს. ამის შესახებ ქუთაისის ხაზინამ უკვე მიიღო შესაბამისი მითითება და ფულს დანიშნულებისამებრ გზავნის. გულში ღალატით რომ ედოს და ამის თვალთმაქცურად დაფარვასაც რომ ცდილობდეს, მთავარი მისთვის ასეთი მნიშვნელობის შემოსავალს შეწირულებისთვის კი არ გაიღებდა, არამედ, უკიდურეს შემთხვევაში, მისი მიღების უფლებას ცოლს დაუტოვებდა და დარწმუნებულიც იქნებოდა – ხელისუფლება არ იქნებოდა ამის წინააღმდეგი, მით უფრო, რომ ალექსანდრა დადიანი ჩვენს საზღვრებში რჩება. ცოტა ხნის წინ გერმანემ, აფხაზეთის ეპისკოპოსმა, რომელიც ხონში ცხოვრობს, მიხეილ შარვაშიძისგან მიიღო წერილი იმის შესახებ, რომ იგი, თანახმად ჩვეულებისა, სამურზაყანოში სანადიროდ ემზადება. თავადის ასული მენიკ დადიანი, მთავრის ყოფილი ცოლი, ამჟამად იმყოფება ქუთაისში, სადაც რამდენიმე დღით ჩამოვიდა. ქუთაისშივე იმყოფებიან პოლკოვნიკი, თავადი დიმიტრი და გვარდიის როტმისტრი გრიგოლ შარვაშიძეები“.

განზრახული მაქვს, ვისარგებლო პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით და გავიცნო თავადის ასული მენიკი – მიხეილის დაუძინებელი მტერი – და მისი მოსაზრებები მოვისმინო; იმავე მიზნით მსურს შევხვდე მამა მაჭავარიანს.¹² დიმიტრი და გრიგოლ შარვაშიძეებს პირადად ვიცნობ. ამათგან პირველს დიდი ხანია მიხეილის მიმართ მტრული დამოკიდებულება აქვს, მეორე კი ჩამოშორდა მთავარს მას შემდეგ, რაც მასთან ერთად გაემგზავრა აფხაზეთში და უკან მარტო დაბრუნდა.¹³ ერთთანაც და მეორესთანაც შეხვედრა მეორე დღესვე მქონდა დაგეგმილი. მაგრამ ჩემი განზრახულებებიდან არც ერთს არ ეწერა ახდენა, რამდენადაც, როგორც ქვემოთ მოგახსენებთ, მეორე დღეს ქუთაისიდან სასწრაფოდ მომინია წასვლა, ხოლო როცა უკან დავბრუნდი, ქუთაისში არც ერთი არ დამხვდა.

თავადის ასულ მენიკისა მხოლოდ გაცნობა მოვასწარი წასვლის წინ და იქვე დავპირდი, რომ ვეახლებოდი გორდში, სადაც იგი სამეგრელოს მმართველ დედოფალთან ცხოვრობს.

დეკანოზ მაჭავარიანს ვერსად გადავანყდი: ქუთაისში ჩემი ჩასვლის წინ იგი ზუგდიდისკენ გაემშურა, როცა ზუგდიდში ჩავედი, მარტვილის გზას ადგა, ხოლო როცა მარტვილში მოვხვდი, უკან, ზუგდიდში, იყო გამგზავრებული.

13 სექტემბრის დილას ქუთაისში მითხრეს, რომ იმ დღეს გუბერნიის მმართველობას პოლკოვნიკი კოლიუბაკინი ჩაიბარებდა. ოფიციალური ვიზიტისთვის დაუყოვნებლივ მისკენ გავემშურე და, ჩემი მივლინების ნამდვილი მიზანი რომ დამეფარა, წარვუდგინე ქალაქი, რომლის მიხედვითაც, დავალებული მქონდა შემეკრიბა ცნობები იმერეთში მცხოვრები მეგრელი და აფხაზი თავად-აზნაურების პიროვნული უფლებების შესახებ, აგრეთვე, იმერლებისა და მეგრელების მიერ ერთმანეთს შორის გაფორმებულ თამასუქებთან დაკავშირებითაც.

კოლიუბაკინთან დამხვდა წარდგომის მიზნით მისული რამდენიმე ჩინოვნიკი და მათთან გასაუბრებამ ბუნებრივად მიგვიყვანა შარვაშიძის თემასთან.

ამ საუბრიდან გავიგე:

„შარვაშიძემ იცის, რომ თავის ამჟამინდელ მდგომარეობას ჩვენს მთავრობას უნდა უმადლოდეს, მაგრამ შფოთვითა და, ამასთანავე, ჭოჭმანით შეპყრობილი, ადვილი შესაძლებელია, გაუაზრებელ გზას დაადგეს. თუმცა მოვლენათა განვითარება მას იძულებულს გახდის, თავისი მოქმედებებით ესა თუ ის პოზიცია მკაფიოდ გამოამჟღავნოს. მას არ უყვარს, როცა ხიფათი ემუქრება და ხიფათისთვის თავის არიდების მიზნით შეიძლება მოულოდნელი რამ ჩაიდინოს. ისიც უნდა ითქვას, რომ მის ნებისმიერ მოქმედებას მეტ-ნაკლები იდუმალების ბეჭედი აზის. ამასთანავე, არც მისი კეთილი გრძნობებისა და სალი გონების უარყოფა შეიძლება. თურქების შესახებ მისი შეხედულება შეგვიძლია შევაფასოთ იმ სიტყვებით, რომლებიც

მან ნიგოითისა თუ ჩოლოქის ბრძოლების შემდეგ დათა გურიელს უთხრა: „ძვირფასო დათა! ერთ რამეს გეტყვი: საცოდავი ისაა, ვინც თურქებს თავს ატყუებინებს“. არსებობს ვარაუდები მიხეილის სასარგებლოდაც და საწინააღმდეგოდაც, თუმცა გადანყვეტილებები მოვლენათა განვითარებაზე დამოკიდებული. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად შეიძლება იქცეს მისი მომავალი შეხვედრა ომერ-ფაშასთან. პირველი საქმე, რომელიც მიხეილს აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ უნდა გაეკეთებინა, ის იყო, რომ ხალხი ერთსულოვან მოქმედებებსა და მთავრის განკარგულებების შესრულებაზე დაეფიცებინა. საზოგადოდ, აფხაზებს რუსები ურჩევნიათ თურქებს“.

ჩემი ვიზიტის დასასრულს პოლკ. კოლიუბაკინს ვაცნობე, რომ მაქვს წერილი თ-დ მუხრანსკისთვის ხელიდან ხელში გადასაცემად და ვკითხე, სად შეიძლებოდა წერილის ადრესატის ნახვა. აღმოჩნდა: თ-დი მუხრანსკი ამჟამად ორპირში, ანუ ცხენისწყლისპირას,¹⁴ იმყოფება და, თუ დროზე არ გავეშურები, შესაძლოა, ველარც ჩავუსწრო და თუ ვერ ჩავუსწარი, შესაძლოა, ვერც ის გავიგო, სად წავიდა.

თ-დი მუხრანსკის ნახვა აუცილებლად მჭირდებოდა და მჭირდებოდა იმისთვისაც, რომ ქუთაისში ჩემ ჩასვლას სხვადასხვა მიზეზით ხსნიდნენ და მით უფრო უხერხული იქნებოდა, მხარის მმართველი გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩენილიყო. შესაბამისად, დაუყოვნებლივ, შუადღის 4 საათზე, წავედი თ-დ მუხრანსკისთან და ამიტომაც, როგორც ზემოთ ითქვა, თავადის ასულ მენიკის მხოლოდ გაცნობა მოვასწარი.

თ-დ მუხრანსკისთან ჩავედი მეორე დღეს, 14 რიცხვში, დილის 10 საათზე. მან წაიკითხა შტაბის უფროსის ქაღალდი, რომლითაც იგი ადრესატს ჩემთვის დახმარების განევას სთხოვდა. წაიკითხა აგრეთვე ვ. ი. ბებუთოვის წერილი და მკითხა, თუ რა იყო ჩემი იქ ყოფნის ნამდვილი მიზანი.

თ-დ შარვაშიძის აფხაზეთში დაბრუნების თაობაზე მუხრანსკის აზრი ჩემთვის ცნობილი იყო და ამიტომ ვუპასუხე – ხელისუფლებას აქვს მიზეზი, თავი შეიკავოს აფხაზეთის

მთავრის მოღალატედ გამოცხადებისაგან. დავალებული მაქვს, შევძლო მთავრის ოჯახის წევრებთან შეხვედრა და შეძლებისდაგვარად მოვიპოვო ისეთი სანდო ცნობები, რომლებზე დაყრდნობითაც ხელისუფლებამ, შესაძლოა, გადაწყვეტილება მიიღოს-მეთქი.

თ-დი მუხრანსკი დაინტერესდა, თუ რა საშუალებებით შევძლებდი მთავრის ოჯახის წევრებთან გულახდილ საუბარს, მაგრამ, მოისმინა რა ჩემგან მიკიბულ-მოკიბული პასუხი, რომ ყველაფერი გარემოებებზე იქნება დამოკიდებული და სხვ., გადაწყვიტა, თ-დ შარვაშიძის საქციელის შესახებ საკუთარი შეხედულება გაეზიარებინა:

„სამეგრელოში სტუმრად ყოფნისას შარვაშიძე ცდილობდა, მოეპოვებინა გავლენა იქაურ ხალხში. იგი ვარაუდობდა, რომ ძველი წესის მიხედვით, ადგილობრივი თავადაზნაურობა მის გარშემო მოიყრიდა თავს. ამასობაში ხელისუფლებისგან მიიღებდა ჯარს, რაც ხალხში მის სახელს განადიდებდა, მოქმედების ფართო ასპარეზიც მიეცემოდა და თურქთა წინააღმდეგ გამოჩენილი საგმირო საქმეებით სახელსაც მოიხვეჭდა. მაგრამ მიღებულ იქნა სათანადო ზომები, რომ ხალხს მის გარშემო თავი არ მოეყარა, ხელისუფლებამ არც ჯარი მისცა იმიტომ, რომ იმაზე გაცილებით მეტს ითხოვდა, ვიდრე, როგორც გაირკვა, მხარის დაცვისთვის იყო საჭირო. ასე იქცა იგი კერძო პირად, არსებითად – არაფრად. ამასთანავე, ჩვენ აფხაზეთშიც ვფხიზლობდით. საქმე ისე მოეწყო, რომ სოხუმში მყოფმა თურქულმა მმართველობამ აფხაზეთის ის ნაწილი, რომელიც დიმიტრი შარვაშიძეს ეკუთვნოდა, მისი ჩვენდამი ერთგულების გამო სახაზინოდ გამოაცხადა. სხვა ნაწილი, რომელიც გრიგოლ შარვაშიძეს ეკუთვნოდა, გადასცა აფხაზეთში დარჩენილ მის ძმებს – გიდის და მაჟარას, რომლებიც ნებაყოფლობით დაემორჩილნენ თურქეთის მმართველობას. და საერთოდ, იქ მიღებული და მხარდაჭერილია აზრი, რომ აფხაზეთი ერთ სამფლობელოს კი არ წარმოადგენს, რომელზედაც მხოლოდ მიხილს ექნება უფლება, არამედ – სამ

განცალკევებულ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამფლობელოს, რომლებიც ეკუთვნით დიმიტრის, მიხეილსა და გრიგოლს. ამ ამბავმა, ცხადია, მიაღწია მიხეილამდე. როცა ამ უკანასკნელმა დაინახა, რომ აქ არაფერს წარმოადგენს, იქ კი სამფლობელოს კარგავს, დაბრუნდა აფხაზეთში და დანებდა თურქებს. თუმცა დარწმუნებით რაიმეს თქმა მაინც არ შეიძლება, სანამ ჩვენ წინააღმდეგ რამე არ მოუმოქმედებია და სანამ ოჯახი აქ ჰყავს დატოვებული – იქიდან ცოლს მოსწერა, მასთან ჩასულიყო, შემდეგ კი მოსწერა, ადგილიდან არ დაძრულიყო, ვიდრე მისგანვე არ მიიღებდა საგანგებო და სარწმუნო შეტყობინებას, რომ ნამდვილად თვითონ ინვევდა. ყოველ შემთხვევაში, – დასძინა თ-დმა მუხრანსკიმ, – ჩემთვის, როგორც ჯარის მეთაურისთვის, სასურველი იქნება, **რაც შეიძლება მალე გავიგო, როგორ მოვექცე მიხეილს**, როგორც ერთგულს, თუ როგორც მოღალატეს და ვიმოქმედო მის წინააღმდეგ“.

ვინაიდან თ-დ მუხრანსკის ნათქვამი არსებითად შეკითხვის ხასიათისა იყო, მე გამოვთქვი აზრი, რომ საქმის გარკვევამდე აჯობებს, საკითხი კითხვის ნიშნითვე დავტოვოთ და ისე ვიმოქმედოთ, არც მხარი დავუჭიროთ და არც დავუპირისპირდეთ-მეთქი.

რაკი თ-დ მუხრანსკის, როგორც მხარის მთავარ სამხედრო და სამოქალაქო უფროსს, ჩემი საიდუმლო გავანდე, მისთვის უკვე მომავალი გეგმებიც უნდა გამეცნო. მან მიჩნია, რომ გავმგზავრებულიყავი საჯავახოში, იქ მესადილა ან ღამე გამეთია თ-დ მიხეილ ერისთავთან, იქიდან ჩავსულიყავი აკეთში, სადაც იმ დროისთვის თვითონაც იქნებოდა და იქ მოგვეფიქრებინა სამომავლო გეგმები, შემდეგ დავბრუნებულიყავით ორპირში, იქიდან სამეგრელოს მმართველ დედოფალთან ერთად წავსულიყავით სამეგრელოში, შემდეგ კი გზა ისე გამეგრძელებინა, რომ უკან დაბრუნებისას შევხვედროდი მას ზუგდიდში ან სენაკში, ან სორტაიოანეში,¹⁵ ან კიდევ სადმე სხვაგან, სადაც იგი იმ დროისთვის იქნებოდა.

საკამათოდ არ გამიხდია, მაგრამ გეგმას მთლიანობაში ვერ მოვიწონებდი. მიხეილ ერისთავთან შევლა მეტად სასარგებლო იქნებოდა: იგი ჭკვიანი და გულწრფელი ადამიანია, აქაური საქმეები მისთვის მეტ-ნაკლებად კარგად არის ცნობილი. პირადად მასთან ჩინებული ნათესაური ურთიერთობა მაქვს (მისმა ღვიძლმა დამ, ან განსვენებულმა ელისაბედ გურიელმა, აქაური ადათის მიხედვითა და ჩვენი ეკლესიის მიერ საგანგებოდ დადგენილი წეს-ჩვეულების დაცვით, მიშვილა 1837 წელს. ამიტომაც მიხეილ ერისთავი ჩემთვის ღვიძლ ბიძად ჩათვლება). ეს ყველაფერი თავდები იყო იმისა, რომ იგი გულწრფელად მომიყვებოდა ყველაფერს, რაც შარვაშიძის შესახებ იცოდა. თვითონ შარვაშიძესთან მას ახლო ურთიერთობა აქვს და, შესაბამისად, პირადადაც დაინტერესებულია მისი ბედით.

რაც შეეხება ამის მერე გზის გაგრძელებას, პირიქით, სანამ მიხეილ შარვაშიძის მეუღლეს არ შევხვდებოდი, თ-დ მუხრანსკისთან ერთად აქეთ-იქით სიარული და, განსაკუთრებით, სამეგრელოს მმართველთან შეხვედრა მიზანშეუწონლად მიმაჩნდა. ეს მთავრის მეუღლე შარვაშიძის, ისევე, როგორც მამამისის, თ-დ გიორგი დადიანის, ჩემ მიმართ ნდობას შეასუსტებდა. ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავრო ოჯახებს ერთმანეთთან ცივი – შეიძლება ითქვას, მტრულიც კი – ურთიერთობა აქვთ; აფხაზეთის სამთავრო ოჯახი არც თ-დ მუხრანსკის მიიჩნევს თავის კეთილმოსურნედ, რადგანაც მუხრანსკი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ახლო ნათესავია. რაც მთავარია, გიორგი დადიანსა და სამეგრელოს დედოფალს შორის ძლიერი უკმაყოფილებაა ჩამოვარდნილი.

ჩემთვის აუცილებელი იყო, ალექსანდრა დადიანისა და მამამისის თვალში ვყოფილიყავი ადამიანი, რომელიც სავსებით თავისუფალია სამეგრელოს სამთავრო ოჯახის გავლენისგან. ამის შესახებ საკუთარი მოსაზრების თ-დ მუხრანსკისთვის გაზიარება საჭიროდ არ ჩავთვალე.

14 სექტემბერს, შუადღის 2 საათზე, ორპირიდან გურიაში გავემგზავრე. მომდევნო დღეს გურიაში ისედაც უნდა წავსულიყავი, მაგრამ, მიხეილ ერისთავთან მეტი დრო რომ დამეყო, გზას იმ დღესვე დავადექი და 15 სექტემბერი ერისთავთან გავატარე.

როცა საუბარი მიხეილ შარვაშიძეზე ჩამოვარდა, მიხეილ ერისთავს ვუთხარი, რომ ჩემი საქმე არ არის არც მთავრის აფხაზეთში დაბრუნების მიზეზთა გამორკვევა და არც მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება. მაგრამ, ვინაიდან ვიცი მათი ურთიერთობის შესახებ, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ვისურვებდი დაწვრილებით მცოდნოდა მიხეილ შარვაშიძესთან დაკავშირებული გარემოებები, რათა, თუ მიხეილს მართლაც უსაფუძვლოდ სწამებენ ლალატს, თ-დ ვასილ იოსების ძესთან¹⁶ შეხვედრისას სხვათა შორის მისთვის ეს ამბავიც მომეხსენებინა.

მომყავს მიხეილ ერისთავის სიტყვები:

„შარვაშიძეს ბევრი მტერი ჰყავს და მათ შეუძლიათ, მისი ბოლო საქციელი გაყალბებულად წარმოადგინონ, მაგრამ რამდენადაც მე მას ვიცნობ – და დიდი ხანია, კარგად ვიცნობ – გულში ლალატი არ გაუვლია. რასაკვირველია, სულში ვერავის ჩახედავ, მაგრამ მე ამ საქმეს ისე ვუყურებ, როგორც სხვა, მიუკერძოებელი, ადამიანები უყურებენ. ასე და ამგვარად: მიხეილ შარვაშიძე მთელი თავისი მდგომარეობითა და სარჩო-საბადებლით რუსეთის ხელისუფლებისგანაა დავალებული. რომ არა რუსეთის ხელისუფლება, ვერასოდეს ექნებოდა ის, რაც აქვს. ამის შესახებ არაერთხელ თვითონაც უთქვამს. ვერც ვერავინ იტყვის – თავისი ერთგულება საქმით არ დაუმტკიცებიაო. იგი ბეჯითად ეწეოდა მნიშვნელოვან სამსახურს. აქაური ხელისუფლებისგან ზოგჯერ გულისტკივილიც მიუღია, მაგრამ მოუთმენია და საყვედური არასოდეს წამოსცდენია. მის ბოლოდროინდელ დამსახურებებს ყველა აღიარებს. რუსული ჯარი აფხაზეთში ვერ დარჩებოდა. მან ჯარი ისე უსაფრთხოდ გამოიყვანა, როგორც საკუთარი ახლობლები გამოჰყავთ

ხოლმე და **მის გარეშე ჯარი ვერც გამოვიდოდა** საგრძნობი მსხვერპლის გარეშე. თვითონაც მათთან ერთად გამოვიდა და თავისი სამფლობელო ბედის ანაბარა დატოვა. ამასთანავე, იგი ზოგ რამეს კი არ კარგავდა, არამედ კარგავდა ყველაფერს, რაც მისთვის, როგორც მთავრისთვის, ძვირფასი იყო. იმედი ჰქონდა, რომ აქ თავისი კეთილისმყოფელი ხელმწიფის წყალობით ცხოვრების ახალ ასპარეზს იპოვიდა, მაგრამ ხელთ არაფერი შერჩა – არც არაფერი უბოძეს, არც არაფერი ანდეს, რაც კი მისი ჩინისა და წოდების შესაფერი იქნებოდა. ისლა დარჩა, მხარეთმცოდნე ნოლილიყო, ესვა და ეჭამა; ეჭამა სხვისი პური, სხვის ქერქვეშ დაეძინა – რაც გინდა თქვი და გიორგი დადიანის პური და გიორგი დადიანის ქერი მისთვის სხვისი პური და სხვისი ქერი იყო. ასეთი მდგომარეობა ისეთ ადამიანში, როგორც მიხილ შარვაშიძეა, გაუსაძლის სევდასა და ნალველს აღძრავს. უმოქმედობა მისთვის სიკვდილის ტოლფასია. ამასობაში სამფლობელოს საქმეც უკან და უკან მიდიოდა. იქ ისეთებმა წამოყვეს თავი, მანამდე მის ქუსლქვეშ რომ არსებობდნენ. გაჩნდნენ პარტიები და მას, ზედ საზღვარზე მყოფს, თითქმის რეალურად ესმოდა აწენილი ვითარებითა და ათასგვარი მზაკვრობით დატანჯული თავისი ხალხის შემზარავი გმინვა. მას უსათუოდ უნდა გასჩენოდა განცდა, რომ აქ იგი სავსებით უსარგებლოა რუსეთის სამსახურისთვის, იქ კი თავისი მოშლილი უფლებების აღდგენაც შეეძლო და – მტრის მოგერიებით რუსეთსაც სამსახურს გაუწევდა. **არა მგონია ვცოდავდე, თუ ვიტყვი, რომ მე თვითონაც გამიჩნდებოდა ასეთი აზრიცა და ასეთი მიზანიც. მოდიოთ, ადამიანურად ვთქვათ: თქვენ იცავთ ჩემს სახლსა და ჩემს უსაფრთხოებას, მაგრამ გარეშე მტრისაგან თვითონ ჩავარდით განსაცდელში და ჩამომეცალეთ. ნუთუ ღალატში ვიქნები დადანაშაულებული, თუ უსაფრთხო ადგილას ვაგიყვანთ და ამის შემდეგ შინ დავბრუნდები?** რაც არ უნდა იყოს, იგი აფხაზეთში დაბრუნდა. ჩერქეზები სოხუმის მუშირის დაძახილზე¹⁷ სამეგრელოში შემოსაჭრელად ყოველი მხრიდან შეიკრიბნენ. თითქოს ამაზე

უკეთესი რა უნდა ენატრა შარვაშიძეს – მოლაღატესა და სამეგრელოს მტერს? მაგრამ შარვაშიძე სხვაგვარად მოიქცა: ვინაიდან, იქაური აღზრდიდან გამომდინარე, ჩერქეზთა შორის სახელი და პირადი კავშირები ჰქონდა,¹⁸ მან მოასწრო უაღრესად გავლენიან პირებთან მოლაპარაკება და თავმოყრილი ხალხი ფაშის გასაკვირად **თავ-თავიანთ სახლებს დაუბრუნდა**; აფხაზთა შორის ჩამოვარდნილი მწვავე უთანხმოებები აღმოფხვრა, პარტიები დაშალა, ხალხი ერთგულებაზე დააფიცა და ყველაფერი ჩანყნარდა. მას რომ ბოროტი განზრახვები ჰქონოდა, კარგა ხნის წინ გააჩაღებდა შფოთს ჩვენს საზღვართან, მაგრამ დღემდე იქ ისეთი სიმშვიდეა, თითქმის არასოდეს რომ არ ყოფილა. ფაშას მან პირველ შეხვედრაზევე განუცხადა – თუ გსურთ, აფხაზეთში მშვიდობა იყოს, ნუ მაიძულებთ რუსეთის წინააღმდეგ წასვლას. მისი გრძნობების შესახებ, აი, რა შემიძლია ვთქვა: შემთხვევა მქონდა, შევხვედროდი შარვაშიძეს მას შემდეგ, რაც მან რუსული ჯარის სასარგებლოდ წელიწადში ვერცხლით 23 000 მანეთის (ვერცხლით) შეწირულების გაღება დაიწყო. ხუმრობით ვუთხარი, რომ მის მიერ შეწირული თანხა რუსებისთვის არაფერია, არადა ამ ფულით აქ არაერთი თავადური ოჯახის გაბედნიერება შეიძლებოდა-მეთქი. „ძვირფასო მიხეილ! – მითხრა, – შენ ძალიან კარგად იცი, რა მდგომარეობაში ვიყავი, როცა იძულებული გავხდი, გურიაში თქვენი სტუმართმოყვარეობით მესარგებლა. მაშინ მე 5 მანეთის საშუალებაც არ მქონდა. ახლა კი ისეთი მდიდარი ვარ, ადრე რომ ვერც ვიოცნებებდი. ყველაფერი, რაც გამაჩნია – შეძლება, ჩინი, ძალა, ყველაფერი ჩემი ხელმწიფისგან მაქვს მიღებული. ახლა მტრებს მისი ძლევამოსილება შეეხარბათ და მის წინააღმდეგ აღიძრნენ. ომს ბევრი ფული სჭირდება. ღარიბი ჩინოვნიკები ნაწილს დებენ იმ ჯამაგირიდან, რომლის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. ჩვენი მხრიდან კი მსგავსი შემოწირულებების შესახებ გაზეთებში არაფერი ისმის. თუ ყველაფერი, რაც გამაჩნია, ხელმწიფისგან მაქვს მიღებული, განა შეიძლება, ყველაფერი მისთვისვე არ გავიღო, თუკი ეს მას დასჭირდე-

ბა? მაგრამ იგი ამას არ ითხოვს და ამიტომაც ვერ გავბედავ, მე თვითონ შევთავაზო. ხოლო თუკი მის მეომრებს მოვახმარ იმ ჯამაგირს, რომელსაც მისგანვე ვიღებ და რომლის გარე-შეც არსებობა შემიძლია, განა ეს ჩემი მხრიდან იგივე არ არის, რასაც ღარიბი ჩინოვნიკები აკეთებენ? ყოველ შემთხვევაში, სინდისი არ შემანუხებს იმის შეგნებით, რომ ჩვენი მხრიდან არ იქნა გამოხატული გრძნობები ჩვენი დიდი, სულგრძელი და ერთმორწმუნე ხელმწიფის მიმართ“. ამას ისეთი გრძნობითა და გატაცებით მეუბნებოდა, რომ, თუ ადამიანის სახემიღებულის ურჩხული არ არის, მისთვის ღალატის შენამება მიმაჩნია დანაშაულად“.

ასეთ აზრებს ვისმენდი ორი საღამოს განმავლობაში. მას-პინძელი ვარაუდობდა, რომ ამას ყველაფერს – საკმარისი სა-ბაბის არარსებობას – ხელისუფლების წინაშე გამოვიყენებდი შარვაშიძისთვის წაყენებული ბრალის გასაბათილებლად. მი-ხეილ ერისთავმა მკითხა კიდევაც, ხომ არ გამოვიჩინდი კე-თილ ნებას და ხომ არ შევხვდებოდი შარვაშიძის მეუღლეს, რათა მისგან უფრო სანდო ცნობები მიმეღო – მთავრის მე-უღლე თავისი ქმრისგან ცნობებს ხშირად იღებდა. შეკითხვა-ზე, იქნებოდა კი იგი ჩემთან გულახდილი, მიხეილ ერისთავმა მითხრა, რომ შარვაშიძის მეუღლესთან წერილს გამატანდა. მე გამოვართვი წერილი იმ პირობით, რომ, თუ ჩემი საქმეები აფხაზეთის დედოფალთან შეხვედრის საშუალებას არ მომ-ცემდა, ამ წერილს უკანვე დავუბრუნებდი. წერილში იგი ად-რესატს შეახსენებდა მთავართან თავის ახლო ურთიერთო-ბას, ატყობინებდა მთავრის შესახებ ხალხში გავრცელებული უსიამოვნო მითქმა-მოთქმის შესახებ; იმის შესახებაც, რომ თბილისში ხელისუფლებას, როგორც ჩანს, დიდი ხანია მთავ-რისგან ცნობები არ მიუღია; დასასრულ, როგორც თავის მე-გობარსა და ნათესავს, რეკომენდაციას მიწვედა და სთხოვდა მთავრის მეუღლეს, შესაფერი ღირსებით შემხვედროდა და ჩემთვის გულახდილად ეთქვა ყველაფერი, რის თქმასაც თვი-თონ წერილის ავტორთან ჩათვლიდა შესაძლებლად.

ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს წერილი ჩემთვის საკმაოდ სასარგებლო აღმოჩნდა.

16 სექტემბერს, სალამოს, აკეთში ჩავედი. იქ თ-დი მუხრანსკი დამხვდა. შემომთავაზა, ოზურგეთში, გურიაშთასა და ჯუმათში წავსულიყავი, დამეთვალთვინა მალაქია გურიელის განკარგულებაში მყოფი გურიის მილიციის რაზმები,¹⁹ გურიაშთაში მდგარი ორი რაზმი, შემდეგ უკან, ორპირში, დავბრუნებულიყავი და მასთან ერთად სამეგრელოს გზას დავდგომოდი.

ოთხი დღის განმავლობაში წინ და უკან უმიზნო სიარული მიწვედა.

17 რიცხვში აკეთიდან ერთად გავედით: ის ორპირისკენ გამგზავრა, მე ოზურგეთისკენ გავეშურე. თან უნდა მხლებოდა მაზრის უფროსი, მაიორი მაჭავარიანი, რომელსაც ნაგომრის საგუშაგოსთან $\frac{1}{4}$ საათი ველოდე. ამ ლოდინში მესმოდა ჩემთან დარჩენილი მისი ამაღლის საუბარი, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის მთავართან ხანგრძლივად ნამყოფ ვინმე არჩილ მიქელაძეს უთქვამს – მიხეილ შარვაშიძე უკვე წამოვიდა აფხაზეთიდან და ამჟამად თავის სიმამართან უნდა იმყოფებოდეს, ამის შესახებ გავრცელებული ხმები უკვე მოხსენდა თ-დ მუხრანსკის და ამიტომაც გაეშურა იგი ასე სასწრაფოდ სამეგრელოში.

რაც არ უნდა დაუფერებელი მოსჩვენებოდა ეს ამბავი ვინმეს, მე მასში რაღაც სიმართლე დავინახე. საქმე ისაა, რომ ჩემი იქ ყოფნისას მუხრანსკის მართლაც მოუვიდა შიკრიკი სამეგრელოდან. მე მაშინ გაუგებრად მომეჩვენა – თუ სხვა ცნობებს თ-დი მუხრანსკი გულახდილად მიზიარებდა, ახლა ამ შიკრიკის მიერ მოტანილ ამბავზე ჩემთან კრინტი არ დაუძრავს.

იმის მომიზევებით, რომ ოზურგეთში ჩემი ჩასვლის აუცილებლობა არ არსებობდა, უარი ვთქვი გადახვევა-გადმოხვევებით მგზავრობაზე, რასაც მთავაზობდნენ, და უკან დავბრუნდი.

ნაცვლად ოზურგეთისა, ღამე სუფსისპირა სოფელ გორაში გავათიე, 18 სექტემბერს კი მიხეილ ერისთავთან დავბ-

რუნდი საჯავახოში. აღმოჩნდა, რომ თ-დ არჩილ მიქელაძის სახელით გავრცელებული ხმები ერისთავსაც სმენოდა. მიქელაძეს მიხეილ ერისთავი პირადად იცნობდა, ამიტომ მეორე დღეს კულაშში წამომყვა, რათა იქ მიქელაძე ენახა, უშუალოდ მისგან გაეგო ყველაფერი და შემდეგ მისი ნათქვამი ჩემთვის გადმოეცა.

19 რიცხვში ღამე კულაშში გავათიეთ.

არჩილ მიქელაძისგან კი გავიგეთ შემდეგი:

„იქიდან ჩამოსული ადამიანი ამბობდა, რომ მიხეილ შარვაშიძეს გიორგი დადიანთან დღე-დღეზე ელოდებიან. შარვაშიძე სამურზაყანოს ტყეებში ნადირობის საბაბით აფხაზეთიდან უნდა წამოვიდეს, იქიდან კი ჩვენს ტერიტორიაზე გამოაღწიოს. თურქებს ეჭვი აქვთ ალებული, რომ შარვაშიძეს რუსებთან აქვს კავშირი და მის ყოველ მოქმედებას უთვალთვალევენ“.

20 რიცხვში სადგურ მარანში დავბრუნდი და პირდაპირი საფოსტო გზით გეზი ზუგდიდისკენ ავიღე. გზის ამგვარი შემოკლება მომავალში გამამართლებელ საბუთად გამომადგებოდა მის უგანათლებულობასთან – ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადიანთან, როცა მას, სამეგრელოდან დაბრუნების შემდეგ გორდში ვეახლებოდი.

21 რიცხვში, დღის პირველი საათისთვის, ვიყავი ზუგდიდში, სადაც ერთი საათით ადრე სხვა გზით თ-დი მუხრანსკი ჩასულიყო.

ერთმანეთთან აქ შეხვედრას არც ერთი არ ველოდით. თ-დ მუხრანსკის მიკიბულ-მიკიბულად ავუხსენი, თუ რატომ გამოვეშურე აქეთკენ ასე სასწრაფოდ, შემდეგ კი ვთხოვე, გიორგი დადიანთან გავეგზავნე. მაგრამ მან მირჩია – აქ დაელოდე, რადგან გიორგი დადიანი მილიციაშია გამოძახებული და ამ დღეებში ზუგდიდში თვითონ უნდა ჩამოვიდესო. ამაზე შევნიშნე, რომ არა იმდენად გიორგი დადიანთან, რამდენადაც აფხაზეთის დედოფალთან მჭირდებოდა შეხვედრა. მითხრეს – როცა გიორგი დადიანი ჩამოვა, შემეძლო უშუალოდ მისთ-

ვის გამომეცხადებინა ჩემი სურვილი, ის კი იპოვის მიზეზს, შენთან ერთად უკან დაბრუნდესო.

ის დღე და მომდევნო 22 რიცხვიც ლოდინში გავატარე. იმავე რიცხვში, სალამოს, გამოვაცხადე – მეტი ლოდინი აღარ შემიძლია; ვალდებული ვარ, უფროსობას ყოველი დღის ანგარიში წარვუდგინო; უქმად გატარებული დღეები არასაპატიოდ ჩამეთვლება; ამიტომ გთხოვთ, ხვალვე გამისტუმროთ-მეთქი.

გაიცა სათანადო განკარგულება ჩემი სურვილის შესასრულებლად. ამასობაში იმავე სალამოს თ-დმა მუხრანსკიმ თ-დ გრიგოლ დადიანის²⁰ თანდასწრებით შარვაშიძის მიერ ცოლისთვის გამოგზავნილი და გზაში დაჭერილი წერილი მაჩვენა.

წერილი უთარილო იყო, თუმცა ზოგიერთი გარემოების მიხედვით, 10-13 სექტემბერს უნდა ყოფილიყო დაწერილი. ზუსტი შინაარსი წერილისა ესაა:

„კარგად და ჯანმრთელად ვარ. ომერ-ფაშას ელოდებიან, თუმცა იმედი მაქვს, რომ იგი აქ ჯარის შეკრებას ვერ მოასწრებს (იმედი მაქვს, აქ ჯარი ვერ შეკრიფოს!)“

ზუგდიდში დღე-ნახევრის განმავლობაში შემდეგ ცნობებს მოვუყარე თავი:

„მთავარსარდლის აქ ყოფნის დროს მასთან წარსადგომად შარვაშიძე ჩამოვიდა. მის მაღალალმატებულებას შარვაშიძის **დაუყოვნებლივ მიღება უჭირდა**, თუმცა მიიღო. რა საუბარი შედგა მათ შორის – უცნობია. ოთახიდან გამოსვლისთანავე მისმა მაღალალმატებულებამ თ-დი მუხრანსკი გვერდზე გაიხმო და უთხრა – შარვაშიძე ითხოვს სამურზაყანოში წასვლის ნებართვას, რათა იქიდან იმოქმედოს მტრის წინააღმდეგო. ამაზე მუხრანსკიმ შენიშნა – ერთ მხარეში ორი უფროსის ყოლა მოუხერხებელია, ხოლო თუ მას მართლაც სურს, ჩვენთვის სასარგებლო იყოს, **დაე, აფხაზეთში წავიდეს და ჩვენ სასარგებლოდ იქ იმოქმედოსო**. ამის შემდეგ მისი მაღალალმატებულება მცირე **ხნით ეკიპაჟში ჩაჯდა**

და მთავარი სასაუბროდ იქ მიიწვია. როცა ეკიპაჟიდან გად-
მოვიდნენ და გამომშვიდობების ნიშნად ერთმანეთს ხელი
ჩამოართვეს, ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა გაიგონა, თუ
როგორ უთხრა მისმა მალალაღმატებულებამ მთავარს: „მაშ,
გაემგზავრეთ, ძვირფასო მთავარო! თქვენი იმედი მექნება!“
მუხრანსკის კი მისმა მალალაღმატებულებამ ასე უთხრა: „მე
მას აფხაზეთში წასვლა შევთავაზებ, მაგრამ უარი განაცხადა“.
როცა მისი მალალაღმატებულება ზუგდიდიდან გაემგზავრა,
მას ტეხურამდე თუ აბაშამდე თ-დი გრიგოლ დადიანი ახლდა.
გამოთხოვებისას მისმა მალალაღმატებულებამ დადიანს და-
ავალა, ენახა მიხეილ შარვაშიძე და მისი მალალაღმატებულე-
ბის სახელით ეთქვა: **„თქვენ ალექსი პეტროვიჩის აღზრდი-
ლი ხართ²² და, იმედია, ისე მოიქცევით, როგორც ეს ალექსი
პეტროვიჩის აღზრდილს შეეფერება. მე კი ჩემი მხრიდან
დავამტკიცებ, თუ როგორ შეუძლია ჩვენს ხელისუფლებას
დამსახურების დაფასება და სათანადოდ დაჯილდოება“**.
მაგრამ ეს სიტყვები მიხეილ შარვაშიძისთვის არ გადაუციათ.
ზუგდიდში დაბრუნებულმა გრიგოლ დადიანმა შეიტყო, რომ
თ-დი მიხეილი ავადაა, ხოლო ერთი კვირისა თუ ათი დღის
მერე მთავარი აფხაზეთში დაბრუნდა. აფხაზეთში მიხეილმა
წაასწრო ერთ ხანს,²³ რომელიც საკუთარ თავს ყაზიყუმუხე-
ლი ხანების შთამომავალს უწოდებდა, ადრე კონსტანტინო-
პოლში ცხოვრობდა, ახლანდელი ომის დაწყებამდე ორიოდე
წლით ადრე კი ჩერქეზებთან ჩავიდა და მაჰმად-ამინის ერთ-
გული თანამოაზრე და თანამებრძოლი გახდა. ამ ხანმა არაჩ-
ვეულებრივად მოქნილი გონების წყალობით იქ საკმაოდ ძლი-
ერი გავლენა მოიპოვა, აფხაზეთში ჩასვლის შემდეგ კი თურ-
ქულ საქმეს ემსახურებოდა და მიმდინარე ომის პირობებში
მიხეილისთვის სახიფათო მეტოქეს წარმოადგენდა. მიხეილმა
სიმტკიცე გამოიჩინა: მან ხალხის წინაშე თავი მუშირად გა-
მოაცხადა, თქვა, რომ ვერ მოითმენდა თავის სამფლობელო-
ში ხანის ყოფნას, აფხაზეთის საზღვრებიდან მისი გაძევება
მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ დატოვებდა

იქაურობას. და ხანი გაძევებულ იქნა. იმავე ხერხით მოასწრო მიხეილმა ქელემ-ბეის მკვლელ ასლან-ბეის შვილის განდევნა.²⁴ თურქულმა ხელისუფლებამ სწორედ ამ მამისმკვლელის შვილს უბოძა დიმიტრი შარვაშიძის სამფლობელოს ნაწილი. ამ დროს კი დიმიტრი შარვაშიძის დედა²⁵ აფხაზეთში გარეშე პირთა საპატრონოდ იყო მიტოვებული. მიუხედავად დიმიტრი შარვაშიძისადმი არაკეთილგანწყობისა, მიხეილმა მოასწრო მისი ავლადიდების გამოსხსნა და პატრონის იქ არყოფნის გამო სარგებლობისა და მართვა-გამგეობისათვის დიმიტრის დედას გადასცა. მაჟარა შარვაშიძე, – როცა დარწმუნდა, მიხეილმა ძალაუფლება სრულად აღიდგინაო, – ეახლა მას, გამოუტყდა, ჩემი ძმის, გრიგოლის, ნაქეზებით შენ წინააღმდეგ ვმოქმედებდიო და თავისი საქციელი მოინანია“.

23 სექტემბერს მეგზურად გამაყოლეს პრაპორშჩიკი, თ-დი მანუჩარ დგებუაძე ერთი თავისი აზნაურითურთ და დაახლოებით შუადღისთვის ზუგდიდი დავტოვეთ.

გზაში დგებუაძეს ვეკითხებოდი, სად რომელი დადიანი ცხოვრობს-მეთქი და საუბარში გაირკვა, რომ გიორგი დადიანი ჯერ კიდევ თავის საზაფხულო საცხოვრებელში იმყოფებოდა – კურზუს საზღვართან, სვანეთის მთების ძირას, ზუგდიდიდან 65-70 ვერსის მანძილზე. ღამე ნალენჯიხაში, გრიგოლ ტარიელის ძე დადიანის ოჯახში, გავათიეთ. მეორე დღეს, 24-ში, დილაადრიან გავაგრძელეთ გზა და ასე, ოციოდე ვერსის, გავლის შემდეგ გიორგი დადიანს გადავეყარეთ. იგი ზუგდიდში იყო გამოძახებული. მე ის 1837 წელს სამეგრელოს ან განსვენებულმა მთავარმა, ლევან დადიანმა, გამაცნო და ახლა ისე შევხვდით ერთმანეთს, როგორც ძველი ნაცნობები. გიორგი დადიანი საშუალო ასაკისაა, მოხდენილი, კეთილშობილური და ჭკვიანური შესახედაობისაა. ქართულად მჭევრმეტყველურად საუბრობს და ძველებური ნატიფი თავაზიანობით გამოირჩევა. ჩვენ მას კურზუდან 10-15 ვერსის მოშორებით შევხვდით. საქმე ისე უნდა აწყობილიყო, რომ კურზუში დასაბრუნებელი საბაბი მე უნდა მიმეცა – ასეთი

იშვიათი და მოულოდნელი სტუმრისთვის მასპინძლობა ხომ უნდა გაენია? როცა ზრდილობით გათვალისწინებული ყველა წესი შევასრულეთ, გამოვუცხადე: მის უკან დაბრუნებაზე თანხმობას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვაცხადებ, რომ ამსიგრძე გზის გამოვლის შემდეგ არ მინდა შინ ისე დავბრუნდე, მის უგანათლებულებობას, აფხაზეთის დედოფალს, თავი არ დაუუკრა და, ამას გარდა, – დავსძინე, – თქვენთვის წერილი მაქვს, რომლის ამოღებას პორტფელიდან მხოლოდ ადგილზე თუ შევძლებ-მეთქი.

ვეჭვობ, გაფრთხილებული ყოფილიყო, მაგრამ იგი საკმაოდ სწრაფად გაერკვა ვითარებაში და პირდაპირ მიხეილზე ჩამომიგდო სიტყვა:

„მთავარი სამურზაყანოს ტყეში იყო უკვე სანადიროდ, – მხარდამხარ მომყვებოდა იგი და თითქმის ჩურჩულით მელაპარაკებოდა, – და ჩვენ დღე-დღეზე ველოდით მის ჩამოსვლას, მაგრამ მოულოდნელად სოხუმში მოუხდა დაბრუნება ომერ-ფაშასთან შესახვედრად. იქ რომ ომერ-ფაშა არ ჩასულიყო, მთავარი ახლა ჩვენთან იქნებოდა. ფაშასთან შეხვედრამ დაადასტურა – იქ ეჭვი აქვთ ალებული, რომ მთავარს მიმონერა აქვს ჩვენთან და ჩვენს ხელისუფლებასთან. ომერ-ფაშამ, რომლის დამოკიდებულება მთავრისადმი იყო ნახევრად ალერსიანი და ნახევრად მკაცრი, ჰკითხა მას: „ხალხი რატომ დააფიცეთ?“

მიხეილი: მგონი, უფლებები ჯერ არ მაქვს ჩამორთმეული, გენერალო! ჩემი სამფლობელოს შინაურ საქმეებში რუსები არ ერეოდნენ. იმედი მაქვს, არც ახლაა ჩარევის საჭიროება. ჩემს მხარეში სიმშვიდის დასამყარებელი ზომების მიღება ჩემი საქმეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალზე პასუხისმგებლობის ალება ძნელი იქნება.

ომერი: თქვენს უფლებებში არ ჩაერევიან, მაგრამ ერთი ეს მიზრძანეთ, რატომ აქ არ იმყოფება თქვენი ოჯახი?

მიხეილი: ჩემი ცოლი საკუთარ მამასთანაა და ის არ უშვებს.

ომერი: თქვენი კანონის მიხედვით, როგორც ვიცი, მხოლოდ ქმარს შეუძლია ჯვარდანიერილ ცოლზე მბრძანებლობა.

მიხეილი: კანონი მართლაც ასეთია, მაგრამ აქაური ადათ-წესებით კავშირი შვილებსა და მშობლებს შორის არასოდეს წყდება. ძალიან მინდა, ცოლი გვერდით მყავდეს და დიდადაც დაგიმადლებთ, თუ მას იქიდან გამოიხსნით. მე ამის საშუალებას მოკლებული ვარ.

ომერი: ამბობენ, რომ კვლავ რუსეთის ერთგული რჩებით და მიმონერა გაქვთ თბილისის ხელისუფლებასთან.

მიხეილი: თუ გეტყვით, გენერალო, რომ მე სულთნის ერთგული ვარ, უფლება გექნებათ, ეს სიტყვები ჩემს სულმოკლეობას მიაწეროთ. არ დაგიმალავთ, მთელი ჩემი მდგომარეობითა და შეძლებით რუსი ხელმწიფისგან ვარ დავალებული. გარემოებებმა აიძულა რუსები, აქედან გასულიყვნენ – მე თვითონ გავიყვანე ისინი. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სტუმარმასპინძლობის წესი მავალდებულებდა, ასე მოვქცეულიყავი. და მე უკან, შინ, დავბრუნდი. ამასთან, არავითარი საბაზი არ მქონია, მათ წინააღმდეგ მემოქმედა. თუკი ახლანდელ აქაურ მმართველობას ჩემი ამ მდგომარეობაში ხილვა არ სურს, შემოიძლია სახლიც დავეტოვო და სამფლობელოც. საძრახის კავშირებში ჩემი დადანაშაულება არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, მტკიცებულებათა გარეშე მაინც.

ომერი: საქმე ისაა, მთავარო, რომ, როგორც ამბობენ, თქვენი აქ ყოფნით ჩვენი განკარგულებების აღსრულებას უშლით ხელს. რაც შეეხება თქვენ მიერ მოთხოვნილ მტკიცებულებებს, იმედი მაქვს, ამ მტკიცებულებებს დროთა განმავლობაში წარმოგიდგენთ.

ამ საუბარს რა მოჰყვა, არ ვიცი და ცნობებს დღე-დღეზე ველოდებით. **ჩვენ მასთან ხშირი, თითქმის ყოველკვირეული, საიდუმლო მიმონერა გვაქვს.** რა განზრახვით დაბრუნდა აფხაზეთში, ამის შესახებ მთავარს აქამდე არავისთვის არაფერი უთქვამს – მან მე მხოლოდ თავისი გადაწყვეტილება გამომიცხდა. ამ გადაწყვეტილებამ მე, რასაკვირველია, გამაოცა და ვკითხე კიდევაც, კარგად თუ ჰქონდა აწონილ-დაწონილი

თავისი განზრახვა. მიპასუხა: ამდენ ხანს ჩემი აქ უქმად ყოფნა უსარგებლოცაა და საზიანოც. უსარგებლო იმიტომაცა, რომ საშუალება არა მაქვს, ხელმწიფეს რაიმე სამსახური გავუწიო. საზიანო კი იმიტომაცა, რომ იქ სამფლობელო მერღვევა, ხალხში მღელვარებაა და ჩემ არყოფნაში შეიძლება მტრებისა და შფოთისთავების ნაქეზებით რუსების საწინააღმდეგო რამე ჩაიდინონ. ომი დიდხანს ვერ გაგრძელდება. თუ სასწრაფოდ არ მივაშურებ, მერე რუსებისთვის იმის თხოვნა მომიწევს, თავისი და ჩემი ხალხის სისხლის ღვრით აღადგინოს ჩემი უფლებები. იქნებ შევძლო, წინასწარვე აღვკვეთო სისხლის ღვრა, ხალხიც დავაშოშმინო და რუსებსაც მტრის თავდასხმა ავაცილო.

ჰქონდა თუ არა მთავარს ხელისუფლებისგან თანხმობა, ამაზე იგი არაფერს ამბობდა. მაგრამ ეს ყველაფერი ზუგდიდში მეფისნაცვალთან მისი შეხვედრიდან ცოტა ხანში მოხდა და, ამას გარდა, **დანამდვილებით ცნობილია, რომ მთავარი ძლიერ გახარებული იყო იმ ქალაქების მიღებით, მისმა ადიუტანტმა, ერისთავმა, თბილისიდან რომ ჩამოუტანა.** მთავარი ისე გაემგზავრა, რომ მეუღლე, მემკვიდრე ვაჟიშვილი, უფროსი ქალიშვილი და მთელი თავისი საკმაოდ ღირებული ქონება, გარდა ცხენისა და საკუთარი იარაღისა, ჩემს ხელში დატოვა. უმცროსი ვაჟიშვილი სამურზაყანოში იზრდება და მისი იქიდან დროზე ადრე წამოყვანა გამზრდელისთვის უკიდურესად შეურაცხმყოფელი იქნება. ამგვარსავე მდგომარეობაში იმყოფება აფხაზეთში მთავრის ორი ქალიშვილი. თუ მიხეილ შარვაშიძე ადამიანია და ქრისტიანია, რაც – ყოველ შემთხვევაში, აქამდე – ეჭვქვეშ არ დამდგარა, იგი მთელი თავისი შეგნებით ხელმწიფის სასარგებლოდ მოქმედებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკარგავს ოჯახს, რომელიც გულწრფელად უყვარს, და მთელ თავის ქონებას, რომელიც საკუთარი შრომით აქვს მოპოვებული. ერთიცა და მეორეც ჩემს ხელშია და, არც ერთსა და არც მეორეს, რასაკვირველია, ცოცხალი თავით ჩემი ხელმწიფის მტერს არ დავუთმობ“.

ამას მეუბნებოდა თ-დი გიორგი გზაშიც და ადგილზეც – კურზუში.

დედოფალთან შეხვედრა კი ასეთ ვითარებაში მოხდა: მისმა უგანათლებულესობამ, გაიგო თუ არა ჩემი მასთან შეხვედრის სურვილი, უყოყმანოდ გამოხატა საამისო მზადყოფნა. მაგრამ მინდოდა იქ მყოფთა დასანახავად მისთვის შესაფერისი პატივი მიმეგო და თ-დ გიორგის გამოუეცხადე – მის წინაშე წარდგომას მხოლოდ მუნდირით თუ შევძლებ-მეთქი. შევატყვე, ეს სიტყვები თ-დ გიორგის ესიამოვნა. ამასთანავე, მათთვის დროის მიცემაც მინდოდა, რათა წაეკითხათ ვასილ იოსების ძე ბებუთოვის წერილი, რომელიც თ-დ გიორგის ჩასვლისთანავე გადაეცემა. ერთი საათის შემდეგ მთავრის მეუღლის წინაშე წარვდექი. იგი ახალგაზრდულად გამოიყურება – მიუხედავად იმისა, რომ ხუთი შვილის დედაა, სინორჩით გამოირჩევა და, შეიძლება ითქვას, მეტად მშვენიერი. ქართულად მამასავით შესანიშნავად მეტყველებს. უფროსი ვაჟიშვილი, ასე, 9 წლისა იქნება, საუცხოო ყმაწვილია, მომხიბვლელად გამოიყურება თავისი ეპოლეტიებითა და მდიდრულად განწყობილი ხანჯლით, რომელსაც ხელმწიფის მტრების დასამარცხებლად ლესავს.²⁶

როცა მიუვახლოვდი ხის პატარა სახლს, რომელშიც მთავრის მეუღლე ცხოვრობს, იგი გამომეგება, ზღურბლიდან ორი ნაბიჯი გადმოდგა და ხელი ჩამომართვა. მერე შიგნით შემიყვანა და ჯერ თავისი უფროსი ქალიშვილი გამაცნო, შემდეგ კი ტახტის მემკვიდრე გიორგის აღმზრდელი, თავადის ასული კესარია, გრიგოლ შარვაშიძის დედა, წარმომიდგინა.

შევეცდები, შეიძლებისდაგვარად ზუსტად გავიხსენო დედოფალთან ჩემი საუბარი:

– მქონდა ბედნიერება, თქვენს უგანათლებულესობას ბორჯომში შეხვედროდი. მაშინ თვითონ მთავარმა დამლო პატივი და წარმადგინა თქვენ წინაშე. ბედნიერი ვარ, რომ პატივი მერგო, კიდევ ერთხელ გცეთ თაყვანი, ამჯერად – მამათქვენის ოჯახში; თქვენი მამის მიმართ კი დიდი ხანია, ღრმა და გულწრფელი პატივისცემა მაქვს გულში ჩანერგილი.

– ჩემთვისაც დიდად სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა, როგორც ქართველთან და, მაშასადამე, ჩვენი მიწის შვილ-

თან, ამასთანავე – უმაღლესი ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილ პირთან. სიამოვნებით ვიხსენებ ბორჯომის ხან-მოკლე შეხვედრას.

მან საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი ფარჩისბალი-შიანი სკამი შემომთავაზა, თვითონ კი ტახტზე დაჯდა.

– მაქვს სასიამოვნო დავალება თ-დ ვასილ ბებუთოვისგან, რომელიც გულწრფელადაა კეთილგანწყობილი თქვენი ოჯახის მიმართ, გადმოგცეთ, თქვენო უგანათლებულესობავ, მისი მონიებული მოკითხვა, დაინტერესება თქვენი ჯანმრთელობით და სურვილი, მითხრათ ყველაფერი, რის თქმასაც თვითონ თ-დ ბებუთოვისთვის ჩათვლიდით საჭიროდ.

– თ-დ ვასილის დიდად მაღლიერი გახლავართ ასეთი გულისხმიერებისა და თავაზიანობისათვის და მისი კეთილი რჩევითაც აუცილებლად ვისარგებლებ. თქვენ, ჩემი ოჯახის ერთგულ მეგობარს, მამაჩემისთვის გამოგზავნილ მის წერილთან დაკავშირებითაც გაგიზიარებთ აზრს. მე ხელიდან ვერ გავუშვებ კეთილ შემთხვევას, გიამბოთ ყველაფერი, ოღონდ – ახლა არა. შეუძლებელია, გრძელ გზას არ დაელაღეთ. დაისვენეთ, ოღონდ მკაცრად ნუ განგვსჯით საცხოვრებელი პირობების გამო – ვცხოვრობთ დროებით საცხოვრებელში, საზაფხულო პირობების შესაფერისად; მხოლოდ ამის შემდეგ მოგიწევთ და მაშინ ვისაუბროთ.

– თქვენო უგანათლებულესობავ! შეიძლება სითამამე გამოვიჩინე, მაგრამ არ შემეძლო უარი მეთქვა დავალებაზე, გადმომეცა მიხეილ ერისთავის წერილი. იგი ჩემი ბიძაც არის და მეგობარიც.

შევნიშნე, რომ მიხეილ ერისთავის ხსენება ძალზე ესიამოვნა. წერილი განსაკუთრებული მაღლიერებით მიიღო, თან მითხრა, რომ მიხეილ ერისთავი კეთილშობილი ადამიანი და მისი მეუღლის მეგობარია და ძალზე გაკვირვებულია, იგი აქამდე რომ არ შეჰხმიაწებია.

ვინაიდან ხელმეორე შეხვედრის პირობა მქონდა, გამოვეთხოვე მის უგანათლებულესობას. ეს შეხვედრა მეორე

დღეს შედგა, დილით, 25 სექტემბერს. მასთან უკვე, გარდა ერთი მოახლისა, აღარავინ იყო.

საუბრის დასაწყისიდანვე ირკვეოდა, რომ ალექსანდრა გიორგის ასულს სათქმელი ბევრი ჰქონდა. დაიწყო იმით, რომ დიდად კმაყოფილია ხელისუფლების ყურადღებით, რომ ხელისუფლება, როგორც კი სიმართლეს გაიგებს, აღკვეთს მთავრის ოჯახის მტრების მიერ გაჩაღებულ მითქმა-მოთქმას. შემდეგ იგი გადავიდა თ-დ მიხეილის მიერ აფხაზეთის დატოვებაზე: როცა მას თავისი სამფლობელოდან რუსეთის ჯარი გამოჰყავდა, მთელი აფხაზეთის მაღალი საზოგადოება არწმუნებდა, არ მიეტოვებინა თავისი მხარე, წინააღმდეგ შემთხვევაში, უხელისუფლოებით გამოწვეულ მწარე შედეგებს მთელი მოსახლეობა იწვნევდა. მაგრამ ისინი მთავარმა იმით დაამშვიდა, რომ შორს არ იქნებოდა და იქიდანაც მოახერხებდა წესრიგის დაცვას. თვითონ ალექსანდრა გიორგის ასული, იმჟამად ორსულობის ბოლო პერიოდში მყოფი, ყველა თავის შვილთან ერთად აფხაზეთში დარჩა და დაახლოებით ორი თვის შემდეგ მიიღო მეუღლისგან განკარგულება, დაეტოვებინა აფხაზეთი და ოჯახითა და მთელი თავისი ქონებით მასთან წამოსულიყო. გასამგზავრებლად მზადება რომ შეატყვევს, აფხაზეთის მთელი ის მაღალი საზოგადოება ახლა უკვე ალექსანდრა გიორგის ასულს ეახლა განზრახვით – მის გამგზავრებას კატეგორიულად აღდგომოდა წინ, მაგრამ ალექსანდრამ გამოხატა ურყევი ნება, აღესრულებინა თავისი მეუღლის განკარგულება და მცირერიცხოვან ერთგულ ადამიანებთან ერთად აფხაზეთიდან დაიძრა, იქ კი მხოლოდ ორი უმცროსი ქალიშვილი დაუტოვა აღმზრდელებს. იგი დანვრილებით და ხატოვნად ამინერდა თავის მგზავრობას თოთო ბავშვით ხელში, საშინელ ჭეჭა-ქუხილში, თავსხმა წვიმაში, რომელიც, სანამ ენგურამდე მოაღწევდნენ, გადაუღებლად ასხამდა; აბობოქრებული ენგურის ნაჩქარევი გადალახვისას კინალამ დაიღუპნენ, მხოლოდ წყლით გაჟღენთილი ბარგის დაკარგვით გადარჩნენ. აქ კი ისინი უკვე ერთად ცხოვრობდნენ. მეუღლე, მთავარი მიხეილი, უმოქმედოდ იყო, მამა კი დღითი დღე ჩანაგდებოდა – თითქმის ერთი წლის გან-

მავლობაში დღეში 80-დან 400-მდე სტუმრის გამასპინძლება უწევდა. ხარჯს ადვილად წარმოვიდგენთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეში 5-დან 20-მდე ცხვარი და 2-დან 10-მდე ძროხა იკვლებოდა. მიხეილი სიმამრს დახმარებას ვერ შესთავაზებდა, რადგან, ჯერ ერთი, ეს აქაური ჩვეულების მიხედვით, მასპინძლის შეურაცხყოფა იქნებოდა, და, მეორეც – გიორგი დადიანი თუნდაც იმიტომ არ მიიღებდა არავითარ დახმარებას, რომ აფხაზეთის მთავრისა და, იმავდროულად, რუსეთის წარჩინებული მოხელის შენახვით იგი სამსახურს უწევდა მთავრობას, რომელიც, თავის მხრივ, მას სარჩოს ისედაც გაუჩენდა.

მიუხედავად ყველაფრისა, მიხეილი საკუთარი თვალით უყურებდა სიმამრის გაჩანაგებას და არც ის სურდა, ტვირთად მთავრობას დასწოლოდა. იგი ცდილობდა საცხოვრებლად მოეძებნა ისეთი ადგილი, სადაც საკუთარ თავს თვითონ შეინახავდა, მაგრამ მისთვის უცნობ მიზეზთა გამო ვერც ეს ხერხდებოდა. ამასთანავე, მიხეილამდე აღწევდა ხმები, რომ, ერთი მხრივ, მისი სამეგრელოში ყოფნა მეტისმეტად უსიამოვნო იყო აქაურობის მფლობელი დედოფლისათვის, მეორე მხრივ კი – აფხაზეთში მოვლენები ცუდი მიმართულებით ვითარდებოდა. მისთვის ამ უსიამოვნებებისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება იყო – მიეღო რაიმე სამსახური. ასეთ შემთხვევაში მას მოუწევდა სამსახური იმ ნაწილში, რომელიც ყარსთან იბრძოდა. მაგრამ რა უნდა ექნა მას იქ, როგორც გენერალ-ლეიტენანტსა და ხელმწიფის გენერალ-ადიუტანტს, როცა თავისი ხარისხისა და წოდების შესაფერისი **პრაქტიკული სამხედრო ცოდნა არ გააჩნდა?** აფხაზეთიდან კი სულ უფრო და უფრო უსიამოვნო ცნობები მოდიოდა. თ-დ გრიგოლ შარვაშიძის უმცროსმა ძმებმა, გიდიმ და მაყარამ, რომლებიც თურქების სამსახურში იყვნენ, მოასწრეს თურქების დარწმუნება, რომ მათი სამფლობელო მიხეილისგან დამოუკიდებელი იყო და გრიგოლის იქ არყოფნის გამო ეს სამფლობელო საკუთარ გამგებლობაში მიიღეს. ამასობაში გამოჩნდა აფხაზეთიდან დიდი ხნის წინ გაძევებული მამისმკვლელის, ასლან-ბეის, შვილიც, რომელსაც თ-დ დიმიტრი შარვაშიძის

მამული საკუთრად, დამოუკიდებელ მფლობელობაში, გადაეცა. სამ ნაწილად დანაწევრებულ აფხაზეთში ჩამოყალიბდნენ დაპირისპირებული პარტიები და მათ შორის ჩამოვარდნილი შუღლისა და მტრობის გამო უკვე სისხლი იღვრებოდა. შეუძლებელია, ამას ყველაფერს არ შეენუხებინა მთავარი, რომელსაც ის ხმებიც მოსდიოდა, რომ სოხუმის მუშირი აფხაზებსა და ჩერქეზებს რუსების წინააღმდეგ საომრად ამხედრებდა. დაახლოებით 700 აფხაზი ანატოლიაში თურქეთის არმიის შემადგენლობაშიც კი იყო გაგზავნილი.

დიდი ფიქრისა და საკუთარ თავთან განსჯის შემდეგ თ-დმა მიხეილმა მეუღლეს მოულოდნელად გამოუცხადა, რომ აფხაზეთში დაბრუნება გადანყვიტა.

აფხაზეთში ცოლს ქმართან ხმა არა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ალექსანდრამ თავს უფლება მისცა შეენიშნა, რომ მეუღლის ამ გადანყვიტებით უკიდურესად განცვიფრებულია. ამაზე მიხეილმა უპასუხა: „შენი მხრიდან დიდად უცნაური იქნებოდა გეფიქრა, რომ მე რუსების წინააღმდეგ ვიმოქმედებ. პირიქით, თუ სადმე მათთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია, მხოლოდ აფხაზეთში“.

მთავარმა თავისი ადიუტანტი ერისთავი რაღაც ქალაქებით თბილისში გაგზავნა, თვითონ კი გრიგოლ შარვაშიძესთან ერთად აფხაზეთისკენ გაეშურა. აქედან მოკიდებული იგი იქ არის და, მისგან საკმაოდ ხშირად მიღებულ წერილებზე დაყრდნობით მთავრის მეუღლე ალექსანდრა დარწმუნებულია, რომ მიხეილი აფხაზეთში რუსების სასარგებლოდ მოქმედებს. ამას გარდა, იგი იმასაც ფიქრობს, რომ მიხეილი იქ მთავარხელმძღვანელობის დაუკითხავად და მისი თანხმობის გარეშე არ გაემგზავრებოდა, თუმცა ამის თაობაზე მთავარს მეუღლისთვის არაფერი უთქვამს.

აქ მე საჭიროდ ჩავთვალე, საუბარში ჩავრთულიყავი:

– თქვენო უგანათლებულესობავ, ის გარემოება, რომ თქვენთან ვარ გამოგზავნილი, ალბათ, მიგახვედრებთ: მთავრობას ვერ გაურკვევია, რა გზას ადგას მთავარი. ყველაფერი, რისი თქმაც თქვენ ინებეთ, სრულ სიმართლედ მიმაჩნია.

მაგრამ თქვენს უგანათლებულესობას ისიც მოეხსენება, რომ ამა თუ იმ საქმის გამოსარკვევად ხელმძღვანელობისთვის საკმარისი ვერ იქნება ერთი პირის მიერ რაიმეს დადასტურება. აუცილებელია, ასე ვთქვათ, ცხადი მტკიცებულებები. ასეთი მტკიცებულებებიდან უკანასკნელი, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, თ-დმა ვ. ი. ბებუთოვმა ივნისში მიიღო.²⁷ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. სანამ ვითარების ნათელსაყოფად ორიოდ-სამიოდე კითხვას დაგისვამდეთ, წარმოგიდგენთ საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ შეგიძლიათ სავსებით უშიშრად გამანდოთ თვით უკიდურესი საიდუმლოც კი.

ეს ყველაფერი მან საკმაოდ მშვიდად მოისმინა; ე. ი. ან არაფერი აქვს დასამალი, ან კარგად შეუძლია თავის დაჭერა. თუმცა იმედი მქონდა, მის სიმშვიდეს დაარღვევდა ის საბუთი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე.

– თქვენო უგანათლებულესობავ, თქვენ კეთილინებთ და ბრძანეთ, რომ მთავრისგან წერილებს ხშირად იღებთ, მაგრამ თქვენი შიკრიკებიდან ყველა არ არის სანდო. გაგიმხელთ საიდუმლოს, რომელიც საგანგებო სიფრთხილით გამანდევს: ერთი წერილი ხელში ჩაუვარდათ და მე მქონდა საშუალება, წამეკითხა იგი.

მთელი ჩემი ყურადღება დავძაბე, რათა მისი გამომეტყველების მიხედვით გამეგო – მისთვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა ის ამბავი, რომ მათს წერილებს გზაში იჭერენ, თუ თვითონ ფაქტი, წერილის შინაარსიდან გამომდინარე, მას შიშს აღუძრავდა.

სახეზე შიშის ნატამალიც კი არ აღჰბეჭდვია, მაშინაც კი, როცა გაიგო – წერილი წაკითხული მქონდა. შეურაცხყოფა კი მკაფიოდ გამოხატა:

– დიახ! სასიამოვნო არ არის. არ მეგონა, მთავრისთვის ვნების მიყენების სურვილი იმდენად ძლიერი თუ იყო, რომ ცოლ-ქმრის წერილებს გზებზე იჭერენ, თითქოს ისინი დამნაშავეები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, იპოვეს თუ არა იმ წერილში ის, რასაც ეძებდნენ – მისი დანაშაულის დამადასტურებელი საბუთი?

ტონი ისეთი იყო – უარყოფითი პასუხი თავისთავად იგულისხმებოდა.

– არა, არაფერი უპოვიათ! მთავარი, როგორც ჩანს, სახელდახელოდ წერდა, ფანქრით. გატყობინებთ, რომ ცოცხალია, კარგად არის, ომერ-ფაშას ელოდებიან და იმედი აქვს, რომ ომერ-ფაშა იქ ლაშქრის შეკრებას ვერ მოასწრებს. წერილი დაწერილია ამ თვის 10-13 რიცხვებს შორის.

– ერთი წერილი მართლაც დამაკლდა და, ჩანს, სწორედ ის დაუჭერიათ. შემიძლია გკითხოთ, თუ სად არის ახლა ეს წერილი?

– რა მნიშვნელობა აქვს, თქვენო უგანათლებულესობავ? საკმარისია, რომ იგი მთავარს არ ამტყუნებს; დაე, იაროს იმ წერილმა თავისი გზით. ახლა, როცა ურთიერთნდობის საწინდარი წარმოგიდგინეთ, გავბედავ და გკითხავთ:

1. – გაქვთ თუ არა რაიმე საბუთი იმისა, რომ მთავარმა აფხაზეთში დაბრუნების წინ ხელისუფლებას თავისი განზრახვა აცნობა ან კიდევ იგი იქ ხელისუფლების თანხმობით გაემგზავრა?

– არავითარი! თვითონ ამაზე არაფერი უთქვამს. მხოლოდ ეს ვიცი: როცა თ-დმა ერისთავმა თბილისიდან მისთვის გამოგზავნილი ქალაქები ჩამოუტანა და მთავარმა ის წაიკითხა, ძალიან გაიხარა. ამას დარწმუნებით ამბობს ადამიანი, რომელმაც ეს ქალაქები მთავარს გადასცა.

2. – ხომ არა გაქვთ რაიმე საბუთი, დამადასტურებელი იმისა, რომ მთავარი იქ ჩვენი ხელისუფლების სასარგებლოდ მოქმედებს?

– არც ამის შესახებ მაქვს რაიმე საბუთი, გარდა რწმენისა; ვფიქრობ, აქ ყველა დაადასტურებს: მას რომ სხვანაირად ემოქმედა, უკიდურეს შემთხვევაში, სამეგრელოს საზღვართან მაინც იქნებოდა შიშინაობა. იქ კი არასოდეს ყოფილა ისეთი სიმშვიდე, როგორიც ახლაა.

აქ მე დავსვი საკითხი, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი:

3. – დიდი სურვილი მაქვს, თუკი ეს შესაძლებელია, ვიცოდე შინაარსი და მიზანი იმ წერილისა, რომელიც, როგორც ამბობენ, მიგინერიათ... დიმიტრი შარვაშიძისთვის.

ნათქვამმა იგი უკიდურესად ააღელვა – თითქოს მთელი სისხლი სახეზე მოაწვა.

– ყველაფერს აგიხსნით, – მითხრა მან. – მაგრამ ჯერ ჩემი აღელვების მიზეზის შესახებ უნდა მოგახსენოთ. დიმიტრი შარვაშიძე მიყვარდა და მიყვარს როგორც ახლო ნათესავი და ერთი უჭკვიანესი პიროვნებათაგანი აფხაზეთში. მას შეეძლო მთავრისთვის დიდად სასარგებლო ადამიანი ყოფილიყო, რომ არა, ჩემდა საუბედუროდ, მათ შორის ჩამოვარდნილი ჩემთვის უცნობი მიზეზით გამოწვეული უკმაყოფილება. მე ყოველთვის მათს დაშოშმინებასა და შერიგებას ვცდილობდი, მაგრამ არასოდეს ეს არ გამომდიოდა. ამჟამად დიმიტრი აქ არის და მითხრეს, რომ, მსგავსად მთავრის მტრებისა, ისიც ამტკიცებს – მთავარმა რუსებს უღალატაო. მე მას ჩემი ნათესაური სიყვარულის უფლებით, იმ სიყვარულისა, რომელსაც მისი, როგორც ძმის, მიმართ განვიცდი, წერილი მივწერე და ვევედრებოდი, დაევიწყებინა ყოველგვარი უსიამოვნება და მთავრის სასარგებლოდ ემოქმედა. აი, ამ სიტყვებს აძლევენ ისეთ აზრს, რომლის მსგავსიც შეუძლებელია გულში გამევილო. გეფიცებით მთავრის მადლსა და სინმინდეს, გეფიცებით ჩემი შვილების სიცოცხლესა და ბედნიერებას, იოტისოდენა ეჭვიც კი არ მეპარება ხელმწიფისა და რუსეთის მიმართ მთავრის ერთგულებაში. ამიტომაც გული მტკივა, როცა მესმის – ღალატს სწამებენო! კიდევ ერთხელ გეფიცებით: არ მქონია არავითარი სხვა მიზანი, გარდა იმისა, რომ ეს მითქმა-მოთქმა გამექარწყლებინა. დიმიტრიმაც სწორედ ასე გაიგო ჩემი წერილი, რის დამადასტურებელ საბუთსაც ახლავე წარმოგიდგენთ. თუმცა ჩემი აზრი შემდეგ დამახინჯებულად გაავრცელა და მისი ეს საქციელი ჩემთვის უკიდურესად საწყენია. მე მისგან ამას არ ველოდი! ბევრისგან გამიგონია – მუხრანსკის აჩვენა წერილი იმის დასადასტურებლად, თითქოს მე მთავარს ღალატისკენ ვაქეზებდი, შემდეგ კოლიუბაკინს აჩვენა, შემდეგ კიდევ სხვას და აი, რა ინვეს ჩემს ასეთ აღელვებას, როცა ამის შესახებ სიტყვას ჩამომიგდებენ. გემუდარებით, სთხოვეთ მას, გაჩვენოთ ჩემი წერილი; თქვენ

უარს არ გეტყვით. მხოლოდ ამის შემდეგ განსაჯეთ, ვინ არის ჩვენ შორის მართალი. აი, ჩემდამი მისი პასუხი.

მან კოლოფიდან დიმიტრი შარვაშიძის წერილი ამოიღო და წასაკითხად გადმოძცა. წერილიდან მართლაც ირკვევა, რომ ალექსანდრა ადრესატს სთხოვდა, დაევიწყებინა მთავართან მტრობა, ურჩევდა მთავრის სასარგებლოდ მოქმედებას, სთხოვდა, არ დაეშვა ხალხში მითქმა-მოთქმა, თითქოს მთავარი აფხაზეთში არაკეთილსაიმედო მიზნებით დაბრუნდა. დიმიტრის პასუხი კი იყო, რომ იგი მთავრის მტერი არასოდეს ყოფილა, ხალხს ლაპარაკს ვერ დაუშლის, ხოლო რაც შეეხება მთავრის სასარგებლოდ მოქმედებას, ეს უკვე შეუძლებელია, რადგანაც მთავარი აფხაზეთშია, თვითონ კი აქ იმყოფება.

ამ მიმოწერის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მთავრის მეუღლეს დამამშვიდებელი სიტყვებით მოვახსენე – რომ, სანამ მთავარი აფხაზეთშია, თურქების ხელში იმყოფება და, მიუხედავად ამისა, ჩვენი ხელისუფლების ერთგულებას ინარჩუნებს, მისი პირადი უსაფრთხოებისთვის, ჩემი აზრით, უკეთესიცაა აქ სწორედ ის ხმები დადიოდეს, რასაც მისი მტრები ავრცელებენ, ანუ, რომ მთავარმა გვიღალატა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქები მასზე ეჭვს მიიტანენ და ეს მთავარს დიდ საფრთხეს შეუქმნის-მეთქი.

ეს აზრი მას გარკვეულ სიახლედ მოეჩვენა. ამასთანავე, შეშფოთებულმა თქვა, რომ თურქებმა მართლაც აიღეს ეჭვი. იმაშიც დამეთანხმა, რომ, რაც არ უნდა გულსატკენი იყოს მისთვის, არ ღირს საფრთხედ აღვიქვათ ის სისულელებები, აქ ჭორად რომ ყვებიან. მთავარია, მიხეილის კეთილ განზრახვებში აქაური ხელმძღვანელობა იყოს დარწმუნებული.

4. – უკანასკნელი კითხვა, დედოფალო! მართალია თუ არა, რომ მთავარი ერთი წერილით თქვენგან აფხაზეთში ჩასვლას მოითხოვდა, მეორე წერილით კი ჩასვლას გიკრძალავდათ?

მან მეორე კოლოფი მოითხოვა, ამოიღო იქიდან წერილი და მითხრა:

– როდესაც მთავარი აფხაზეთში ჩავიდა და იქ ჰკითხეს – ცოლ-შვილი რუსებს რატომ დაუტოვეო, წერილი გამომიგზავნა და მომთხოვა, შვილებითა და მთელი ჩემი ქონებით მასთან დავბრუნებულიყავი. მან ეს წერილი აშკარად და დაუფარავად გადასცა გრიგოლ შარვაშიძეს და დაავალა კიდევაც ჩემი აქედან აფხაზეთში წაყვანა. გრიგოლ შარვაშიძე მართლაც ჩამოვიდა და მთავრის ეს მოთხოვნა გამომიცხადა. თითქოს მეხი დამეცაო. სიტყვებით ვერ აგინერთ ჩემს მაშინდელ სასონარკვეთას. მამაჩემი მაშინ ლაშქრობაში იყო ქობულეთში. ვერც ვერავის დავეთათბირებოდი. ასე რომ, მეუღლის მოთხოვნის შესრულება მიწევდა. ერთთავად განზილებულმა და სულიერად განადგურებულმა ყველას მოვთხოვე, მარტო დავეტოვებინე. საბედისწერო წერილის ნაკითხვიდან რამდენიმე საათის შემდეგ მართლაც ყველა გასული იყო, გარდა ერთი მოახლისა, რომელმაც საიდუმლოდ გადმომცა – მიხეილის ყველაზე ერთგულ მსახურს, რომელიც გრიგოლ შარვაშიძეს მთავრის მოთხოვნის ნამდვილობის დასადასტურებლად ახლდა, ჩემთან პირისპირ შეხვედრა სურდა. დავთანხმდი. იგი დიდი სიფრთხილით შემოვიდა, აი, ეს წერილი გადმომცა და გაქრა.

წერილი, რომელიც ხელში ეჭირა, გამომიწოდა. ნავიკითხე და მთავრის მეუღლეს ვკითხე – ხომ არ შეეღეოდა ამ წერილს და ხომ არ მომცემდა ნებას, იგი პირდაპირ ასე, დედნის სახით, ხელმძღვანელობისთვის გადამეცა?

სიამოვნებით დამთანხმდა.

წერილს თან ვურთავ, ხოლო მის ზუსტ შინაარსს აქვე გამოვცემ:

„საყვარელო ალექსანდრა! გრიგოლ შარვაშიძეს და ქირტაგუს იმისთვის ვაგზავნი, რომ შენ და ბავშვები აფხაზეთში გადმოგიყვანონ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდე და არ ნამოხვიდე. ვინმემ ეჭვი რომ არ აილოს, დააყოვნე ისინი, რამდენადაც ამას შეძლებ. როცა მამაშენი დაბრუნდება, დანარჩენს ის მიხედავს. აჩვენე მას ეს წერილი და იმას გააკეთებს, რაც საჭიროა. უბრძანე, რომ გიორ-

გი (უფროსი ვაჟი) ლეჩხუმში კი არ წაიყვანონ, არამედ შენ-
თან მოიყვანონ. ბაბუშა (უმცროსი ვაჟი) ჩქოტუებს მიაბარე
– ბუზღუნებენ, რომ გამზრდელებს ბავშვი წავართვი. მალე
ვერ დავბრუნდები, თუმცა ჩემზე არ იდარდო. პატარა გი-
ორგი გაგართობს. შენი მიხეილ შარვაშიძე. 18 მაისი. 1855.
ოჩამჩირე“.²⁸

წერილი მიხეილის ხელითაა დაწერილი.

– ამ წერილმა გამაცოცხლა, – მიყვება მთავრის მეუღლე.
– გრიგოლ შარვაშიძესა და სხვებს შენუხებულები სახით გა-
მოეუცხადე, რომ ლაშქრობიდან მამაჩემის დაბრუნებამდე
ვერსად წავიდოდი – იქნებ ამის მეტად იგი ველარც ვიხილო-
მეთქი. მამა დაახლოებით ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა.
ზუგდიდში გაუგია, რასაც მეუღლე ჩემგან ითხოვდა და მწუ-
ხარებისა და სირცხვილისაგან ადამიანის ფერი არ ედო. რო-
ცა ჩემგან საქმის ნამდვილი ვითარება შეიტყო, გამოგზავნილ
პირებს გამოუცხადა: „მიხეილ შარვაშიძის უფლება საკუთარ
ცოლ-შვილზე იმ წუთიდან შეწყდა, რა წუთიდანაც იგი ჩვენი
მტრების მხარეს გადავიდა. ახლა კი ჩემი ქალიშვილისა და
მისი შვილების აფხაზეთში წაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში
მოხერხდება, თუ ჩემს გვამზე გადაივილიან. გადაეცით ეს ჩემ-
გან მიხეილს. მან იცის ჩემი სიტყვის ფასი“.

მთავრის მეუღლესთან ჩემი საუბარი ამით დასრულდა.

ადგილსამყოფელთან დაკავშირებით მითხრა, რომ საზამ-
თროდ მამის მამულში გადადის – ნოლაში. ჯერ ვერ ხედავს
საჭიროებას, საარსებო სახსრისთვის მთავრობას მიმართოს
და, თუ ამის აუცილებლობას დაინახავს, მიმართავს კიდევაც
და დარწმუნებულიც არის, მთავრობისგან შესაფერის დახმა-
რებას მიიღებს; სურს ვაჟიშვილის გაშვება სასწავლებელში,
მაგრამ ჯერ პატარაა და თავის გამზრდელს, თავადის ასულ
კესარიას, ვერ მოაშორებს.

გიორგი ქართულად უკვე თავისუფლად წერს და კითხუ-
ლობს, რუსულად წერა-კითხვას კი ჯერჯერობით ერთი იქა-
ური აზნაური ასწავლის.

ვინაიდან გამოსაკითხი აღარაფერი დარჩა, მის უგანათ-
ლებულესობასთან გამომშვიდობება გადავწყვიტე, თუმცა
მან მწყალობელი ყურადღება გამოიჩინა და მთხოვა – როცა
გამგზავრებას გადაწყვეტთ, კიდევ ერთხელ მინახულეთო.

გიორგი დადიანთან ურთიერთობა გულწრფელ მეგობრო-
ბაში გადაიზარდა. სწორედ ამ მეგობრობის უფლებით ვკითხე
– ხომ არ არის შესაძლებელი, მიხეილს ჩემი აქ ყოფნის ამ-
ბავი გადასცეთ, იქნებ რაიმე მნიშვნელოვანის შეტყობინება
სურს-მეთქი.

მიჩნეულ იქნა, რომ მთავართან სანდო კაცის გაგზავნა
შესაძლებელიც იყო და – საქმისთვის გამოსადეგიც. მთავ-
რის მეუღლემ ისურვა, მთავრისთვის წერილი მეც მიმეწერა
– მტკიცე და დაბეჯითებული წერილი, რათა იგი დარწმუნე-
ბულიყო, მართლაც რამდენად აუცილებელი იყო სარწმუნო
ცნობები მასზე და მის სასარგებლოდვე. მეც, ჩემდათავად,
საჭიროდ მივიჩნიე, გამეზიარებინა მთავრის მეუღლის სურ-
ვილი და მიხეილს ასეთი შინაარსის წერილი მივწერე: ადგი-
ლობრივ და უმაღლეს ხელისუფლებას, რომელსაც დიდი ხა-
ნია არა აქვს სანდო ცნობები თქვენ შესახებ და, ამასთანავე,
ესმის ნაირგვარი არასასურველი მითქმა-მოთქმა, ამ ცნობე-
ბის მოსაპოვებლად უკიდურესად გასაიდუმლოებული მისი-
ით მე გამომგზავნა. ცნობები უხვად მოვიპოვე, მაგრამ მათს
სიზუსტესა და სანდოობაში დასარწმუნებლად აუცილებელია
ვიცოდე: ა) ჰქონდა თუ არა მას მიღებული ხელისუფლების
თანხმობა აფხაზეთში დასაბრუნებლად? და ბ) რაში გამოიხა-
ტება მისი მოქმედებები რუსეთის სასარგებლოდ?

ამ წერილით დედოფალი და მამამისი დიდად კმაყოფილნი
დარჩნენ. თ-დმა გიორგიმ იმედიანად მითხრა, რომ ჰასუსხს მი-
იღებდა და მას 7-8 დღეში ქუთაისში მომანვდიდა.

ნასადილევს გამოვემშვიდობე მთავრის მეუღლეს და კურ-
ზუდან გზას დავადექი. ღამე სალხინოში გავათიე, 26-ში მარ-
ტვილში გავიარე, მაგრამ მამა მაჭავარიანი იქ არ დამხვდა;
მის ნათესავებს დავუბარე გადაეცათ – საქმე მაქვს და ქუთა-
ისში შეხვედრას გთხოვთ-მეთქი.

სალამოს უკვე გორდში ვიყავი. სამეგრელოს დედოფალმა ფრიად კეთილგანწყობილად მიმიღო და სამეგრელოს საქმეებზე საუბრისას, სხვათა შორის, უკმაყოფილება გამოთქვა, რომ აფხაზეთის დედოფალი მის სამფლობელოში ცხოვრობს; მიხეილ შარვაშიძეს დაბეჯითებით ჩვენი ხელისუფლების მოლაპატედ მიიჩნევს; დიდად აქებს დიმიტრი შარვაშიძის ქკუას, კეთილშობილებასა და რუსეთისადმი ერთგულებას (დიმიტრი შარვაშიძე დაქორწინებული იყო ან განსვენებული დავით დადიანის ღვიძლ დაზე, ისევე, როგორც, სხვათა შორის, დავით დადიანის ღვიძლ დაზეა დაქორწინებული თ-დი მუხრანსკიც²⁹).

27 რიცხვში იქვე შევხვდი თავადის ასულ მენიკს, რომელიც სამეგრელოს დედოფალთან ცხოვრობს. იგი ვრცლად მელაპარაკა თავის საქმეებზე და თითქმის იმავე სიტყვებით, რა სიტყვებითაც სამეგრელოს დედოფალი ლაპარაკობდა, მესაუბრა მიხეილ და დიმიტრი შარვაშიძეების შესახებ. მან მომანოდა ისეთი ცნობებიც, რომლებსაც ჩემს საქმესთან კავშირი არ ჰქონია. თავს ნებას მივცემ და ვიტყვი – ეს ცნობები ყალბი იყო და უსაფუძვლო.

28 რიცხვში დავბრუნდი ქუთაისში, ეკიპაჟის შეკეთება მოვიმიზეზე და გიორგი დადიანის შიკრიკის მოლოდინსა და ჩემი ჩანაწერების მონესრიგებაში ამა თვის 8 რიცხვამდე იქ დავყავი. მაგრამ შიკრიკი არ გამოჩნდა.³⁰ არც მამა მაჭავარიანი გამოჩენილა.

ამასობაში ქუთაისშივე მიხეილ შარვაშიძის შესახებ შემდეგი ცნობები გავიგე:

„ერთი აფხაზის თქმით, რომელმაც 23 სექტემბერს ომერფაშა მისსავე კაბინეტში ნახა, ომერი მიხეილ შარვაშიძეს რუსულად მიესალმა: „Здравствуй, Михаил!“ სოხუმში გადმოსხმული 11-12-ათასიანი ჯარის დათვალიერების შემდეგ ომერფაშა ისევ მიხეილ შარვაშიძესთან მივიდა და საკმაო ხანს რუსულად ელაპარაკა, თუმცა რა უთხრა, ცნობილი არ არის. ვარაუდობენ, რომ მან მიხეილს გამოუცხადა: „თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ რუსებთან დაბრუნდეთ. აქ არავინ გაკავებთ“.

საერთოდ მიხეილს იქ არცთუ თავაზიანად ეპყრობიან. ზემოთ ნახსენები ხანი, იბრაჰიმი, ისევ გამოჩენილა აფხაზეთში და ომერ-ფაშასთანაც ძალიან დაახლოებულია.

ამ დღეებში ქუთაისში იმყოფებოდა მიხეილ შარვაშიძესთან დიდხანს ნამსახური და მისი ერთგული ადამიანი – სახელად ისლამი, რომელიც აფხაზეთის ეპისკოპოსის სამსახურშიც ირიცხება თარჯიმნად. მისი თქმით: „მიხეილმა, როცა შეიგყო, რომ ანატოლიაში 700 აფხაზი იყო საბრძოლველად გაგზავნილი, მათი დაბრუნება მოითხოვა და ახლახან ისინი მართლაც უკან დააბრუნეს. ხალხი ამით ფრიად კმაყოფილი დარჩა. სამეგრელოში ყოფნისას მიხეილმა მართლაც ითხოვა, მისთვის რაჭაში დროებით სახაზინო მამული გამოეყოთ, მაგრამ ამაზე უარი უთხრეს. რეადი და თ-დი ბარიატინსკი ინერებოდნენ, რომ სამხედრო რაზმს მისცემდნენ, მაგრამ არ მიუციათ. სახლის შექენა უნდოდა ქუთაისში, მაგრამ ვერც ეს მოხერხდა. ამასობაში მარშანიები, მარლანიები და სხვები ატყობინებდნენ – აფხაზეთი ირღვევაო და ისიც იქ დაბრუნდა. მხოლოდ მტრებს შეუძლიათ, ამას ყველაფერს ღალატი უწოდონ. მისდამი დამოკიდებულება დიმიტრი შარვაშიძისა, რომელსაც შემდეგ გრიგოლიც შეუერთდა, ყველასთვის ცნობილია. ის, რომ მიხეილი იქ რუსების სასარგებლოდ მოქმედებს, მალე დამტკიცდება“.

9 რიცხვში ქუთაისიდან ჩემს მამულში, ქვიშხეთში, ჩამოვედი და აქამდე ამ მოხსენების წერას მოვუწედი. ხვალ ან ზეგ თბილისისკენ გამოვემგზავრები.

12 ოქტომბერი 1855 წ.
სოფ. ქვიშხეთი. გორის მაზრა.

ამიერკავკასიის მხარის მიმოხილვა ინსტრუქციის პროექტი

შესავალი

§ 1

მიმოხილვის მიზანია, მხარეში ამჟამად შექმნილი მდგომარეობის, ხალხის საჭიროებების, საქმეთა მიმდინარეობის შესწავლა და ჯეროვანი მმართველობითი წესრიგის დამყარებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავება, რათა ამის საფუძველზე ხელისუფლებამ შეძლოს არსებული ვითარების მონესრიგება და სრულყოფა.

§ 2

საამისოდ საჭიროა მხარის ისეთი სისრულით წარმოდგენა, რომ შესაძლებელი სიცხადით გამოიკვეთოს:

1. მხარის მმართველობა როგორც ზოგადად, ისე მისი ცალკეული ნაწილებისა, და
2. ხალხის თანამედროვე ყოფითი პირობები მისი ყოველგვარი გამოვლინების მიხედვით.

[§] 3

პირველი, ე. ი. სახელისუფლებო მმართველობასთან დაკავშირებული, საკითხის დაწვრილებითი შესწავლით უნდა გაირკვეს:

1. რამდენად ეფექტურია დღევანდელი სამოქალაქო წყობილება?
2. რამდენად უპასუხებს დღეს მოქმედი დაწესებულებები

მხარის საჭიროებებსა და განვითარების პერსპექტივას და არის თუ არა ამ მიმართულებით ცვლილებები საჭირო?

[§] 4

მეორე, ე. ი. ხალხის ყოფით პირობებთან დაკავშირებული, საკითხების გამოკვლევით ცხადი პასუხი უნდა გაეცეს არსებითი მნიშვნელობის კითხვებს:

1. განსაზღვრულია თუ არა როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივ-ფენობრივი უფლებები?

2. განსაზღვრულია თუ არა ქონებრივი უფლებები?

3. არის თუ არა სათანადოდ დაცული ეს უფლებები, ანუ: პიროვნების უსაფრთხოება და საკუთრების ხელშეუხებლობა?

4. რომელი საკითხები თუ საზოგადოების საყოფაცხოვრებო პირობები მოითხოვს სახელისუფლებო ღონისძიებებს მათი გაუმჯობესებისა და მხარის სანარმოო ძალებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობების შემუშავებისათვის?

[§] 5

ხსენებულ საფუძვლებზე დაყრდნობით წინამდებარე ინსტრუქცია დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად: პირველი მიზნად ისახავს მმართველობითი სისტემის შესწავლას, მეორე – ხალხის ყოფის შესწავლას, ხოლო მესამე – რევიზორთა საქმიანობისა და ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობის განსაზღვრას.

ნაწილი პირველი

მმართველობის შესახებ

[§] 6

სახელისუფლებო დანესებულებების საფუძვლიანმა შესწავლამ უნდა მოგვცეს მმართველობის როგორც დადებითი

მხარეების, ისე ხარვეზების ამსახველი სურათი. ხარვეზების გამოვლენისას შეძლებისდაგვარად მითითებული უნდა იყოს მიზეზები, გამომდინარეობს თუ არა ისინი:

ა) რაიმე შეუსაბამობისაგან, გაურკვეველობისაგან, გაუგებრობისაგან ან ნაკლოვანი დადგენილებებისაგან;

ბ) დადგენილებათა არასწორი გამოყენებისაგან, რასაც შეიძლება შემსრულებელთა მხრიდან საფუძვლად ედოს ამ დადგენილებათა გაუგებრობა ან ბოროტად გამოყენება; ან კიდევ

გ) განსაზღვრული წესრიგის დაცვისთვის საჭირო საშუალებათა უკმარისობისაგან.

[§] 7

შეუსაბამობამ შეიძლება თავი იჩინოს, მაგალითად, სახელისუფლებო მოქმედების სივრცისა და თითოეული დანესებულების სამოქმედო არეალის განსაზღვრისას; ან: არსებული წესწყობილების პირობებში დანესებულებათა ურთიერთკავშირისას.

გაურკვეველობამ – დანესებულებებში სახელმძღვანელოდ მიღებულ განაწესთა რედაქციისას.

გაუგებრობამ – დანესებულებათა ან თანამდებობის პირთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას.

ზერელობამ – თვითონ დანესებულებებსა და წესდებებში.

[§] 8

ეს ყოველივე გამუდმებით უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული იმ დანესებულებათა მიმოხილვისას, ქვემოთ ჩამოთვლილ ოთხ განყოფილებაში რომ არის შესული და რომელთაგან I განყოფილება მოიცავს განმკარგულებელ და საპოლიციო, II – საფინანსო და ზოგადად სამეურნეო, III – სასამართლო და IV – სხვადასხვა ნაწილთა დანესებულებებს.

განყოფილება I

განმკარგულებელ და საპოლიციო დანესებულებათა შესახებ

საგუბერნიო მმართველობა

[§] 9

1. შეესაბამება თუ არა საგუბერნიო მმართველობის სისტემა მის ფუნქციებს?

2. დაცულია თუ არა დადგენილი ვადები საქმეთა წარმოებისას?

3. არსებობს თუ არა საქმეების განმკარგულებელი და აღმასრულებელი მიმართულებებით განაწილების მკაფიოდ განსაზღვრული წესები და რამდენად დაცულია ეს წესები პრაქტიკულ საქმიანობაში?

4. ხომ არ იწვევს რაიმე სახის უხერხულობებს საქმეთა განაწილების არსებული წესი?

5. არსებობს თუ არა სამეთვალყურეო მექანიზმი, რომელიც დააკვირდება, თუ რამდენად უწყვეტად და გამართულად მიმდინარეობს საქმეთა წარმოება როგორც საგუბერნიო მმართველობაში, ისე საქვეუწყებო დანესებულებებში?

6. არსებობს თუ არა ზედამხედველობა კანონთა შესრულებასა და იმ მიზეზთა აღმომფხვრელ საშუალებებზე, რომლებიც ხელს უშლის კანონის გამართულ მოქმედებას და დროულად ხდება თუ არა როგორც კანონთა, ისე ხელისუფლების დადგენილება-განკარგულებათა გამოქვეყნება?

7. ხომ არ არის შემთხვევები, როცა თვითონ მმართველობაში ან საქვეუწყებო დანესებულებებში თავს არიდებენ საქმისწარმოებასთან ან განსჯადობასთან დაკავშირებული ისეთი საექვო ვითარებების განხილვას, რომლებიც კანონთა გაგებასა და საპოლიციო უწყებების პრაქტიკულ საქმიანობას ეხება?

8. დაცულია თუ არა საჯარო ვაჭრობასთან დაკავშირებული გამოძახებებისა და თვითონ საჯარო ვაჭრობის დადგენილი წესები და ვადები?

9. დაცულია თუ არა დავალიანებულ ადგილ-მამულთან დაკავშირებული ზღვევინებისა და გაყიდვის დადგენილი წესები?

10. დაცულია თუ არა დადგენილი წესები სამძებრო და საპუბლიკაციო საქმეებში?

11. ხდება თუ არა საგუბერნიო მმართველობას დაქვემდებარებულ სასამართლო და საპოლიციო დაწესებულებებში კერძო საჩივართა გაჭიანურებულ წარმოებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა? მიღებულია თუ არა ქმედითი ზომები ამგვარი გაჭიანურების აღმოსაფხვრელად და ხომ არ ჩანს ასეთ შემთხვევებში საგუბერნიო მმართველობის მხრიდან ძალაუფლების წინასწარგანზრახული ან შეცდომისგან გამომდინარე გადამეტება; ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხომ არ შედის თვითონ საგუბერნიო მმართველობა საქმის არსებით განხილვაში?

12. არსებობს თუ არა მონაცემები ხალხთმოსახლეობის, ვაჭრობის, ფაბრიკული, ქარხნული, ხელოსნური და სხვ. წარმოების; – ფოსტის, გზების, ხიდების, გადასასვლელებისა და სხვ. მდგომარეობის შესახებ?

13. არსებობს თუ არა ზედამხედველობა ზომა-წონის საკითხებში?

14. მიღებულია თუ არა შესაბამისი ზომები უდავო ვალეზის გადაუდებელ გადახდევინებასთან დაკავშირებით, ხოლო სადავო ვალის შემთხვევაში, წარიმართება თუ არა საქმეები განსჯადობის მხრივ ჯეროვანი მიმართულებით?

15. არსებობს თუ არა მონაცემები გადასახადთა ნარჩენების შესახებ და ტარდება თუ არა ზღვევინების სათანადო ზომები?

16. ტარდება თუ არა შესაბამისი მუშაობა და რეალურად რა ხარისხით არის დაცული კანონით გათვალისწინებული ზომები გადამდებ სნეულებათა გაჩენისა და პირუტყვის დაცემის აღსაკვეთად?

17. ხომ არ ხდება კერძო პირებზე პასპორტებისა თუ სხვა საბუთების გაცემის უსაფუძვლო გაჭიანურება და დაცულია თუ არა წესრიგი საბუთებით მომარაგების საქმეში?

18. ხდება თუ არა ჯეროვანი ზომების მიღება მათხოვრობის, მანანალობის, გაქცეულთა და უპასპორტოთა დამალვა-შეფარების აღსაკვეთად?

19. უყურადღებოდ ხომ არ არის დატოვებული მებატონეებისგან გლეხთა გაქცევასთან დაკავშირებული საქმეები ან ხომ არ ჩანს ამ საკითხისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება?

20. გაიცემა თუ არა ხელმძღვანელობის მიერ გუბერნიის მიმობილვასთან დაკავშირებული სათანადო განკარგულებები და ხორციელდება თუ არა ზედამხედველობა ამ განკარგულებათა შესრულებისა თუ უმაღლესი ხელისუფლების შენიშვნების გათვალისწინების მხრივ?¹

21. მოიპოვება თუ არა მონაცემები საადგილმამულო საკუთრებასთან ან მათ მფლობელებთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ?

22. დანესებულია თუ არა შესაბამისი მეთვალყურეობა მეურვეობაში ან სახაზინო მმართველობაში ადგილ-მამულის გადაცემასთან დაკავშირებულ საქმეებზე?

23. გაიცემა თუ არა სათანადო ნებართვები თხოვნაზე – დაარსდეს საშუამავლო კომისიები, ნაცვლად სათავადაზნაურო მამულებზე დანესებული კონკურსებისა?²

24. მოიპოვება თუ არა მონაცემები გუბერნიაში მყოფ ყველა პატიმარზე; ხორციელდება თუ არა ზედამხედველობა ციხის პოლიციასა და პატიმართა კვებისა და ცხოვრების პირობებზე?

25. მიმდინარეობს თუ არა მეთვალყურეობა, რომ დასჯის ფორმად გამოიყენებოდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საშუალებები, ხოლო წამება არსად არავითარი ფორმით არ იქნეს დაშვებული?

26. ხდება თუ არა სათანადო მეთვალყურეობა პატიმართა გადაყვანა-გადმოყვანაზე; ხდება თუ არა მათი მომარაგება

კანონით გათვალისწინებული საშუალებებით, ნივთებითა თუ კვებისთვის საჭირო ფულით?

27. თანაბრად ვრცელდება თუ არა მთელ ტერიტორიაზე საგუბერნიო მმართველობის ძალაუფლება? თუკი მიმოხილვისას გამოვლინდება მმართველობითი ძალაუფლების გადამეტების ან შესუსტების შემთხვევები, შესაძლებელი სიზუსტით უნდა გაირკვეს როგორც თვითონ შემთხვევის რაობა, ისე გამომწვევი მიზეზებიც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: ა) ხომ არა აქვს საგუბერნიო მმართველობას მითვისებული სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება? ბ) ხომ არ ერევა საგუბერნიო მმართველობა მისი უფლებამოსილების გარეთ მყოფ დაწესებულებათა საქმეებში? გ) ხომ არა აქვს გამართული დავა-კამათი ხელისუფლებასთან, ანუ უსაფუძვლოდ ხომ არ ეწინააღმდეგება მთავარ-ხელმძღვანელობას და ხომ არ აბრკოლებს დაქვემდებარების გარეთ მყოფი დაწესებულებების მისამართით გაცემულ განკარგულებებს?

28. ან ხომ არ ასუსტებს საგუბერნიო მმართველობა საკუთარ უფლებამოსილებას:

ა) ნიშნავს თუ არა დაქვემდებარებულ თანამდებობებზე ღირსეულ და ათავისუფლებს თუ არა სამსახურიდან არაკეთილსინდისიერ და უმაქნის ჩინოვნიკებს?

ბ) ართმევს თუ არა თავს საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და კანონის აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს?

გ) ხომ არ იყენებს იძულებას დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და პირების მიმართ?

დ) რამდენად სამართლიანია დაქვემდებარებულ დაწესებულებათა თუ პირთა დასჯის ფორმების განსაზღვრისას?

ე) ახორციელებს თუ არა დევნას თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და თანამდებობრივი დანაშაულის შემთხვევებში?

29. დაცულია თუ არა წესები – და, სახელდობრ, რომელი – საქმეთა წარმოებისას?

30. დაცულია თუ არა წესრიგი ფულის ბრუნვასთან დაკავშირებით?

31. მზადდება თუ არა წარსადგენად შესაბამისი ანგარიშები?

საგუბერნიო მმართველობის კანცელარია

[§] 10

1. ჯეროვანი თანაბრობით ნაწილდება თუ არა საქმეები კანცელარიის განყოფილებებსა და მაგიდებს შორის?

2. შეესაბამება თუ არა საერობო ბეგარასთან დაკავშირებული სპეციალური მაგიდა თავის დანიშნულებას?

საგუბერნიო არქივი

[§] 11

რა მდგომარეობაშია არქივი; სრულდება თუ არა საარქივო საქმეების დაცვა-შენახვის დადგენილი წესები; ხდება თუ არა მათი პერიოდული შემოწმება და გადასინჯვა?

საექიმო მართვა-გამგეობა

(საგუბერნიო ექიმები)

[§] 12

1. მონესრიგებულია თუ არა სათანადოდ და დროულად მიწოდება თუ არა დანიშნულებისამებრ მონაცემები ექიმების, საექიმო სასწავლებელთა მოსწავლეების, ბებიაქალების შესახებ, დაწესებულია თუ არა ჯეროვანი მეთვალყურეობა თანამდებობრივ განწესება-ჩანაცვლებასა თუ ვაკანტური თა-

ნამდებობების შევსებაზე? ეძლევათ თუ არა მათ სათანადო რჩევა-დარიგებები? მარაგდებიან თუ არა ექიმები ქირურგიული ინსტრუმენტებით?

2. სრულდება თუ არა დადგენილი მოთხოვნები აფთიაქების შესახებ; მიმდინარეობს თუ არა მათი შემონახვა და რა შედეგები მოაქვს ამას?

3. განიხილება თუ არა სახაზინო აფთიაქების პონდერაცია?³

4. არსებობს თუ არა ზედამხედველობა სავაჭრო რიგებში სააფთიაქო მასალის – განსაკუთრებით, შხამის შემცველი ნივთიერებების – გაყიდვაზე?

5. ხდება თუ არა საავადმყოფო დაწესებულებების შემონახვა?

6. არსებობს თუ არა სათანადო ზედამხედველობა პატიმართა მკურნალობაზე?

7. მიმდინარეობს თუ არა ზრუნვა სახალხო ჯანმრთელობაზე, პირუტყვის დაცემის გამომწვევი მიზეზების აღკვეთაზე?

8. დგება თუ არა გუბერნიის ფიზიკური და ტოპოგრაფიული აღწერილობები?

9. არსებობს თუ არა მეთვალყურეობა სურსათ-სანოვაცის ვარგისიანობაზე?

10. მონმდება თუ არა მალფუჭებადი კოსმეტიკური ნივთიერებები, წყლები, სურსათ-სანოვაცე, სასმელები, საკაზმი?

12.⁴ უწევს თუ არა მოსახლეობას დახმარებას და ხდება თუ არა სათანადო ზომების მიღება მასობრივ ავადმყოფობათა გავრცელებისას?

13. არსებობს თუ არა ზედამხედველობა ჰომეოპათიურ მკურნალობაზე?

14. მიმდინარეობს თუ არა და რამდენად ეფექტურია ყვავილის საწინააღმდეგო აცრა?

15. დაწესებულია თუ არა მეთვალყურეობა და მიღებულია თუ არა სათანადო ზომები სიფილისურ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგოდ?

სამშენებლო კომისია

[§] 13

სამშენებლო კომისიის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახელისუფლებო ორგანიზაცია-დანესებულების, მიმოხილვისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ზემოაღნიშნული (საგუბერნიო მმართველობა) პრინციპებით; კერძოდ: ა) შემადგენლობისა და ფუნქციების შესაბამისობა; ბ) საქმეთა წარმოების ვადები; გ) ვადები და ზოგადად საქმეთა წარმოების წესები სავაჭრო საქმეებში; დ) მიზანშეწონილი მოქმედებები სახელისუფლებო ძალაუფლებით განსაზღვრულ სივრცეში; ე) ჩარევა სხვა დანესებულებათა განკარგულებებში; ვ) დავაკამათი; – ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ შემთხვევებს:

1. ხომ არ ხდება უსაფუძვლო გაჭიანურება ან დარღვევები კერძო პირებისთვის ნაგებობათა აშენებასა თუ გადაკეთებაზე ნებართვების გაცემისას და არსებობს თუ არა ამგვარი ნებართვების გაცემისას შესაბამისი მონაცემები?

2. დაცულია თუ არა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის დადგენილი წესები; მოწმდება თუ არა, რამდენად შეესაბამება მშენებლობა ან შეკეთება-გადაკეთება ხელისუფლების განკარგულებებით განსაზღვრულ წესებს და არსებობს თუ არა ამის თაობაზე სათანადო მონაცემები?

3. არსებობს თუ არა, და, თუ არსებობს, რამდენად დამაკმაყოფილებლადაა დაცული მონაცემები იმ ნაგებობათა შესახებ, რომლებიც დამხმარე კაპიტალიდან აღებული სესხითაა აშენებული?

4. რამდენად ღიად და მკაფიოდ ხდება დამხმარე კაპიტალის ბრუნვა და რა ვითარებაა ამ მხრივ, ანუ: მიმდინარეობს თუ არა როგორც კერძო პირების, ისე სახაზინო დანესებულებების მიერ კომისიისგან აღებული სესხების, აგრეთვე, კომისიის მიერ ასტრახანის „პრიკაზიდან“ ნასესხები კაპიტალის ვადებით განსაზღვრულ დროში დაფარვა?

5. არსებობს თუ არა მონაცემები კომისიის უწყებრივ დაქვემდებარებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მათი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ?

6. ხომ არ ზარალობს ხაზინა რემონტსა თუ ზოგადად მშენებლობებსა და გადაკეთებებზე განეული არამიზანშენონილი ხარჯებისგან?

შენიშვნა: წინა ორ პუნქტთან დაკავშირებული მონაცემები ქუთაისის, ერევნისა და შემახის გუბერნიების შემთხვევებში აღებულ უნდა იქნეს საგუბერნიო მმართველობის საქმეებიდან; დერბენტის შემთხვევაში – სამხედრო გუბერნატორის კანცელარიიდან; ჭარ-ბელაქნის ოლქის შემთხვევაში – საოლქო მმართველობის საქმეებიდან.

სამაზრო და საუბნო მმართველობები

[§] 14

სამაზრო და საუბნო მართვა-გამგეობა განხილვას ექვემდებარება: როგორც **აღმასრულებელი** საპოლიციო დანესებულებები, როგორც **განმკარგულებელი** საპოლიციო დანესებულებები და როგორც დანესებულებები, რომლებსაც გარკვეული ხარისხით **სასამართლო** ძალაუფლებაც აქვთ მინიჭებული.

სასამართლო ძალაუფლების შესახებ თავის ადგილზე იქნება ნათქვამი.

როგორც განმკარგულებელ დანესებულებებს, მათ მოეთხოვებათ იგივე, რაც საგუბერნიო მმართველობებს, ოღონდ სამაზრო ან საუბნო საზღვრებში; ისეთი შემთხვევების გამოკლებით, როცა თავისი არსით, საქმე მათ არ ეხება: ა) მეთვალყურეობა დაქვემდებარებულ სასამართლო ან საპოლიციო დანესებულებებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ, მაგალითად, საუბნო მმართველობა; ბ) მეთვალყურეობა სა-

შუამავლო კომისიების დანესებულებებზე; გ) სასამართლო ძალაუფლების მინიჭება.

რაც შეეხება **აღმასრულებელ** პოლიციას, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

1. ხომ არ არის შემთხვევები, როცა არ სრულდება ვალდებულება: დაცული იყოს საეკლესიო წეს-ჩვეულებათა აღსრულების უფლება; სიმშვიდე და წესრიგი ღვთისმსახურებისას; განსხვავებული რწმენის თავისუფლება; მორჩილება სახელისუფლებო წესრიგისადმი; აღკვეთა მოქმედებებისა, რომლებიც ხელს უშლის სარწმუნოებრივი მოვალეობის აღსრულებას; აკრძალული საზოგადოებებისა და შეკრებების აღკვეთა; მწვალებლობის, ცრურწმენაზე დაფუძნებული წეს-ჩვეულებების, საცდურის, ერესისა და განხეთქილების თავიდან აცილება; ურჩობის, თვითნებობისა და საზოგადოდ მშობლებისა და მესაკუთრეებისადმი დაუმორჩილებლობის დაუშვებლობა?

2. მიღებულია თუ არა სათანადო ზომები ლოთობის, ჩხუბის, აყალმყალის, დუელის, მევახშეობის, აკრძალული თამაშების, მფლანგველობის, მოტყუების, თაღლითობის, ცილისწამებისა და პასკვილის აღმოსაფხვრელად; შხამიანი ნივთიერებების გაყიდვაზე ზედამხედველობის დასამყარებლად?

3. არსებობს თუ არა მონაცემები ახალშობილთა, ახალდაქორწინებულთა, გარდაცვლილთა შესახებ?

4. ხდება თუ არა სამსახურებში დაბარება იმ პირებისა, რომლებმაც საშვებულებო ვადებს გადააცილეს?

5. მიიღება თუ არა დროული ზომები ქურდებისა და ყაჩაღების, გაქცეულთა დამალვა-შეფარების წინააღმდეგ?

6. ხდება თუ არა სათანადო ხელის შეწყობა პოლკების, რაზმების, რეკრუტთა ჯგუფების, ტუსაღთა და მსჯავრდებულთა გადაადგილებისას?

7. დაცულია თუ არა გზების გამართულობა და მიმოსვლის უსაფრთხოება?

8. დაწესებულია თუ არა მეთვალყურეობა სოფლების კეთილმონყობასა და სისუფთავეზე?

9. დაცულია თუ არა ქონება გარდაცვლილებისა, რომლებსაც მემკვიდრეები არ დარჩათ?

10. მიიღება თუ არა ზომები ხანძრებისა და წყალმოვარდნების წინააღმდეგ?

11. არსებობს თუ არა ზედამხედველობა მაზრებში, რათა სავაჭრო საქმეები წესისამებრ მიმდინარეობდეს?

12. აღკვეთილია თუ არა ნადირობა აკრძალულ პერიოდებში?

13. მონესრიგებულია თუ არა მონაცემთა მიღება უბედურ შემთხვევებზე; მიმდინარეობს თუ არა საქმეთა დროული გამოძიება, განსაკუთრებით, სიკვდილის შემთხვევებში?

14. პატრონობენ თუ არა მიტოვებულ ჩვილებს; ზრუნავენ თუ არა ავადმყოფებზე?

15. იკრიბება თუ არა დადგენილი მონაცემები:

ა) ნათესების, პურის მოსავლის, თივის დამზადების შესახებ?

ბ) სურსათის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ფასების შესახებ?

16. ტარდება თუ არა ჯეროვანი ზომები გადასახადების ნარჩენებისა და, საერთოდ, სახაზინო დანარიცხების ამოსაღებად და ხომ არ გვხვდება ამ მხრივ რაიმე ფორმით ძალაუფლების ბოროტად გამოყენება?

17. ტარდება თუ არა ზომები კონტრაბანდის აღსაკვეთად და ხდება თუ არა საბაჟო უწყებებისთვის სათანადო ხელის შეწყობა?

18. აღკვეთილია თუ არა ძალადობა და თვითნებობა და ხომ არ არის შესუსტებული საპოლიციო ძალაუფლება ასეთი შემთხვევების აღკვეთისას?

19. დროულად ხდება თუ არა დანაშაულებრივი საქმეების გამოძიება, საამისოდ საჭირო ჩხრეკების ჩატარება და დამნაშავეთა დაპატიმრება?

20. მიმდინარეობს თუ არა მიტაცებასა თუ მითვისებასთან დაკავშირებული საჩივრების სათანადო განხილვა?

21. ხომ არ ჭიანჭურდება კანონის დარღვევით უდავო ვალდებულებებთან დაკავშირებული ზღვევინება?

22. დროულად ხდება თუ არა სასამართლოში გამოძახების შეტყობინება?

23. ხომ არ ჭიანჭურდება ან არასწორი მოქმედებების გამო ხომ არ ბრკოლდება საკუთრებასთან დაკავშირებული აქტივების ძალაში შესვლა?

24. დაცულია თუ არა სათანადო წესები განაჩენის გამოტანისას და ზოგადად სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას?

25. დაცულია თუ არა ჯარების ყაზარმებში დაბინავების, საერობო დაწესებულებების მიერ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, უსაფრთხო გადაადგილებისა და სამხედრო ტვირთის გადაზიდვისას სათანადო ქვითრების გამონერის დადგენილი წესები? ამ საქმეს საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს პოლიციამ, რადგანაც მთავარხელმძღვანელობაში არაერთხელ შემოსულა საჩივრები და ცნობები მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო გადაცდომებისა თუ დარღვევების შესახებ.

26. ირიცხებიან თუ არა საერობო პოლიციის უწყებაში გადამდგარი ან სამხედრო სამსახურიდან უვადოდ გათავისუფლებული დაბალი ჩინის პირები და მოიპოვება თუ არა მათ შესახებ სათანადო მონაცემები?

27. ხომ არ ვრცელდება მაზრებში აკრძალული ან ცენზურაგაუვლელი წიგნები და ამორალური ესტამპები?

28. ეცნობება თუ არა სადაც ჯერ არს იშვიათობებისა და სიძველეების შესახებ?

29. სრულდება თუ არა საზოგადოდ მაზრის მმართველებისა და საუბნო მსაჯულთა მიერ ის მოვალეობები, რომლებიც მათ კანონთა კრებულის 1855 წლის გამოცემის 312-ე, 314-ე, 351-362-ე მუხლებით აქვთ დაკისრებული?

საქალაქო პოლიცია

[§] 15

რაც სამაზრო და საუბნო მმართველობის შესახებ ზემოთ ითქვა, საქალაქო პოლიციაზეც ვრცელდება.

ამას გარდა, საქალაქო პოლიციის მიმოხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

1. დაცულია თუ არა წესრიგი და უსაფრთხოება სადღესასწაულო დღეებსა და საზოგადოებრივ შეკრებებზე?

2. აღკვეთილია თუ არა აკრძალული ლატარიები?

3. დაწესებულია თუ არა მზრუნველობა ვინაობაგაურკვეველ მიცვალებულთა დაკრძალვაზე?

4. იკრიბება თუ არა მონაცემები: ქალაქში მცხოვრებთა, ქალაქში შემომსვლელთა და ქალაქიდან გამსვლელთა შესახებ, – სხვა ქალაქებიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსულთა საზრდოთი უზრუნველყოფის საშუალებათა შესახებ?

5. არსებობს თუ არა ზედამხედველობა მშენებლობებზე და მიმდინარეობს თუ არა მშენებლობები დადგენილი წესებით; ხორციელდება თუ არა ზედამხედველობა ტრაქტირებსა და სამიკიტნოებზე?

6. ხორციელდება თუ არა მიტოვებულ ჩვილთა საქმეების გამოძიება?

§ 16

რაც უფრო ცხადად და საგნობრივად იქნება განმარტებული ინსტრუქციაში ჩამოთვლილი და სხვა დანარჩენი საკითხები, მით უფრო პირდაპირ მიგვიყვანს თვითონ ინსტრუქცია მიმოხილვის მიზანთან.

ამიტომ მოცემული განყოფილება, გარდა ჩამოთვლილი მოთხოვნებისა, ზოგად საკითხებთან დაკავშირებული განმარტებებითაც უნდა შეივსოს:

1. სად როგორ ხდება გადახდევინება **ნატურალური** ბეგრისა; რა ოდენობით; მიღებული იყო თუ არა შესაბამისი ზო-

მები ხალხში ბეგრის სიმძიმის შემსუბუქებისა და გათანასწოებისათვის; რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად ეს ზომები და, დასასრულ, რა საშუალებებით შეიძლება ნატურალური გადასახადის შემცირება, ასევე დაბეგრითა შორის ნატურალური გადასახადის შესაძლებელი სამართლიანობით განანილება?

2. სად და კონკრეტულად რა მიზეზით ხდება საზოგადოებრივი სიმშვიდის მეტ-ნაკლებად მკვეთრი დარღვევა; და იქ, სადაც შესაძლებელი იყო პოლიციური ზომებით ამგვარი დარღვევების აღკვეთა, გატარდა თუ არა შესაბამისი ღონისძიებები და, კონკრეტულად – რა ღონისძიებები; რატომ აღმოჩნდა ეს ღონისძიებები უშედეგო და რა ქმედითი ზომები უნდა გატარებულყო, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება მტკიცედ და სრულფასოვნად ყოფილიყო დაცული?

§ 17

შემდეგ – მოცემულ განყოფილებასთან დაკავშირებით აუცილებელია:

1. გასინჯვა იმ უწყება-შეტყობინებებისა, რომლებიც ქვემოთ, 56-ე პარაგრაფში, იქნება ნახსენები; რიცხობრივ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენის შექმნა საქმეთა წარმოების შესახებ, როგორც თითოეულ საქმეზე ცალ-ცალკე, ისე საერთო სურათის დასადგენად. რიცხობრივი მონაცემების მეშვეობით უნდა გაირკვეს:

ა) სად რამდენი საქმის წარმოება დაიწყო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში?

ბ) რამდენია ამ საქმეებიდან დასრულებული და არის თუ არა მათ შორის ისეთი საქმეები, რომლებსაც საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს არასწორი წარმოების ან არასწორი გადანყვეტილებების გამო?

გ) რამდენი საქმეა ამჟამად წარმოებაში? საერთო რაოდენობას უნდა დაემატოს ცალკე განყოფილება ისეთ საქმე-

ებთან დაკავშირებით, რომლებიც უკანასკნელ 3 წელიწადზე ადრეა დაწყებული და ჩამოთვლილ იქნეს ისინი დაწყების თარიღის მითითებით. საქმეთა წარმოების გაჭიანურების საყურადღებო მიზეზები გამოკვეთილ იქნეს მთელი თავისი სიცხადითა და კატეგორიულობით.

2. განმკარგულებელ და აღმასრულებელ დაწესებულებებში საქმისწარმოების არსებული წესის გამოკვლევისა და პრაქტიკულ ღირსება-ნაკლოვანებათა აღნიშვნის შემდეგ დაწვრილებით უნდა იქნეს გარჩეული მთავარხელმძღვანელობაში განსახილველად შემოსული მიწერ-მონერის შემცირების საკითხი; ყოველგვარი მორიდებისა და შეღავათის გარეშე უნდა იქნეს წარმოდგენილი მოსაზრებები და დასკვნები იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო საქმისწარმოებაში სწრაფი და ნათლად ჩამოყალიბებული მიწერ-მონერის დასამკვიდრებლად.

3. იმავე წესითა და იმავე საფუძველზე დაყრდნობით უნდა იქნეს განხილული მთავარხელმძღვანელობის განზრახულება საშტატო და შემადგენლობითი ცვლილებების შესახებ; წარმოდგენილ იქნეს მოსაზრებები და დასკვნები განმკარგულებელი და აღმასრულებელი ნაწილების იმგვარი შედგენილობის შესახებ, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მათ დანიშნულებას, ანუ საქმეთა წარმოებისას უწყვეტ, სწრაფ და სწორ მოქმედებებს.

სახელმწიფო ქონების მართვა

საგუბერნიო

§ 18

საგუბერნიო მმართველობის მიმოხილვისას საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს:

1. სახელმწიფო ქონების მართვის მხრივ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს საქმისწარმოება თბილისისა და შემა-

ხის სპეციალური განყოფილებების, – ქუთაისისა და ერევნის სპეციალურ მაგიდების მიერ?

2. არსებობს თუ არა სათანადო მონაცემები და ხორციელდება თუ არა მზრუნველობა: ა) სოფლის მოსახლეობისთვის საკმარისი მიწების გამოყოფაზე; ბ) სახელმწიფო გლეხების საბატონო მიწებიდან სახაზინო მიწებზე გადასახლებასა და კერძო პირთა პრეტენზიებისგან გადასახლებულთა დაცვაზე; გ) გადასახადებისა და საერობო ფულადი ბეგრის გადახდევენებასა და ნატურალური ბეგრის გათანაბრებაზე; დ) ღალის აკრეფაზე?

სამაზრო

§ 19

სამაზრო მმართველობის მიმოხილვისას ყურადღება მიექცეს:

1. რამდენად ზრუნავენ ტყეების დაცვაზე, რა ხარისხის ზედამხედველობა არსებობს ამ საქმეზე და ხომ არ არსებობს მაზრის მმართველთა მხრიდან მეტყვევთა დამოუკიდებლობის შეზღუდვის საფრთხე. –

2. დაცულია თუ არა და რა ხარისხითაა დაცული ტყის მცველთა დაკომპლექტებასთან დაკავშირებული წესები, აგრეთვე, უზრუნველყოფილი არიან თუ არა მეტყვევ მოხელეები საცხოვრებლთა და მართვა-გამგეობისთვის საჭირო საშუალებებით?

3. რამდენად ეფექტურად არის მაზრის ფარგლებში თავმოყრილი და ერთმანეთთან შეხამებული ადგილობრივი ხელმძღვანელობის, სატყეო უწყების, პალატებისა და სახელმწიფო ქონების საოლქო მმართველობის საქმეები და ვალდებულებები?

4. რამდენად არის დაცული სოფლის მოსახლეობა, რომელიც საბატონო მიწაზე ცხოვრობს?

5. ხდება თუ არა შუამდგომლობების, არზებისა და მოთხოვნების წარდგენა სადაც ჯერ არს სახაზინო სოფლების მიწებსა და ადგილ-მამულებთან დაკავშირებით?

6. ხომ არ არის თვითნებური ჩარევა გადასახადებისა და ბეგრის განაწილებისას?

7. არსებობს თუ არა მონაცემები სახაზინო-სამარაგო და საიჯარო მიწების შესახებ; მონმდება თუ არა, რამდენად მონესრიგებულია ასეთ მიწებთან დაკავშირებული ვითარება და რა ზომები ტარდება საიჯარო საფასურის გადახდასთან დაკავშირებული უნესრიგობების აღმოსაფხვრელად?

8. არსებობს თუ არა, კონკრეტულად რომელი და რამდენად სრულდება ნათესების, მეაბრეშუმეობისა და სახაზინო მეურნეობის სხვა დარგების მართვა-გამგეობის სპეციალური ინსტრუქცია?

9. რამდენად არის დაცული წესები, რომლებიც დაკავშირებულია: ა) სამრევლო სასწავლებლებთან; ბ) ზოგადად ქონების თაობაზე აღძრულ სარჩილებთან; გ) საზოგადოებრივ მოსაკრებლებსა და მათ აღნუსხვასთან; დ) ზოგადად ბეგარასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევასთან; და ე) ბეგების, ალაღარებისა და სხვ. შევიწროებისგან სოფლის მოსახლეობის დაცვასთან?

10. რამდენად შეესაბამებთან მეტყვევები თავიანთ დანიშნულებას?

11. დაცულია თუ არა სახელმწიფო ქონების სამაზრო მმართველობაში ძალაუფლების, დაქვემდებარებულობისა და მოხელეთა ურთიერთდამოკიდებულების დადგენილი წესები?

12. რამდენად შეესატყვისება თავის მიზნებს საეკლესიო მამულების მართვა-გამგეობის არსებული წესები?

13. გვხვდება თუ არა საქმეებში კერძო პირთა მიერ სახაზინო საკუთრების ან ხაზინის მიერ კერძო პირთა საკუთრე-

ბის ხელყოფის მაგალითები და ასეთი საქმეების სათანადო წესით განხილვისას უსაფუძვლო, გაუმართლებელ გადაწყვეტილებათა შემთხვევები?

სახელმწიფო ქონების მართვა-გამგეობის მიმოხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

1. სახელმწიფო ქონების ექსპედიციის მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც სახელმწიფო ქონების საგუბერნიო და სამაზრო დონეებზე მართვა-გამგეობის შესახებ 1849 წლის დებულების გადახედვას ეხება.

2. გუბერნიის ხელმძღვანელთა წარდგინებები მოცემულ სფეროში შტატების დამატების შესახებ.

3. მიმონერა ქუთაისის გუბერნიაში სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსარკვევად ქუთაისშივე საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ.

4. საქმე სატყეო მართვა-გამგეობის მონყობის შესახებ.

5. საქმე სახაზინო გლეხთა მიერ ადგილ-მამულის ფლობასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგების შესახებ.

6. საქმე სახაზინო გლეხთა მიერ სახაზინო მიწის ნაკვეთების გაყიდვის აღმოსაფხვრელი ზომების შესახებ.

7. საქმე მომთაბარე მუსლიმთა მკვიდრ მცხოვრებლებად გადაქცევაში თანამონაწილეობის შესახებ.

8. წყალსადენების გამართვის შესახებ.

9. სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის უზრუნველყოფის შესახებ.

10. სასოფლო სკოლების დაარსების შესახებ.

ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების ექსპედიციამ იხელმძღვანელოს ამონაწერებით საკუთარი საქმეებიდან, რომელთა განხილვისა და გააზრების შემდეგ უნდა წარმოადგინოს თავისი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დასკვნები. –

განყოფილება II

საფინანსო და სამეურნეო დანესებულებები

სახაზინო პალატა

§ 20

1. მიმოხილვის შედეგისას სახაზინო პალატა უნდა დაეყრდნოს იმავე საფუძვლებს, რომლებიც წინა განყოფილებებშია მოცემული; კერძოდ: შემადგენლობა, უწყების რაობა და მიზანი, ძალაუფლების ფარგლები, საქმისწარმოების წესები და ანგარიშგების ფორმები. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

2. რა რაოდენობას აღწევს მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობა უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით; რომელ ნაწილშია სანდო კამერალური აღწერის მონაცემები და სად უნდა ჩატარდეს აღწერა თავიდან?

3. სახელდობრ რამდენია სოფლის მოსახლეობაში გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა? – აღირიცხოს ისინი გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით; სოფლის მოსახლეობიდან რამდენი სარგებლობს შეღავათებით? – აღირიცხოს ეს უკანასკნელნი შეღავათების ვადების მიხედვით.

4. რამდენი არიან სოფლის მოსახლეობის როგორც ერთ, ისე მეორე ნაწილში კოლონისტები და რამდენი – რუსები?

5. სახელდობრ რა თანხა შემოდის ყოველწლიურად როგორც საერთო, ისე საერობო გადასახადების სახით; რა წესით შემოდის ეს თანხა და ხომ არ გვხვდება პოლიციის მოხელეთა უკანონო ჩარევის შემთხვევები?

6. გარდა გადასახადებისა, სახელდობრ რა თანხა შემოდის ყოველწლიურად მოსაკრებლების სახით და რა რაოდენობით შემოვიდა ეს თანხა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში? ხომ არ არის ისეთი მოსაკრებლები, რომლებიც აფერხებს

მრეწველობის დარგებისა და, კერძოდ, ფაბრიკული, ქარხნული ან მანუფაქტურული წარმოების განვითარებას?

7. რამდენი შეადგინა იმ სახაზინო საგადასახადო დანაკლისმა, რომელიც 1855 წლის მარტისა და 1856 წლის 26 აგვისტოს ყოვლადმონყალე მანიფესტების მიზეზით წარმოიქმნა; რამდენის დანაკლისია კიდევ ნავარაუდევი და რამდენია, რაც უნდა შემოვიდეს?

8. სახელდობრ რა საიჯარო და საღალღო შემოსავალი აქვს ხაზინას როგორც სახაზინო პალატის, ისე სახელმწიფო ქონების სამმართველოდან?

სახელდობრ რა ჯამურ თანხას აღწევს წელიწადში შემოსავლები და გასავლები: ა) სახელმწიფო ხაზინისა; ბ) საერო-ბო გადასახადებისა?

9. სად და რა ფორმით არსებობს ორივე უწყებისთვის განკუთვნილი საიჯარო და საღალღო გადასახადები; ამასთანავე, დაერთოს საკითხის მოკლე, მაგრამ რაც შეიძლება ზუსტი ისტორიული მიმოხილვა, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილისა მაინც, 5 ათასი მანეთის ზევით რომელს რა შემოსავალი შემოჰქონდა ან შემოაქვს.

10. რა ქონებასა და რა ტიპის შემოსავალს განკარგავს ხაზინა უშუალოდ, ერთი მხრივ, უწყებრივი პალატის, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ქონების მართვის მიმართულებებით და რამდენია ეს შემოსავლები; რამდენად მომგებიანია ხაზინისთვის ამ მიმართულებათა მართვა-გამგეობა და რა მიზეზით არ ეძლევა მას საიჯარო და საღალღო შემოსავალი?

11. მხარის სახელდობრ რომელ ნაწილებშია სხვაზე მეტი ან სხვაზე ნაკლები პირდაპირი და არაპირდაპირი საგადასახადო შემოსავლები? ამასთანავე, შეძლებისდაგვარად განიმარტოს ნაკლები შემოსავლების მიზეზები.

12. ჩატარდა თუ არა და კონკრეტულად რა ღონისძიებები ჩატარდა სამთო-საძიებო მიმართულებით და ცნობილია თუ არა წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზები?

13. შეესაბამება თუ არა თავის დანიშნულებას ძვირფას ლითონთა სინჯების პალატა – ხომ არ ხდება რაიმე სახით მწარმოებელთა ინტერესების შეზღუდვა; ხდება თუ არა დადგენილი წესით ნაკეთობებზე დამლის დასმა; შემოდის თუ არა და რა ოდენობით შემოდის საბაჟო გადასახადი ლითონების შედნობის, სინჯების დამზადებისა და დამლის დასმისთვის, ადიდაში გატარებული, ტყლეუილი და სიფრიფანაფურცლოვანი ოქროსა და ვერცხლის დამზადებისთვის, სასწორებისა და წვრილსაწონების შემონმებისა და დამლის დასმისთვის, სპეციალურ წიგნში ხელოსნის, ფაბრიკანტის, იუველირის გატარებისთვის, სასინჯი ნემსებისთვის; ჰყავთ თუ არა პალატაში შეგირდები?

14. სახელდობრ რა შედეგები შეიძლება მივიღოთ სახაზინო პალატასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვით – შეიძლება თუ არა ხაზინის შემოსავლის გაზრდა მოსახლეობის დაუზარალებლად; შეიძლება თუ არა შემცირდეს გასავალი ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს არც სახელისუფლებო ინტერესებს და მართვა-გამგეობისას არც საშტატო დანახარჯის შემცირება გამოიწვიოს?

15. უმკაცრესი ყურადღება უნდა მიექცეს საერობო გადასახადებისგან შემოსული თანხის ბრუნვას; ზუსტად დადგინდეს: შეესაბამება თუ არა საერობო გადასახადებიდან შემოსული თანხების ხარჯვა თავის დანიშნულებას და დაცულია თუ არა საამისოდ დადგენილი პირობები; ხომ არ ხდება ამ თანხების ბოროტად გამოყენება, რაც შეიძლება მომდინარეობდეს გაუგებრობებისგან, შეცდომებისგან, ერობისთვის ზოგადად და, განსაკუთრებით, მისი კერძო კონტრაქტებისთვის ზიანის მიყენების განზრახვისგან? თავისთავად ცხადია, სახაზინო პალატის გადაცდომები თუ ბოროტგანზრახულობანი შეიძლება გახდეს ძიების საგანი, ხოლო საკუთრივ ძიება უპირატესად უნდა განხორციელდეს იმ დანესებულებების მიერ, რომლებიც შესაბამის განკარგულებებს გასცემენ პალატიდან გასულ თანხებთან დაკავშირებით.

ხაზინა

§ 21

1. რა რაოდენობის თანხაა რევიზიის დღეს ხაზინაში ნაღდი ფულის, სხვადასხვა სახის გერბიანი ქალაქების, დოკუმენტების, საზომი და ასანონი ერთეულების სახით?

2. ხომ არ ყოვნდება გადასახადის გადამხდელთა ან ანარიცხების შემომტანთაგან თანხის მიღება და ქვითრების გაცემა?

3. ხომ არ ყოვნდება ასიგნაციების გაცემა; ხომ არ ყოვნდება, გარდა საპატიო შემთხვევებისა, ფულის დახურდავება?

4. მიმდინარეობს თუ არა თანხების აღრიცხვა დადგენილი წესით და ტარდება თუ არა მოულოდნელი რევიზია?

5. დაცულია თუ არა საზოგადოდ ფულის შენახვის, გაცემისა და გაგზავნის წესები?

6. დაცულია თუ არა ზონარგაყრილი და სხვა სახის წიგნების, სამორიგეო ჟურნალის ან სამაგიდო რეესტრის, ყოველდღიური სახაზინო ჩანაწერებისთვის განკუთვნილი რვეულის შემოღებისა და დაცვა-შენახვის წესები?

§ 22

რაც შეეხება პალატისა და ხაზინის შემადგენლობას, საქროა საშტატო ცვლილებების შესახებ მთავარხელმძღვანელობის განზრახულების განხილვა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა.

ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება

§ 23

„ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულების“⁴⁵ საქმეთა წარმოებისა და სასესხო და საანაბრო ოპერაციების მიმოხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შემდეგ გარემოებებს:

1. ყოფილი საქართველო-იმერეთის „პრიკაზთან“ შედარებით რა სასიკეთო გავლენას ახდენს დღევანდელი „პრიკაზი“ კერძო პირთა ხელში კაპიტალის ბრუნვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით?

2. გამართლდა თუ არა და რა ზომით გამართლდა ხელისუფლების შიში, რომელიც მას ჰქონდა არსებული დებულების მიღებისა და შემდეგ – მისი გადასინჯვისას?

3. ხომ არ ჩანს საჭიროება, „პრიკაზის“ მუშაობაში შევიდეს მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილებები, რათა გაცილებით უფრო ადვილად იქნეს მიღებული მიზანი – მწარმოებელთა ხელში კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა როგორც სასოფლო, ისე საქალაქო მეურნეობაში? განაპირობებს თუ არა „პრიკაზის“ შემოსავალს ხაზინის შემნახველი და სასესიო ოპერაციების ერთობლიობა?

4. რამდენად არის მიღებული „პრიკაზის“, როგორც სამზრუნველო ორგანიზაციის, მიზანი მცირეწლოვანთა, უპოვართა, ხეიბართა, ავადმყოფთა მიმართ; რა დაწესებულებები არსებობს ამ მიზნის მისაღწევად და ხომ არ არის შესაძლებელი, გაიზარდოს ამგვარ დაწესებულებათა რაოდენობა ან დაარსდეს ახალი დაწესებულებები, მაგალითად, სახლი სულით ავადმყოფთათვის და სხვ.?

5. რა ქონებას ფლობს „პრიკაზი“?

6. სახელდობრ რა სამეურნეო და კონკრეტული ვითარებით განპირობებული შემოსავლები აქვს „პრიკაზს“; ამათგან რამდენია მის სასარგებლოდ გადახდილი ან გადაუხდელი ჯარიმების ოდენობა; „პრიკაზის“ საკუთარი კაპიტალის რა წილს შეადგენს ეს უკანასკნელი შემოსავალი და უამისოდ რამდენია მისი საკუთარი კაპიტალის თანხობრივი გამოხატულება?

საქალაქო მეურნეობა

§ 24

საქალაქო მეურნეობის მიმოხილვისას რევიზიას ექვემდებარება: თბილისში – საქალაქო-საზოგადოებრივი მმართვე-

ლობა სავაჭრო პოლიციითურთ; სხვა ქალაქებში – საქალაქო პოლიცია.

§ 25

ხსენებულ დაწესებულებათა მიმოხილვისას საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს:

1. მიმდინარეობს თუ არა გამოკვლევა, წინასწარი მოსაზრებების შემუშავება და ხელისუფლებისთვის წარდგენა ქალაქის უკეთ მოწყობის, მოსახლეობისთვის ბეგრის შემსუბუქების, შემოსავლების გაზრდისა და გასავლების შემცირების საკითხებზე?

2. ხდება თუ არა ქუჩების, სახლების, სავაჭრო ობიექტების, საზოგადოებრივი დაწესებულებების, მოსახლეობის წოდებრივ ფენათა სიების შედგენა და შევსება?

3. მიიღება თუ არა დროული ზომები სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის; ხდება თუ არა აუცილებელი სასურსათო მარაგის შემოტანის ხელშეწყობა?

4. არსებობს თუ არა ზედამხედველობა სავაჭრო ობიექტების კეთილმოწყობაზე, საზოგადოების კუთვნილ შენობა-ნაგებობათა მედეგობაზე, მოედნებისა და ქუჩების დაგება-მოკირწყვლაზე?

5. დგება თუ არა უწყისები ფასების შესახებ და არსებობს თუ არა მეთვალყურეობა სურსათ-სანოვაგაზე დაწესებულ ყოველთვიურ ნიხრებზე; აგრეთვე, დგება თუ არა უწყისები მეეტლეების, მუშებისა და სხვა სახის მომსახურების საფასურის შესახებ?

6. დაწესებულია თუ არა სათანადო მეთვალყურეობა შენობების დაბეგვრაზე?

7. ხომ არ ხდება ხელმძღვანელობის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება ან უმოქმედობა უმაღლესი ხელისუფლების მიერ ქალაქის სასარგებლოდ დამტკიცებული ყოველ-

ნლიური ნუსხების მიხედვით გადასახადების აკრეფისას: ხომ არ ხდება აკრეფა ისეთი გადასახადებისა, რომლებიც არ არის შეტანილი ნუსხაში ან ხომ არ არის შემთხვევები, როცა არ ხდება ნუსხით გათვალისწინებული გადასახადების აკრეფა?

8. ხომ არ გვხვდება გაუმართლებელი ხარჯი, ყოველ შემთხვევაში, ისეთი მაინც, რომლის სამუდამოდ ან დროებით გაუქმებაა შესაძლებელი?

9. სწორად ხდება თუ არა გადასახადებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება და სახაზინო გადასახადის ხაზინაში შეტანა; რა ოდენობითაა განსაზღვრული ეს გადასახადი და არსებობს თუ არა მის გაზრდასთან დაკავშირებული მოსაზრებები ან პრაქტიკული საშუალებები?

10. ხომ არ ქმნის გადამხდელთა ფენისთვის საქალაქო შემოსავლების რომელიმე ნაწილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებს; ან ხომ არ ქმნის გასავლების რომელიმე ნაწილი მთლიანად საქალაქო მეურნეობისთვის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებს და რა ზომების მიღება შეიძლება როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ამგვარ გარემოებათა აღმოსაფხვრელად ან შესამსუბუქებლად?

11. რამდენად შეესაბამება თბილისის სავაჭრო პოლიცია თავის დანიშნულებას – არ დაუშვას სურსათ-სანოვაგით უკანონო ვაჭრობა, მოქმედებს თუ არა იგი ეფექტიანად გადამყიდველთა წინააღმდეგ, ყოველგვარი მონოპოლიის აღმოსაფხვრელად, ფასების თვითნებური ან წინასწარგანზრახული ზრდის, ვარგისი პროდუქტის გადამალვისა და უვარგისის გაყიდვის აღსაკვეთად? რამდენად ასრულებს ამ მოვალეობებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სხვა ქალაქების პოლიცია?

12. დაცულია თუ არა ზოგადად თანხების შენახვის, ხარჯვისა და გაგზავნის წესები?

განყოფილება III

სასამართლო დანესებულებები

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატები

გუბერნიისა და მაზრის მოსამართლეები

§ 26

სასამართლო სისტემისა და ზოგადად სამსჯავროთა შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და მოქმედებების მიმოხილვისას მხედველობაში იქნეს მიღებული:

1. ხდება თუ არა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთა განაწილება დადგენილი წესით; წარმოებს თუ არა და რამდენად გამართულად წარმოებს სამაგიდო რეესტრი; დაცულია თუ არა განხილვა-გადაწყვეტილებათა რიგითობა?

2. დაცულია თუ არა საქმეთა წარმოებისას ქალაქებისა და აქტების მიღება-შენახვის დადგენილი წესები; და თუ არსებობს წესიდან გადახვევის შემთხვევები, რა არის ამის მიზეზი?

3. რამდენად არის რეალური საჭიროებითა თუ აუცილებლობით ნაკარნახევი მონაცემთა შეკრება და საქმეების შევსება; ხომ არ არის შემთხვევები, როცა ამგვარი ქმედებები არ არის აუცილებლობით გამოწვეული; ხომ არ ხდება ამგვარი რამ საქმის გასაჭიანურებლად ან ხომ არ არის ეს საქმისადმი არასათანადო დამოკიდებულების მაჩვენებელი და, საერთოდ, ხომ არ მიდის საქმისწარმოება არასწორი მიმართულებით?

4. თუ საქმეთა წარმოება ჭიანურდება, საგანგებო ყურადღება დაეთმოს გამომწვევ მიზეზთა ახსნა-განმარტებას.

5. თუ საქმისწარმოება ან მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება სხვა უწყების მიერ სასამარ-

თლოს მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო ჩერდება, ასეთ შემთხვევებში დროულად გამოიყენება თუ არა დადგენილი წესი მოთხოვნისა და იძულების შესახებ?

6. იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია სასამართლოს გამართული მუშაობის დამაბრკოლებლად სხვა გარემოებათა შორის არასრულფასოვნად ჩატარებული გამოძიებაც იქცეს, საგანგებო ყურადღება დაეთმოს და შესაძლებელი სიზუსტით განიმარტოს: ხომ არ უშლის საქმეს ხელს გამოძიებელთა გამოუცდელობა, არაკვალიფიციურობა, წინასწარგანზრახული უმოქმედობა ან უფლების ბოროტად გამოყენება? – სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე დაყრდნობით მოყვანილ იქნეს შესაბამისი მაგალითები.

7. სისხლის საქმეთა განხილვისას სასამართლო დანესებულებების მიერ ხომ არ იზღუდება ბრალდებულის უფლება – დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა?

8. სამოქალაქო საქმეების განხილვისას ჯეროვნად განემარტებათ თუ არა მხარეებს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ისეთი ფორმობრივი და საპროცესო საკითხები, რომელთა უცოდინარობის გამო შეიძლება მხარეებმა საკუთარი უფლებები ვერ დაიცვან? – გარდა ამისა, ხსენებულ ფორმობრივ და საპროცესო საკითხებს ან მათი დაცვის პირობებს შორის ხომ არ გვხვდება ისეთები, რომელთა მუდმივად ან ნაწილობრივ შესრულება მოდავე მხარეებზე არ არის დამოკიდებული? ხომ არ ზღუდავს ასეთი შემთხვევები მოდავეთა უფლებას, დაამტკიცონ თავიანთი სიმართლე? – მითითებულ იქნეს მაგალითები და განიმარტოს ისინი ზედმიწევნით.

9. განაწილებულია თუ არა საქმეები თანაბარზომიერად განყოფილებებსა და კანცელარიის ჩინოვნიკებს შორის?

10. ხომ არ გვხვდება უსაფუძვლო დაბრკოლების ან გაჭიანურების შემთხვევები კერძო პირთა ან უწყებათა არზებისა თუ საკუთრებასთან დაკავშირებული აქტების აღსრულებისას? – რამდენად არის დაცული სააქტო წიგნების შედგენა-წარმოების წესი?

11. დაცულია თუ არა თანხების შენახვისა და გაგზავნის, აგრეთვე, აქტების დაცვა-შენახვის წესები?

12. მონაცემები საქმისწარმოების, საქმეთა რაოდენობის, კატეგორიების მიხედვით მათი განაწილების შესახებ წარდგენილი უნდა იყოს წინამდებარე ინსტრუქციის იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც საგუბერნიო მმართველობას ეხება.

გუბერნიისა და მაზრის პროკურორები

§ 27

რამდენად სრულდება საპროკურორო უწყების მოვალეობები; კერძოდ:

1. კანონის ძალის გააზრებასა და კანონთა შესრულებასთან დაკავშირებით.

2. სასამართლოს განსჯად საქმეებზე ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

3. ციხეებში მონახულებასა და პატიმართა მკურნალობასთან დაკავშირებით.

4. სახაზინო სარგებელთან დაკავშირებით.

5. საგერბო ქალაქის გამოყენებაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

6. საქმეთა წარმოებისას ზოზინის, გაჭიანურების, ჩაგვრა-შეზღუდვის აღმოსაფხვრელად.

7. სასამართლო დანესებულებებში სახაზინო-საკრედიტო არზებთან, თავისუფლების ძიებასა და სხვა შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

8. სახელმწიფო დანესებულებათა ჟურნალების გადახედავა-გასინჯვასთან დაკავშირებით.

9. სახელმწიფო დანესებულებათა განჩინებების საწინააღმდეგოდ კონკრეტულად რამდენი პროტესტი შევიდა პროკურორებთან გასული 3 წლის განმავლობაში; ამათგან რამდენი დაკმაყოფილდა თვითონ სახელმწიფო დანესებულებების მიერ და რამდენი – მთავარმმართველობის საბჭოს მიერ?

10. საზოგადოდ რა და რა საქმისწარმოებას ეწვეიან პროკურორები?

კომერციული სასამართლო

§ 28

კომერციული სასამართლოს მიმოხილვისას გამოყენებულ იქნეს ის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც სასამართლო პალატები იქნება მიმოხილული. ამას გარდა, ყურადღება მიექცეს:

1. სასამართლოს დაარსებიდან დღემდე რამდენი საქმე დასრულდა მორიგებით და რამდენი – სიტყვიერი წარმოებით?

2. რამდენ კერძო განჩინებაზე შევიდა საჩივარი მთავარ-მმართველობის საბჭოში და ამათგან რამდენი დაკმაყოფილდა?

§ 29

რამდენად ეფექტიანად მუშაობს კონკურსების სამმართველო და ხომ არ აწყდება იგი საქმეთა სწორად და სწრაფად წარმოებისას სირთულეებსა თუ დაბრკოლებებს; კერძოდ, რა სახისაა და რაში მდგომარეობს ეს სირთულეები თუ დაბრკოლებები?

სამხედრო-სასამართლო კომისია

§ 30

სამხედრო-სასამართლო კომისიებთან დაკავშირებით მიმოხილვას ექვემდებარება ის საქმეები, რომლებიც ეხება განსასჯელებს სამოქალაქო უწყებებიდან, ხოლო მიდგომა უნდა იყოს იგივე, როგორი მიდგომითაც ზოგადად სასამართლო დანესებულებები იქნება მიმოხილული.

მაზრებისა და უბნების უფროსები და საქალაქო პოლიცია

§ 31

1. მოქმედებენ თუ არა საპოლიციო დაწესებულებები მათს უფლებამოსილებაში შემავალი საქმეების განხილვისას ერთ-გვაროვანი მიდგომით; სახელდობრ რა წესით მიმდინარეობს ასეთი საქმეების წარმოება და ხომ არ გვხვდება უმოქმედობა ან ძალაუფლების გადამეტება?

2. გასული სამი წლის განმავლობაში თითოეულ სამმართველოში რამდენ ისეთ საქმეზეა გადანყვეტილება მიღებული, როცა სადავო საქმის გადანყვეტის შემდეგ მიღებული ღირებულება აღემატება თავდაპირველ ღირებულებას და ასეთი საქმეებიდან რამდენია აღსრულებული ახალი საჩივრების აღძვრის გარეშე? რამდენი ასეთი საქმეა კიდევ წარმოებაში და კონკრეტულად როდისაა მიმდინარეობს მათი წარმოება?

3. დაცულია თუ არა განსაზღვრული წესები სააქტო წიგნების შედგენისას და მოწესრიგებულია თუ არა ჩანაწერები თვითონ საპოლიციო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი აქტების პრაქტიკული განხორციელების შესახებ? –

მეურვეობა

§ 32

1. რამდენი სამეურვეო მმართველობაა დაწესებული:

- ა) ობოლთა ქონებაზე;
- ბ) გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე;
- გ) მამულების გაყოფა-განაწილებაზე;
- დ) საბატონო უფლებების ბოროტად გამოყენებაზე, შეურაცხადობაზე, მესაკუთრეთა მხრიდან გამოვლენილ მფლანგველობაზე?

2. რა ოდენობისაა თითოეული ამგვარი მმართველობის ქონება და შემოსავალი?

3. დროულად ხდება თუ არა მეურვეთა და მზრუნველთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების რევიზია და თუ ეს არ ხდება, გამოიყენება თუ არა და, თუ გამოიყენება, სახელდობრ რა საშუალებები გამოიყენება ვითარების გამოსასწორებლად?

4. იყო თუ არა საჩივრები მეურვეთა მხრიდან უმოქმედობის ან უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ და როგორ გადაწყდა ასეთი საქმეები?

§ 33

სასამართლო უწყებათა მიმოხილვისას რევიზორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კავკასიის ყოფილმა მეფისნაცვალმა, ან განსვენებულმა ფელდმარშალმა, თავადმა ვორონცოვმა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კანცელარიის II განყოფილების მთავარმმართველს, ისევე როგორც ამიერკავკასიის მხარის სამეურვეო მმართველობას, თავის დროზე შეატყობინა განზრახულებები სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების გარდაქმნის შესახებ. – აუცილებელია ამ განზრახულებათა წინასწარი გაცნობა, რათა მათი გათვალისწინებით მოხდეს სასამართლო დაწესებულებების მიმოხილვა და გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე მთავარხელმძღვანელობის ამჟამინდელი განზრახვა – გაუქმდეს სამაზრო სასამართლოები, ხოლო სხვა სასამართლო დაწესებულებების საქმიანობაში შევიდეს ზოგიერთი ცვლილება. განხილულ იქნეს აგრეთვე მთავარხელმძღვანელობის განზრახულებასთან დაკავშირებული ორი საქმე:

ა) სასამართლოებში საქმისწარმოების წესი პოლიციის წინააღმდეგ საჩივრის შემოტანის შემთხვევაში, და ბ) პროექტი მოდავეთა სხვადასხვა ფორმითა და საპროცესო ნორმებით უზრუნველყოფის შესახებ; – ყველა ეს მოსაზრება თუ განზრახულება შეჯერდეს ამჟამინდელ პრაქტიკულ საჭიროებებთან და მათი გათვალისწინებითა და მათზე დაყრდნობით წარმოდგენილ იქნეს მიუკერძოებელი დასკვნა.

განყოფილება IV

სხვადასხვა ნაწილთა დანესებულებები

სასწავლო ნაწილი

§ 34

1. რა სასწავლო დანესებულებები არსებობს მხარეში:

- ა) კავკასიის სასწავლო ოლქისა?
- ბ) ქალთა სასწავლო დანესებულებების მთავარი საბჭოსი?
- გ) სასულიერო უწყებებისა?
- დ) კერძო?

2. ამ სასწავლო დანესებულებებიდან რომელი ფინანსდება ხაზინის მიერ და რამდენს შეადგენს ხარჯი?

3. რამდენი მოქმედებს საზოგადოებათა და ქველმოქმედ პირთა ხარჯით?

4. კონკრეტულად რამდენი მოსწავლეა თითოეულ სასწავლებელში და ამათგან რამდენი სწავლობს ხაზინის, მშობლების, ნათესავებისა თუ ქველმოქმედ პირთა ხარჯზე; რამდენია თავისუფალი მსმენელი; მოსახლეობის რა რაოდენობრივ ნაწილს შეადგენს მოსწავლეთა რიცხვი მრევლის, ქალაქის, მაზრის, გუბერნიის მიხედვით; სად ფუნქციონირებს ესა თუ ის სასწავლო დანესებულება; აგრეთვე, როგორია ამა თუ იმ სარწმუნოების მიმდევარ მოსწავლეთა და იმავე სარწმუნოების მოსახლეობის რაოდენობრივი შეფარდება?

5. რამდენი სამოსწავლო ჩინოვნიკი და რამდენი მასწავლებელი მსახურობს თითოეულ სასწავლო დანესებულებაში?

6. სახელდობრ სად რომელ სასწავლო საგანს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა; განსაკუთრებით, არის თუ არა გაკვეთილების საკმარისი რაოდენობა რუსულ ენაში და ეთმობა თუ არა სათანადო ყურადღება რუსულის სწავლებას; ზოგადად, სწავლების თვალსაზრისით ხომ არ ენიჭება უპირატესობა გამოსადეგს აუცილებელთან შედარებით და ხომ არ არის შემოღებული რომელიმე საგანი სხვა საგნების საზიანოდ?

7. ეთმობა თუ არა ყველგან, და სად რა სიმკაცრით ეთმობა ყურადღება მოსწავლეთა შორის ღვთისმშობის დანერგვასა და ზოგადად სარწმუნოებრივი კეთილზნობის მტკიცე ნიადაგზე დაფუძნებას; ამასთანავე, ხომ არ არის სადმე შესუსტებული რელიგიური შემწყნარებლობა კანონით დაშვებული რომელიმე აღმსარებლობის მიმართ?

8. აქვს თუ არა ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებას უძრავი ქონება ან კაპიტალი, სახელდობრ რაში გამოიხატება ერთიცა და მეორეც და რამდენად შედეგიანად ხდება მათი მოვლა-პატრონობა და გამოყენება?

9. რა რაოდენობის ნაღდი ფული მოეპოვება თითოეულ სახაზინო სასწავლო დაწესებულებას რევიზიის დღეს; შეესაბამება თუ არა ეს თანხა სათანადო წიგნებსა და დოკუმენტებში მითითებულ თანხებს და, საერთოდ, დაცულია თუ არა ფულის შენახვის, ხარჯვისა და ბრუნვის დადგენილი წესები?

§ 35

სასწავლო უწყებების მიმოხილვისას რევიზორებმა მხედველობაში უნდა იქონიონ მუსლიმურ სასწავლებელთა საქმე, რომელსაც ამჟამად მთავარხელმძღვანელობა განიხილავს; გაეცნონ და გაითვალისწინონ საქმეში არსებული დასკვნები და წარმოდგინონ საკუთარი მიუკერძოებელი თვალსაზრისი (თუ მათი დახურვის გადაწყვეტილება გადაიდება რევიზიის მიერ მიღებული შედეგის განხილვამდე ან რევიზიის შედეგების წარმოდგენამდე).

საფოსტო ნაწილი

ა) საფოსტო დაწესებულებები

§ 36

1. რა ვითარებაა მიმოხილვის დღეს ნაღდი ფულის, ამანათებისა და სახაზინო ქონების მხრივ?

2. დაცულია თუ არა დადგენილი წესი და მიღებული ფორმა საბუღალტრო-საანგარიშო საქმის წარმოებისას; დაცულია თუ არა ფულის შენახვისა და გაგზავნის დადგენილი წესები?

3. რა ხარისხით სრულდება ფოსტმაისტერის ინსტრუქცია და ზოგადად მთავარხელმძღვანელობის დადგენილებები?

4. ხომ არ შეიმჩნევა რომელიმე საფოსტო კანტორაში შემოსავლების კლება და, თუ შეიმჩნევა, რა არის გამომწვევი მიზეზები?

5. ხდება თუ არა წერილებისა და ამანათების მიღება განრიგით განსაზღვრულ საათებსა და სათანადო სისწრაფით; ექცევიან თუ არა თანამშრომლები პუბლიკას თავაზიანად; საფოსტო მომსახურებაზე დაწესებული გადახდევინებისას გამოირიცხება თუ არა ყოველგვარი შევიწროება?

6. ფულის პაკეტებისა და ამანათების მიღებისას ზუსტად სრულდება თუ არა დადგენილი წესები?

7. რიგდება თუ არა საფოსტო გზავნილები დაუყოვნებლივ და ყველა მიმართულებით თანაბარი სისწრაფით?

8. არის თუ არა წესისამებრ შედგენილი და ჯეროვნად დაცული დაგზავნა-დატარების წიგნი; მიმდინარეობს თუ არა წესისამებრ სხვა საფოსტო საქმეთა წარმოება?

9. არის თუ არა თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ნონის ნიხრი და სხვა ისეთი დადგენილი მონაცემები, რომლის გაგება პუბლიკას სწრაფად და შეუფერხებლად უნდა შეეძლოს?

10. პუბლიკის კანონიერ თხოვნათა დაკმაყოფილებისას გამოირიცხულია თუ არა მიკერძოება?

11. წარმოებს თუ არა თავის დროზე და წესისამებრ საგზაო ხარჯების ანაზღაურება?

12. დაცულია თუ არა კანტორებში კეთილმოწყობის წესები და სისუფთავე?

(საფოსტო დაწესებულებათა რევიზიისთვის საჭირო საგზაო ჟურნალის ფორმა აქვეა დართული).

საფოსტო სადგურები

§ 37

საფოსტო სადგურების მიმოხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

1. მოწესრიგებულია თუ არა ჩანანერები ფოსტის მიღების, ესტაფეტისა და მგზავრთა შესახებ?

2. მიმაგრებულია თუ არა მაგიდაზე საჩივრის წიგნი და იყენებენ თუ არა მას მგზავრები?

3. საკმარისია თუ არა ცხენების რაოდენობა და გამოსადეგნი არიან თუ არა ისინი სწრაფი მგზავრობისათვის?

4. მოწესრიგებულია თუ არა აკაზმულობა და ოთხთვალეების საქმე; არის თუ არა მეეტლეთა საკმარისი რაოდენობა; არიან თუ არა ისინი შესაფერისად ჩაცმულნი?

5. დაცულია თუ არა სადგურში სისუფთავე?

(სადგურების რევიზიისთვის საჭირო საგზაო ჟურნალის ფორმა აქვეა დართული).⁶

§ 38

საფოსტო დაწესებულებების მიმოხილვის შედეგები აუცილებლად უნდა შეივსოს მოსაზრებებითა და დასკვნებით შემდეგი საკითხების შესახებ:

1. თუკი აღმოჩნდება, რომ რომელიმე კანტორაში შემოსავლები ვეღარ ფარავს გასავალს, ხომ არ არის საჭირო, რომ ასეთ კანტორებს მიეკუთვნოთ უფრო დაბალი კლასი ან საერთოდ გაუქმდეს ისინი? – თუმცა ისიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ კანტორის არსებობისთვის მთავარი ფულადი სარგებელი კი არ არის, არამედ – პუბლიკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

2. თუკი, პირიქით, რომელიმე კანტორაში შეინიშნება შემოსავლების ზრდა და ჩინოვნიკთა გაზრდილი მუყაითობა, ხომ არ შეიძლება მისთვის უფრო მაღალი კლასის მინიჭება

და, ასეთ შემთხვევაში, რა ოდენობით უნდა გაეზარდოს მოცემულ კანტორას მატერიალური საშუალებები?

3. ხომ არ არსებობს საგანგებო საჭიროება ან ხომ არ იქნება სასარგებლო ახალი საფოსტო დანესებულებების გახსნა იქ, სადაც წარმოება უკვე შესამჩნევად არის განვითარებული ან ახლო მომავალში უნდა ველოდეთ თუ არა წარმოების განვითარებას? – ამ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პოლკებისა და ბატარეების შტაბ-ბინები, რომელთა არსებობა არცთუ იშვიათად წარმოშობს საწარმოო ცენტრებს და ინვესტაციებს მეტ-ნაკლებ აღმავლობას; მაგალითად, ჯელალ-ოღლი, ბელი კლუჩი?

4. განთავსებულია თუ არა კორესპონდენციის მიმღები პუნქტები ისეთ სადგურებზე, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა საამისო საჭიროება და, ხომ არ არის შესაძლებელი, ჩვეულებრივი კორესპონდენციის მიღება უკლებლივ ყველა სადგურზე იქნეს დაშვებული?

5. სწორად არის თუ არა შედგენილი ფოსტის შემოსვლა-გასვლის განრიგი; თუკი შეინიშნება ერთ-ერთი ფოსტის დიდხანს შეყოვნება იმ ფოსტის მოლოდინში, რომელსაც უნდა შეუერთდეს, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამგვარ დაგვიანებათა აღმოსაფხვრელად?

6. ყველგან მოძრაობს თუ არა ფოსტა ყველაზე უფრო მოკლე და მოსახერხებელი ტრაქტით?

ამ საგნის გარშემო წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკითხი, რომელსაც ამჟამად მთავარხელმძღვანელობა განიხილავს – მიმონერა ახალი საფოსტო კავშირების გახსნის შესახებ ყუბასა და ახტამას შორის, აგრეთვე, ყუბასა და შემახას შორის ალტი-ოგაჩის გავლით.

7. უსაფრთხოების რა აუცილებელი ზომებია მიღებული საფოსტო გზებზე?

§ 39

საფოსტო სადგურებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე მონაცემები შემდეგი საკითხების შესახებ:

1. შეესაბამება თუ არა დაწესებულ ნორმებს სამგზავრო ცხენების რაოდენობა?

2. არსებობს თუ არა სადგურებზე აუცილებელი შენობა-ნაგებობები მგზავრების, სადგურის უფროსის, მეეტლეების, კაზაკების, ჩაფრების, ცხენებისა და ფურაჟისთვის?

3. მეტისმეტად ხომ არ არის სადგურები ერთმანეთისგან დაშორებული და ხომ არ არის საჭირო ზოგიერთ ადგილას მარტივი საფოსტო პუნქტების გახსნა?

4. ხომ არ არის შესაძლებელი, წინასწარი შეფასების საფუძველზე სადგური არა საჯარო ვაჭრობის გზით, არამედ სანარდო პრინციპით გადაეცეს მთავრობისთვის სანდო და სათანადო გამოცდილების მქონე პირს?

5. როგორ უნდა განისაზღვროს სადგურის შეფასების წესები?

6. სადგურების მართვა-გამგეობის რომელი ფორმა შეესაბამება უფრო მეტად არსებულ ვითარებას: საფოსტო თუ საპოლიციო?

7. თუ საფოსტო – მაშინ რა საშტატო ოდენობით უნდა შეივსოს ამიერკავკასიის ფოსტის მმართველობა?

8. ხომ არ არის შესაძლებელი, შემცირდეს საერობო გადასახადების ის ნაწილი, რომელიც სადგურის შენახვისთვის იხარჯება და სანაცვლოდ ან გაიზარდოს მგზავრობის საფასური, ან ხარჯის ნაწილის დაფარვა რომელიმე სხვა უწყებას დაეკისროს?

საკარანტინო-საბაჟო ნაწილი⁷

§ 40

საკარანტინო-საბაჟო დაწესებულებების რევიზიისას, გარდა ფულადი სახსრების საერთო შემონმებისა და ნაღდი ფულის წიგნებთან და საბუთებთან შეჯერებისა, ყურადღება უნდა დაეთმოს:

საბაჟო ნაწილში

1. ადგილზეა თუ არა ყველა ის საქონელი, რომელიც წიგნებსა და საბუთებშია აღნიშნული?

2. ხომ არ გვხვდება გაჭიანურება ან რაიმე სახის სირთულეები საქონლის მიღებასა და განბაჟებასთან დაკავშირებული ოპერაციებისას?

3. ხომ არ ხდება ვაჭრებისთვის ზედმეტი – საგადასახადო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი – ბაჟისა თუ სხვა სახის გადასახდელის დაკისრება?

4. ხომ არ ხდება ფასის ხელოვნურად დაწევა აზიური წარმოების საქონელზე, რომელზეც 5%-იანი საბაჟო გადასახდელია დაწესებული?

5. ხომ არ ხდება აზიური წარმოებისა და 5%-იანი საბაჟო გადასახდელით დაბეგრული საქონლის ევროპიდან შემოტანილად გაფორმება?

6. მონესრიგებულია თუ არა წესისამებრ საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებული წიგნები?

7. ვაჭართა სურვილის შემთხვევაში გაიცემა თუ არა მათზე შეუფერხებლად და სათანადო წესების დაცვით საბაჟო გადასახდელებთან დაკავშირებული ქვითრები?

8. ექცევა თუ არა სათანადო ყურადღება იმას, რომ საზღვარგარეთიდან არ შემოვიდეს კონტრაბანდა და გამოიყენება თუ არა ყველა საბაჟოს მიერ საამისო საშუალებები?

9. ხომ არ გვხვდება შეფერხებები უკანონო საქონლის დაკავებისა და კონფისკაციისას და თუ ასეთი შეფერხებების მიზეზი სხვა, გარეშე, დაწესებულებებია, აქვთ თუ არა საბაჟო დაწესებულებებს სათანადო ნება ამის აღსაკვეთად?

10. სრულდება თუ არა სათანადო სიმკაცრით მთავარხელმძღვანელობის მიერ დადგენილი წესები პასპორტთან დაკავშირებით, რომელიც თითოეულ მგზავრს თან უნდა ჰქონდეს?

11. რა მდგომარეობაშია საბაჟო შენობა-ნაგებობები და შესაბამება თუ არა ამ მხრივ ვითარება თავის დანიშნულებას?

12. ადგილმდებარეობის მიხედვით, სწორადაა თუ არა და-
არსებული საბაჟო დაწესებულებები და სავაჭრო სარგებლი-
ანობის თვალსაზრისით ხომ არ არის საჭირო მათი სხვაგან,
უფრო მოსახერხებელ ადგილას, გადატანა ან ახალი საბაჟო
დაწესებულებების დამატება?

13. ხომ არ არის საჭირო ვაჭართა მოთხოვნების საფუძველ-
ზე საბაჟო დაწესებულებათა უფლებების გაფართოება საქონ-
ლის გატარების გასაუმჯობესებლად და, საერთოდ, რა ცვლი-
ლებები შეუწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებასა და ვაჭარ-
თა საქმიანობის შემაფერხებელ გარემოებათა აღმოფხვრას?

საკარანტინო ნაწილში*

§ 41

14. რა მდგომარეობაშია ის საკარანტინო შენობა-ნაგებო-
ბები, რომლებიც ომმა გააპარტახა ან სავსებით გაანადგურა;
არის თუ არა მათი აღდგენის საჭიროება და სახელდობრ – სად?

15. არის თუ არა თითოეულ კარანტინში საკმარისი რაო-
დენობა ჩინოვნიკებისა და მოსამსახურე პერსონალისა, რათა
აუცილებლობის შემთხვევაში საკარანტინო ღონისძიებები
განახლდეს?

16. არის თუ არა ადგილზე ყოველი შემთხვევისთვის საკა-
რანტინო ნივთები და გამწმენდი საშუალებები?

§ 42

საკარანტინო-საბაჟო დაწესებულებების მიმოხილვისას
მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

1. ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართვე-
ლის 1856 წლის 4 დეკემბრის №3960 წარდგინება სამმართვე-

* კარანტინის შესახებ გენერალ-ადიუტანტ მურავიოვის უმაღლესად
დამტკიცებული განკარგულების შესაბამისად, ეს ნაწილი ამჟამად,
აზიაში შავი ჭირის გაჩენამდე, არ ფუნქციონირებს.

ლოს საშტატო განრიგის გადაკეთებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ.

2. მეფისნაცვლის კანცელარიაში არსებული მიმონერა ოლქის მმართველის 1850 წლის 21 დეკემბრის №3499 წარდგინების შესახებ, რომლის მიხედვითაც, საკარანტინო და საბაჟო უწყებათა ჩინოვნიკებისთვის მინიჭებული სამსახურებრივი პრივილეგიები თანაბრდება.

3. კანონის განმარტებებთან დაკავშირებული მიმონერა ოლქის ჩინოვნიკთა პენსიების შესახებ; ამასთანავე, ამიერკავკასიის მხარეში პენსიის შემცირებულ ვადებში დანიშვნის შესახებ მოგვიანებით – 1856 წლის 23 დეკემბერს – მიღებულ კანონთან მიმართებით დაისმის კითხვა: ხომ არ დადგა დრო, გაუქმდეს კანონის მე-6 ტომის (საბაჟო წესდება) 2238-ე მუხლი და კანონის მე-13 ტომის (საკარანტინო წესდება) 1054-1058 მუხლები პრივილეგიების შესახებ, და დარჩეს მხოლოდ ის პრივილეგიები, რომლებიც იმპერიის ზოგადი კანონმდებლობით დაწესებულია: ან საბაჟოსა და კარანტინის ჩინოვნიკებისთვის (მაგალითად, პენსიის დანიშვნა თანამდებობრივი სარგოს მიხედვით), ან საზოგადოდ ჩინოვნიკებისთვის, რომლებიც მსახურობენ ამიერკავკასიის მხარეში?

ყველა ეს საქმე და მათგან გამომდინარე საკითხები დამუშავდეს ადგილებზევე და წარმოდგენილ იქნეს მიუკერძოებელი შეხედულებები.

ნაწილი მეორე

ამიერკავკასიის მოსახლეობის დღევანდელი ყოფის შესახებ

პიროვნული და საზოგადოებრივ-ფენობრივი უფლებები

§ 43

ამიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობიდან მხოლოდ საქართველოს,⁸ იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის, აგრეთვე, მათგან⁹ **პიროვნული და საზოგადოებრივ-ფენობრივი უფ-**

ლებებია განსაზღვრული. მხოლოდ **პიროვნული** უფლებებია განსაზღვრული: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახაზინო, საეკლესიო და საბატონო გლეხობისა და მხარის მუსლიმურ ნაწილში მცხოვრები სახელმწიფო გლეხობისა მთლიანად, თუმცა ეს საქმე არ არის დასრულებული ქუთაისის გუბერნიის ახალციხის მაზრასა¹⁰ და ერევნისა და დერბენტის გუბერნიებში.

ქალაქის მოსახლეობისთვის მხოლოდ **საზოგადოებრივ-ფენობრივი უფლებებია** განსაზღვრული.

განსაზღვრულია ქრისტიანი სამღვდელოების ყველა უფლება.

მაშასადამე, განსაზღვრული არ არის:

I. პიროვნული და საზოგადოებრივ-ფენობრივი უფლებები:

ა) მუსლიმი სასულიერო ფენისა საზოგადოდ.

ბ) სეიდებისა და წინასწარმეტყველის სხვა შთამომავლებისა, რომლებიც პატივდებულნი არიან მაჰმადიანურ მოსახლეობაში.

გ) მუსლიმთა უმაღლესი ფენისა საზოგადოდ და სომეხი მელიქებისა კერძოდ.

დ) იმერეთში ისეთი დასახლებული ადგილ-მამულების მფლობელებისა, რომლებიც საკუთარ თავს სამეგრელოდან და აფხაზეთიდან გადმოსულ აზნაურებს უწოდებენ.

II. მხოლოდ პიროვნული უფლებები:

ე) თბილისის მოქალაქეებისა.¹¹

ვ) ქალაქში მცხოვრებთა ფენებისა საზოგადოდ.

III. მხოლოდ საზოგადოებრივ-ფენობრივი უფლებები:

ზ) სახელმწიფო გლეხობისა და ყმაგლეხური ფენისა საზოგადოდ.

თ) ხელოსანთა ფენისა და ამქრობისა.

იმდენად, რამდენადაც უფლებათა განსაზღვრა საზოგადოებრივი კეთილმოწყობილობის ერთი უმთავრესი პირობა-

თავანია, მხარის მიმოხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც საქმეებში ასახული, ისე ამჟამად მთავარხელმძღვანელობის განხილვის საგნად ქცეული გარემოებები:

1. განზრახულება მუსლიმი სასულიერო ფენის წესწყობილების შესახებ.

2. მიმონერა მუსლიმთა უმაღლესი ფენის წარმომადგენელთა პიროვნული უფლებების შესახებ.

3. თიულისტებისა და მულკადარების შესახებ¹² კავკასიის კომიტეტის მიერ მიღებული¹³ და უმაღლესად დამტკიცებული დებულება, რომელიც ჯერჯერობით სისრულეში არ არის მოყვანილი.

4. მიმონერა სეიდების შესახებ.

5. კანონთა კრებულში შესული დებულება ალაღარებისა და მელიქების შესახებ.

6. მუსლიმთა უმაღლესი ფენის ქონებრივი უფლებების საკითხი, რომელსაც ამჟამად სახელმწიფო ქონების ექსპედიცია განიხილავს.

7. მიმონერა თბილისის მოქალაქეების შესახებ.

8. მიმონერა ამქართა შესახებ.

9. მიმონერა თბილისში ხელოსანთა გამგეობის დაარსების შესახებ.

10. მიმონერა იმერეთში მცხოვრები მეგრელი და აფხაზი აზნაურების შესახებ.

11. საქმეები სასოფლო მართვა-გამგეობის მონყობისა და სოფლად მცხოვრები რუსი გლეხობის მონყობის შესახებ.

ხსენებულ საქმეებში მოცემული დასკვნითი შეხედულებების, აგრეთვე, ამა თუ იმ ფენისა და წოდების მიმართ ხალხში არსებული წარმოდგენების შესახებ ადგილობრივ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილ იქნეს დასკვნები ჩამოთვლილი (I, II, III) საკითხების გარშემო. საგანგებო ყურადღება მიექცეს და შესაძლებელი სიზუსტით იქნეს წარმოდგენილი საკითხი სასოფლო მართვა-გამგეობის შესახებ.

ქონებრივი უფლებები

§ 44

ქონებრივი უფლებები, ანუ სამართლებრივი გზით უძრავი ქონებისა და დაუსახლებელ თუ დასახლებულ ადგილ-მამულთა შექმნისა და ფლობის მხრივ საბოლოოდ განსაზღვრულია უფლებები:

1. სახელმწიფო გლეხობისა საზოგადოდ.

2. სასულიერო ფენისა.

3. უმაღლესი მუსლიმური ფენისა, რომელიც შედგება ხანების, სულთნების, ბეგების (გარდა ბაქოელებისა), ალაღარებისა და სომეხი მელიქებისაგან.

4. მოქალაქეებისა და საერთოდ ქალაქის მოსახლეობისა.

რჩებიან ისინი, რომელთა ქონებრივი უფლება ჯერ კიდევ არ არის პირდაპირ და საბოლოოდ განსაზღვრული:

ა) საქართველოს, იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობა საზოგადოდ.

ბ) განსაკუთრებით – იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობა.

გ) უცხოტომელი მართლმადიდებელი სამღვდლოება, რომელიც ადგილ-მამულებსა და გლეხობას ფლობს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

დ) სხვა სჯულის სასულიერო ფენა, რომელიც ადგილ-მამულებს ფლობს ქუთაისის გუბერნიის ახალციხის მაზრასა და ერევნის გუბერნიაში.

ე) ბაქოს მაზრის ბეგები.

ვ) გლეხთა მფლობელები, რომლებიც მითითებულია ა, ბ და გ პუნქტებში.

უფლებათა ამგვარი განუსაზღვრელობა მეტ-ნაკლებ დაბრკოლებებს უქმნის მთავრობას, რათა მან მხარეში კეთილდღეობა დაამკვიდროს.

დაბრკოლებათა გადალახვის მიზნით მიმოხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც საქმეებში ასახული, ისე

ამჟამად მთავარხელმძღვანელობის განხილვის საგნად ქცეული გარემოებები:

1. მიმონერა ბატონყმობის შესახებ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში – აქ საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს გაურკვეველობას მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობაში. დადგა დრო, თავიდან წამოიჭრას ეს, 1849 წელს გადადებული, საკითხი.

2. მიმონერა იმერეთისა და გურიის თავადთა და მათ მფლობელობაში მყოფ აზნაურთა ქონებრივი უფლებების განსაზღვრის შესახებ.¹⁴

3. მიმონერა მაცხოვრის საფლავისა და ბერძნული ეკლესიების კუთვნილ გლეხთა შესახებ.

4. ბაქოელი გლეხების საადგილმამულო უფლებების შესახებ. დამოკიდებულება ჩამოთვლილი საკითხების მიმართ უნდა შეჯერდეს შემდგომი პარაგრაფის მოთხოვნებთან.

პიროვნებისა და საკუთრების დაცვა

§ 45

ეს არის საზოგადოებრივი კეთილდღეობის განმსაზღვრელი მესამე საფუძველი და საკითხი განხილულ უნდა იქნეს ორი კუთხით:

პიროვნებასა და მის საკუთრებას საფრთხეს უქმნის ის საზოგადოებრივი გარემო, რომელსაც თვითონ ეკუთვნის, თუ საფრთხე გარედან მომდინარეობს?

პირველ შემთხვევაში ზუსტად უნდა გაირკვეს, მიმოხილული საქმეებიდან რამდენი ეხება მმართველობას და რამდენი – კერძო პირებთან დაკავშირებულ მონაცემებს:

სად და რამდენად არის დასუსტებული პოლიციური ძალაუფლება ისე, რომ შესაძლებელია დაუსჯელი დარჩეს ერთმანეთის მიმართ ჩადენილი უმსგავსობა და თვითნებობა; სად და რა სიხშირით ხდება დავის, უკმაყოფილების, უთანხ-

მოებისას თვითნებურად ანგარიშის გასწორება ოჯახურ, ნათესაურ და ა. შ. ურთიერთობებში; აგრეთვე: გატაცება, მითვისება, პარვა და სხვ. განსაკუთრებული სიმწვავის ფაქტები აღინეროს ისე, რომ შესაძლებელი სიზუსტით ჩანდეს: საბაბი, მიმდინარეობა, შედეგი.

მეორე შემთხვევაში – მიიღება თუ არა სათანადო ზომები ფარული თუ აშკარა საფრთხეების თავიდან ასაცილებლად როგორც თვითონ საზოგადოების, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან? ამასთანავე, განიმარტოს როგორც პირველი, ისე მეორე ტიპის მაგალითები საბაბის, მიმდინარეობისა და შედეგების მიხედვით.

თუკი სააშკარაოზე გამოტანილი საქმეებით ან ხალხში გავრცელებული სარწმუნო ვარაუდით ბრალი ედებათ პირებს ან მმართველობით დაწესებულებებს ძალაუფლების შესუსტებაში ან ბოროტად გამოყენებაში, ან მართლმსაჯულების აღუსრულებლობაში, მიექცეს უმკაცრესი ყურადღება ასეთ შემთხვევებს და წარმოდგენილ იქნეს საფუძვლიანი და სათანადოდ დასაბუთებული მონაცემები.

საზოგადოდ წარმოდგენილ იქნეს მოსაზრებები იმ საშუალებათა შესახებ, რომლებმაც უნდა აღმოფხვრას საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენელ პირთა უფლებების დარღვევის საფრთხე და აღკვეთოს მათი საკუთრების ხელყოფა.

სახალხო-საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებიც განსაკუთრებულ ზომებს მოითხოვს

§ 46

იღვნის რა სახალხო კეთილდღეობის დამკვიდრებისთვის, მთავრობა ყურადღებას მიაპყრობს არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ, არამედ ისეთ გარემოებებს, რომლებიც მეტ-ნაკლები მნიშვნელობის გავლენას ახდენს ნებისმიერი ახალშემოღებული წესრიგის წარმატებით დანერგვაზე:

1. ხალხის ისტორია და ზეპირგადმოცემები.
2. მისი აღმსარებლობა და რელიგიური შემწყნარებლობის ხარისხი.
3. ხალხის ზნეობრიობა.
4. მრენველობა და სოფლის მეურნეობა.¹⁵

§ 47

იმდენად, რამდენადაც არ მოგვეპოვება საკმარისი წყაროები, აქაური ხალხების **ისტორია**, როგორც ჩანს, ყველაზე ხარვეზიანი ნაწილი იქნება წინამდებარე ინსტრუქციისა. თუმცა ზეპირგადმოცემები ხალხში დღესაც ცოცხალია და, შესაძლოა, მმართველობისთვის ისინი იქცეს გამოსადეგ მასალად, თუკი მოხდება მათი – განსაკუთრებით გარდასულ დროთა ამსახველი ზეპირგადმოცემების – მკაფიოდ და ზუსტად ჩანერა.

აღმსარებლობასთან დაკავშირებული საკითხების გამორკვევას არ უნდა შეხვდეს არავითარი დაბრკოლება, რადგანაც მხარეში არსებული ყველა აღმსარებლობა და რელიგიური შემწყნარებლობის დონე ცნობილია. მაგრამ აქვე შემოდის ცრურწმენების საკითხი; ცრურწმენებისა, რომლებიც ხშირად შეუთავსებელია გაბატონებულ რელიგიურ დოგმატებსა და კანონიკასთან და კიდევ უფრო ხშირად – საღ აზრსა და გონიერებასთან. ამიტომ სწორედაც რომ ეს ცრურწმენები და წარმოდგენები მოითხოვს საგანგებო ყურადღებასა და მკაფიო მიდგომებს. რაც უფრო სანდო და საფუძვლიანი იქნება მოპოვებული მასალა, რაც უფრო მეტი სიზუსტით იქნება ჩანერილი ხსენებული ცრურწმენები, რაც უფრო მკაფიოდ გამოჩნდება ამ ცრურწმენათა გავლენა პიროვნებასა და საზოგადოებაზე, მათს ურთიერთობაზე, ქცევასა და ურთიერთზემოქმედებაზე, ცხოვრებისეულ სიახლეებზე, არსებულ ნესწყობილებაში შესულ ცვლილებებზე და ა. შ., მით უფრო სასარგებლო იქნება მოპოვებული მონაცემები ყოველმხრივი და სიღრმისეული მსჯელობისათვის და, შესაბამისად, დაგეგმილ განზრახულებათა განხორციელებისათვის.

§ 48

ხალხის **ზნეობრიობის** გამორკვევისას, პირველ რიგში, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ადამიანისთვის მისი სისუსტეებისა და მანკიერებების ხმამაღალი შეხსენება იშვიათად თუ გამოასწორებს მას; უფრო მეტიც, მეტისმეტად გაუძნელებს ამ სისუსტეებისა და მანკიერებების დაძლევისა და საკუთარი პიროვნების სრულქმნას აღზრდისა და განათლების მეშვეობით. მაშასადამე, საჭიროა მივმართოთ ადამიანის გამოსწორების სხვა, უფრო ბუნებრივ, საშუალებას: გავალვივოთ მასში თანდაყოლილი, დაბადებითვე მოცემული ზნეობრივი საწყისები, რათა ამ გზით თვითონვე დათრგუნოს შეძენილი მანკიერებები.

ვერაგინ უარყოფს ზნეობრივ საწყისთა არსებობას აქაურ მოსახლეობაში – იგი დამჯერი და მორჩილია სახელისუფლებო ძალაუფლებისა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო ეს უკანასკნელი გარემოება უნდა იქცეს ხელისუფლებისათვის აქაური მოსახლეობის სამომავლო კეთილდღეობის დამკვიდრების წინაპირობად.

ამიტომაც ხალხში დამკვიდრებულ მანკიერ ზნე-ჩვეულებებს უნდა შევეხოთ ფრთხილად და მსუბუქად, აღვნიშნოთ ისინი, მაგრამ წარმოდგენილ მოხსენებაში უპირატესი ყურადღება დავუთმოთ ხალხის ზნე-ჩვეულებებში, მის სურვილებსა და მისწრაფებებში არსებულ კეთილ მხარეებს, ამასთანავე, წარმოდგენილი უნდა იყოს მოსაზრებები, თუ რა საშუალებებით უნდა გაღრმავდეს და გაძლიერდეს ამგვარი სიკეთეები.

ამას გარდა, დიდად სასარგებლო იქნება ფარულად გამორკვევა იმ ელემენტებისა, რომელთაგანაც წარმოიშვა ყოვლად მოუთმენელი და საყოველთაოდ ცნობილი ისეთი საზოგადოებრივი მანკიერებები, როგორებიცაა, მაგალითად, მიდრეკილება ძარცვა-გლეჯისკენ, რბევა-თარეშისკენ. მანკიერებათა მხილება მათ აღმოფხვრას უნდა შეუწყოს ხელი.

ხალხური გადმოცემების, ცრურწმენითი წარმოდგენების, ზნეობრიობის გამომხატველი გარემოებების მოპოვება-გა-

მორკვევა და ამ გზით სასურველი მიზნის მიღწევა ბ-ნ რევიზორებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამან ხალხში არ უნდა წარმოშვას რაიმე სახის მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება.

რაც შეეხება **მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას**, საჭიროა მონაცემები:

1. სად და რა მოცულობით არსებობს წარმოება:

ა) ფაბრიკული.

ბ) ქარხნული.

გ) სავაჭრო.

დ) ხელოსნური.

ე) სასოფლო-სამეურნეო.

2. შეიძლება თუ არა ამა თუ იმ სახის წარმოებისთვის აუცილებელი მანქანა-დანადგარების, მარაგების, საქონლის, მასალების, ინსტრუმენტების ადგილზევე შექმნა, თუ საჭიროა მათი შემოტანა და, როცა ასეა, მაშინ – საიდან, რა საშუალებებითა და ოდენობით?

3. ამა თუ იმ სახის ნაწარმი ადგილობრივი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, თუ – გასატანად და, თუ ასეა, რა საშუალებებითა და ოდენობით?

4. რა მიმართულებებით ვითარდება ზოგადად ვაჭრობა და წარმოება; რა საშუალებებია საჭირო მათი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის?

5. რა აფერხებს ზოგადად ვაჭრობის განვითარებას და რა საშუალებები არსებობს მიზეზების აღმოსაფხვრელად?

6. იმდენად, რამდენადაც სურსათ-სანოვავის მოპოვებისა და სახალხო დოვლათის ძირითადი საფუძველი ჩვენში სოფლის მეურნეობაა, სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებაა ხელისუფლების საგანგებო ზრუნვის საგანი და, შესაბამისად, აუცილებელია დაწვრილებითი მონაცემები შემდეგი საკითხების გარშემო:

ა) სად რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იწარმოება ადგილობრივი მოხმარებისა და გასაღებისთვის?

ბ) რამდენად მაღალია ნიადაგის ნაყოფიერება; სად და რამდენად შედეგიანად ხდება ნიადაგის განოყიერება და რა არის საჭირო, რომ ეს საქმე სხვაგანაც იყოს შესაძლებელი და მოსახერხებელი; სად და რამდენად არის აუცილებელი და შესაძლებელი ნიადაგის მორწყვა?

გ) სახელდობრ რა იარაღები გამოიყენება მიწის დასამუშავებლად და კიდევ რა იარაღების შემოღება-დანერგვაა საჭირო საქმის გასაუმჯობესებლად და სამუშაო ძალების დასაზოგავად?

დ) მაზრებისა და გუბერნიების ტერიტორიის რა ნაწილია დასამუშავებლად გამოყენებული?

ე) სად რა სამუშაო ძალებია საჭირო მიწის დასამუშავებლად: ადამიანები, პირუტყვი, შრომის იარაღები?

ვ) რა შეფარდებაა, ერთი მხრივ, ნათესებისა და მიწის დამუშავებაზე დახარჯული სამუშაო ძალის ღირებულებასა და, მეორე მხრივ, მოწეული მოსავლის ღირებულებას შორის?

ზ) ზოგადად რა მოსავალს მოიწევს მხარე, რა საშუალებებით; რამდენის მოწევა შეიძლება საუკეთესო პირობებში და საუკეთესო საშუალებებით; მოსავლის რა ნაწილს მოიხმარს თვითონ მოსავლის მომყვანი კლასი;* რა ნაწილი რჩება ან შეიძლება დარჩენოდა გასასაღებლად?

თ) არსებობს თუ არა პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე რაიმე სახის ცრუ ან ზერელე წარმოდგენები, ან არცთუ უსაფუძვლო უარყოფითი დამოკიდებულება მეურნეობის სხვადასხვა დარგში განზრახულ სასიკეთო ცვლილებებთან დაკავშირებით; რა საშუალებებით შეიძლება ხსენებული ცვლილებების მიმართ ყველაზე მავნე და ხალხში მყარად ფესვგადგმული უარყოფითი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების აღმოფხვრა?

* აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, მოყვანილი უნდა იყოს შეფარდებითი მონაცემები მოსავლის ოდენობასა და მოსახლეობის რაოდენობას შორის.

ნაწილი მესამე

რევიზორთა უფლებები

§ 49

სამოქალაქო მმართველობასთან დაკავშირებული ყველა საქმე რევიზორებისთვის ღია და ხელმისაწვდომია.

§ 50

მმართველობის ყველა დაწესებულება და მოსამსახურე პირი ვალდებულია, რევიზორების მოთხოვნისთანავე წერილობით ან ზეპირი გზით გასცეს მოთხოვნილი მონაცემები.

§ 51

მმართველობის ყველა ბრძანება-განკარგულება რევიზორებს უნდა გადაეცეთ მათ მიერვე მოთხოვნილ ვადებში, – უწყისების შესახებ იხ. ქვემოთ შესაბამისი §¹⁶

§ 52

მიმოხილვის დროს გამოვლენილი ნებისმიერი სახის გაუგებრობის, დაუდევრობის, უწესრიგობისა თუ უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ რევიზორები აცნობებენ გუბერნიის ხელმძღვანელს ან ადგილობრივი ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელსაც ვითარების გამოსწორება ევალება; განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ რევიზორები საკუთარ შეხედულებას პირდაპირ კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებენ წერილობით.

შენიშვნა: როცა საგუბერნიო და მათთან გათანაბრებული სამთავრობო და სასამართლო დაწესებულებები რევიზორებისგან მიიღებენ შენიშვნებს ხარვეზებისა თუ დაუდევრობის შესახებ, საკუთარ განმარტებებს მეფისნაცვალს წარუდგენენ *ერთთვის* ვადაში, ხოლო ვითარების გამოსასწორებელი განზრახულებებისა და

ღონისძიებების თაობაზე საკუთარ მოსაზრებებს – **ორ-
თვიან** ვადაში.

§ 53

თუ გამოვლინდება წინა პარაგრაფში მოხსენიებული ხარ-
ვეზებიდან გამომდინარე ისეთი შემთხვევები, რომლებიც,
მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, დაუყოვნებელ გამო-
აშკარავებასა და გამორკვევა-გამოძიებას საჭიროებს, მაშინ
რევიზორები მეფისნაცვლისგან გამოთხოვილი სათანადო
ნებართვის საფუძველზე, შემთხვევის სიმძიმის მიხედვით,
თვითონ ან მათს განკარგულებაში მყოფი ჩინოვნიკების მეშ-
ვეობით იწყებენ სათანადო გამოძიებას; მიღებულ დასკვნას
რევიზორები გადასცემენ ადგილობრივ ხელისუფლებას ან
საქმესთან დაკავშირებულ გარემოებათა ახსნა-განმარტება-
სა და საკუთარ დასკვნას გადანყვეტილების მისაღებად წა-
რუდგენენ მეფისნაცვალს.

§ 54

თუ რევიზორები დარწმუნდებიან რომელიმე ხარვეზის
გამომწვევი პირის თანამდებობიდან ჩამოშორების აუცი-
ლებლობაში, თავის შეხედულებას სათანადო ზომების გასა-
ტარებლად მოახსენებენ გუბერნიის ხელმძღვანელს ან ად-
გილობრივი ხელისუფლების შესაბამის ორგანოს, ან კიდევ
გადანყვეტილების მისაღებად წარუდგენენ მეფისნაცვალს.

§ 55

რევიზორები კერძო პირებისა თუ საზოგადოებრივი წრე-
ებისგან თავიანთი საჭიროებების შესახებ თხოვნებს იღებენ
წერილობით, თუმცა მთხოვნელისგან არ მოითხოვენ რაიმე
სპეციალური ფორმის დაცვას; აგრეთვე, ზეპირად ისმენენ
იმავე საჭიროებების შესახებ და თვითონ ან ჩინოვნიკების ხე-
ლით ყოველივე ამას აფორმებენ წერილობით, რათა შემდეგ
ეს ჩანაწერები წინამდებარე ინსტრუქციის ფარგლებში სათა-

ნადო მოსაზრებებისა და განკარგულებების საფუძვლად გამოიყენონ.

§ 56

სამოქალაქო მმართველობის დანესებულებები ვალდებული არიან, თავ-თავიანთი საქმისწარმოებითი სფეროების მიხედვით, რევიზორებს მათ მიერვე განსაზღვრულ ვადებში წარუდგინონ შემდეგი უწყისები:

საგუბერნიო, სამაზრო და საუბნო მმართველობის განმკარგულებელ და აღმასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებული საქმეები:

ა) 1845 წლის 1 იანვრის შემდეგ დასრულებული საქმეების ჩამონათვალი.

ბ) სახელობითი ჩამონათვალი საქმეებისა, რომელთა განხილვა მიმდინარეობს ამჟამად, იმის აღნიშვნით, თუ: რა შინაარსისაა ესა თუ ის საქმე, როდისაა შემოსული, მიზეზები, თუ რატომ არ არის აქამდე დასრულებული. ამათგან შესაბამისი განყოფილებების მიხედვით ცალკე უნდა გამოიყოს საქმეები, რომლებიც უკავშირდება: უმაღლეს განკარგულებებს, მმართველი სენატის ბრძანებულებებს, კავკასიის მეფისნაცვლის მიწერილობებს.

გ) იმ პატიმრების შესახებ, რომლებიც უწყისებში მითითებულ ადგილებში იმყოფებიან; ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული მათგანის დანაშაული; როდის და სად დაიწყო მათი საქმეების გამოძიება; რატომ არ არის საქმეები დასრულებული; რა სურსათითა პატიმრებისთვის გამოყოფილი?

დ) იმ პირთა შესახებ, რომლებიც გუბერნიიდან ადმინისტრაციული წესით არიან გასახლებულნი: როდის, სად და რა მიზეზით მოხდა მათი გასახლება; რამდენია დაბრუნებული, რამდენი ექვემდებარება დაბრუნებას და რომელი განკარგულებების საფუძველზე?

ე) იმ პირობა შესახებ, რომლებზეც უწყისის წარმოდგენის დროს საპოლიციო მეთვალყურეობაა დაწესებული; ნაჩვენები უნდა იყოს ჩანაწერები მათ შესახებ.

ვ) ყველა მოხელის შესახებ, რომლებიც საანგარიშო დაწესებულებებში მსახურობენ; მიზეზი მოხელეების ნაკლებობისა, თუ ასეთს აქვს ადგილი.

ზ) ჩინოვნიკთა გადაყვანა-გადმოყვანის შესახებ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

შენიშვნა I: სახელმწიფო ქონებისა და ერობის შესახებ საგუბერნიო მმართველობის უწყისების მონაცემები, რომლებიც ა და ბ პუნქტებითაა გათვალისწინებული, წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკეული დაწესებულებების მიხედვით.

შენიშვნა II: უწყისები, რომლებიც ა, ბ, გ, ვ, ზ პუნქტებს ეხება, წარმოდგენილი უნდა იყოს მმართველობის როგორც საერთო, ისე ცალკეული დაწესებულებების მიხედვით.

სასამართლო დაწესებულებები

ზემოთ მითითებული II შენიშვნით გათვალისწინებული სახელობითი ჩამონათვალისა და წარმოებაში არსებული საქმეების უწყისები წარმოდგენილი უნდა იყოს ამჟამად მოქმედი კატეგორიების მიხედვით.

სამაზრო და საუბნო მმართველობები და საქალაქო პოლიცია

ა და ბ პუნქტებით გათვალისწინებული სპეციალური უწყისები, რომლებიც სასამართლო განხილვებს ეხება, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით: რომელი საქმე ითვლება საბოლოოდ დასრულებულად იმის გამო, რომ არც სარჩელის თანხობრივი გამოხატულებაა გასაჩივრებული და არც – ზოგადად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილე-

ბა; რომელი საქმეა მზად სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად და რა ოდენობას შეადგენს სარჩელის თანხობრივი გამოსხატულება?

სახაზინო პალატა

გარდა ზემოთ, II შენიშვნის ზე პუნქტში, მითითებული უწყისებისა, წარმოდგენილი უნდა იყოს: 1. გუბერნიების მიხედვით – შემოსავლებისა და გასავლების ცხრილები მიმოხილვის წლისა; 2. უწყისები მხარის მოსახლეობის შესახებ: გუბერნიების, წოდებრივი მიკუთვნილობისა და აღმსარებლობის მიხედვით.

რევიზორთა ურთიერთობა:

ა) ადგილობრივ ხელისუფლებასთან

§ 57

მხარეში შექმნილი ვითარებისა და მხარის მმართველობითი სისტემის მიმოხილვის მიზნით მივლინებაში ყოფნისას რევიზორებს, გარდა ზემოჩამოთვლილი უფლებებისა, არა აქვთ სამართლისა და განჩინების საქმეებში ჩარევის უფლება. ამიტომ ასეთ საქმეებთან დაკავშირებით ისინი საკუთარ შენიშვნებს გუბერნიის ხელმძღვანელს დაუფარავად მოახსენებენ წერილობით ან ზეპირად და, ამასთანავე, სარგებლობენ გუბერნიის ხელმძღვანელისგან მიღებული ცნობებითა და მითითებებით; ამავე პრინციპებით მოქმედებენ ისინი ცალკეული მმართველობითი ნაწილების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას.

§ 58

საგუბერნიო და მასთან გათანაბრებულ დაწესებულებებს რევიზორები მიმართავენ წერილობით; სამაზრო და საქალაქო დაწესებულებებს აძლევენ მითითება-წინადადებებს.

ბ) მთავარხელმძღვანელობასთან

§ 59

რევიზორები, გარდა ხელმძღვანელობისათვის წარსადგენი ზემოთ ნახსენები სპეციალური მოხსენებებისა და კონკრეტულად მათთვის მინდობილი გუბერნიების მიმოხილვისა, კავკასიის მეფისნაცვალს პირადად წარუდგენენ ანგარიშს მიმოხილვის საერთო შედეგების შესახებ. ეს უკანასკნელი ანგარიში, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული საკითხების მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემული ახსნა-განმარტებისა, უნდა შეიცავდეს დანესებულებებთან დაკავშირებულ შემდეგ მონაცემებს:

1. როდის, რა გარემოებების გათვალისწინებითა და რა პირობებში ჩამოყალიბდა მმართველობის თითოეული ნაწილი იმ სახით, რა სახითაც იგი ამჟამად არსებობს; ანუ მათ შესახებ უნდა დაინეროს მოკლე, მაგრამ ზუსტი ისტორიული ნარკვევი?

2. მმართველობის საქმიანობაში შემჩნეული ხარვეზებიდან რომელი მომდინარეობს თვითონ დანესებულების არასრულყოფილებისგან და რომელი – თანამდებობის პირების უუნარობისგან, გამოუცდელობისა თუ დანაშაულებრივი მოქმედებებისგან.

3. რა მოთხოვნებს აყენებენ და რა მოთხოვნილებები გამოითქმის, ერთი მხრივ, დანესებულებათა მოსამსახურეებისაგან და, მეორე მხრივ, ხალხისგან მმართველობის თითოეული ნაწილის სრულყოფის საშუალებათა შესახებ?

4. რამდენად უპასუხებს სამოქალაქო წესწყობილება საერთოდ და, კერძოდ, მისი ცალკეული ნაწილები მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს?

5. რა საშუალებები იქნება საუკეთესო შედეგის მომცემი მმართველობის თითოეულ ნაწილში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ამ გზით მმართველობის სრულყოფისათვის?

§ 60

თითოეული გუბერნიის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების გაცნობისა და განხილვისთვის თბილისში დაარსდება სპეციალური კომიტეტი; რევიზორები კომიტეტს მიმართავენ მხოლოდ მისი (კომიტეტის) მუშაობის დასრულების შემდეგ, საგანგებო შემთხვევებში და მეფისნაცვლის ნებართვით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ, თუ კომიტეტი მუშაობის დროს წინამდებარე ინსტრუქციაში შენიშნავს ხარვეზებსა თუ შეუსაბამობებს, მაშინ სპეციალურ განკარგულებათა საფუძველზე მოხდება ინსტრუქციაში დამატებების შეტანა. მაგრამ თუ კომიტეტი დაინახავს ხარვეზებს ინსტრუქციის მოთხოვნათა შესრულების მხრივ, ამ ხარვეზების აღმოფხვრა თვითონ რევიზორებს დაეკისრებათ.

§ 61

რევიზორთა მუშაობის ვადა წინასწარ არ განისაზღვრება, თუმცა მათი დამსახურების შეფასებისას მხედველობაში იქნება მიღებული, ვინ რა დროში შეასრულა ასეთი მნიშვნელოვანი დავალება.

[25 მარტი. 1857]

**სპეციალური განმარტებითი ბარათი
იმ შენიშვნების შესახებ,
რომლებიც ინსტრუქციის შედგენისას ვერ იქნა მოცემული
სახელმძღვანელოდ მიღებული**

თავად გიორგი კონსტანტინეს ძე **ბაგრატიონ-მუხრანსკის** შეხედულებით, რევიზორთა მოვალეობებს უნდა დაემატოს:

1. თავიანთი შენიშვნები წარუდგინონ სასამართლოებს, რათა სასამართლოებმა საკუთარი განმარტებები პირდაპირ მეფისნაცვალს მოახსენონ! ერთთვიან ვადაში, ორთვიან ვადაში კი მოახსენონ საკუთარი შეხედულებები საკანცელარიო წესრიგისა და სამართალწარმოების გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ. –

2. სასამართლო დაწესებულებათა მიმოხილვას დაემატოს სპეციალური ჩანაწერები: ა) სახელობითი ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომლებიც მეტისმეტად გაჭიანურდა; და ბ) შედარებითი ნაწილი – მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რომელი დამაბრკოლებელი გარემოებები რა ხარისხით ახდენს გავლენას სხვადასხვა სასამართლო დაწესებულების საქმიანობაზე. –

მიმაჩნია, რომ ეს მოთხოვნები არანაირად არ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებებს, რომლებითაც ინსტრუქციის საერთო საფუძველია განსაზღვრული. მე ისინი პროექტში არ შევიტანე შემდეგ მიზეზთა გამო: 1. რევიზორებს მოეთხოვებათ, თავიანთი შენიშვნები წარუდგინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას. მაშასადამე, სასამართლო დაწესებულებებთან

დაკავშირებით ამის ცალკე აღნიშვნა ნიშნავს, რევიზორებს კიდევ ერთხელ მოვთხოვოთ ის, რაც მათ ისედაც მოეთხოვებათ; 2. მიმოხილვის შედეგები სპეციალურმა კომიტეტმა უნდა განიხილოს და, ვფიქრობ, უკვე კომიტეტზევე უნდა იყოს დამოკიდებული დასკვნა იმ მოთხოვნათა შესახებ, რომლებიც მიმოხილვაზე მსჯელობისას წარმოიშობა; 3. რევიზორებისგან საქმეთა წარმოების შესახებ მათი მოსაზრებებისგან განცალკევებულად სპეციალური ჩანაწერების მოთხოვნა იქნება კიდევ ერთი გამეორება იმ საერთო ვალდებულებებისა, რომლებიც მე-17 პარაგრაფშია მოცემული.

აი, მიზეზები, რომლებმაც საშუალება არ მომცა, გამეთვალისწინებინა თავად გიორგი კონსტანტინეს ძის ორი შენიშვნა.

ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე **ნიკოლაის** შენიშვნებია:

1. მისი აღმატებულება მიიჩნევს, რომ განმკარგულებელ და აღმასრულებელ დანესებულებებთან დაკავშირებულ განყოფილებებში „მეტისმეტად ბევრია ისეთი წვრილმანი, რომელიც რევიზორებსაც გაურთულებს მუშაობას და დროსაც მეტისმეტად დიდს წაიღებს. რევიზორებს გარკვეული თავისუფლება უნდა მიეცეთ, რათა თვითონ შეარჩიონ საკითხები, რომლებსაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. – საკმარისი იქნებოდა საგუბერნიო მმართველობის შესახებ პირველი 5 პუნქტის შემდეგ მხოლოდ ერთი კითხვა შეგვეთავაზებინა: „სრულდება თუ არა კანონით განსაზღვრული ყველა ვალდებულება როგორც უშუალოდ მათზე დაკისრებული მოვალეობების, ისე დაქვემდებარებულ დანესებულებებსა და ორგანიზაციებზე მეთვალყურეობის მხრივ; და, თუ არ სრულდება, მიზეზი რა არის – არასაკმარისი საშუალებები, თუ საქმისადმი პირთა უსულგულო დამოკიდებულება?“ – ანალოგიური შენიშვნები აქვს მის აღმატებულებას საეჭიმო მართვა-გამგეობასა და პოლიციასთან დაკავშირებით.

ბარონ ალექსანდრე პავლეს ძის ამ შენიშვნის გათვალისწინება მეტისმეტად გამიაღვილებდა დაკისრებულ შრომას, მაგრამ მას ვერ გავითვალისწინებდი შემდეგ მიზეზთა გამო: მეფისნაცვლის მოწერილობაში ვკითხულობთ, რომ „აუცილებელია ... **დანვრილებით** იყოს აღნიშნული ... თუ რომელ საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ... **დანვრილებით** განერილი საერთო გეგმის გარეშე შეუძლებელი იქნება მოქმედებათა ერთგვაროვნობის მიღწევა; ... საბჭოს შეუძლია **უაღრესად დეტალიზებულად** განეროს საკითხები, რომლებიც საგანგებო ყურადღებასა და შესწავლა-გამორკვევას მოითხოვს; ... წარმატება ამ საქმისა (მიმოხილვისა) დამოკიდებულია იმაზე, იქნება თუ არა მითითებები განერილი იმდენად **დეტალიზებულად**, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი **დაექვევა და თვითნებობა** და თვითონ ეს მითითებები იქცეს წარმატების განმსაზღვრელ წინაპირობად“. – „შედგენის წესი (ინსტრუქციისა) უნდა უზრუნველყოფდეს **დანვრილებით ჩამონათვალს** საკითხებისა, რომლებსაც ყურადღება უნდა დაეთმოს თითოეული დანესებულების რევიზიისას და მოთხოვნები **გადმოცემული უნდა იყოს** შეკითხვის ფორმით“. –

მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეს მითითებები მაყენებდა ერთადერთი საფრთხის წინაშე – იქნებოდა თუ არა ჩემ მიერ შედგენილი პროექტი საკმარისად დეტალიზებული. – და რამდენადაც დეტალიზაციის გარეშე შეუძლებელია მმართველობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გააზრება და აღნუსხვა, ინსტრუქციის შედგენისას ვიხელმძღვანელებ მეფისნაცვლის მიერ პირადად მოცემული განკარგულების საფუძველზე. მივიღეთ სურათი, რომელსაც მომავალში პრაქტიკით განპირობებული მითითებები შეავსებს.

ბარონის მიერ შემოთავაზებული კითხვები, უბრალოდ, გამეორება იქნებოდა იმ ზოგადი კითხვებისა, რომლებიც შესავალ ნაწილშია წარმოდგენილი და რომლებზეც არის დამყარებული დეტალიზაციისთვის აუცილებელ კითხვათა შემდგომი ჩამონათვალი.

2. საპოლიციო დაწესებულებებთან დაკავშირებით მისი აღმატებულება შემდეგ კითხვებს გვთავაზობს:

ა) მიმდინარეობს თუ არა საქმეები სწრაფად და სწორი მიმართულებით; და, თუ არა, მიზეზი რა არის – არასაკმარისი საშუალებები, თუ საქმისადმი პირთა უსულგულო დამოკიდებულება?

ბ) პატივისცემით ეკიდება თუ არა ხალხის საჭიროებებს; განიხილავს თუ არა თხოვნებს მიუკერძოებლად და ხომ არ უშვებს არამართებულ მიდგომებს?

გ) „შეითვისა თუ არა ხალხმა სამოქალაქო სამართალწარმოების წესები და რამდენადაა ხალხისთვის მათი ცოდნა აუცილებელი; **იზრუნეს** თუ არა საერობო პოლიციის დაწესებულებებმა, ხსენებული წესები **გაცნოთ მოსახლეობისათვის**, რათა მათ გასჩენოდათ ნდობა იმ განკარგულებების მიმართ, მათვე რომ სჭირდებათ საკუთარი ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის?“ –

კითხვები **ა** და **ბ** ზოგადი კითხვებია და პროექტში ისინი იმგვარი დეტალიზაციით არის გაშლილი, როგორც ამას, განკარგულებაზე დაყრდნობით, აუცილებლობა მიკარნახებდა.

რაც შეეხება **გ** კითხვას, მე ის ინსტრუქციაში ვერ შევიტანე იმიტომ, რომ საკითხი ვერ თავსდება საპოლიციო ვალდებულებების ფარგლებში.

3. მიმოხილვის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც საპოლიციო დაწესებულებებს სასამართლო ძალაუფლებასაც ანიჭებს, მისი აღმატებულება სვამს კითხვას: სწრაფი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისთვის სასარგებლო იქნება თუ არა, რომ ჩვენს მხარეში პოლიციას სპეციალური სასამართლო უფლებამოსილება მივანიჭოთ?

ეს კითხვა შედის რევიზორებისთვის მიცემულ დავალებათა იმ რიგში, რომლის მიხედვითაც, მათ (რევიზორებმა) უნდა განიხილონ სასამართლო წყობილებასა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, ამასთანავე, შემდგომი

განზრახულებებისთვის წარმოადგინონ საკუთარი დასკვნითი მოსაზრებები.

4. მისი აღმატებულება მიიჩნევს, რომ რთული იქნება რევიზიის დასრულებამდე გადავდოთ ქონებრივი უფლებების გამიჯვნა იმერეთისა და გურიის თავადობასა და მათზე დამოკიდებულ აზნაურობას შორის.

სავსებით ვეთანხმები აზრს, რომ რთულია გადადო საკითხი აზნაურობის საკუთრივ პიროვნულ უფლებათა შესახებ. რაც შეეხება ქონებრივ უფლებათა გამიჯვნის საკითხს, ამ საქმეს 10 წელიწადია ვერ მოშორდა კითხვის ნიშნები და მის გადასაწყვეტად უმჯობესი იქნება, თუ დაველოდებით რევიზორთაგან მოწოდებულ, იქნებ საქმისთვის მნიშვნელოვან, ცნობებს. თუმცა ამოსაღებია ეს საკითხი ინსტრუქციიდან, თუ – დასატოვებელი, ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს.

5. ინსტრუქციის იმ პარაგრაფებს, რომლებიც ხალხის ზეპირგადმოცემებსა და რწმენა-წარმოდგენებს ეხება, მისი აღმატებულება უხერხულად და, ამდენად, ინსტრუქციაში ზედმეტად მიიჩნევს. –

რა ზომებიც არ უნდა მიიღოს მთავრობამ მხარის კეთილმოსაწყობად, ვერც ერთი გარდაქმნა ვერ იქნება წარმატებული, თუ იგი ხალხის გრძნობა-განწყობებზე არ იქნება დამყარებული. ხალხის გრძნობები კი წარსულის თანამედროვეობასთან შეკავშირებისა და მათ საფუძველზე უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვისგან ყალიბდება. ხსენებულ გრძნობათა ელემენტებია წარმოდგენა გარდასული ამბებისა და თანადროულობის ზუსტი აღქმა. მაშასადამე, ადმინისტრირების გაუმჯობესების გზაზე არ შეიძლება უგულვებელვყოთ ხალხის ისტორია, ზეპირგადმოცემები, აღმსარებლობა და რწმენა-წარმოდგენები. შესაბამისად, კეთილგონივრულად, გასაგებად და ზუსტად ჩაწერა საამისო მასალებისა სამძიმო თუ ხიფათის შემცველ საქმედ არ უნდა ჩაითვალოს. – სახიფათო მხოლოდ ის არის, რამაც შეიძლება რამე გასაჭირი თუ უბედურება წარმოშვას. ხოლო იმას, რასაც ხალხის ყოფის გაუმჯობესება უნდა მოჰყვეს, ვერავინ ჩათვლის სახიფათოდ.

სწორედ ამ რწმენით შევიტანე ინსტრუქციაში §§ 46, 47 და 48; და მათი ამოღება-დატოვების საკითხიც მხოლოდ უმაღლესი ინსტანციის ნებამ უნდა გადანყვიტოს.

6. მისი აღმატებულება უხერხულად მიიჩნევს, რომ ინსტრუქცია, რომელსაც ხელს მეფისნაცვალმა აწერს, რევიზორების განსჯის საგნად უნდა იქცეს.

როცა ინსტრუქციაში შემქონდა § 60, რომლის საწინააღმდეგოდაც ეს შენიშვნაა გამოთქმული, მეფისნაცვლის პირადი განკარგულებით ვხელმძღვანელობდი.

მისი აღმატებულება თედორე ესტატეს ძე კოცებუ მიიჩნევს, რომ ხალხის ისტორიის, რელიგიისა და ზნეობრიობის შესახებ შეკრებილი ცნობები შეიძლებოდა ინსტრუქციაში საიდუმლო დანართის სახით შესულიყო.

როგორც მე-5 შენიშვნის პასუხში მაქვს ნათქვამი, მე აქ ვერაფერს გასასაიდუმლოებელს ვერ ვხედავდი; თუმცა მისი აღმატებულების შენიშვნის გათვალისწინებას წინ არაფერი უდგას, თუკი ეს საჭიროდ ჩაითვლება. –

მისმა აღმატებულებამ, ანდრეი მიხეილის ძემ,² მომანოდა შეკითხვები და ცნობები, რომლებიც საგუბერნიო და სამაზრო დონეებზე სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებულ მიმოხილვას ეხებოდა. –

ინსტრუქციის ერთგვაროვნობის აუცილებლობამ მოითხოვა, მოწოდებული კითხვებისა და ცნობებისთვის ფორმა შემეცვალა და ჩემ მიერ შედგენილ ინსტრუქციაში ისინი ასე – შეეცვლილი ფორმით – შემეტანა. არც იმის საშუალება იყო, ამგვარი ცვლილებები საბჭოზე მსჯელობის საგნად მექცია. ცხადია, მხედველობაში ისიც იქნება მიღებული, რომ პროექტის შედგენა მე დავიწყე 18 რიცხვში და დავამთავრე 23-ში.³ ამავე რიცხვიდან დღემდე მიმდინარეობდა პროექტის განხილვა და გადანერა.

კომიტეტის წევრთა ყველა სხვა დანარჩენი შენიშვნა ჩემ მიერ პროექტიზე გათვალისწინებული.

[მარტი. 1857]

ამიერკავკასიაში სავაჭრო კატეგორიების შემოღების შესახებ

სავაჭრო კატეგორიები სახელმწიფოს სხვა ნაწილებში მოქმედებს და ამიტომ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ისინი ამიერკავკასიაშიც უნდა ყოფილიყო შემოღებული. ამასთანავე, არასოდეს გამჩენია კითხვა – შეესაბამება თუ არა ეს ყველაფერი მთავრობის სურვილს, ხელი შეუწყოს ხალხში სავაჭრო სულისკვეთებისა და უნარიანობის განვითარებას?

ახლა, როცა უკვე ვალდებული ვარ, გამოვთქვა საკუთარი შეხედულება ამ საქმის შესახებ და საკუთრივ ჩემი ვალიცაა, საქმეს საფუძვლიანად და სიღრმისეულად მოვეკიდო, მგონი, საკითხის გადაწყვეტაზე ფიქრი არსებითი მნიშვნელობის კითხვებს წარმოშობს: მართლაც, არის თუ არა საჭირო ამიერკავკასიაში სავაჭრო კატეგორიების შემოღება და, თუ საჭიროა, როგორ უნდა იქნეს ისინი შემოღებული?

მისი აღმატებულების, იპოლიტ ალექსანდრეს ძის,¹ მიერ გადმოცემულ ქალაქებში ვიპოვე მითითებანი იმ ორგვარ სარგებელზე, რომლებსაც სავაჭრო კატეგორიების შემოღება მოგვიტანს: სარგებელი თვითონ საზოგადოებრივი ფენისთვის და სარგებელი სახელმწიფო ხაზინისთვის.

ხსენებული მითითებანი შემდეგი *ოთხი* თვალსაზრისიდან გამომდინარეობს:

1. „ახალი ზოგადი კანონდებულება ჩვენში შეუძლებელს ხდის, ხანგრძლივად გაგრძელდეს ასეთი ვითარება – წარმოებისა და ვაჭრობის თავისუფლებამ თვით ყველაზე მდიდართა კლასშიც კი შეასრულა სამრეწველო სულისკვეთების წამახალისებლის ფუნქცია და სავაჭრო უნარის გაძლიერებასაც შეუწყო ხელი“.

თუკი კანონები მართლაც ხელს უშლის თავისუფლებას სავაჭრო და სამრეწველო საქმეებში, მაშინ აქედან გარდაუვლად უნდა გამოდიოდეს სამიდან ერთ-ერთი დასკვნა:

ა) ან ამ საქმეებში თავისუფლება თავისთავად ეწინააღმდეგება კანონს;

ბ) ან კანონი ეწინააღმდეგება ხელისუფლების განზრახულებებს;

გ) ან, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებას არ სურს ხალხში სავაჭრო სულისკვეთებისა და უნარის განვითარება და გაძლიერება.

რასაკვირველია, ეჭვს არ იწვევს, რომ სამივე ეს დასკვნა საფუძველსაა მოკლებული. შესაბამისად, ზემოხსენებული **ოთხი** თვალსაზრისიდან პირველი იმას ადასტურებს, რომ ამჟამად ჩვენში არსებული წესრიგი უფრო შესაანარჩუნებელია, ვიდრე – შესაცვლელი.

2. „საჭიროა, რომ ვაჭრები, რომლებიც თავისი სავაჭრო საქმეებისა და სიმდიდრის გამო გამოეყვნენ დაბალ კლასს, ამ კლასს უნდა გამოეყონ პიროვნული უფლებებითაც, რათა ისინი აღარ მიეკუთვნებოდნენ იმ ფენას, რომელსაც გამოსაღები აქვს დაკისრებული და, შესაბამისად, ვაჭრები, ხსენებული ფენისგან განსხვავებით, დაზღვეულნი უნდა იყვნენ როგორც ფიზიკური სასჯელისგან, ისე ზოგადად გამოსაღებდაკისრებული ფენისთვის დამახასიათებელი მატერიალური სირთულეებისგან“.

სავსებით სამართლიანია! მაგრამ, თუ ვაჭრის ასეთი პიროვნული გამიჯვნა შექმნის ისეთ ვითარებას, რომელიც სავაჭრო საქმიანობისა და ვაჭრობის უნარის განვითარებისათვის შემაფერხებელ გარემოებად გადაიქცევა, მაშინ სხვა საშუალებები და წყაროები უნდა ვეძებოთ. ჩემი აზრით, იოტი-სოდენა პოლიტიკური შეცდომაა კი არ იქნება, თუ გამოიცემა სპეციალური დადგენილება, რომელიც ვაჭრებს საერთოდ გაათავისუფლებს ყოველგვარი ფიზიკური სასჯელისგან.

მოცემულ დროსა და მოცემულ საზოგადოებაში მეტად თუ ნაკლებად მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებების საჭიროებას ჩვენ ზოგადად არ უარვყოფთ, მაგრამ სადაც საზოგადოებას განათლებულობისა და სამოქალაქო შეგნების თვალსაზრისით შესამჩნევი წინსვლა აქვს, იქ სადამსჯელო კანონების თანდათანობითი შემსუბუქება გარდაუვალი ხდება. ჩვენთან ამ პროცესს უწყვეტი ხასიათი აქვს. – რაც შეეხება მატერიალური სირთულეებისგან ვაჭართა გათავისუფლებას, აქ შემდეგი გარემოება უნდა გავიხსენოთ: ჩვენთან ვაჭრები, ვითარცა ძირითადად ქალაქის მცხოვრებნი, ყოველგვარი საეროობა ბეგრისგან – ნატურალურისგანაც, ფულადისგანაც – გათავისუფლებულნი არიან. საქალაქო გადასახადებს კი ქალაქის ყველა მკვიდრი იხდის, მათ შორის – აზნაურობაც. რაც შეეხება გამოსაღებს, სავაჭრო კატეგორიების შემოღების შემთხვევაში, რა სახელიც არ უნდა დავარქვათ მათ, ვაჭართათვის გამოსაღები გაათმაგდება. თავისი სავაჭრო საქმიანობითა და დოვლათით ვაჭრის პიროვნული გამიჯვნა იმ დაბალი ფენისგან, რომელსაც ადრე ეკუთვნოდა, თავისთავად ხდება, ერთი მხრივ, მისი (ვაჭრის) მდგომარეობითა და, მეორე მხრივ, გაფრთხილებისა და დანაშულის აღკვეთის შესახებ არსებული განკარგულებებით. ხოლო სადაც ამგვარი განკარგულებების მიმართ დამოკიდებულება სუსტდება, იქ თანაბარი საფრთხე ექმნება ყველას, მათ შორის, ვაჭრებსაც, მიუხედავად იმისა, რა კატეგორიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი.

3. *„ვაჭართა ფენის პიროვნული უპირატესობები ჩვენში სრულიად უმნიშვნელოა. ამის გამო ვაჭრებს დაქვეითებული აქვთ საკუთარი ღირსების განცდა და ამიტომაც ამ ფენის წარმომადგენლები ჩინების მოპოვებისაკენ მიილტვიან, ნაკლებად იცლიან სამრეწველო საქმეებისათვის და ამით სახალხო დოვლათის დაგროვების საქმეც ზარალდება“.*

აქ გამოთქმული აზრი თავის თავში მოიცავს სავაჭრო კატეგორიების შემოღების წამახალისებელ გარემოებებს – გარკვეული წრის წარმომადგენელთა უმრავლესობას უღვი-

ვებს სურვილს, მხოლოდ მოცემულ წრეშივე ეძებონ სამოქმედო ასპარეზი.

თუ ეს მართლაც ასეა, ანუ, თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე ადამიანში საკუთარი ღირსების განცდას ასაზრდოებს წოდებრივი მდგომარეობა და არა საკუთარი ნიჭითა და უნარით მოპოვებული კეთილდღეობა და კაპიტალი, მაშინ სავაჭრო კატეგორიების შემოღება, ცხადია, აუცილებელია. რაც შეეხება სწრაფვას ჩინების მოპოვებისკენ, უნდა გავიხსენოთ, რომ იქ, სადაც არ არსებობენ კასტები, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას წინ არაფერი უდგას. ოღონდ ეგაა – ერთი წოდებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისაკენ დაუძლეველ სწრაფვას საერთო ვითარებაში მეტად თუნაკლებად საგრძნობი არეულობა შეაქვს. – ამის საწინააღმდეგოდ ჩვენში საკმარისი ზომებია გატარებული. ვაჭართა შვილები მონდომებულნი იყვნენ, მოეპოვებინათ თავად-აზნაურთა წოდებრივი უფლებები, რაც არცთუ დიდი ხნის წინ გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე ვაჭართა წრეში საიმედო მდგომარეობის მოპოვება. ამჟამად კი პოლკოვნიკის ან ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის ჩინის მოსაპოვებლად საჭიროა არა მხოლოდ თანდაყოლილი წოდებრივი მდგომარეობა, არამედ კარგი სამსახურებრივი მომზადება, ხანგრძლივი და ბეჯითი შრომა. არა მგონია, ამჟამად და ამ მხრივ რაიმე პრობლემა შეექმნას ან მოსამსახურეთა კლასს, ან – ვაჭართა კლასს. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს აქვს სათანადო მიდრეკილება, მას შეუძლია დაუბრკოლებლად გააკეთოს თავისი არჩევანი ვაჭრობასა და ჩინოვნიკობას შორის. –

4. „სახალხო დოვლათთან მიმართებით ვაჭრობის თავისუფლებას აქვს თავისი საზარალო მხარეები: რაც უფრო დიდი კაპიტალი იხარჯება ამა თუ იმ სავაჭრო ნამოწყებაზე, მომხმარებლისთვის მით უფრო იაფია საქონელი. საქმე ისაა, რომ მსხვილ კაპიტალისტს შეუძლია, მოგების მცირე პროცენტს დასჯერდეს. წვრილი მოვაჭრეების სიმრავლის შემთხვევაში, ცოტას თუ შეუძლია, დააგროვოს სამყოფი კაპიტალი. მსხვილი

კაპიტალის გარეშე კი შეუძლებელია ვაჭრობის სერიოზული განვითარება“.

ესეც სავსებით სწორია! მაგრამ საკითხავი აი, რა არის – რა უწყობს ხელს ვაჭრობის განვითარებას: დიდი კაპიტალის რამდენიმე პირის ხელში თავმოყრა, თუ გაცილებით უფრო მეტი პირის ხელში გადანაწილებული კაპიტალი? რაც უფრო მცირეა რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც დიდ ძალ კრედიტებს ფლობენ, ცხადია, მით უფრო მეტი ძალა და გავლენა აქვთ ამ ადამიანებს სავაჭრო საქმეებში, მით მეტია მონოპოლიები, მით მეტი ბარიერი ექმნება კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და თავისუფალ კონკურენციას, რის გარეშეც ვერ აღიკვეთება თვითნებობა და ვერ შეიქმნება სწორად ორგანიზებული გარემო ხალხის წინმსვლელობისათვის.

ასეთია, ჩემი აზრით, ყველა ის მოსაზრება, რომლებიც ადასტურებს თვითონ მოცემული ფენისთვის სავაჭრო კატეგორიების შემოღების სარგებლიანობას.

ახლა გადავალ იმის გარკვევაზე, რა სარგებელი ექნება ხაზინას და პირდაპირ ვიცყვი – აქ სარგებელი გაცილებით უფრო მეტია.

იპოლიტ ალექსანდრეს ძე ერთგან ამბობს, რომ ამიერკავკასიელი ვაჭრები რუს ვაჭრებთან შედარებით 50 წელიწადზე მეტია მნიშვნელოვანი შეღავათებით სარგებლობენ; რომ გენერალ ერმოლოვს ჯერ კიდევ 1821 წელს შესაძლებლად მიაჩნდა აქაური ვაჭრების დაბეგვრა საბაჟო გადასახადით; რომ მას მერე ეს მხარე კი არ გაღარიბებულა, არამედ შესამჩნევია წარმატებები სანარმოო სფეროებში და ეს წარმატებები გარკვეულწილად ყველა კლასის კეთილდღეობაზეა ასახული.

ჩემდათავად გავიმეორებ, რომ სწრაფვა ურთიერთსაპირისპირო შედეგებისკენ ეწინააღმდეგება თვითონ მიზანს იმ მთავრობისა, რომლის სურვილი ყველა კლასის გამდიდრებაა, რამდენადაც სწორედ ამით განისაზღვრება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

შემდეგ ნათქვამია: მხარის მწირი შემოსავლების გამო საჭიროა შემოსავალთა გასაზრდელად დამატებითი საშუა-

ლებების გამოძებნა. რაც შეეხება ვაჭრობის უფლებისთვის დაწესებულ ბაჟს, ვაჭრები ბაჟს იხდიან, მაგრამ ეს აძვირებს საქონელს და ზედმეტ ხარჯად აწვება მხარის ყოველ მცხოვრებს, თუმცა მნიშვნელოვნად ზრდის ხაზინის შემოსავალს.

აქ საკამათო არაფერია! თუმცა არ ვიცი, რამდენად აუცილებელია, ხაზინის შემოსავლის გაზრდას თავისუფალი ვაჭრობის სფეროში მიღწეული წარმატებები შეენიროს. – აქაური ვაჭრებისთვის წელიწადში 25-, 100- და 200-მანეთიანი საბაჟო გადასახადის დაწესება, ამას დამატებული თითოეულისგან $\frac{1}{4}\%$ გამოსაღები 6-დან 37 მან. 50 კაპიკამდე, ნაცვლად დღეს არსებული გადასახდელისა, რომელიც დაახლოებით 3-დან 9 მანეთამდეა – ეს ყველაფერი გაცილებით უფრო მძიმე ტვირთად დაანება მთელ მოსახლეობას, ვიდრე ნებისმიერი სხვა გადასახადის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზრდა. სავაჭრო საქონელზე ფასების თანაშეზომილი თუ მკვეთრი ზრდა ხალხის თვალში გაცილებით უფრო გამართლდება ახალი გადასახადების დაწესებით, ვიდრე ახლანდელი თითქმის გაათმაგებული გადასახდელებით. ხაზინა ამით დღეს, რასაკვირველია, დიდად მოგებულნი დარჩება, თუმცა განა გაცილებით მეტს არ დაკარგავს სამომავლოდ? ადამიანმა შეიძლება ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ამჯობინოს, მაგრამ მთავრობა ამ გზას ვერ დაადგება – მეცნიერება ამ ანდაზისგან გამორიცხავს ყველა სხვა შედეგს, გარდა შიმშილისა.

მოცემული საკითხის ანალიზი მაიძულებს ვაღიარო, რომ ჩემი ადრინდელი შეხედულება იყო გაუზარებელი – ამიერკავკასიაში სავაჭრო კატეგორიების შემოღების აუცილებლობას უკვე ველარ ვხედავ. თუ საკითხის ახლავე გადაჭრა არ არის გადანყვეტილი, მაშინ აჯობებს, უკიდურეს შემთხვევაში, გადაიდოს იგი იმ დრომდე, ვიდრე არ გამოიცემა განკარგულება გილდიების შესახებ. პროექტი კი ამ განკარგულები-სა ამჟამად განიხილება საკანონმდებლო წესით და, შესაბამისად, მისი საფუძვლები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

6 ივნისი 1857.

მეფისნაცვლის საბჭოს შესახებ

უნდა ვიმსჯელოთ საბჭოს შესახებ...

საამისოდ, ვფიქრობ, პირველ რიგში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – საჭიროა საბჭო, თუ არ არის იგი საჭირო? თუ ის საჭიროა, მაშინ უფრო ახლოდან უნდა დავაკვირდეთ მის წყობას, მის ფუნქციურ-ორგანიზაციულ დანიშნულებას; და თუ არ არის საჭირო, მაშინ მას, უბრალოდ, ხაზი უნდა გადავუსვათ თუნდაც იმის გამო, რომ ხაზინამ ყოველი წლის ბოლოს თავის დანაზოგს 60 000 მანეთი შემატოს.

მაგრამ თუ ვიტყვით, რომ საჭირონი ვართ,¹ იპოვის თუ არა უმაღლესი ხელისუფლება საკმარის არგუმენტებს ჩვენი ამ მოსაზრების გასაზიარებლად? რასაკვირველია – ვერა! და ეს იმიტომ, რომ არგუმენტები გამომდინარეობს თვითონ საქმეების არსიდან, ანუ გამოცდილებიდან, საგნების განხილვიდან. მაშასადამე, ყურადღება პირდაპირ ამ საგნებისა და მათი განხილვისკენ უნდა მივმართოთ.

საქმეებიდან კი, ანუ საკითხის დასაბუთებული განხილვიდან, ცხადად ჩანს: ვერაფრით ვერ გამოვიტანთ სხვაგვარ დასკვნას, თუ არა – უარყოფითს, რამდენადაც: ყოფილ მთავარმმართველობის საბჭოში ყოველწლიურად განიხილებოდა ათას საქმეზე მეტი, ხოლო ამჟამინდელ მეფისნაცვლის საბჭოში ასეთი საქმეები ასამდე ძლივს აღწევს. – ყოფილი საბჭო ვალდებული იყო, განეხილა არა მარტო ისეთი საქმეები, რომელთა განხილვაც კანონით იყო განსაზღვრული და, ამდენად, საბჭოში დაუყოვნებლივ უნდა შემოსულიყო, არამედ ისეთებიც, რომლებიც საბჭოს მეფისნაცვლის ნების შესაბამისად გადაეცემოდა. ამჟამად საბჭოში მხოლოდ ამ უკა-

ნასკნელი კატეგორიის საქმეები შემოდის. – ყოფილი საბჭოს დადგენილებებს ძირითადად სათათბირო ხასიათი ჰქონდა, თუმცა, კანონის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში მათ სამთავრობო-აღმასრულებელი ძალაც ენიჭებოდა – ზოგს საბოლოო გადაწყვეტილებისა, ზოგი კი გადასაწყვეტად უმაღლეს ხელისუფლებას წარედგინებოდა. ამჟამინდელი საბჭოს დადგენილებებს სათათბირო ხასიათიც კი არა აქვს. ყოფილი საბჭოს მოქმედებათა გადასინჯვა მხოლოდ მეფისნაცვალს შეეძლო, ამჟამინდელი საბჭოს დადგენილებების განხილვა-გადასინჯვა კი იერარქიული თვალსაზრისით არა მხოლოდ საბჭოს წევრებთან გათანაბრებულ, არამედ უფლებრივად საბჭოს წევრებზე დაბლა მდგომ პირებსაც შეუძლიათ. დასასრულ, წინანდელ საბჭოს შეეძლო გაუგებრობათა აღმოფხვრა, ფაქტებისა და მოვლენების კანონიერების გზაზე დაყენება; ვიტყვი პირდაპირ – წინანდელ საბჭოზე იმედებს ამყარებდნენ, ახლანდელ საბჭოში კი არაფერია ისეთი, იმედს რომ აღძრავდეს.

აი, ამას გვეუბნება გამოცდილება და ამის შემდეგ უსარგებლოდ არ უნდა მოგვეჩვენოს ის დანაზოგი, საბჭოს გაუქმებით ხაზინას რომ დარჩება. შესაბამისად, რაც უფრო მალე ამოვშლით ხარჯთაღრიცხვიდან ამ ნაწილს, მით უკეთესი იქნება კავკასიის სამეფისნაცვლოს ფინანსური მდგომარეობისათვის.

ამასთანავე, ეჭვიც არ მეპარება, რომ თვით ფინანსური დეპარტამენტის დირექტორიც კი ვერ გაბედავს ამაზე შუამდგომლობის აღძვრას, თუ წინასწარ არ დააკვირდება საკითხის მეორე მხარეს. საკითხის მეორე მხარეს კი ქმნის საგნის მარტივი ანალიზი, მარტივი განხილვის შედეგი.

რაც უფრო ვრცელია ხელისუფლების ძალმოსილობა, მით უფრო დეტალური და ყოვლისმომცველი უნდა იყოს განსახილველი საქმისადმი მიდგომა. მხარის მთავარმართებელთა ქმედება, ისევე, როგორც გენერალ-გუბერნატორის ძალაუფლება, სამინისტროების კონტროლს ექვემდებარებოდა.

შესაბამისად, სამინისტრო თვალყურს ადევნებდა მთავარ-მართებლის მუშაობას და სამინისტროსგანვე აღმოიფხვრებოდა მთავარმართებლის შეცდომა, უყურადღებობა, მისი ქმედებისგან წარმოშობილი გაუგებრობა. მიუხედავად ამისა, მთავარმართებლობის დროს საბჭო ამიერკავკასიის მხარეში მიიჩნეოდა ისეთ ორგანოდ, რომლის არსებობა არა მარტო სასარგებლო, არამედ აუცილებელიც იყო. – ამჟამად მეფისნაცვლის ქმედებებს სამინისტრო აღარ აკონტროლებს; პირიქით, მხარის საქმეებთან დაკავშირებით მეფისნაცვლის თანამდებობრივ უფლებამოსილებაში ყველა სამინისტროს უფლება-მოვალეობებია თავმოყრილი.² ამასთანავე, არ არსებობს არც ერთი სამინისტრო, რომელსაც არ გააჩნია ან საბჭო, ან ამა თუ იმ დასახელების სათათბირო ორგანო. და ეს ასე იმიტომაც, რომ უმაღლეს ადმინისტრაციულ ინსტანციაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით საქმეებს, რომელთა განხილვა აღემატება მინისტრის შესაძლებლობებს და ამიტომაც მინისტრის შრომას ამსუბუქებენ შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც გადანყვეტილების მიღებამდე ამ საქმეებს განიხილავენ წინასწარ. ხსენებულ პირებს არა აქვთ არავითარი ინტერესი, საქმეებს არასწორი მიმართულება მისცენ; მომხსენებელი კი, ცალკე აღებული, ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი შეხედულებით, საქმისადმი საკუთარი მიდგომით, გამორიცხული არ არის, საკუთარი ინტერესითაც კი და, შესაბამისად, შესაძლებელია, მან საქმე არასწორი მიმართულებით წაიყვანოს. – მით უმეტეს საჭიროდ მიიჩნევა ამგვარი ორგანოს არსებობა მეფისნაცვლის ხელისუფლებაში, სადაც რთული, მასშტაბური, მნიშვნელოვანი საქმეები განიხილება. ასეთი საქმეების გარშემო თვითონ მოცემული ორგანოს მიერ მიღებულ ან მეფისნაცვლისგან გამოთხოვილ გადანყვეტილებებზე დამოკიდებულია ბედი პიროვნებებისა და მათი ავლადიდებისა, ბედი საზოგადოებებისა, მთელი მოსახლეობისა; დამოკიდებულია, ბოლოს და ბოლოს, ამა თუ იმ სახელისუფლებო მოქმედების წარმა-

ტება თუ წარუმატებლობა იმ მხარეში, სადაც ჯერჯერობით წესრიგი შესანარჩუნებელი კი არ არის, არამედ – დასამყარებელი.

ამ ტიპის საქმეებიდან შესაბამის დეპარტამენტებში მეფისნაცვალთან წარსადგენი ყველა საქმე ვერ იქნება სათანადო საფუძვლიანობით განხილული, რაც არ უნდა კარგად იყოს ეს დეპარტამენტები აწყობილი და დაკომპლექტებული; მათთვის – და მეფისნაცვლისთვისაც – საბჭო ან საგანგებო დადგენილების საფუძველზე შექმნილი, სათანადო გამოცდილებითა და რეპუტაციით აღჭურვილი ადამიანებით დაკომპლექტებული სხვა ორგანო აუცილებელია, რათა უნებური შეცდომებისა თუ გაუგებრობებისაგან დაზღვეულნი იყვნენ.

მაგრამ საბჭო, თუ ზუსტად არ იქნება განსაზღვრული დაუყოვნებლივ განხილვას დაქვემდებარებულ საქმეთა ხასიათი, თუ დადგენილი არ იქნება მისი სამსახურებრივი მნიშვნელობა და მოქმედების ფარგლები და აღმოჩნდება ისეთ გაურკვეველ და უხერხულ მდგომარეობაში, როცა მხოლოდ მეფისნაცვლის ბრძანებით შემოტანილი საქმეები უნდა განიხილოს, ასეთი საბჭო ყოველთვის იქნება აზრს მოკლებული და უსარგებლო. საქმე ისაა, რომ ამჟამინდელ პირობებში საბჭოს გადაეცემა მხოლოდ ისეთი საქმეები, რომელთაც ესა თუ ის დეპარტამენტი ჩათვლის საჭიროდ. 7 დეპარტამენტიდან და მთავარმმართველობაში შემავალი მათთან გათანაბრებული სამსახურებიდან კი, დღიდან მათი დაარსებისა, მხოლოდ სამი თუ ოთხი საქმეა გადმოცემული; დანარჩენებისგან არ შემოსულა არც ერთი საქმე, რომელთა გადანყვეტასაც ყოველმხრივი და საგულდაგულო შესწავლა-განხილვა არ დასჭირვებოდა. –

ასეთია ჩვენი საბჭო 1859 წლიდან.

ასე რომ, მისი დაფუძნება არ შეესაბამება მისსავე დანიშნულებას და, მაშასადამე, საჭიროა განსაზღვრა საბჭოს მოქმედების ფარგლებისა და საქმეებისა, რომლებიც მის განხილვას უნდა დაექვემდებაროს.

სწორედ ამგვარი იყო საბჭო 1838 წლიდან 1859 წლამდე და ასეთია ამჟამად სამინისტროთა საბჭოები.

რაც შეეხება პროცედურულ მხარეს, ანუ საბჭოში საქმეების შემოსვლისა და იქიდან გასვლის საკითხს, აგრეთვე, ამ შემოსვლა-გასვლის ფორმებს, ამაზე საქმისმწარმოებლის მოხსენების საფუძველზე ბ-ნმა საბჭოს თავმჯდომარემ უნდა იმსჯელოს.³

12 მარტი 1862.

საგანგებო

ქართული ენის პროგრამა შედგენილი ყორღანოვის მიერ

კომიტეტის¹ 1851 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით დაარსებულმა ქართული ენის განყოფილებამ განიხილა ბ-ნი უფროსი მასწავლებლის, ყორღანოვის, მიერ შედგენილი პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა თბილისის გიმნაზიებში.² მანვე შეადგინა ბიბლიოთეკებისათვის საჭირო წიგნების სია იმ სამაზრო სასწავლებლებისთვის, რომლებშიც ქართული ენა ისწავლება.

ჩვენ მიერ კომიტეტში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული პროგრამა და სია დროებითია, თავდაპირველი სახისაა და იმასაც მოგახსენებთ, რომ საკითხის განხილვისას სათათბიროდ მოწვეული გვყავდა მღვდელი ეფრემ ალექსეევი, რომელიც ქართული ენის შესანიშნავ მცოდნედ ითვლება.

ქართული ენის პროგრამა თბილისის გიმნაზიისთვის:

კითხვა: ჯერ მხედრული, ხოლო შემდეგ ხუცური ასოებით.

წერა: მხედრული ასოებით.

წინადადებების, მოთხრობებისა და იგავების კითხვისას სიტყვები ახსნილი უნდა იყოს უაღრესად მარტივად, რათა სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემისას ბავშვებს მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეთ სიტყვის შინაარსზე და თანდათანობით შეძლონ ჯერ მარტივი, ხოლო შემდეგ უფრო რთული წინადადებების ლოგიკურად აგება; ამასთანავე, როგორც სიტყვები, ისე წინადადებები ახსნა-განმარტებისას უნდა ითარგმნებოდეს რუსულ ენაზე. წიგნში ამოკითხულს ყოველ ჯერზე ბავშვები წერენ კარნახით ან მეხსიერებით.

ლოცვების ზეპირად სწავლა ქრისტიანთათვის.

ასოების გამოყენება ფულის ერთეულებისა და ციფრების თვლისას.

გრამატიკის შესწავლა მარტივი ფორმით, რაც წინადადების შედგენილობის მხრივ მოცემულ მომენტში ბავშვების ცოდნასთან უნდა იყოს მისადაგებული. აქვე უნდა აიხსნას წინადადების ცალკეული წევრები და მათი ძირითადი ფორმები.

მარტივი თარგმანები რუსულიდან ქართულ ენაზე.

გამოჩენილი ავტორების საუკეთესო პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებთა ნაწყვეტების დაზეპირება.

გრამატიკის წესების საფუძვლიანი შესწავლა, მათი შედარება რუსული ენის გრამატიკასთან და ძირითად ენობრივ თავისებურებათა ჩვენება.

ქართული სიტყვიერების მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

ვარჯიში თარგმნასა და ორიგინალური ნაწარმოებების თხზვაში. ხელნაწერთა კითხვა და საქმიანი ქალაქების თარგმნა.

სავარჯიშოები ძველ ენაში – ახალი ალექსის წიგნების მიხედვით.

სია ქართული წიგნებისა, რომლებიც სამაზრო სასწავლებლების ბიბლიოთეკებს პირველ ჯერზე უნდა მიენოდოს:

1. ახალი ალექსა.
2. ფსალმუნი.
3. მოძღვაროვის კატეხიზმო.
4. თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორია.
5. ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია, გამოცემული აკადემიკოს ბროსეს მიერ.
6. ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფიული აღწერა.
7. ტიმოთე სამთავროს არქივისკოპოსის მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში.
8. ჩუბინოვის ქრესტომათია.
9. ვეფხისტყაოსანი.
10. ჩახრუხაძე.
11. შავთელი.
12. დიდმოურავიანი.
13. ჩუბინოვის ლექსიკონი.

თებერვალი 1852.

პართანოვის „ქართული წერის დედანი“

კომიტეტის ჟურნალიდან ა. თ. 20 რიცხვის ამონაწერთან¹ ერთად მივიღე „ქართული წერის დედანი“, განვიხილე იგი და თავს მოვალედ ვთვლი, მოგახსენოთ:

1. ხელწერის სისწორისა და სილამაზის შესახებ

ერთი შეხედვით ასოები, განსაკუთრებით ხვეული და სასათაურო, ლამაზია. თუმცა ქართული ასოების სილამაზეს ქართული თვალთახედვა განაპირობებს, ანუ თვალთახედვა, რომელიც უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა ქართველ კალიგრაფთა მიერ და განსხვავდება ასოების სილამაზის აღქმისგან რუსულ და ევროპულ ენებში. საკითხს ამ კუთხით თუ შევხედავთ, მოგვინევს ბ-ნი ვართანოვის მიერ გამოყენებული პრინციპის კატეგორიული უარყოფა. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ახსნა ამგვარი უარყოფისა.

ქართულში ხელწერა ლამაზად რომ ჩაითვალოს, ასოების გამოყვანის წესი შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. მოხაზულობის მხრივ ასოს ყოველი ნაწილი უნდა იყოს სავსებით ერთგვაროვანი, ანუ თანაბარი სისხოსი.

2. ნაწილები ასოებისა უნდა იყოს მომრგვალებული. სავსებით უნდა გამოირიცხოს კუთხოვანი და ტეხილი მოხაზულობა.

3. ასოები, რომლებიც ქმნის ერთ ხაზზე განწყობილ სტრიქონს, ისე უნდა იყოს მომრგვალებული, რომ პირველი შეხედვისთანავე ტოვებდეს ასხმულის შთაბეჭდილებას, ხოლო გვერდმა, რომელიც ასეთი სტრიქონებისგან შედგება, წამ-

კითხველს არც თვალი უნდა მოსჭრას და არც – მხედველობის დაღლა გამოიწვიოს.

4. ზოგადად ასოები უნდა ეწეროს გამართულად და არც მარჯვნივ იყოს გადახრილი და არც – მარცხნივ.

რაც შეეხება ხელწერის მკაფიობას, თავისთავად ცხადია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის დაცული თითოეული ასოს საგანგებო მოხაზულობა და რამდენად არის თავიდან აცილებული ასოთა ურთიერთმიმსგავსება.

თუ, ერთი მხრივ, გავითვალისწინებთ ჩემ მიერ განხილულ „წერის დედანს“ და მასზე დაყრდნობით შეეაფასებთ ბ-ნი ვართანოვის კალიგრაფიულ შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ავტორს ჩემს მოსაზრებებსაც გააცნობთ, დარწმუნებული ვარ, მას შეუძლია შეადგინოს ახალი, სავსებით დამაკმაყოფილებელი წერის დედანი.

2. გამოთქმათა ურიგობისა თუ შეუფერებლობის შესახებ

„წერის დედნის“ მე-3 გვერდზე ბ-ნი ვართანოვი „კეთილშობილების“ გამოსახატავად იყენებს სიტყვას ა ზ ნ ა უ რ ე ბ ა * – სიტყვები: ა ზ ნ ა უ რ ი, ა ზ ნ ა უ რ ე ბ ა ჩვენს დროში, კერძო ცხოვრებასა თუ ოფიციალური მნიშვნელობით, ნიშნავს ნოდებით აზნაურს (дворянин), ნოდებრივ აზნაურობას (дворянство). ძველ წიგნებსა თუ საღმრთო წერილში კი სიტყვა ა ზ ნ ა უ რ ი გვხვდება „თავისუფალის“ (свободный), ზოგჯერ კი „კეთილშობილის“ (благородный) მნიშვნელობით, მაგრამ – მაინცადამაინც ძველ ქართულში.² ასე რომ, ამ სიტყვის ხმარება დღეს მისი ადრინდელი მნიშვნელობით ზოგ შემთხვევაში საზიანოა გამოთქმის სიცხადისთვის, სხვა შემთხვევაში კი აზრი სულ სხვა მნიშვნელობას იძენს.

მაგალითისთვის მოვიყვან გამოთქმას ბ-ნი ვართანოვის „წერის დედნის“ მე-3 გვერდიდან:

* სიტყვები „ა ზ ნ ა უ რ ე ბ ა“, „ა ზ ნ ა უ რ ი“ ხელნაწერში ქართულადაა.

„აზნაურობა (дворянство), რომელიც გვებოძება ბუნებითად, მდგომარეობს (ამ უკანასკნელი სიტყვის ნაცვლად, ცხადია, რაღაც გაუგებრობიდან გამომდინარე, წერია „მთავრდება“) ღირსებასა და კეთილ საქმეთა ქმნაში. ამდენად, მაღალი ზნეობისა და კეთილ საქმეთა მქმნელი ადამიანი უკვე არის აზნაური (дворянин)“.

ამგვარი გამოთქმა იმიტომ არის ურიგო თუ შეუფერებელი, რომ შეიძლება ბავშვებში ჩამოაყალიბოს წარმოდგენა აზნაურობის (дворянство) მოპოვების ისეთი საშუალებების შესახებ, რომლებიც კანონებში არ მოიპოვება.

თებერვალი 1852.

ვახტანგ VI-ის კანონთა თარგმანი

მთავარმმართველობის საბჭოს ამა წლის 21 იანვრის დადგენილების საფუძველზე განვიხილე წინამდებარე თარგმანი, თუმცა, ვინაიდან ტექსტის დედანი არსად ჩანს, თარგმანს დედანთან ვერ შევადარებდი, ხოლო შედარება თარგმანისა იმ ხელნაწერ ეგზემპლართან, საიდანაც ბ-ნ სარაჯევს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის მთარგმნელს, ტექსტი გადმოუღია, ამაო შრომა იქნებოდა. – საქმე ისაა, რომ ხსენებულ ხელნაწერში შენიშნულია ქართული ენის ბუნებისთვის დაუშვებელი ისეთი გრამატიკული შეცდომები, რომლებიც შეუძლებელია ვახტანგ მეფეს მივანეროთ – იგი, როგორც ცნობილია, მშობლიურ ენას სრულყოფილად ფლობდა.

თუმცა, რომც მტკიცდებოდეს – ვახტანგის ნამდვილ შეხედულებათა არსი ისეთივეა, როგორც ეს ბ-ნ სარაჯევს აქვს თარგმნილი, ასეთ შემთხვევაშიც კი შეუძლებელია გაზიარება მთარგმნელის მოსაზრებისა, რომელსაც იგი ვახტანგის სამართლის 257-ე მუხლთან დაკავშირებით აყალიბებს – თითქოს ამ მუხლში გამოსხატული დაკანონება მხოლოდ გლახობას ეხებოდეს.

ამ მოსაზრებას შეიძლება ასე თუ ისე რაღაც საფუძველი მოეძებნოს, იმავე კანონთა კრებულში რომ მოიპოვებოდეს სხვა რომელიმე მუხლი, რომელშიც ცალკე იქნებოდა ნათქვამი, 257-ე მუხლში ჩამოყალიბებული დანესებები თავისუფალ ან უმაღლეს ფენებს შეეხებაო.

მაგრამ არც ვახტანგ მეფის კანონთა კრებულთ, არც სასამართლო პრაქტიკით, დღიდან ხსენებული კრებულის გა-

მოცემისა, არ დასტურდება შემთხვევა, ძმასთან ერთად უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობითი უფლება დასაც ჰქონოდა.¹ –

ხოლო თუ გავიაზრებთ კანონთა კრებულის 23-ე, 35-ე და 98-ე მუხლებს, რომლებიც მამულის გაყოფა-დაქუცმაცების საწინააღმდეგო ძლიერ ზომებს შეიცავს, ამასთანვე, თუ მხედველობაში კანონდებულების სულისკვეთებასაც მივიღებთ, შეგვიძლია ვთქვათ: მამულების რაც შეიძლება დიდი ოდენობით ერთ ხელში მოქცევა პირდაპირ შედიოდა იმდროინდელი ხელისუფლების ინტერესში, რადგანაც ხელისუფლების ძალა სწორედ თითოეულ სამფლობელო მამულთა ერთმთლიანობას ეყრდნობოდა. – აქედან გამომდინარე, თავისთავად ნათელი ხდება, რომ 257-ე მუხლი სწორედ უმაღლესი წოდებრივი ფენისთვისაა დადგენილი და არა – გლეხობისთვის. მიზანი კი ის იყო, რომ ქალთა სქესის წარმომადგენლებს ქორწინების მეშვეობით არ დაერღვიათ ადგილ-მამულის მთლიანობა და ნაწილი ამ ადგილ-მამულისა სხვა, არაღვიძლი, პირის ხელში არ გადასულიყო; – ხოლო ადგილ-მამულის მთლიანობის დარღვევის სხვა შემთხვევების, მემკვიდრეთა შორის დაყოფა-დანაწილების საწინააღმდეგოდ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებდა – მფლობელთა პოლიტიკური დასუსტება-დამცრობა.

ალარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ვახტანგის კანონთა კრებულის ქართულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელებმა ზედმინევნით უნდა იცოდნენ ორივე ენა.² ამ მხრივ, მე ვფიქრობ, მათს თარგმანში არ არის შეცდომები – იმ შემთხვევაშიც კი, როცა ტექსტში რაიმე გაუგებრობაა, თარგმანში საკითხი კანონთა სულისკვეთების მიხედვითაა გამართული, ამ პრინციპს ისინი მკაცრად მისდევენ და, ამდენად, ცალკეულ მონაკვეთთა შორის წინააღმდეგობები არ შეიმჩნევა.

3 აპრილი 1852.

საკანცელარიო საქმის სახელმძღვანელოები

კომიტეტის¹ 8 მარტის სხდომის ჟურნალიდან ა. ნ. 11 რიცხვის ამონაწერით (№25) გასაცნობად და აზრის გამოსათქმელად გადმომეცა ბატონების: სტელეცკის, ფილიპიევის, კლუჩარევისა და ფილიმონოვის მიერ შედგენილი **საკანცელარიო საქმის სახელმძღვანელოები, რომლებიც კავკასიის სასწავლო ოლქის სამაზრო სასწავლებლებისთვის არის განკუთვნილი.**

წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს გადავხედე სახელდახელოდ, თუმცა მზად ვარ, საჭიროების შემთხვევაში სხვა დროს ისინი განვიხილო საფუძვლიანად. ამჟამად კი თავს მოვალედ ვთვლი, განვაცხადო:

1. წარმოდგენილი ოთხი სახელმძღვანელოდან სათაურს გარკვეულწილად მხოლოდ ორი შეესაბამება – ბატონების: ფილიპიევისა და კლუჩარევის. ბ-ნი სტელეცკის თხზულებაში საკანცელარიო საქმეზე არაფერია ნათქვამი, ხოლო ბ-ნი ფილიმონოვის თხზულებაში საკანცელარიო საქმეს სხვა ნაწილებთან შედარებით მეტად მცირე მონაკვეთი აქვს დათმობილი.

2. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმძღვანელოები სამაზრო სასწავლებლებისთვის არის განკუთვნილი, მოცულობა ბ-ნი კლუჩარევისა და, განსაკუთრებით, ბ-ნი ფილიმონოვის ნაშრომებისა მეტისმეტად ვრცელია.

3. უკლებლივ ყველა სახელმძღვანელოში მეტ-ნაკლებად თვალში საცემია უკიდურესობები. ასე, მაგალითად, ბ-ნი სტელეცკი განმარტავს მხოლოდ დანესებულებებს, ანუ მმართველობით სისტემას, მაგრამ, როგორც ზემოთაღვნიშნე, არაფერს ამბობს საკუთრივ საქმისწარმოების შესახებ; ბ-ნი ფილიპიევი, პირიქით, წერს საქმისწარმოებაზე, მა-

გრამ არაფერს ამბობს დაწესებულებებსა და მმართველობით სისტემაზე; ბატონების, კლუზარევისა და ფილიმონოვის, სახელმძღვანელოებში ზემოაღნიშნულთაგან პირველი საკითხი ვრცლადაა მოცემული, მეორე საკითხის შესახებ განმარტებები შედარებით მწირია. –

4. შემდგენელთა მიერ წარმოდგენილ უკლებლივ ყველა თხზულებაში გვხვდება ხარვეზები: ან სათქმელი ბოლომდე არ არის მიყვანილი, ან თხრობა ბუნდოვანია, ან შეცდომებია დაშვებული. – შემოდლია ყველა ხარვეზის მითითება, თუკი ამ ეტაპზე დეტალურ განხილვას საჭიროდ ჩათვლით.

ამ ზოგადი ხასიათის შენიშვნების შემდეგ, მაქვს პატივი, კომიტეტს შემდეგი მოსაზრებები გავუზიარო:

აქაურ სასწავლებლებში უმრავლესობა ძირითადად იმიტომ სწავლობს, რომ მომავალში საკუთარი ცოდნა ჩვენს მხარეშივე გამოიყენოს. ამიტომაც ამ სფეროში საერთო-საიმპერიო ვითარების შესწავლისას მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ნაწილს, რომელიც საკუთრივ ჩვენი მხარისთვისაა დადგენილი.

სამაზრო სასწავლებლები მოსწავლეს ვერ მისცემს ისეთ ღრმა და საფუძვლიან ცოდნას, როგორც ეს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლია. საკმარისი იქნება, თუ სამაზრო სასწავლებლის კურსდამთავრებულს გარკვეული წარმოდგენა ექნება ძირითად სახელმწიფო, საგუბერნიო, სამაზრო, სათემო და სასოფლო დაწესებულებებისა და ამ დაწესებულებებში დადგენილი საქმისწარმოების საერთო წესების შესახებ (გაკვრით ვიტყვი: ეს წესები იყოფა კოლეგიალური და კანცელარიალური და არა მინისტერიალური პრინციპების საფუძველზე; ყოველ შემთხვევაში, ამჟამად როგორც პრაქტიკაში, ისე კანონმდებლობაში ეს სიტყვები გამოიყენება).

სამაზრო სასწავლებელში ესა თუ ის საგანი ისწავლება – და, ჩემი აზრით, უნდა ისწავლებოდეს კიდევაც – მაქსიმალურად შეკუმშული სახით. –

და მაინც, ამიერკავკასიის მხარის მმართველობით დაწესებულებებთან დაკავშირებული საკითხები, ე. ი. საერთო-საიმპე-

რიო ვითარებისგან განსხვავებული და საკუთრივ მხარისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, უფრო ფართოდ უნდა იყოს გათვალისწინებული. ამ თავისებურებებზე კი, რომელთაგან ზოგიერთს არსებითი მნიშვნელობა აქვს, ჩემ მიერ განხილულ არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის ყურადღება გამახვილებული.

რაც შეეხება საკუთრივ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ვითარებას, მართალია, ჩვენში არსებული წესების ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმათთვის, ვინც ამიერკავკასიაში სამოქალაქო სამსახურისთვის ემზადება, მაგრამ შეუძლებელია სახელმძღვანელოს შედგენისას მხოლოდ ეს გარემოება იყოს გათვალისწინებული. საქმე ისაა, რომ 1850 წლიდან ჩვენში დამკვიდრებულია საქმისწარმოების ისეთი წესები, რომლებიც ყველა ძირითადი მიმართულებით განსხვავდება საერთო წესებისაგან, შემოღებულია გამოსაცდელად და მოქმედებს დროებით. – ჩემი ოფიციალური მდგომარეობის გამო ვიცი,² რომ აქაური უმაღლესი ხელისუფლება ამჟამად მსჯელობს საკითხზე: როგორი წესები დაამკვიდროს სამომავლოდ ამ სფეროში? – პრობლემის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტამდე კი უხერხულიცაა სასწავლო კურსის შექმნა და შემოღება, რამდენადაც ეს შრომა შეიძლება წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს.

ახალი დებულება უნდა შეიქმნას მალე, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ აქაურ სასწავლებლებში საგნის სწავლების საქმე არ შეფერხებულია; – მერე კი თვითონ დებულება შექმნის სათანადო საფუძველს სახელმძღვანელოს შესადგენად. –

ასე რომ, მე ვამჯობინებდი, სამაზრო სასწავლებლებისთვის ჯერჯერობით შეიქმნას **დანესებულებებისა და საქმისწარმოების** მოკლე სახელმძღვანელო შემდეგი სახით:

1. სახელმწიფოებრივ-მმართველობითი სისტემა:

ა) ძირითადი, ანუ უმაღლესი სახელისუფლებო დანესებულებები.

ბ) საგუბერნიო, ანუ გუბერნიების მთავარი და რიგითი დანესებულებები.

გ) სამაზრო დაწესებულებები. ამ განყოფილებაში შევა აგრეთვე სათემო და სასოფლო დაწესებულებები, ოღონდ ძალზე მოკლედ, რამდენადაც მმართველობის ეს უკანასკნელი ფორმები ამიერკავკასიაში საერთოდ არ არსებობს.

2. საქმისწარმოების საყოველთაოდ დადგენილი წესების მიმოხილვა:

ა) კოლეგიალური წესი, რომელიც დამახასიათებელია სახელისუფლებო და სასამართლო საკრებულო ორგანოებისათვის.

ამ განყოფილებაში აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ სასამართლო ქმედებებსა და, განსაკუთრებით, ვადებზე, რომელთა გაუთვალისწინებლობას შეიძლება მოჰყვეს ზოგჯერ პიროვნული, უფრო ხშირად კი ქონებრივი უფლებების შელახვა.

ბ) კანცელარიული წესი, რომელიც დამახასიათებელია სამინისტროებისა და ზოგადად ისეთი დაწესებულებებისათვის, რომლებიც იმართება ზემდგომ პირთა განკარგულებების საფუძველზე და არა საკრებულო ორგანოების მიერ, ანუ კოლეგიალური სხდომების გარეშე.

თუ კომიტეტი მხედველობაში მიიღებს ჩემს მოსაზრებებს და ამის შემდეგ საჭიროდ ჩათვლის ამ საქმისთვის დაუყოვნებლივ მსვლელობის მიცემას, მაშინ, ჩემი შეხედულებით, ბ-ნ კლუჩარევს, თავის სახელმძღვანელოში გამოვლენილი სპეციალური ცოდნიდან გამომდინარე, სავსებით დამაკმაყოფილებლად შეუძლია ამ საქმის შესრულება.

ამასთან ერთად განსახილველად გადმოცემულ სახელმძღვანელოებსაც უკან ვაბრუნებ.

17 აპრილი 1852.

„ყრმათა მეგობარი“ თარგმნილი ივანე კერესელიძის მიერ

კომიტეტის 22 აპრილის სხდომის ოქმის ამონაწერის მიხედვით, განყოფილებას დაევალა განხილვა¹ ბ-ნი კერესელიძის მიერ რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნისა „ყრმათა მეგობარი“, აგრეთვე – დასკვნის წარდგენა.

განხილვის შედეგად გაირკვა:

1. ასოები – განსაკუთრებით ხვეული ასოები – ულამაზოა; ბევრია შეცდომა. პირველდანწყებით საკითხავში ამგვარი ხარვეზები დაუშვებელია, რათა ბავშვებმა არ აითვისონ ისინი.

2. თარგმანი არ ამართლებს მიზანს: ყველაფერი, რაც ამ წიგნშია შესული, გადმოცემული უნდა იყოს მარტივად, მკაფიოდ, გასაგებად, იმ ცოცხალი სასაუბრო ენით, რომლითაც რიგიან საზოგადოებაში ლაპარაკობენ. თარგმანი ვერც ერთ ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს; მაშასადამე, ამ წიგნის კითხვა ბავშვებისთვის იქნება არა მარტო უსარგებლო, არამედ – საზიანოც. და ეს იმიტომ, რომ ენა თარგმანისა მეტისმეტად მიახლოებულია ე. წ. მწიგნობრულთან და დიდადაა დაშორებული სასაუბრო ენას. ამდენად, აუცილებელია თარგმანის მთლიანად გადამუშავება და წიგნის ხელახლა დაბეჭდვა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამჟამად ქართულ ენაზე არ არსებობს არც ერთი პირველდანწყებითი საკითხავი, რაც, თავის მხრივ, მხარის სასწავლო დანესებულებებში ფრიად აძნელებს საქმეს, განყოფილება საჭიროდ მიიჩნევს:

თარგმანი გასასწორებლად განაწილდეს განყოფილების წევრებზე და კომიტეტს წარედგინოს გასწორებული ეგზემპლარი. ამასთანავე, გთხოვთ გასცეთ წიგნის ხელახლა დაბე-

ჭდვის განკარგულება. რაც შეეხება ბ-ნ კერესელიძეს: ა) მას თავადაც შეეძლო თარგმანის გასწორება, მაგრამ ჩვენ ამ გზას მივმართავთ დროის მოსაგებად; ბ) ბ-ნმა კერესელიძემ თავისი თარგმანის დაბეჭდვით უკვე გასწია მნიშვნელოვანი ხარჯი. უსამართლობა იქნება, ამ თავისთავად სასიკეთო და ფრიად სასარგებლო საქმის სანაცვლოდ ზარალში ჩავაგდოთ ისედაც ხელმოკლეობაში მყოფი ადამიანი.

16 მაისი 1852.

დავით ჩუბინოვის „ქართული გრამატიკა“ და მისივე „რუსულ-ქართული ლექსიკონი“

კომიტეტმა გასული წლის 11 დეკემბრისა და ამა თვის 13-ის დადგენილებებით 13 რიცხვშივე განყოფილებას¹ განხილვისა და დასკვნისათვის გადმოსცა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ადიუნქტ-პროფესორის, დ. ი. ჩუბინოვის, მიერ აქაური სასწავლო დაწესებულებებისათვის განკუთვნილი „ქართული გრამატიკა“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“. განიხილა რა ზემოდასახელებული თხზულებები, განყოფილებას პატივი აქვს წარმოადგინოს შემდეგი მოსაზრებები და დასკვნები:

გრამატიკის შესახებ*

გრამატიკა ანბანით იწყება. ანბანის სწავლება შეიძლება დაიწყოს ასოების გარჩევით, თუმცა ანბანის შესახებ საუბარი აქ საჭირო არ არის. საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ ქართულ დამწერლობაში გამოიყენება ორი ტიპის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ასოები: საერო, რომელსაც ეწოდება *მხედრული* და საეკლესიო ანუ *ხუცური*. – ამის შემდეგ უნდა გამოისახოს ასოები და შეისწავლებოდეს მათი წარმოთქმა, როგორც ეს ბ-ნ ჩუბინოვთანაა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ:

* დიმი. ყიფიანის „ახალ ქართულ გრამატიკაში“ (იხ. აქვე, გვ. 257-418) გრამატიკულ ტერმინთა სახელწოდებები განსხვავდება დღევანდლისაგან (მაგალითად: ზედსართავი – *ზედშესრული*, ბრუნება – *მერყეობა* და სხვ.). წინამდებარე თარგმანში ჩვენ თანამედროვე ტერმინოლოგიას ვიყენებთ.

ჭ წარმოითქმის როგორც *e* და არა როგორც *ea* და გამოიყენება უ-ს შემდეგ.

ღ წარმოითქმის როგორც *u* – ხმოვანთა შემდეგ.

ჰ წარმოითქმის ოდნავი ფშვინვით, როგორც ფრანგული *h* ან კიდევ – გერმანული *h*.

ჭ აქაც ანალოგიური ვითარებაა და იგი შეიცავს აგრეთვე *o*-ს. მაგალითად, **ჭი!** წარმოითქმის როგორც *hoi* ან კიდევ *hoi*.

ჯ წარმოითქმის როგორც *su* და ყველა შემთხვევაში ორი ასოს ნაცვლად გამოიყენება.

მეტყველების ნაწილები

რომ ვთქვათ, ქართულ ენაში მეტყველების რვა ნაწილიაო – ნიშნავს, სრულიად უსაფუძვლოდ მივყვეთ სხვა ენებში მეტყველების ნაწილთა დაყოფის სისტემას. რუსულ გრამატიკაში **ზედსართავი** განიხილება **არსებითი სახელისაგან** სავსებით დამოუკიდებლად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გრამატიკული თვალსაზრისით მათ ერთმანეთთან არაფერი აკავშირებს. ქართულ ენაში კი, პირიქით, არც დაბოლოებისა და არც ბრუნების ფორმებით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.* ამიტომაც უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულში მეტყველების **შვიდი** ნაწილია: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი და შორისდებული.

სახელის შესახებ

მეტყველების ნაწილთა ზემოთ მოყვანილი დაყოფის შემდეგ განვიხილოთ სახელი, რომელიც შეიძლება იყოს:

1. **არსებითი:** ა) საკუთარი; ბ) საზოგადო; გ) კრებითი.

* ქვემოთ – სქოლიოში – ჩატანილი შენიშვნები ეკუთვნის მ. ი. ბროსეს და ისინი შენიშვნების ავტორს ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერის ამიებზე ფანქრით აქვს მინერილი: L'adjectif est une partie du discours distincte [ზედსართავი წარმოადგენს მეტყველების განსხვავებულ ნაწილს].

2. **ზედსართავი:** ა) ვითარებითი; ბ) კუთვნილებითი; გ) ნაზმნარი. აქვე შედის ყველა მიმლეობა.

3. **რიცხვითი:** ა) თვლითი. უფრო შესაფერისი იქნებოდა **რაოდენობითი**, რამდენადაც ქართულში რაოდენობის გამომხატველ სიტყვებს – ორნი, ხუთნი, ათნი – როგორც ნესი, თავისუფლად ჩაენაცვლება: ორი, ხუთი, ათი; თუმცა განსხვავება ისაა, რომ პირველნი მხოლოდ მრავლობით რიცხვში იბრუნვიან. მაგალითად: ორნი ვიყავით, ხუთნი, ათნი; ბ) რიგობითი; გ) კრებითი; დ) წილობითი.

ბრუნების შესახებ

ყველა სახელი, როგორც ითქვა: არსებითიც, ზედსართავიცა და რიცხვითიც იბრუნვის ერთგვაროვნად. თუმცა ბრუნება ერთი კი არაა, სამი არსებობს და მათ ერთმანეთისაგან ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება განასხვავებს.*

1. ბრუნება სახელებისა, რომლებიც მთავრდება ხმოვნებით: **ა, ე, ი, ჯ** და თანხმოვნებით.

2. ბრუნება მდებრობითი და მამრობითი საკუთარი სახელებისა, რომლებიც მთავრდება ხმოვნით და სახელებისა, რომლებიც მთავრდება **ო** და **უ** ხმოვნებით.

3. ბრუნება სახელებისა, რომლებიც მთავრდება: **ალი, ელი** და სხვ.; **არი, ერი** და სხვ., რომელთა ბოლო ხმოვანი იკარგება ან იცვლება.**

ბრუნვათა შესახებ

ადრე მიიჩნეოდა, რომ ქართულში რვა ბრუნვაა:

1. **წრფელობითი.** აქ ამ ბრუნვის ქართული სახელწოდებ-

* Il n'y a qu'une seule déclinaison [არსებობს მხოლოდ ერთი ბრუნვა].

** Cette déclinaison est la même que celle des nomes en **ი, ვი** [ეს ისეთივე ბრუნვაა, როგორც ბრუნვა **ი** და **ვი**-ზე დაბოლოებული სახელებისა].

ის მართებულობა-უმართებულობის საკითხი კი არ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, არამედ ის, რომ ევროპულ გრამატიკებში ეს ბრუნვა ასე იწოდება – **სახელობითი** ან **დასახელებითი**, რაც ზუსტად გამოხატავს მის *именительность*-ს ან კიდევ *номинативность*-ს. 1840 წელს თბილისში გამოცემულ თავის „გრამატიკაში“ პ. ე. იოსელიანმა ამ ბრუნვას პირველმა დაარქვა **სახელობითი**. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ამ ბრუნვას **სახელობითი** უნდა ეწოდებოდეს.

2. ნათესავობითი.
3. მიცემითი.
4. შემასმენელობითი.
5. დაწყებითი.
6. მოთხრობითი.
7. მოქმედებითი.
8. წოდებითი.²

ბ-ნ ჩუბინოვს ამათგან გამორიცხული აქვს მე-4, მე-5 და მე-6; სანაცვლოდ კი შემოღებული აქვს ორი ახალი ბრუნვა: II მოქმედებითი³ და II ნათესაობითი.*

რაც შეეხება მე-4 და მე-5 ბრუნვებს, აქ ბ-ნი ჩუბინოვი სავსებით სწორია: შემასმენელობითი ბრუნვა არაფრით განსხვავდება სახელობითისაგან, ხოლო დაწყებითი სინამდვილეში არის ნათესაობითი, რომელსაც დაჰყვება თანდებული **გან, от, из**. იმავე მიზეზით ქართულ ენაში არ არის ბრუნვა, რომელიც შესაბამისი იქნებოდა რუსული თანდებულიანი ბრუნვისა – *Предложный*; ეს უკანასკნელი შედგება მიცემითისა და თანდებულებისგან: **შინა** ან **ზედა, с, на**. სწორია ბ-ნი ჩუბინოვი მაშინაც, როცა აუცილებლობად მიიჩნევს ახალი მოქმედებითი ბრუნვის შემოღებას, თუმცა, თუ მას მართლაც შემოვიღებთ, მაშინ უნდა ეწოდოს **გადაქცევითი, განსაზღვრებითი** ანუ **ახსნითი**.** მაგალითები: **მინდორი ტყედ იქცა, ტყე მინდურად; კაცი ქალად მოირთო; მე მოწაფედ ვიყავ**,

* Avec raison [მართებულად].

** სახელწოდება ერთობ **ვინროდ** გამოხატავს არსს.

ის მოძღურად; მშუწნიერად ჰსწერს; ქალღმერთად დასაწერად უნდა; გთხოვ სადილად მენწიო. უნდა ითქვას, რომ ამ ახალი ბრუნვის დაბოლოება **დ** ხშირად ასე გარდაიქმნება: **თ** ან **თა**.

აღბათ უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ არ გავზრდით ბრუნვათა რაოდენობას და ზემოაღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებულ ფორმებს სახელებისას მივაკუთვნებთ ზმნიზედას, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს როგორც ფორმათა იგივეობა, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით თვისებით და მტკიცებით ზმნიზედებთან თანხვედნილობა. ამასთანავე, შეუძლებელია დავეთანხმოთ ბ-ნ ჩუბინოვს ორ შემთხვევაში: თითქოს საჭირო არ იყოს მოთხრობითი ბრუნვა და თითქოს რაიმე გარემოება განაპირობებდეს II ნათესაობითის შემოღებას. პირველ შემთხვევაში ბ-ნი ჩუბინოვი, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობს აკადემიკოს ბროსეს თვალსაზრისით, რომელიც ჩამოყალიბებულია მის ნიგნში *Eléments de la langue Géorgienne*. Paris. 1837 წ. – კერძოდ, ამ ნიგნის მე-13 გვერდზე მარი ივანეს ძე ამ ბრუნვას არასწორად უწოდებს demonstratif-ს, და ეს მაშინ, როცა იგი სინამდვილეში არის cas narratif. – ამას ყველაფერს ავტორი ასე ხსნის: „C'est un nominatif qui perd ordinairement sa dernière voyelle, et prend à la fin la syllabe **მან**: il ne sert que dans des réponses, par ex: si l'on demande, qui a fait cela? **კაცმან**, l'homme. Dans la traduction de la Bible, et en général dans tous les ouvrages écrits en géorgien ancien, l'usage de la particule **მან** est très fréquent. Elle sert, dans la première à remplacer l'article Grec \acute{o} , $\acute{\eta}$, $\acute{\tau}$ \acute{o} , comme on le verra dans les exemples suivans tirés de l'Ancien et du Nouveau Testament.* **დასაბამად ქმნა**

* ნომინატივი ძირითადად კარგავს ბოლოკიდურ ხმოვანს და ბოლოში იძენს „**მან**“. იგი მხოლოდ პასუხებში გამოიყენება; მაგალითად, თუ კითხულობენ „**ვინ ქნა ეს?**“ – **კაცმან**. ბიბლიის თარგმანში და, საერთოდ, ყველა ძველ ქართულ წერილობით ძეგლში ნაწილაკი „**მან**“ ძალიან ხშირად იხმარება. უპირველეს ყოვლისა, იგი ცვლის ბერძნულ **ὁ, ἡ, τὸ**-ს, როგორც ამას ძველი და ახალი აღთქმიდან მოყვანილ მაგალითებში ვხედავთ.

ეს მონაკვეთი, აგრეთვე, სქოლიოში ჩატანილი ფრანგული ფრაზები თარგმნილია **ცისანა ბიბლიეიშვილის** მიერ.

თ. ჯ.

ღმერთმან ცაჲ და ქუჭყანაჲ; – და თქუა ღმერთმან; – რამეთუ ყოველმან, რომელმან ჰქენეს ცოდუაჲ, მონა არს იგი ცოდვსა და სხვ. და სხვ.“

მაგრამ **მან** აქ ისეთივე ნაწილაკია, როგორც **ისა, ასა, თა, ო**, რომელთა გარეშე ვერ მოხერხდება ნათესაობით, მიცემით, მოქმედებით და წოდებით ბრუნვათა წარმოება და ასეთ შემთხვევებში ბრუნებისას სიტყვა კარგავს ბოლო ხმოვანს. ამას გარდა, ამ ნაწილაკებს არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და, შესაბამისად, ისინი ამ მნიშვნელობით სხვა შემთხვევებში არ გამოიყენება.

ნაშრომში *Eléments de la langue Géorgienne* მრავლადაა ისეთი შეხედულებები, რომლებიც კარგა ხანია თვითონ ბ-ნი ბროსეს მიერვე არის უარყოფილი. ხოლო რაც შეეხება მოთხრობით ბრუნვას, ავტორი დღემდე იმ აზრზე რჩება, რომ მოთხრობითი, სინამდვილეში წარმოადგენს რა სახელობით ბრუნვას, შეიცავს ზედმეტად გამეორებულ ნაცვალსახელს – **მან**.^{*} იმ მწერალთა ხელში, პედანტიზმითა და აზრის ბუნდოვანებით რომ კეკლუცობენ, ქართულ ენას პირდაპირ სული აქვს ამოხდილი ერთგვაროვანი – თუმცა გრამატიკულად სწორად გამოყენებული – ბგერების სიუხვით: **სისასა, სასასა, სისასასა; მანმან, მანმანმან; თითათა, თათათა** და სხვ.; საუკეთესო ძველ წიგნებში ადვილადაა შესამჩნევი ავტორთა მცდელობა, შეძლებისდაგვარად თავი აარიდონ მონოსილაბებს. მათთან ვერ შეხვდებით ასეთ ფრაზებს: **კეთილმანმან რომანმან**; არამედ – **რომან^o კეთილმან**; ან: **კეთილმან რომან^o**. ასეთ დროს ნიშანი ^o იმაზე მიუთითებს, რომ ბრუნვის ფორმა შეკვეცილია, ოღონდ – მხოლოდ საკუთარ სახელთა შემთხვევებში. თუმცა ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ასე საუბარი სწორიც იქნება და – გასაგებიც.

დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუჭყანაჲ; და თქუა ღმან; – და დაიმონა იგი ცოდუამან; – ან: დასაბამად ქმნა

^{*} C'est drôle: Je n'ai parlé de cela à personne! [უცნაურია: ამის შესახებ არავისთან არაფერი მითქვამს!].

ღთი ცაჲ და ქრისტეანად; და თქუა ღთი; – და დაიმონა იგი ცოდუად.

მიუხედავად ამისა, ბ-ნი ბროსე მაინც უარყოფს ქართულ ენაში მოთხრობითი ბრუნვის საჭიროებას.⁴ მის კვალდაკვალ მოთხრობითის საჭიროება ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთაგან ორმა უარყო: ბ-ნმა ჩუბინოვმა და ან განსვენებულმა თავადმა ზაქარია ფალავანდოვმა.⁵ აქ უადგილო იქნებოდა საუბარი გაგვეგრძელებინა მარი ივანეს ძის ღრმა განსწავლულობაზე, მის უკიდურეს ძალისხმევასა და მტკიცე ნებაზე, რომელსაც ავლენს ქართული ენის განმარტოებულად კვლევის საქმეში და რამაც მას მოუპოვა როგორც ამჟამინდელი საპატიო წოდება,⁶ ისე მაღალი ავტორიტეტი ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ არც ის უნდა დაგვაინყდეს, რომ შეცდომები ისეთ განსწავლულ ადამიანებსაც მოსდით, როგორც ბ-ნი ბროსეა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სავსებით ბუნებრივია ასეთი ადამიანის მიმართ ახალგაზრდა სწავლულთა მონინებულის დამოკიდებულება და ამაში, ცხადია, არაფერია დასაძრახი. ამიტომაც ძნელია, რომელიმე მათგანი დავადანაშაულოთ მეტყველების ძირეული წესის ისეთ დარღვევაში, რომელიც თავიანთი მცდარი წარმოდგენის გამო ბეჭდურ ტექსტში დაუშვეს ბატონებმა ბროსემ, ფალავანდოვმა და ჩუბინოვმა. მათ მიერ 1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მიძღვნაში ნათქვამია: **„მათს უგანათლებულესობას... პატივისცემის... ნიშნად შევსწირეთ დამბეჭდველნი ბროსეტ, ფალავანდიშვილი, ჩუბინოვი“.**

ბ-ნი ჩუბინოვი, როგორც ქართველი, რომელმაც ჩინებულად იცის რუსული ენა, ცხადია, დამეთანხება, რომ ეს დახლართული ფრაზა რუსულ ენაზე ასე წარმოითქმის: **„Его светлости... в знак уважения... посвятили мы издателей Броссе, Палавандова и Чубинова“.** დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება გავიგოთ, რის თქმა სურდათ მიძღვნის ავტორებს:

„Посвятили мы книгу“:* როგორ ავხსნათ ყოველივე ეს? თუ ზმნა ახლანდელ დროში იქნებოდა წარმოდგენილი, რაც სახელობით ბრუნვას მოითხოვს, ეს ფრაზა გასაგებიც იქნებოდა და – სწორიც. მაგრამ გამოყენებულია წარსული დრო, რომელიც მაინცადამაინც მოთხრობით ბრუნვას მოითხოვს, არადა საჭიროა სახელობითი, თანაც – არცთუ უსაფუძვლოდ. მართალია, ზოგადად ზუსტი თარგმანი საჭიროა, მაგრამ გამოვიდა უაზრობა.

ცოცხალი მეტყველება კანონებს კი არ ითვისებს, თვითონ იძლევა კანონებს. გრამატიკის საქმეა, გამოარკვიოს ეს კანონები და არა – უარყოს ისინი.** წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი გარდაუვალია: მყისვე გამომჟღავნდება, რომ უხეში შეცდომა აზიანებს გამოხატული აზრის სიცხადესა და სიმწყობრეს. აქვე საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შეცდომა განპირობებულია ისეთი მიზეზით, რომელიც კი არ ამართლებს ამ შეცდომას, არამედ, პირიქით, ადასტურებს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა შეცდომა; სახელდობრ, მოთხრობითი ბრუნვის უარყოფისას საბუთად ის მოჰყავთ, რომ, რაც ამ ბრუნვის ნიშანი ჰგონიათ, სინამდვილეში არისო პირის ნაცვალსახელი **მან**. – მაგრამ რა არის ნაცვალსახელი **მან**, თუ არა მოთხრობითი ბრუნვა პირის ნაცვალსახელისა **იგი**? *** ხომ ვერავინ იტყვის, რომ **მის** (его), **მათ** (им), **მას** (ему) ერთი ტიპის ნაცვალსახელებია, ხოლო **იგი** (он) – სხვა ტიპისა? და, რასაკვირველია, უცნაური იქნებოდა, რუსულ ენაში უარყოფა, მაგალითად, მოქმედებითი ბრუნვისა იმის გამო, რომ ამ ბრუნვის ნიშანი ემთხვევა ნაცვალსახ-

* Il n'y a peine de faute, puisqu'il est impossible de comprendre la phrase de deux manières, surtout disposée comme elle est, et ponctuée **შევსწირეთ, ჩვენ დამბეჭდველნი** [შეცდომა აქ არ არის, რაკი შეუძლებელია ეს ფრაზა ორგვარად გავიგოთ, მით უფრო, სასვენი ნიშნით – არნ. ჩიქობავას თარგმანი (ჩიქობავა 1965: 298)].

** განათლებულ ადამიანთა ცოცხალი მეტყველება გრამატიკის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს.

*** **მან** არ არის მოთხრობითი ბრუნვა პირის ნაცვალსახელისა **იგი**.

ელს *იმ*: Он сказал *им*, своим близким и хорошим приятелям, или *ему*, своему хорошему приятелю. – არადა, აქ საფუძველი ზუსტად ისეთივეა, როგორც ქართულში მოთხრობით ბრუნვასთან დაკავშირებული მსჯელობისას. მოთხრობითი ბრუნვის ფორმა ენის იმავე კანონებით იქმნება, რომელი კანონებითაც – სხვა ბრუნვები, ხოლო ბრუნვის ნიშნები იმიტომ იცვლება, რომ აზრი მკაფიოდ იქნეს გამოხატული. ასე, მაგალითად, **ადამიანის** გამოსახატავად ითქმის: **კაცი**; როცა ვამბობთ, რაიმე არის იმისი – ამ **ადამიანისა** – ითქმის: **კაცისა**; როცა ამ **ადამიანს** რაიმე სურს, ითქმის: **კაცსა**; თუ იგი სხვა ადამიანმა გამოგზავნა, უსათუოდ ითქმის: **კაცმან** და ა. შ.

სწორია თუ არა, რომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი სხვა არაფერია, თუ არა გამეორება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისა **მან**? აი, მაგალითები სამივე პირში:

- | | |
|--|-------------------------|
| 1. მე უგუნურმან არ ვინდომე. | Я безумный не захотел. |
| 2. შენ უგუნურმან არ ინდომე. | Ты безумный не захотел. |
| 3. მან ან : იმ უგუნურმან არ ინდომა. | Он безумный не захотел. |

- | | |
|-------------------------------|---------------------------|
| 1. ჩუენ უგუნურთა არ ვინდომეთ. | Мы безумные не захотели. |
| 2. თქუენ უგუნურთა არ ინდომეთ. | Вы безумные не захотели. |
| 3. მათ უგუნურთა არ ინდომეს. | Они безумные не захотели. |

აქ შემთხვევითი თანხვედენილობა გვაქვს მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში. რალა დაამავა დარჩენილმა ორმა, ხოლო მრავლობითში – სამივემ? დამნაშავე არავინაა. ენის ბუნება მოითხოვს მოთხრობით ბრუნვას და იგი უნდა იქნეს კიდევაც შეტანილი ბრუნვათა რიგში მიუხედავად იმისა, გვსურს თუ არა ეს ჩვენ.

რაც შეეხება II ნათესაობითს, იგი არ უნდა შევიტანოთ მარტივი სახელების ბრუნვათა რიგში იმ მიზეზით, რომ მას უკვე უჭირავს მიცემითი ბრუნვის ადგილი – ნანარმოებ სახ-

ელთა ბრუნებაში, რომლებიც რუსულში შეესაბამება შეკვეცილ ზედსართავებს. ამგვარად ნაწარმოები სახელები ქართულში იქმნება სახელობითი ბრუნვისაგან, რომელსაც აქვს მარტივი სახელის ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობა. მაგალითი: **სახლი მამისა**; Дом отца, отцов, отцовский, отчий.*

აი, ბრუნება სიტყვისა: **მამისა**.

სახელობითი.	სახლი მამისა, ან მამისი.	Дом отца.
ნათესაობითი.	სახლისაგან მამისასა.	Дома отца.
მიცემითი.	სახლსა მამისასა, ან მამისსა.	Дому отца.
წოდებითი.	სახლო მამისაო, ან მამისო.	О, дом отца!
მოქმედებითი.	სახლითა მამისათა, ან მამისითა.	Домом отца.
მოთხრობითი.	სახლმა მამისამა, ან მამისმა.	Дом отца.
გადაქცევითი.	სახლად მამისად.	В доме <i>или</i> домом отца.

სახელობითი.	სახლნი, -ლები მამისანი.	Домы отца.
ნათესაობითი.	სახლთა, -ლებისა მამისათა.	Домов отца.
მიცემითი.	სახლთა, -ლებსა მამისათა.	Домам отца.
წოდებითი.	სახლო, -ლებო მამისანო.	Домы отца.
მოქმედებითი.	სახლთამიერ, -ლებითა მამისათა.	Домами отца.
მოთხრობითი.	სახლთა, -ლებმა მამისათა.	Домы отца.
გადაქცევითი.	სახლებად მამისად.	В дома отца.

საკმარისია სიტყვები გადავანაცვლოთ და ნაცვლად სიტყვისა **მამისა** ყველა ბრუნვაში მივიღებთ სიტყვას – **მამის**.

ვისს ანბავს ჰკითხულობს? О ком он спрашивает? – **მამისასა**, Об отце; სად იყო? Где он был? – **მამისას**, У отца, т. е. в доме отца; სად მიდის? Куда он идет? – **მამისას**. К отцу, т. е. в дом отца.

* Affaire de Syntaxe [სინტაქსის გამო].

ყველა შემთხვევაში შემასმენელი ნაწარმოები სახელის ბრუნებისას მიცემითს ითხოვს და, რადგან ეს წესი ენის ბუნებ-ითაა განსაზღვრული, არავითარი საჭიროება არ არსებობს მარტივი სახელების ნათესაობითი ბრუნვის გაორმაგებისა.

ნაცვალსახელთა ბრუნება

ბ-ნი ჩუბინოვი ამბობს, რომ არსებითის შემცვლელი ნა-ცვალსახელი არ იბრუნვისო. ერთი შეხედვით ეს აზრი ახალ-იც ჩანს და საფუძვლიანიც. თუმცა ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ამგვარი ბრუნება ჩნდება:

სახელობითი.	Кто там?	მე.	შენ.	იგი, -ის.
ნათესაობითი.	От кого?	ჩემი,	შენი,	იმისი,
	От меня.	-მგან.	-ნგან.	იმისაგან.
მიცემითი.	К кому?	ჩემსა.	შენსა.	იმასა,
	Ко мне	ჩემთან.	შენთან.	იმასთან.
წოდებითი.			შენ!	
მოქმედებითი.	Кем послан?	ჩემით,	შენით,	იმისით,
	Мною.	ჩემმ-რ.	შენმ-რ.	იმისმ-რ.
მოთხრობითი.	Кто послал? Я.	მე.	შენ.	მან, -იმან.
გადაქცევითი.	В каком образе он предстал? В моём.	ჩემად.	შენად.	იმად.

		საგანი ახლოსაა	საგანი ახლოსაა
		I პირთან	II პირთან
სახელობითი.	Кто там?	ესე. ეს.	ეგე. ეგ.
ნათესაობითი.	От кого? От меня.	ამისი, -საგან.	მაგისი. -საგან.
მიცემითი.	К кому? Ко мне	ამასა, -სთან.	მაგასა, -სთან.
წოდებითი.			
მოქმედებითი.	Кем послан? Мною.	ამისით, -სმ-რ.	მაგისით, სმ-რ.

მოთხრობითი. Кто послал? Я. ამან. მაგან.
 გადაქცევითი. В каком образе он предстал? В моём. ამაღ. მაგაღ.
 და სხვ.

აქ მოცემული პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვიდან ნაწარმოები სახელების მაგალითის მიხედვით ინარმოება კუთვნილებითი ნაცვალსახელები და ისინი ამგვარად იბრუნვის:

სახელობითი.	ჩემი.	შენი.	მისი.	ამისი.
ნათესაობითი.	ჩემისა.	შენისა.	მისისა.	ამისისა.
მიცემითი.	ჩემსა.	შენსა	მისსა, მისისა.	ამისსა, ამისასა.
წოდებითი.	ჩემო.		მისო.	ამისსო.
მოქმედებითი.	ჩემითა.	შენითა.	მისითა.	ამისათა.
მოთხრობითი.	ჩემმა.	შენმა.	მისმა.	ამისმა.
გადაქცევითი.	ჩემად.	შენად.	მისად.	ამისად.

სახელობითი.	მაგისი.	იმისი.	თუჯი, თავისი.
ნათესაობითი.	მაგისისა.	იმისისა.	თავისისა.
მიცემითი.	მაგისსა.	იმისსა.	თავისსა.
წოდებითი.	მაგისო.	იმისო.	თავისო.
მოქმედებითი.	მაგისითა.	იმისითა.	თავისითა.
მოთხრობითი.	მაგისმა.	იმისმა.	თავისმა.
გადაქცევითი.	მაგისად.	იმისად.	თავისად.

სახელობითი.	ჩემნი.	ჩემები.	შენნი, -ნები.	მისნი, -სები.
ნათესაობითი.	ჩემთა.	ჩემებისა.	შენებისა.	მისებისა.
მიცემითი.	„	ჩემებსა.	შენებსა.	მისებსა.
წოდებითი.	ჩემნო.	ჩემებო.	შენებო.	მისებო
მოქმედებითი.	ჩემთმ რ.	ჩემებითა.	შენებითა.	მისებითა
მოთხრობითი.	ჩემებმა.	შენებმა.	მისებმა.	
გადაქცევითი.	-დ.	ჩემებად.	შენებად.	მისებად

სახელობითი.	ამისნი, -სები.	მაგისნი, -სები.	იმისნი, -სები.	თავისნი, -სები
ნათესაობითი.	ამისებისა.	მაგისებისა.	იმისებისა.	თავისებისა.
მიცემითი.	ამისებსა.	მაგისებსა.	იმისებსა.	თავისებსა.
წოდებითი.	ამისებო.	მაგისებო.	იმისებო.	თავისებო.
მოქმედებითი.	ამისებითა.	მაგისებითა.	იმისებითა.	თავისებითა.
მოთხრობითი.	ამისებმა.	მაგისებმა.	იმისებმა.	თავისებმა.
გადაქცევითი.	ამისებად.	მაგისებად.	იმისებად.	თავისებად.

თუ აქედან ავიღებთ ნათესაობით ბრუნვას სახელობითის მნიშვნელობით მივიღებთ ასეთ ბრუნებას:

სახელობითი.	ჩემისა.	ჩემებისა.
ნათესაობითი.	ჩემისასა.	ჩემებისასა.
მიცემითი.	ჩემისასა.	ჩემებისასა.
წოდებითი.	ჩემისაო!	ჩემებისაო!
მოქმედებითი.	ჩემისათა, -სითა.	ჩემებისათა, -სითა.
მოთხრობითი.	ჩემისამა.	ჩემებისამა.
გადაქცევითი.	ჩემისად.	ჩემებისად.

შემდეგ – ნაცვალსახელის არსებით სახელებად ზედმეტი დაყოფა რომ არ დაგვჭირდეს, საკმარისი იქნება თვითონ ნაცვალსახელი დავყოთ ჯგუფებად: პირისა, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი და უკუქცევითი. ხოლო რაც შეეხება მიმართებით, განსაზღვრებით და განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს, ისინი უნდა გამოვრიცხოთ ბრუნვათა რიგიდან ენაში მათი არარსებობის გამო. საქმე ისაა, რომ ისეთ უბრუნველ სიტყვებს, როგორებიცაა: **თვთ, თვთან, ვინცავინ** ვერ მივაკუთვნებთ ნაცვალსახელებს; ხოლო სიტყვები: **არავინ, ვერავინ, არავის, ნურავის, ვერავის, არაფერს, ნურაფერს** და ა. შ., თავიანთი რაობით არის შესიტყვება, რომელიც შედგება ნაცვალსახელებისა და **არ, არც**-ის (ни, не) მსგავსი უარყოფითი ნაწილაკებისაგან.

ზმნის შესახებ

ზმნა საერთოდ წარმოადგენს გრამატიკის ყველაზე რთულ და ყველაზე დახლართულ ნაწილს. უჩვეულო სახეცვლილებათა სიუხვისა და ე. წ. გამონაკლისთა სიჭარბის გამო ქართულ ზმნასთან დაკავშირებული საკითხების გამორკვევა და მათი კატეგორიებად განაწილება ხანგრძლივი და საგანგებო კვლევა-ძიების გარეშე არათუ ძნელია, არამედ შეუძლებელიცაა. ხოლო თეორიული საკითხების გარკვევა სხვა ენების მონაცემთა გათვალისწინებით კიდევ უფრო გაართულებს ქართული ზმნების კლასიფიკაციის საქმეს. ამ მიმართულებით ანტონ კათალიკოსის, აკადემიკოს ბროსეს, ჩვენი ღრმად პატივცემული თანაწევრის – პ. იოსელიანის,⁷ ადიუნქტ-პროფესორ ჩუბინოვის მცდელობებმა მეცნიერებას ასე თუ ისე სარგებლობა კი მოუტანა, მაგრამ ისიც აჩვენა, რომ ქართული ზმნის თვისებათა ახსნა და მისი უღლების განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევა გამოუვალი საქმე ჩანს. ამ მიმართულებით მომავლში ხანგრძლივი შრომაა ჩასატარებელი, ამ დროისთვის კი უნდა დავეჯერდეთ ზმნასთან დაკავშირებული ყველაზე მარტივი წესების ჩამოყალიბებას. ამიტომ გიმნაზიისთვის განკუთვნილ კურსში უნდა დავკმაყოფილდეთ საკითხის მარტივად და შეკუმშულად გადმოცემით და ძალისხმევა მივმართოთ სათანადო მაგალითების გამოყენებით ქართული ზმნის პრაქტიკული გამოყენებისათვის საჭირო ცოდნის მიცემისაკენ. ასე და ამგვარად, საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ ქართული ზმნა იყოფა ორ ძირითად გვარად: ზმნებად, რომლებიც გამოხატავენ **მოქმედებას** და ზმნებად, რომლებიც გამოხატავენ საგნის **მდგომარეობას**. პირველს განეკუთვნება ყველა საურთიერთო, უკუქცევითი და ვნებითი ზმნა, რადგანაც მათი ფორმები არ შეიცავენ განსხვავებებს არც ერმანეთთან მიმართებით, არც მარტივ მოქმედებითთან შედარებით. მეორეში კი შევა ყველა ე. წ. საშუალო გვარის ზმნა. თუ ამ რიგში არ შევიტანთ ზმნას **ვარ**,

მაშინ მას გრამატიკაში შეიძლება მივანიჭოთ თავისებური არსებითი და მეშველი ზმნის მნიშვნელობა.

ამ განსაზღვრებებს სხვა თავისებურებებთან ერთად უნდა დაემატოთ სამი დებულება, რომლებიც ქართული ზმნის განსაკუთრებულ თვისებებს წარმოგვიდგენს:

1. ყველა სახელისგან შეიძლება ვანარმოოთ ზმნა, ისევე როგორც ყველა ზმნისაგან შეიძლება ვანარმოოთ სახელი.

2. რამდენადაც ვნებით გვარის ერთ-ერთი უღლება **ვარ** მეშველი ზმნის გამოყენებით ხდება, ყველა შემთხვევაში ყველა მოქმედებითი თუ მდგომარეობითი ზმნა იღებს ვნებითის სახესა და ფორმას, როდესაც მათ ეს მეშველი ზმნა შეეწყობა.

3. ერთსა და იმავე ზმნას ფორმათა ცვლილების მეშვეობით შეუძლია სახელთა და ნაცვალსახელთა გარეშე გამოხატოს მოქმედება, რომელიც გადადის ერთი პირიდან მეორესა და მესამეზე, ან მოქმედება, რომელიც ერთი პირიდან მეორის მეშვეობით გადადის მესამეზე, ან კიდევ მეორე და მესამე პირის მეშვეობით – მეოთხეზე.

საილუსტარციო მაგალითები | დებულებისთვის:

ა) არსებითი სახელებიდან ნანარმოები ზმნები:

ვწყალდები; ვმაჭრდები; ვღვწოვდები; ვძმარდები; ვქაჯვდები; ვვაჟკაცობ; ვქალაჩუნობ; ვთინათინობ; ვემზევები; ვმოქალაქეობ; ვმოსაუბრეობ; ვსოფლდები; ვესტუმრები; ვმასპინძლობ; ვმკვცდები; ვოქროვდები; ვჟანგდები; ვიმინდვრები; ვმგზავრდები; ვზღუავდები და ა. შ. და ა.შ.

ბ) ზედსართავი სახელებიდან ნანარმოები ზმნები:

ვთეთრდები; ვსტკბები; ვშავდები; ვჰყვთლდები; ვჰკეთდები; ვბოროტდები; ვცუდკაცობ; ვიკეთებ; ვჰკვეთულობ; ვჭკვიანდები და ა. შ. და ა.შ.

გ) რიცხვითი სახელებიდან ნანარმოები ზმნები:

ვერთდები; ვწყვლდები; ვაოთხებ; ვიორმოცებ; გავაათასე; გავამეთხუტმეტი; გავაოროლე; გავასამსამე და ა. შ. და ა. შ.

დ) ნაცვალსახელებისაგან ნაწარმოები ზმნები:
ვიჩემებ; ვჩემობ; ვითვსებ; ვინაობს; გაარომელა და ა. შ. და
ა. შ.

საილუსტარციო მაგალითები II დებულებისთვის:

ვწერებულვარ; გავეთერთებულვარ; გავმთბარვარ; დავ-
მტკბარვარ; გავკეთებულვარ; ვმდგარვარ; ვმჯდარვარ; ვწო-
ლილვარ და ა. შ. და ა. შ.

საილუსტარციო მაგალითები III დებულებისთვის:

Пишу, ვჰსწერ ან ვსწერ.
Ты ко мне пишешь, მწერ.
Я к тебе пишу, გწერ.
Я для тебя пишу, გინერ.
Я для него пишу, ვუნერ.
Ты для меня пишешь, მინერ.
Он для меня пишет, მინერს.
Он для тебя пишет, გინერს.
Заставляю его писать, გინერინებ.
Заставляю тебя писать, განერინებ.
Заставляю того через этого писать, ვანერინებინებ.

კარგი იქნება, თუ მოცემული ერთი ზმნის ყველა სხვა სახ-
ეცვლილებას ვაჩვენებთ უღლების საერთო სისტემაში და მი-
ვცემთ რაც შეიძლება მეტ მაგალითს ცალკეულ უღლებათა
სახით.

ბ-ნი ჩუბინოვის „გრამატიკის“ ზმნის ნაწილი წარმოშობს
შემდეგ შესწორებათა აუცილებლობას. მე-15 პარაგრაფის
მე-2 შენიშვნაში ბ-ნი ჩუბინოვთან ნათქვამია, რომ **ვიტირებ,**
ვიპოვე იგივეა, რაც **ვიტირებ, ვიპოვე**.

მაგრამ **ვიტირებ** სხვა არაფერია, თუ არა მყოფადი ზმნისა

ვსტირ ან **ვსტირი**, ხოლო ფორმა **ვიპოვებ** საერთოდ არ გამოიყენება; **ვპოვებ** – ი-ს გარეშე წარმოადგენს მხოლოდ დასაწყისს იმავე მნიშვნელობის ზმნისა **ვპოულობ** ან **ვპოვობ** და, ამასთანავე, წარმოქმნის მომავალ განუსაზღვრელ დროს, ხოლო განსაზღვრებითი იქნება **ვიპოვი** ან **ვიპოვნი**. რაც შეეხება სიტყვას **თურმე** (იქვე, მე-4 შენიშვნა), იგი ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება მოქმედების ან მდგომარეობის გამოსახატავად ახლანდელ, წარსულ თუ მომავალ დროებში, ე. ი. მაშინ, როდესაც ამის შესახებ არ არსებობს წინასწარი ცნობები. მაგალითები:

ნიგნსა ჰსწერ თურმე	}	და მე კი არ ვიცოდი.
ნიგნსა ჰსწერდი თურმე		
ნიგნი დასწერე თურმე		
ნიგნი მიგიწერია თურმე		
ნიგნს მისწერ თურმე		

Ты пишеш	}	}	а я не знал этого.
Ты писал			
Ты написал			
Ты писал ему			
Ты напишеш ему			
	как оказалось		
	как говорят		
	как видно		

მე-7 შენიშვნის შესახებ

ვინაიდან ბ-ნი ჩუბინოვის „გრამატიკა“ თანამედროვე ქართული ცოცხალი მეტყველების კანონთა სწავლებისთვისაა განკუთვნილი, ვფიქრობ, არ არის გამართლებული ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მაგალითები წმ. წერილიდანაა მოყვანილი.* რასაკვირველია, უაღრესად სასარგებლო იქნებოდა მსგავსი მაგალითების მოყვანა როგორც წმ. წერილიდან,

* Pourquoi donc? [რატომ?] – დაბადება საფუძველია ქართულისა ენისა.

ისე ძველი ქართული თხზულებებიდან, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შედარებით გრამატიკას ორი მიზანი უნდა ჰქონდეს: შეისწავლოს როგორც ცოცხალი მეტყველების, ისე ძველი, წიგნებში შემორჩენილი, თანამედროვე სასაუბრო ქართულის წარმომშობი ენის კანონები. თავისთავად ეს დიდებული საქმე იქნებოდა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელთ გვექონდეს თანამედროვე საზოგადოებისათვის აუცილებელი გრამატიკა. ხოლო რაც შეეხება ძველი – ე. წ. მწიგნობრული – ენის გრამატიკას, ჩვენ ასეთი გრამატიკა უკვე გვაქვს. იგი შედგენილი და 1840 წელს გამოცემულია პ. ე. იოსელიანის მიერ და ეს გრამატიკა სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ზოგიერთი დამატებისა თუ მცირეოდენი შესწორებების შემდეგ.*

მე-16 პარაგრაფში ზოგიერთი ზმნა რუსულ ენაზე სხვაგვარად უნდა იყოს გადატანილი; კერძოდ, **ვინერები** უფრო **пишу** იქნება და არა **пишусь**. სინონიმი, – **ვსნერ**; **ამ წიგნსა შენა ვნერ** ან: **ამ წიგნს შენთან ვინერები**, რაც ნიშნავს: **это письмо пишу к тебе**;** **пишусь** კი ნიშნავს – **ვენერები**.

მწერ, ე. ი. пишешь меня, мне ან ко мне.

მწერ – ნიშნავს: пишешь меня, мне ან ко мне.

მწენრები – пишешь меня и пишется для меня, за мною.

ვიყიდი – ნიშნავს: куплю, და არა: покупаю.

ვეუბნები – говорю ему.

მყუარობ – არ ნიშნავს: **любишь** меня. ეს ზმნა რუსულ ენაზე სხვაგვარად ვერ იქნება გადატანილი, თუ არა ასე: **ты находишься со мною в любовной связи**, – **ты мой любовник**, ხოლო **любишь меня** ქართულად ასე ითქმის: **ვიყვარვარ**.***

* შესამჩნევი შეცდომაა, si cette grammaire est pour la langue savante, comme la présente, ou pour l'enseignement [გრამატიკა სამეცნიერო ენისთვისაა განკუთვნილი, როგორც ამ შემთხვევაში, თუ სწავლებისთვის].

** **შენა** – არ ითქმის.

*** ამას გრამატიკული ფორმა კი არ იწვევს, არამედ ზმნების – **ვიყვარობ** და **მიყვარს** – შინაარსობრივი მნიშვნელობა.

იქვე, ლიტერი B

მკითხავი არის ნაზმნარი სახელის მიმღეობა,* მაგრამ **კითხუა** კი არა, არამედ **მკითხავობა**** – თუ ლაპარაკია **вопросей**-ს შესახებ, მაგრამ თუ ბ-ნი ჩუბინოვი აქ კითხვის დამსმელს, **вопроситель**-ს გულისხმობს, მაშინ ყველაფერი სწორია, თუმცა საკითხი დაზუსტებას საჭიროებს.

მე-3 პუნქტის შესახებ

დანერა	წარს. მიმღ.	დანერილი და დანანერი.
თხოვა	წარს. მიმღ.	თხოვილი, ნათხოვი, ნათხოვნი, ნათხოვარი.
შენება	წარს. მიმღ.	შენებული, შენი, ნაშენი.
თლა	წარს. მიმღ.	თლილი, ნათალი.
ბრძოლა	წარს. მიმღ.	ბრძოლილი, ნაბრძოლი.
წერა	წარს. მიმღ.	წერილი, წერებული, ნაწერი.
ძილი	წარს. მიმღ.	ნამძინარევი, მძინარე.
წოლა	წარს. მიმღ.	წოლილი, ნაწოლი, მწოლარე.
ჯდომა	წარს. მიმღ.	ჯდომილი, მჯდომი, ნაჯდომი, მჯდარი, მჯდომარე, მჯდომიარე.

II განყ. იმავე პარაგრაფის პუნქტი 1.

მეწერა და **მეშენა** წარსული სრული კი არ არის, არამედ – წარსული **უსრული** და ნიშნავს:

მეწერა – если-ნ я писал (тогда).

მეშენა – если-ნ я строил (тогда).

რაც შეეხება ბრძანებით კილოს, აქ ნაჩვენები უნდა იყოს ქართული ზმნის ის თვისება, რომელიც რუსულ ზმნას არ

* **მკითხველი** უნდა.

** რა არის ეს? un fabricant – nom, fabriquant – participe, **მკითხავი** – un lisant, **მკითხველი** – lisane.

გააჩნია; კერძოდ ის, რომ ბრძანების კილო ქართულში ორგვარია: დადებითი და უარყოფითი, როგორც ახლანდელ დროში, ისე ზმნის სრული ფორმის შემთხვევაშიც.

მაგალითები:

სწერე	არა სწერო*	ნუ სწერ**
пиши	не пиши	не пиши
დასწერე	არ დასწერო	ნუ დასწერ
напиши	не пиши	не пиши

რუსულში ვერ გამოვიყენებთ სხვა ფორმას, თუ არა უკუქცევითს, ანუ უნდა ითქვას: *еслиб я не написал* და არა: *не напиши* ანუ *не напиши я*.

მოქმედების გამომხატველი ზმნის – **ვსწერ** – სრულად უღლებსა და ამ ზმნის უკუქცევით, ვნებით, გარდამავალ – მაინცადამაინც გარდამავალ – ფორმებად გადაქცევის საკითხზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. აქ, დანართში, მაგალითის სახით მოცემულია უღლების გზით ერთი ზმნის 90 სახეცვლილება. მაგრამ ეს მაგალითი სრულად არ ასახავს რეალურ ვითარებას – ძნელია იმის თქმა, რომ აქ არ არის გამოტოვებული ზოგიერთი ფორმა. როგორც ჩანს, „გრამატიკის“ ავტორმა შემდგომი მუშაობისას საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ქართული ზმნების ფორმათა მრავალფეროვნებისა და სახეცვლილებათა სპეციფიკურობის საკითხს, მათს სრულად მოქცევას უღლების სისტემაში, კილოსა და დროის კატეგორიებში; ისევე, როგორც საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს უღლებათა ყველა სახის რუსულიდან ქართულ ენაზე ზუსტად თარგმნის საკითხს.

ზმნიზედის შესახებ

ვუბრუნდებით რა ადრე ნათქვამს II მოქმედებითი ან

* თხრობითი.

** აკრძალვითი.

გადაქცევითი ბრუნვის* შესახებ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესი იქნებოდა, აქ შეგვეტანა სიტყვათა ისეთი სახეცვალებადობა, რომელიც ბრუნვათა სისტემაშია მოქცეული. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევს იმის თქმა, რომ არ არსებობს არც ვითარებითი ზმნიზება, არც განსაზღვრებითი, რომელშიც ამჟამად ვგულისხმობთ მტკიცებით, შემომსაზღვრელ, კრებით, მაცალკეებელ ზმნიზებებს, რამდენადაც სიტყვები: **ჭკვანად** – умно; **ავად** – дурно, худо; **სხუარიგად** – иначе; **კარქად** – хорошо; **მეტად** – более; **შავად** – черно; **თეთრად** – бело; **ნამდვლად** – подлинно; **ჭტად** – истинно; **მართლად** – право, справедливо; **მარტოდ, მხოლოდ** – единственно, только; **ერთად** – едино, воедино ან вместе; **განურჩევლად** – без разбору; **საზოგადოდ** – вообще; **საკუთრად** – собственно; **თითოთითოდ** – поодиночке, – სხვა არაფერია, თუ არა სხვა ბრუნვა სიტყვებისა: **ჭკვანი, ავი, სხუარიგი, კარქი, მეტი, შავი, თეთრი, ნამდვლი, ჭტი, მართალი, მარტო, მხოლო, ერთი, საზოგადო, საკუთარი, თითოთითო ან თითო.**

ბ-ნი ჩუბინოვი თვითონ ამბობს – და საფუძვლიანადაც – რომ ზედსართავი **სახელები** ხსენებულ ბრუნვაში წარმოადგენს ზმნიზებას.** მაშასადამე – რამდენადაც ამგვარ მნიშვნელობას ვერც სხვა სახელებს წავართმევთ, მოვიგებთ იმას, რომ შემცირდება ბრუნვათა რაოდენობა, რაც მოსწავლეებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია. მაგრამ მათთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყოველ ნაბიჯზე გაუგებრობებს არ აწყდებოდნენ – მეტყველების რომელ ნაწილს მიაკუთვნონ სიტყვები, რომლებიც ბოლოვდება **ად, ადა, ათ, ათა**-თი და რითიც მთავრდება ყველა ეს ზმნიზება და გადაქცევითი ბრუნვა.

* Cette forme e deux usages différents, le cas et l'adverbe [ეს ფორმა ორი განსხვავებული სახით გამოიყენება – როგორც ბრუნვა და როგორც ზმნიზება].

** მაგრამ არა ყოველთვის: **იქმნა მეფედ**, il devint roi, сделался царём, **იქცეოდა მეფედ** il agissait en roi, поцарски.

კავშირისა და შორისდებულის შესახებ სათქმელი არაფერია.

სიტყვათწარმოების შესახებ

22-ე პარაგრაფის ბ შენიშვნაში ნაცვლად განსაზღვრისა „ქვემდებარე შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ნაცვალსახელი“, უმჯობესი იქნება ასე ვთქვათ: „ქვემდებარე შეიძლება იყოს სახელი და ნაცვალსახელი“. და ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არსებითი სახელი ზედსართავთან და რიცხვით სახელთან ერთად უკვე მივაკუთვნეთ მეტყველების ერთსა და იმავე ნაწილს – სახელს და, ამასთანავე, რიცხვითი სახელი, რომელიც სხვა სახელის მსგავსად იმავე ნესით იბრუნვის, აგრეთვე შეიძლება იყოს ქვემდებარე. მაგალითად, *ორი ჰსჯობს ერთსა* – два лучше одного.

22-ე პარაგრაფის მე-9 პუქტი გამომდინარეობს მოთხრობითი ბრუნვის იმ გაგებიდან, რომელზეც ზემოთ უკვე ითქვა: *მან, იმან, ამან*, – არის ნაცვალსახელები *იგი, ისი, ესე* (ОН, ТОТ, ЭТОТ) მოთხრობით ბრუნვაში. მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებათა – მაგ., *კეთილმან, ირაკლიმან, სხუამან* – დამთხვევა ნაცვალსახელთან, ჩვენი აზრით, შემთხვევითია და ამგვარი შემთხვევითობანი სხვა ბრუნვებშიც გვხვდება: *მამისი, თამამისა* და სხვ.

საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ამგვარი საფუძველს მოკლებული დამთხვევები თვალში საცემია ძველ და არა იმ ცოცხალ ენაში, რომელზეც ამჟამად ვმეტყველებთ. თანამედროვე ენაში ნაცვალსახელებს შენარჩუნებული აქვთ ძველი ფორმები, ხოლო სიტყვებს – *კეთილმან, ირაკლიმან, სხუამან** – ამჟამად ასე იტყვიან: *კეთილმა, ირაკლიმა, სხუამ*. მსგავსება, როგორც ვხედავთ, უკვე აღარ არსებობს,

* *მ, მა, მან* – ერთი და იგივეა.

განსაკუთრებით, პირველსა და მეორე პირებში. შესაბამისად, მთელი ეს მე-9 პუნქტი უადგილოა.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ბ-ნი ჩუბინოვის „გრამატიკაში“ ამა თუ იმ განსაზღვრის საილუსტრაციოდ მაგალითები ხშირად ძველი წიგნებიდან და წმ. წერილიდანაა მოყვანილი. არსებობს ორი გზა: ან უნდა დაინეროს ძველი ქართული ენის გრამატიკა, ან კიდევ თავი დაანებეთ ისტორიას და მოგვეცით გრამატიკა იმ ენისა, რომელზეც დღეს **ვლაპარაკობთ**. მაგ., ბ-ნი ჩუბინოვის მაგალითად მოჰყავს ტაეპი: **მოსრნის მკეცნი და ნადირნი ისარმან ჩემმან სრეულმან**. ეს იქნებოდა მშვენიერი მაგალითი, იქვე რომ ყოფილიყო მოცემული, თუ რა სახეცვლილებით გვექნებოდა ეს ტაეპი თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მაგალითი დარჩება წარსულის იმ ძეგლად, შეუსაბამო რომ არის თანამედროვე ენობრივ კონსტრუქციებთან. – **გაჰყლიტა, გაანყო**, გნებავთ: **მოჰსრა მკეცი და ნადირი ჩემმა სრეულმა ისარმა**, – აი, ასე უნდა იქნეს გადმოღებული ეს ფრაზა თანამედროვე ენაზე.

23-ე პარაგრაფში ნათქვამია – ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა დროში გამოყენებისას სხვადასხვა ბრუნვას მოითხოვს. იქვე საჭირო იყო იმისი ახსნა და ჩვენება, თუ როგორ ხდება ეს კონკრეტული ზმნის მაგალითზე: **დავით სწერს წიგნსა, დავითმა სწერა წიგნი** (Давид пишет книгу или письмо; Давид писал книгу). ამის შემდეგ მოყვანილი მაგალითები ხსენებულ წესს არ შეესაბამება.

24-ე პარაგრაფის მიხედვით, როდესაც ბრუნვის მართვის შესახებ ვსაუბრობთ, კერძოდ, სახელობითზე, უნდა აღინიშნოს, რომ იგი (ეს ბრუნვა) მოითხოვს პასუხს კითხვაზე: **ვინ არის? რა არის?** – кто (есть)? что (есть)? **ვინ მოქმედებს**, ან **რა**, – кто действует ან что? მაგ.: **ვინ არის ყოვლის შემძლებელი** – кто всемогущ? **ღ-თი**, – бог. **რა ჰღელავს** – что волнуется? море – ზღუა. ახლა აღარავინ ამბობს: **სიბრძნე უძვირფასესია ვიდრეა ოქრო და ვეცხლი**. ახლა ასე იტყვიან: **სიბრძნე**

ჰსჯობს ოქროსა და ვეცხლსა; ან: სიბრძნე უძვირფასესია ოქროსა და ვეცხლსა ზედა – Мудрость дороже золота и серебра.

ნათესაობითი ბრუნვა მოითხოვს პასუხს კითხვაზე: *om* ან *из* кого, чего, чей და чьего: **ვისი, რისი, რისა?**

მიცემითი – კითხვაზე: кому, чему და чьему? – **ვის, ვისა, ვისას, რას, რასა, რისას?**

წოდებითი რასაც მოითხოვს, თვითონ სახელწოდებიდან ჩანს.

მოქმედებითი – კითხვაზე: кем, чем და чьим? – **ვით, ვისით, ვისითა, რითი, რისით, რითა, რისითა?**

მოთხრობითი, რომელიც საერთოდ არ არის ბ-ნ ჩუბინოვთან, მოითხოვს პასუხს კითხვაზე: Кто ან что действовал-вало? ან: сделал -ло? ან კიდევ: Кому приходится делать, сделать? **ვინ**, ან **რამა*** ქმნა? **ვინ** ან **რამ** უნდა იმოქმედოს?

საჭიროა იმის ახსნაც, რომ ბრძანებით წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკი **ნუ** სხვა ბრუნვას მოითხოვს, ხოლო **არ** – სხვას. ეს უკანასკნელი ნაწილაკი უცილობლად მოთხრობით ბრუნვას მოითხოვს: **ის ნუ დასწერს, იმან არ დასწეროს** – пусть **он** не пишет, чтоб **он** не писал.

Предлог-ის შესახებ (როგორც ეს ბ-ნ ჩუბინოვს ესმის) დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ისინი ცოცხალ ენაში ყოველთვის** გამოიყენება არა სიტყვის დასაწყისში, არამედ – სიტყვის ბოლოს. თვითონ მეტყველების ამ ნაწილს **предлог (წინდებული)** რომ ვუწოდოთ, ეს არ შეესაბამება არც ქართული ენის ბუნებას, არც ქართულ ენაზე მის საკმაოდ სწორ სახელწოდებას – **თანდებული**. აქ უფრო შესაფერისი იქნებოდა გამოყენება სიტყვისა, რომელსაც ზოგჯერ საკანცელარიო ენაში იყენებენ – **ბოლოსართი** (прилог). **ამარად** – არის არა **кроме** ან **без**, არამედ იგი უფრო ნიშნავს **თან**-ს (при), **ზე**-ს

* **რამა** – არ ითქმის.

** მეტისმეტად თავდაჯერებული ნათქვამია: **თვის სახელისა**, იმ имени.

(на).* ეს იმ მაგალითებიდანაც მტკიცდება, რომლებიც ბ-ნ ჩუბინოვს მოჰყავს. **გარეშე** – ე. ი. **вне**. იმდენად, რამდენადაც **предлог** არასოდეს არ დგას სახელის დასაწყისში, არამედ ყოველთვის ბოლოსართად დაერთვის სახელს, საჭიროა ითქვას, რომ იგი ბრუნებისას **მოსდევს** კონკრეტულ ბრუნვის ფორმას. ბოლოსართი **გან**, ჩვეულებრივ, დაერთვის ნათესაობით ბრუნვას, ზოგჯერ – მოქმედებითს, როგორც მაგ.: **პირითგან, დილითგან, ქალაქითგან**, მაგრამ ითქმის: **პირიდან, დილიდამ, ქალაქიდან****.

ხომ არ არის ეს მაგალითები დამადასტურებელი თავისებური თანდებულიანი ბრუნვისა, რასაც ასე დაბეჯითებით უარვყოფთ და, თან არც ვიცი, როგორ ავხსნათ სიტყვის ამგვარი სახეცვლილება? იკვებება რა ასო **ს, თან***** მიცემით ბრუნვაში მოსდევს ამჟამად – ე. ი. ცოცხალ მეტყველებაში – ბოლოთანხმოვნიან ან **ი** და **ჯ** ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს. მაგ.: **დავითთან, ანტონთან, ივანესთან, ანდრიასთან, ბაგრატთან, მოსამართლესთან, ნიგნთან, წერილთან, ოქროსთან, ვეცხლთან, მოგწთან**; – ჯ გადაიქცევა **წ**-დ. ბ-ნი ჩუბინოვი, ცხადია, დაგვეთანხმება, რომ ეს არ არის ნათესაობითი ბრუნვა და რომ არ შეიძლება ერთი და იგივე წესი გამოვიყენოთ ძველ, ე. წ. მწიგნობრულ, ენასა და ახალ, სასაუბრო ენაში.

ზე, ზედ, ზედა – ესენიც საბოლოოდ ნათესაობითიდან მიცემით ბრუნვაში გადავიდა იმავე წესით, როგორც **თან******. ხოლო სიტყვებმა **კიდე, კიდევ, კიდევა** არათუ შეიცვალა

* ეს სწორია.

** ეს მოქმედებითის ახალი ფორმაა.

*** **თან** – მიცემითთან, **თანა** – ნათესაობითთან: **ანტონთან** – к Антонию, **ანტონისთანა** – с Антонием.

**** მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ბოლოსართი **თანა** აღნიშნავს მიმსგავსებას ან შედარებას, იგი – ეკვეცება რა ბოლო ხმოვანი – დაერთვის ნათესაობით ბრუნვას: **დავითისთანა, ანტონისთანა, ბაგრატისთანა, ოქროსთანა** და სხვა. – подобный Давиду, или такой, как Давид, Антон, Баграт, золото и проч.

კომიტეტის განყოფილების შენიშვნა.

წინანდელი ბრუნვა, არამედ მეტყველების სხვა ნაწილში გადაინაცვლა – **კავშირად** იქცა. თანდებულებში მას უკვე ველარ დავაბრუნებთ.*

მდე, მდინ – ისევე, როგორც **დამ** – შეეწყობა ისეთ სახელს, რომელიც არ არის ბრუნვებში, თუმცა პრაქტიკაში გვხვდება. მაგ.: **ჩემამდინ, სახლამდინ, ქალაქამდინ, წყლამდინ, კედლამდინ, სოფლამდინ**; ან – ამის ნაცვლად: **ამდინ, ამდისინ**-ისა. თუმცა შეიძლება ისიც ითქვას, რომ ეს თანდებული შეეწყობა სახელობით ბრუნვას და **ი**-თი დაბოლოებულ სახელში ამ ასოს **ა**-დ გადააქცევს. – ესეც შემდგომ მუშაობაში ბ-ნი ჩუბინოვის საგანგებო ყურადღების საგნად უნდა იქცეს.

28-ე პარაგრაფი. დღეს არავინ იტყვის: **ვიყურ მეა?** ნაცვლად სიტყვებისა: **ნეტარ, ნეტართუ**, ახლა ითქმის: **ნეტა, ნეტავი, ნეტავითუ**.**

მე-7 პუნქტი. საერთოდ უარყოფა უნდა გამოხატოს ზმნამ, მაგრამ ის (უარყოფა) მეორდება კიდევაც. მაგ.: **არვის უნახავს** – никто не видал; **არავის გაუგონია, არავის არგაუგონია** – никто не слышал; **არსად მითქვამს, არსად არ მითქვამს** – никогда я не говорил; **ნურვის ეტყვი, ნურვის ნუეტყვი** – никому ни говори; **ნურას დასწერ, ნურას ნუდასწერ** – ничего не пиши.

ნაცვლად აბსოლუტივისა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ჩვენ არცა გვაქვს, ბევრი ამ ტიპის ზმნას **რა** ნაწილაკის დართვით იყენებს. 28-ე პარაგრაფის მე-8 პუნქტში ბ-ნი ჩუბინოვის მიერ მაგალითად მოხმობილია **გამოვედითრა, მოვსჯობდირა**, მაგრამ ეს ფორმა ქართული ცოცხალი მეტყველებისათვის ისევე არაბუნებრივია***, როგორი არაბუნებრივითაც გამოირჩევა რუსული ცოცხალი მეტყველებისათვის, – მიუხედავად მათი ხშირი გამოყენებისა – მაგალითად, ასეთი გამოთქმები: **взимаючи, караючи, оный, жителька** და სხვ.

* **კიდე** – თანდებული და კავშირი.

** **ეს** – მდაბიურ მეტყველებაში.

*** **დიახ!**

31-ე გვერდი ბ-ნ ჩუბინოვთან იწყება შენიშვნით იმის შესახებ, რომ *ძე* იმერულ გვარებს დაერთვის, *შვლი* კი – ქართულს.⁸ უმჯობესი იქნება, ამგვარ რამეებს თავი დავანებოთ, რადგანაც არავითარი საფუძველი მას არ მოეპოვება. და, საერთოდ, აქ ჩვენ არ ვმსჯელობთ იმერულსა და ქართულს შორის არსებული ენობრივი განსხვავებების შესახებ, თუმცა ამგვარი განსხვავებები რეალურად მრავლადაა.

არ შეგვიძლია ესეც არ ვთქვათ – თუკი საგანგებო ყურადღებას დავუთმობთ კუთხურ მეტყველებას, მაშინ მოგვიწევს, თუ თითოეული კუთხისა ცალ-ცალკე არა, ისეთი სპეციალური ლექსიკონებისა და სახელმძღვანელოების შედგენა, რომლებიც ადგილობრივი მეტყველების თავისებურებათა შესწავლაში დაგვეხმარება. ამჟამად კი, ამისი აუცილებლობა რომ ავირიდოთ, ხელი იმ ენას უნდა მოვკიდოთ, რომელთა წეს-კანონები გასაგები იქნება ქართლშიც, კახეთშიც, იმერეთშიც, გურიაშიც. ასეთი ენა კი სწორედ ისაა, რომელზეც ახლა ვმსჯელობთ.

VII პუნქტში, 31-ე გვერდზე, იმ სახელებთან დაკავშირებით, რომლებითაც ნაკვალევი ან ნაშთია გამოხატული, საჭიროა ითქვას, რომ მათ ბოლოში *ევი*, ხოლო თავში ზოგჯერ *ნა* დაემატება: *ნაქალაქევი* – остатки города; *ნაჭულევი* – остатки следа; *ნაოფლი* – следы поща. ამასთან, არ არის ახსნილი, როგორ იწარმოება სახელები: *კახური, ქალაქური, იმერული, გურული, რაჭული, ქართული, ლეკური, სომხური*.

XIV, გვ. 32. მოყვანილია მაგალითები, რომლებიც ადასტურებს – წესი არ არის საკმარისი სისრულითა და საფუძვლიანობით დასაბუთებული: *უქმრო, უკახური* (?), ამათი წარმოების წესი სულ სხვაა. როგორიღაა წარმოების წესი სხვა შემთხვევებში: *უკაცო, უბედო, უგუნური, უმადური*?

XV-ის შესახებ: ითქმის არა *ჭეშმარიტობა*, არამედ *ჭეშმარიტება*; *დღეგრძელობა* და *დღეგრძელება*; *უღონობა* და *უღონობა*; *უღვინობა* და *უღვინობა*; *უსჯულობა* და *უსჯულობა* – და მათ განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ.

XVII-ის შესახებ: მოხმობილია თანდებულთ ნაწარმოები სახელები, მაგრამ წესის შესახებ არაფერია ნათქვამი. – ი-ს ან დ-ს დამატების მეშვეობით: **აღმართი, წარმართი, ზედად, ქუჭდად.**

31-ე პარაგრაფის შესახებ: **მადლი, მადლიერი ან მადრიელი, ცოდუა, ცოდვილი, ძალი, ძლიერი;** მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ რა წესით იწარმოება: **მადლიანი, მადლობელი, უმადლო, მცოდველი, მცოდავი, ცოდვილი, ცოდვიანი, საცოდავი, ძალიანი, მოძალე, უძალო, მძლავრი.**

დასასრულ, სიტყვათწარმოებაზე მსჯელობისას უყურადღებოდაა დატოვებული ქართული ენის ერთი თავისებურება, რომლითაც სულიერი და უსულო სახელები ერთმანეთისაგან განირჩევა; მაგ.: **ИМЕЮ** ქართულად იქნება **მაქუს** და **მყავს**; **ИМЕЮ** коня – **ცხენი მყავს**, ხოლო **ИМЕЮ** конюшню – **საჯინიბო მაქუს**; **несу** ребѣнка – **ყმანვილი მომყავს**; **несу** люльку – **აკუანი მომაქუს**. ერთი სიტყვით, თუ საუბარია სულიერი საგნის შესახებ, ქართული ენაზე ვერ ვიტყვით: **მომმაქუს, მაქუს, შემმაქუს, დამაქუს** და სხვ.; და, პირიქით – როცა საუბარია უსულო საგნის შესახებ, ვერ ვიტყვით: **მყავს, მომყავს, შემყავს, დამყავს** და სხვ.

საჭირო იყო მსჯელობა იმაზეც, თუ როგორ გამოიყენება ზმნები: **გახლავარ, გახლავს, გაიხლები, გაიხლება, გაიხლო, გაიხლო.**

გახლავარ,	მრწამდი,	ვინერები წიგნსა,	დაინერა წიგნი.
გახლავხარ (?)	გრწამვარ,	ვილანძლები მამასა,	გაილანძლა მამა.
გახლდი,	მრწამვარ (?)		

ლექსთწყობის შესახებ

თუ ქართული ლექსი თავისი სილაბურობით განსხვავდება რუსულისაგან, მით უფრო უნდა განსხვავებოდეს იგი სპარსული ლექსისაგან. საქმე ის არის, რომ სპარსულში მახვილი გაცილებით უფრო მკვეთრი და გაბმულია, ვიდრე – რუსულ-

ში. საერთოდ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა ჩაითვალოს ქართული ლექსთწყობა სპარსულის მიბაძვად? სპარსულ ენაში უხვადაა მოკლე ხმოვნები, რასაც ლექსთწყობის წესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქართულ ენაში კი არც მკვეთრი მახვილი გვაქვს და არც – მოკლე ხმოვნები. მაშ, რაშია მსგავსება? ამგვარი მსგავსების შესახებ ჯობს არაფერი ვთქვათ, რადგანაც ჩვენ ჯერჯერობით არც კი ვიცით, აკავშირებს თუ არა ქართულ ენას ან ნათესაობა, ან მსგავსება მსოფლიოს რომელიმე სხვა ენასთან.*⁹

ბევრი მაგალითი არ შეეხება ლექსთწყობის სახეთა იმ განსაზღვრებებს, რომელთა საილუსტრაციოდაც არის ისინი მოხმობილი.

დასასრულ, საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ბ-ნი ჩუბინოვი სიტყვასაც არ ძრავს არც მართლწერისა და არც პროსოდიის შესახებ. რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ სწორადაა დანერილი: **ჩვენ, ქვით, ვთქვი, მაქვს**; – ჩვენი ყური არ არის მიჩვეული ამ სიტყვების ასე მჭახე წარმოთქმას. მისთვის ეს სიტყვები ასე უნდა წარმოითქვას: **ჩუწნ, ქვთ, ვსთქვ, მაქუს** და სხვ. და სხვ.

ისიც უნდა ითქვას, რომ **ვ** ორ თანხმოვანს შორის ან ორი და მეტი თანხმოვნის შემდეგ **შ**-დ, ხოლო **ვი** ანალოგიურ ვითარებაში **ჯ**-დ გადაიტყვევა. მართლწერის წესები არსებობს, რჩება მხოლოდ მათი გადმოცემა.

ქართულ ენაში პროსოდიის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ვთქვათ – ამ ენაში ყველა ბგერა ერთგვაროვანიაო. მაგრამ, ვინაიდან ამის თქმა შეუძლებელია, ე. ი. არსებობს წესები, რომლებიც ამტკიცებს ბგერათა ბუნებრივ არაერთგვაროვნებას. პ. ე. იოსელიანმა 1840 წელს ტფილისში გამოცემულ თავის წიგნში „პირაწულ დანყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმა-

* ვიცით.

აქ და ზემოთ: როგორც აღინიშნა (იხ. აქვე, გვ. 201),
სქოლიოები ეკუთვნის მარი ბროსეს.

ტიკისა“ საფუძვლიანად მიუთითა **ქართულ ენაში მახვილთან დაკავშირებულ კანონზომიერებებზე**. ისლა დაგვრჩენია, ამ აზრს დავუერთოთ მახვილის განმარტება, ანუ ავხსნათ, მახვილის გრამატიკული, რიტორიკული თუ ლოგიკური ბუნება.

ლექსიკონის შესახებ

რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალი გამოცემა აქაურ სასწავლებლებში გამოსაყენებლადაცაა ნავარაუდევი. ამიტომ ბ-ნმა ჩუბინოვმა მისი მნიშვნელოვნად შემოკლება ჩათვალა საჭიროდ. ჩვენ გვსურს დავეხმაროთ მას ამ კეთილი განზრახვის განხორციელებაში და ვთავაზობთ, კიდევ უფრო შეამოკლოს თავისი ლექსიკონი:

1. საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული ქართულად გამოცემული რუსული გრამატიკა.

2. უნდა იქნეს ამოღებული ყველა ნაწარმოები სიტყვა, რომელთა ძირი საწყისი ფორმები ისედაც ნათელია. მაგ., სიტყვიდან **Архиерей**: Архиерейски, Архиерейский, Архиерейство; სიტყვიდან **Ассесор**: Ассесорский, Ассесорство, Ассесорша; **Боярин**: Боярски, Боярский, Боярич, Боярыня, Боярство, Боярышня და სხვ.

3. უნდა იქნეს ამოღებული ყველა რთული სიტყვა, რომელთა ნაწილები, ცალკე აღებული, პირდაპირ ითარგმნება. მაგ.: Богобоязненный, Богобоязненность, Богобоязливый, Богобоязливость, Боголюбие, Боголюбец, Быстроногий, Быстротечный და სხვ. და სხვ.

4. უნდა იქნეს ამოღებული ყველა სიტყვა, რომლებიც იშვიათად გამოიყენება ან კუთხურ მეტყველებას მიეკუთვნება. მაგ.: Бутор, Бутурлык, Бугание, Бырс, Бытейский, Бегалище და სხვ. და სხვ.

ამასთანავე, კარგი იქნება, თუ ყურადღება გამახვილდება:

1. თარგმანის სიზუსტეზე. მაგ., **ავ** საერთოდ არ არის ქართულად თარგმნილი; ამასთანავე, გაზი **მარწუხსაც** ნიშ-

ნავს. გარდა ამისა, გაურკვეველია, ერთსა და იმავეს ხომ არ ნიშნავს *zaz* და *zac*? *Великодушие* ასეა თარგმნილი – **დიდ-სულობა**. ეს სიტყვა ვერა და ვერ ვერ მოიხრგო ახალმა ენამ და ამბობენ **სულგრძელობას**, რაც წარმოადგენს კიდევაც *Великодушие*-ს; ხოლო *долготерпение* სხვა არაფერია, თუ არა **მოთმინება** ან **მოთმენა**. *Металл*-ს ახალ ქართულში არა აქვს ახალი სახელწოდება, ხოლო ძველად მას ასე უწოდებდნენ: **ლითონი, მელითონი**.

და 2. იმ სიტყვების შესახებ, რომელთაც ძირი ერთი აქვთ, ხოლო წარმოების შემდეგ სხვა მნიშვნელობა შეიძინეს. უმჯობესი იქნებოდა, ასეთი სიტყვები ცალ-ცალკე იყოს მოცემული. მაგ.: *дyx, дѣху, дyxнѣ, дyxovenство*. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რუსულად ითქმის არა *черное духовенство*, არამედ *монашествующее*.

განყოფილების ეს მოსაზრებები აქ გადმოცემულია მტკიცე რწმენით, რომ ბ-ნი ჩუბინოვი გაითვალისწინებს მათ თავისი ახალი „გრამატიკისა“ და ახალი ლექსიკონის გამოცემისას, რათა შესაძლებელი გახდეს მათი, როგორც სახელმძღვანელოსა და აუცილებელი სასწავლო მასალის, გამოყენება აქაურ სასწავლებლებში.

31 მარტი 1853.
თბილისი

პიღეე ერთხელ რუბინოვის „გრამატიკის“ შესახებ

*მონყალო ხელმნიფეე,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევი!*

თქვენი აღმატებულების წინასწარი თანხმობის საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსმა კეთილინება, მოენოდებინა მიმონერა პროფესორ ჩუბინოვის „გრამატიკის“ შესახებ.

საგანგებო ყურადღებით წავიკითხე მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის მიერ თქვენთვის გამოგზავნილი შეხედულება, რომელიც ეკუთვნის აკადემიის წევრს, სამოქალაქო მრჩეველს – ბ-ნ ბროსეს. გავეცანი აგრეთვე პროფესორ ჩუბინოვის მოხსენებით ბარათს იმ შენიშვნების შესახებ, რომლებიც მისი „გრამატიკის“ გარშემო სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის სპეციალურმა განყოფილებამ გამოთქვა.² მე, როგორც დაბადებითვე ქართველს და ისეთ პირს, რომელიც ამიერკავკასიის ხელისუფლებაში მსახურობს, აუცილებლობად მიმაჩნია, თქვენო აღმატებულებავ, უმორჩილესად გთხოვოთ, დაუკავშირდეთ ჩუბინოვს და შესთავაზოთ – წავიდეს მეტ დათმობაზე, გაითვალისწინოს პრაქტიკული საჭიროებებით ნაკარნახევი ჩვენი მოსაზრებები, რათა აქაურ სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენა სწორად და გამართულად ისწავლებოდეს. აღნიშნული „გრამატიკა“ აქაური მმართველობის მომავალი ჩინოვნიკებისთვის ქართული ენის სასწავლებლად რომ არ იყოს განკუთვნილი, მასზე აქ არავინ არაფერს იტყოდა, ყოველ შემთხვევაში, მის გამოქვეყნებამდე მაინც. მაგრამ ვინაიდან იგი სწორედ ზემოაღნიშნულ მი-

ზანს ემსახურება, ზედმეტი არ იქნება შეგახსენოთ – სანამ ბ-ნი ბროსე აკადემიას ბ-ნი ჩუბინოვის ნაშრომის მიმოხილვას წარუდგენდა, ხსენებული ნაშრომი თქვენი აღმატებულების წინამორბედის³ მიერ განსახილველად სწორედ მე გადმომიცა. 1851 წლის მაისის პასუხში – და ამაში თქვენი კანცელარიის საქმეებიც დაგარწმუნებთ – მე აღვნიშნავდი, რომ ნაშრომი პროგრამული თვალსაზრისით თავისთავად დამაკმაყოფილებლად გამოიყურებოდა, მაგრამ ეს სრულებით არ გამორიცხავდა ბ-ნი ჩუბინოვის ნაშრომის შემდგომი განხილვის აუცილებლობას. ამას იმიტომ ვამბობდი, რომ გამორიცხული არ იყო, ბ-ნი ჩუბინოვს თავის „გრამატიკაში“ შეეტანა ისეთი სადავო მოსაზრებები, რომლებსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს აქაური სასწავლებლებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში.

წინასწარი ვარაუდის საფუძველს შემდეგი გარემოება იძლეოდა:

თბილისში მ. ი. ბროსეს ყოფნისას⁴ პატივი მიქონდა, მასთან სწორედ ნ. ვ. ხანიკოვის თანდასწრებით მესაუბრა მოთხრობითი ბრუნვის შესახებ, რომელსაც, მიუხედავად მეცნიერთაგან უარყოფისა, მე, როგორც ყოველი ქართველი, ჩვენი ენის ორგანულ ნაწილად მივიჩნევ და რომლის გარეშე ქართულ მეტყველებაში აზრის მკაფიოდ გამოხატვა ვერ მოხერხდება.

მშვენივრად მესმის მარი ივანეს ძის განათლებულობის ფასი და ფასი მისი ნაშრომებისაც. ბ-ნი ბროსესადმი მამოძრავებს ღრმა და გულწრფელი პატივისცემის გრძნობა როგორც ისეთი ადამიანისადმი, რომელსაც უყვარს მეცნიერება და მთელი თავისი ცხოვრება ქართული ენისა და ქართველთა წარსულის შესასწავლად თავაულებელი შრომისთვის აქვს მიძღვნილი. მაგრამ იგივე სიყვარული მეცნიერებისა თავისთავად ნიშნავს სრულ მიუკერძოებლობასა და შეცდომების მხილებას, სადაც არ უნდა იყოს და ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს შეცდომები. ამით იმის თქმა მსურს, რომ მარი ივანეს ძემ მცდარი წარმოდგენა შეიქმნა ჩვენი სასაუბრო ენის ერთ-ერთ ძირეულ წესზე. მართალია, ჩემთან პირად საუბარში მან, ბო-

ლოს და ბოლოს, აღიარა, რომ აღნიშნული ბრუნვის საჭიროებას იგი უარყოფს არა თანამედროვე სასაუბრო, არამედ ძველ, ე. წ. მწიგნობრულ, ენაში, მაგრამ ნახსენებ მცდარ შეხედულებას ჩვენ ისევ წავაწყდით, ახლა უკვე ბ-ნი ჩუბინოვის „გრამატიკაში“, რომელიც სწორედაც რომ ცოცხალი სასაუბრო ენის სწავლებისთვისაა განკუთვნილი. სწორედ ამას აღუდგა წინ ჩემი თავმჯდომარეობით ქართული ენის განყოფილება.

აქვე შეძლებისდაგვარად უნდა უარყო ბრალდება ბ-ნი იოსელიანის მიკერძოებულობის შესახებ. იგი, როგორც განყოფილების წევრი, მსგავსად ყველა სხვა წევრისა, ბ-ნი ჩუბინოვის ნაშრომის მიმართ იყო არა მხოლოდ მიუკერძოებელი, არამედ საკუთარ „გრამატიკაზე“ ასე განაცხადა – მოუხერხებელია, ქართული ენა ამით ისწავლებოდესო.⁵ არც განყოფილების სხვა წევრებს ჰქონიათ განზრახვა, ბ-ნი ჩუბინოვის ნაშრომში მხოლოდ ხარვეზები ეძებნათ. პირიქით, ყველანი ერთხმად მივაგებდით პატივს მის მრავალწლოვან შრომას. გვესმოდა, რომ სწორედ მას შეეძლო სხვაზე უკეთ ამ საქმის წარმატებით შესრულება და ამიტომ გადავწყვიტეთ, გულახდილად გამოგვეთქვა – და, შეძლებისდაგვარად, დაგვესაბუთებინა კიდევაც – საკუთარი აზრი ყველაფერზე, რაც თვალში ცუდად მოგვხვდა და რაც ჩვენი ცოცხალი მეტყველებისათვის უცხო ან – შეუსაბამო.

ზოგიერთი ჩვენი შენიშვნა ბ-ნმა ჩუბინოვმა კეთილგანწყობით მიიღო; დანარჩენი შენიშვნების გათვალისწინებაზე უარი თქვა. ამათგან იგი კატეგორიულად არ დაეთანხმა ჩვენს **ვრცელ** მსჯელობას **მოთხრობითი ბრუნვის** შესახებ და ამ საკითხში მისმა თვალსაზრისმა მხარდაჭერა პოვა არა მარტო ბ-ნი ბროსეს მხრიდან, რომლის გავლენასაც მივანერდით „გრამატიკიდან“ ამ ბრუნვის ამოღებას, არამედ, ბ-ნი ბროსეს სახით – აკადემიის მხრიდანაც.

შეგნებული მაქვს ის უხერხულობა, რომელშიც აზრთა ამგვარი, ასე ვთქვათ, შინაურული გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აღმოჩნდნენ ავტორიცა და მისი რეცენზენტებიც.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ვერ ვიპოვით, თუ არ დავეუბრუნდებით საკითხის არსს და არ გავიმეორებთ: ბ-ნი ჩუბინოვი თავის „გრამატიკას“ აქაური სასწავლო უწყების ხელმძღვანელთა დაკვეთით აქაურ სასწავლებლებშივე გამოსაყენებლად რომ არ გამოსცემდეს, ანუ წიგნს სასწავლო კი არა, სამეცნიერო დანიშნულება რომ ჰქონდეს, მაშინ ავტორს სრული უფლება ექნებოდა, არ გაეთვალისწინებინა წინასწარი მოსაზრებები იმ ადამიანებისა, რომლებსაც სამეცნიერო წრეებში არავითარი ავტორიტეტი არ მოეპოვებათ.

მაგრამ იმავე ხელმძღვანელობამ ოფიციალური დანებებულების – სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის – დავალებით სწორედ ამ პირებს მიანდო წიგნის რეცენზირება და ისიც გადაწყვიტა, რომ ქართული ენის სწავლება მოცემული „გრამატიკით“ მხოლოდ რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, ჩემი აზრით, უკვე მთავარი ის კი არ არის, მივალწევთ თუ არა შეთანხმებას, არამედ – ბ-ნი ჩუბინოვის წიგნი აუცილებლად ისე უნდა გადაკეთდეს, რომ შესაძლებელი გახდეს ამიერკავკასიის სკოლებში სახელმძღვანელოდ მისი გამოყენება.

ამგვარი პირობა შეთავაზებულია სრული, ასე ვთქვათ, კეთილგანწყობითა და პირადი ინტერესების კატეგორიული გამორიცხვით, რამდენადაც დანამდვილებით ვიცი: გარდა ბ-ნი იოსელიანისა, ქართული ენის გრამატიკის შედგენაზე მუშაობდნენ ბატონები ყორღანოვი და თურქისტანოვი, რომელთაგან ერთი ადგილობრივ გიმნაზიაში 20 წელია ქართულ ენას ასწავლის, ხოლო მეორე რამდენიმე წლის განმავლობაში ეხმარებოდა მას ამ საქმეში, და არც ერთი მათგანი არ აპირებს ბ-ნ ჩუბინოვთან მეტოქეობას.

თქვენი აღმატებულება დამეთანხმება, რომ ახლა, როცა აღარც კომიტეტი არსებობს და აღარც – მისი განყოფილებები, თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი პირებიდან ჩემ გარდა ვერავინ გარისკავს, განაახლოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ უკვე განხილულ საქმეზე მსჯელობა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი გარემოება: სახალხო განათლების დეპარტამენტში საქმის განხილვამდე, თუ თქვენ კიდევ ერთხელ სთხოვთ, თვითონ ავტორს შეუძლია თავის წიგნში სათანადო ცვლილებების შეტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენო აღმატებულებავ, გულახდილად მოგახსენებთ, რომ აქაური ბავშვები მასხრად აიგდებენ იმ მასწავლებელს, რომელიც მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად მათ სახელობითის გამოყენებას მოსთხოვს; გლახი სასაცილოდ აიგდებს ჩინოვნიკს, რომელიც მასთან საუბარში ამ წესს გამოიყენებს, ხოლო სასამართლოს საქმეებში შეიძლება არც ისე სასაცილო ვითარება მივიღოთ.

მოვიყვან მაგალითს:

პოლიცია იძიებს დანაშაულს – ერთი ადამიანის მკვლელობაზე ორია ეჭვმიტანილი. წერა-კითხვის უცოდინარი მოწმეებისგან მიღებულ ჩვენებებს ჩინოვნიკი, რომელსაც ქართული ენა ბ-ნი ჩუბინოვის „გრამატიკის“ მიხედვით აქვს ნასწავლი, ასე იწერს:

პეტრე აქ იყო, პავლე ად იქა. პეტრე თოფი ხეს მიაყუდა და პავლე კი არ იცოდა, რომ ისე ახლო იყო. ანდრია პავლე შორიდან დაინახა და ანიშნა, – ფთხილათ იყავიო. ამასობაში პავლე პეტრე ნიშანში ამოიღო; ისიც რომ თვალი შეასწრა და თოფი მოიმარჯუა, ასე რომ ეს და ის თოფები ერთათ დასცალეს; მერე ორნივე შეიტაკნენ და როგორც რომ ანდრია ჩაეშველა დიდხანი აღარ გამოსულა, რომ პეტრე პავლე მოკლა. მერე ის და ანდრია ერთათ გაცარცუჭს და იქითკენ გაიქცნენ.

თუ ამ ამბავს ისე არ გადმოვცემთ, როგორც ეს ხალხის მეტყველებაშია მიღებული და ზედმიწევნით დავიცავთ იმ წესებს, რომლებსაც ამკვიდრებენ ისეთი პირები, უკიდურეს შემთხვევაში, მშობლიური ენის უცოდინარობას რომ ვერ დავწამებთ, მაშინ პირდაპირ მივმართავ დ. ი. ჩუბინოვს, დი-

დად პატივსაცემ ჩემს თანამემამულეს – გულზე ხელი დაიდოს და თქვას: **პირველი:** განა ასე არ უნდა ვწეროთ ქართულ ენაზე, თუკი **მოთხრობით** ბრუნვას უარვყოფთ? და, **მეორე:** მოიძებნება თუ არა სადმე მოსამართლე, რომელიც ამ წესის დაცვით ჩაწერილი ჩვენებიდან გაარკვევს, რომელი რომლის მკვლელია?! ან კიდევ, გაარკვევს თუ არა რაიმეს ნებისმიერი ქართველი, თუ მას, ვთქვათ, ასეთ ფრაზებს ვეტყვი:

ბატონი მდივანბეგი დაიბარა. თოვლი ზამთარი მოიტანა. ჩაჩანი ლეკი გააპარა. კიკოლა თევდორე გალახა. ბიჭი ცხენი დაღალა და ა. შ. და ა. შ.?

სამწუხაროდ, შეუძლებელია ბოლო მოვულო ახალ-ახალ გამომხაურებებსა და ვრცელ მსჯელობებს მოთხრობითი ბრუნვის შესახებ. მ. ი. ბროსე – როგორც ჩანს, სწორედ კომიტეტის გავლენით – უკვე ეთანხმება შეხედულებას, რომ ეს ბრუნვა არის არა démonstratif, როგორც აქამდე განუწყვეტლივ უწოდებდა ფრანგულად, არამედ – narratif. მე კი პირდაპირ უნდა მოგახსენოთ: თუ ქართული ენის გრამატიკაში ბრუნვათა რიგიდან მოთხრობითს გამოვრიცხავთ, ასეთი სახელმძღვანელო აქაური სასწავლო დაწესებულებებისთვის გამოსადეგად ვერ ჩაითვლება და არც უნდა ჩაითვალოს. საქმე ის კი არ არის, მოსწონს თუ არა ვინმეს მოცემული გრამატიკული წესი, არამედ – ასახავს თუ არა იგი ენის ნამდვილ ნიშან-თვისებებს, მის პრაქტიკულად გამოსაყენებელ კანონებს.

ყველაფერზე შეიძლება მეტ-ნაკლებად მჭევრმეტყველური საუბარი, ყველაფრის დასაბუთება შეიძლება მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით, მაგრამ როგორ უნდა დაარწმუნოთ ხალხი, რომ მან არ იცის მშობლიურ ენაზე ლაპარაკი? – ვფიქრობ, ეს კატეგორიულად მიუღებელია.

შესაძლებელია, გრამატიკის ფილოსოფიის მიხედვით, კამათის საგნად ქცეული ბრუნვა მართლაც არსად არ უნდა

არსებობდეს, მაგრამ ჩვენ, ქართველები, მის გარეშე ერთ-მანეთს ვერაფერს გავაგებინებთ. ამიტომაც დაბეჯითებით უნდა ეთხოვოს ბ-ნ ჩუბინოვს – თავის „გრამატიკაში“ ყველა სხვა დაპირებულ შესწორებასთან ერთად ისიც გააკეთოს, რომ ბრუნვათა რიგში მოთხრობითი ჩასვას.

რაც შეეხება სხვა შენიშვნებს, ვწყვეტ მათ შესახებ კამათს, თუმცა ბ-ნ ჩუბინოვს ერთ კერძო ხასიათის რჩევას მაინც მივცემდი – კიდევ ერთხელ დაფიქრდეს ნაცვალსახელთა ბრუნების ნესზე.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ქართული ლექსთ-წყობის შესახებ:

განყოფილებამ ბ-ნ ჩუბინოვს ურჩია, ნურაფერს დაწერს თავის „გრამატიკაში“ ქართული ლექსთწყობის სპარსუ-ლი წარმომავლობის შესახებ. ბ-ნმა ჩუბინოვმა ეს რჩევა არ გაითვალისწინა და თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად ამბობს, რომ სახელდება ბევრი ქართული ლექსისა სპარსუ-ლი ან თათრულია. მაგალითად: შაირი, ბაიათი, მუხამბაზი, თეჯლისი, მუსტაზადი, გაფი და სხვ.

ვთქვათ, ეს ასეა, მაგრამ: ჩახრუხაული, ფისტიკაური, წყო-ბილი, მრჩობლეთი, ლექსი, ტაეპი, იამბიკო – განა ესენიც სპარსული ან თათრული სახელწოდებებია? რა თქმა უნდა, არა! მაშ, რატომ უნდა შევიდეს „გრამატიკაში“ სადავო საკ-ითხები? არადა, კამათის საგნად ქცეული საკითხის მოგ-ვარება მარტივად შეიძლება – საერთოდ ნურაფერს ვიტყვით სალექსო ფორმების წარმომავლობის შესახებ. მოსწავლემ უნდა იცოდეს, ვთქვათ: იამბი, ქორე, დაქტილი, ანაპესტი, ამფიბრაქი და სხვ.; ეცოდინება თუ არა მას თავიდანვე, რომ ეს სახელწოდებები ბერძნული წარმომავლობისაა ან გაიგებს თუ არა იგი ამას მომავალში – პოეტიკისა თუ ზოგადად ლიტერატურის ისტორიის შესწავლისას, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. –

ვალად ვრაცხ, ამ საკითხებს თქვენი კეთილგანწყობილი ყურადღება იმ განზრახვით მივაპყრო, რომ, თუკი საჭიროდ

და სასარგებლოდ ჩათვლით, შეატყობინოთ ეს ყველაფერი ბ-ნ პროფესორ ჩუბინოვს. იგი უარს არ იტყვის ჩვენს საერთო თხოვნაზე მისივე საქმის სასიკეთოდ.

გთხოვთ ერწმუნოთ, მონყალეო ხელმწიფევე, თქვენდამი ჩემს უღრმეს პატივისცემასა და სრულ ერთგულებას...

26 თებერვალი 1854.

ივანე კერესელიძის „ქართული ქრესტომათია“

მის აღმატებულებას,

ბ-ნ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს¹

თქვენი წინადადების საფუძველზე ა. თ. 8-ში (№298) წინასწარი აზრის გამოსათქმელად ბ-ნი კერესელიძის „ქართული ქრესტომათიის“ ხელნაწერი გამომიგზავნეს. გავეცანი მას და, მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ აქაურ სასწავლებლებში ქართული წიგნების უკიდურესი ნაკლებობის გამო ამ ხელნაწერის რაც შეიძლება სწრაფად გამოცემა გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია. ამასთანავე, აუცილებელი მგონია, გაგაცნოთ ზოგიერთი ჩემი მოსაზრება, რომლებიც ბ-ნ კერესელიძესაც უნდა გავუზიარო, რათა მისი ქრესტომათია სასწავლო დაწესებულებათა მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

1. მართალია, იშვიათია დღეს ვინმე მართლწერას იცავდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ენის სწავლებისათვის გამიზნულ წიგნში მართლწერა უგულვებლყოფილი იყოს. ამიტომაც მართლწერის მონესრიგება აუცილებელ საქმედ მიმაჩნია. ერთი მხრივ, წიგნის გამოცემა რომ არ დაყოვნდეს და, მეორე მხრივ, ბ-ნ კერესელიძეს საქმე გაუადვილდეს, მისი თანხმობის შემთხვევაში მზად ვარ, ეს შრომა საკუთარ თავზე ავიღო. საამისოდ საკორექტურო ფურცლები უნდა მომეწოდოს და წიგნიც ჩემი სწორებების გათვალისწინებით უნდა დაიბეჭდოს.

2. ამგვარი დანიშნულების წიგნში ზოგიერთ სხვა გარემოებასთან ერთად ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ აქ შესულმა მასალამ მოსწავლის კეთილი ზნე და გულმონყაღე-

ბა კი არ უნდა დააზიანოს, პირიქით – უნდა გააძლიეროს და გააკეთილშობილოს. მე-13 გვერდზე ბავშვები წაიკითხავენ არაკს, რომელმაც შეიძლება მათში უსაფუძვლო სისასტიკის გრძნობა აღძრას.

ხურო ძელს ხერხავდა. ხერხის მოძრაობა რომ გაეადვილებინა, იგი შპურებში სოლს არჭობდა. ხუროს მოქმედებას მაიმუნი აკვირდებოდა. როცა ხურომ სამუშაო მიატოვა, მაიმუნმა მომენტით ისარგებლა, ძელზე აძვრა და სცადა, ხუროსთვის მიეზახა. მაგრამ როცა სოლი ამოაძრო, რათა იგი სხვაგან ჩაერჭო, კუდი მოჰყვა და ვერაფრით თავის დახსნას ვერ ახერხებდა. ხუროს დაბრუნებამდე იგი ძლიერ იტანჯებოდა. ხურომ კი, მაიმუნი ასეთ საცოდავ დღეში რომ დაინახა, **დახმარების ნაცვლად იგი მოკლა.**²

ამ არაკში არც მაიმუნი იმსახურებს ადამიანის ასეთ აღმაშფოთებელ სისასტიკეს და არც ადამიანს აქვს მიზეზი, იმოქმედოს ლმობიერებისა და სიბრაღულის თანდაყოლილ გრძნობათა სანინააღმდეგოდ. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ არაკს ბოლოში ვახტანგ მეფის ფრიად პატივისცემი სახელი აქვს მიწერილი, შემდგენელს ვურჩევდი, ხაზგასმული ფრაზა სხვა ფრაზით შეცვალოს; სახელდობრ – **ხურომ მაიმუნი ასეთ საცოდავ დღეში რომ დაინახა, დაეხმარა მას, თავი გაეთავისუფლებინა.** კეთილ ადამიანს ცოტა ხნითაც კი რომ დაეგვიანა, უბედური მაიმუნი შეიძლებოდა დაღუპულიყო.

3. 35-ე გვერდზე იწყება ისტორიული ამბავი მეფეებზე – თეიმურაზსა და ერეკლე II-ზე. ტექსტის ბოლოს, 54-ე გვერდზე, კვლავ აღნიშნულია სახელი ვახტანგ მეფისა და მითითებულია, რომ ეს ამბავი მისი მატთანადან არის აღებული.

აქ სერიოზული შეცდომაა დაშვებული. ვახტანგ მეფეს არ შეეძლო ეწერა იმაზე, რაც მისი სიკვდილის შემდეგ მოხდა: იგი გარდაიცვალა 1724/1734 წლებს შორის, თეიმურაზმა შემდგომ იმეფა 1760 წლამდე, ხოლო ერეკლე II – 1797 წლამდე.³

4. გვერდებზე 67-91 მოთხრობილია ქართლის მოქცევის ან, უკეთ რომ ვთქვათ, ქართველთა განმანათლებლის, ნმ. ნინოს, ცხოვრების შესახებ. თუმცა მითითებული არ არის ნყარო, საიდან არის ეს ეპიზოდი გადმოღებული; – და ეს კითხვაც უნდა დაისვას: შეიძლება თუ არა სასულიერო ცენტრის უნებართვოდ ქრესტომათიაში მისი შეტანა?

5. იგივე უნდა ითქვას ლექსის ნაწყვეტზე, 259-ე გვერდზე რომ არის და ქეთევან დედოფლის ნამებას ეხება.

6. ლექსი 264-ე გვერდზე საერთოდ არ უნდა იყოს ბავშვებისთვის განკუთვნილ წიგნში და შემდგენელს ვურჩევ მის ამოღებას; ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ლექსს მხატვრული ღირსებები არ გააჩნია – რაც არ უნდა იყოს, იგი შილერს ეკუთვნის – არამედ მისი შინაარსის გამო. ლექსის შინაარსი კი ბავშვების გონებაში შეარყევს რწმენას დამბადებლის ყოვლისშემძლეობის შესახებ. – ლექსის მიხედვით, როცა ადამიანებმა ღვთის სიტყვის მიხედვით ამქვეყნიური სიკეთეები გაინაწილეს, პოეტს წილი არ შეხვდა. როდესაც უფალმა პოეტის საჩივარი მოისმინა, სინანულით თქვა, რომ **მას, ყოვლადღიერს, მისთვის აღარაფერი დარჩა.**⁴

7. შემდგენელს ვურჩევდი, ენიგმებიდან, რომლებიც 286-290 გვერდებზეა, ამოიღოს №№ 15 და 16: ისინი ეხება ქრისტეს შობასა და ჩვენს რწმენასთან დაკავშირებულ დოგმატებს, ანუ ისეთ წმინდა თემებს, რომლებიც ვერ იქცევა თამაშის საგნად – თუნდაც გონების გასავარჯიშებელი თამაშისა. და

8. ქრესტომათიისათვის დართული ლექსიკონით იმ შემთხვევაში მიიღწევა მიზანი, თუ მასში შეტანილი იქნება ყველა ის ძნელად გასაგები თუ იშვიათად ხმარებული სიტყვა, რომლებიც ქრესტომათიაში გვხვდება.

ამას გარდა, კიდევ მაქვს ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა.

ქრესტომათია ქართული ენისა და სიტყვიერების შესწავლისას დამხმარე სახელმძღვანელოდაა ჩაფიქრებული. ეს კი მოითხოვს, მასალა გარკვეული რიგით იყოს დალაგებული.

ასე, მაგალითად, პროზის განყოფილებაში მასალა ისე უნდა განაწილდეს, რომ ტექსტებს შორის დაცული იყოს თანამიმდევრობა მარტივი და ადვილად გასაგებიდან უფრო რთულისა და ამალღებულისაკენ. ამის მიღწევა კი შესაძლებელია თავების გადაადგილებით; კერძოდ: პირველი თავის შემდეგ უნდა იყოს მე-3, შემდეგ – მე-5, მე-6, მე-4, მე-2 და, ბოლოს – მე-7 თავი.

პოეზიის განყოფილებაში აუცილებელია, თითო ან ორ-ორი ნიმუშით ქართული ლექსთწყობის ყველა ფორმა იყოს წარმოდგენილი: ჩახრუხაული, ფისტიკაური, შაირი, ლექსი, ტაეპი, იამბიკო, წყობილი, მრჩობლელი, საზანდრული, მუხამბაზი, ბაიათი, მაჯამა, თეჯნისი, მუსტაზადი, გაფი და სხვ. და სხვ.

ლექსთწყობის ნიმუშები შეიძლება ამოიკრიბოს ლარაძის „დილარიანიდან“, თუ, ცხადია, არ გაძნელდება ან გარდაცვლილი სამოქალაქო მრჩევლის, თ-დ გიორგი ეგნატეს ძე თუმანოვის, მემკვიდრეებისაგან მისი დროებით გამოერთმევა. –

აი, ყველაფერი, რისი თქმაც ჩავთვალე საჭიროდ ბ-ნი კერესელიძის ხელნაწერთან დაკავშირებით. ამასთანავე, თქვენო აღმატებულებავე, გიბრუნებთ თვითონ ხელნაწერს შემდგომი გადანყვეტილებისათვის.

26 თებერვალი 1854.

პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული ქართული წიგნები

*მის აღმატებულებას,
ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის!*

განვიხილე თქვენი წინადადებით (№917) ა. თ. 21-ში გამოგზავნილი წიგნები, რომლებიც კავკასიის მეფისნაცვლის¹ დავალებით სამოქალაქო მრჩეველ იოსელიანის მიერაა გამოცემული:

1. ტიმოთე მცხეთის არქიეპისკოპოსის მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში; 2. იონა მიტროპოლიტის მოგზაურობა ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში; 3. წყობილსიტყვაობა საქართველოს სახელოვანი მოღვაწის, ანტონ კათოლიკოსისა; 4. თეიმურაზ I-ის ცხოვრება – თხზულება არჩილ მეფისა; 5. იოსებ თბილელის მოურავიდა.²

მიმაჩნია, რომ ეს წიგნები უაღრესად საინტერესოა საქართველოს ისტორიისა ზოგადად და, განსაკუთრებით, ქართულ ლიტერატურასთან მიმართებით. ამდენად, ამ წიგნების გავრცელება დიდად სასურველია როგორც ჩვენს ისტორიასთან დაკავშირებული და დღემდე ხელუხლებელი საკითხების, ისე აქამდე გამოცემული ქართული წიგნების ენობრივი ვითარების დასამუშავებლად და შესასწავლად.

ამიტომ, ვფიქრობ, ამ – ჩემ მიერ განხილული – წიგნების მოსწავლეთათვის ჯილდოს სახით დარიგება სასარგებლოა ორმაგად: სწავლაში წასახალისებლად და სავარჯიშოებისათვის ქართულ სიტყვიერებაში.³

საკითხს გადასანყვეტად მივანდობ თქვენს აღმატებულებას, ამასთანავე, მაქვს პატივი ზემოაღნიშნული წიგნები უკანვე დაგიბრუნოთ.

30 აპრილი 1854.

მულიკოვსკის სტატიის შესახებ

კომიტეტის¹ 23 აპრილის გადაწყვეტილებითა და 25 მაისის წინადადებით (№105) ა. თ. 14-ში განსახილველად გადმომეცა ჩვენი წევრ-კორესპონდენტის, ბ-ნი მულიკოვსკის, სტატია **ამიერკავკასიის მხარეში ბერძნული ეკლესიის კუთვნილი ქონების შესახებ**. დავალებული მაქვს, წარმოვადგინო ჩემი მოსაზრებები როგორც სტატიის ღირსებების, ისე იმის შესახებ, შეიძლება თუ არა განყოფილების „შრომებში“ მისი დაბეჭდვა.²

გავცეანი სტატიას. ვფიქრობ, იგი ძალზე საინტერესოა, რამდენადაც აქ მოცემულია მეტად თუ ნაკლებად სანდო ცნობები ჩვენში არსებული უცხოური, კერძოდ, ბერძნული, ეკლესიების საკუთრების უფლების შესახებ უძრავ ქონებაზე – იმ დასახლებულ მამულებზე, ამ ეკლესიებს რომ ეკუთვნის. მით უმეტეს, ეს უფლებები ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი. ამიტომაც სასარგებლო იქნება, თუ სტატია განყოფილების „შრომებში“ დაიბეჭდება.

მაგრამ: **პირველი** – საცენზურო წესების დასაცავად, ვფიქრობ, საჭირო იქნება ხელმძღვანელობის ნებართვა, რადგანაც წყაროებად კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის არქივიდან აღებული მონაცემებია გამოყენებული; და **მეორე** – რედაქციამ მხედველობაში უნდა მიიღოს:

1. საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს, მიტროპოლიტ თეოფილაქტეს ბ-ნი მულიკოვსკი შეცდომით პატრიარქს უწოდებს, ხოლო არტილერიის გენერალ ერმოლოვს ინფანტერიის გენერლად მოიხსენიებს.³

2. საეკლესიო ყმათა გადასახადების აღრიცხვისას ბ-ნი მულიკოვსკი რაოდენობის აღსანიშნავად იყენებს ციფრებს

0-დან გარკვეულ ოდენობამდე, მაშინ, როცა 0 არანაირ სი-
დიდეს არ გამოხატავს და ამ შემთხვევაში მას რაიმე ოდენო-
ბის აღსანიშნავად ვერ გამოვიყენებთ.

3. ერთგან ბ-ნი მულიკოვსკი ამბობს: „ციფრებისადმი
მეტისმეტმა ნდობამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს“.
როცა ამას წერდა, ბ-ნ მულიკოვსკის, ცხადია, მხედველობა-
ში ჰქონდა ის ციფრები, რომლებსაც თვითონ იყენებს და
ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამგვარი სიფრთხილე
გამართლებულია, მაგრამ ზოგადად თქმა იმისა, ციფრებს არ
უნდა ვენდოთ, არ შეიძლება. და

4. ბ-ნი მულიკოვსკი მეტისმეტად ჭარბად და საჭიროების
გარეშე იყენებს პირის ნაცვალსახელებს, რაც ვნებს თხრო-
ბის სტილურ ღირსებებს.

წარმოგიდგენთ ჩემს მოსაზრებებს და, ამასთანავე, მაქვს
პატივი, დაგიბრუნოთ ბ-ნი მულიკოვსკის სტატია.

24 ივნისი 1857.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“

დედა ენა ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოთ არის შედგენილი.

მაგრამ ახალ-მოსწავლეთათვის გამოცემულს პირველ-საკითხავს წიგნში შეცთომა არა უნდა იყოსრა, რომ ნაკლულევა-ნება კანონიერებად არ დამკვიდრდეს და შეცთომა შემეცნებათ არ მიიღონ. მოსწავლენი იფიქრებენ, რადგან ასეა დაბეჭდილი უთუოთ ასე უნდა იყოსო და დედა ენა შეილახება.

წინასიტყვაობაზედ ამის მეტს სულ არას ვიტყვი, რომ თავი-დამ ბოლომდის ქართულს ენაზედ გადითარგმნოს; სიტყვები ქართულია, მაგრამ ენა არა.

11 გვერდზედ 4 სტრიქონი ასე იწყება: „ამ ასოებმს გარდა...“ ყოვლად უსაფუძვლო არის ეს ახალი შემოღება, რომ ნათესაობითი ბრუნვა წინ უძლოდეს ზმნისზედას: წინა, აქეთ, იქით, უკან, გარდა და სხვ. ქართველი არას დროს არ იტყვის: ამის წინა, იმის აქეთ, მაგის იქით, ამის უკან, ამის გარდა და სხვ. ნათესაობითი ბრუნვა ძველს სამწიგნობრო ენაში დაჰყვებოდა ზმნის-ზედას და ახლანდელს სასაუბრო ენაში მიცემითი მიუძღვის: ამას წინა, იმას აქეთ, მაგას იქით, ამ სახლს უკან, ამ კაცს გარდა და სხვ.¹

28 გვ. 9 სტრ. „ქურდზედ ქუდი იწვისო“. ეს ხომ წმინდა რუსულია, на воре шапка горит. ქართველი იტყვის: ქურდს ქუდი ეწვისო.

30. ქვედამ 10 სტრ: „მიქონდა ... დაჰკარგა“. ჰ ისე მეორე სიტყვაში არ არის საჭირო, როგორც პირველში, თუმცა კი ორივეშია საჭირო; ბევრნი არა თუ ჰ-ს ცხადად გამოსთქმენ,

მიჰქონდაო, – **ჰ**-ს მაგიერად თითქმის **ხ**-საც ხმარობენ – მიხ-ქონდაო.*

33 გვ. 13 სტრ: „გამლელ და გა**მამ**ლელისათვის...“ უნდა იყოს: გამლელ და გამომლელისათვის და უფრო სწორეთ: გამ-ვლელ და გამომვლელისათვის...*

იქვე, ქვედამ 5 სტრ: „სახნისი და საკვეთელი“. ქართულად: „სახნისი და საკვეთი“.

35 გვ. 3 სტ: „გამო**ჩ**გა“. ქართულად: „გამო**ჩ**გა“.*

40. – 5. – რასაც რუსულად домашние животные ჰქვია, იმას ქართულათა ჰქვია, საზოგადოდ: **საქონელი**; და კერძობითად – **საქონელი** – крупные животные, **წვრილფეხი** – თხა, ცხ-ვარი, ღორი.

47. ქვედამ 5 სტრ: „ყველას ეშინოდა**თ**“. ყველა მხოლოო-ბითად იხმარება და ზმნა მრავლობითი ვერ დაჰყვება.*

იქვე: ირემმა ირემს რომ ბალახი აუშვირა, ქართულად ასე ვამბობთ:

„არც შენ გაკლია, ვიცო, – ან – შენც კი იშოვნი, ვიცო, მაგრამ იქნება ჩემგან გეამოსო, ან გიამოსო“.

49 – 9. „ერთ ღღეს“. ეს სტამბის შეცთომბაა: „ერთ ღღეს“.*

63 – 13. „სლეპავდა“. – უნდა იყოს – სვლეპავდა; ან უფრო სწორეთ: სვლეპდა.*

79. ქვედამ 1 სტ: ჰურისას, ქერისას, სიმინდისას და სხ. არა ვინ იტყვის: მნიფდებაო. ვარგდებაო, დავარგდაო, შემოსული არისო, გასაჭრელი არისო. –

მნიფდება ითქმის ყურძენზედ, ხილზედ, მუნუკზედ.

– 6. საპურე მცენარეს ქართულად ჭინახული ჰქვია.

83 – 5. „ანამყნევა“ ქართული არ არის. ან **ამყნობდა** უნ-და, – ან ანამყნევადა.

ვამყნობ, დავამყნე, დავანამყნე.

* ხელნაწერის აშიაზე იაკობ გოგებაშვილის მინაწერია: **კორრექტ[ურა].**
თ. ჯ.

87 – 5. „ამყენებენ“ არა: ამყნობენ, ანამყენებენ. – ნამყენი და სამყენი, დამყნული და დასამყნობი.

102 – 15. „დიუიმი“. აქ პირველი **ი** სულ არ უდგება ქართულს გამოთქმას და არც არის საჭირო. აქ ჯიქნებოდა თავის ადგილს, მაგრამ აღარა ხმარობთ და რა გაეწყობა. მაშ სწერეთ **დიუიმი**.

– ქვეიდამ 5 და 6. ქართულს ენაზედ ორი სხვადასხვა ზმნა არის: წყვა და რწყვა;

სწყვენ, რწყვენ; აინყვის, მოირწყვის. აქედამ: სანყა-ვი, სანყაო, სარწყავი. პური, ქერი, ფქვილი, ღვინო **აინყვის**; ბოსტანი, ვენახი **მოირწყვის**.

111 გვ. – 8 სტ: „ტიულპანი“. – სხვა ენებზედ ჰქვია ტული-პი, ტულპანი.

114. სადაც აქ **ნაწილები** იხსენება, ჩვენ ვამბობთ **ასოე-ბიო. ნაწილები** – **моши**. დამისახელეთ ტანის ასოები, თუ ნაწილები?²

115. ქვეიდამ 5. ეს ჩქარა გამოსათქმელი მე ყოველთვის ასე გამიგონია: „ბერიკაცსა ბლისკინასა ბლის ხიდზედა ბლის ბლოყვითა ბალი გააქეს და გამოაქეს“.

117. ქვეიდამ 10 სტ: „აკეთებს მათგან გროვებსა“. ქართულად აქ აკეთებს არ ითქმის. აყენებს გროვებსაო, გროვა შეაყენაო და არა გააკეთაო.

გაკეთებას ჩვენში ცოტაც არის მოაზრება უნდა უძლოდეს.

120 – 1. ზარის რეკა და არა რეკვა.*

– ქვეიდამ 7. ორივე თვალელები და არა **ორთავ** თვალელები. ეს შემოღებაც ყოვლად უსაფუძვლო არის და რათ უნდა დამკვიდრდეს.

– 8. იყოს და არა **იყვეს**. იყვეს – სხვა ზმნაა: იყვეს, იყვეს და ვერ გაიყვეს.

129 – 9. ხმლიანი და არა ხლმიანი.

133 გვ. 4. მიიარა და არა მიარა. – მიარა, მიარა და ვერ შე-მომიარა.*

* ხელნაწერის აშიაზე იაკობ გოგებაშვილის მინაწერი: **კორრექტურა**.
თ. ჯ.

– 8. 9. „თუ ამაზე დიდი ნაყოფი ბმოდა...“ აქ **თუ** არ ვარ-
გა; ქართულად ასე ვიტყვით: „ამაზე რომ უფრო დიდი ნაყოფი
ბმოდა...“

135. ქვეიდამ 7. ოცჯერ **მომეტებული** კი არა, ოცჯერ
მეტი, ერთი ოცათ მეტი.

„ვანოს აკვირვებდა ... მრავალი დუქნები ხელოსნებისა და
ვაჭრებისა, რომლებიც სავსენი იყვნენ მყიდველებითა“.³

136. – 1. „**რომლებიც** აქ არ ითქმის, მხოლოდობითად უნდა
რომელიც“.

139. – 13. მოუყვა – რასა? ხადსა. უამბო – რა? ხა-
დი.

143. – 10. კაცს გარდა და არა კაცს გარდა.

– 13. „მგელი თხასთან და თივა თხასთან“ კი არა: მგელი
თხასთან და თხა თივასთან.

148. ქვეიდამ 19. – ჰყავდა და არა ჰყვანდა. **ჰყვანდა** სულ
არ ითქმის, გაჰყვანდა კი, მაგრამ ეს სხვა ზმნაა.

151. – 4. ქასქანჯიელი – ამის მეტად არც გამიგონია და
არც ვიცი რას ნიშნავს.

153 გვ. 9 სტრ. თამაზ ხნისაო, თუ თამარ ხნისაო?

– ქვეიდამ 8. „გენაცვას“ ქალი იტყვის და არა ვაჟი. ვაჟი
იტყვის – გეთაყვაო.

156. 13. კიდევ **ჰყვანდა**. ერთი ზმნა არის **ყოლა**, მეორე
ყვანა.

158. 10. სახლ-წინ, სახლს-უკან და არა სახლდს...

173. სარწმუნოების სიმვოლოში ორი შეცთომა არის: 1.
„ღთი ჭეშმარიტი ღთისაგან ჭტისა, შობილი...“ აქ მძიმე
უადგილოთა ზის, – უნდა იყოს: „ღთი ჭტი, ღთისაგან ჭტი-
სა შობილი...“ და 2. თუ იტყვით: ვაღმავაღლებ, ვაღვაშენებ,
– მაშინ ვაღვიარებ'საც იტყვით. მაგრამ ქართული არც ერთი
არ იქნება. აღვაშენებ, აღაშენებ, აღაშენებს, აღაშენა; – აღ-
ვამაღლებ, აღამაღლებ, აღამაღლებს, აღამაღლა; – აღვი-
არებ, აღიარებ, აღიარებს, აღიარა; – აღშენება, აღმაღლება,
აღსარება. –

174, 175. სინანულის ლოცვაში ორგან არის **ახოცენ**; უნდა იყოს **აღხოცენ**.

ერთს ადგილას არის **ღმეთმან**. აქ შეცთომას გამართლება არა აქვს. –

რადგან შეჭველია, ეს წიგნი კიდევაც ბევრჯელ დაიბეჭდება, – კარგი იქნება უკეთ გაშალაშინდეს.

კარგი წიგნი რომ არა ყოფილიყო, არას ვიტყვოდი.

2 ოკტ. 1876

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“

ბ-ნო რედაქტორო!

დიდათა გთხოვთ ამ ჩემ წიგნს ადგილი უბოძოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში¹ და ამით მძიმე ვალი მომახდევინოთ, ბ-ნმა იაკობ გოგებაშვილმა რომ დამატება.

ძალიან მძიმეა ეს ვალი, რადგან საქვეყნოა და საქვეყნოა, რადგან პირდაპირ მცნებათ კიდობანს ეხება ჩვენსას, ჩვენს წმიდას-წმიდათას.²

ხუთი ექვსი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც „ბუნების კარი“ მომხვდა ხელში და შინჯვა დავუწყე. სხვადასხვა ათასნაირი შესამეცნებელი ამბვის ერთ წიგნად მოქცევა ძალიან მომეწონა და მართლადაც, ჩემის ფიქრით, კარგად იყო შეწყობილი; მაგრამ რა ენით? ღ-თო დიდებულო! „Подьячий следовал за стряпчим“ – ქვეშე ვის ჰკვალავდა მზვარეულსაო, – ეს მთარგმნელების საკიჟინებელი სიტყვა მომაგონდა და ვსთქვი ჩემს გუნებაში; – ბ-ნ იაკობს დიდი შრომა გაუწევია და ახალ-მოსწავლეთათვის შეუდგენია ეს წიგნი. მოდი, შინაურულად, მეგობრულად მოვეხმარები, რომ ეს მთას-იქითური ენა გადმოვაქართულეზინოთ როგორმე, თორემ ენა ხომ ენათ წაიპილნა და მოსწავლეთაც თავი სანყევლად გაუხდებათ მეთქი.

ავილე ხელში კარანდაში და, მალე იყო თუ გვიან, პირველი სტრიქონივად სულ ბოლომდინ ისე გავუარე, რომ მეორედ დაბეჭდვაში საქმე, როგორც მეგონა, უნდა კარგა გაადვილებულიყო. ეს ვიცოდით – ერთმა იმან, ერთმა მე და ერთმაც ჩვენმა მეგობარმა.

ვალი მოვიხადე მეთქი, გულში ვთქვი და აღარ მიდევნებია კარგა ხანია თვალი, დაიბეჭდა ეს წიგნი მეორეთ თუ არა! თურმე – რას ბძანებთ – არა თუ მეორეთ, მეოთხეთაც დაე-ბეჭდათ და ერთს დილას შემომიტანეს ახალი წიგნი.³ მიაბა, რასაკვირველია და ჯერ წინასიტყვაობას დავადექ! ოჰ! ნეტავი ეს წინასიტყვაობა კი არ დაენერა და მე თუნდა გაველახე. სათავურშივე სწერს ბ. იაკობ: „ყურადღება მივაქციეთ ენის **გაუკეთესობასა**; დიმიტრი ყიფიანმა გულდადებით გადაიკითხა და თავის შენიშვნები გამოგვიგზავნა... და ჩვენც ჯეროვანად ვისარგებლეთ და ენა **ყველგან** გადავასწორეთ, სადაც კი მის უკანონობაზედ დავრწმუნდითო“.

მე ჩემი მონაწილეობის გამოცხადება გუნებაშიაც არ გავლებია; ახლა კი, რადგან ბ. იაკობ გოგებაშვილი თვითან აცხადებს, დაფარვა აღარ არის საფიქრებელი და უნდა ვსთქვა, რაც აუცილებლად არის საჭირო, რომ ქართულის მასწავლებლებმა მაინც შეიტყონ როგორმე.

ბ. იაკობ საქვეყნოდ, ესე იგი, ათასჯერ მაინც დაბეჭდილი სიტყვითა ბძანებს: ყიფიანისაგან შენიშნული შეცდომა **ყველგან** გავასწორეთ, სადაც კი უკანონობაზედ დავრწმუნდითო. – მაშ თუ ამ მეოთხედ დასტამბულ წიგნში კიდევ არის სადმე უკანონობა, სჩანს, მე არ შემინიშნავს, ან შევნიშნე, მაგრამ ბ. იაკობ არ დარწმუნებულა უკანონობაზედ. – ვნახოთ.

ჯერ რაც გადაშლილია, – წინასიტყვაობა, – იმას დავჭხედოთ. მეორე სტრიქონში არის – „ენის **გაუკეთესობასაო**“.

რატომ არა, შეიძლება ითქვას, სამაგალითოდ, სახუმრრელად: გაუმჯობესობა, გამშვენიერებლობა, გაუმშვენიერებლობა, გაუჰატივცემულესობა; მაგრამ **სამასწავლებლოსა** და **გასამასწავლებულებლობის** წიგნში ამისთანა სიტყვებს რა ადგილი უნდა ჰქონდეთ? წმინდა ქართული – **განვითარება** – რათ დაიწუნეთ?

იქვე, ბოლოდამ, 3 სტრიქონში: წიგნის გარეთ დაანარჩუნაო, რომელი ქართველი იტყვის?

ახლა გადავშალოთ წიგნი, სადაც უნდა იყოს.

გვერდი 48. ბოლოდამ 10 სტრ. – სირაქლემა მალე მიეჩვენება **მოსამსახურობასაცა**. მოსამსახურობა და სამსახური იქნება ბ. იაკობს ერთი ეგონოს, მაგრამ არ არის ერთი.

გვერდი 49. ზევიდამ 4 და 5 სტრ. – „არ ავიწყდება... როცა არიან“. – ქართულად უნდა: ან ავიწყდება, როცა არის, ან ავიწყდება**თ**, როცა არიან.

გვ. 50. ბოლოდამ 5 სტრ. – აქ ყორანზედ არის ლაპარაკი და არა ყვაავზედ.

გვ. 145. ბოლოდამ 11, 12, 13 სტრ.: „**იგი** გაკეთებულია... ნაფოტები**საგან** და სხვა ბევრი **რამისაგან**. – ჯერ ეს, რომ **იგი** ნაცვალსახელი არის სამნიგნობრო კილოსი და თქვენი წიგნი სასაუბროთია დაწერილი. მერე – ნაფოტები**საგან** არის ჯინჭვლის ბუდე გაკეთებულიო, – ნაფოტებ**მა** როგორ გააკეთესო, ამას არ იფიქრებს მაშინვე თქვენი მოწაფე? ნაფოტები**საგან** კი არა, ნაფოტები**თ**, ან ნაფოტები**სა**. **რამისაგან** – სადაური ქართულია? აი ამისი ქართული ბრუნვა: რამე, **რისგანმე**, რისთვისმე, რითიმე, რასმე, რაზედმე, რამ ან რამან.

გვ. 165. ბოლოდამ 13, 14 სტრ. „შუბლმს ქვემ... რომლე**ბსაც**“. რაზედაც გნებავთ დაგენადღევეებით ბ. იაკობ, რომ არა ქართველმა კაცმა არა სთქვას, ეს ქართულიაო, თუ არ თქვენმა **მოზარდმა** ვინმე.

გვ. 246. ზევიდამ 10, 11 სტრ. „უცოდინარ**თ**“ კი არა, უცოდინარ**ი** უნდა.

გვ. 247. ზევიდამ 11 სტრ. „უბედურებას **მოორჩაო**“. შეიძლება თავისი საქმე გაეთავებინოს კაცსა და თქვას მოვრჩიო; ან სნება სჭირებიყოს რამე და რომ განთავისუფლებულიყოს, ეთქვას მოვრჩიო. მაგრამ თუ კაცს უბედურება ელოდა რამე, ან სხვა განსაცდელი და ასცილდა, – მაშინ ის კაცი იტყვის – **მოვრჩიო** კი არა **გადავრჩიო**, ან **გადავურჩიო**; მესამე პირი: **გადარჩა**, **გადაურჩა**.

გვ. 247. ზევიდამ 13 სტრ. „ჯალაბობა **გაუსაღდებოდაო**“, – თუ კარგათ ეყოლებოდა? **გასაღება** ქართულად გაცემა არის, დახარჯვა, მოხმარება.

გვ. 258. ბოლოდამ 7 სტრ... „უღელი კისერ **ზედ არ სდგომიათ**“. **სდგომიათ** ერთია და **სდგმიათ** სხვა არის. კაცი სახლში **სდგომიათ**, მსახური თავსა **სდგომიათ**. ბოთლი სტოლზედა **სდგმიათ**, ლიტრა წყალი გვერდითა **სდგმიათ**, უღელი კისერზედ **სდებიათ**.

259. ზევიდან 14 სტრ. „სიღნახი ათიათასს მცხოვრებს იპყრობს“. როგორ? ხელში უჭირავს ყველანი? **მიპყრია** = მიჭირავს, მიჭერია.

– 267. ბოლოდამ 2, 3 სტრ. „თუ თავი ჩემი მეგობრად მყავს ღარიბად არ ვიხსენებო“; – ეს ხომ რუსულ ნემენცურს დაემსგავსა: для того щука в море живёт, чтобы караси не ложились спать. ქართული ანდაზა ასე გახლავთ: თავი თუ მყავს მეგობრათა, ღარიბათ არ ვიხსენები.

– 317. ზევიდამ 6 სტრ. „ქვეყნის **მდებარობამ**...“ მდებარობა ავადმყოფობაზედ ითქმის, მძიმე ავადმყოფიაო, მდებარეაო. თქვენ რომ თქმა გინდოდათ, ის არის **მდებარება**, **მდებარეობა**.

– ბოლოდამ 15 სტრ... **ირაცხებოდა** და **ირიცხებოდა** დიად სხვადასხვაა. მეოთხე ნაწილად **ირიცხებოდა** და ცუდ კაცად **ირაცხებოდა**. ერთის დასაბამი არის რიცხვა (თვლა), მეორესი რაცხვა.

– 5 სტრ. ანდრიამ დაარსაო, ქართული არ არის. ქართული ზმნა არის დაარსება და ასე მიმოიხვრის: დავაარსე, დააარსე, დააარსა.

– 343. ზევიდამ 6 სტრ... „ვალდებული იყო, თავის ქვეყანა... ემართა“. ვისი ემართა? თქვენ ეს გინდოდათ გეთქვათ: ვალდებული იყო, **რომ** თავისი ქვეყანა ემართა, ან თავისი ქვეყნისათვის ევლო ან მოევლო...

– 367. – 15 სტრ... „**ანგარეობას**...“ ვერ დავიჯერებ, რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსში ანგარეობა იყოს და არა **ანგაარება**.

– 391. – 3, 4 სტრ. „**არამედ მასში... მისდამი**“, ორი კილო კიდევ შერიეთ?

– 14, 15 სტრ. „ყველაზე კარგა“ კი არა, ქართულად უნდა – ან ყველაზედ უკეთ, ან ყველაზედ უფრო კარგა. – „სიმღერას დაინყობდა“ კი არა, – დაინწყებდა. ვანყობ, ვინწყებ; – დავანყობ, დავინწყებ, დაანყო, დაინყო; ამ სიტყვებში რომ გარჩევა არის, რწმუნდებით ნეტავი თუ არა? ესე იგი, იჯერებთ თუ არა?

– 402. ბოლოდამ 4 სტრ. „ბუზსავით“ – არ ითქმის. რასაც სახელს ბოლოში ი უზის, მაგალ: კაცი, ქალი, ცხოველი, – შესადარებლად თან დაჰყვება ვით; კაცივით, ქალივით, ცხოველივით; – და რასაც სხვა ასო უზის რამე, უხმო თუ ხმოვანი, მაგალით: პეტრე, ანდრია, ოქრო; ბაგრატი, ლუარსაბ, – თან დაჰყვება სავით: პეტრესავით, ანდრიასავით, ოქროსავით; ბაგრატსავით, არჩილსავით.

გვერდი 403. ზევიდამ 8 სტრ. წინ ედგა სტაქანი, ბოთლი, საღვინე, ქვაბი, – და წინ უდგა კაცი, ბიჭი, გოგო.

– ბოლოდ. 9... „ვილაცამ“ თუ ვილამაც? აი ამისი ბრუნვა: ვილაც, ვილასიც, ვილასაც, ვილასგანაც, ვილასთანაც, ვილამაც.

კი არ იფიქროთ, რომ ამას გარდა სხვა შეცდომა „ბუნების კარში“ აღარა იყოს რა. ძალიან იშვიათად შეგხვდებით 415-ში ისეთი გვერდი, რომ დამახინჯება არა იყოს რა ქართულის ენისა.

ეს ჩემი ბრალია თუ ვისი, ახლა საქმეს გასწორება უნდა როგორმე; თორემ წახდა ჩვენი მშვენიერი, ჩვენი სათაყვანებელი ენა!!

ქართველებში წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რჩება ახლა საქვეყნო პასუხისგებაში.

– თუ კიდევ არსებობს, ან წიაღსა შინა იაკობისა არ განისვენებს, უსაცილოდ უნდა გაასწორებინოს ვისმე, ქართულის მცოდნეს, ეს „ბუნების კარი“ და სხვა გოგებაშვილის სამოსწავლო წიგნი რაც არის, თუ არა და თავის სკოლებში მაინც არავის ახმარებინოს.

ჩემთავად მე ამას გავბედავ და მოვახსენებ: ერთი ათიოდე თუმანი გადასდვას საზოგადოებამ⁴ და ქართლის სოფელს

ვარიანში⁵ იქირავოს ვინმე ერთ ერთი იქაური ხნიერი კაცი; – იმას უკითხონ გოგებაშვილის წიგნი; რასაც ვერ გაიგებდეს, აუხსნან ხოლმე და როცა გააგებინებენ, ჰკითხონ, ის როგორ იტყოდა და როგორც იტყვის, ისე დასწერონ. უეჭველია, სწორეთ გამოსადეგი წიგნი გამოვა მაშინ და იმის გასამრჯელოთაც ათი თუმანი დიად იკმარებს.

რაც ქართული ასოებით დაინერება, ყველა ხომ ქართული არ იქნება: მე სპარსული წიგნიც მინახავს ქართული ასოებით დანერილი, ქართული ასოებით რომ სომხურად, მეგრულად, ან ჭანურად შეადგინოთ წიგნი და ქართველ ბავშვებს აკითხოთ, რა უნდა გაიგონ. – ზოგი რამ აქითური იყოს და ზოგი იქითური, ეს ხომ უარესი. ეს უნდა მეთქვა და ვსთქვი, ახლა თქვენ იცით.

3 ნოემბერი 1883.

ს. ქვიშხეთი

ახალი ქართული გრაფიკა

ახალი ქართული გრამმატიკა

**სხარტულად დაწერილი მამისაგან
შვილებისათვის**

„რა ენა ნახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.
გრიგ. ორბელიანი

დომიტრი ყიფიანისა

სანკტ-პეტერბურლი

სამეცნიერო აკადემიის სტამბა

1882

დამსახურებულ პროფესსორს დ. ი. ჩუბინოვს.

*მონყალეო ხელმწიფევე
დავით იესეს ძევე!*

თქვენი გრამმატიკა რომ აღარ იშოვებოდა, და აღარც სხვებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ველარ ვახერხებდით; – მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილები-სათვის მევე უნდა შემედგინა გრამმატიკა, როგორც მომეხერხებოდა და, აი, სტამბაში ვგზავნი კიდევ დასაბეჭდავად.

ამ წლის ოკტომბრის დამდეგს რომ ჩემს სახლში ბძანდებოდით, მაშინ გთხოვეთ და თქვენც დამრთეთ ნება, რომ პირველად თქვენი პატივისცემით სახსენებელი სახელი ვახსენო და თქვენს მეგობრობას ვუძღვნა ეს წიგნი, ეგება თქვენ – მეგობრობით და თქვენი მაგალითით სხვებმაც ქართული ენის სიყვარულით, მითხრათ ან შემომითვალოთ, რასაც ეს სიყვარული ჩემთვის სათქმელად გაგონებთ: ენას ერთგულებას გაუწევთ მაგითი და მე დიდად დამავალებთ.

თქვენი აღმატებულების

გულითადი პატივისმცემელი

დიმიტრი ყიფიანი

სოფ. ქვიშხეთი,
12 დეკემბერი 1881.

წინასიტყვაობის მაგიერად

გრამმატიკაში ყოვლის უპირველესი ლაპარაკი ანბანზედ არის ხოლმე, – და აგრეც უნდა იყოს, რადგან ანბანი არის საფუძველი გრამმატიკისა. – მაგრამ, ვისთვისაც ამ წიგნსა ვსწერ, რადგან ქართული წერა-კითხვა ყველამ კარგად იცით, ანბანის ხსენებას მე სულაც აღარ ვაპირებდი, მოულოდნელი მიზეზი რომ არ გამჩენიყო.

ძალიან ვსწუხდი, რომ წერაში და ბეჭდვაში ასომთავრულის ხმარება გადავარდნილი იყო; სხვა არა იყოს რა, თვალთათვის მაინც დიდად სამძიმო არის სტრიქონების ისეთი ერთნაირი გაბმა, რომ შესასვენებელი აღარც სად წერტილი ჩნდეს და აღარცსად მომსხო ასო, წვნიკი ასოებისაგან გასარჩევი.

ამ ჩემ წიგნს რომ საბეჭდავად ვაძლევდი, ვითხოვე, სადაც ახლანდელი ევროპიული მართლწერა მოითხოვს, იქ ყოველგან მომსხო ასოები ხმარებულიყო. ეგ არ შეიძლებაო, მითხრეს; წვრილ მხედრულ ასოებთან მსხვილი მხედრული ასოების ჩაკვეტება არ მოხერხდა, თუ ისევ ხუცური ასომთავრული არ ვიხმარეთო.

თვალთ დამანახვეს, რომ მართლა არ მოხერხდებოდა;¹ და მაშინ ორში ერთის რჩევას დავადეგით:

ან ხელ-ახლა უნდა მოგვეჭრევინებინა და ჩამოგვესმევინებინა ისეთი მსხვილი ასოები, რომ წვრილებთან ყალიბში მოსათავსებელი ყოფილიყო; – ამას დასჭირდებოდა – დრო ორიოდ თვე და ფული ათიოდე თუმანი;² –

ან არა და, ისევ ძველებურად – ჩვენებურად, საეკკლესიო სტამბის ასომთავრული უნდა გვეხმარა.

მე ეს ვამჯობინე, ამიტომ რომ: 1. დრო მეტი სულ არა დაგვჭირდებოდა რა, რადგან ეს ასოები მზად არის; – 2. ხარჯს არა მოემმატებოდა რა იმავე მიზეზით, – და 3. ბევრმა ას-

ომთავრული და ხუცური ანბანი სულაც აღარ იცით და სულ რომ გადავიწყოთ, რა საქციელი იქნება.*

ამ სწავლის გასაადვილებლად იბეჭდება აქ სამნაირივე ქართული ანბანი:

მხედრული, ასომთავრული და ხუცური

ა	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ
ბ	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	Ⴉ
გ	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	Ⴍ	Ⴎ
დ	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	Ⴓ
ე	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ
ვ	Ⴙ	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ
ზ	Ⴞ	Ⴟ	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ
თ	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ
ი	Ⴈ	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ
კ	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ
ლ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ
მ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	Ⴚ	Ⴛ
ნ	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴀ
ო	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ
პ	Ⴇ	Ⴈ	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ
ჟ	Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	Ⴑ
რ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ

* წინადადებების დასაწყისში, თავების დასათაურებისას, საკუთარი სახელების წერისას დიმ. ყიფიანი ასომთავრულს იყენებს. კითხვის გასაადვილებლად ჩვენ ასომთავრულები მოვსხენით, ხოლო წიგნში წარმოდგენილი ვითარების საილუსტრაციოდ აქვე რამდენიმე გვერდის ფოტოპირს ვბეჭდავთ.

შესავალი

ყველაფერს თავისი ბეჭედი აზისო, ნათქვამია, და ისეც გამოდის, რომ ამ ჩვენს დროთავეითარებასაცა ჰსმია თავისი ბეჭედი.

რიგი და სამართალი მოითხოვდა სწავლას ისე დავიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილიდამ ძნელამდინ და ძნელიდამ უმძიმესამდინ გაუჭირვებლად ვივლიდეთ; თორემ რასაც ახლა თვალთა ვჰხედავთ და რაც გარს გვახვევია, აქედამ მოყოლების მაგიერად, სწავლას იქიდამ გვანყებინებენ ხოლმე, რაც ჯერ მიუწთომელია ჩვენი თვალისათვისაცა და გონებისათვისაც; და ამითი საქმე მეტად გვიძნელდება.

თქვენც აგრე იტანჯებოდით სწავლითა, შვილებო! გეოგრაფიაში, მაგალითად ვიტყვი, ჯერ მთელი ქვეყანა შემოგარბენინეს ფიქრითა და ბოლოს მოგიყვანეს ამ ჩვენს, ქვეყნის ოდენა რუსეთში; – საქართველოს გეოგრაფია ხომ ჯერაც არავის უსწავლებია თქვენთვის. – ენებში ჯერ ფრანცუზულს მოგაყოლეს, მერე რუსულსა და თქვენი დედა ენა კი, გეოგრაფიისა არ იყოს, სულაც არა ვის უსწავლებია, და, – როგორც პირ წყლიან ქართველებს, გინდათ ახლამაინც ისწავლოთ. დიად კარგი და პატიოსანი; ვთქვათ, დრო არც ახლა იყოს დაკარგული, – სწავლა ვის როდის მოსჭარბებიაო, ნათქვამია; – მაგრამ ვინ უნდა გასწავლოთ და რა წიგნით?

მამა რომ შვილებისათვის არც მკურნალად ვარგა და არც მასწავლებლად, ეს კარგად ვიცით, მაგრამ რა გაგვეწყობა.

სახელმძღვანელო წიგნი რომ არა გვაქვს, ეს უფრო ძნელი ჭირია, მაგრამ ან აქ რა გაგვეწყობა.

აი! ავიღე კალამი და გინერთ ქართულ გრამმატიკას.

რატომ ამბობს დიმ. ყიფიანი, რომ ქართული გრამმატიკა არა გვექონოდესო, იტყვის ზოგიერთი ახლანდელი მწიგნობარი და მართლსაც იტყვის, – დიად გვექონია და გვაქვსცა:

დამსახურებულ პროფესორს დ. ი. ჩუბინოვს.

ძიწყალეო ღელმწიფეე

ღაფით იესესძეე!

ტქვენი ღრამმატიკა რომ აღარ იშოვებოდა, და აღარც სხეებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ველარ ვახერხებდით; — მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა ღრამმატიკა, როგორც მომეხერხებოდა და, აი, სტამბაში ვგზავნი კიდევ დასახეჭდავად.

ღმ წლის ოკტომბრის დამდეგს რომ ჩემს სახლში ბძანდებოდით, მაშინ გთხოვეთ და თქვენც დამრთეთ ნება, რომ პირველად თქვენი პატივისცემით სახსენებელი სახელი ვახსენო და თქვენს მეგობრობას ვუძღვნა ეს წიგნი, ეგება თქვენ-მეგობრობით და თქვენი მაგალითით სხვებმაც ქართული ენის სიუფარულით, მითხრათ ან შემომითვალოთ, რასაც ეს სიუფარული ჩემთვის სათქმელად გაგონებთ: ენას ერთგულებას გაუწევთ მაგითი და მე დიდად დამაფალებთ.

თქვენი აღმატებულების

გულითადი პატივისცემელი

დიმიტრი ყიფიანი.

სოფ. ქვიშეთი,
12 დეკემბერი 1881.

ბევრით იმას უწინ შედგენილი ხურაბ შანშოვანისაგან და ჩვენი სასიქადულო პროფესორი ლექსანდრე ცაგარლის დაბეჭდილი 1881. ს. პეტერბურღს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში; —

მეგრე იკამმატიკა ლრსიეპისკოპოზის ლაიოზის, ყრუ მენჩუგში დაბეჭდილი 1789-ს.;

მეგრე იკამმატიკა შავით ბატონიშვილისა, ანგარიშით 1798-ს. შედგენილი; —

იკამმატიკა შარლამ მიტროპოლიტისა, რუსულად დაწერილი და 1802-ს. ს. პეტერბურღს დაბეჭდილი; —

იკამმატიკა იოანე ჭართველთვის, 1809-ს. ხელნაწერი; —

იკამმატიკა დეკანოზის იესე ჩუბინთვის, ხუცურად დაბეჭდილი, როდის და სად, არა სჩანს, მაგრამ ჩემ დროს სასწავლებელი წიგნი ეს იყო სასულიერო და საერო სასწავლებლებში, ტფილისს; —

იკამმატიკა ლოდერძი შირაღთვის, ს. პეტერბურღს იოს. იოანესთვის სტამბაში დაბეჭდილი 1820-ს.

იკამმატიკა სოლომონ შოღავისა, 1830. ტფილისში დაბეჭდილი.

«სირჩულ დაწეებთნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი სლატონ ჟუნატისა ძისა იოსელიანისაგან», 1840. ტფილისს.

შა ბოლოს, ჩვენი დიკსად პატივცემულისა და სასიქადულო პროფესორის შავით იესეს ძის ჩუბინთვის, 1855-ს. დაბეჭდილი სპ. ბურღს.

ჯერ „პირველშედგენილი ღრამმატიკა ბატონის ანტონ კათოლიკოზისა“, არხიეპისკოპოზად რომ იყო მაშინდელი;* –

ბევრით იმას უნინ შედგენილი ზურაბ შანშოვანისაგან და ჩვენი სასიქადულო პროფესსორი ალექსანდრე ცაგარლის დაბეჭდილი 1881 ს. პეტერბურლს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში; –

მერე ღრამმატიკა არხიეპისკოპოზის გაიოზისა, კრემენჩუგში დაბეჭდილი 1789-ს;³

მერე ღრამმატიკა დავით ბატონიშვილისა, ანგარიშით 1798-ს შედგენილი;⁴ –

ღრამმატიკა ვარლამ მიტროპოლიტისა, რუსულად დანერილი და 1802-ს ს. პეტერბურლს დაბეჭდილი; –

ღრამმატიკა იოანე ქართველოვისა, 1809-ს. ხელნაწერი;⁵ –

ღრამმატიკა დეკანოზის იესე ჩუბინოვისა, ხუცურად დაბეჭდილი, როდის და სად, არა სჩანს,⁶ მაგრამ ჩემ დროს სასწავლებელი წიგნი ეს იყო სასულიერო და საერო სასწავლებლებში, ტფილისს; –

ღრამმატიკა გოდერძი Φირალოვისა, ს. პეტერბურლს – იოს. იოანესოვის სტამბაში დაბეჭდილი 1820-ს.

ღრამმატიკა სოლომონ დოდაევისა, 1830. ტფილისში დაბეჭდილი.

„პირწლ დანყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატისა ძისა იოსელიანისაგან“, 1840. ტფილისს.

* „ანტონის მიერ არხიეპისკოპოზისა, სრულიად საქართველომსა, დავითიანისა, სიტყვა ძეთამი საქართველომსათა, ტესტამენტი, შრომათა თვისთა“, ჯელნაწერი მთავარ-დიაკონის ეგნატესი, ხუცის ონისიმეს ძისა, ქკს უოზ (477) ქრისტეს აქეთ ჩლპთ 1783. – დანვრით განხილული და ღირსეულად დაფასებული ალექსანდრე ცაგარლისაგან, მისს წიგნში: *О грамматической литературе Грузинскаго языка*. СПб. Типография Акад. Наук 1873.

და ბოლოს, ჩვენი ღირსად პატივცემულისა და სასიქად-
ულო პროფესსორის დავით იესეს ძის ჩუბინოვისა, 1855-ს.
დაბეჭდილი სპ.-ბურღს.⁷

რამდენიმე უცხო პირიცა ყოფილა ჩვენი გრამმატიკის შემ-
მუშავებელი, როგორც, მაგალითად: ენების მცოდნე ვინმე
სევერინ ფატერი, 1822-ს; პატრი ჯიროლამო და-ნორჩია, 1827-
ს; უმეტესადრე ჩვენი გავლილი ყოფა ცხოვრების მეცნიერი
გამომეძიებელი და ჩვენი მნიგნობრობის გამოკვლევაზედ
დიდი ღვანლის დამდეგი აკადემიკოსი მარიოს ბროსსე, – და
ვინც აქ მოხსენებულნი არიან, ყველაზედ უნინ გაუწევია დი-
დი შრომა ქართული გრამმატიკის შედგენაზედ, ლათინურად,
დონ ჟრანჩესკო მაჯჯოს, რომელსაც ორჯერ დაუბეჭდია თა-
ვისი ნაღვანი გრამმატიკა: 1643-ს და 1670-ს.*

ვისა და ვის, როდის და როგორი ქართული გრამმატიკა
უნერიათ, დაწვრილებით არის გამოკვლეული და დაფასებუ-
ლი ჩვენი პატივცემული პროფესსორი ალექსანდრე ცაგარღ-
ისაგან 1873-ში.⁸

ანტონ კათალიკოზი და ბროსსე ქართული გრამმატიკის
მოთავედ იხსენიებენ ჩინებულს ფილოსოფოსს იოანე პეტრი-
ნის, რომელსაც უღვანნია მე-XII საუკუნეში; მაგრამ თვალით
კი არც იმათ უნახავთ იმისი გრამმატიკა.

აი, შვილებო, რამდენი გვაქვს და გვექონია; მაგრამ რა გახ-
და; ჯერ ეს უნდა გითხრათ, რომ ახლა თითქმის აღარც ერ-
თი არ იშოვება, თუ არ დიდის გაჭირვებითა და ნაილაჯობით;
და მერე, – აღარც ეს არის დასამალავი, – ადვილადაც რომ
იშოვებოდეს, საისტორიო მასალად კი გამოდგება, რა საკ-
ვირველია, მაგრამ სასწავლებლად აღარა.

* Syntagmata linguarum orientalium que in Georgia regionibus audiuntur, au-
thore D. Francisko-Maria-Maggio, cleriko regulari, panormitano. Romae: Ex
Typographia Sacrae Congregationis des Propaganda Fide MDCLXX.

რატომ? პატარახანს უკან თვითან თქვენ იტყვიტ ამისს პასუხსსა.

გრამმატიკა რა ლექსია,* რასა ნიშნავს, ამაზედ თქვენთან სიტყვის გაგრძე ლება საჭირო აღარ უნდა იყოს; სხვა ენების გრამმატიკა გისწავლიათ და იცით რაც არის; – მაგრამ განა არ შეიძლება ეს თქვენთვის დაწერილი წიგნი ასეთ ქართველ-საც ჩაუფარდეს ვისმე ხელში, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა ჯერ არ შეეცყოს და თავში საცემად რათ გავუხადოთ უბრა-ლო საქმე.

გრამმა – არის ბერძნული სიტყვა, γράμμα; ქართულად ითქმის – „ასო“, დასასმელი, დასაწერი; „გრამატა“ – ასოები; – გრამმატიკა გამოდის – „ასოთ სმა“, „ასოთ წერა“, „მწერ-ლობა“. ეს იყო პირვანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვისა.

თუ რომ კაცი დროს არ მიჰყვა და თავისი ცოდნაც თან არ მიადევნა, იმისთანა საქმე დაემართება, რაც ამ ბერძნულ გრამმატიკას დაემართა: დრო დაუდგა ისეთი, რომ აღა რა ვინა სწერდა ისე, როგორც ლაპარაკობდნენ, – და აღა რა ვინა ლაპარაკობდა ისე, როგორცა სწერდნენ. სამწიგნობრო და სა-საუბრო კილოები მეტად დასცილდნენ ერთმანერთსა და სხვა და სხვა გზას ისე გაუდგნენ, როგორცა, ვთქვათ, ახლანდელი სასაუბრო და ძველი სამწიგნობრო ქართული; ან როგორც რუსული და სლავენური; ძველი და ახალი ბერძნული ხომ – ერთი ალთას მიდის, მეორე ბალთას.

ანტონი კათალიკოზი ამბობს თავისს წინა სიტყვაობაში:

„მნებავს მე ქალაღდსა ზედა მეღენთა მიერ ნიშნოვანითა ღრამმითა, რა განგიცხადოტცა საიდუმლოდ ჩემი, რათა ნუ

* აქ და ქვემოტ: ავტორი „ლექსს“ (ლექსი, ლექსთწარმოება, ლექსთ-მოყვანილობა, ლექსთათხზულება...) ხმარობს „სიტყვის“ მნიშვნელო-ბით. ლექსი (ბერძ. Lexis – სიტყვა) ... ძვ. სიტყვა – ქეგლ 1955: 1525].

სადა წარვიტაცემცა მსწრაფლ მანგლისა მიერ მფრინვალისა და ნუ სადა რა არა ზღუაჲ მე ნილმხვდეს თქვენთჳს“.

რაც ეს დაინერა, მას აქეთ ჯერ არ გასულა ერთი საუკუნე; მაგრამ კი აღა რა ვინა სწერს ასე და ლაპარაკით ხომ – არა მგონია შეცთომა მომივიდეს, თუ ვსთქვი, ასე არც მაშინ ულ-აპარაკნიათ-მეთქი.

ყველა იმ ძველ წიგნს ერქვა ღრამმატიკა და მე **ღ**-ის მაგიერად **„გ“**-სა ვხმარობ, რადგან სიტყვა, როგორცა ვთქვით, ბერძნულია და **„ღ“** არც ანბანში არის ბერძნულსა და ლათინურში, არც ენაში. – რომ ვამბობთ: ლენერალი, ლუბერნატორი, ლეოდრაფია, ლეოლოდია, – არც ერთი არ არის სწორე: ყოველგან **„გ“** უნდა იყოს **„ღ“**-ის მაგიერ.

მაინცა და მაინცა ყური შეჩვეული გვაქვსო და ისევ **ღ**-თა ვწეროთო, იქნება სთქვან; დიად კარგი და პატიოსანი; – მაგრამ მართლწერასაც თავისი კანონები აქვს და კანონის დარღვევას ხომ სასჯელიც დაჰყვება ხოლმე და სასჯელი შეიძლება მემკვიდრეობით მიადგეს სულ უბრალო მეცნიერს ვისმე გამომკვლეველსა, რომ სიტყვისა რომლისამე ახსნა სჭირდებოდეს და ვედარ მოეხერხებინოს ამ კანონის დარღვევის მიზეზით. – ამას გარდა თუ ბერძნული ან ლათინური სიტყვების წერაში **„ჟ“** და **„გ“**-ის მაგიერ **„ღ“** ვხმარეთ როდისმე, ბარემ დავადგეთ ამასა და ბოლომდინ აგრე ვიაროთ; ე. ი. ყოველი იმ ენებიდამ მიღებული სიტყვა, სადაც ეს ასო იხმარება, სულ ერთნაირათა ვსწეროთ: ლეორღი და არა გიორგი; ღრიღოლ და არა გრიგოლ; ღაბრიელ და არა გაბრიელ; ეღნატე; ლეოდრაფია, ლეღემონია და სხვ.

მაშ გრამმატიკა, თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, სწავლა იყო კანონიერად წერა კითხვისა და ლაპარაკისა; – და რაც ახლა მნიშვნელობა აქვს, სწავლა არის სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის თვისებათა გაცნობისა, ენის კანონთ

შეკრებისა და ისეთი წესით დანყობისა, რომ შესწავლა გაადვილებული იყოს, რამდენადაც კაცის მეცადინეობით მოხერხდებოდა. –

რა რომ ეს ასეა, ახლა ვიკითხოთ, რამდენ ნაწილად გაიყოფება ეს სწავლა?

გაიყოფება სამად.

პირველი არის – ეტიმოლოგია, ქართულად ლექსთწარმოება; –

მეორე – სინტაქსის, ქართულად ლექსათხზულება და მესამე – ორთოგრაფია, ქართულად – მართლ წერა.

სამივე სახელი, როგორც ვჰხედავთ, ბერძნულია. რადგან ახლანდელი ევროპიული განათლება უფრო საბერძნეთიდან მოდის და იტალიიდან, სამეცნიერო წიგნებისა და იმათ განყოფილებათ სახელები უფრო ბერძნული არის და ლათინური; – მაგრამ ზოგი და ზოგი არაბული შარავანდედიც ურევია ამ განათლებასა, ესპანიიდან შემოსული და ამიტომ ახლანდელს მეცნიერებას შიგა და შიგ არაბული სიტყვებიც ურევია; – მაგალითად: ქიმია, ალ-ლუმინი, ალკოჰოლ, ალ-ღებრა და სხ.

აქ ახლა ეტიმოლოგიის შესწავლას უნდა მივჰყოთ ხელი.

ყოველი გრამმატიკის დასაწყისი არის ანბანი. მე აქ მართო ამას ვიტყვი, რომ არა მგონია სხვა ხალხს ჰქონდეს ვისმე ისეთი ბუნებასთან დაახლოვებული, განმარტივებული და ადვილად სასწავლი ანბანი, როგორც ჩვენა გვაქვს. არათუ ასო არ გვაკლია, რომ ქართული ხმა სწორედ გამოითქმოდეს, მე ამასაც გავბედავ და ვიტყვი, რომ რამდენიმე ასო მეტიც არის; მაგალითად: „ჭ, ძ, ჯ, შ“. თუ არ ანგარიშისათვის, არას შემთხვევაში არც ერთი ამ ასოთაგანი საჭირო არ არის და სულ რომ გამოირიცხებოდნენ, – ჩვენი ანბანის დიდლირსებას მიემატებოდა ასოთ რიცხვის შემცირება, და მართლწერის ძალიან გაადვილება. –

ნაწილი I

ეტიმოლოგია

ეს სიტყვა ორი სიტყვით არის შედგენილი:
ეტიმოს – მართალი, სწორე, ჭეშმარიტი და ლოგოს – ლექსი, სიტყვა.

ეტიმოლოგია – მართლ-სიტყვაობა, სწორე-სიტყვაობა, – ლექსთ-წარმოება.

როგორც ქვეყნიერებაში ისეთი არა იპოვება რა, რომ თავისი დასაწყისი არა ჰქონდეს, თავისი დასაბამი, მიზეზი, საფუძველი, ძირი; – ისე არც სიტყვა იპოვება ისეთი, რომ თავისი დასაბამი არა ჰქონდეს, თავისი ძირი...

რამდენფრადაც, რამდენნაირადაც უნდა იცვლებოდეს ლექსი და სხვა და სხვა მნიშვნელობას ითვისებდეს, იმისი ძირი მაინც უცვლელათა რჩება, ათასში და ათიათასში ერთს გარდა.

როგორც ერთძირ ხეზედ აურიცხველი ტოტი და ფოთოლი იზრდება, სიტყვის ძირიც ისე ბარტყობს და მრავლდება, მაგალითად: „კაცი“.

კაცი, კაცური, კაცადი, კაცობრივი, კაცობრიობა, კაცებრი, კაცობითი, კაცინი, უკაცო, უკაცური, უკაცურობა, უკაცრაგობა, უკაცრაული, კაცუნა, საკაცო, კაცობა, დედა კაცი, მამაკაცი, ბერიკაცი, კაცთმოყვარე, კაცთმოყვარება, სიდედაკაცე, სიბერიკაცე...

აი, ერთი სიტყვისაგან რამდენი სხვა და სხვა სიტყვა კეთდება და სხვა და სხვა აზრი გამოდის.

ამ სიტყვების წარმოებასაც თავისი კანონები აქვს და ყველას თავთავისს დროზედ ამოვიკითხავთ.

ახლა სიტყვა რა და რა გვარი არის, ისა ვთქვათ; – ან გრამმატიკულად რომ გავშინჯოთ, რამდენი და რა და რა სიტყვის-ნაწილი არის ქართული?

ქართული სიტყვის ნაწილი გამოჰყავდათ, სხვა ენების მიხედვით, რვა, მაგრამ – მიუბაძავად რომა ვთქვათ, არის შვიდი:

1. სახელი, 2. ნაცვალ-სახელი, 3. ზმნა, 4. ზმნის-ზედა, 5. კავშირი, 6. თანდებული და 7. შორისდებული. ზოგნი სიტყვის ნაწილებში ჰსთვლიდნენ სახელსა თვისებითსა, რომელსაც არქმევდნენ ზედშესრულს; – და ზოგნი ჰსთვლიდნენ მიმდებარებასაც, რომელიც აუცილებელი დასასრული არის ზმნის უღლვილებისა. – ასე სიტყვის ნაწილი გამოჰყავდათ ზოგთა რვა და ზოგთა ცხრა.

სხვა ენების მიუხედავობამ ამ ნაწილების რიგით-ხსენებაც შეგვაცვლევინა, როგორც ქართულს უფრო შეშვენის.

თავი I.

სახელი.

ყოველს თვალთ დასანახავს ან ფიქრით წარმოსადგენ საგანს უთუოთ სახელი ჰქვია რამე:

კაცი, ქალაქი, ქვეყანა, წყალი, ხე, ბალახი, ფრინველი, პირუტყვი და სხ.

კაცსაც ყველას თავისი საკუთარი სახელი ჰქვია, ქალაქსაც, ქვეყანასაც, მდინარესაც:

თეიმურაზ, ქეთევან, ქუთაისი, კახეთი, ქოროხი...

ყოველი საგანი დასათვლელადაც ხდება ხოლმე:

ათი კაცი, სამი ქალაქი, ცხრა მთა...

ყოველს საგანს თვისებაცა აქვს როგორიმე:
კარგი, ავი, თეთრი, მარდი...
ბევრი ისეთი სიტყვაც არის, რომ ერთი თქმით თვალწინ
დაუთვლელი სიმრავლე წარმოგვიდგება ერთნაირი საგნებისა:

გუნდი, ჯოგი, ჯარი, ტყე...

აქედამ გამოდის, რომ სახელი, გრამმატიკულად, ხუთ-გვარი
ყოფილა:

1. სახელი არსებითი საზოგადოებითი.
2. სახელი არსებითი საკუთრებითი.
3. სახელი შემკრებლობითი.
4. სახელი რიცხვითი; და
5. სახელი თვისებითი (ზედშესრული).

გვარი 1.

სახელი არსებითი საზოგადოებითი.

არსებითი სახელი მაშინ არის საზოგადოებითი, როდესაც
ყველას ერთნაირათა ჰქვია, რასაც კი ერთს მეორესაგან გა-
ნურჩევლად წარმოვიდგენთ, როგორც წელანაცა ვთქვთ:

კაცი, ქალაქი, ქვეყანა; წყალი, ხე, ბალახი, ფრინველი,
პირუტყვი...

იმავე გვარს ეკუთვნის ბევრი ისეთი სიტყვაცა, რომ თითქო
მრავლისაგან გამოირჩევოდეს, – მაგრამ გაცალკეებით კი
ვერ წარმოადგენდეს საგანსა:

ხე: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, მუხა, თელა, ნიფელა, რცხილა...

ბალახი: კონდარი, ჯინჭარი, ბალბა, ნაცარქათამა... **ფრინ-
ველი:** მწყერი, ბატი, ორბი, გვრიტი... **პირუტყვი:** ხარი, კამ-
ბეჩი, ირემი, ფური...

ყველა ეს სიტყვა არის სახელი არსებითი საზოგადოებითი.

გვარი 2.

სახელი არსებითი საკუთრებითი.

სახელი არსებითი მაშინ არის საკუთრებითი ან კერძობითი, როდესაც მართო იმასა ჰქვია, ვიზედაც ან რაზედაც ლაპ-არაკი არის ჩამოგდებული:

ივანე, პეტრე, ანდრია; ... ანნა, მართა, მარიამ; ... ტფილისი, ქუთაისი, ბათომი; ... მტკვარი, რიონი, ჭოროხი; ... ყაზბეგი, იალბუზი, კავკასია...

გვარი 3.

სახელი არსებითი შემკრებლობითი.

სახელი შემკრებლობითი განუყოფელათა რჩება; მართალია, ვამბობთ, დიდი ჯარიო, პატარა ტყეო, ცოტა ბზეო, მრავალი გუნდო, მაგრამ გრამმატიკული დაყოფა აქ არა გამოდის რა.

გვარი 4.

სახელი რიცხვითი.

სახელი რიცხვითი არის რვა ნაირი:

ა. თვლითი, როდესაც რიცხვს წარმოვიდგენთ ბეჯითსა, გადანყვეტილსა:

ერთი, ათი, ათასი...

ბ. რაოდენობითი; – როდესაც ჯგუფად და ჯგუფად, მწყობრად და მწყობრად გამოვიხატავთ რასმე:

ორ ორი, ათ ათი, წყვლ წყვლი, ტყუბ ტყუბი...

გ. მიყოლებითი, როდესაც ერთი ერთმანერთს მივადევნებთ ან მივაყოლებთ; ან როდესაც საგანი საგანს თავისთავად მისდევს, მიჰყვება:

პირველი, მეორე, მესამე, მეასიათასე...

დ. განწილვითი, – როდესაც მრთელის ნაკვეთი არის სათვლელი, რომელსა არითმეტიკაში ჰქვია „ნანწვარი“:

მეთასედი, მესედი, მეხუთედი, მეოცედი, ჩარევი ან მეოთხედი, – მესამედი, ნახევარი.

ე. წყვითი, როდესაც ჭურჭელსა, იარალს ან სათვლელს რასმე ნივთიერებას აწყვით გამოცდილი ზომისას ნარმოვიდგენტ:

ორეული, სამეული, ათეული, ასეული...

ვ. მოგონებითი, როდესაც თვალწინ წამოვიყენებთ, ან მოგვაგონდება, რას რა ზომა ჰქონდა:

ნაორალი, ნასამალი, ნათალი, ნასალი...

ზ. მოაზრებითი, როდესაც მოფიქრებით ვამბობთ:

ორიოდე, სამიოდე, ათიოდე, ასიოდე...

და ლ. უსაზღვრო, როდესაც ვერც ბეჯითად დაგვივლია და ვერც მოფიქრებით; მაგრამ დასათვლელი კი არის:

ბევრი, ცოტა, მეტი, ნაკლები, ლუწი, კენტი.

გვარი 5.

სახელი თვისებითი.

სახელი თვისებითი, ან ვითარებითი, ის გვარი არის, რომელსაც ძველ ღრამმატიკებში ერქვა ზედშესრული.

ეს სახელი არის სამნაირი:

ა. პირველთქმითი; როდესაც ვითარება თუ თვისება საგნისა შეუდარებელად ითქმის, პირველ სახედ:

კარგი, კეთილი, ძლიერი, მჯობი...

ბ. შედარებითი, როდესაც თვისება ითქმის შეტოლებით, შედარებით, მეორე სახედ:

უკეთესი, უძლიერესი, უმჯობესი, უფრო კარგი, უფრო ძლიერი, უფრო მჯობი...

და გ. აღმატებითი, როდესაც თვისებას ისეთს წარმოვიდგენთ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა.

ამ მეორე სახეს ან წინდაჰყვება კიდევ ერთი „უ“, რომ გამოდიოდეს:

უუკეთესი, უუძლიერესი, უუმჯობესი...

ან პირველ სახეს წინდაჰყვება ერთ-ერთი ამ ლექსთაგანი:

ყოვლად, ფრიად, მეტად, ძლიერ, ძალიან და ითქმის: ყოვლად საქები, ფრიად კეთილი, ძალიან კარგი, მეტად მჟავე და სხვ...

მერყეობა.

სიტყვის ტრიალში, თუ ლაპარაკში, ყოველი სახელი მოძრაობს, ბრუნავს, ხან ბოლოს იცვლის, ხან თავსაც. ამას დარჰქმევია ძველათგან სრბოლვა შანშოვანისაგან, მერყეობა ანტონ-კათალიკოსისაგან და კანკლედობა სხვებისაგან.

სხვა ენების გრამმატიკოსები ამას დრეკას არქმევენ, ან დრეკილებას: *déclinatio*, *déclinaison*, – *склонение*. – კანკლედობა – ვაკანკლედებ, – ვითამ ვარყევ, აქეთ-იქითა ვდრეკავ, თავს ხან აქეთ დავანევიწებ, ხან იქით.

მე ისევ მერყეობას ვამჯობინებ, ამიტომ რომ:

1. დრეკით იმდენჯერ და იმდენხანსა ვყოფილვართ ხოლმე თავის დრეკაში, რომ ღუთის წინაშე გვეყოფა და ახლა მაინც დავიჭიროთ თავი, როგორც სნება მოხდილის რიგია; – ან როგორც ისეთ კაცს მოაქვს თავი, რომელსაც გულში ცუდი არა უძევს რა; –

2. კანკლედობით, ჩვენს ვალდებულებას რომ არას დროს არ გადავსდგომივართ, თუ არ სიკვდილისაგან და სახსნელად, და რაც გვრწმენია, იმაზედ შეუპოვრად, უკანკლედობთა ვმდგარვართ, ამაზედ არა თუ ჩვენი ისტორია, – ყველა იმ ხალხთა ისტორიაც დაგვემონმება, ვისაც კი ჩვენთან საქმე ჰქონია რამე; და

3. მერყეობით ხომ რყევა სწორეთ ზედგამოჭრილი თვისება არის ჩვენი, დღევანდელი ხასიათია ჩვენი, რომ ვერა საქმეს ვერ დავადგებით, თუ არ დიდი ყოყმანით, დიდი გაჭირვებით, რალაც ნაირი ზოზინით, გაუბედავობით, – ერთი სიტყვით, – რყევითა.

თუ ამ სიტყვას გამიმტყუნებს ვინმე და აღარც კათალიკოზის ნათქვამს დაიჯერებს, ნულარც მერყეობას იყაბულებს გრამმატიკაში; – ისევ კანკლედობა დაარქვას, ნუ გენაღვლებათ. –

ქართული მერყეობა არის ოთხრიგი და ყოველ რიგში არის ბრუნვაც ოთხი, ან ოთხნაირი ისეთი დაბოლოვება სახელისა, რომ ოთხნაირ კითხვაზედ სწორე პასუხს იძლევიდეს.

ოთხს რატომ ვამბობ და არა ექვსსა, რვასა, ათსა, თუნდა თორმეტსა, – ესეც მალე აიხსნება.

პირველი კითხვა:

ვინ, რა, რომელი, როგორი, რამდენი, სადაური?..

ყოველი ამ კითხვის პასუხი იქნება ერთი მარტივი, წრფელი, გადუბრუნებელი სახელი საგნისა:

ივანე, პეტრე, კაცი, ბოძი, მესამე, კარგი, აქაური, იქაური...

ამ მიზეზით პირველ ბრუნვას დაარქუა კათალიკოზმა წრფელობითი, ან სახელობითი, გადმოთარგმნილი ლათინურიდამ – *nominativus*, და რადგან კითხვა მოითხოვს მარტო დასახელებას, მე მგონია სიტყვს მნიშვნელობა უფრო დაახლოვებული იქნება, რომ ამ პირველ ბრუნვას ეწოდებოდეს სახელობითი.

მეორე კითხვა:

ვისი, რისი, როგორისა, რამდენისა, სადაურისა?

ივანესი, ბოძისა, კარგისა, აქაურისა...

რადგან ამ რიგს კითხვასაც და პასუხსაც უთუოთ დამოკიდებულება აქეთ სხვისი როგორიმე:

ძმა ივანესი, ძირი ბოძისა, რიგი მესამესი, ადგილი აქაურისა. –

ამ მიზეზით ბრუნვას დაერქვა ნათესავობითი – *genitivus*. –
მესამე კითხვა:

ვის, რას, როგორს, რომელს, სადაურს?

მიენდო ივანეს, მიეყუდა ბოძსა, შეუთვალა მესამეს,
უთავაზა იქაურს; –

ცხადია, რომ ამ ბრუნვას სახელად ისე არა მოუხდებოდა
რა, როგორც მიცემითი, *dativus*.

და მეოთხე კითხვა:

ვინ, რამ, რომელმა, როგორმა, რამდენმა, სადაურმა?

ივანემ მითხრა, ბოძმა შეიმაგრა, – კარგმა აჯობა, მესამემ
გასცა, აქაურმა გაგზავნა...

ეს სულ ამბავია, მოთხრობაა და ამიტომაც დაერქვა მოთხ-
რობითი, – *narrativus*.

ამ ოთხს გარდა ძველ ღრამმატიკებში იყო კიდევ ოთხი სხ-
ვა ბრუნვა: 5. შემასმენელობითი, 6. დანყებითი, 7. მოქმედებ-
ითი, 8. წოდებითი; მაგრამ:

5. შემასმენელობითი არის პირ და პირი თარგმანი ლათ-
ინურისა *accusativus*, როგორც რუსული *винительный* და ჰნიშ-
ნავს „ბრალდებულებას“, – „დანამებას“, „შესმენას“, „შემას-
მენელობას“; ქართულს ენაში ამ ბრუნვას სრულებით არა
აქვს ადგილი; – ახლა შეიძლება აქა-იქა იპოვებოდეს ისეთი
კაცი, რომ იმის დასახელებით სიტყვა გამიმტყუნონ; მაგრამ
თვითან მე მახსოვს ის დრო, როდესაც მოყვასის გაცემა,
დაბეზლება, დასმენა, ისეთი სათაკილო საქმე იყო ქართველ-
ებში, როგორც, მაგალითად, ქურდობა, – და შემასმენელო-
ბითი ბრუნვა რალათ გვექნებოდა; – ამას გარდა – ყოველს
შემთხვევაში თითონ საკითხავიც პირველი ბრუნვის სახის
მექონია და პასუხიცა; აი მაგალითი:

უყურეთ ერთი იმ საძაგელსა, აკი დაასმინა ბატონსა პავ-
ლე, მართალი, პატიოსანი, უბრალო...

6. დანყებითი ქართულში ცალკე ბრუნვა კი არ არის, ან ნათესავობითია, ან მიცემითი, რომელსაც დაჰყვება თანდებული – **გან**,

ბოძისაგან, კარგისაგან, ივანესაგან, პეტრესაგან;

7. მოქმედებითი ბრუნვაც ასეა; სახელობით სახეს დაჰყვებოდა, სამწიგნობრო კილოში, თანდებული „**თურთ**“; ან ნათესავობითს „**თანა**“.

პავლეს თანა, კეთილი თურთ...

და ახლა ეს „**თურთ**“ და „**თანა**“ ისე შევამოკლეთ, რომ სახელობითს ვუმატებთ მარტი „**თ**“-ს ან „**თი**“-ს და ნათესავობითს მაგიერად მიცემითს – „**თან**“-ს.

ამისი უფრო ვრცელი ახსნა ამ გრამმატიკის მეორე ნაწილში იქნება, ლექსთა-თხზულებაში.

8. ნოდებითი ბრუნვაც ასევეა: სახელობითს დაჰყვება და თუ „**ი**“ უზის, იმის მაგიერად უჯდება ნოდებითი თანდებული „**ო**“; სხვა ხმოვანს ემატება **ვ**.

სამართალი მოითხოვდა, რომ სადაც ამ ოთხ ბრუნვას (5, 6, 7 და 8) ექნებოდა ადგილი, იქ უსაცილოდ კიდევ რამდენსამე სხვა ბრუნვასაცა ჰქონიყო:

9. მყოფობითსა:

სახლში, ტყეში, წყალში...

10. აღმავლობითსა:

ბანზე, ხეზე, წყალზე...

11. გამოსვლითსა:

სახლიდამ, წყლიდამ, ტყიდამ...

12. უკუთქმითსა:

უსახლოდ, უწყლოდ, უტყეოდ...

და 13. ცვლილებითსა:

სახლად, წყლად, ტყედ...

სულ გვექნებოდა მაშინ ცამეტი ბრუნვა, – სიმდიდრე თავ-სგადასაყრელი, შემანუხებელი! მაგრამ რაც საჭირო არ არის, რათ უნდა ვიძინებდეთ იმითი საქმესა?*

პირველი ოთხი ბრუნვის დაბლოცება აუცილებელი საკუ-თრება არის ბრუნვისა და თავისთავად კი არც ერთს არა აქვს არა ვითარი მნიშვნელობა; მეხუთე ბრუნვას სულ არა აქვს ქა-რთულში ადგილი; – და სხვა ექუსი ბრუნვების დაბლოცება კი ყველა ისეთია, რომ თავისთავად შეადგენენ ცალკე სიტყვის ნაწილსა, თანდებულსა, რომელსაც თავის დროზედ უფრო დაახლოვებით გავშინჯავთ. აი ის თანდებულები:

გან; ო; ში, შინა, ზე, ზედ, ზედა, ზედან;

თანდებული, ამათ გარდა, სხვაც ბევრია:

წინ, წინეთ; გარე, გარეთ, – თან, თანა; ქვე, ქვეშ, ქვეშე, შემდეგ; უკან, აქეთ, იქით და სხ.

ყველას თუ თითო ბრუნვა მივაჩემეთ, ერიჰაა!!..

ყოველ ოთხ მერყეობაში და ყოველ ოთხ ბრუნვაში არის სახე მხოლოობითიცა და მრავლობითიცა.

კაცი, კაცები; ბოძი, ბოძები; ქალაქი, ქალაქები; მდინარე, მდინარეები...

არის ზოგი ისეთი სიტყვა, რომ მარტო მხოლოობითად იხ-მარება:

„ჭეშმარიტება, ბუნება“, – რადგან ჩვენი გონება ვერ გა-მოიხატავს, თუ არ ერთ ჭეშმარიტებას, ერთბუნებას: „ჭეშ-მარიტებანი, ბუნებანი“ – ითქმის, მაგრამ კი არ ვამბობთ; –

ზოგი ისეთი სიტყვაც არის, რომ სახე მრავლობითი აქვს, და მხოლოობითის წესით კი ირყევა:

* ზურაბ შანშოვანი ანგარიშობდა სრბოლს ათსა: სანრფელს, სა-ნათესაოს, სამიცემადოს, სამოქმედოს, საძიებოს, სადასაბამოს, სამეტყველოს, საშორის-მყოფოს, საგარეშემცოს და სანოდებოს და მერყეობა მოჰყავდა ასე:

კაცი, კაცისა, კაცსა, კაცით, კაცს, კაცისაგან, კაცისას, კაცში, კაცითა, კაცო.

ლოცვანი, ჟამნი, დავითნი, თთვენი, მარხვანი...

საკუთრებითი სახელი, მარტივად თქმული, შეიძლება მრავლობითშიაც დაბრუნდეს:

მარიამ, მარიამები; თამარ, თამარები; –

და თუ სხვა სახელიც დაჰყვა ღირსებისა, ვითარებისა ან ნოდების გამომხატველი, – მაშინ კი მრავლობითად დაბრუნება აღარ შეიძლება:

მარიამ დედოფალი; თამარ-მეფე; ზურაბ-სარდალი; პავლე-მოციქული;

მრავლობითის დაბოლოვება ზოგი არის ახლანდელი კილოსი:

ბოძები, ხეები, ნყლები...

ზოგი სამწიგნობრო კილოსიცა:

ერთნი, ათნი, ასნი...

არ შეიძლება თქმა:

ერთები, ათები, ბევრები, ცოტაები, ორებივე, ხუთებივე; – სამჯობინარია თქმა:

საერონი, სამღვდელონი, რომელნი, რომაელნი, წარმოებანი...

და არა – საეროები, სამღვდელოები, რომლები, წარმოებები...

საქმე დაგვანახებს, სად როგორ ემჯობინება. –

არის კიდევ ერთი სახე მრავლობითის ბრუნვისა, რომელსაც, მართალია, ძველი ღრამმატიკოსებიცა ხმარობდნენ და ახლა უფრო ხმარობენ ზოგნი მწერლობაში და ზოგნი საუბარშიაც.

დიდი კრძალვითა და მოწინებით მოვითხოვ შენდობას ნეტარ-ხსენებულ კათალიკოზისაგან, – და ძალიან შევევედრები როგორც ჩვენს ახლანდელ ლიტერატორებს, ისე ერთობ დასავლეთ-საქართველოს თავად-აზნაურთა, რომ სულგრძელებით მომიტევონ კადნიერება და მოიხსენონ ჩემგან, რომ ეს მესამე სახე მერყეობაში მრავლობითის რიცხვისა

სწორეთ არ არის საჭირო ქართული ენისათვის და ვერცა რა საგრამმატიკო კანონი გაამართლებს; ჩვენ ვამბობთ:

ძმები, მამები, დედები, გზები, მთები, მინდვრები; კარგები, დიდები, წითლები...

შეიძლება ასეც ვიტყოდეთ:

ძმანი, მამანი, დედანი; გზანი, მთანი, მინდორნი; კარგნი, დიდნი, წითელნი...

ორივე გვარი თქმა, ერთი – ახლანდელი კილოსი და მეორე სამწიგნობროსი, – გრამმატიკულად კანონიერია და მაშ ურიგო არც ერთი არ იქნება; – მაგრამ ამ ორისავე სახის შერევა და თქმა:

ძმებნი, ძმანებთაგან; დებნი, დანებთათვის; რომლებნი, რომლებთაგან; კარგებნი, დიდებნი, ბებრებნი. –

სადაური გრამმატიკით იქნება გასამართლებელი ან რა საჭიროებით? –

თუ არც კანონიერია და არც საჭირო, ცამეტი ბრუნვისა არ იყოს, რალათ უნდა ჰქონდეს ამ სახეს ადგილი სასწავლებელს წიგნში? საქმეს კი არ უნდა ვიძნელებდეთ, უნდა გავიადვილებდეთ.

ენის სიმდიდრეაო, ამას კი ნუ ვიტყვით აქა: ჩვენი ენის ნამდვილი, მართალი სიმდიდრე სხვა არის, როგორც მალე ვნახავთ, და იმას დავსჯერდეთ, დიად გვეყოფა.

ჯერ რომ ქართული გვესწავლებინა საფუძვლიანდ თქვენთვის, ჩემო შვილებო, – სხვა ენების შესწავლა ძალიან გაადვილებული გექნებოდათ; – მაგრამ, რომ იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, თქვენთვისაც აქედამ ის სარგებლობა გამოდის, რომ ახლა ქართული ენის კანონებს უფრო ადვილად შეითვისებთ; ამ კანონების შედარება სხვა ენების კანონებთან ხშირად მოგიხდებათ და მაშინ თითონ დაუწყებთ საქმეს ჩხრეკასა. –

ეგ არის მიზეზი ახლა რომ მკითხეთ, – მხოლოებითი და მრავლობითი რომ აგვიხსენ, სქესისას რატომ ალა რას გვეტყვიო, ესე იგი საგრამმატიკო ნათესავისას?

ამიტომ არას გეტყვით, რომ მამრობითად და მდედრობითად სიტყვის დაყოფა ქართული ენისათვის არას დროს არცა ყოფილა და არც არის საჭირო. ამ ჩემს ხსოვნაში შემოიღეს ვითამ ორიოდ-სამი გარჩევა სქესისა, მაგალითად: ხელმწიფა, მეფა, მთავრინა, კნენინა; მაგრამ ქართული ენა ვერც ამას ითვისებს; – მდედრობითისა და მამრობითის გასარჩევი სიტყვა მრავალია ქართულში:

ქალი, კაცი; დედა, მამა; და, ძმა... სძალი, მაზლი...

მე მხოლოდ ამას ვამბობ, რომ ქართული გრამმატიკისათვის სქესების გარჩევა არას დროს არ არის საჭირო.

ქართველები ამას ვადგევეართ და ვამბობთ, რომ კაციცა და ქალიც ორნივე ადამიანები ვართო და ერთი რომ მეორეზედ უფრო ნარნარი და უფრო სატრფო იყოს, საქმით მეუღლეობას დიად, მაგრამ საგრამმატიკო ბრუნვასა და მერყეობას რა ხელი აქვსო.

ქალი რომ ჩვენი სატრფოა, რომ საფუძველია ამ წუთისოფელში ჩვენის ბედნიერებისა და იმედიანი ბურჯი ჩვენის საოჯახო მყუდროებისა, ეს ძველთაგანვე დამკვიდრებული ხასიათი არის ჩვენი ყოფაცხოვრებისა; – გრამმატიკულად გვემონმება ამაზედ ჩვენი ჩვეულება:

როდესაც ორივე სქესი ერთად იხსენება ლაპარაკში, ან ნერა-კითხვაში, უსათუოდ ჯერ ქალს ვახსენებთ, მერე კაცსა; – მაგალითად:

ქალ-ვაჟი, და-ძმა, დედ-მამა, გოგო-ბიჭი, ცოლ-ქმარი, რძალ-მაზლი...

ერთად ერთ შემთხვევაში ვახსენებთ ჯერ მამაკაცსა, მაშინ, როდესაც გვირგვინოსნებზე ვლაპარაკობთ:

მეფე-დედოფალი.

სხვა რომელი განათლებული ხალხი დაიტრაბახებს ამას ქალებთანაცა და საქვეყნოთაც.

ღმრთის წინაშე ჩვენი ქალებიც კი ყოველთვის ღირსნი ყოფილან ამისი...

აბა თუ გამოიცნობთ, რაზედ გვემონმება თვითან ეს ძველ-
ებური ჩვენებური ჩვეულება?

გვემონმება ჯერ ამაზედ, რომ ზნეობა გვექონია ძველათ-
განვე წმინდად-დაცული; – უამისოდ რაც ჩვენ აქამდინ აგვი-
ტანია, როგორ ავიტანდით და დროთა კანკლედობას როგორ
გადვურჩებოდით; –

მერე ამაზე გვემონმება, რომ არც ქალებს დაუფინწყნიათ
დღევანდლამდინ თავისი დიდი მნიშვნელობა, – და თავის
განთქმულს მშვენებლობასთან სახიერი გული არას დროს არ
აუცრუვებიათ ოჯახობაზედ და სამშობლო ქვეყანაზედ; –

და კიდევ ამაზე გვემონმება, რომ... ვთქვა ესეცა, თუ ნუ-
ღარ ვიტყვი?..

მეფე-დედოფალიო, რომ ვამბობდი, ჩვენ ამითი იმ საერო
„აღსარებას აღვიარებდით“, რომ ყოველთვის „აღმსარებელ-
ნი“ ვყოფილვართ ერთმთავრობისა!

ისტორიას ვერა ვინ გადუდგება.

რყევაზე გვექნდა ლაპარაკი. ქართული რყევა, კანკლედო-
ბა, მერყეობა, ზოგის აზრით სამრიგია, ზოგისა ოთხრიგი და
ზოგისა შვიდრიგიც; მაგრამ თვალთ დაინახავთ, რომ ერთად
ერთია. აქა იქა განსხვავებაც მოხდება ხოლმე, მართალია; –
მაგრამ ისეთი დიდი ცვლილება არა გამოდისრა, რომ კაცი
იტყოდეს, არა, აქ სწორეთ სხვანაირი მერყეობა გვჭირდე-
ბაო; – და თუ ანდაზა მოვიგონეთ „ჩვეულება სჯულთ უმტ-
კიცესიაო“, – უნდა პატივი ვსცეთ ამ ჩვეულებასა და გავჰყოთ
ოთხად ჩვენი მერყეობა.

ახლა ცალცალკე გავშინჯოთ ეს ოთხივე მერყეობა. ამ შინ-
ჯვაში ჩვენი სალაპარაკო იქნება მერყეობის ნიშნები მარტო
სასაუბრო კილოსი. სამწიგნობრო კილოს მერყეობაც მო-
მყავს, მაგრამ მარტო იმისთვის, რომ განსხვავება თვალთ
დაინახებოდეს; – ორ სვეტად მომყავს სიტყვის დაბრუნება:
მარცხნით სასაუბრო და მარჯვნით სამწიგნობრო. გახსოვ-

დეთ კი, რომ ჩვენი საკვლევი არის მარცხენა მხარე; ის არის ამხსნელი ჩვენი ცხოველი ენის კანონისა.

მერყეობა პირველი.

რა სიტყვასაც ბოლოს დაჰყვება უხმო ასო რომელიმე: ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, და სხვა, ყოველი ეს სიტყვა ისე დაბრუნდება, თითქო ყველას ბოლოში ი სჯდომიყოს.

მხოლოობითად.

	სასაუბრო		სამნიგნობრო
დასახ.	ანტონ	კაც ი	ანტონ კაცი
ნათეს.	ანტონ ისა	კაც ისა	ანტონ ისა კაც ისა
მიც.	ანტონ სა	კაც სა	ანტონ სა კაც სა
მოთხრ.	ანტონ მა	კაც მა	ანტონ მან კაც მან.

მრავლობითად.

დასახ.	ანტონ ებ ი	კაც ებ ი	ანტონ ნი კაც ნი
ნათეს.	ანტონ ებ ისა	კაც ებ ისა	ანტონ თა კაც თა
მიც.	ანტონ ებ სა	კაც ებ სა	ანტონ თა კაც თა
მოთხრ.	ანტონ ებ მა	კაც ებ მა	ანტონ თა კაც თა.

რას დავინახავთ, ამ მერყეობას რომ დავაკვირდეთ?

რომელსაც სიტყვის ბოლოში უხმო ასო უზის, იმ ასოს ბრუნვებში ემატება: მხოლოობითში – „**ისა, სა, მა**“; მრავლობითში – ჯერ სიმრავლის ნიშანი „**ებ**“ და მასუკან იგივე მხოლოობითის ნიშნები; –

რომელსაც სიტყვის ბოლოში უზის ხმოვანი ასო „ი“, ეს ასო ჰქრება მიცემითში და მოთხრობითში; და ისე გამოდის, თითქო ან პირველ სიტყვასაცა ჰსჯდომიყოს „ი“, – ან არც ამ მეორე სიტყვასა ჰსჯდომიყოს; სხვებ რომ ვსთქვათ: თითქო ან ასე ყოფილიყოს: „ანტონი“, „კაცი“; ან ასე: „ანტონ“, „კაც“; – გახსოვდეთ, რომ აქ ხმოვანი „ი“ იკარგება მიცემითში და მოთხრობითში.

ყოველი სიტყვა, დაბლოებული უხმო ასოთი, ან ხმოვანი „ი“-თ, ამ პირველი მერყეობით დაბრუნდება, – იმ სიტყვებს გარდა, რასაც აქ მეორე, მესამე და მეოთხე მერყეობაში მოვიყვანთ.

მერყეობა მეორე.

რასაც სიტყვას ორში ერთი ხმოვანი ასო დაჰყვება, „ა“ თუ „ე“, მაგალითად: „მთა“, „კლდე“, – ასე დაბრუნდება:

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	მთა	კლდე	მთა	კლდე
ნათეს.	მთ ისა	კლდ ისა	მთ ისა	კლდ ისა
მიც.	მთა სა	კლდ ესა	მთ ასა	კლდ ესა
მოთხრ.	მთა მ	კლდე მ	მთ ამან	კლდემან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

	სასაუბრო		სამწიგნობრო
დასახ.	მთ ებ ი	კლდე ები	მთა ნი კლდე ნი
ნათეს.	მთ ებ ისა	კლდე ებისა	მთა თა კლდე თა

მიც. მთ ებ სა კლდეებს მთა თა კლდე თა
მოთხრ. მთ ებ მა კლდე ებმა მთა თა კლდე თა.

აქ რაღასა ვჰხედავთ?

„ა“-სა და „ე“-სა ჰკარგავს მხოლოობითში მარტო ერ-
თი ბრუნვა, „ნათესავობითი“; მრავლობითში კი: ყოველგან
იკარგება „ა“ და არსად არ იკარგება „ე“.

ასე დაბრუნდება ყოველი „ა“-თა და „ე“-თ დაბოლოებული
სიტყვა, ოღონდ:

1. ან საკუთრებითი სახელი არ იყოს ადამიანისა:

ანნა, მართა, პეტრე, ჰავლე...

2. ან საზოგადოებითი სახელი არ იყოს მდელოსი, მცენარ-
ესი, მწერისა და მდაბალგვარის ცხოველისა რისამე:

გვირილა, ბურბუშელა, კრაზანა, ტოროლა, თრითინა,
დედოფალა...

3. ან ისეთი სახელი არ იყოს საზოგადოებითი, რომ ორი-
სამი სიტყვისაგან იყოს შედგენილი:

ლობემძვრალა, გუდაფშუტა, ძირმნარე, ძირტკბილა, ლობე
ყორე, შავთვალწარბა...

4. ან სახელწოდება არ იყოს ხელობისა ან სადგომისა რისამე:
მენავე, მეველე, მერიქიფე; საირმე, საქათმე, საღორე...

და 5. ან ვითარებას არ გამოჰხატავდეს რასმე საქმისას:

პატარა, ხუმარა, მასხარა, მძინარა, მტირალა...

ყველა ეს მეორე მერყეობიდან გამოსარიცხავი სიტყვა
თავისთავად გადადის მესამე მერყეობაში.

მერყეობა მესამე.

ამ მერყეობით იბრუნვიან:

1. ყოველი ზემოთქმული, ხუთი მუხლით მეორე მერყეო-
ბიდან გამორიცხული, სიტყვები; –

და 2. ყოველი სახელი, რასაც კი ბოლოს დაჰყვება „ო“ და „უ“.

ამ მერყეობაში არ იკარგება არც ერთი დაბოლოებითი ხმოვანი ასო; ყველას ისევ ბრუნვის ნიშანი მიემატება, რაც მეორე მერყეობაში იყო, მარტო „ნათესავობითს“ გარდა, სადაც „სა“-ს მაგიერად ემატება „სი“:

პავლესი, მენავესი, ოქროსი, ბუსი.

მერყეობა მეოთხე.

ამ მერყეობით დაბრუნდება ყოველი ორ-სამ-ოთხ და მეტ-მარცვლოვანი სახელი, რომელსაც ბოლოს დაჰყვება:

ალი, ამი, ანი, არი; ელი, ემი, ენი, ერი; ოლი, ომი, ონი, ორი.

და ამ სახელების ბრუნვის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ **ა**, **ე** და **ო** აკლდებათ: მხოლოობითში-ნათესავობითსა და მრავლობითში – ყველა ოთხსავე ბრუნვას.

მხოლოობითად.

დასახ.	მდახალი	ქედანი	მდახალი	ქედანი
ნათეს.	მდახლისა	ქედნისა	მდახლისა	ქედნისა
მიც.	მდახალს	ქედანს	მდახალსა	ქედანსა
მოთხრ.	მდახალმა	ქედანმა	მდახალმან	ქედანმან.

მრავლობითად.

დასახ.	მდახლები	ქედნები	მდახალნი	ქედანნი
ნათეს.	მდახლების	ქედნების	მდახალთა	ქედანთა
მიც.	მდახლებს	ქედნებს	მდახალთა	ქედანთა
მოთხრ.	მდახლებმა	ქედნებმა	მდახალთა	ქედანთა.

ასე დაბრუნდებიან.

აბჯარი	ზონარი	მდაბალი	მწერალი
აეროვანი	ზვარი	მდევარი	მნიგნობარი
ამქარი	თათარი	მდიდარი	მწოვარი
ატამი	თვალი (ურმისა)	მეგობარი	მწყერი
აფიცარი	თითბერი	მეზობელი	მჭამელი
ალმავალი	თითისტარი	მეიდანი	მჭედელი
ალმსარებელი	ირემი	მელანი	მხალი
ალმშენებელი	ისარი	მერცხალი	მხმობელი
ბადალი	კალამი	მთხოვარი	მხევალი
ბაზარი	კეისარი	მთხრობელი	ნაკვეთი
ბაყალი	კისერი	მიზანი	ნამგალი
ბანარი	კოჭობი	მინანქარი	ნაყროვანი
ბერძენი	კოჯორი	მისანი	ნიაღვარი
ბეჭედი	კვალი	მკელობელი	ნიშანი
გიშერი	კუტალი	მკერვალი	ობოლი
გოდორი	ლურსმანი	მკვარი	ოქრომჭედელი
დამბადებელი	მაგარი	მტკვარი	ოხშივარი
დამქადებელი	მადიდებელი	მქადაგებელი	რომელი
დამნამებელი	მამალი	მლალადებელი	რძალი
დამწვარი	მანდილოსანი	მღებარი	საბძელი
დედალი	მარცვალი	მღვედელი	საგანი
დედანი	მატყუვარი	მშობელი	საპონი
დივანი	მაქებარი	მშველი	სარდალი
ეკალი	მალალი	ჩვარი	სარკმელი
ერკემალი	მაცხოვარი	მძახალი	სასთუმალი
ვაჭარი	მგალობელი	მძევალი	სასმელი
ზამთარი	მგელი	მძოვარი	საქონელი
ზეწარი	მგოსანი	მწევარი	საჭმელი
სიზმარი	ფინალი	ცვარი	ჭერამი
სთველი	ქათამი	ცხვარი	ხალხოსანი

სომეხი	ქამარი	ძმარი	ხანჯალი
სოსანი	ქედანი	ძველი	ხმალი
ტალავარი	ქმარი	ძღვენი	ჯანჯალი
ტაძარი	ქოთანი	წამწამი	ჯვირანი
ურემი	ქონდარი	წელი	ჯეროვანი
ფალავანი	ღრუბელი	(წელიწადი)	ჯვარი
ფარგალი	ყურძენი	წვენი	ჰაეროვანი...
ფილაქნი	შაქარი	ჭანდარი	
ფიცარი	ჩადროსანი	ჭარხალი	

ერთის სიტყვით, ასე დაბრუნდება ყოველი სახელი, რომელსაც ბოლოს მოექცევა:

ალი, ამი, ანი (მეტადრე – ოვანი), არი; ელი, ემი, ენი, ერი და ოლი, ომი, ონი, ორი.

მაგრამ:

1. არის ზოგიერთი ისეთი სახელიცა, რომ ასე ჰბოლოვდება და ამ კანონს კი არ ემორჩილება:

ბედნიერი	დამჭკნარი	მკბენარი
ბინიერი	თვალი	მცბიერი
გამცემი	(რომლითაც	სარბიელი
დამცემი	ვიხედებით)	საქციელი
გადამწერი	მადლიანი	ხმიანი
გადანაწერი	მარილიანი	ხმოვანი
გვარიანი	მოლხინარი	ხმოსანი
დამდნარი	მოცინარი	ხრინიანი...

2. არის რამდენიმე სახელი, რომელთაც – **ა**, **ე**, **ო** – კი არ ეკარგებათ, **ვ**-დ ეცვლებათ:

მშვენიერი, გონიერი, ნიორი; მშვენივრისა, გონივრისა, ნივრისა.

რაც აქ ბრუნვები მოვიყვანეთ, ისე დაბრუნდება ყოველი სახელი არსებითი, რიცხვითი და თვისებითი; აგრეთვე ყოველი სახელზმნა და მიმღეობა, როგორც ზმნის შინჯვაშიაც ვნახავთ; –

და ყოველი ამ სიტყვათაგანი უთუოთ ისე დაბრუნდება, როგორც ამ ოთხი მერყეობის წესი მოითხოვს, თუ რომ სახელი ცალკე არის დასაბრუნებელი; და თუ ორი ან მეტი სახელი არის ერთად დასაბრუნებელი, მაგალითად:

გულადი კაცი, – ან გულადი, ღონიერი, გამბედავი კაცი; ან ერთი და ორი გამბედავი კაცი, –

მაშინ წინ დაგვხვდება ერთი სხვა რიგი კანონი, რომელსაც ჩვენი ახლანდელი მწერლობნი გრძნობით კი ჰგრძნობენ, არის რაღაცა კანონიო, მაგრამ ბეჯითად კი არ იციან, როგორი რა არის. ამათ რიცხვში დასათვლელნი არ არიან არც „შრომის“ მოღვაწენი, რადგან იმათ პირველშივე დაეტყოთ, რომ სცოდნიათ ქართული; – და არც – ზოგი და ზოგი „დროებისა“ და „ივერიის“ – მოღვაწენი,⁹ და უფრო ჩვენი სახელოვანი პოეტები.

სხვებთან კი ნუ რას უკაცრავად: შვილებისათვისა ვსწერ მე ამასა.

რატომ ინგლისებს არ მივბაძავთო, თვითანაც რომ ძალიან „განვითარებულ და განათლებულ მენავეები არიან და საგრამმატიკოც რომ ძალიან შემოკლებულ, განმარტოვებულ და განვითარებულ კანონები აქვთო“, მეუბნებიან.

კურთხეულთა ძენო და თვით კურთხეულნო! გულ დამშვიდებით ისმინეთ კადნიერი და პირუთნებელი მოხსენება ესე: ზოგი ერთი მიბაძვაც წასწყმედს ადამიანსა.

ვინ როგორ იგლისება, ყველას თუ მივბაძეთ, მაშინ ზნე და ხასიათი როგორ გამოგვეცვლება, ეს ვინღა იცის.

თქვენ ეს გაიკვეთეთ, ჩემო სიცოცხლე შვილებო, კარგათა, რომ ყოველს ენას ბევრნაირი თავისი დასაკუთრებული ხასიათი აქვს, თავისი თანშეზელილი იდიოტიზმები,¹⁰ რომელ-

იც სხვა ენას ეუცხოვება, მაგრამ პატრონისათვის, ვინ იცის, იქნება სასიქადულოც იყოს.

ამ გვარია ის კანონიკა, რომლის გამოკვლევას ახლა ვადგებით.

აბა, დავაბრუნოთ ზევით მოყვანილი მაგალითები:

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	გულადი კაცი	გულადი კაცი
ნათეს.	გულადი კაცისა	გულადისა კაცისა
მიცემ.	გულად კაცსა	გულადსა კაცსა
მოთხრ.	გულადმა კაცმა	გულადმან კაცმან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	გულადი კაცები	გულადნი კაცნი
ნათეს.	გულადი კაცებისა	გულადთა კაცთა
მიცემ.	გულად კაცებსა	გულადთა კაცთა
მოთხრ.	გულადმა კაცებმა	გულადთა კაცთა.

აქ არსებითი სახელი „კაცი“, ჰბრუნავს როგორც რიგია, თვისებითი კი, „გულადი“, მარტო მიცემითში ჰკარგავს **ი**-სა და მოთხრობითში **ი**-ს მაგიერად **მა**-ს ითვისებს, მხოლოობითში-აც და მრავლობითშიაც.

ახლა მეორე მაგალითი.

ს ა ს ა უ ბ რ ო.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	გულადი	ლონიერი	გამბედავი	კაცი
ნათეს.	გულადი	ლონიერი	გამბედავი	კაცისა
მიცემ.	გულადს	ლონიერს	გამბედავ	კაცსა
მოთხრ.	გულადმა	ლონიერმა	გამბედავმა	კაცმა.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	გულადი	ლონიერი	გამბედავი	კაცები
ნათეს.	გულადი	ლონიერი	გამბედავი	კაცებისა
მიცემ.	გულადს	ლონიერს	გამბედავ	კაცებს
მოთხრ.	გულადმა	ლონიერმა	გამბედავმა	კაცებმა.

ს ა მ ნ ი გ ნ ო ბ რ ო.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	- ი	- ი	- ი	- ი
ნათეს.	- ისა	- ისა	- ისა	- ისა
მიცემ.	- სა	- სა	- სა	- სა
მოთხრ.	- მან	- მან	- მან	- მან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	- დნი	- რნი	- ვნი	- ცნი
ნათეს.	- დთა	- რთა	- ვთა	- ცთა
მიცემ.	- დთა	- რთა	- ვთა	- ცთა
მოთხრ.	- დთა	- რთა	- ვთა	- ცთა.

აქ თვისებითი სახელის სიმრავლემ მარტო ეს ცვლილება მოახდინა, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშანი „ს“ მხოლოდ იმ სიტყვას გამოაკლო, რომელიც უმახლობელესია არსებითი სახელისა. მესამე მაგალითი:

ს ა ს ა უ ბ რ ო.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ.	გულადი,	ლონიერი	და	გამბედავი	კაცი
ნათეს.	გულადისა,	ლონიერისა	და	გამბედავი	კაცისა
მიც.	გულადსა,	ლონიერსა	და	გამბედავ	კაცსა
მოთხრ.	გულადმა,	ლონიერმა	და	გამბედავმა	კაცმა.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ. გულადი, ღონიერი და გამბედავი კაცები
ნათეს. გულადისა, ღონიერისა და გამბედავი კაცებისა
მიცემ. გულადს, ღონიერსა და გამბედავ კაცებს
მოთხრ. გულადმა, ღონიერმა და გამბედავმა კაცებმა.

ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო. მ ხ ო ლ ო ბ ი თ ა დ.

დასახ. – დი, – რი – ვი – ცი
ნათეს. – დისა, – რისა – ვისა – ცისა
მიცემ. – დსა, – რსა – ვსა – ცსა
მოთხრ. – დმან, – რმან – ვმან – ცმან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ

დასახ. – დნი, – რნი – ვნი – ცნი
ნათეს. – დთა, – რთა – ვთა – ცთა
მიცემ. – დთა, – რთა – ვთა – ცთა
მოთხრ. – დთა – რთა – ვთა – ცთა.

აქ თვისებითი სახელის სიმრავლემ მხოლოდ ეს ცვლილება მოახდინა, რომ პირველ ორ თვისებას მიცემითში „სა“, ან „ს“ მიუსვა; და ეს ცვლილება მოახდინა პანანა კავშირმა, და-მა.

ამ მაგალითებიდამ ერთი საზოგადო კანონი გამოიხედება, რომლისათვისაც ბევრს ჩვენგან თვალი ჯერაც ვერ მოუკრავს: მოთხრობით ბრუნვაში, რამდენიც უნდა იყოს ერთად სახელი, არსებითი იქნება, თვისებითი, თუ რიცხვითი, ამ ბრუნვის ნიშანი „მა“ ან „მ“ ყოველთვის დაჰყვება; – არ მიიღებს ამ დაბოლოებას ისეთი თვისებითი სახელი, რომ ბოლოს უჯდეს **ე, ო, უ**, – თუ ამგვარი სახელი არსებითს წინ მიუძღვის:

ბრწყინვალე ვარსკვლავმა, მომჟავო ქლიავმა, ბლუ ენამ; –
და თუ მისდევს არსებითსა, მაშინ კი უთუოდ უნდა მიიღოს
მოთხრობითის ნიშანი:

ვარსკვლავმა ბრწყინვალემა, ქლიავმა მომჟავომ, ენამა
ბლუმმა; –

ახლა მგონია ცხადი იყოს, რომ თვისებითი სახელების
დაუბრუნებლობა არსებით სახელთან ისე გამოდის, თითქო
მდაბიურად ნათქვამი მართლდებოდეს: „როგორც უჯობს ისე
უბნობსო“. –

მაშ არც ეს იქნება გრამმატიკულად კანონიერი, რომ ვი-
ტყოდეთ:

განათლებულ და განვითარებულ მენავეებმა, ან სხვებ ამ-
ნაირად.

აქ უნდა მოვიყვანოთ ორი სახელი, რომელნიც გამოკვ-
ლეულ კანონებს არ ექვემდებარებიან და გაცალკევებით
იბრუნვიან:

მ ს ო ლ ო ბ ი თ ა დ

დასახ.	ი [~] თი ხუცესი	ი [~] თი ხუცესი
ნათეს.	ი [~] თისა ხუცისა	ი [~] თისა ხუცესისა
მიც.	ი [~] თსა ხუცესსა	ი [~] თსა ხუცესსა
მოთხრ.	ი [~] თმა ხუცესმა	ი [~] თმან ხუცესმან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ

დასახ.	ღმერთები	ხუცები	ღმერთნი	ხუცესნი
ნათეს.	ღმერთებისა	ხუცებისა	ღმერთთა	ხუცესთა
მიც.	ღმერთებსა	ხუცებს	ღმერთთა	ხუცესთა
მოთხრ.	ღმერთებმა	ხუცებმა	ღმერთთა	ხუცესთა.

შენიშვნა. პირველი სახელი, როგორც წოდება უზენაესისა, იწერება ასომთავრულით* და ქარაგმით; და როგორც წოდება ზღაპარ სიტყვაობითი, იწერება წვრილი ასოთი, სრულად და ქარაგმითვე, მაგრამ ქვედადამ. მრავლობითად იბრუნვის მხოლოდ მეორე, რადგან პირველი თავით თვისით არის მხოლო.

ერთი რთული მერყეობაც მოვიყვანოთ სამწიგნობროსთან შესადარებლად:

მ ს ო ლ ო ბ ი თ ა დ.
ს ა ს ა უ ბ რ ო.

დასახ.	ჩემი	მეზობლის	დიდი	მამული
ნათეს.	ჩემი	მეზობლის	დიდი	მამულისა
მიცემ.	ჩემი	მეზობლის	დიდ	მამულს
მოთხრ.	ჩემი	მეზობლის	დიდმა	მამულმა.

ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო.

დასახ.	დიდი	მამული	მეზობლისა	ჩემისა
ნათეს.	დიდისა	მამულისა	მეზობლისა	ჩემისა
მიცემ.	დიდსა	მამულსა	მეზობლისა	ჩემისასა
მოთხრ.	დიდმან	მამულმან	მეზობლისა	ჩემისამან.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი.
ს ა ს ა უ ბ რ ო.

დასახ.	ჩემი	მეზობლის	დიდი	მამულები
ნათეს.	ჩემი	მეზობლის	დიდი	მამულეებისა
მიცემ.	ჩემი	მეზობლის	დიდ	მამულებს
მოთხრ.	ჩემი	მეზობლის	დიდმა	მამულეებმა.

* როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 261), წინამდებარე წიგნში ავტორი ასომთავრულეbs იყენებს.

ს ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო .

დასახ. დიდნი მამულნი	} მეზობლისა ჩემისანი } მეზობელთა ჩემთანი
ნათეს. დიდთა მამულთა	
მიცემ. დიდთა მამულთა
მოთხრ. დიდთა მამულთა

მერყეობით სიტყვების ცვლილებაზე დღეისა და ჰარაკი აქმევაყენოთ. სხვა ცვლილებაც მრავალია ქართული ლექსისა, რომ მერყეობის მიუხედავად სწარმოებს, და ახლა იმათ შინჯვას დავადგეთ.

აი, თვალწინ რამდენ ნაირი ცვლილება გამოგვეხატება:

1.

როდესაც სახელი შეგვხვდება ისეთი, რომ მდგომარეობას ჰნიშნავდეს რასმე, ან მოქმედებასა და ან თვისებასა, ამისთანა სახელს თავში თუ „ნა“ დავუსვით ნამყოფი გამოვს; თუ „სა“ დავუსვით, გამოვა ახლანდელი; და მყოობადი გამოვა, თუ ბოლოს დაჰყვა „დი“.

კრეფა: ნაკრეფი, საკრეფი, კრეფადი.

გმოზა: ნაგმოზი, საგმოზი, გმოზადი.

წყობა: ნაწყობი, საწყობი, წყობადი.

ყოფა: ნაყოფი, საყოფი, ყოფადი.

ყოფნა: ნამყოფი, სამყოფი, მყოფადი.

დგმა: ნადგამი, სადგამი, დგმადი.

დგომა: ნადგომი, სადგომი, დგომადი.

რწყვა: ნარწყავი, სარწყავი, რწყვადი.

წყვა: ნაწყავი, საწყავი, წყვადი.

ფშვნა: ნაფშვენი, საფშვენელი, ფშვნადი.

უბნობა: ნაუბარი, საუბარი, უბნობადი.

შობა: ნაშობი, საშობი, შობადი.

ამ მაგალითისაგან განსხვავდებიან:

თქმა: ნათქვამი, სათქმელი, თქმადი.

ჭამა: ნაჭამი, საჭმელი, ჭამადი.

შეჭმა: შენაჭამი, შესაჭმელი, შეჭამადი.

პარვა: ნაპარავი, საპარავი, პარვადი.

მოპარვა: მონაპარი, მოსაპარავი, მოპარვადი.

2.

როდესაც სახელი შეგვხვდება ისეთი, რომ საკუთრებას წარმოადგენდეს ვისსამე ახლანდელს; ან მოსალოდინებელსა, მაშინ ამ სახელს თავს მოუჯდება „სა“; და ერთხელ როდისმე ვისიმე ხელში ნამყოფს ან ვისსამე დანარჩენს, ბოლოს მოუჯდება ნათესავობით ბრუნვას „**ეული**“, „**ეულობა**“.

საგაბრიელო, გაბრიელისეული, გაბრიელისეულობა.

სათომაო, თომასეული, თომასეულობა.

სამიქაო, მიქაძისეული, მიქაძისეულობა.

3.

როდესაც სახელი შეგვხვდება შეკრებითი, მოკლე-დროებით კრებას გამოგვიხატავს, თუ ხანგრძლივისა, დაბოლოებით შეეტყობა: პირველს დაჰყვება „**ობა**“ და მეორეს „**ება**“.

საზოგადობა არის დროებითი ყრილობა.

საზოგადოება – ერი ან ხალხი ერთიანად.

მყუდროობა – მყუდროდ, მოსვენებით ყოფნა.

მყუდროება – თვისება ადგილისა, უდაბურება.

აზნაურობა – თავად-აზნაურთა ყრილობა.

აზნაურება – ღირსება, ან თვისება აზნაურებითი.¹¹

თავისუფლობა – ცალკე ყოფნა.

თავისუფლება – ვალმოცილებით ყოფნა; დაუშოკიდე-ბლობა.

უფლობა – უფლად ყოფნა.

უფლება – თვისება, წესი, რიგი პატრონობისა, მბრძანებლობისა.

ხელმწიფობა – ხელმწიფედ ყოფნა.

ხელმწიფება – წესი, რიგი ქვეყანაში ხელმწიფის მფლობელობისა.

მეტყველობა – ნიჭი სიტყვისა.

მეტყველება – თვისება მოსაუბრობისა.

არსობა – ყოფნა.

არსება – ცოცხლად მყოფობა, სულდგმულობა.

პირობა – აღთქმა თქმული.

პირება – განზრახვა.

4.

მინდა შევიტყო, სადაურია ესა და ეს კაცი, ან ესა და ეს საქონელი, ესა და ეს ნივთი; – მოვიყვანოთ, მაგალითისათვის, რამდენისამე ქვეყნის სახელი:

იმერეთი, ქართლი, კახეთი, შავშეთი.

აქაური კაცისა, თუ ქალისა, ითქმის:

იმერელი, ქართლელი, კახელი, შავშელი;

საქონლისა და ნივთისა ითქმის:

იმერული, ქართლული, კახური, შავშური.

გამოდის, რომ ადამიანის სადაურობის პასუხად ქვეყნის

სახელს ბოლოს დაჰყვება „თი“-ს და „ი“-ს მაგიერად, ყოველთვის „ელი“; და საქონლისა და ნივთისას – ან „ული“ ან „ური“; – „ული“ მაშინ, როდესაც სახელში არის ასო „რ“; – და „ური“ მაშინ, როდესაც სახელში არ არის ასო „რ“.

ამ კანონს ექვემდებარება სხვა ქვეყნების სახელებიცა:

სპარსეთი, თურქესტანი, ინდოეთი, ჩინეთი; აგრეთვე იტალია, ისპანია, ბრაზილია, გერმანია; –

მაგრამ გამოსარიცხავიც კი არის აქედამ რამდენიმე ქვეყნის სახელი:

საქართველო: „ქართველი, ქართული“.

გურია: „გურული, გურიული“.

მთიულეთი: „მთიული, მთიულური“.

სომხეთი: „სომეხი, სომხური“.

რუსეთი: „რუსი, რუსული“.

ანგლია: „ინგლისი, ინგლისური, ანგლიური“.

შვეცია: „შვედი, შვედური“.

საბერძნეთი: „ბერძენი, ბერძნული“.

ფრანცია: „ფრანცუზი, ფრანცუზული“.

ბოსნია: „ბოსნაკი, ბოსნური“.

არაბეთი: „არაბი, არაბული“.

ქალაქებისა და სოფლების სახელებიც, ზოგსა და ზოგს გარდა, – ამავე კანონს ექვემდებარება; –

ამ კანონს ექვემდებარება აგრეთვე მომავლობა ვისგანმე, რისგანმე, საითგანმე; ან შედარება ვისიმე, რისიმე (არასდროს არა სთქვათ ვისმესი, რისმესი; ხომ გახსოვთ, რატომ?)

ჩემეული, ჩემებური; თქვენეული, თქვენებური; ქვეყნიერი, ქვეყნეული; ზეციერი, ციური.

დიდად მოწადინებული ვარ, რომ ჩვენი ლექსთწარმოების სიუხვე იმდენად მაინც დაგანახოთ, რომ ითქმოდეს, „მადლს მარილიც მოეყარო“, – მაგრამ – ვინ აუვა? თუნდა თვითან ეს სიტყვა ავიღოთ ახლა: „მარილი“.

5.

ხუროთ მოძღვრობისათვის, ან, მდაბიურად რომ ვსთქვათ, სახლის შენებისათვის „მარილი“ სულ უვარგისი მასალაა; – მაგრამ ეტიმოლოგიაში კი, სიტყვათ შენებისათვის, ისეთი საძირკველია, რომ იმაზედ ეფუძნება მრავალი გამოთქმა და მრავალნაირი აზრი. ძალიან საქმე იქნებოდა და შრომა კარგა შეგვიმოკლდებოდა, რომ მოვახერხებდეთ როგორმე ათ-თორმეტ წყობაში მოვუყრიდეთ თავსა:

ა. რაც საჭმელი არის მარილნაქნარი, ე. ი. გასაგემრიელ-ებლად მარილით შეზავებული, იმისი ითქმის „მარილიანი“.

ბ. რადგან ეს ლექსი გემრიელად შეზავებას გამოგვიხატავს, რასაც თვალთათვის საამოსა ვნახავთ, იმაზედაც ვიტყვიტ მეტაფორულად, გადასხვაფერებითად, „მარილიანი“, ე. ი. „მოხდენილი“.

გ. რასაც არა აქვს მარილი და მეტაფორულად არა აქვს მოხდენილობა, იმისი ითქმის „უმარილო“.

დ. რთული ლექსი რომ ვიხმართ, მაგალითად: „მარილ-წყალი“ ან „პირისწყალი“, მაშინ დამტკიცებითად ითქმის – „მარილწყლიანი“, ან „პირწყლიანი“, – და გადათქმითად – „უმარილწყლო“, „უპირისწყლო“, ან „უპირწყლო“.

ე. რასაც ადგილს მარილი იჭრება, ქვა მარილი, იმ ადგილისა ითქმის „მარილოვანი“.

ვ. თუ რომლისამე ადგილისა თქმა გვინდა, იქ მარილი არ იცისო, არ იჭრებაო, „უმარილოვნაო“, ვიტყვიტ.

ზ. რამაც წყალმა ან ტბამ მარილის ხვიშირი იცის, იმ წყლისას, ან ტბისას ვიტყვიტ – „მარილოსანი“ „მარილწყლოვანი“.

წ. რა წყალიც ხვიშირს არ იგდებს, ის უმარილოსნა.

თ. მრავალი არის ნივთიერება ისეთი, რომ მარილმოუყრელი არ შეინახება, მალე ნახდება, გაიხრწნება, დაიშლება, დალპება. თუ მარილს დავაყრით, „დამარილებული“ შეიქნება, „დამარილწყლებული; თუ არა და – „დაუმარილებელი“, „დაუმარილწყლებელი“.

ი. სადაც მარილი იყო და აღარ არის, ან რასაცა ჰქონდა და აღარა აქვს, იმისი ითქმის – „ნამარილვე“.

ია. რასაც მარილი უნდა მიეცეს, ან მოეყაროს, ის არის „დასამარილებელი“; რასაც აქვს, ან აყრია – „დამარილებული“.

იბ. სადაც მარილს ანყობენ, როგორც შესანახავ მასალას, ან როგორც სავაჭრო საქონელს, იმ შენობასა ჰქვია „სამარილო“ და რაშიაც სახმარად ჰყრიან – „სამარილვე“.

6.

რასაც ხასიათი როგორიმე, ან სენი, ან ნივთეულება რამე დასჩემებია, ან დასთვისებია, იმისას ვიტყვით:

ჟინი – ჟინიანი; ფული – ფულიანი; ყიყვი – ყიყვიანი; დედ-მამა – დედმამიანი; ორბელი – ორბელიანი; დადიშქელი – დადიშქელიანი; იოსელი – იოსელიანი; ყიფი – ყიფიანი; წყალი – წყლიანი; ღვინო – ღვინიანი; ძმარი – ძმარიანი; ქმარი – ქმარიანი; მთიანი, კლდიანი, ქვიანი, ქვიშიანი, სამართლიანი.

ამათი გადათქმა:

უჟინო, უფულიო, უყიყვიო, უდედმამო, უწყლო, უძმრო, უქმრო, უმთო, უკლდო, უქვიშო, უსამართლო.

სხვა მაგალითიც გინდათ – კიდევა? –

რა სიტყვაც ენაზე მოგვადგებოდეს ის ავილოთ:

ხანჯალი:

ხანჯლიანი, უხანჯლო; ხანჯლოვანი, უხანჯლოვნო; ხანჯლოსანი, უხანჯლოსნო; დახანჯლული, დაუხანჯლავი...

ტყავი:

ტყავიანი, უტყავო; ტყავოსანი, უტყავოსნო; გატყავებულნი, გაუტყავებელი; ტყავმოსილი, ტყავუმოსლო...

ხელი:

ხელიანი, უხელო; ხელოვანი, უხელოვნო; ხელოსანი, უხელესნო; დახელოვნებული, დაუხელოვნებელი; ხელ-მართალი, უხელმართლო, ან ხელ-უმართლო; მოხელე; ხელობიანი, უხელობო. –

ხელი:

გახელებული, გაუხელებელი; გასახელებელი; გამხელებელი.

წითელი:

წითლიანი, უწითლო, წითლოვანი, წითლოსანი, – უწითლოვნო, უწითლოსნო; განითლებული, გაუწითლებელი; გადანიტლული, გადუწითლავი; გადანიტლებული, გადუწითლებელი; გასანიტლებელი, გამწითლებელი.

მართალი:

მართლიანი, უმართლო; – მჭედელი, სამჭედური, უსამჭედლო; – სახმილი, უსახმილო; – ქვაბი, ბარგი, დარდი, ყვავი, ვაზი; – უქვაბო, უბარგო, უდარდო, უყვავო, უვაზო; ბაგა, დაბა, ვადა, ჭკუა, ღობე, ღონე; უბაგო, უდაბო, უვადო, უჭკუო, უღობო, უღონო; ან კიდევ – დაბა: უდაბნო, უდაბური, უდაბურება.

ჩემი:

ჩემიანი, ჩემეული, ჩემებური, საჩემო, უჩემო, უჩემეულო, უსაჩემო, ჩემგანი, ჩემთაგანი, ჩემეულთაგანი...

ამისთანა მაგალითები აქ გავათავოთ, თორემ – ვადთუ შორს წაგვიტყუოს და აქ სხვაცა გვაქვს კიდევ სალაპარაკო ლექსთწარმოებაზედ.

რაც წინათ რიგი დავანესეთ, მოდის ახლა მეშვიდე და ესა-რის ტყეში შევდივართ; შევიდეთ ბარემ.

7.

1. სადაც უფრო ერთ-გვარი ხე არის: მუხა, თელა, ნაბლი, ნიფელა, მსხალი, ვაშლი, ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, თუნდ ძეძვი და ბურქი, იმისი ითქმის:

მუხნარი, თელნარი, ნაბლნარი, ნიფლნარი, მსხალნარი, ვაშლნარი, ფიჭვნარი, ნაძვნარი, სოჭნარი, ძეძვნარი, ბურქნარი...

2. რა ქვეყანასაც, ან რა მხარესაც უფრო იცის, ესე იგი, უფრო ეთვისება, უფრო მოდის, უფრო იზრდება ერთგვარი ხე, იმ ადგილისა ითქმის:

მუხოვანი, თელოვანი, ნაბლოვანი, ვაშლოვანი, მსხლოვანი...

რაც ამ ხეებ-ქვეშ სოკო მოდის, ეწოდება:

ფიჭვნარა, ნაძვნარა...

გამოდის, რომ ხის სახელს ბოლონდელი ხმოვანი ასოს მაგიერად ეძლევა – ერთ შემთხვევაში – „ნარი“, მეორეში – „ოვანი“ და მესამეში – „ნარა“.

ამ კანონიდან გამოსარიცხავი მაგალითი ძალიან იშვიათია.

8.

ერთი სახელისაგან მრავალ-გვარი სხვა და სხვა აზრი წარმოსდგება, – თავი ან ბოლო, ან ორივე როგორ გამოეცვლება, იმის მიხედვით.

ამისი მაგალითებიც მოვიყვანოთ:

ა. ძალი:

ძალა, ძლიერი, ძალოვანი, ძალუმი, ძალადი, საძალადო, ნაძალადევი; – ძლევა, ძლეული, მძლეველი, სანაძლევი, დაძალება, უძლები, უძლებობა, უძლებება, გაძლება, გამძლე, გამძლეობა, გაუძლებლობა, გასაძლისი, გაუსაძლისი, გაძლებინება, გაძალოვნება...

ბ. კვეთა:

გაკვეთა, დაკვეთა, საკვეთი, ნაკვეთი, ნაკეთი, დასაკვეთი, გასაკვეთი, დანაკვეთი, განაკვეთი, შეკვეთა; დამკვეთი, გამკვეთი, შემკვეთი, შემომკვეთი, შენაკვეთი, შესაკვეთი; გაკვეთილი, დაკვეთილი, შეკვეთილი, – გამკვეთელობა, დამკვეთელობა, შემკვეთელობა, ნაკვეთ-ნაკვეთი...

გ. თქმა:

აღთქმა, მითქმა, მოთქმა, შეთქმა, შეთქმულობა, გადათქმა, განთქმა; თქმულობა, თქმევიანება, თქმული, ნათქვამი, სათქმელი, თქმადი; აღთქმული, აღნათქვამი, გამოთქმული, გამონათქვამი, გადასათქმელი, გადანათქვამი, – აღმოთქმუ-

ლი, აღმოსათქმელი, თქმითი, აღთქმითი, მეთქვეობა, პირამთქმელი...

დ. წყალი:

სანყალი, პირისწყალი, პირწყლიანი, პირწყლიანობა, სანყლობა, სისანყლე, წყალობა, სანყალობელი, ნანყალობევი, შესანყალებელი, განყალებული, წყალნალებული, წყალნანალები, წყალნასალები, გაქარწყლება, გაქარწყლებული, გასაქარწყლებელი, შეწყალება, მონყალება, მწყალობელი, მწყალობლობა, დასანყალობევი, განანყალობევი...

შესაძლებელია ამ მაგალითების მიმხედმა სთქვას ვინმე, ერთი სიტყვისაგან რომ მაგდენნაირი სხვა და სხვა სიტყვები გამოგყავთ, ეგ ენის სიღარიბეს მოასწავებსო.

ენის ღირსება პირველსახე სიტყვების რიცხვით კი არ დაფასდება, – დაფასდება ბრუნვისა და ტრიალის მრავალგვაროვნობითა, – ესე იგი, – გრამმატიკული ფორმების სიმრავლითა და სინონიმებით.

ქართული ენისოდენი ფორმების სიმრავლე რომ არც ლათინურსა აქვს, არც ბერძნულსა და არც სხვა რომელსამე ევროპიულს ენას, ამას მალე ვნახავთ, – და იქნება თვითან ჩვენც გაგვიკვირდეს; –

და სინონიმებიც კი რომ მრავალია ჩვენს ენაში, – რამდენსამე ამისს მაგალითსაც მოვიყვან:

ბადე:

სათხეველი, სახვეპელი, სასროლი, ზელმა, ოსარო, პეტაკი, სალიკი, ფარონი, ღრიპონი, ჩიჩქინური, ბარჯი, ხოჭი, ჭვილთი, ოჩხი, ხოლიხი, კოვზი, ფაცერი, კონა, საფიჩხულე.

გზა:

ბილიკი, ქაშანი, ნავარნა, ჭარკვანა, მეზოდირი, გაჭრილი, ტკეცილი...

გუდა:

გვალაგი, ვაშკარანი, ბალანტი, თალისი, მაფრაშა, პარკი, ტომარა, საცალი, ქისა, საქუფიე, ჩახვი, ჩალთა, ხალთა-გუდა, ხურჯინი, აბგა, ჯალდანა, ჯუზდანა, ამინაური...

დილა:

რიჟრაჟი, ცისკარი, განთიადი, დაფიონი, ალიონი.

ზროხა:

ფური, ხარი, დეკეული, უშობელი, ბოჩოლა, მოცედი, მოზვერი, ზვარაკი, კურო, ბულა, ნიქარა, უსხი...

თოფი:

ჯაზაირი, ყარაბინა, მაჟარი, შაშხანა, სიათა, თურგმანი, მაჭახელა...

მუზიკა:

ს ა ბ ე რ ა ვ ი ი ა რ ა დ ე ბ ი: ავილო, ბუკი, ზროხაკული, ზურნა, ნალარა, ნაფირი, ნაბათი, ნესტვი, სალამური, სამვიკი, სასტვენელი, სპილენძჭური, დუდუკი, ღოროტოტო, სტვირი, გუდასტვირი; ს ი მ ო ვ ა ნ ი: ათძალი, ხუთძალი, ცხრაბოძალი, საორძალე, ებანი, ქნარი, საფსალმუნე, კითარი, სამუხი, სანთური, ფანტური, საზი, ჩანგი, ჩონგური, თარი, ჭიანური, ხოინარი, ჩალანი; – ს ა ც ე მ ნ ი (საკრავნი): ბობლანი, დაბდაბი, დაფი, დაირა, დუმბული, ტიმპანი, ქოსი, წინწილი, დიპლიპიტო...

მოდით და პირველს სიტყვის ნაწილზედ ჩვენი საუბარი აქ შევაცენოთ.

ჭაში რომ წყალი ამოილეგოდეს კიდეცა, არ უნდა ამოლიონ; იქნება სხვამაც მოიკლას წყურვილიო, იტყვიან.

ამისი არ იყოს, რა გვენადვლება სხვებმაც მოიკლან ქართული გრამმატიკოსობის ჟინი: საქმეს მაინც ხომ არც არა ევენება რა და არც არა დააკლდება რა.

თავი II.

ნაცვალსახელი ან ნაკლ-სახელი.

ნაცვალ-სახელი, ან, როგორც კათალიკოსს დაურქმევია, ნაკლ-სახელი, იმისთვის არის, რომ ერთი და იგივე სახელი

მეტად ხშირად არ იხსენებოდეს და ამითი საუბარს მეტის მეტი აჭრელებით სიამოვნება არ აკლდებოდეს.

ნაცვალ-სახელი არის რვა გვარი:

1. პიროვნებითი:

მე, შენ, ის – (იგი); ჩვენ, თქვენ; ისინი – (იგინი).

2. ჩვენებითი:

ეს, ესე (არა ასე); ეგ, ეგე; ესენი, ეგენი.

3. საკუთრებითი:

ჩემი, შენი, ამისი, მაგისი, იმისი, ჩვენი, თქვენი, ამათი, მაგათი, იმათი, თავისი, თვისი. –

4. კითხვითი:

ვინ, რა, რომელი; ვილა, რაღა, რომელიღა.

5. მოაზრებითი:

ვინმე, რამე, რომელიმე, ვილაცა, რაღაცა, რომელიღაცა.

6. შედარებითი:

ასეთი, ისეთი, ჩემისთანა, შენისთანა; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ჩემოდენი, შენოდენი, იმოდენი, ჩვენოდენი, თქვენოდენი, იმათოდენი, თქვენისთანა; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამგვარი, მაგგვარი, იმგვარი; ამოდენა, მაგოდენა, იმოდენა, ამისოდენა, ამათოდენა, მაგათოდენა, იმათოდენა, ამდენი, მაგდენი, იმდენი.

თითქმის ყოველ თვისებითს (ზედშესრულს) სახელს მიუდგება ნაცვალსახელი: „ამ, ამათ, მაგ, მაგათ, იმ, იმათ“. მაგრამ ერთის აუცილებელი პირობით რომ სახელს ნინ-უძლოდეს ჯერ ხასიათის ნიშანი მარცვალი „სი“ და ბოლოს „ი“ ეცვლებოდეს უ-დ:

შენსიმდიდრე, ამსიმალღე, მაგსინმინდღე, იმსითეთრე, – ამსიმაგრე, მაგსინედღე იმსიბრიყვე...

7. უკუთქმითი:

არა ვინ, არარა, არა ფერი; –

8. შემოკრებითი:

ყველა, ყოველივე.

პირველს ორს გარდა, თითქმის ყოველი აქ მოხსენებული ნაცვალ-სახელი ისე ირევა, მერყეობას ისე დაჰყვება, რო-

გორც სახელი; – მაგრამ, „თითქმის“ მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ განსხვავებაც კი არის რამდენიმე.

და ის პირველნი ორნი თავს სულაც არ იდრეკენ; უფრო ბეჯითად კი რო ვთქვათ, – პირველი მეორეზედ ცოტა უფრო იჩენს ზრდილობასა, რომ საკუთრებით სახეს მაინც უთმობს ადგილსა და მეორე ხომ თანდებულსაც ძლივსა ყაბულობს.

მაგალითი:

კითხვა.

პასუხი.

- | | |
|-----------------------|------------------|
| 1. ვინ არის, ვინ იყო? | მე, შენ |
| 2. ვისთვის, ვისგან? | ჩემთვის – შენგან |
| 3. ვის უნდა? | მე – შენ |
| 4. ვინა თქვა? | მე – შენ. |

მრავლობითში სულ არ იცვლებიან:

- | | |
|-------------|----------|
| 1. ჩვენ | თქვენ |
| 2. ჩვენთვის | თქვენგან |
| 3. ჩვენ | თქვენ |
| 4. ჩვენ | თქვენ. |

მესამე პირი ასე მერყეობს:

მხოლ.

მრავლ.

- | | | | |
|--------------|----------|----------|--------|
| 1. ის, | იგი, | ისინი, | იგინი |
| 2. იმისთვის, | მისთვის, | იმათგან, | მათგან |
| 3. იმას, | მას, | იმათ, | მათ |
| 4. იმან, | მან, | იმათ, | მათ. |

ჩვენებითის მერყეობა:

ცალკე:

1. ეს, ესე; ეგ, ეგე; ის, ისა; ესენი, ეგენი, ისინი
2. ამის, მაგის, იმის, ამათი, მაგათი, იმათი
3. ამას, მაგას, იმას, ამათ, მაგათ, იმათ
4. ამან, მაგან, იმან, ამათა, მაგათ, იმათ.

სხვა სახელთან:

1. ეს დანა ეგ ხმალი ის ხე
2. ამ დანისა მაგ ხმლისა იმ ხისა
3. ამ დანას მაგ ხმალს იმ ხეს
4. ამ დანამ მაგ ხმალმა იმ ხემ.

მრავლობითშიაც მარტო სახელი ჰყვება მერყეობას.

გამოდის, რომ თუ ჩვენებითი ნაცვალ-სახელი იმ სახელთან ერთად დავაბრუნეთ, რომელსაც გვიჩვენებს, – მაშინ ამისი რყევა მხოლოდ ეს არის: „**ეს, ამ; ეგ, მაგ და ის, იგი, – იმ**“. სახელი კი, თითქო ნაცვალ-სახელს ყურსაც არ ათხოვებდესო, თავისთავად და თავისი რიგით ირყევა.

შედარებითი ნაცვალსახელები:

ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამგვარი, ამფერი, ამდენი, ამოდენა...

სწორეთ ისე ირყევიან, თითქო სახელები ყოფილიყვნენ, – ასე რომ თითქმის სულაც არ უნდა ითვლებოდნენ ნაცვალ-სახელებად.

ამგვარადვე მერყეობენ სხვა ნაცვალ-სახელებიცა:

საკუთრებითი: ჩემი, შენი; ჩემისა, შენისა.

კითხვითი: ვინ, რა, რომელი; ვისი, რისა, რომლისა...

შემოკრებითი: ყოველი, ყველა, ყოვლისა, ყველასი.

და უკუთქმითი: არა ვინ, არცარა ვინ, არა ვისი, არცარავისი.

ამავე გვარად ირყევიან კიდევ:

მოაზრებითი: ვინლა ან ვილა, რალა; ვისლა, რისლა; ვინცა, რაცა, ვისიცა, რისიცა; ვინმე, რამე, ვისიმე, რისიმე; რომელი-ლა, რომლისლა, რომელიცა, რომლისაცა, რომელიმე, რომლისამე; –

და **პიროვნებითი განმეორებითი:** მევე, შენვე, იგივე ან ისვე;

მაგრამ ეს ბოლონდელი მარცვლები: „**ლა, ცა, მე, ვე**“, – როგორცა ვჰხედავთ, ბრუნვის ცვლილებას კი არ უშლიან, – ყოველთვის თან მიჰყვებიან ისე უცვალეზლად, როგორც დასახელებთს ბრუნვაში:

ვისილა, რამაცა, რომელმამე, ამითივე...

მაშ ეს როგორ არისო, მკითხავთ, რომ ზოგი განთქმული და სახელოვანი ჩვენი მწერალი სწერს:

ვისმესი, ვისმესთან, რისმესაგან.

მართალს ამბობთ.

არათუ ზოგიერთი კარგ-მწერლობთაგანი ლაპარაკშიაცა და წერაშიაცა ხმარობს მაგ უკანონო სახესა; – ადგილ-ადგილ ძველ მწერლობაშიაც ამომიკითხავს; ეს კიდევ არა ფერი: თითქმის მთელი დასავლეთ-საქართველოს ხალხი, – დანებისა და ძმანებისა არ იყოს, – მაგ ჩვეულებას ადგია.

აქაც დიდათა ვსწუხვარ, რომ იქნება ზოგს ისეთს ეწყინოს ეს ჩემი სიტყვა, ვისიც პატივისცემა და სიყვარული დანერგილი მაქვს გულში; მაგრამ თქვენთან მაინც, ჩემო სიცოცხლე შვილებო, გამოტეხით უნდა ვთქვა, რომ გრამმატიკის წინაშე ისეთი დიდი უკანონოება არის ამგვარი სახე, ამ გვარი ფორმა ქართული სიტყვიერებისა, რომ ვისაც კი უკანონოება არ უყვარს, უსათუოთ უნდა ერიდებოდეს. –

როგორც ყოველი სამოქალაქო ან საპოლიტიკო კანონი იმისთვის იწერება, რომ საზოგადოებაში რიგი დანესდეს ვნებათ-დამაცხრობელი, დამამშვიდებელი და მართლ-მსაჯულებით კაცობრიობის სიცოცხლის განმავითარებელი; გრამმატიკის კანონებიც განსაკუთრებითად იმისთვის იწერება,

თვითან ენის თვისებათაგან გამოკრებილი, რომ სიტყვიერებაში რიგი დანესდეს უკმეხობის გამდევნელი, ყურთასმენის დამატებობელი და მართლმოუბრობით ენის განმამევენებელი.

რომელი ქართველი იტყვის, თუ რიგიანად დაუფიქრდა საქმესა, რომ ლაპარაკის შეუფერხებლად მიმდინარეობისათვის კინტოების უკანონო კილო სჯობდეს – წმინდა ქართულ კილოსა? რომელი იტყვის:

„საათის ხუთზე; საათის მეოთხეზე; ერთი ვისმესგან თუ ვინმესგან; ერთს რასმეზე დანაშაული ვარ; ერთ ვინმემ მომატყუილა; ორთავენი ვიყავით; პავლემ წავიდა“.

ვინ იტყვის, რომ ამისთანა ლაპარაკი ჰსჯობდეს რაშიმე კანონიერსა:

„ხუთსაათზედ; მეოთხე საათზედ; ვისგანმე; ვისთანმე, ვისთვისმე; რაზედმე, დანაშაული მაქვს, ან დამნაშავე ვარ; ერთმა ვინმე მომატყუა; ორნივე ვიყავით“.

ცოტა რამ დაფიქრების მეტი კი არა უნდა რა, რომ ყურთათვის საწყენი სიტყვა არ წამოგვცდებოდეს ხოლმე; – დაუფიქრებლობას ნუ შევეჩვევით, შვილებო; ცუდი ბოლო აქვს.

კიდევ ამითი გვიფუჭდება საქმე, რომ რაღაც ბატონობასა ვართ დაჩვეულნი, და არა გვნებავს დაფიქრებით თავი შევიწუხოთ ხოლმე.

მანამდინ სახელზე და ნაცვალ-სახელზედ ლაპარაკს გავათავებდეთ, ენის წინწყენებაზედაცა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ის კი არა ვის ეგონოს, ქართულს ენას გამოქნა აკლია და აქაიქ ესა და ეს წამატება უნდა კიდევო.

არა!

ჩვენი სათქმელი აქ ის არის, რომ, როგორც ახლანდელი მეცნიერება გვიმტკიცებს, მთელს მსოფლიოში უძრავი არა არისრა; არა არისრა გაჩენილი ისეთი, რომ ან წინ არ მიდიოდეს, ან უკან არა რჩებოდეს; – ენაც ამგვარს დაუცხრომელ მოძრაობაში არის: თუ წინ მიდის, ქება და დიდება იმისს ფაქტორებს, იმისს მოსაქმეებს. – და თუ უკანა რჩება... ფუ იმათ კაცობას...

რაც განგებას თქვენთვის გზა უჩვენებია, თქმა არ გაბედოთ, დავიღალეთ, ვედარ ვივლითო; – თორემ თუ ერთი შედეგით როდისმე, მდგარი წყალი – ხომ იცით, დატბორდება და თუ დატბორდა, ხავსს მოიკიდებს და აყროლდება კიდევცა.

ენამაც უნდა იმდინარეოს; რაც ახალი სწავლისა ან ახალი აზრისათვის საჭირო ლექსი იქნება, ან შეხამება სიტყვებისა, უნდა შეითვისოს ენამ, როგორც მდინარე წყალი პატარ-პატარა წყაროებს ითვისებს; ყოველი – საუბრის დამშვენებელი სიტყვათ წყობილობა, ფორმა, ყოველი აზრის მოხდენილი გამოხატვა, სახე, მოყვანილობა – დიად უნდა მიიღებოდეს; მაგრამ სიფთხილით, წინმხედველობით, გარჩევით, რომ სიგონჯე და უმსგავსოება არა შემოგვეპაროს რა.

მოკამკამე მდინარეს ავდარში აქეთ-იქიდამ მღვრიე წყლები შეედინებიან და იმასაც აამღვრევენ; მაგრამ დიდი მდინარე მაინც თავისთვის მიდის და რაც ამმღვრევი ერევა ყურსაც არ გაანძრევს, ისე დაილეკს ხოლმე; რაც შინ დასაქადებელი გვეგულება რამე ან დედმამისაგან ნაღვანი და შემუშავებული, რა კაცობა და რა ერის შვილობა იქნება, რომ სხვების მიბადვით ავითვალწუნოთ, აქაო და „ელუსამეთს თურმე უკეთა ჰფერვენ სახნის-საკვეთსაო!“ –

ახლა ერთი დიდი გაბედვა უნდა გავბედოთ და მესამე სიტყვისნაწილზედ დავიწყოთ საუბარი.

თვალუნვდენელი ადგილი უჭირავს „ზმნასა“ ყოველს ენაში და ქართულში ხომ რაღა თქმა უნდა.

თავი III.

ზ მ ნ ა.

ზმნა იმ სიტყვასა ჰქვია, რომლითაც ან მოქმედება გამოითქმის რამე, ან მდგომარება.

ვაშენებ, მძინავს.

ზმნა ყოველი ენისათვის სულია მაცოცხლებელი და ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ყოველს გრამმატიკოსს დიდად უჭირს იმისი ხელში მოგდება. იმათი უმთავრესი და დაუცხრომელი მეცადინეობა ის არის, რომ, რადგან სულს ხელი არ მოეკიდება, საბუდარი მანც მიაგნონ როგორმე ზმნისა და ისე მიიმწყვიდონ, რომ იმისი ბუნებისა და ხასიათის გულდასმით გამოკვლევა შეიძლებოდეს; და რა კი ამ სურვილს შეისრულებენ, მაშინ რაღა დაუშლით, რომ კანონიერი წრეც ისეთი დაუნესონ, საიდამაც დაუსჯელად გამოსვლა აღარა ზმნას აღარ შეეძლებოდეს.

ევროპიულს ენებში იქამდინ მიაღწიეს, რომ ზმნების უმეტეს ნაწილს ოთხ-ხუთ კალაპოტში მოუყარეს თავი და რაც ამ კალაპოტებს მოჰყვება, დაარქვეს ზმნა კანონიერი, და რაც არა, თითქო განჰკიცხესო, და დაარქვეს უკანონო.

არის ზოგი ისეთი ენა, რომ თვლით იცინან, რამდენი არის ამ ენაში უკანონო ზმნა, – და რომელშიაც უფრო ცოტა არის, ის უფრო ადვილად შეისწავლება.

ქართული ზმნების შინჯვას რომ დალაგებით დავადგეთ, ჯერ ის უნდა წარმოვიდგინოთ, რასაც ჩვენი ძველი ღრამმატიკოსები გვასწავლიდნენ.

ანტონ-ქათალიკოზი ბრძანებს თავის ღრამმატიკაში:

„გარემონი ზმნათანი არიან რვა:

1. ნათესავი-შემოქმედებითი და ვნებითი;
2. ნაკვეთი – მარტივი – „ვრიტორებ“, – რთული – „წრფელვრიტორებ“, და ზედდადებული – „განვაყენებ“, „დავსჯი“, „უკუნვაქცევ“, „ქვემოვიღებ“.
3. სახე – „წოვა“, „ორძვა“, „ცენება“; – სხმით-გარდასვლითი – „ვანოვებ“, „ვაორძინებ“, „ვაცენებ“, – და მრჩობლსხმით გარდასვლითი, – „ვანოვებინებ“, „ვაორძინებინებ“, „ვაცენებინებ“.
4. რიცხვი – მხოლოობითი და მრავლობითი;
5. პირი – „მე, შენ, იგი; ჩვენ, თქვენ, იგინი“.
6. ჟამი – „ანმყოფ, ნამყოფ: უსრული“,

სრული, უსრულესი, უუსრულესი და მყოობადი: მარტივი და სრული.

7. სქესი:

1. საზღვრებითი: „ებ, ავ, ან, ამ, ონ, ოფ, უხ, ურს, ი, ი“.

2. ბრძანებითი: „ებ, ავ, ან, ამ, ონ, ოფ, უხ, ურს, ი, ი“.

3. სანადისი: „ებდე, ვიდე, ანდე, მიდე, ონდე, უხდე, ურდე, იდე, ოდე“.

4. უჩინო – „ვად, ვად, ვად“.

5. ქვენყობილებითი: „მეკეთებინა, ვაკეთო“.

და 8. უღლვილება, რომელსაცა ჰყოფს ათად, მაგრამ წინგნ-ში კი ექვსის მეტი არა სჩანს:

1. შევიყვარებ, დავსცემ, ვარწმუნებ, ვნერგ, ვნმენდ, ვკვეთ, ვრეკ, ვცემ, ვასმენ, ვნენ, ვნერ, ვლეს, ვხეთქ, ვტეხ, ვღერდ, ვჭეჭყ, ვჩეჩ, ვხვეტ, ვრეცხ, ვამაღლებ.

2. შეეკრავ, განვებან, აღვიხვამ, მრწამს, ვესავ, ვკაფავ, მინდა, ვასმევ, ვალ, ვღელავ, ვჭმუნავ, ვსდგა.

3. აღვსწონ, განვჰყოფ, ვჰყვარობ, განვზომ, შევმოს, ვჰკოდ, აღვზოც, ვაჭნობ, ვაროკ, ვაგჰყოფ, ვბორგ, ვროკ, ვბრძნობ, ვგალობ, ვსთმობ, ვსწუხ.

4. მსურს, ვხურ, ხურს, მწყურს, ვსუქ, ვსწუხ – (ეს წინაც არის).

5. განვხდი, დავვარდები, ვძრცვი, ვმკი, ვშლი, ვხსნი, ვსჭრი, ვმწყსი, ვტრფი, ვრცხი – ვრეცხე, ვსჯი“.

შესანიშნავი არის ამ მეხუთე უღლვილების ახსნა, მეცხრე თავში:

„მეხუთისათვისცა უღლვილებისა“ ხამს ჩვენდა აღძრვად ერმი ჩვენ შორის და გარდაცემად თუ ვითარ არს ესე:

პირველად ინისა უკვე უღლვილებისა ქვეშე მეზობელთა ჩვენთა ჰაოსიანთა ენასა არა აქვს შემოქმედებითნი ზმნანი, არამედ უფროსლა ვნებითი განწესებით და ესე ფრიად ეთნების გონებასა ჩვენსა, რამეთუ კანუნიცა ქვეშე დანაკვეთდების ზმნათ შეენიერგვარად, და არა ბარბაროს მეტყველად, მაგრამ ჩვენსა ზედა ენასა ვინადგან მოვლენ ინისაცა უღლვილები-

სა ქვეშე შემოღებისაებრ ფარნავაზ მეფისა ქართველთასა, შემოვიყვანენით ჩვენცა კანუნიცა ქვეშე ინისაცა უღლვილე-ბად: ხოლო დადებად, მეხუთედ ალაღმად, და არა მესამედ ინისა, ამით იქმნა ჩვენ მიერ, რამეთუ „ი“ ვინათგან ვნებითად სცვალეbs ზმნად შემოქმედებითსა: აქ შესაბამ დადებად იგანმხედველა გონებაჲმან ჩვენმან“.

და 6. პირნაკლიზმნა – „თოვს, წვიმს, თენდება“.

გაიოს არხიეპისკოპოზი ზმნებსა ჰყოფს ორ რიგად: ერთს რიგში მოჰყავს ზმნები, რომელთაც თავს უზისთ **მ**:

მსურს, მეგულება, მნადს...

და მეორეში, – რომელთაც უზისთ **ვ**:

ვსნერ, ვაშენებ, ვზრუნავ...

უღლვილებასა ჰყოფს ექვსად.

პლატონ იოსელიანიც ორ რიგათა ჰყოფს ზმნასა, მაგრამ თვითანვე აუქმებს ამ დაყოფას: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონიო“, მონყვეტით ამბობს თავისს ღრამმატიკაში.

ქათალიკოზს აქეთ ჩვენს პატივცემულს პროფესორებს დავით ჩუბინოვსა და ალექსანდრე ცაგარელზედ უმეტესი შრომა არამგონია გაენიოს ვისმე ქართული გრამმატიკის შემუშავებაში და ქართული ზმნის დაახლოვებით კვლევაში: ოც ხარისხადა ჰყოფს ჩუბინოვი ზმნის უღლვილებასა და სიმართლეს ვინ უფრო დაუახლოვდა, ჩვენც რომ უღლვილებას დავადგებით, მაშინ შევიტყობთ.

მეტად ბევრია და ბევრგვარია ქართული ზმნა: სახელი არ არის ისეთი, რომ ზმნად გადაქცევა არ შეიძლებოდეს:

ქვა, შეშა, წყალი; ვაქვავებ, ვაშემებ, ვანყალებ; – ქვავდე-ბა, შეშდება, წყალდება; –

ზმნა არ არის ისეთი, რომ სახელად არ გადაიქცევოდეს:

წერა, შენება, ძილი; –

და ზმნა არ არის ისეთი, რომ შემთხვევის მიხედვით არ იცვლიდეს სახესაცა და მოყვანილობასაც:

მიყვარს, უყვარვარ; ვჰყვარობ, მიყვარობს; ვაყვარებ, მაყვარებს; ვმყვარებლობ, მიყვარებლობს; ვმოყვარულობ, ვმოყვარეობ, ვმოყვრობ, ვემოყვრები, მიმოყვრდება...

უნდა კი ვეცადნეთ გადავავლოთ როგორმე თვალი იმ სივრცეს, რაც რომ ქართულს ენაში ზმნას უჭირავს. მაგრამ ამ გადავლებასაც კარგი მომზადება უნდა.

ყოველი სწავლა იმაზედ ემყარება, რომ სხვებისაგან არის გამოცდილებითა თუ გამოკვლევით მიგნებული, – და აქაც ამას უნდა დავადგეთ.

ჯერ ის მოვიგონოთ, რაც რუსულისა და ფრანცუზული ენების სწავლაში ზმნების ტრიალი გინახავთ. რაც იმ ზმნების თვისება და ხასიათი შეგისწავლიათ, ჯერ იმათი ნიშნები და იმათი დაყოფა წარმოვიდგინოთ; –

მერე, შედარებით იქნება, თუ გაცალკევებით, ჩვენი ზმნების ხასიათი და ნიშნები გავშინჯოთ; – მაშინ უფრო ადვილად დაიხსომებთ, რასაც ნახავთ.

– მამავ! რუსული და ფრანცუზული ენების ტრიალი თუ მოვიყვანეთ, ევროპიული ენების დედა ხომ ზოგისა ბერძნულია, ზოგისა ლათინური; ამ ენებიდამაც იქნება რამე ზმნებისა მოსაყვანი, თუ, რაც მერყეობაზედ ითქვა, იმაზემეტი ალარა იქნება რა?

– იქნება, შვილო, როგორ არა. სხვა არა იყოსრა, ამ მიზეზით მაინც უნდა მოვიყვანოთ, რომ ჩვენი ენაც ძალიან ძველია და დიდხნის შემუშავებული; – იმ ენებთანაც უწევია მეზობლობის უღელი და რათ უნდა დავაგდებინოთ ან ძველი გზა ან ძველი მეგობარი!

ზმნა რა აზრსაც გამოგვითქვამს, რასაც გამოგვიხატავს, ან რასაც გაგვაგონებს, იმის მიხედვით იყოფება, როგორც ამას წინათაცა ვთქვით, – ორ უმთავრეს ხმად: **загол**, la voix: მოქმედებითად და მდგომარეობითად:

ვსწერ, ვაშენებ, ვაძინებ, ვწერები, ვშენდები, ვიძინებ.

მეორე ხმის ზმნებში ითვლება ერთი ცალკე მდგომარე ზმნაცა, რომელსაც ეწოდება არსებითი, – „**ვარ**“. ამ ზმნას,

მნიშვნელობის მიხედვით, სხვა სახელიცა ჰქვია: „დახმარებითი“, *вспомогательный, auxiliaire*.

როგორც ყოველი სახელი და ნაცვალსახელი ირყევა და ბრუნავს, ისე ყოველი ზმნა ირხევა და ტრიალებს. იქ იყო „მერყეობა“ და „ბრუნვა“; აქ არის „უღლვილება“ და „მიმოხვრა“, *спряжение, la conjugaison, conjugatio*.

ხომ არ ივინყებთ, რომ აქ ჯერ უცხო ენებზედა გვაქვს ლაპარაკი.

ამ უღლვილებაში, თუ მიმოხვრაში, გაირჩევა:

1. დრო სამგვარი:

ა. ახლანდელი, „ანმყო“; *настоящее, le présent*.

ბ. გავლილი, „ნამყო“; *прошедшее, le prétérit*. და

გ. მომავალი, „მყოობადი“; – *будущее, le futur*.

2. სახე, *вид, l'aspect*, ხუთგვარი:

ა. გავლილი გაუთავებელი, ან „ნამყოუსრული“; *прошедшее несовершенное, prétérit indéfini*;

ბ. გავლილი გათავებული, ან „ნამყო სრული“, – *прош. совершенное, prétérit défini*;

გ. გავლილი დიად გათავებული – ან „ნამყო უსრულესი“ – *давнопрошедшее, plusqueparfait*;

დ. გავლილი ერთგზისი, *прошедшее однократное*. და

ე. გავლილი მრავალგზისი, *прошедшее многократное*.

ეს უკანასკნელი ორი გვარი არც ჩვენში არის, არც ფრანცუზულში.

3. დახრა ხუთგვარი: *наклонение, le mode*; ძველებურად ჩვენს ღრამმატიკებში ამას ერქვა „სქესი“; დიდად უკაცრავადა ვარ, მაგრამ აქ სქესს მნიშვნელობა სრულებით არა აქვს რა.

ა. დახრა დაუბოლოვებელი, განუსაზღვრებელი, – *наклонение неопределительное, неокончателное, l'infinitif*; ქათალიკოზისა და დავით ჩუბინაშვილის ღრამმატიკით „სქესი უჩინო“.

ბ. დახრა ჩვენებითი, „განსაზღვრებითი“, *изъявительное, l'indicatif*;

გ. დახრა დასაქმებითი, „ბრძანებითი“, *повелительное, l'imperatif*; –

დ. დახრა პირობითი, le conditionnel, – და

ე. დახრა ნატვრითი ან „სანადისი“ (ქათალიკოზის სქესი იპოთეტიკადას), le subjonctif.

ეს უკანასკნელი ორი დახრა რუსულში არ არის.

4. პირი სამი: „მე, შენ, ის – იგი“; – „ჩვენ, თქვენ, ისინი – იგი-ინი“.

5. რიცხვი ორი – „მხოლოდობითი და მრავლობითი“.

6. გვარი (სქესი სწორეთ ეს არის) род, le genre, – სამი:

ა. „მამრობითი“.

ბ. „მდედრობითი“.

გ. „უმეშვეობითი“. ჭრანცუზულში არ არის ეს მესამე, და ჩვენში არც ერთი. –

არის კიდევ ძველს ევროპიულ ენებში:

ლათინურში – „გერუნდი“, gerundium, რომელსაც ეთანხმება ჩვენი სახელზმნა: „წერა, შენება, კეთება“; „გერუნდივი“, gerundivum, რომელსაც ეთანხმება ქართული სახელზმნა მყოობადი: „დასაწერი, ასაშენებელი, გასაკეთებელი, საზრუნავი“...

და „სუპინი“ – supinum, რომელსაც ეთანხმება ძველი უჩინო დახრა, – და ახლანდელი ზმნისზედა: „დასაწერად, ასაშენებლად, გასაკეთებლად“...

ბერძნულში: დრონი „უმთავრესნი“: ვსწერე, ვაშენე, ვაკეთე...

დრონი „საისტორიონი“: „ვსწერდი, ვაშენებდი, ვაკეთებდი“...

და დრო, წოდებული – „აორისტად, აორისტი“: „მინერია, მიშენებია, მიკეთებია“... „იქნება როდისმე მწეროს, მშენებინოს, მეკეთებინოს“...

ეს ყოველივე არის ჩვენშიაც, თუმცა კი თავთავისი სახელი ზოგსა აქვს და ზოგს არა.

აბა ერთი კიდევ მოვთვალოთ, ჩვენში რა და რა არ არის:

1. არ არის დახრა „დაუბოლოვებელი, განუსაზღვრებელი“, ძველთაგან „უჩინოდ“ წოდებული. რაც თავისთავად უჩინოა, მაინცა და მაინც უნდა გამოაჩინოთო, რომ დაგვიჟი-

ნონ, როგორ გამოვაჩენთ? – ამის მაგიერად იხმარება სიტყვა, რომელსაც ჩვენებურადა ჰქვია „სახელზმნა“, отлагательное имя; მხოლოდ ლათინურში არის ის მსგავსება ამისი, რომელსაც, ახლა რომ ვთქვით, ეწოდება, გერუნდი; ნერა, შენება, კეთება, დგომა, დგმა...

უნინ იყო:

ნერად, შენებად, კეთებად, დგომად, დგმად...

მაგრამ შემდეგში ვნახავთ, რომ ეს სხვა სიტყვის ნაწილი არის, რომელსაც ეწოდება „ზმნისზედა“; –

2. არ არის ჩვენში გარჩევა სქესებისა, როგორც მერყეობა-ზედაცა ვთქვით.

და 3. არ არის სახე გავლილი, однократное и многократное, „ერთგზისი და მრავალგზისი“.

ახლა რაც ჩვენში არის და ევროპიულს ზმნებში არ არის, ის მოვთვალოთ:

1. იქ არ არის მაგალითი, რომ ერთი ზმნა ოთხგვარად იცვლიდეს თავისს მოყვანილობასაცა და მნიშვნელობასაც, – ან ასე ვთქვათ, – რომ ერთი ზმნა ოთხ ხმად გამოდიოდეს, როგორც მოქმედებითი, ისე მდგომარებითი:

1. პირველ ხმას დაჰყვება ყოველი ზმნა, „მარტივად, პირველსახედ“ მოყვანილი:

ვსნერ, ვაშენებ; ვწევარ, მძინავს; –

2. მეორე ხმას დაჰყვება ზმნის ისეთი სამში ტრიალი, რომ მოქმედება, თუ მდგომარეობა ერთი პირისაგან მეორესა და მესამეზედ გადადიოდ-გადმოდიოდეს:

მწერ, მწერს; გწერ, გწერს;

მაძინებ, მაძინებს; გაძინებ, გაძინებს.

ეს არის სახე ურთიერთარსობითი.

ბერძნულში არის ერთი რამდენადმე ამისი მინამსგავსი სახე, ისიც ძალიან შეზღუდული, მაგალითად:

ვირჩევ, ან ვერჩევი, ან ვირჩევი, ესე იგი: რჩევაში ვარ და მირჩევენ.

3. მესამე ხმას დაჰყვება ისეთნაირად გამოცვლილი ზმნა, რომ პირველი პირის მოქმედება ან გავლენა მეორე პირზედ გადაჰქონდეს:

ვანერინებ, ვანვენ, ვაძინებ...

ამ სახესა ჰქვია სხმით გადასვლითი.

და 4. მეოთხე ხმას დაჰყვება ზმნა, რომელსაც ამგვარივე მოქმედება, თუ გავლენა, მეორე პირის საშუალობით მესამეზედ გადააქვს:

ვანერინებინებ, ვანვენინებინებ...

ამასა ჰქვია „მრჩობლსხმით გადასვლითი“.

II. ევროპიულს ენებში არ არის ისეთი სახე ზმნისა, რომ ერთი პირის მოქმედება სხვასაც ბევრს მიემართებოდეს და სხვა მრავალი პირისა ერთსა:

გნერ, გწეროთ, მწერს – გვწერს, მწერენ – გვწერენ.

III. ევროპიული ენებისათვის უცნაური ერთი ეს თვისება არის კიდევ ჩვენი ენისა, რომ ქართულ ზმნას ყოველგან და ყოველთვის თავისი საკუთარი ნიშნები აქვს, რომლითაც პირი და რიცხვი მაშინვე გაირჩევა და ნაცვალსახელი კი, თუმცა შეიძლება ყოველთვის იხმარებოდეს, მაგრამ საჭირო არასდროს არ არის თუ არ მაშინ, როდესაც ლოგიკური ხმის დაკვეთა მოითხოვს:

ვსწერ, ვსწერთ, ვაშენებ; გაძინებს, გამხნევებს; უკეთებენ, უშენებენ.

ამგვარი თვისება აქვს ბერძნულს მიმოხვრას; მაგრამ იქ ზმნის გამაპიროვნებელი არის მარტო დაბოლოვება და არა დასაბამი;

βισλεϋ-α, βισλεϋ-ει – ვარჩევ, არჩევ, არჩევს.

ხანდახან დასაბამშიაც მოუფუდება ზმნას მარცვალი, ან **ξ** ან **βξ**, მაგრამ მხოლოდ დროს გასარჩევად.

IV. ევროპიულს ენებს არა აქვთ ის წინანდელზედ უფრო შესანიშნავი თვისება, რომ თითქმის ყოველი „მდგომარეობი-

თი “ ზმნა „მოქმედებითად“ გადიქცევოდეს და „მოქმედებითი მდგომარებითად“:

ვდგევარ, ვადგენ, ვამდგომარებ; მძინავს, ვაძინებ, ვამძინარებ; ვაშენებ, ვშენდები, ვშენებლობ; მტკივა, ვამტკივებ, ვამიტკივებ.

რუსულში არის რამდენიმე: *сйжу, сажая; стою, ставлю; сплю, усыпляю*; – მაგრამ უმეტესი ნაწილი კი არ გადამოქმედებითდება, როგორც, მაგალითად:

მცევა, მტკივა, ვსტირი, ვწუხვარ; მამცივნებს, მამტკივნებს, მამტირებს, მანწუხებს, მდგომარებითდება, მოქმედებითდება. –

V. არა ევროპიული ზმნის დასაქმებითი – (ბრძანებითი) – სახე არ განიყოფება ისე, როგორც ჩვენი; – ამ სახეს ჩვენს მიმოხვრაში აქვს სამი მნიშვნელობა:

1. დასაქმებითი „რჩევითი“:
დასწერე, დასწეროს.
2. დასაქმებითი „დაშლითი“:
ნუ დასწერ, ნუ დასწერს.
3. დასაქმებითი „ბრძანებითი“:
არ დასწერო, არ დასწეროს.

VI. ერთი უცხო ენებისაგან ჩვენი ენის განმასხვავებელი თვისება კიდევ ეს არის, რომ სხვა ენებში ზმნა რა ხმისაც უნდა იყოს ან რა სახისაც, ბოლოთი იცნობება და ჩვენი ზმნისა კი უმთავრესი ნიშანი თავი არის; მაგალითად: რუსულ ზმნასა აქვს დაბოლოვება – *ть, ться, чь, чься*; ფრანცუზულსა, – როგორც ლათინურს *er, re*; ბერძნულს – *ω, μαι*.

ჩვენი რომ ზმნა უფრო პირით გაირჩევა, – ამისი მიზეზი იქნება ის აყოს, რომ ჩვენი ძველები ყველას პირში უშიშრად შეჰხედავდნენ ხოლმე, ვნახოთ, საქმე ვისთან უნდა ვიქონიოთ; – უკან მოქცევა კი ძალიან სათაკილოდ თურმე მიაჩნდათ. –

და VII. ევროპიული ზმნა, რა სახისაც უნდა იყოს და რა დროისაც, ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვას, ან ბრუნვებს, მოითხოვს.

მაგალითად:

писать

пишу

писал

написал

буду писать

напишу

пиши

} просьбу

ქართული ზმნა კი თავ-თავისს დროს სხვა და სხვა ბრუნ-
ვას ითხოვს:

მე ვსწერ

– ვსწერდი

– ვსწერდე

ის მწერს

– მწერდა

– მწერდეს

} ლექსებსა

მე ვსწერე

– ვსწერო

– მიწერია

– მეწერა

– მეწეროს

იმან მწერა

– ჰსწეროს

იმას ეწერა

– ეწეროს

– უწერია

} ლექსები

შენ სწერე, იმან სწეროს ლექსები; შენ სწერდი, ის სწერდა ლექსებსა; შენ ნუ სწერ, ის ნუ სწერს ლექსებსა; შენ არ სწერო, იმან არ სწეროს ლექსები; შენ არ გიწერია, იმას არ უწერია ლექსები.

რაც აქ მოვთვალეთ, აღსაარებლად კმაროდეს მგონია, რომ ქართული ზმნა მართლა უზომოდ მდიდარი ყოფილა.

მაგრამ მე იქნება სულ უსაფუძვლოდა ვტრაბახობდე აქა. თითონ თქვენც გამოიკვლიეთ, შვილებო, შეიტყუეთ და თუ მე სიტყვა გამიცრუვდა, თქვენ მაინც სწავლა და მეცნიერება შეგრჩებათ; – და თუ გამიმართლდა, – მეცნიერებას ხომ მეცნიერებად შეიძენთ და ჩემი გამართლებითაც გული გაგიმხიარულდებათ.

მაშ გადმოვფინოთ ახლა, რაც რომ ქართულს მიმოხვრაში თვალსაჩენი გვეგულებოდეს, – და მაშინ დავინახავთ, რიგრიგათ დანყოფა შეიძლება იმათი თუ არა; და ამ დანყოფით მიმოხვრის შემოკლება, ან კალაპოტებში ჩანყოფა, მოხერხდება თუ ვერა.

აბა, მოვთვალოთ, რაც ქართულს უღლვილებას შეადგენს:

I. დახრა, *наклонение, le mode*, არის ოთხი:

1. ჩვენებითი,
2. პირობითი,
3. ნატვრითი, და
4. დასაქმებითი.

ამათში ჩვენებითი დახრა იშლება ორნაირად:

- ა. მიუმართველად.
- ბ. მიმართულებითად.

II. ჩვენებითი დახრა მიუმართველი წარმოადგენს სამ დროს:

ახლანდელს – აწმყოს.

გავლილს – წამყოს, მარტივს სრულსა, უსრულესსა.

მომავალს – მყოფადს, მარტივს, გათავებადს.

III. ჩვენებითი დახრა მიმართულებითი წარმოადგენს სამში ტრიადსა, ან „ურთიერთარსობას“:

1. მიუმართველად მოქმედებას ან მდგომარეობას სამი პირისას ცალ-ცალკე.
2. პირველი პირის მიმართულებას მეორესთან და მესამესთან.
3. მეორე პირის მიმართულებას პირველთან და მესამესთან;

და 4. მესამე პირის მიმართულებას პირველთან და მეორესთან.

IV. პირობითი დახრა წარმოადგენს დროებს: გავლილს, ახლანდელს, მომავალს;

და იმ გვარადვე სამში ტრიალს, როგორც ამას წინეთ ვახსენეთ.

V. ნატვრითი დახრაც სწორეთ ისე იმყოფება, როგორც პირობითი, –

VI. დასაქმებითი დახრა იყოფება სამად: რჩევითად, დაშლ-ითად და ბრძანებითად. –

VII. პირი სამი:

მე, შენ, ის – იგი

ჩვენ, თქვენ, ისინი – იგინი.

ან საკუთრად ზმნის პირები:

ვ ჰ ჰ – ს

ვთ ჰ – თ ჰ – ენ

მ გ ჰ, უ

გვ გ – თ უ – თ

– – უ – ნ.

VIII. რიცხვი ორი: მხოლოობითი და მრავლობითი.

IX. ყოველი ზმნის ტრიალს დაჰყვება სხვა და სხვა სახელზმნა, ისინიც დროს მაჩვენებელნი, ზოგი გერუნდივის მსგავსი, ზოგი სუპინისა, და უფრო კი საკუთრად ქართული ხასიათისა.

X. ყოველი ეს დაყოფა ეთვისება ზმნის როგორც პირველსახეს, ისე სხმითგადასვლითსა და მრჩობლსხმით გადასვლითსა. –

ახლა ყოველისფრით მზათა ვართ რომ ზმნების ტრიალს დავადგეთ და ამ ტრიალში დაუნყოთ შინჯვა.

ჯერ, რომელსაც არსებითი ზმნა ჰქვია, ის დავატრიალოთ, რადგან დახმარებითიცა ჰქვია და მართლა, თითქმის ყოველ ზმნას ეხმარება ხოლმე; – იმისს ვალს რომ მოვრჩებით, მერე სხვებს შევუდგეთ.

მიმოხვრა არსებითი ზმნისა „ვარ“.

დახრა ჩვენებითი.

დრო ახლანდელი.

სასაუბრო.

სამნიგნობრო.

მხოლ.

მრავლ.

მხოლ.

მრავლ.

ვარ

ვართ

ვარ

ვართ

ხარ

ხართ

ხარ

ხართ

არის, არი, ა

არიან

არს

არიან.

დრო გავლილი, უსრული.

ვიყავ

ვიყავით

ვიყავ

ვიყავით

იყავ

იყავით

იყავ

იყავით

იყო

იყვნენ

იყო

იყვნენ.

დრო გავლილი, სრული.

ვიქენ

ვიქენით

ვიქმენ

ვიქმენით

იქენ

იქენით

იქმენ

იქმენით

იქნა

იქნენ

იქმნა

იქმნენ.

დრო გავლილი, უსრულესი.

ვყოფილვარ

ვყოფილვართ

ყოფილვარ

ყოფილვართ

ყოფილხარ

ყოფილხართ

ყოფილხარ

ყოფილხართ

ყოფილა

ყოფილან

ყოფილარს

ყოფილარიან.

დრო მომავალი – მყოობადი.

ვიქნები

ვიქნებით

ვიქმნები

ვიქმნებით

იქნები

იქნებით

იქმნები

იქმნებით

იქნება

იქნებიან

იქმნება

იქმნებიან.

დახრა პირობითი.

ვიყო ვიყოთ
იყო იყოთ
იყოს იყვნენ

დრო ახლანდელი.

ვიყო ვიყოთ (არ ვიყვნეთ)
იყო იყოთ
იყოს იყვნენ.

დრო გავლილი უსრული.

ყოფილყავ ყოფილყავით ყოფილყავ ყოფილყავით
ყოფილიყავ ყოფილიყავით ყოფილიყავ ყოფილიყავით
ყოფილიყო ყოფილიყვნენ ყოფილიყო ყოფილიყვნენ.

დრო გავლილი, სრული.

ვიქნებოდი ვიქნებოდით ვიქმნებოდი ვიქმნებოდით
იქნებოდი იქნებოდით იქმნებოდი იქმნებოდით
იქნებოდა იქნებოდნენ იქმნებოდის იქმნებოდიან.

დრო მომავალი – მყოობადი.

ვიქნებოდე ვიქნებოდეთ ვიქმნებოდე ვიქმნებოდეთ
იქნებოდე იქნებოდეთ იქმნებოდე იქმნებოდეთ
იქნებოდეს იქნებოდნენ იქმნებოდეს იქმნებოდნენ.

დახრა ნაცვრითი.

მქნა მყო
გქნა გყო
ჰქნა ჰყო

დრო ახლანდელი.

მქმნა მყო
გქმნა გყო
ჰქმნა ჰყო.

გვქნა გვყო
გქნათ გყოთ
ჰქნეს ჰყვეს

გვქმნა გვყო
გქმნათ გყვეს
ჰქმნეს ჰყვეს

დრო გავლილი.

ვქნილიყავი	ვქნილიყავით	ქმნილვიყავ	ქმნილვიყავით
ქნილიყავი	ქნილიყავით	ქმნილიყავ	ქმნილიყავით
ქნილიყო	ქნილიყვენ	ქმნილიყო	ქმნილიყვენ.

დრო მომავალი – მყოობადი.

ვიქნე	ვიქნეთ	ვიქმნე	ვიქმნეთ
იქნე	იქნეთ	იქმნე	იქმნეთ
იქნეს	იქნენ	იქმნეს	იქმნენ.

დახრა დასაქმებუბითი. რჩევითი.

–	ვიყოთ	–	ვიყოთ
იყავ	იყავით	იყავნ	იყავით
იყოს	იყვენ	იყოს	იყვენ.

ან

–	ვიქნეთ	–	ვიქმნეთ
იქენ	იქენით	იქმენ	იქმენით
იქნეს	იქნენ	იქმნეს	იქმნენ.

დაშლითი.

ნუ ხარ	ნუ ხარ
– არის	– არს
– ვართ	– ვართ
– ხართ	– ხართ
– არიან	– არიან.

ან

ნუ –	– ვიქნებით	ნუ –	– ვიქმნებით
– იქნები	– იქნებით	– იქმნები	– იქნებით
– იქნება	– იქნებიან	– იქმნების	– იქმნებიან.

ბრძანებითი.

არ ვიყო	– ვიყოთ	არ –	– ვიყვნეთ
– იყო	– იყოთ	არ იყო	– ვიყოთ
– იყოს	– იყვნენ	არ იყოს	– იყვნენ.

ან

არ –	ვიქნეთ	არ –	ვიქმნეთ
– იქნე	იქნეთ	იქმნე	იქმნეთ
– იქნეს	იქნენ	იქმნეს	იქმნენ.

მიმღეობა. გერუნდი: ყოფა, ყოფნა.
გერუნდივი: სამყოფი.
სუბინი: ყოფად, ყოფნად.
ახლანდელი: აწმყო, აწმყოფი.
გავლილი: მყოფი, ნამყო, ყოფილი, ნამყოფი.
მომავალი: სამყოფი, სამყოფელი, მყოობადი.

ამავე აზრის მეორე მდგომარეობითივე ზმნა:

ვ ი მ ყ ო ფ ე ბ ი .

დახრა ჩვენებითი:

დრო ახლანდელი	} ვიმყოფები, ვიმყოფები ვიმყოფებოდი, ვიმყოფებოდი
გავლილი	
უსრული	

- სრული ვიმყოფე ვიმყოფე
- უსრულესი მიმყოფნია მიმყოფნია
- მომავალი ვიმყოფებ ვიმყოფებ.

დახრა დრო
პირობითი: ახლანდელი ვიმყოფო ვიმყოფო
 გავლილი მემყოფნა მემყოფნა
 მომავალი მამყოფინა მამყოფინა.

დახრა დრო
ნატვრითი: ახლანდელი ვიმყოფებოდე ვიმყოფებოდე
 გავლილი ვყოფილიყავი ყოფილვიყავ
 მომავალი ვიმყოფებდე ვიმყოფებდე.

დახრა დასაქმებითი: რჩევითი იმყოფე იმყოფე
 დაშლითი ნუ იმყოფებ იმყოფებ
 ბრძანებითი არ იმყოფო არ იმყოფო

მიმღეობა: გერუნდი: მყოფობა, – ყოფნა.
 გერუნდივი: სამყოფი.
 სუპინი: სამყოფად, – საყოფნელად.
 ახლანდელი: მყოფობი.
 გავლილი: დამყოფი.
 მომავალი: მყოფობადი, სამყოფელი.

ამ გვარადვე შესდგებიან არსებითი ზმნისაგან შემდგეგი ზმნები:

მყოფნის, ვიმყოფებ, ვიმყოფინებ, ვამყოფებ, ვამყოფინებ, ვიმყოფინებინებ, ვამყოფინებინებ; – ვჰყოფ, ვიყოფ, ვაყოფინებ, ვაყოფინებინებ. –

რა რომ არსებითი ზმნის მიმოხვრა ვნახეთ და იმისს

ჩამომავლობასაც თვალი გადავავლეთ, – მანამდინ ერთს სამაგალითო ზმნას დავატრიალებდეთ მოქმედებითსა თუ მდგომარებითსა, აქ კიდევ ორი სხვა ზმნა უნდა დავაუღლოთ, რადგან ესენიც თითქმის გაცალკეებულნი არიან, – სახელდობრ:

მაქვს (ნივთი) და მყავს (სულდგმული).

ორი ზმნის უღლვილება:

მაქვს და მყავს

1. დახრა ჩვენებითი. დრო ახლანდელი.

მაქვს	მყავს	მაქვს	მყავს
გაქვს	გყავს	გაქვს	გყავს
აქვს	ჰყავს	აქვს	ჰყავს

გვაქვს	გვყავს	გვაქვს	გვყავს
გაქვთ	გყავთ	გაქვსთ, გაქვენ	გყავსთ
აქვთ	ჰყავთ	აქვსთ, აქვან	ჰყავსთ, ჰყავან.

დრო გავლილი უსრული.

მქონდა მყავდა მაქვნდა მყავდა.

დრო გავლილი სრული.

ვიქონიე ვიყოლიე ვიქონიე ვიყოლიე.

დრო გავლილი უსრულები.

მქონია მყოლია მქონია მყოლია.

დრო მომავალი.

მექნება მეყოლება მექმნების მეყოლების
ვიქონიებ ვიყოლიებ ვიქონიებ ვიყოლიებ.

2. დახრა პირობითი. დრო ახლანდელი.

მქონდეს მყავდეს მაქვნდეს მყავდეს.

დრო გავლილი.

მყოლოდა მქონოდა მყოლოდა
მქონიყო მყოლიყო მქონიყო მყოლიყო.

დრო მომავალი.

ვიქონიებ ვიყოლიებ ვიქონიებ ვიყოლიებ.

3. დახრა ნატვრითი. დრო ახლანდელი.

ვიქონიებდე ვიყოლიებდე ვიქონიებდე ვიყოლიებდე.

დრო გავლილი.

მქონებოდა მყოლებოდა მქონებოდა მყოლებოდა
მქონებიყო მყოლებიყო მქონებიყო მყოლებიყო.

დრო მომავალი.

ვიქონიო ვიყოლიო ვიქონიო ვიყოლიო

4. დახრა დასაქმებითი, რჩევითი:

დაშლითი: გკონდეს (გაქვანდეს) გყავდეს
ნუ გექნება (ნუ გექმნების) ნუ გეყოლება (გეყოლების)
– იქონიებ – იყოლიებ

ბრძანებითი: არ იქონიო არ იყოლო

მიმღობა: **გერუნდი:** ქონა, ქონება; ყოლა.
გერუნდივ: საქონი, საყოლი.
სუპინი: საქონად, საყოლად.
ახლანდელი: მქონებელი, მყოლელი.
გავლილი: ნაქონი, ნაყოლი.
მომავალი: საქონებელი, საყოლელი.

აქედამ არის საქონელი = პირუტყვი.
და საქონელი = სავაჭრო.

ამ ულღვილების მიხედვით მიმოიხვრებიან ზმნები:

ამაქეს, გამაქეს, დამაქეს, მიმაქეს, მომაქეს, შემაქეს, შემომ-
აქეს, ჩამაქეს; – ჩამომაქეს, მაქეს, მიმომაქეს, შემომაქეს, ჩამო-
მაქეს; ამომაქეს, გამომაქეს, გადამაქეს, გადმომაქეს; – ამყავს,
გამყავს, დამყავს, მიმყავს, მომყავს, შემყავს, შემომყავს, ჩამყავს,
ჩამომყავს; ამომყავს, გამომყავს, გადამყავს, გადმომყავს, მიმო-
მყავს, შემომყავს, ჩამომყავს.

მაგრამ სახე სრული ყოველგან ეცვლებათ.

ახლა ერთი სრული მიმოხვრა მოვიყვანოთ ზმნისა რომ-
ლისამე, მაგალითად:

ვაკეთებ

I. დახრა ჩვენებითი.

დრო ახლანდელი – აწმყო.

1. მიუმართავად.

ვაკეთებ	ვაკეთებთ	ვაკეთებ	ვაკეთებთ
აკეთებ	აკეთებთ	აკეთებ	აკეთებთ
აკეთებს	აკეთებენ	აკეთებს	აკეთებენ.

2. მიმართვით: 1 პირისაგან 2 და 3-თან.

გაკეთებ	გაკეთებთ	გაკეთებ	გაკეთებთ
ვაკეთებ	ვაკეთებთ	ვაკეთებ	ვაკეთებთ.

3. – 2 პირისაგან 1-თან და 3-თან.

მაკეთებ	მაკეთებთ	მაკეთებ	მაკეთებთ
გვაკეთებ	გვაკეთებთ	გვაკეთებ	გვაკეთებთ
აკეთებ	აკეთებთ	აკეთებ	აკეთებთ.

4. 3 პირისაგან 1-თან და 2-თან.

მაკეთებს	მაკეთებენ	მაკეთებს	მაკეთებენ
გვაკეთებს	გვაკეთებენ	გვაკეთებს	გვაკეთებენ
გაკეთებს	გაკეთებენ	გაკეთებს, – სთ	გაკეთებენ.

დრო გავლილი უსრული.

5. მიუმართავად.

ვაკეთებდი	ვაკეთებდით	ვაკეთებდი	ვაკეთებდით
აკეთებდი	აკეთებდით	აკეთებდი	აკეთებდით
აკეთებდა	აკეთებდნენ	აკეთებდა	აკეთებდნენ.

12. 3-მე პირისაგან 1-თან და 2-სთან.

გამაკეთებდა გამაკეთებდნენ განმაკეთებდა განმაკეთებდნენ
გაგვაკეთებდა გაგვაკეთებდნენ განგვაკ – განგვაკ –
გაგაკეთებდა გაგაკეთებდნენ განგაკ – და, განგაკ –
დათ

დრო გავლილი უსრულესი.

13. მიუმართავად.

ვაკეთე ვაკეთეთ ვაკეთე ვაკეთეთ
აკეთე აკეთეთ აკეთე აკეთეთ
აკეთა აკეთეს აკეთა აკეთეს.

14. მიმართვ. 1 პირისაგან 2 და 3-სთან.

გაკეთე გაკეთეთ გაკეთე გაკეთეთ
ვაკეთე ვაკეთეთ ვაკეთე ვაკეთეთ.

15. – 2 პირისაგან 1 და 3-სთან.

მაკეთე მაკეთეთ მაკეთე მაკეთეთ
გვაკეთე გვაკეთეთ გვაკეთე გვაკეთეთ
აკეთე აკეთეთ აკეთე აკეთეთ.

16. – 3 პირისაგან 1 და 2-სთან.

მაკეთა მაკეთეს მაკეთა მაკეთეს
გვაკეთა გვაკეთეს გვაკეთა გვაკეთეს
გაკეთა, გაკეთათ გაკეთეს გაკეთა, – თათ გაკეთეს.

დრო გავლილი უსრულესი სარწმუნო.
17. მიუმართავად.

გაგაკეთე	გაგაკეთეთ	განვაკეთე	განვაკეთეთ
გააკეთე	გააკეთეთ	განაკეთე	განაკეთეთ
გააკეთა	გააკეთეს	განაკეთა	განაკეთეს.

18. მიმართვით. 1 პირისა 2 და 3-სთან.

გაგაკეთე	გაგაკეთეთ	განგაკეთე	განგაკეთეთ
გაგაკეთე	გაგაკეთეთ	განგაკეთე	განგაკეთეთ.

19. 2 პირისა 1 და 3-სთან.

გამაკეთე	გამაკეთეთ	განმაკეთე	განმაკეთეთ
გაგვაკეთე	გაგვაკეთეთ	განგვაკ –	განგვაკ –
გააკეთე	გააკეთეთ	განაკ –	განაკ –

20. – 3 პირისა 1 და 2-თან.

გამაკეთა	გამაკეთეს	განმაკეთა	განმაკეთეს
გაგვაკეთა	გაგვაკეთეს	განგვაკ –	განგვაკეთეს

გაგაკეთა	} გაგაკეთეს	განგაკ – თა, თათ	განგაკეთეს.
გაგაკეთათ			

დრო გავლილი, ბერძნული აორისტი:

21. მიუმართავად.

მიკეთებია	გვიკეთებია	მიკეთებიეს	გვიკეთებიეს
გიკეთებია	გიკეთებიათ	გიკეთებიეს	გიკეთებიესთ
უკეთებია	უკეთებიათ	უკეთებიეს	უკეთებიესთ.

22. მიმართვით. 1 პირისა 2 და 3-სთან.

მიკეთებისარ	მიკეთებისართ	მიკეთებისარ	მიკეთებისართ
გვიკეთებისარ	გვიკეთებისართ	გვიკეთებისარ	გვიკეთებისართ
მიკეთებია	გვიკეთებია	მიკეთებებს	გვიკეთებებს.

23. – 2 პირისა 1 და 3-თან.

გიკეთებთვარ	გიკეთებთვართ	გიკეთებთვარ	გიკეთებთვართ
გიკეთებია	გიკეთებიათ	გიკეთებებს	გიკეთებებსთ.

24. – 3 პირისა 1 და 2-სთან.

უკეთებთვარ	უკეთებთვართ	უკეთებთვარ	უკეთებთვართ
უკეთებისარ	უკეთებისართ	უკეთებისარ	უკეთებისართ.

დრო გავლ. აორისტი გათავებული.

25. მიუმართავად.

გამიკეთებია	გავვიკეთებია	განმიკეთებებს	განგვიკეთებებს
გავვიკეთებია	გავვიკეთებიათ	განგვიკეთებებს	განგვიკეთებებსთ
გაუკეთებია	გაუკეთებიათ	განუკეთებებს	განუკეთებებსთ.

26. მიმართვით. 1 პირისა 2 და 3-სთან.

გამიკეთებისარ	განმიკეთებისარ
გავვიკეთებისარ	განგვიკეთებისარ
გამიკეთებია	განმიკეთებებს
გამიკეთებისართ	განმიკეთებისართ
გავვიკეთებისართ	განგვიკეთებისართ
გავვიკეთებია.	განგვიკეთებებს.

27. – 2 პირისა 1-თან და 3-თან.

გაგიკეთებივარ	განგიკეთებივარ
გაგიკეთებია	განგიკეთებიეს

გაგიკეთებივართ	განგიკეთებივართ
გაგიკეთებიათ.	განგიკეთებიესთ.

28. – 3 პირისა 1-თან და 2-თან.

გაუკეთებივარ	განუკეთებივარ
გაუკეთებიხარ	განუკეთებიხარ

გაუკეთებივართ	განუკეთებივართ
გაუკეთებიხართ.	განუკეთებიხართ.

დრო მომავალი – მყოობადი – მარტივი.

29-32. ამ ზმნას ეს მარტივი სახე არა აქვს; ამის მაგიერად იხმარება სახე ახლანდელი, 1-4-ში მოყვანილი.

დრო მომავალი გასათავებელი.

33. მიუმართავად.

გავაკეთებ	გავაკეთებთ	განვაკეთებ	განვაკეთებთ
გააკეთებ	გააკეთებთ	განაკეთებ	განაკეთებთ
გააკეთებს	გააკეთებენ	განაკეთებს	განაკეთებენ.

34. მიმართვით. 1-ლი პირისა 2 და მე-3-თან.

გაგაკეთებ	გაგაკეთებთ	განგაკეთებ	განგაკეთებთ
გავაკეთებ	გავაკეთებთ	განვაკეთებ	განვაკეთებთ.

35. – 2 პირისა 1-ლთან და 3-სთან.

გამაკეთებ გამაკეთებთ განმაკეთებ განმაკეთებთ
გაგვაკეთებ გაგვაკეთებთ განგვაკეთებ განგვაკეთებთ.
გააკეთებ გააკეთებთ განაკეთებ განაკეთებთ.

36. – მესამე პირისა 1-ლთან და მეორესთან.

გამაკეთებს გამაკეთებენ განმაკეთებს განმაკეთებენ
გაგვაკეთებს გაგვაკეთებენ განგვაკეთებს განგვაკეთებენ
გაგაკეთებს } გაგაკეთებენ განგაკეთებს } განგაკეთებენ.
გაგაკეთებსთ } განგაკეთებსთ }

II. დახრა პირობითი.

დრო ახლანდელი, უსრული.

მიუმართავად.

37. ვაკეთებდე ვაკეთებდეთ ვაკეთებდე ვაკეთებდეთ
აკეთებდე აკეთებდეთ აკეთებდე აკეთებდეთ
აკეთებდეს აკეთებდნენ აკეთებდეს აკეთებდნენ.

მიმართვით 1-საგან მეორეს და მესამეს.

38. ვაკეთებდე ვაკეთებდეთ ვაკეთებდე ვაკეთებდეთ
ვაკეთებდე ვაკეთებდეთ ვაკეთებდე ვაკეთებდეთ.

2-საგან 1 თან და 3 თან.

39. მაკეთებდე მაკეთებდეთ მაკეთებდე მაკეთებდეთ
გვაკეთებდე გვაკეთებდეთ გვაკეთებდე გვაკეთებდეთ
აკეთებდე აკეთებდეთ აკეთებდე აკეთებდეთ.

3-საგან 1-ლთან და 2-სთან.

40. მაკეთებდეს მაკეთებდნენ მაკეთებდეს მაკეთებდიან
გვაკეთებდეს გვაკეთებდნენ გვაკეთებდეს გვაკეთებდიან
გაკეთებდეს } გაკეთებდნენ გაკეთებდეს გაკეთებდიან.
გაკეთებდეს }

დრო ახლანდელი, სრული.

მიუმართავად.

41. გავაკეთებდე განვაკეთებდე
გააკეთებდე განაკეთებდე
გააკეთებდეს განაკეთებდეს

გავაკეთებდეთ განვაკეთებდეთ
გააკეთებდეთ განაკეთებდეთ
გააკეთებდნენ. განაკეთებდნენ.

მიმართვით 1-ლისაგან მეორეს და მესამეს.

42. გაგაკეთებდე განგაკეთებდე
გავაკეთებდე განვაკეთებდე

გაგაკეთებდეთ განგაკეთებდეთ
გავაკეთებდეთ. განვაკეთებდეთ.

მეორესაგან 1-ლს და მე 3-ს.

43. გამაკეთებდე } გაგვაკეთებდეთ განმაკეთებდე } განგვაკეთებდეთ
გაგვაკეთებდე } განგვაკეთებდე } განგვაკეთებდეთ
გაკეთებდე გააკეთებდეთ განაკეთებდე განაკეთებდეთ.

მიმართვით 3 გან 1-ლთან და მე 2-სთან.

44. გამაკეთებდეს განმაკეთებდეს
გაგვაკეთებდეს განგვაკეთებდეს
გაგაკეთებდეს განგაკეთებდეს

გამაკეთებდნენ განმაკეთებდნენ
გაგვაკეთებდნენ განგვაკეთებდნენ
გაგაკეთებდნენ. განგაკეთებდნენ.

დახრა პირობითი.

დრო გავლილი უსრული.

მიუმართავად.

45. მეკეთებინა გვეკეთებინა მეკეთებინა გვეკეთებინა
გეკეთებინა გეკეთებინათ გეკეთებინა გეკეთებინათ
ეკეთებინა ეკეთებინათ ეკეთებინა ეკეთებინათ.

დრო გავლილი, სრული.

46. გამეკეთებინა განმეკეთებინა
გაგეკეთებინა განგეკეთებინა
გაეკეთებინა განეკეთებინა

გაგვეკეთებინა განგვეკეთებინა
გაგეკეთებინათ განგეკეთებინათ
გაეკეთებინათ. განეკეთებინათ.

დრო მომავალი, მარტივი.

მიუმართავად.

47. ვაკეთო ვაკეთოთ ვაკეთო ვაკეთოთ
აკეთო აკეთოთ აკეთო აკეთოთ
აკეთოს აკეთონ აკეთოს აკეთონ.

მიმართვით 1-გან 2-ს და 3-ს.

48. ვაკეთო ვაკეთოთ ვაკეთო ვაკეთოთ
ვაკეთო ვაკეთოთ ვაკეთო ვაკეთოთ.

2-გან 1-სა და 3-ს.

49. მაკეთო გვაკეთო მაკეთო გვაკეთო
აკეთო აკეთოთ აკეთო აკეთოთ.

3-საგან 1-ს და 2-ს.

50. მაკეთოს } გვაკეთონ მაკეთოს } გვაკეთონ
გვაკეთოს } აკეთონ გვაკეთოს }
გაკეთოს } გაკეთონ გაკეთოს } გაკეთონ.

დრო მომავალი, სრული.

51. გავაკეთო...
52. გაგაკეთო...
53. გამაკეთო...
54. გამაკეთოს...

დახრა ნატვრითი.

დრო ახლანდელი, უსრული.

მიუმართავად.

55. მაკეთებინოს	მაკეთებინოს
გაკეთებინოს	გაკეთებინოს
აკეთებინოს	აკეთებინოს

გვაკეთებინოს	გვაკეთებინოს
გაკეთებინოთ	გაკეთებინოსთ
აკეთებინონ	აკეთებინონ.

მიმართვით 1-ლისა 2-ს და 3-ს.

56. გაკეთებინო	გაკეთებინოთ	გაკეთებინო	გაკეთებინოთ
ვაკეთებინო	ვაკეთებინო	ვაკეთებინო	ვაკეთებინო.

2-სა 1-ს და 3-ს.

57. მაკეთებინო	მაკეთებინო
გვაკეთებინო	გვაკეთებინო
აკეთებინო	აკეთებინო

მაკეთებინოთ	მაკეთებინოთ
გვაკეთებინოთ	გვაკეთებინოთ
აკეთებინოთ.	აკეთებინოთ.

3-სა 1-ლს და 2-ს.

58. მაკეთებინოს	მაკეთებინოს
გვაკეთებინოს	გვაკეთებინოს
გაკეთებინოს	გაკეთებინოს

მაკეთებინონ	მაკეთებინონ
გვაკეთებინონ	გვაკეთებინონ
გაკეთებინონ.	გაკეთებინონ.

დრო ახლანდელი სრული.

მიუმართავად.

59. გამაკეთებინოს	განმაკეთებინოს
გაგაკეთებინოს	განგაკეთებინოს
გაკეთებინოს	განაკეთებინოს

გაგვაკეთებინონ	განგვაკეთებინოს
გაგაკეთებინონ	განგაკეთებინოსთ
გაკეთებინონ.	განაკეთებინონ.

მიმართვით 1-ისა 2-ს და 3-ს.

60. გაგაკეთებინო	განგაკეთებინო
გავაკეთებინო	განგაკეთებინო

გაგაკეთებინოთ	განგაკეთებინოთ
გავაკეთებინოთ.	განგაკეთებინოთ.

2-სა 1-ს და 3-ს.

61. გამაკეთებინო	განმაკეთებინო
გაგვაკეთებინო	განგვაკეთებინო
გაკეთებინო	განაკეთებინო

გამაკეთებინოთ	განმაკეთებინოთ
გაგვაკეთებინოთ	განგვაკეთებინოთ
გაკეთებინოთ.	განაკეთებინოთ.

3-ის 1-ლს და 2-ს.

62. გამაკეთებინოს განმაკეთებინოს
გაგვაკეთებინოს განგვაკეთებინოს
გააკეთებინოს განაკეთებინოს

გამაკეთებინონ განმაკეთებინონ
გაგვაკეთებინონ განგვაკეთებინონ
გააკეთებინონ. განაკეთებინონ.

დრო გავლილი უსრული.

63. გვეკეთებინოს მეკეთებინოს
გეკეთებინოთ გეკეთებინოს აგრეთვე
ეკეთებინოთ ეკეთებინოს.

დრო გავლილი სრული.

64. გაგვეკეთებინოს გამეკეთებინოს განგვე... განმე...
გაგვეკეთებინოთ გაგვეკეთებინოს განგე... ნოსთ განგე...
გაეკეთებინოთ გაეკეთებინოს განე...ნოთ განე...

დრო მომავალი, მარტივი.

65. მაკეთებინა გვაკეთებინა
გაკეთებინა გაკეთებინათ აგრეთვე
აკეთებინა აკეთებინათ

დრო მომავალი გათავებადი.

66. გამაკეთებინა გაგვაკეთებინა
გაგვაკეთებინა გაგვაკეთებინეს
გააკეთებინა გააკეთებინეს

IV. დახრა დასაქმებითი.

რჩევითი მარტივი.

67. – ვაკეთოთ
აკეთე აკეთეთ აგრეთვე
აკეთოს აკეთონ.

რჩევითი სრული.

68. – გავაკეთოთ – განვა...
გაკეთე გააკეთეთ განა... , განა...
გაკეთოს გააკეთოს განა... განა...

რჩევითი უსრული.

69. – ვაკეთებდეთ
აკეთებდე აკეთებდეთ აგრეთვე
აკეთებდეს აკეთებდნენ

რჩევითი უსრულესი.

70. – გავაკეთებდეთ – განვა...
გაკეთებდე გააკეთებდეთ განა... განა...
გაკეთებდეს გააკეთებდნენ განა... განა – დენ.

დასაქმებითი დაშლითი, მარტივი.

71. – ნუ ვაკეთებთ
ნუ აკეთებ ნუ აკეთებთ აგრეთვე
ნუ აკეთებს ნუ აკეთებენ

დაშლითი სრული.

72. – ნუ გავაკეთებთ – ნუ განვა...
ნუ გააკეთებ ნუ გააკეთებთ ნუ განა...
ნუ გააკეთებს ნუ გააკეთებენ ნუ განა...

დასაქმებითი ბრძანებითი მარტივი.

73. – არ ვაკეთოთ
არ აკეთო – აკეთოთ აგრეთვე
– აკეთოს – აკეთონ.

ბრძანებითი სრული.

74. – არ გავაკეთოთ
არ გააკეთო – გააკეთოთ გან...
– გააკეთოს – გააკეთონ.

უსრულესი.

75. – არ ვაკეთებდეთ
არ აკეთებდე – აკეთებდეთ აგრეთვე
– აკეთებდეს – აკეთებდნენ.

უუსრულესი.

76. – არ ვაკეთებდეთ
არ გააკეთებდე – გააკეთებდეთ გან...
არ – დეს – გააკეთებდნენ.

მიმღობა.

77. გერუნდი მარტივი – კეთება აგრეთვე
სრული – გაკეთება, გან...

78. **გერუნდივი მარტივი** – საკეთები –
სრული – გასაკეთები, გან...
79. **სუპინი მარტივი:** საკეთებლად –
სრული: გასაკეთებლად, გან...
80. **ახლანდელი:** კეთებული, გაკეთებული –
კეთებელი, გამკეთებელი, გან...
81. **გავლილი:** ნაკეთი, განაკეთი,
ნაკეთები, განაკეთები.
82. **მომავალი:** საკეთებელი, გასაკეთებელი, გან –
კეთებადი, გაკეთებადი, გან...

დიდება შენთვის, უფალო! ოთხმოცდაორი ცვლილება ერთი ზმნისა? – მაშ ერთი ამდენი სხმით გადასვლითს მოუნდება; ამდენივე მრჩობლსხმით გადასვლითსა! სულ გამოვიდა ორას ორმოცდა ექვსი ცვლილება ერთი ზმნისა:

სხვა აქედამვე გამომავალი ზმნები რომ დავატრიალოთ, მაგალითად:

ვიკეთებ, გიკეთებ, ვუკეთებ; ვკეთდები, ჰკეთდები, ჰკეთდება; –

– ესენიც ხომ ამდენჯერვე იცვლიან სახესა! აუცილებელია, უნდა შემოკლდეს როგორმე ეს უღლვილება, – თორემ რომელი ახალ-მოსწავლე არ შეუშინდება ამასა. უნდა მოვახერხოთ როგორმე და შევამოკლოთ, როგორც შესაძლებელი იქნებოდეს...

– დიად მართალს ამბობთ, – შვილებო. კარგად ვიცოდი, რომ მაგას მეტყოდით და აბა, ერთი ვარჩიით ახლა, როგორ შევამოკლოთ, როგორ გავაადვილოთ ხელში მოგდება ქართული უღლვილებისა?

– სამში ტრიალი ბევრჯერ განმეორება გამოდის ხოლმე და ეს გამოვაკლოთ.

– ამას გარდა სისრულის სახის მისაცემად ზმნას რომ წინთანდებული მიუძღვის ხოლმე, – განა არ შეიძლება ერთხელ ითქვას და ამითი გათავდეს, რომ ზმნას სახე სრული ყოვ-

ელთვის მაშინ მიეცემა, როდესაც თავს პრეფიქსად ერთერთი მიმძლოლი თანდებული მოუჯდებო?

– მგონია ესეც შეიძლებოდეს, მამა, რომ სამში ტრიალი ყოველ სახეში ერთად მოვაქციოთ ხოლმე, რომ სამსამი და ოთხოთხი ხანა არ უნდებოდეს.

– შეიძლება, შეიძლება!

მაშ აგრე დავატრიალოთ ახლა ისეც ზმნა!

ვ ა კ ე თ ბ.

Делаю, или улучшаю.

1. დახრა ჩვენებითი.

დრო ახლანდელი – აწმყო.

მხოლობ.

მრავლობ.

1. ვაკეთებ	ვაკეთებთ
გაკეთებ	გაკეთებთ
გაკეთებთ	–
აკეთებ	აკეთებთ
მაკეთებ	მაკეთებთ
გვაკეთებ	გვაკეთებთ
აკეთებს	აკეთებენ
მაკეთებს	მაკეთებენ
გვაკეთებს	გვაკეთებენ
გაკეთებს	გაკეთებენ.
გაკეთებსთ	–

აქ ოთხ ხანას ერთად მოვუყარეთ თავი. ვიაროთ ასე ბოლომდინ და ვნახოთ რა გამოვა!

დრო გავლილი.

2. ვაკეთებდი	ვაკეთებდით
გაკეთებდი	გაკეთებდით
გაკეთებდით	–
აკეთებდი	აკეთებდით
მაკეთებდი	მაკეთებდით
გვაკეთებდი	გვაკეთებდით
აკეთებდა	აკეთებდნენ
მაკეთებდა	მაკეთებდნენ
გვაკეთებდა	გვაკეთებდნენ
გაკეთებდა	გაკეთებდნენ
გაკეთებდნენ	–

ამას რომ გათავებულის (სისრულის) სახე მიეცეს, პრე-ფიქსად ერთერთი თანდებული უნდა მიუძღვანოთ: გავაკეთებდი, მივაკეთებდი, შევაკეთებდი, ჩავაკეთებდი, წავაკეთებდი...

დრო გავლილი უსრულესი.

3. ვაკეთე	ვაკეთეთ
გაკეთე	გაკეთეთ
გაკეთეთ	–
აკეთე	აკეთეთ
მაკეთე	მაკეთეთ
გვაკეთე	გვაკეთეთ
აკეთა	აკეთეს
მაკეთა	მაკეთეს
გვაკეთა	გვაკეთეს
გაკეთა	გაკეთეს
გაკეთეს	გაკეთესთ.

ბერძნული აორისტი

4. მიკეთებია	გვიკეთებია
მიკეთებხარ	გვიკეთებხართ
გვიკეთებხარ	–
გიკეთებია	გიკეთებიათ
გიკეთებივარ	გიკეთებივართ
გიკეთებივართ	–
უკეთებია	უკეთებიათ
უკეთებივარ	უკეთებივართ
უკეთებივართ	–
უკეთებხარ	უკეთებხართ
უკეთებხართ	–

აქაც პრეფიქსად წინ თანდებული დაასრულებს.

დრო მომავალი.

როგორც ბერძნულში, ქართულშიაც ამ ზმნის მომავალად ახლანდელი სახე იხმარება: ვაკეთებ; და თუ წინ თანდებული მოუსვით, გამოვა: გავაკეთებ...

II. დახრა პირობითი.

ახლანდელი.

5. მეკეთებინა	გვეკეთებინა
მეკეთებინე	გვეკეთებინეთ
მეკეთებინეთ	–
გეკეთებინე	გეკეთებინეთ
გეკეთებინეთ	–
გეკეთებინა	გეკეთებინათ
ეკეთებინე	ეკეთებინეთ

ვეკეთებინე	ვეკეთებინეთ
ვეკეთებინეთ	–
ეკეთებინე	ეკეთებინეთ
ეკეთებინეთ	–

წინ თანდებული დაასრულებს.

მომავალი უსრული.

6. ვაკეთებდე	ვაკეთებდეთ
გაკეთებდე	გაკეთებდეთ
გაკეთებდეთ	–
აკეთებდე	აკეთებდეთ
მაკეთებდე	მაკეთებდეთ
გვაკეთებდე	გვაკეთებდეთ
აკეთებდეს	აკეთებდნენ
მაკეთებდეს	მაკეთებდნენ
გვაკეთებდეს	გვაკეთებდნენ
გაკეთებდეს	გაკეთებდნენ
გაკეთებდესთ	–

წინ თანდებული აქაც.

მომავალი მარტივი.

7. ვაკეთო	ვაკეთოთ
გაკეთო	გაკეთოთ
ვაკეთო	ვაკეთოთ
აკეთო	აკეთოთ
მაკეთო	მაკეთოთ
გვაკეთო	გვაკეთოთ
აკეთოს	აკეთონ
მაკეთოს	მაკეთონ

გვაკეთოს	გვაკეთონ
გაკეთოს	გაკეთონ
გაკეთოსთ	–

წინ თანდებული აქაც.

III. დახრა ნატვრითი.

გავლილი.

8. მეკეთებინოს	გვეკეთებინოს
მეკეთებინო	გვეკეთებინოთ
გეკეთებინოს	გეკეთებინოთ
გეკეთებინო	ეკეთებინოთ
გეკეთებინოთ	ვეკეთებინოთ.
ე – ს	
ვეკეთებინო	
ეკეთებინო	

წინ თანდებული.

ახლანდელი.

9. მაკეთებინოს	გვაკეთებინოს
გაკეთებინოს	გაკეთებინოთ
გაკეთებინოსთ	აკეთებინონ
–	გვაკეთებინონ
აკეთებინოს	გაკეთებინონ.

წინ თანდებული.

მომავალი.

- | | |
|----------------|-------------|
| 10. მაკეთებინა | გვაკეთებინა |
| გაკეთებინა | გაკეთებინათ |
| აკეთებინა | აკეთებინათ. |

ამასაც წინ თანდებული.

ნატვრით დახრას არა აქვს პირთა შორის ტრიალი. –

IV. დახრა დასაქმებითი.

რჩევითი.

- | | |
|--------|---------|
| 11. – | ვაკეთოთ |
| აკეთე | აკეთეთ |
| აკეთოს | აკეთონ |

წინ თანდებული.

- | | |
|-----------|------------|
| 12. – | ვაკეთებდეთ |
| აკეთებდე | აკეთებდეთ |
| აკეთებდეს | აკეთებდნენ |

წინ თანდებული.

დაშლითი.

- | | |
|-----------|-------------|
| 13. – | ნუ ვაკეთებთ |
| ნუ აკეთებ | – აკეთებთ |
| – აკეთებს | – აკეთებენ. |

წინ თანდებული.

ბრძანებითი.

14. – არ ვაკეთოთ
არ აკეთო – აკეთოთ
– აკეთოს – აკეთონ.

წინ თანდებულები.

მიმღობა.

15. **ლათინთ გერუნდი:** კეთება, გაკეთება.
16. – **გერუნდივი:** საკეთები, გასაკეთები.
17. – **სუპინი:** საკეთებლად, გასაკეთებლად.
18. **ახლანდელი:** კეთებული, გაკეთებული, მკეთებელი, გამკეთებელი.
19. **გავლილი:** ნაკეთი, განაკეთი, ნაკეთები, განაკეთები.
20. **მომავალი:** საკეთებელი, გასაკეთებელი, კეთებადი, გაკეთებადი.
ამაზედ მეტი შემოკლება ლა შეიძლება? ოთხმოცდა ორის მაგიერად გამოვიყვანეთ ოცი ხანა.
და უნდა ვთქვათ, რომ მიმოხვრა გამოვიდა უნაკლულს.
რომელიცა ზმნა ასე დაბრუნდება, სჩანს ამ კალაპოტს მოწყოლია და, მაშასადამე, კანონიერი ყოფილა.
მრავალია ზმნა, რომელიც ასე მიმოიხვრის, მაგალითად:
ვააბუჩებ (აბუჩა დაუპატიჟებელ სტუმარსა ჰქვია), ვააბჯრებ (აბჯარი – რკინის ტანსაცმელი), ვააგარაკებ (საყანეთა ვჰხდნი), ვაადვილებ, ვაალქატებ (ვაგლახავებ), ვაამებ, ვაასპარეზებ (ვასარბიელებ), ვააშკარავებ, ვაახოვნებ, ვაბანავებ, ვაბანოვანებ (მოხდენილ ქალად ვჰხდნი), ვაბარებ, ვაბეგრებ, ვაბერებ, ვაბერიკაცებ, ვაბერიკავებ, ვაბოგანოვებ (ვაპროლეტარიებ), ვაბრკოლებ, ვაბრიყვებ, ვაბრუნებ, ვაბრუებ, ვაგებ, ვაგემრიელებ, ვაგლახავებ, ვადიდებ, ვადავებ, ვადგენ, ვათავებ, ვათამაშებ, ვაკვირებ, ვაოცებ, ვალაგებ, ვანუგეშებ, ვაპრიალებ, ვასრულებ, ვატარებ, ვატრიზავებ, ვატრიალებ, ვაფიქრებ, ვაფთხილებ, ვაფუფუნებ, ვაქებ, ვაქორწინებ, ვალრიალებ, ვაყვედრებ, ვაშენ-

ებ, ვაშინებ, ვაჩემებ, ვაჩუმებ, ვაცმევ, ვაძინებ, ვანვალებ, ვბაძავ, ვგანგლავ, ვეველები, ვევარჯიშები, ვკანრავ, ვკითხულობ, ვპოვულობ, ვსცემ, ვსცნობ, ვსწვამ, ვსწერ, ვჭამ, ვჭეჭყ და სხ. და სხ.

აქ დაერთვის ცალკე მიმოხვრა ზმნისა: „ვსწერ“ და „ვენერები“. –

ამას წინეთ რომ ვსთქვით, ყოველი მოქმედებითი ზმნა „გადამდგომარებითდება“, აი ამისი დამტკიცება:

ვაბუჩავობ, ვაბუჩდები; ვეაბჯრები, – ვაბჯრობ; ვაგარაკობ; ვადვილობ; ვალქატდები; ვეამები; ვასპარეზობ; ვაშკარავდები, ვახოვნებ; ვბანაობ; ვბანოვნობ; ვებარები, მებეგრება, ვბერდები, ვებბრდები, ვბერიკაცდები, ვბერიკაცობ, ვბოგანოვდები, ვბოგანოვობ, ვბრკოლდები, ვბრიყვდები და სხ. და სხ.

ამათ მიმოხვრას დიდი განსხვავება არა მოუვარა, – ისეთი მაინც, რომ მოქმედებითი ზმნის მიმოხვრაში არ გვენახოს; მაგალითად:

ვ კ ე თ დ ე ბ ი.

ვჰკეთდები,	ჰკეთდები,	ჰკეთდება
– ით,	ჰ – ბით,	ჰ – ბიან.
ვჰკეთდებოდი,	ჰ – ბოდი,	ჰ – ბოდა
– დით,	ჰ – დით,	ჰ – დნენ.
ვჰკეთებულვარ,	ჰ – ხარ,	ჰ – ა
– ვართ,	– ხართ,	– ან.
ვკეთებულვიყავ,	– იყავ,	– იყო
– ვიყავით,	– იყავით,	– იყვნენ.
ვჰკეთდებოდე,	ჰ – დე,	ჰ – დეს
– დეთ,	ჰ – დეთ,	ჰ – დნენ,
ჰკეთდებოდე,	ნუ ჰკეთდები,	არა ჰკეთდებოდე.

მდგომარებითი ზმნის მიმოხვრას ბევრჯერ არა აქვს პირთა შორის ტრიალი და სხვა მნიშვნელობა თუ არ პირველსახე, – რადგან ყველა თავთავისთვისა მდგომარებს. –

სხვა მაგალითი კიდევ:

არცარაფერი აქა ყოფილა, – და დაღრეჯილობაც სულ ტყუი-
ლა-უბრალოთ შეგვრჩებოდა.

ჯერ თვალნინ ეს განვიახლოთ, რომ ზმნის პრეფიქსი, თავი,
წარმოგვიდგენს იმის საკუთარ ნაცვალსახელს, – ან თუნდ
ასე ვთქვათ, ზმნის განპიროვნებასა, – და ბოლო, – ე. ი. სუ-
ფიქსი, ხან პირსაც გამოგვიხატავს, მართალია, მაგრამ უფრო
კი ხმასა, რიცხვსა, დროსა და სახეს გვიჩვენებს ზმნისას:

მ ინდა, გ ინდა, უ ნდა; გვ ინდა, გ ინდა თ, უ ნდა თ;
მ ინდ ოდა, გ ინდ ოდა, უ ნდ ოდა; გვ ინდ ოდა, გინდ ოდა თ,
უ ნდო დათ; ვ ინდ ომე,... ვ ინდ ომებდი,... მო მინდო მებია...

სქემად მოვიყვანოთ ახლა ის პრეფიქსები და სუფიქსები,
ე. ი. დასაწყისი და დაბოლოვება, რომელნიც ცხოვლად გა-
მოგვიხატვენ ზმნის პიროვნებასაცა და მნიშვნელობასაც.

ჯერ ისეთი ზმნის სქემა, სადაც მოთავეობს **მ**.

მხოლოობითად.

რიგი პირველი პირის მეორე პირის მესამე პირი

თავი ბოლო		თავი ბოლო		თავი ბოლო	
1. მ	–	გ	–	ჰ, ს –ს.	ა.
2. მა	–	გა	–	ა –ს.	ა.
3. მე	–	გე	–	ე –ს.	ა.
4. მი	–	გი	–	უ –ს.	ა.
5. მია, – მიე, მიო		გია, – გიე		უა, –ია,	–
მიუ	– –	გიო, – გიუ – ს. ა.		უო, უუ, –ს.	ა.
6. მო – მომ	–	მოგ – ს. ა.		მოჰ, მოს, ს. ა.	

მრავლობითად.

1. გვ	–	გ	–	თ	ჰ –თ, ს –თ.
2. გვა –	–	გა	–	თ, სთ	ჰა –თ, –
3. გვე –	–	გე	–	თ, ა –თ,	–

- | | | | | | |
|----------------|---|----------|-------|-----------|------|
| 4. გვი- | - | გი | - თ, | ე-ნ, | ე-ნ. |
| 5. გვიე,-გვია, | - | გიე-გია | } - თ | უ-თ, | უ-ნ. |
| 6. გვიო,-გვიუ, | - | გიო,-გიუ | | უ-თ. | |
| 7. მოგვ | - | მოგ | - თ | მოჰ,-მოს, | - თ. |

ამ სქემაში მოყვანილს თავსა და ბოლოს მიიღებენ შემდეგნი, მაგალითად, ზმნანი:

მხოლოებითად.

მრავლობითად.

რიგისა.

- | | | | |
|------------|-----------------------|----------|-------------|
| 1. მგონია | მნადია | გვგონია | გვნადია |
| გგონია | გნადია | გგონიათ | გნადიათ |
| ჰგონია | ჰნადია, ან
სნადია. | ჰგონიათ | სნადიათ |
| 2. მაქვს | მანევს | გვაქვს | გვანევს |
| გაქვს | განევს | გაქვთ | განევთ |
| აქვს | ანევს | აქვთ | ანევთ. |
| 3. მეტრფის | მერევა | გვეტრფის | გვერევა |
| გეტრფის | გერევა | გეტრფისთ | გერევათ |
| ეტრფის | ერევა | ეტრფიან | ერევიან. |
| 4. მიძიმს | მიძველდება | გვიძიმს | გვიძველდება |
| გიძიმს | გიძველდება | გიძიმთ | გიძველდებათ |
| უძიმს | უძველდება | უძიმთ | უძველდებათ. |
| 5. მიოკებს | მიუხვებს | გვიოკებს | გვიუხვებს |
| გიოკებს | გიუხვებს | გიოკებთ | გიუხვებთ |
| უოკებს | უუხვებს | უოკებენ | უუხვებენ. |
| 6. მომწონს | მომყავს | მოგწონს | მოგყავს |

მოგწონს მოგყავს მოგწონთ მოგყავთ
 მოსწონს მოჰყავს მოსწონთ მოჰყავთ.

ახლა მეორე სქემა ზმნისა, სადაც მოთავეობს ვ.

მხოლოობითად.

რიგი	პირველი პირი	მეორე პირი	მესამე პირი
1.	ვ	ჰ, - ს -	ჰ - ს, ს - ს.
2.	ვა	ა	ა - ს.
3.	ვე	ე	ე - ა, ე - ს.
4.	ვი	ი	ი - ა, ი - ს.
5.	ვო	ო	ო - ა, ო - ს.
6.	ვუ	უ	უ - ა, უ - ს.

მრავლობითად.

1.	ვ - თ	ჰ - თ, ს - თ	ჰ - ნ, ს - ნ.
2.	ვა - თ	ა - თ	ა - ნ, ე - ნ.
3.	ვე - თ	ე - თ	ე - ნ.
4.	ვი - თ	ი - თ	ი - ნ, ი - ან.
5.	ვო - თ	უ - თ	ო - ნ, ო - ან.
6.	ვუ - თ	უ - თ	უ - ნ, უ - ან.

ამ სქემით თავსა და ბოლოს ითვისებენ შემდეგი ზმნები.

მხოლოობით.

მრავლობით.

1. ვბარავ	ვცრუობ	ვბარავთ	ვცრუობთ
ჰბარავ	სცრუობ	ჰბარავთ	სცრუობთ
ჰბარავს	სცრუობს	ჰბარვენ	სცრუობენ.

2. ვაბნევ აბნევ აბნევს	ვანყნარებ ანყნარებ ანყნარებს	ვაბნევთ აბნევთ აბნევენ	ვანყნარებთ ანყნარებთ ანყნარებენ.
3. ვებრძვი ებრძვი ებრძვის	ვენდობი ენდობი ენდობა	ვებრძვით ებრძვით ებრძვიან	ვენდობით ენდობით ენდობიან.
4. ვიჭერ იჭერ იჭერს	ვიტანჯები იტანჯები იტანჯება	ვიჭერთ იჭერთ იჭერენ	ვიტანჯებით იტანჯებით იტანჯებიან.
5. ვობუჯობ ობუჯობ ობუჯობს	ვოქროვდები ოქროვდები ოქროვდება	ვობუჯობთ ობუჯობთ ობუჯობენ	ვოქროვდებით ოქროვდებით ოქროვდებიან.
6. ვუკივი უკივი უკივის	ვუშვებ უშვებ უშვებს	ვუკივით უკივით უკივიან	ვუშვებთ უშვებთ უშვებენ.

ახლა ამ ორსავე სქემას ერთად მოვუყაროთ თავი და რამდენათაც შეიძლებოდას შევამციროთ; – ვნახოთ რა გამოვა. –

მხოლოდით.

პირველი პირი	მეორე პირი	მესამე პირი
ვ	გ	ჰ, ს, ა
მ	ჰ, ს –	ჰ – ს; ს – ს.

მრავლობით.

გვ	გ – თ, –	ჰ – თ, ს – თ
ვ – თ	ჰ, ს – თ	ჰ, ს – ნ.

ეს არის უცვალელებელი კანონი ყოველი ქართული ზმნისა, ორგვარ ზმნას გარდა:

1. სხვა კანონი აქვს ზმნასა, რომელსაც მიმოხვრაში ეხმარება არსებითი ზმნა „ვარ“; – და

2. სხვა კანონი აქვს ზმნასაცა, რომელიც არის პირნაკლი. ესენიც გავშინჯოთ:

მხოლოდობით.

ვზივარ	ვწევარ	ვდგავარ	მოვდივარ
ჰზიხარ	სწევხარ	სდგახარ	მოდიხარ
ჰზის	სწევს	დგას	მოდის.

მრავლობით.

ვზივართ	ვწევართ	ვდგავართ	მოვდივართ
ჰზიხართ	სწევხართ	სდგახართ	მოდიხართ
ჰზიან	წვანან	დგანან	მოდიან.

ყოველ ამგვარ ზმნას შიგა და შიგ თავთავისი ცვლილება აქვს, მაგალითად:

ვზივარ, ვიჯექ, დავჯდები; ვსხედვართ (ვზივართ არ იხმარება); ვიჯექით ან ვისხედით; დავსხდებით; –

ვწევარ, ვინექ, ვწვებოდი, მწოლიარე, ან მწოლარე; – ვდგავარ, ვიდექ, ვდგები, მდგომი, ნადგამი...

ამ მიზეზით ყველა ამისთანა ზმნა უკანონოდ ითვლება.

პირნაკლი ზმნა იმ ზმნას ეწოდება, რომელიც მარტო მესამე პირად იხმარება:

ელავს, ქუხს, თოვს, წვიმს, თენდება, ღამდება, მწუხრდება, ვახშმდება, ცივა, ცხელა, გრილა, თბილა, **უნდა:**

ელავდა, ქუხდა, თოვდა, წვიმდა, თენდებოდა, ღამდებოდა, მწუხრდებოდა, ვახშმდებოდა, ცივოდა, ცხელოდა, გრილოდა, თბილოდა.

იელვა იქუხა... დაცხა, დათბა, აცივდა, აგრილდა.

ეელვა, ეწვიმნა, აგრილებულ იყო, აცივებულ-იყო.

უელავს, უთოვია, აცივებულა.

იელვოს, დათბეს, აგრილდეს.

იელავს, ან იელვებს, – დათბება, აცივდება...

არის კიდევ ერთი უცნაური ზმნა, რომ არც სახეს იცვლის, არც დროსა, არც პირსა და არც რიცხვსა: **უნდა!**

უნდა ატრიალოს, უნდა ეტრიალებინა, უნდა დაატრიალოს;

უნდა ვატრიალო; უნდა მიატრიალ-მოატრიალო...

უნდა გვეტრიალებინა, უნდა ეტრიალებინათ.

ახლა მიმძლოლი თანდებულები მოვიყვანოთ, რომ ვნახოთ, რა და რა მნიშვნელობას აძლევენ ზმნასა.

ეს თანდებული რიცხვით არის თხუთმეტი, – როგორც ორი ზმნის ცალკე მიმოხვრაშიაც მოვიყვანეთ: **მაქვს და მყავს:**

ა, აღ, გა, და, მი, მო, შე, ჩა, ამო, გამო, გადა, გადმო, მიმო, შემო, ჩამო.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ვაბამ, ვაბნევ, ვალ, ვატარებ, ვაფრენ, ვაჭენებ, ვგზავნი, ვდივარ, ველი, ვზიდავ, ვიარ, ვივლი, ვიტან, ვიღებ, ვკაფავ, ვმართავ, ვრბი, ვუშვებ, ვჩეხ, ვჭხტი, ვჰყავარ, ვჰყვები და სხ.

ყოველი ამ ზმნათაგანი წაიმძღვანებს ყველა ამ თანდებულებს სწორეთ ისე, როგორც ზმნანი **მაქვს** და **მყავს**.

ავდივარ
ალვალ
გავდივარ
დავდივარ
მივდივარ
მოვდივარ
შევდივარ
ჩავდივარ
ამოვდივარ
გამოვდივარ
გადავდივარ
გადმოვდივარ
მიმოვდივარ
შემოვდივარ
ჩამოვდივარ.

ზოგი სხვა ზმნაც არის, რომ სახე აკლია ან დრო, და ან რომელსამე სახეში თუ დროში სრულებით იცვლება:

ვხედავ, დავინახე, დავინახავ; ვზივარ, დავჯექე, დავჯდები;
დავალ, ვიარე, დავივლი; ვაძლევ, მივეცი, მივსცემ; ვწევარ, ვინე-
ქი, დავსწვები და სხ. და სხვ.

უკანონოთ დასში გადადის ყოველი ამგვარი ზმნა.

თანდებულებისას თავისს დროზე ვიტყვით, რა თვისებისაც არიან; – მაგრამ აქ კი ეს მაინც უნდა ვსთქვათ, რომ, ზედნადებ-
ისა არ იყოს, ყოველთვის უცვლელად რჩება და ზმნა ისე უნდა მიმოიხვრებოდეს, თითქო თანდებული სულ არა ჰქონიყოს.

შემომყავს, შემომყავდა, შემოვიყვან, შემოვიყვანოს...

აღვაშენებ, აღვაშენებდი, აღმიშენებია...

ამ კანონის გამოისობით ერთი მიმოხვრა უნდა მოვიყვანოთ კიდევაც, რომელიც თავისთავად დიად კანონიერია, მაგრამ ზოგიერთს ახლანდელ მთხზველებს კი ძალიან უჭირ-
ვებს საქმეს:

აღვიარებ, აღიარებ, აღიარებს; აღვიარებდი, აღიარებდი, აღ-
იარებდა; აღვიარე, აღიარე, აღიარა; აღვიარო, აღიარო, აღიაროს;
აღმიარებია, აღგიარებია, აღუარებია; აღვიარებდე, აღიარებდე,
აღიარებდეს; აღმეარებინოს, აღგეარებინოს, აღეარებინოს, აღ-
იარე, ნუ აღიარებ, არაღიაროს.

გერუნდი: „აღსარება“.

გერუნდივი: „სააღსარებო“.

სუპინი: „აღსაარებად, აღსაარებლად“.

მიმღეობა, ახლანდელი: აღსაარებელი, – (რომელიც
სათქმელი იყო და არისცა); – „აღმსაარებელი“, – (რომელსაც
უნდა ეთქვა, ან უნდა სთქვას); „აღმსარებელი“, – (რომელსაც
უთქვამს და ამბობს).

გავლილი: „აღსარებული“ (თქმული).

მომავალი: სააღსარებო, „აღსარებადი“.

ერთი კანონი კიდევ და დავაბოლოვოთ კიდევ ამდენი ზმ-
ნაზედ საუბარი; – სჯულამდინ კი ნუ ჩაჰყვებითო, არა ვინ
გვითხრას; – ზოგი თვითან თქვენ იკვლიეთ, ჩემო სიცოცხლე
შვილებო; ზოგი სხვათ იკვლიონ, ვინც სიყვარულსა ჰგრძნობ-
დეს თავისი აღმზრდელისა და ფეხზედ დამყენებელი დედა
ენისას.

ხშირად მოხდება ორი ზმნის განუშორებლად ტრიალი,
მაგალითად:

მინდა ვსწერო;

მინდოდა მეწერა;

მდომებოდა – ვსწერდი;

თუ მოვინდომე – დავსწერ;

რომ მომენდომებინა – დავსწერდი.

ამ გვარადვე ულელს შეებმიან:

მწადს, მსურს, ვფიქრობ, განვიზრახავ – ვსწერო.

„მონადინე, მოსურნე, მდომელი“ – წერისა, „ვათავებ ზმ-
ნაზედ წერასა და ვარცა ზმნაზედ გამთავებელი წერისა“.

თავი IV.

ზ მ ნ ის ზ ე დ ა .

ეს ქართული სახელი ძალიან უდგება ლათინურ adverbium's.

ზმნისზედა არის მეოთხე სიტყვის ნაწილი და ეწოდება ლექსთა მათ:

„რომელნი აღნიშნავენ ადგილსა, ანუ დროსა, ანუ სახესა მოქმედებისა, გინა მდგომარებისასა“ (ლათინური გრამმატიკის განმარტებით).

„რომელნი მიჰყვებიან ზმნასა აზრისა მისისა განსაბეჯითებლად“ (ფრანცუზული გრამმატიკით).

„რომელნი გამოსთქმენ ვითარებასა, ანუ გარემოებასა სხვა ვითარებისა ანუ მოქმედებისასა“ (რუსულით).

„რომელნი გვიჩვენებენ გარემოებასა, დროსა, ადგილსა და რაოდენობასა“ (ქართული, დავ. ჩუბინოვის).

„რომელნი აჩვენებენ (ვის?) მოქმედებისა ანუ ვნებისა ვითარებასა, რაოდენობასა, დროსა და ადგილსა“ (ქართ. პლატ. იოსელი.).

„ზმნისზედად არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა გვართა, მექმეობათა და ვნებათა აობათასა დაჰნიშნავს“ (ანტონ ქათალ.).

ჩვენ რაღა ვთქვათ?

სწორეთ ზმნას დაჰყვება ფეხუცვლელად ეს სიტყვის-ნაწილი, რომ მოქმედება არის გამოსარკვევი, თუ მდგომარება, ცხადად გამოირკვეოდეს:

„იქ“ მივალ; „აქ“ მოდის; „ხვალ“ ვნახავ; „გუშინ“ ვიყავ; „მხიარულად“ მიდიოდა; – „უეჭველად“ იტყვის; სახელი „ზმნად“ იქცა, ზმნა ჯერ სახელად და მერე ისევ „ზმნისზედად“.

მრავალია ამგვარი ლექსი და გრამმატიკოსნი აქაცა ცდილობენ ყველას ისე მოუყარონ თავი, რომ გარეთ აღარც ერთი აღარ დარჩეს. – ამისთვის ზოგი რვადა ჰყოფს ზმნისზედას; ზოგი თორმეტად; – ზოგი, როგორც ჩვენი პატივცემული რაფ. ერისთავი, ჩვიდმეტადაც;¹² – მაგრამ – რამდენაირადაც მოქმედება ან მდგომარება განვითარდება, ეს სისწორით მაშინ ითქმის, როდესაც სისწორით ჯერ იმას შევიტყობთ, თვითან მდგომარება და მოქმედება რამდენი არის, – და ამისს გამოანგარიშებას ვინ დაადგება, თუ ეს არ გადავთქვით, რომ ყოველი სახელი ზმნად იქცევაო?

მაშ ეს ვიკმაროთ სათქმელად, რომ „*ზმნისზედა გა-
მორკვევით გვიჩვენებს ზმნის მნიშვნელობას*“.

ახლა მოვიყვანოთ, რაც რომ მოგვაგონდეს, ზმნისზედა „პირველსახე“, რაც თავისთავად არის „ზმნისზედა“ და არა გადმოკეთებული:

1. ჩვენებითნი:

აქ, იქ, მანდ, აქეთ, იქით, მანდეთ; ასე (და არა ესე), აგრე; ისე; შინ, შიგნით, გარე, გარეთ, ქვემოდ, ზემოდ; ჩემსავით, შენსავით, ამასავით, მაგასავით, იმასავით; ჩემებრ, შენებრ...

2. რაოდენობითნი:

თითოთითოდ, ათობით, ასობით; ათასად, ათიათასად; წყვილად; მრჩობლად, ბევრად, მრავლად, მრავალჯამიერად; ცოტად, ნაკლებად, ამდენად, მაგდენად, იმდენად; კენტად, ლუნად, რამდენად, რაოდენად...

3. დროითნი:

დღეს, ხვალ, გუშინ, გუშინნინ; გუშინდულად, დღევანდულად; წუხელის, წელან, გუშინდამ; წუხანდულად, წელანდულად; ზეგ, მაზეგ; სახვალიოდ, საზეგიოდ; წლეულ, შარშან, მერმის, საგაი-სოდ, გაისობას...

4. ვითარებითნი:

რათა, როგორ, ვითარ, რანაირად, რაფრად; კარგად, ავად, ლამაზად, მშვენიერად, თეთრად, ფერადფერადად; მკვირცხლად, მარდად, სწრაფად, სასწრაფოდ, საჩქაროდ, საგანგებოდ, საიასალოდ...

5. დამტკიცებითნი:

დიალ, ოლონდაც, მართლა, მართლად, სწორედ, ბეჯითად, ჭეშმარიტად, ზედმინევენით...

6. გადათქმითნი:

არა, არას დროს, არაოდეს, არასოდეს, ვერა, ვერასდროს; ვერაოდეს; სულაც არა, სრულიად არა; – სრულიად ვერა; – არაფრად, ვერაფრად...

7. გადაქცევითნი:

ქვად, წყლად, ღრუბლად, ორთქლად, ნამად, დამად; ნადირად, ფრინველად, ადამიანად, კაცად, პეტრედ, ქალად, სალომედ; ნიგნად; ქალაღლად; კითხვად, წერად, თხზვად, თარგმნად, ძილად, მღვიძარებად, ჯდომად, დგომად, წოლად, ... გადამოქმედებითად, გადმომდგომარებითად, – ლათინურად, ინგლისურად, ჩვენებურად, მათებურად.

როგორც ვჰხედავთ ზმნისზედა უფრო ხშირად დაბოლოვდება „დ“-თ. – კანონის წინააღმდეგობა კი სრულებით არა იქნება, რომ ეს ასო ხანდახან „თ“-დ და „თა“-დ იქცევოდეს; – მეტადრე მაშინ, როდესაც მიმდევნო სიტყვა ისეთი ასოებით იწყება, რომ იმათთან „დ“ ყურს ეწოთიერებოდეს. – ხანდახან საჭიროც არის ესა, რომ ან სიტყვის უკმეხობა არ მოგვევიდეს, ან კაკაფონია არ შემოგვეპაროს, ესე იგი: ერთნაირისხმის გახშირება.

რა რომ ესეები გვეცოდინება, რამდენათაც უნდა იყოფებოდეს ზმნისზედა, სულერთია, ოლონდკი მოსწავლეს არ გაუჭირდეს საქმე.

მაგრამ, სხვა რომ არა იყოს რა, – სვინიდისის დასამშვიდებლად მაინც მოვიყვანოთ, როგორა ჰყოფენ ზმნისზედას ჩვენი სიტყვისმეტყველნი.

1. ადგილობითად;
2. რაოდენობითად;
3. რიცხვითად;
4. ხშირობითად;
5. შემკრებელობითად;
6. განკერძობითად;
7. ჩვენებითად;
8. წესებითად;
9. დამტკიცებითად;
10. უკუთქმითად;
11. სანადად;
12. შემრჩობლებითად;
13. მყუდროებითად;
14. უთანამდებობითად;
15. კითხვითად;
16. საიჭვოდ;
- და 17. მსწრაფლობითად.

ადვილად შეიძლება ერთი ამდენი კიდევ დაემატოს:

1. განვითარებითად;
2. განზვიადებითად;
3. განწილებითად;
4. განმსჯელობითად;
5. მკრეხელობითად;
6. მკელობლობითად;
7. სავნებელობითად;
8. მართლმკვეთელობითად;
9. შეწამებითად;

10. მართლმხედველობითად;
11. დასახელებითად;
12. დასაქმებითად;
13. დაბოლოვებითად;
14. განქიქებითად;
15. გარესკნელობითად;
16. თავხედობითად;
- და 17. ათიათას-ასიათას ნაირობითად.

მაგრამ რა გამოვიდა: დიამც იყოს – მერყეობაში თორმეტი ბრუნვა ოთხის მაგიერად, ან უღლვილებაში ათი და ოცი მიმობზრა ორისა და სამის მაგიერად.

ქველს დროში იცოდნენ, სწავლას დიდად აძნელებდნენ, რომ მეცნიერთა რიცხვი თუ გამრავლდა, მეცნიერებას პატივი აეყრებაო; – ჩვენს დროშიც კი გვახსოვს ამგვარი ქველმოქმედება თვითან მასწავლებელთ მოთავეებისა; მაგრამ მე ჩემი შვილებისათვისა ვსწერ და ნეტავი, თქვენი სიცოცხლით, იმდენს შევიძლებდე, რომ ამ გრამმატიკასაც ერთი ათად შევამოკლებდე და იმის სწავლასაც ყოველს ქართველს ერთი ათად უფრო გავუადვილებდე; – თორემ ან როგორ შეიძლება მოსთვალოს კაცმა, რა და რა გვარი არის ზმნის ზედა, – და ან, რომ შეიძლებოდეს კიდევცა, რა საჭიროა?

სიტყვა არ არის ისეთი, რომ ზმნისზედად არ გადაიქცევიდეს. –

მოდი დასთვალეთ ახლა, რამდენიათქო.

თავი V.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი.

ეს მეხუთე სიტყვის ნაწილი, თანდებული, დაერქვა ყოველს იმ სიტყვას, რომელიც ან წინმიუძღვის ლექსსა და ან თან მიჰყვება, რომ იმისი მიმართულება დაგვანახვოს.

ამ სიტყვის ნაწილს ზურაბ შანშოვანი და თვითან ანტონ კათალიკოზიც ხანდახან ართრონს უწოდებენ (ἀρτρον), მაგრამ ართრონი, ე. ი. ისეთი სიტყვა, რომელიც სხვა ენებში არსებით სახელს ან წინ უძღვის, ან თან მისდევს უფრო სქესის გასარჩევად, როგორც მაგალითად: der, die, das; – le, la, les; the, და სხვ. – ჩვენს ენაში არ არის, რადგან არა ფრისთვის არ არის გამოსადეგი.

ამ მიზეზით ჯერ ორ რიგად იყოფება თანდებული:

მიმძლოლად და მიმყოლად.

პირველი რიგის თანდებულები, რიცხვით თხუთმეტი, ზმნის მიმოხვრაშივე გავიცანით; მაგრამ არის კიდევ იმავე რიგისა რამდენიმე, რომელიც იქ არ შეგვხვედრია:

აი, ამ პირველი რიგის თანდებულები:

ა, აღ, გა, და, მი, ლო, შე, ჩა; ამა, აღმა, ამო, აღმო, გამო, დამო, მიმო, შემო, ჩამო; – ზე, ნა, უ, უ–დ, თვინიერ.

მეორე რიგის თანდებულები არიან სამგვარნი. თავის თავად ყველა თანდებული ისე უცვლელი არის, როგორც ზმნისზედა; მაგრამ ესენი სახელებს შეეთხზვიან ბრუნვების გარჩევით, – და ეს არის მიზეზი სამრიგად დაყოფისა:

1. პირველი რიგის თანდებულები მისდევენ სახელობითს ბრუნვასა:

თი, თ, თურთ.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ივანეთი, კაცით, კაცითურთ.

ხან ნათესაობითსაც მისდევენ:

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ამისით, იმისით, თავისით, იმისითურთ.

2. მეორე რიგის თანდებულნი მიჰყვებიან ბრუნვას უფრო ნათესავობითსა:

გან, გამო, მებრ, ებრ, დმი, თვის, მიმართ, მომართ.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

კაცისაგან, კაცისგამო, კაცისამებრ, კაცისადმი, კაცისთვის, „კაცისა მიმართ“, „კაცისა მომართ“.

ამავე ბრუნვას მოითხოვს მიმძღოლთაგანი **თვინიერ**:

თვინიერ კაცისა.

და მიცემითს მიჰყვებიან:

მ ა გ ა ლ ი თ ი:

მთას აქეთ, მთას იქით; ამ მთის გარდა; სახლს გარეთ; ამას უწინ, ამას წინათ, ჭერქვევით, ჭერქვეშ, ამას მერმე, იმასუკან, სახლში (შემოკლებით, რადგან სახლსში, მარანსში, კალთასში – არ ითქმის), კოკაში, კოკასაშიგან, ამაზე, ამაზედ, ამასაზედა, იმასთან, იმასთანა, ამასავით, იმასავით...

თუ ერთ-ერთი ამ თანდებულთაგანი პირველს რიგში გადავიდა, მაშინ, სამწიგნობრო კილოს კანონთამებრ, მიცემითის მაგიერად ნათესავობითს მოითხოვს:

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„გარდა“ ამისა, „წინეთ“ ამისა, „ქვეშე“ ჭერისა; „მერმეთ“ იმისა და სხვ.

მაგრამ სამწიგნობრო კილოს კანონებისას აქ მე საუბარს არ გაგიგრძელებთ, – რადგან მერე ვაპირებთ ამაზედ ლაპარაკსა.

ჯერ აწმყო, მერე ნამყო და მერე მყოობადი.

ამას კი ვახსენებ აქა, რომ სამწიგნობრო კილოში თანდებული ხშირად შიგ შუა სიტყვაშიაც ჩაეკვეტება ხოლმე; მაგალ:

მირავიდოდი, – რომ მივდიოდო,

მიოდენრავიდოდა, – რა რომ მივიდოდა; ამგვარი ლექსთ-მოყვანილობა გასაგონათ დიად საამოა, მაგრამ ახლანდელს სასაუბრო ენას სულ აღარ ეთვისება.

იმავე მიცემით ბრუნვას უძღვიან პირველი რიგის თანდებულები.

წელანაცა ვთქვით, რომ თანდებული თავისთავად არ იცვლება, არც ბრუნვითა და არც მიმოხვრითა; – მაგრამ თუ

თანდებული ისე შეუერთდა რომელსამე სიტყვას, რომ აზრის გამოუცვლელად მოცილება აღარ შეიძლებოდა, მაშინ, როგორც შეერთხორცებული, ამ სიტყვის ცვლილებას კი ველარ დააბრკოლებს:

მ ა გ ა ლ ი თ ი :

პირველთაგანი, პირველთაგანისა, თაგანსა, – თაგანმა;

ხელქვეითი, – თისა, – თსა, – თმა; –

ცასქვეშეთი, – თისა, – თსა, – თმა; –

შენებრი, – რისა, – რსა, – რმა.

ამ თანდებულებში არის ერთი, რომელიც ცალკე უნდა მოვიყვანოთ, ამიტომ რომ, თავისნება მსახურივით, ხან ერთ ბრუნვას მისდევს, ხან მეორეს: ეს არის თანდებული „**კით**“.

რა სიტყვაც „**ი**“-თ დაბოლოვდება, იმას მისდევს სახელობითში და სხვას ყველას მიცემითში:

კაცივით, ნადირივით, გმირივით, ცხენივით, ქალაღივით...

პეტრესავით, კლდესავით, – მთვარესავით, ოქროსავით; –

ამ თანდებულებს უნდა დავუმატოთ კიდევ სამი ქართული სიტყვა, რომელიც აზრის ბოლოს მოექცევინა:

1. მეთქი, როდესაც განახლებით ვამბობ ჩემსავე სიტყვებს: რომ გითხარ; დავწერ მეთქი; აი, დავსწერე კიდევცა.

2. თქო, როდესაც 1 პირი მეორეს სიტყვას აბარებს მესამესთან:

თუ გიყვარდე ეგ წიგნი მალე დამინერეთქო. და

3. ო, როდესაც მოუბარი მესამე პირის ნალაპარაკვეს მოგვითხრობს:

დრო რომ მქონიყო, უთუოთ დავსწერდიო.

თავი VI

კ ა ვ შ ი რ ი .

კავშირი ისეთს სიტყვასა ჰქვია, რომელიც შეაერთებს, დააკავშირებს ორს ან რამდენსამე სიტყვასა, თუ აზრსა;

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

„ქალი და კაცი“; „ქალიცა, კაციცა, გოგოცა და ბიჭიცა“.
პეტრემ კალამი აიღო და პავლეს წიგნი მისწერა.

კავშირიც ორ რიგად იყოფა:

ერთ რიგს მოჰყვებიან მარტივი კავშირები, მოკლე, ერთ ან ორ მარცვლოვანი სიტყვები;

მ ა გ ა ლ .

და, ცა, ნუ, ნუნუ, აკი, რადგან, რახან, რა რომ, რაკი, როგორც, ვითამ, მაშ, როცა, თუ, თუმცა, არ, ვერ, არც, ვერც; – ან, ანარადა; გინდ, გინდა, თუგინდა, თუნდა, თორემ, ოღონდ; ხომ, მაგრამ...

მეორე რიგს მოჰყვებიან რთული კავშირები, – დამაკავშირებელი აზრები;

მ ა გ ა ლ ი თ .

ვინაიდგან, ამადრომე, ამიტომ რომ, იმისთვის, ამისთვის რომ; ამნაირად, ამგვარად; სადაც, როგორც, არასდროს, არაოდეს; როდესაც, ამასიქით; თურომ, თუ არა და, – თუგინდრომ, ასე რომ (არა ესე), ისე რომ, კიდევ, კიდევცა, კიდევაც, მაინც, მაინცა და მაინც, მაინც კი, მანამ, მანამდინ, მანამდისინ, მანამდისინაც; ნუ-თუ; ნუუკვე.

ბევრი ზმნისზედა და თანდებულიც იხმარება ხოლმე კავშირად.

თავი VII.

შორისდებული.

შორისდებული იმ ხმას და იმ სიტყვასა ჰქვია, რასაც კაცი უნებლიედ წამოიძახებს მწუხარებით, სიხარულით, მრისხანებით და სხვა ამგვარი გრძნობით.

აჰ, ოჰ, ეჰ, იჰ, უჰ, ვაჰ, ვეჰ, ვაჲ, ვაჲჲჲ! არიქა! ეეჰუ! – ვიშ-ვიშ!
აჰაჰა! სსს! სუ, ჩუ! ნეტა! ოჰ-ოჰ-ოჰ! ჰა-ჰა-ჰა! ერიჰა! ბარაქა-

ლა!!

შორისდებულად ზოგი ზმნისზედა იხმარება, ზოგი თანდებული, ზოგი კავშირიცა, და ზოგი ზმნაცა.

ჩქარა, ჩქარა! მალე, მალე! ნუ-ნუ! აპაპა! ზე, ზე! ნუიქ, ნუიქ! მიშველეთ!!

არის ერთი შორისდებული, რომელიც თითქო სიტყვას გვიმტყუნებს, რომ ქართულს ენაში მდებდრობითად და მამრობითად გასარჩევი სიტყვები არ არისო. სიტყვები არ არის მართალია არც ერთს სიტყვის ნაწილში, ამ მეშვიდეს გარდა; – აქ კი არის ერთი, რომელსაც კაცი არ იტყვის და ქალი კი: „ქა!“

შორისდებული, როგორც ზმნისზედა, თანდებული და კავშირი, არც დაბრუნდება, არც მიმოიხვრის; მაგრამ, თანდებულისა არიყოს, თუ სხვა სიტყვას შეუერთხორცდა, მაშინ კი იმასთან იტრიალებს;

მ ა გ ა ლ.

სულ ვად ვადს აძახებდნენ.

– არიქასა ყვიროდნენ.

იმათმა ბარაქალამ დაგვაყრუვა.

5 დეკ. 1881. შაბ.

შემოკლებული ლექსიკონი

სიტყვებისა, რაც ძვირათლა იხმარება ქართულს ლაპარაკ-სა და წერაში; – ან რაც სხვა ენებიდამ არის შემოტანილი.

აბანოზი, ებანოზი – შავი ხე.

აბგა – اخب – პატარა ხურჯინი.*

აბედი – ابدع – amadou – ხის სოკო.

აბეჩხარი – მოუვლელი ვენახი.

აბრეშუმი – ابريشم – ქიჭნაური, ყაჭის ნართი.

აბუჩა – გამოშტერებული, ჩერჩეტი.

აბჯარი – ابح – აღმაგი, რკინის პერანგი.

აგარი – اگرد – ველი, მამული, სოფელი.

აგარაკი – اقاداق – დაბა, სახნავი მიწა.

აგნისანი – ხე მშვენიერი და უნაყოფო.

ავაზაკი – ااداقاق – ავიკაცი, თული.

ავეჯი – اادد – аещь – ნივთი, ნივთეულობა.

ავლი, ავლიანი – ფერფლი, სანაგვე.

ავჟანდი – უზანგო – ااداد

ავქსონი – ااداد – auctor – მომქმედი, შემთხზველი.

* არაბულ და სპარსულ სიტყვათა დანერვილობაში ხშირია ორთოგრაფიული შეცდომები თუ კორექტურული ხარვეზები. ზოგან აღრეულია სიტყვათა მნიშვნელობა (მაგალითად, „მამრიყელი“ განმარტებულია, როგორც დასავლეთელი, „მალრიბელი“ კი – როგორც აღმოსავლეთელი. უნდა იყოს პირიქით), სიტყვის „ჯარიმა“ გასწვრივ წერია აა, რაც ნიშნავს დანაშაულს (ბრალს) და სხვ.; წინამდებარე პუბლიკაციაში თავს ვარიდებთ სწორებებს და ვტოვებთ დედნისეულ ვითარებას. განეული დახმარებისთვის მადლობას მოვასხენებთ პროფ. გიორგი ლოზჟანიძეს.

აზარმაცი – ონინარი – ბერკეტი, ამწევი ძელი.
აზიზი – ازيز – ძვირფასი, სათუთი, სატრფო.
ათცხრამეტურა (nombre d'or) – თვლისთავი.
აკვიატება – მოუცილებლობა, ვერმოცილება, თანადევნება, აყოლიება.
აკიდო – ასხმა, ჯაგანი.
აკრა – акра – კლდოვანი, ფრიალო კიდე, ნაპირი, სიმაგრე.
ალამი – დროშა, ბაირალი.
ალექსირი – გამონახადი, ელექსირი.
ალი – ქიმიურად სითხე, განყალბული.
ალიაქოთი – არეულობა, შფოთი.
ალიტრიონი, ხამანწავი – le huitre – უსტრიცა.
ალმაცერადი – ირიბი.
ალო – რიგის სახნავი.
ალქატი – გლახა, საბრალო.
ალოლიანი – მიმხვედრი.
ამაყი – اعمى – ყიფი, თავმომწონე, მედიდური.
ამბავი – хампав – ხმა, მოთქმა, მოთხრობა.
ამბარდანი – انباردان – მესურსათე.
ამბოკარი – მარტოხელა კაცი.
ამბრა – სუნნელი, სუნი ამბრისა.
ამბუხი – საქიმიო ჭურჭელი, петрота, ხუფი.
ამპარტავანი – ампартаван – ამაყი.
ამპინი – ambitiosus – ყიფი, თავმომწონე.
ამეთვისტო – аметист.
ამრეზილი – morose – მონყენილი, მოჭმუხული, ცხვირჩამოშვებული.
ამქმელი – ბებია, მშობიარეს მომვლელი.
ამხანავი – امخانه – ტოლი, შემწე, მეგობარი.
ანაზღუელად – იჩქითად, მყის, მსთოვად, მსწრაფლ, იმნამსვე, მუნთქვესვე.
ანარარია – anarrhea – სისხლის ავარდნა; ზღვის გაბრუნება, მიქცევა, მოდენა; ე პ ი რ ი ა – მობრუნება; მოქცევა.

ანგარიში – انكريش – თვლა.
ანდაზა – انداز – მაგალითი, იგავი, თქმულობა.
ანდერძი – اندازز – უკანასკნელი აღთქმა.
ანკვირა – anchora – ღუზა, якорь.
ანზარუთი – საქიმო მასალა.
ანცი – ცოცხალი, ფხიზელი, ცელქი.
აოშვა – გადახვნა.
აპრიალება – შეხურება, შეფიცხება.
არეა – Ἄρης – მარეხი, მარსი, ჭიმჭიმელი.
ართრონი – Ἄρθρον – სიტყვის ნაწილი მარცვალი, თანდებუ-
 ლი, – არტიკლი.
არმაღანი – შორეული ძღვენი.
არჯასპი – аржасу – შავიქვა, მადნეული.
ასთაკვი – astacus – ზღვისკიბო, კირჩხიბი, ჰომარი.
ასო, ასონი – ასო-ასოდ დაყოფა, ასო-ასოდ ამოკითხვა.
ასპარეზი – اسپر – მინდორი, სტადიონი, საჩენი ადგილი.
აუარებელი – სათქმელად შეუძლებელი.
აუგი, აუგიანი – სირცხვილი, სარცხვინელი.
აფთიონი, აფქიონი – სამართი, руть.
აფორიაქება – აკლება, აოხრება.
აფრა – იალქნის შესაბამი ტილო, парус.
აფროდიტი – ვენერა.
აფსკა – თხელი კანი.
აღაპი – ἀγάπη – agape – ქელები.
აღბორგება – განრისხება, მძვინვარება.
აღლუმი – აღხილვა, დახედვა, გადახედვა.
აღმსაარებელი – მრწამებელი სარწმუნოების, სიმართლის
 მთქმელი.
აღძრცვილება – ახსნა, გამოცხადება.
აშკარა – آشكارا – ცხადი.
აშკი – მავთული.
აჩხორვა – ერთიერთმანერთზედ მიყრა.
ახმახი – احمق – უშნო მაღალი, დიდი.

ახოვანი – მოხდენილი ტანადი, ღონიერი.

ახორი – اخور – ბაგა.

აჯა – თხოვნა, ვედრება.

აჯანღება – ყება, აშფოთება, არევა.

აჯილოსანი – მანდილოსანი.

ბაბრი – ჯიქი.

ბადალი – მაგიერი.

ბავრაცი – بصرای – ბაირალი, საეკლესიო დროშა.

ბაზმა, ბაზმაკი – სანათი, საკმეველი, საკმევი.

ბათალი – პირუტყვთ მკურნალი.

ბათილი, გავაბათილე – გავაუქმე, ძალა წავართვი.

ბალთა – შესაკრავი, застежка, agrafe.

ბალბა – მოლოქი.

ბალღამი – ფალღამი – φληγμα – мокрота.

ბანაკი – բանակ – დროებით სადგომი.

ბანოვანი – بانو – ქალი პატიოსანი.

ბარაქა – بارخ – კურთხევა, დალოცვა.

ბარი – بار – დაბლობი, მთა და ბარი.

ბარტყულა – ბერის თავსახური, клубук, fros.

ბარქაში – ღრმა თეფში.

ბარჯი – კეტ-კავი, ჯოხკავი.

ბაქი, ფახი – დამუქრება, სიტყვით შეშინება.

ბაშმალი – باشمال – ხარკი სულზედ გადასახადი.

ბაცაცი – ბაჭია.

ბგერა – რეკა, წკარუნება, ცემა.

ბედევი – გაახლებული ძველი.

ბედითი – ცუდი, საძაგი.

ბევრი – 10 000.

ბეითალმანი – წინდი, სამაგიერო.

ბელლარი – გაყვანილი წყალი.

ბემი – ბიჟი, амфитеатр.

ბენძლი – უმუშევარი ილექტრო, необработанный металл.

ბერილი – გამოყვანილი, обработанный.
ბერკეტი – აზარმაცი, ონინარი.
ბელურა – чижи́к, serin.
ბენვის თეზაფი – волосный скипидар.
ბეჭვა, ჩაბეჭვა – ქსელის ჩამაგრება.
ბზარი – გაბზარული, განაბზარი, გამსქდარი.
ბიზი – ჩასმული ძელი, ჩარჭმული.
ბირკა – ბალახი, репейник.
ბირთვი – სიმრგვლე, ბურთი.
ბიჟიკი, ბიჟინა – ირმის შვილი.
ბლაგვი, ბლიგვი – ჩლუნგი, ულესი.
ბლარჯი – უღვეველი, გაულვეიბელი.
ბონვერა – ხავსი.
ბობლანო – საკრავი, დაირა.
ბოგანო – მარტოხელი, ამბოკარი, ტაბარუკი.
ბოდიში – შენანება.
ბოზი – полк – მემრუშე.
ბოიკი – ორის წლის მოზვერი.
ბოკვერი, ბოხვერი – ლომის შვილი.
ბოლი, ბოლად – ერთიანი, ერთიანად, оптом.
ბოლოტის წყალი – საქიმო მასალა.
ბოლუქი – полк – დასტი, მწყობრი.
ბონდი – პონს – გაბმული ხიდი.
ბორა – ბიბრძ – დიდი ჩრდილოს ქარი.
ბორგა, ბორგვა – მძვინვარება, მრისხანება.
ბორა, ბორაკი, ბორაისარმატი – საქიმო მასალა ბალახე-
 ული.
ბორგნეული – გამმაგებული, გაცეცხლებული.
ბორი, ბური, ბურუსი – მშრალი ნისლი.
ბოროტი – порок – ქეციანი.
ბორძიკი – ბრკმა, ბრკენა.
ბორჯალი – ვადა, პაემანის დრო, ჟამი.
ბორჯლი, ბორჯლიანი – კორძიანი, ჯირკიანი.

ბოსტანი – მტილი.
ბოქლომი – საკეტავი, საკეტი.
ბრბო – ხალხის გროვა, ჯართა სიმრავლე.
ბრგე – მშვენიერ-ტანადი.
ბრდღვინვა – ღრიალი, ყვირილი.
ბრე – მტვერი.
ბრკმა, ბრკენა – ბორძიკი, ნაბორძიკება.
ბრპენი – ტყვია.
ბრყენი – კალა, олово.
ბრუჟვა, ბრუჟება – თრობა, დათრობა.
ბრძვილი – ჭრილობა, ნყლული.
ბრჯგუ – უმახვილო, გონება-ნაკლები.
ბუგრი – მხოცავი, მჟლეტელი.
ბუმბა – βίμβος – ყუმბარა, сомна.
ბუნაგი – დიდი მხეცის სადგომი.
ბუნიობა – დღე და ღამის გასწორება, არდადეგი; – равно-
 денствие, equinox.
ბურანი – თვლემა.
ბურნა – ღვინის ქინქლა.
ბურუსი – მდაბლობის ღრუბელი.
ბუსტული – 𐏃𐏄 – ფისთა, ფსტა.
ბუსუსი – წმინდა ბალანი.
ბუტკო – ახალგამონასკული, bouton, зародыш.
ბულა – ხარი.
ბული – ორთქლი, დამი, ოშხივარი.
ბუძგი – ძღარბისშვილი.
ბუნუნი – დაუვარცხნელი თმა.
ბუხუნი – ღორისა და ღომის რისხვის-ხმა.

გააადამიანებს – კაცად გამოიყვანს.
გააადვილებს – სიძნელეს მიუღებს.
გააამაოებს – დაუჯერებელ-ყოფს.
გაააშკარავებს – განცხადებულ ჰყოფს.

გააბამს – ქსელს დაჰფენს; საუბარს გააგრძელებს.
გაბასრული – გალანძღული, დაცინებული.
გაგლისპებული – გამდგარი.
გადმომჩქერი – წყალი მაღლიდამ ძირს რომ ეკვეთება.
გავალაკი – სარეცელი, საკაცე.
გავალო – დაშაქრული საჭმელები.
გათოშვილი – შენაცვივი.
გამკილავი – დამცინებელი.
გამკრეხელი – ამკლები, გამცარცვაფი.
გალექებული – ძალიან მთვრალი.
გალხოზა – დადნობა.
გამანავი – ერთი დღის ნახნავი.
გამობუტკვა – თვალების ახილვა.
გამოქნილი – გამოკეთებულ, დარბილებული.
გამტიერება – გამელოტება.
გამსტრობა – ჯაშუშობა, დათვალიერება.
გამქისებული – განადირებული.
გამყიფება – გამოშრობა, გამოფუტუროება.
გამცემელი – მოლალატე.
გამცემი – პურადი, უხვი.
გამჭირვალი, გამჭირი – ნივთიერება, რომელშიაც სინათლე
 გადის, გასჭვირს
განგოზილი – შეღებილი, შელესილი.
განგურდევა – გვერდის აქცევა, განდრეკა.
განზავება – გახსნა წყალში.
განთქმა – ხმის დაგდება, ხმის გავრცელება.
განკვართვა – ტანთ გახდა.
განკუთვნიო – განსაკუთრებით, საკუთრად.
განპატიყება – სასჯელის გადაწყვეტა.
განქიქება – შერცხვენა.
განჩემება – შეჩვენება, გაგდება, დაკარგვა.
განძება – გაგდება.
განძვინება – მხეცური განრისხება.

განწონა – ტანში მახვილის გატარება.
გარდახვევა – გზის აქცევა; ჭირის გადაღება.
გარდახვევნა – სიყვარულით მოხვევა, ნიაღ ყოფნა.
გარემოქცევით – გამობრუნებით.
გარესკნელი – გარეგანი შესახედავობა, **внешний**.
გარეშეუნერელი – განუსაზღვრებელი, თვალ-უნვდენელი, **неограниченный**.
გარენარი – უხალისო, უნდომი, დაუდევარი.
გარინდული – დასუსტებული, დაულონოვებელი.
გარისი – გარეული, ველური.
გარსი – ნაჭუჭი, ქუთუთო.
გასაგნვა – ნიშანში ამოღება, ნიშნის დაღება.
გაფშეკა – გამაგრება, გახმობა, აბურცვა.
გაქარჯვა – დანეწკა.
გაქელვა – ფეხქვეშ შჩაგდება და ზედსიარული.
გაქიშპება – ჟინში ჩადგომა, წინააღმდეგობა.
გაქურთვნა – გაფცქვნა.
გაყრმობა – გაყმანვილება.
გაცბუნება – გაოცება, გაკვირება.
გაძვერა, გაიძვერა – მოხერხებული, ხერხიანი მაცთური, ინტრიგანი.
განბილება – შერცხვენა.
განრთობა – რკინის განრთობა, გაფოლაღება.
გაჯახირება – გაუხეიროვება.
გაჯიქება – სიბრიყვე.
გახურვა – კარისა.
გაძრახ – განგებ.
გეგმია – სახლის პლანი, ფასადი.
გეზად – გასწვრივ, ბარებარად.
გელა – ცეცხლ-სარევი რკინა.
გემსი, გვიმსი – ტანის ჩირქი.
გერგილიანი – მარდი, მოხერხებული.
გერმა – ფრინვლის თივთიკი, ბუმბული.

გერმა – მუქი, დანისლული, матовый.
გვადრაკი, გვალავი – ჩემოდანი.
გვადრუცი – ყუთი.
გვარჯილა – селитра.
გვირაბი – ხვრელი, ტონნელი.
გვირისტი – კერვისრიგი.
გეშვა, გაგეშილი – განვრთნილი ძაღლი.
გიდელი – ნწული სკივრი.
გიობა – ლანძღვა, ცუდად ხსენება, გამობა.
გილიაქმათი – ბრძნული თიხა.
გიჟი – შმაგი, ხელი, სულელი, ცოფი; ნაღვლიანი, რეგვენი, ტეტერი, შლეგი, შტერი, ფეთიანი, შეთიანი.
გირავი – საქაჯავი.
გოგირდი – сера.
გლარჯი – თამბაქო.
გლისპი – ჯიუტი, ანჩხლი; გაკრეჭილი.
გნომი – γνωμη – ბუნებით ნიჭიერი.
გოგუთი – თოფუზი, – გურზი, – კვერთხი.
გოდლედი – კედლის ბურჯები, contreforce.
გოდოლი – მაღალი კოშკი.
გომიზი, გომფისი – gomme, résine.
გრაგნა – ნახვევა.
გრდემლი, ზინდანი – ზოდი, наковальня.
გრემა თვალეზი – ქრელმუქი თვალეზი.
გრეჯი – ბერძენი, грек, гречин.
გროვა – კრება, ხალხი, ჯარი, ჯოგი...
გრძნება – ჯადოობა.
გრძნეული – მოჯადოვებული.
გრძნობა – შეტყობა.
გრჯლა – დიდი ტოტი; იმასზეით – ბორჯღლი, მერე რტო, მწვერვალი, კენენი, კუნწუხი.
გუდანაბადი – ранец.
გუდასტვირი – волынка.

გუთანი – ერქვანი.

გულაგი – მაფრაშა.

გულად-ღება – ყურისგდება.

გულარძინილი – უსწორ-მასწორი.

გულისობა – ჯავრობა.

გულისხმისყოფა – შეტყობა, გაგება.

გულისყური – მებხიერება.

გულმანკიერი – ძვირის დამხსომი.

გუმურა – შამანი, – ნყლიანი ღვინო.

გუნდი – ჯარი, 6 000 კაცი.

გუნდრუკი – თეთრი საკმეველი, ладан.

გუშაგი – كاشك-гарнизон.

დაბალთული – ძალიან ნვრილად დაკოდილი.

დაბალითება – ხელისშენწყობა.

დაბრგვილება, დაბრყვილება – დაჩლუნგება, დაულონო-
ვება.

დაბრკოლება – ხელის შეშლა.

დაბლაგვნა – მჭრელის დაჩლუნგება.

დაბლარი – ვენახი სარებიანი.

დაგუდლება თვალებისა – ბევრი ტირილი.

დათბუნება – შეკეთება, დაკერება.

დაიბაზმურეს – ძალიან დაბარბაცდნენ.

დაისი, დაისითლოცვა – ღამის ლოცვა, всенощная.

დამბურა – დაფი, ტამბურა, тамбур.

დამერვა – კრავებისა და ცხვრების შერევა.

დამთხე – მომზრახე, თანახმა.

დამი, დამის მოხდა – ორთქლი, დაორთქლევა.

დამრეცი, დასაშვები – დაღმართი, დასაქანებელი.

დამუდრვა – ფრინველების დაღამება.

დამშხალული – თითქმის დაშლილი, ადვილი სამტვრევი.

დანავსული – მოჯადოებული, გრძნებით შეკრული.

დანაკისკუდი – ფინიკი, ლელვი.

დანამასტიკა – მასტიკა, შეზედილი სანებავი.
დანაჟური – დანანური.
დანდური – მჟავე ბალახი; ქლიავი.
დაოკება – გამოკვება; მოვლა, შენახვა.
დარაბა – საფარი ფიცარი.
დარანი – გამსქდარი კლდე.
დარანდო – კურკა ტკბილი ჭერამი.
დარაჯა – ყარაული, გუშაგი, მეციხვანე.
დარილი, ებგური – მალლით მოდარაჯე.
 ტალა – მგ ზავრთ ღამით მოდარაჯე.
 ხუმილი, ხვასტაგი – სახლის ან საქონლისა.
 დეტი – დღისით შორიდამ.
დარიშკანა – МЫШЬЯК.
დარქმა, დავარქვამ – დავაფარებ.
დარქმევა, დავარქმევ – სახელს დავსდებ.
დასლბობა – განრისხება.
დასტანაგები – ქალთ სამკლავე.
დასწრება – დავესწარ.
დასწრობა – დავასწრე, დავასწარ.
დატევება – გაშვება, თავის დანებება.
დატევენა – დავტიე, მოვათავსე.
დაუდგრომელი – ერთს რასმე რომ ვერ უმუდმებს.
დაუდეგარი – ერთს ადგილს რომ ვერ დარჩება.
დაუდერაგი – მანანნალა, ჩამოსახრჩობი.
დაყინება – გაბეაბრუება.
დაყუნდება – დამშვიდება.
დაჩინჩება – შევაჭრება.
დაჩვრეტილი – თითქო დახვრეტილი.
დანალიკება – დამწკრივება.
დანბილება – შერცხვენა.
დანანება – ქალთან დანოლა.
დანნება – ფეხით დანურვა.
დახივდა – ნაცრისფერი დაეღვა.

დგვიფინა – ღვინო წყალ დასხმული ტკბილისა.
დელი – წრევან – შარშან – გუშინ – დღევან – ნუ ხან.
დერგი – ჭურთ უმცირესი ქილა.
დენთი – თოფის ნამალი სწრაფი.
დვირე, დირე – ძელი.
დია – ცთომილი, ზევსი, მუშთარი, კიმკიმელი, იუპიტერი.
 არეა, ჭიმჭიმელი, მარსი.
 აფროდიტი, მელტავრა, ვენერა.
 ერმი, ცერვანო, ოტარიდი, მერკური.
 ზოჰალი, კრონოს, ალბასტრო, სატურნი.
 მთოვარე, ჭირანო.
 მზე, კოჭიმელი.
დიადი – ძალიან დიდი.
დიკტატორი – (ძველებურად) ორთა სამთავროთა მთავარი,
 (ახლანდურად) თვით-მბრძანებელი.
დილეგი – საპყრობილე.
დინგი – ცხვირი, ხორთუმი.
დოსტაქანი – دوستخانه – დიდი სტაქანი.
დოსტაქარი – دوستخانه – ხირურგი.
დრანჯობა – ურცხვი სიძვისმოყვარება.
დრასტიო – ძალიან მჭრელი, უმკვეთელესი.
დუგლუგი – კონდახი თოფისა.
დუგუნი – სანათხე, საჩირქე.
დუკა, დუქსი – ჰერცოგი.
დუნე – მოშლილი, მოშვებული.
დუჟი – ნერწყვი, დორბლი.
დურაკი – სანველი ჭურჭელი.
დურბინდი – ჯოგრი, შორსათვალე.
დუშალიკი – მეძღვნის საჩუქარი.
დუხჭირი – ძალიან გონჯი, ცუდი სახის.

ებანი – დაფი, საკრავი.
ეგირი – კოთხუჯი.

ევადობა – შეურაცხება, ავად მიჩნევა, ვერსრულობა.
ევანი – გუთნის ღვედი.
ეზორა – შეენირა.
ეთანალრა – გულს დააკლდა.
ემულროდა – ექადოდა.
ენკენია – საყდრის კურთხევა.
ეპირრია – épirrhéa – ზღვის გამობრუნება, მოვარდნა, მოდენა;
 – მოდენა, მოვარდნა სითხელესი რომლისამე, **ანარარია** –
 გაბრუნება.
ერგასი – 50, ნახევარ ასი.
ერთბუნებიანი – მონოფიზიტი.
ერმი, ცერვანო, მერკური, ოტარიდი.
ერქვანი: ოქოქა, 2 ხარისა.
 არონა, 4 –
 ჯილა 8 და 10. –
 ერქვანი – გუთნეული.
ეტიკი – გზის მცოდნე.
ეტლი – ცთომილი, პლანეტა.
ეტრატი – ტყავის ქალაღი, პერგამენი.
ეული – უუფლო, ნაქონი ვისიმე.
ენდივა – სასმელი დაესხა.

ვალალი – მოთქმით ტირილი.
ვარაყი – ქანდა, დაოქროვილი.
ვარსკვლავ-მორბედი – ტატანი, მეთეორი.
ვატრიზავებ – ვაცრუვებ, სიტყვას ვუცრუვებ.
ვარჯიში – სეფური, მოქმედებისა რისამე სწავლა, შეჩვევა.
ვასხებიითი – საერთმანერთო, ურთიერთარსობითი.
ვაქესატებ – ვაუფულოვებ, ვალარიბებ.
ვაშა-ვაშა – ბრავო, ბრავო; ნეტა-ნეტა!
ვეყანა – მტრედის ფერი.
ვერაგი – მზაკვარი, მაცთური.
ვითამ – რეცა.

ვიმჯნი, ვიჯმნი – უარ-ვჰყოფ, ხელს ვიღებ, განვაგდებ.

ვინძი – ვინ რა.

ვკდემ – ვარცხვენ.

ვრაქია – თხელი, წყალ ფარული ქვა, კლდე.

ზავის პირი – გარიგების პირობა.

ზავცემული – მომხრე, შემორიგებული.

ზაკვა – პირფერობა, პირმოთნეობა.

ზალვანი – ფეხებში შესაყრელი ხუნდი, თაბალა.

ზამბახი – შრომანი, ჯონჯოლი.

ზანგი – ნეგრი, არაბი.

ზარგანხდილი – თავზარდაცემული, შეშინებული.

ზარინგია – ყვითელი ყვავილი.

ზარფუში – თავსახურავი.

ზაჯიყიბრუსი – მწვანე შაბი.

ზაჯი ყულყანდი – წითელი შაბი.

ზედადასხმა – მიხდომა, თავს დაცემა, თავდასხმა.

ზედამდეგი – ინსპექტორი.

ზედმინვენით – საფუძვლიანად, ბეჯითად.

ზევსი – ლეხი – იუპიტერი, მუშთარი, დია, კიმკიმელი.

ზეიდალი – რკინის საცმელი.

ზენაპირი – поверхность.

ზესთაბუნებითი – сверх-естественный.

ზესთაზესი – вышний.

ზესთამჩენი – ყიფი, ამაყი, высокомерный.

ზეჰარი, ზვავი – მედიდური, ამპარტავანი, величавый, гордый.

ზვავი, შვავი – ჩამონოლილი, обвал, завал.

ზვარაკი, კურო, მოზვერი – телец.

ზველვა – წარმოდგენა, მიბაძვა.

ზვერი – ხარკი, გარდასახადი, ბაჟი.

ზვიადი – საქმის გადიდება.

ზიემი – გამორჩევენება და მზადება დიდი.

ზირნიხი, ზირნიეხი – საქიმო მასალა.

ზიპა – თევზის ქონი.

ზოდიაქო; თორმეტნი ზოდიაქონი არიან:

ვერძი – მარტი, სასწორი – სეპტემბერი.

კურო – აპრილი, ღრიანკელი – ოკტომბერი.

მარჩბივი – მაისი, მშვილდოსანი – ნოვემბერი.

კირჩხიბი – ივნისი, თხისრქა – დეკემბერი.

ლომი – ივლისი, მერწყული – იანვარი.

ქალწული – ავგვისტო, თევზნი – ფებერვალი.

ზოზინი – ყოყმანით მოქმედება.

ზოზღნა – ამბავის გაუბედავად თქმა.

ზორბა – დიდი, მსხვილი.

ზოსტერი – ქამარი.

ზოჰალი – ჰ – კრონოს, ალბასტრო, სატურნი.

ზროხა: მამალი – ხარი.

დედალი – ფური.

შვილი – ხბო.

ნასუქი ხბო – ზვარაკი, ჟოჟორაკი.

სახარე წლამდის – ბოჩოლა.

საფურე – მოცედი.

სახარე მეტისა – მოზვერი.

საფურე – დეკეული, დიაკეული.

2 წლის მოზვერი – ბოიკი.

საკლავად ნასუქი – უსხი.

საკიდარი ხარი – აზვეერი.

გამოუყვერავი – კურო, ბულა.

მისი უმცროსი – კურაკი.

შენირული – ზვარა.

ზუზია – სწრაფად მაკვდინებელი გესლი.

ზუფი – სამხედრო თავსახურავი, შლემი.

ზღვე – ქვის იატაკი, ან ხისა.

ზღურბლი – კარის ქუსლის დასადგმელი ადგილი.

თაბასარა – დანიგვზული მხალი.
თაგალა – უბენვო ქათიბი.
თავაზა – ბოდიში, დათმოზა.
თავაქალა – верхогляд, dandin.
თავდარიგი – მომზადებით დაჭერა საქმისა.
თავხედი – ბრიყვი, სულელი.
თათანი – შეტუქსვა.
თათხვა – ძლიერი დატუქსვა.
თალათინი – ქართულად ნატა, გამოქნილი ტყავი.
თამბაქო – გლარჯი.
თარეში – მარბიელი.
თარხანი – თავისუფალი.
თასყიდი – ქიმიურად – თავსმოგდებული, თავს მიკრული.
თაღლითი – ყალბი სამკობი.
თაყდირი – ქიმიურად დაშრობილი.
თახვის ყაირი – нибровая струя.
თეგი – მოთევა.
თეზაფისწყალი – крепкая водка.
თერებენთინი – терпентин.
თეთრყირმიზი – თეთრნითური.
თეჯირი – მისაფარებელი შირმა.
თვალსაჩინო – თვალით დასანახავი.
თვალმანკიერი – შურიანი.
თვალხენეში – თვალბოროტი.
თვალ უნდომი – თვალგადუვლებელი.
თიადორა – სნეულება, ძარღვების სიმსივნე.
თინათინი – შუქი, – მზის შუქი.
თივთიკი – თხისური, თხილის ბუმბულის მაუდი.
თოთო, თონთლო – რბილი, თოხლო.
თოხლო – ოდნავ მოხარშული.
თუთია – თუნუქა, цинк.
თქეში, თქოში, თქორი – წვრილი წვიმა.
თხევლა – ბადეობა.

თხიერი, თხიერაკი – ტიკი, ტიკჭორა (სომხური).
თხრამლი – ბაყლი.

იალკიალი – აქა იქ ღრუბელი.

იალქანი – ხომალდის სვეტი.

იასაული – მანდატური.

იასპი – яшма.

ივლონა – тропик рака.

იგვრდივი – попереchnый.

ითივა – εθικυ – ზნეობა.

იკლიკანტური – მიხვეულ-მოხვეული.

ილეკრო – металл.

ილეკტრონი – электричество.

ინახი – საჯდომი, სასხდომი.

იობელიონი – юбилей.

ირიბი – ურიბი.

ირქითი – უცეფი, მოულოდნელი.

კაბადონი – ფურცლის გვერდი.

კაბდო – საფარცხავი ფიცარი.

კაეშანი – სანაღვლეელი ფიქრი; ზრუნვა, ნუხილი.

კაკნატელა – საკნატუნებელი, хрящ.

კალაქვა – поташ.

კალმასობა – პურის მოკრეფა. **მუჩირობა** – ღვინისა.

კამბეჩისშვილი: ჯერ – ღოღო,

მერე – ზაქი,

მერე – შიშაკი.

კანაფი – ექსუნჯი.

კანდელი (chandelle) – სანათი.

კანკლედობა – სახელის ბრუნვა, მერყეობა.

კაპი – ამონაკვეთი რტო, მოგრძე მოკვეთილი.

კარდალა – ჩალხანა.

კაფიო – ცხადი სიტყვის გამოჩინება.

კანანი – ეკლის ღობე პატარა.
კბოდე – კლდოვანი ნაპირი.
კდემა – მოლოდინის შიში.
კდემა – სირცხვილის მორიდება.
კელი – სასუქი, პატივი, ნეხვი.
კელობა – კოჭლობა.
კენარი – კეთილსანახავი, მოხდენილი.
კენტრო – κεντρον – შუა წერტილი, ცენტრი, ცქიტი.
კერატი – გამოუყვერავი ღორი, карат.
კერშილობა – პირუტყვების გასვლა.
მაკინტალობა – დიდრონისა.
კესი – ნავის ბოძი.
კვეთა – ქრა, დასწავლა, დასაქმება.
კვეთა – შეგონება, სიტყვის გატარება.
კვეთა – გასაკეთებლად აღება.
კვეთა – დაცემა.
კიდევანი – განაპირი.
კიდევნობა – крайность.
კილვა – ძაგება, გინება.
კილოკავად – გაკვრით, გავლით.
კოლტი – ჯოგი ღორისა.
კონი, კონოსი – κωνος – წვერი, კონუსი.
კონქილიო – ქიაფრის ქია, кошениль.
კორკოდილო – ხვითქი.
კორომი – პატარა ტყე, перелесок.
კოცონი – დაგროვებული შეშა.
კრეტსაბმელი – ფარდა.
კრეხა – ცარცვა, რბევა.
კრია – ხშირ-ქვიანი მინა.
კროკო – ზაფრანა.
კრუსუნი – მტკივნეული, მწუხარების ხმა.
კრუტი – კრუხი.
კუტი – საპყარი, ფეხთ-უვარგი.

კუშტი – كشت – მწყრალი.

კუჭეჭა – კაპასი.

კცენა, ქშენა – ფშვინვა.

ლავინი – მკერდის ძვალი.

ლანგარი – სპილენძეული დიდი თეფში.

ლაჩაკვა – ცაცია, მარცხენხელა.

ლანირაკი – სათრევი.

ლახოსტაკი – ქიმიურად შეზავებული საღებავი.

ლევზი – თხელი დორბლი.

ლეიბი – ქვეშდასაფენი.

ლეინი, ლაინი – ბამბის სამოსელი.

ლეკვერთხი – წვივსაკრავი.

ლეჟვერი – ნედლი ავი შეშა.

ლექი – ძალიან მთვრალი.

ლეში – მძოვრი.

ლიბარდა, ლიბარდაკი – алешарда.

ლიბრი – ჩალურჯებული.

ლიზლი – უზდელი, ბრიყვი, მბედავი.

ლითონი – წისქვილისქვა.

– მადანი.

ლილიფარი – ნიოფი.

ლირბი, ლირფი – უსირცხვილო.

ლიქნა – დაყვავება.

ლორფინი – ქვის ფიცარი.

ლუბრმა – მდინარე ღრმა და მდორე.

ლუტი – უსახლკარო და უქონელი კაცი, ბოგანო, бобыль.

ლუსკუმა – მაღალი საფლავი.

მაეგობა – წერით შებმა, სამწიგნობრო პოლემიკა.

მავი – مای – მტრედის-ფერი.

მაკვილაკი – სიტყვა მანყინარი.

მაკინტალობა – გადაბმა დიდთა პირუტყვთა.

კერშილობა – პატარათა.

ნერბვა – ცხვრებისა.

მალამო – სალბუნე.

მალიგორად – ზომით, შეთანასწორებით.

მანდილოსანი – მანდილ-მოსხმული, ჩადრმოსხმული.

მარაქა – ქალების თათბირი, ლხინი.

მარგიმუშკი – თავვისნამალი.

მართვე – ბარტყი.

მარისი – **რიხი** – მარსი, ცთომილი.

მარმაში – ბადეთ ნაქსოვი, кисея.

მარლი – თვალ-თეთრი.

მასხარა – ხუმარა (Maschera).

მასკნე – ვაზის ან სვიის წვერები, ушки.

მასუკან – მას მერმეთ.

მატაროცი – უთქმელის წამთქმელი.

მატრაკვეცი – მხეველის მხევალი.

მაფრაშა – مفراشه – გულაგი.

მაქანარი – ფლატო ხევის პირი.

მაქვსიერი – მქონე, მქონებელი.

მალარო – მაღანი.

მალრიბელი – مغرب – აღმოსავლეთელი.

მალრიბული – აღმოსავლეთური.

მაშრიყელი – مشرق – დასავლეთელი.

მაშრიყული – დასავლეთური.

მაშარაფი – ნაშარაბი.

მაშა – ტკეცი, მაყაში, ჟღუნე.

მარჩხი – თვალჭრელი.

მანაკი – თმა ყურთა საფარი, ლულამბარი.

მანანური – ჭურის ამოსახოცელი.

მანიერი – დიდხანს სამყოფნი, რომ გასძლებდეს.

მახე: ხუნდი – დიდი ნადირისათვის.

ისხერტი – თავს დასაცემი.

ირეჭი – ფეხით მალლა შემკიდველი.

საიფეხო – ფეხით დამჭერი.
ილინჭა – გალიასავით.
აკანათი – ფრინველისათვის.
პოტიკო – მწყერისათვის.
საცერკოდი – ტრედისათვის.
გულყო – ყელსგადასაცმელი.
სარეგვავი – ესეც თავსდასაცემი.

მახვიმალი – სასებისკვრე ფქვილი.

მახიობელი – ხუმარა.

მაჯლაჯუნა – ძილში გულსმონოლა, кошмар.

მგამა, რამგამა, რამგლის – მეზრუნება, რა მენადვლება.

მგბარი – მოხარშული, ნახარში.

მგბოლვარე – მდულარე, ნადულარი.

მგოსანი – მესტვირე, флейтист.

მგრაგნელი – ფოთლის შემქმელი.

მგვარდლ – აქეთ იქით.

მდღევარი – საყოველღეო საზრდო.

მებოძირი, ნებოძირი – გზაშესახვევი, перекресток.

მეერანე – შემანყობელი.

მევალე – ვალის გამცემი.

მოვალე – ამღები.

მეველე – მინდვრის მცველი.

მევეპე – მეზლაპრე.

მეთანაღრება – გულსმაკლდება.

მეიღანი – ميره – მერე, ფორე.

მემაჯანი – მამაბუნებული.

მენაკი – კიბე, სკალა, საგრაღუსე, მამტაბი.

მენჯი – კაცის თეძო.

მეპრიანება – მნებავს.

მერქანი – ხის გული.

მერყეობა – გრამმატიკულდ სახელის ბრუნვა.

მესალიკე – მეთევზე.

მესხვეი – განსხვავებული.

მეფუნდრუკე – მოთამაშე, მცეკვავი, плясун.
მექმე – მოქმედი, მქმნელი.
მექონოთი – пьедестал.
მეყვსეულად, მეყსაშინა – ანაზღეულად, იჩქითად, უეცრად.
მეჩანგე – арфист.
მეძავი – უქმრო ბოზი.
მეხვაიშნე – მომხრე, მომხმარე.
მეჯღიში – محليش – ნადიმი.
მეჯურმუცე – მეკობრე, მპარავი.
მზრახავი – ცუდად მხსენებელი.
მზრახველი – მრჩეველი.
მთხრებლი – მღვიმე, ხნარცვი, ორმო, ხარო, ჭა, ჯურღმული.
მიდმო – ყოველგან.
მიზდი – ქირა, ხელფასი.
მიზღური – მიზდის ამღები.
მიიქვა – მიიკონა, მიილო.
მიმასი – კაცი საკვირველებათ მოთამაშე, фокусник.
მიმოსტვანვა – მიხედ-მოხედვა.
მიმოსწვილვა – ცუდი გამოძიება.
მიმოხვრა – გრამმატიკულად ზმნის ტრიალი.
მიმღეობა – გრამმატიკულად – სახელზმნა.
მისაგებელი – სამაგიერო.
მიფანიერება – სწრაფად დამალვა.
მიქცევა ზღვისა – ანარარია.
მიღმა – შორიახლო.
მიცხ, მიძხ – მაქვხ, მეკუთვნის ქმნა.
მიწყივ – ყოველთვის, მარადის.
მკედი – მომსხო ძაფი.
მკდნარი – შეზელილი, შესქელებული.
მკოდოვანი – ფრიად გლახაკი.
მკრეხელი – საღთოთ მპარავი, святоец.
მკსინვარე – მანყინრად აშლილი.
მკსინვარება – წყენით განრისხება.

მკვეთრ – მაშინვე.
მკვირცხე – სასურველი, სათნო, საამო.
მკვირცხლი – ფეხით მარდათ მავალი.
მლივი – გალეული.
მმურკნელი – მრეცხელი.
მმურკნელობით – შესქელებულივით.
მნათე – სასანთლე, ტარასტა (Староста церковный).
მობაყვა – მოკეცათ ჯდომა.
მოგვობა – магия.
მოდასე – დასისწვერი.
მოვლენილი – მორჭმული – ძლიერი, სახელოვანი.
მოდინე – მოჯამაგირე.
მოთინთლვა – ფერობით მოტყუება.
მოკამათე – რაყიფი, ქიშპი, მოპირდაპირე.
მოლეგაო – მოყომრალო, მონაცისფრო.
მონასიმედ – кстати.
მორგვი – ურმის თვლისშუა კუნძი.
მორენა – ხელფასის ღება.
მორვა – დამორვა, წვეტიანის დარგვალება.
მორთხმა – მშვილდის მოზიდვა.
მორთხმული – მოზეული, მოზიდული.
მორი – საშვილოსნო ასო მამრი.
მორწმა – გასაქონლიანება.
მოსაზრვა – ზრება – მოფიქრება.
მოსაჯული – მოდავე.
მოსმური – მსმელი.
მოსპოლვა – spoliation – ამონყვეტა, ამოფხვრა.
მოსპოტვა, **მოსრვა** – დახოცა.
მოქენეობა – მოთხოვნა.
მოქლონი, **ბოქლომი** – საკეტი.
მოქნილი – მოზნექილი, მორბილებული.
მოყალნე – მებეგრე.
მოყვარული – რომელსაც უყვარს, მოსწონს ვინმე, რამე.

მოყივნება – ავის სახელის განთქმა.
მოქცევა ზღვისა – გამობრუნება, ეპირრია.
მოქცევა – მბრუნავი.
მონიფული – მოსწრებული.
მონლე – მხიარული თვალით და გულით.
მონლედ – მხიარულად, მონყალედ.
მონლო – მონვრილო.
მონო – ხის ლოპოს წყალი.
მობვეჭა – შეძინება, შოვნა.
მოჯარი – მდინარის მონაქონი ხეები.
მრე, მრეობა – მომრევი, გამარჯვება.
მრეში – ნაბლისფერი.
მრონეული – ნახირი.
მრღვიე, რიოში – გადუდნობი მადნეული.
მრწემი – უმცროსი, ბოლოს შობილი.
მსთადი, მცხვედი – დილის და საღამოს მარგებელი წვიმა.
მსთვად – ადრე, მალე.
მსტოვარი – აეშაგი, ჯაშუში; შპიონი.
მტე – სძისა და საჭმლის მოზიარე.
მტერფავი – დამთრგუნველი.
მტილი – ბოსტანი, ხილნარი, ნალკოტი, ბალი, ვენახი.
მტკნარი – უგემო, пресный.
მტუტე – მწუთხე, მლაშე.
მუდახილი – барельеф.
მუდრეგი – უგრძნობელი, изверг.
მუზაფარი – ხორცისწნილი.
მუზნური თვლა – გეომეტრიული პროგრესია.
მუნთქვესვე – მაშინვე.
მუჟუჟი – ხორცის წნილი.
მურასა, მოოჭვილი – თვლებით მოჭედილი.
მურდასანგი – медная окись, веницейская ярь.
მუსიკა – სახიობა, მუზიკა.

მუყაითი – *

მუშაითი – საბელზედ მოთამაშე, ჯამბაზი.

მქირდნელი – მკიცხავი.

მყირტე, მყვირტე – საზიზლარი.

მშვანი – დიდკბილოვანი.

მჩხიბავი – გრძნებით შემკრავი.

მცვედანი – დაუკვეთელად საჭურისი.

მძაფრი – შეუწყალებელი.

მძვინვარე – მხეცური.

მნალტე – უგემური მნარე და მომყავო.

მწვავე – пряный.

მწვერვალი – край, вершина, ბოლო.

მწვისე – კაცი ტანით სრული.

მწდე – ღვინის დამსხმელი.

მწდეველი – მსმელი.

მწიკვლი, თებო, გემსი, ჭუჭყი, ჩირქი, უწმინდური.

მწუთხე, მტუტე – მლაშე.

მწყობრი – რაზმი, ჯარი, მხედრობა.

მჭახე – მოძმარებული ღვინო.

მჭახი – ისრიმი.

მჭიდრე – ვინრო რამ ადგილი.

მჭიდროდ – მაგრა.

მჭირსიედ – მოჭირვებით.

მხე – ტკბილ-მყავე.

მხიე, მყიე – ნაცრისფერი.

მხცოვანი – წვერთეთრი ბერიკაცი.

ნაბრძვილი – ჭრილობის ნიშანი, шрам.

ნაგერალი – დაუთესლად მოსული.

* ესა და კიდევ რამდენიმე სიტყვა (სინსილა / სიმსილა, ფუცფუცი, ქა-რაფშუტა, ცხრო (აფიკაროს), ნურწუმელა, [ჰ]იდრა) ლექსიკონში განმარტებული არ არის.

ნავარდობა – რბენა, ხტომა, თამაშობა.
ნაკვთი – მოყვანილობით მშვენიერი.
ნამაქიანად – დამჯერებლად, მჭევრმეტყველად.
ნამი – სისველე, ცვარი, ტენი.
ნამუსი – პირის წყალი.
ნაპრალი – განახეთქი.
ნარაჯი – დაშაქრული, შენახული ხილი.
ნართევი – დამატებული.
ნასი – ვერ-კეთილი.
ნატერფალი – კვალი.
ნატიფი – ნაზუქი.
ნატიფი სახლი – ლამაზი სახლი.
ნაქვთი – სახე, შეხედულობა, მოყვანილობა.
ნაქვსი – ნავის სვეტი, мачта.
ნაქურჩალი – ხახვისა და ნივრის ქერქი.
ნალარა – სამბიკი, დუმბული.
ნაყროვნება – გაუმადლობა.
ნანევარი – дробь арифметическая.
ნაჭი – წენგო, წენკო.
ნახლი – ძვირფასი ნაქსოვი.
ნები, ნებეული – ხელის გული, ხელის გულისა.
ნევრი – νεурон – ძარღვები, нервы.
ნერბი – დედალი ცხვარი.
ნერბვა – ცხვრების კერშილობა.
ნეფხვა – ხმელი ყინვა ძნელი.
ნეჭა – სუფთა ჭილობი.
ნიანგი – ხვითქი, კორკოდილო.
ნიკველი – ღორის ცხვირი.
ნირი – ტაქცია, такса.
ნიშადური – нашатырь.
ნიშატი – ხასიათი, ზნე, нрав.
ნიშატიანი – მხიარული.
ნოყიერი – შემრგო, питательный.

ნუკვა – თხოვნა, ვედრება.

ნუსადია – ძალუა, ბიცოლა, ბიძისცოლი.

ობა – ელის ბანაკი, უბინადრო ხალხის დროებითი სამყოფი.

ოგი – ძირქვეში, პოდლონნიკი.

ოგრა – შორვა.

ოგური – ერთმანერთთან შეჩვეული პირუტყვი.

ოდიკი – წინა ბარძიმის ქვესაფენი.

ომბოხი – გაკეთებული ფეხი.

ომირი, ემირი – امر – посол.

ონკანი – კრანი.

ორთქლი – ბული, ოხშივარი, დამი.

ორცხოველი – земноводное животное.

ორძილი, – ლობა, – ლოვანი – მცენარე, მცენარება, მცენარი, прозябение.

ორჯოფოვანი – ორაზროვანი.

ოსტინაგი – ეკონომი.

ოსტრია, – ტრიადი – უსტრიცა (huitres).

ოფიკალი – ოფიცერი, აფიცერი.

ოფიჭო – სარცხი, სარცხელი.

ოქოქა – აჩაჩა.

ოშმე – ღვინის ამოსაღები კვახი.

ონინარი, – აზარმაცი – ძელი დიდქვეების ამლები და ოსტატამდინ ამწევი.

ოხშივარი – ორთქლი, ბული, დამი.

პაექრობა – ბაასი, დისპუტი.

პასუხი – پاسخ – სიტყვის მიგება.

პატივი Пишухი.

პანანკინა, პანანკუნა, პანია – ძალიან პატარა.

პეყო, პერი, პერული – ზღვის ქაფი.

პერიპატოელი – перипатетик.

პინაქსი – სათავური, оглавление.

პირადი – თავისი, საკუთარი.
პირად-პირადი, ფერად-ფერადი – სხვა და სხვა რიგი.
პირველსახე – первообразный.
პირისწყალი – ნამუსი, სინიდისი.
პირქარცი – ფერმიხდილი.
პირქუში – ნარბშეკრული, угрюмый.
პოხიერი – სიმსუქნიანი.
პრობა – proba – შინჯვა, საშინჯი, ნიმუში.
პრობის მმართველი – კორრექტორი.
პროვლემა – παραβλεμμα – წინადაფენა, ძნელი გამოსაცნობი.
პროტასია – πρωτασια – წინასიტყვაობა.
პსიხი – ψυχή – სული.

ჟალი – იისფერი.
ჟამი – დრო.
ჟამი, ჟამიანობა, ჟამობა – ჭირი.
ჟანგი – ржавчина.
ჟანგარო – медная окись.
ჟინთვა – ვსება.
ჟინჟილი – ანთებული, თითქო ცეცხლ მოკიდებული.
ჟრიანტელი, ჟრუანტელი, ჟრჟოლა – ტანში სიმცივნის დაავლა.

რაზმი – რა – მწყობრი, წყობილი ჯარი.
რაინდი – рейтар, рышарь, – მხედარი, უღონოთ შემწე, სულ-გრძელებით მოქმედი.
რახი, – არაყი, – იყი.
რახტი – ცხენის იარაღი, აღვირედი.
რაძი – რაცა, რაიცა.
რევმა – ყოველივე, რაც მბალია, სველი, ან ნედლი.
რემა – უხედი ცხენი.
რემაკი – ჭაკი.
რეცა – ვითამ, ვითამც.

რენა – შეძენა, შოვნა.
რვალი – ბრინჯაო, ბრონზა; სპილენძი და კალა ერთად.
რვილი – Большая Медведица.
რთვა – კმაზა, – კაზმვა.
რთული – ჩართული, შერთული, შეწყობილი.
რიდე – თავსახურავი, чалма.
რიოში – შერყვნილი.
რისვა – ცხვართ პარსვა.
რიხი, რიხიანი – დამუქრება, – საზარელი.
რკენა, რკინება – ჭიდაობა, შეჭიდება.
რუბი – ნაოთხალი, მეოთხედი, ჩარეჟი.
რუკა – შეწყობილი, გადაბმული.
რქა – فو – пор.
რწყვა – ზომის, ან ნონის შეტყობა.
რწყვა – წყლის შეშვება, – დასხმა.
რწყმა, ვარწყამ – ბადის დაგება, მახის დაგება.

სააუგო – სარცხვინელი.
საბასრობელი – შესარცხვინი, დასარცხვინი.
საბრი – сабыр.
საბრკობელი – დამაბრკოლებელი.
საგანგირო – ქარხანა, ზავოდი, ფაბრიკა.
საგბოლისი – ბაზრის სამზარეულო.
სეგვემელი – დასასჯელი.
სავარცხელა – пила рыба.
სავარძელი – კრესლო.
საზომი – სწორეთ შესადარებელი.
საზორავი – დასანავი.
საზორველი – შესანიწავი.
საზრი – გონებით მოშინჯვა, მოფიქრება.
სათუთი – უტუქსრად ზრდილი.
სათხეველი – სასროლი ბადე.
საკართული – წვივსაკრავი.

საკარცხული – პატარა სკამლოგინი.
საკისარი – აზარმაცის წვერის სამაგრებელი.
საკუხი – მოსასხამი, ტოლამა, ტალმა, დურა.
სალამანდრო – თალხი: თეთრი, ყვითელი და მოშავო.
სალათი – ტაბუცუნი.
სალიგული – მაგარი გული, უგრძნობი, უწყალო.
სალმოზა – სატკივარი.
სალპინგი – ბუკის ხმა.
სალტა – დასამაგრებელი შემოსაკრავი.
სალუქობა – წმინდათ ყოფნა, სისუფთავე.
სამზერელი – სპეკტაკლი.
სამოგვე – ტყავი-საჩქემე.
სამსალა – წამალი მაკვდინებელი.
სამუმლე – ჩამოსალარებელი, ПОЛОГ.
სამუქაფო, სამუქფო – საქმის საპასუხო, შესაფერი.
სამნიკვლე – აბანოს ქისა.
სანდალოზი – ლაქი, лак.
სანთური – гусли.
სანიჭარი – ქორნილის შესანეგარი.
სანუკვარი – სასურველი, მშვენიერი, ნარნარი.
საოჩე – საქირავო, საღალო.
საოცრება – საკვირველება, დიდი სიმდიდრე.
საოხი – სახმარი, მოსახმარი.
საპყარი – უფეხო.
სარგილი – კოლოტის (სატკბილე ტიკის) ჩხირი.
სართი – საცვალზედ დასამატი.
სარკინოზი – სარაცინი.
სარკმელი – ფანჯარა.
საროთი – აისოფიოს კენჭი, მოზაიკა.
საროსკიპე – საროსბიკე; – სკიპო; – სბიკო.
სასალიკო – სათევზავო.
სასალუქო – საკობტავო, ШЕГОЛЬСКОЙ.
სასრევი (სალესავი ქვა): ხმლისა, ნამგლისა, ცელისა.

- ხოლაზანა – სამართებლისა.
 მაქური – დანისა.
 ხარტი – ცულისა, წალდისა.
 აფუარი – მრგვალი და მბრუნავი.
 მასათი, ბასრი – მაქურის მსგავსი.
- სასტიკი** (სომხ.) – უწყალო, შეუბრალებელი.
სასუმლობა – შვილობილობა.
სატები – საჩრდილობელი.
სატეხი – საჭრეთელი ძელისა.
სატუხელი – ფარულად კეთილისა ბოროტად გადაქცევა, შეცვლა.
სატფურება – წლითი წლად განახლება.
საფანელი – ზედ მოსაყრელი ფქვილი.
საფარდული – სავაჭრო, ვაჭრობა, ფარდობა.
საქივარი, საქირდალი, საქიქელი – საკიცხავი, სარცხვინელი.
საქმითსწავლა – პრაკტიკა.
სალარი – შუბლ თეთრი ცხენი.
საყვინელი, საყუნელი – სამართებელი.
საყრდნობელი – დასასვენებელი.
საშალი – მოსაშლელი.
საჩექმე – ყმის ქალის გათხოვების გარდასახადი.
საციქველი – სამოციქულო.
სანდე – საღვინე.
სანილი – მეორე უღელი ხარი.
სანკეპი – მესამე.
სანმისი – მატყლი.
საჭინახულო – გასამრჯელო.
სახადი – სნება, ტიფი.
სახარბიელო – საინტერესო.*
სახლოსნობა – მეურნეობა, хозяйство.
სახმილი – ანთებული დიდი ცეცხლი.

* იხილე სულ ბოლოს. დ. ყ.

სახრვა, სახრობა – обаяние.

სახუნდარი, საყუდარი – საფარი, სამალავი.

საჯი – ურთხლი.

სვინიდისი – სუხἰδησις – ნამუსი.

სევედა – მძიმე ფიქრი, შავი ნალველი.

სიალფე – გაბედულება, თავხედობა, დაუდევერობა.

სიბედითე – ცუდკაცობა, სიფლიდე.

სიგვესე – დიდი მზაკვრობა.

სითხე – жидкость.

სილირბე – თავხედობა.

სიმკაცრე – სიფთხილე.

სიმკოდონე – დიდი სიგლაზაკე.

სიმყრალე: ზინზლი – კაცისა და ტანისამოსის სუნი.

ფსუტი – ამის უდარესი.

შმორი – ნოტიობისა და ღვინისა.

ხრანი – საჭმლისა, აღისაგან.

ტრუსი – მატყლის წვისა.

ნატისუსალი – ბამბისა და ჩვრისა.

სიმტკნარე – უგემოვნობა, пресность.

სინგური – საქმიო მასალა.

სინსილა, სიმსილა, –

სირვა – სქელი ერბო კვერცხი.

სირი – ჩიტი.

სირმა – ოქროს თმა.

სილოდა, სილოდანი – ლოთობა და გარყვნილობა.

სიყმილი – შიმშილი.

სიცბილი – მძვინვარება, გამმაგებული გულმოსულობა.

სიჭარტლე – მრავალმოუბნობა.

სიხარკე – სიძნელე.

სიხენეშე (სომხური) – ბოროტება.

სკამი: სელი, სავარძელი. მერხი, საყდარი, ტახტი.

სკვითი – скиф.

სკირა – თიხის კედელი.

სკიპტრა – ფაენი.

სკიჯი – ჩამიჩი, შეფიცხებული ყურძენი.

სკორე: ფრინველისა – სკინთლი.

თევზისა – ტურტლი.

მცურავისა – ცურცლი.

ცხვრისა – დენგრა.

თხისა – კურკლი.

საქონლისა – ნეხვი, კელი.

ღორისა – ჩხრინკელი.

ძაღლისა და მხეცისა – მჩორე.

ტრედისა – ნაედომი.

მშრალი – ნივა და ფუნე.

სოისო – ბატების გარეკის ხმა.

სომი – მინალთუნი, ხუთი აბაზი.

სორეტი, სრუტი – пролив.

სოქალი, სპეკალი – თვალი პატიოსანი.

სოლო – დიდი ქათამი.

სპასალარი, სპასპეტი – მხედართმთავარი.

სპერე – თარო, სარკმელი შესადებელი.

სპეტაკი (სომხ.) – თეთრი.

სტაგი – რუს სათავე.

სტევი – აქლემის მატყლი.

სტერეომეტრია – სხეულთა ზომა.

სტერეონი – სიზრქე, толща, масса.

სტოლი – გემთა კრება, флот.

სულა – შაქრის ლერწამი.

სუნავი – გაუმადლარი.

სურინჯი – საქიმო მასალა.

სფერა – сфера – ბურთი, сфера.

სქიმა – схема – ნაკვეთი.

სხარტი – სამწყერაო ჯოხი, კაპედი.

სხარტულა – ჩქარი, სწრაფი.

ტაბარი – ნაჯახი.

ტაბარუკი – ბოგანო, ამბოკარი, მარტოხე ლა.

ტაბასტი – სისხლის დენა.
ტაბუხი – მუხლისთავი.
ტაკუკი – მომცრო საღვინე.
ტარატურა – таратора, ჩქარმოუბარი ვერ კეთილად.
ტარალანა – стерлядь.
ტარხუნა – ტეგან, эстрагон.
ტატანა – блудящие огни.
ტბორე – გუბე, ავი გუბე.
ტერფი – ქუსლი, ფეხის გული.
ტეხრვა – დიდი ყინვა.
ტიკი (სომხ.) – თხიერი.
ტლე – სიცხიანის სადები წამალი.
ტლუბიჭი – უბინადრო, ნიხыль.
ტომი – τῆμος – გვარი, მოდგმა.
ტორლალი – წატოლება.
ტოფობა, ტულაობა – თევზების პეპლვა.
ტრალი – საკვირველი მპარავი.
ტრამალი – დიდი მინდორი.
ტრიზა – ცხენის ფეხით ტალახის შესხმა.
ტულაობა, ტოფობა – თევზების პეპლვა.
ტურნება – подстерегать.
ტუხი, ტუხუნი – ღორის ხმაურობა.
ტყება – თავს-დაცემა.
ტყვია – ბრპენი.
ტყლაპი – ტყემლის ან შინდის ფქვილშერეული გათხელებული და გამშრალი მყავე თათარა.
ტყლეჟა – ცომისავად ზელა.
უგი – უკრავოდ მენველი.
უგლიმი – გულქვა, უწყალო, შეუბრალებელი.
უდებობა – მცონარება, ზარმაცობა.
უდიარობა – დაუთმობლობა.
უდიერი – ძალდატანებითი.

უდიერქმნა – ძალდატანება.
უზორეს – უკმის.
უთნო – ყოვლად უკეთური.
უკდემელი – незарный.
უკმეხი – სანყენი სიტყვის მიგება.
უკუთქმა – გადათქმა, უარი.
უკუნი – ბნელი, ნყვდიადი.
ულუფა – საზრდო; როჭიკი; გაკვეთილი.
უმეშვეობითი – საშუალობითი, საშუალი.
უნჯუფა – მეტად თბილი სახლი.
უპრიანი – უფრო შესაფერი, უფრო სათნო.
ურიბი – ირიბი.
უსუპი – (исоп?) სუნნელი ბალახი.
უსუსური – სუსტი, უღონო.
უსხი – მსუქანი საკლავი ზროხა.
უტევანი, სტადიონი – стадия, 43 ბიჯი.
უფოველი, უფუვარი – გაულვიგებელი, უცომო, опреснок.
ულალი – ძნელსავლელი.
უშტი: ათი 10.
 ასი 100.
 ათასი 1000.
 ბევრი 10 000.
 ბევრისბევრი 100 000.
 უშქარი 1 000 000.
 უშტი 10 000 000.
 უშტისუშტი 100 000 000.
უცნაური ნესტვი – поры.
უჭინტარი – დაუცადებელად, ზედიზედ.
უჭუარი – უჭმუნველი, უნუხარი.
უხვაიშნა – მიეხმარა.
უხიაკი – ჯიუტი, თავისნება.
უჯმნა – გაიცალა.
ფადილი – სიტყვით ხელზე დახვევა.
ფაკლა – სანათი, факел.

ფალუსტაკი – თაფლზელილი, ტკბილი საჭმელი, ჰალვა.
ფანარი – ლიფლიფი, фонарь.
ფანტვა, ფანჩვა – ბნევა.
ფანჯარა – სარკმელი, ლანძვი, არდაბაგი.
ფარგალი – ცირკული.
ფარნა – ფერდთეთრი ზროხა.
ფარჩი – მომცრო საღვინე.
ფარჩხატი – შორიშორ ნყობილი.
ფაშატი – ჭაკი ცხენი.
ფეთმაგი – ნვივსახვევი.
ფითილა, ფილთა – პატრუქი, фитиль.
ფილთამეხი – мортира.
ფინიკი – დანაკისკუდი, ვალანოს ხურმა.
ფირფიტა – ძაფის სახვევი პატარა ფიცარი.
ფისტა – ბუსტული, фисташки.
ფიქრი – საგონებელი, აზრი, განზრახვა, გულსთქმა.
ფლატე – ფოტორო.
ფლიდი – უსირცხვილო, უნამუსო, პადლეცი.
ფლისკინა – სიმაგრის იმრგვლივი თხრილი.
ფოლადი – ბასრი, булат.
ფოლაქი – მადნეული ღილი, пуговицы.
ფოლორცი – შუკა, ქუჩა.
ფოლხვე, ფონფლე, ფონე – მოშვებული, დუნე.
ფორი – მოედანი, форум.
ფორო – πόρος – поры.
ფორიაქი – აკლება, აოხრება, грабеж.
ფოტორო – ფლატე.
ფრიალო – მეტად ციცაბო.
ფრთედი – მოშენებული, флигель.
ფურთვნა – буря на море.
ფურთხი – დიდი დუჟი.
ფუცფუცი.
ფუშრუკი – ფქვილის შეჭამადი.
ფხურა – თმების გლეჯა.

ქაბრანოვანი – ძალიან დიდი პური.
 ქამანდარი – ჩუბინი, მარჯვედ მსროლელი.
 ქამარი – ზოსტერი.
 ქანქანა – მთხრელი, თხრილის გამყვანი.
 ქანქარა – маятник.
 ქანქარი – ტალანტი.
 ქანჩი – гайка.
 ქარაგმა – χάραγμα – წერაში სიტყვის შემოკლება.
 ქარაფი – დიდი კლდე.
 ქარაფშუტა.
 ქარვასლა – ფუნდუკი.
 ქარცი – თმანიტელი, рыжий.
 ქარტა – χαρτι – хартия, карта.
 ქაფი – პერი.
 ქაფქირი – ქიტი.
 ქაფური – камфара.
 ქაშანური – ჭურჭელი.
 ქაშთაჯი – აბი, пилуля.
 ქედმალლობა – ბრიყვული ამპარტავნობა.
 ქედფიცხელი – კისერმაგარი, ურჩი.
 ქეშად, ქეშაოდ – ბარიბარად, паралельно.
 ქეშიკი – მცველი.
 ქვებუდანი – მზაკვარი, მცბიერი.
 ქვებურობა – უძღებებაზედ (უნმინდურობაზედ) მეტი.
 ქვითინი, ქვითქვითი – გულამოჯდომით ტირილი.
 ქვისლნი – ორთა დათა ქმარნი; შილნი – ორთა ძმათა ცოლნი.
 ქილა – დერგი, უმცირესი ჭური.
 ქილაკი – ფოხალი.
 ქილიკობა – მასხარაობა.
 ქიმია – химия.
 ქირა – მიზდი, ხელფასი.
 ქისპი, ქისტი – شش – ჯიუტი.
 ქმნადი – საქმნელი, მყოობადი.
 ქნარი – ჩანგი, საკრავი.

ქოთება – არევ-დარევა, ხეთქება.
ქორეპისკოპოზი – უსამწყსო ეპისკოპოზი.
ქორიკოზი – მმართველი, მეფის მაგიერი.
ქორი – სახლზე სახლი.
ქოსა, ქოსაკი – პოპოლიკა, უნვერო (პოპლკა).
ქოჩაბანდი – გარშემორტყმა, блокада.
ქრისტეს სისხლი – ჩილიდონია, სააქიმო მასალა.
ქულბაქი – ბაზარი.
ქურანი – მუქი ცხენი.
ქურო – მუფთი, муфта.
ქურუმი – მოგვი, волхв, жрец.
ქუქუნაკი – მოსასხამი, епанча.
ქურქი – მოსასხამი ბენვეული.

ღადარი – დაუნდობელი.
ღანძილი – ჯიშკილა.
ღელვაგვეშული, ღელვილი – обуреваемый.
ღველფი, ღვირფლი – ღვიე ნაკვერჩხალი, შეგროვებული.
ღვრინჭილა – ჩივილის სათამაშო.
ღვლარძილი, ღვლარჭილი – მიგრეხ-მოგრეხილი.
ღოღიალი – უღონოდ სიარული.
ღუზა, გუზა – كرك-якорь.
ღული – ხერხივით ნამგალი.

ყაბი – ჭურჭელი.
ყადავახად – აურზაურად, ბრიყველ მთქმელობით.
ყაზარი – სტრატული. (?)
ყალბი – كذب – რიოში.
ყარაული – დარაჯა.
ყაყმინი – белуга.
ყბედი – ჭარტალი, დაუცხრომელი მოლაპარაკე.
ყვიჟილი – ლურჯ ისფერ სამუალი.
ყიშტი – სავაჭროთა ხარკი, ბაჟი.
ყორე – კედელი, ღობე.

ყუითუკი – ბუმბულის ლეიბი.

ყულაზანი – საზედაშე.

ყურთმაჯი – ღია სახელოები.

შაბი – квасцы.

შაბიამანი – медная окись.

შავგვრიმანი – მოშავო ფერის კაცი თუ ქალი.

შათირი, შიკრიკი – ჩქარი მავალი, скороход.

შამანი – წყალნარევი ტკბილის ღვინო.

შარავი – წყლულ ნადენი.

ნალა – წყალივით.

ნუთხი – სისხლნარევი, მკვდართა.

უუჟლი – ცოცხალთა.

შალალი – სქელი და ძალიან მყრალი.

თხრამლი – მუნუკის სქელი ჩირქი.

შარტი – გრეხილი.

შებრძვილება – წყლულის შეკვრა.

შებლავა – შესისხლიანება.

შეგობა – შედუღება, შეკავშირება, შეკონინება.

შეკეთება – ცეცხლში შემის მიმატება.

შეკერტება – თვალის შეჩერება.

შეკვეთა – სიტყვის გატარება.

შენაკვეთი – შეჭრილი.

შეტაბუტა – ჩქარა და უგვაროდ მოუბარი.

შეშაძარღვი – сухожилие.

შეხმუხი – ჭკვიანსა და ხელს საშუალი.

შიება – სანყენად მიღება.

შითი – მატყლის ძაფი.

შიკრიკი, შათირი – ჩქარმავალი.

შილი – მაზლის ცოლი.

ქვისლი – ცოლისდის ქმარი.

შიშაგი ვერძი, მოზვერი.

შიშლიგი – მეცხვარეს საკლავი.

შიშთვილი – დახრჩობა, სახრჩობელა.

შლეგი, შმაგი – გადარეული, გაცოფებული.
შორსახედი – ტელესკოპი.
შლუ – ჭკუა ნაკლები.
შნიში – დეიდაშვილი, მამიდაშვილი.
შუგა – ქოლგა.
შუკა – سوك – ფოლორცი, უბანი, ქუჩა.
შუმი – არმუჯი – უწყლო ღვინო.
შურთხი, როჭო, ყრუნი – ფრინველი, ჯიხვს რომ სდევს.
შურისგება, შურისძიება – ჯავრის ამოყრა.
შულლი – სიტყვით ბრძოლა.

ჩაბალახი, მუზარადი – шлем, шишак.
ჩაბუგვა – გადანვა.
ჩადუნა – გვიმრა.
ჩათლახი – დაუღონოებელი.
ჩალაბულა – всякая дрянь в воде.
ჩალათა, ჩალთა – იარაღის ბუდე.
ჩალიკა – ცაცია, ხელმარცხენა.
ჩალხანა – კარდალა.
ჩამიჩი, სკიჯი – შეფიცხებული ყურძენი.
ჩანჩქერი – წყალი კლდეზედ გადმომდინარე.
ჩარბი – არწივთა, ქორთა, შავარდენტ ნისკარტი.
ჩაუქი – ცქვიტი, მარდი და შემძლე.
ჩახი, ცახი – былинка.
ჩექმა – هكچ – მოგვი.
ჩინური – ჭურჭელი.
ჩირქი – გემსი, ბაყლი, მნიკვლი.
ჩიკორი – სიპიქვა, кругляк.
ჩირვირი – სპილოს ხორთუმი.
ჩლიგი, ჩლუ – ლზე-მოუბარი.
ჩიელიდონია – ქრისტეს სისხლი.
ჩონჩხი – ფეხის ზურგი.
ჩოქურთმა, ჩუქურთმა – სკულპტურა.
ჩუბინი – ნიშანში მარჯვედ ამომღები.

ჩხიბი – გრძნებით შესაკრავი.

ჩხმატი – მჟავე მაჭარი.

ცალგნითი, ცალმხრივი – односторонний.

ცალმოგვი – однодворец.

ცარცი – თეთრი მინა, მელი, мел.

ცახი, ჩახი – былинка.

ცთომილი, ეტლი – პლანეტი.

ცერად – наискось.

ცვედანი – неспособный к сожительству.

ციაგი – მზის სხვივი; – ცისფერი.

ცისადცისად – მთვარეზედ კვეთება.

ცისიერი – ზეციერი, небесный.

ცისიერი – метеор.

ციფრა – صفران – цифра.

ცილვი – საკეცი დანა.

ცლაგვა – ერთს სიტყვაზედ დაუდგომლობა.

ცრიატი – ღრუბლიანი, ცივი დღე.

ცუნდრუკი – ჩურჩული, თვალით ნიშნება.

ცქვრინა – პატარა ზუთხი.

ცხიმა: კარაქი, ერბო, ჩუმი, ქონი, ცმელი, დუმა, ჭენჭი, ზიპი, ზეთი.

ცხოველნერგი – животнорастение.

ცხრო – ცივება:

ენამეროს – ყოველდღისა.

აფიკაროს –

ლევია – დღეგამოშვებით.

ეტრატეოს – ორიდღის გამოშვებით.

ძაბუნი – მხვდალი, დაშინებული.

ძერწა – შეკონინება.

ძვინად – წინააღმდეგად, გამოჯავრებით.

ძვინვა – დიდად გაჯავრება, განრისხება.

ძმაცვა – მტერთათვის ბოროტი ღონის ძიების გამორჩევა, – ძვირის ზრახვა.

ძნიად – ძნელად.

ძნობა – ხმისშენწყობა.

ძოლან – სამოთხ დღეს უნინ და შარშანდელს აქეთ.

ძონი – მარჯანი, მარჯნის ფერი.

წავარნი – კლდის ბილიკი.

წათხი – მლაშე.

წალკოტი – ხილის ბაღი.

წარამურა – ცუდი მოუბარი.

წარაფი – წვრილი მოგძე ტყე.

წარხმა – ციხე ქალაქთ-აღება.

წანა – სანებელი.

წბილი – უგვანი, უკადრისი.

წდევა – ღვინის დასხმა.

წდოლა – მძლავრთაგან აყრა და გადასახლება.

წერწეტი – ტანწვრილი.

წიალი – კალთა, უბე.

წიდოვანი – სისხლის-მდენი.

წინაუკმო – назад.

წიქარა – წითელი ზროხა.

წინიბური, წინწიბური.

წინიბო – წიფლის ხილი.

წინილაკი – პატარა წინილა; კაპასი.

წინკინა – პანანა, პანანკინა.

წვნიკი – ძალიან წვრილი.

წმასნა – მეტად შეგრეხა.

წმახი – უძმრო წნილი.

წმახნა – ქსოვა, მიბმა-მობმა.

წოქო – თოხლო კვერცხი.

წყლიანი – მოხდენილი, მშვენიერი.

წყლისსაქანელი – ზოდიაქო.

წურწუმელა.

ჭავლი – სხვათა ნაწნავი თმა.

ჭარმაგი – წვერთეთრი მრთელი ბერიკაცი.

ჭარტალი – დაუცხრომელი მოლაპარაკე, ყბედი.
ჭაშმაგი – მხნე, შემძლე ბერიკაცი.
ჭვირვა, სჭვირს, გასჭვირს.
ჭინახული – ჭირნახული; პურის მოსავალი.
ჭიჭიბო, ჭინჭიბური.
ჭოგრი, ჭოგრიტი – შორსმხედი, ტელესკოპი.
ჭოროხი – მდინარისაგან ქვიშა შეყრილი.

ხადილი – პატიჟობა, მასპინძლობა.
ხათხათი – გულამოჯდომით სიცილი.
ხალასი – დანმენდილი მადნეული.
ხალვათი – خلوة
ხალისი – خلص
ხამანნაკი – ალიტრიონი, устрица.
ხანაგი – богадельня.
ხანდაკი – თხრილი.
ხანხლვა – საჩქაროდ და ავად შენვა.
ხარაბუზი – жираф.
ხარშვა – გბობა.
ხარჭა – concubine.
ხასა – خاص
ხაფი – ძალიან მაღალი ბოხი ხმა.
ხედვითი – умозрительный, теоретический.
ხეიბარი – დაშავებული კაცი.
ხელდასხმა – наложить руку.
ხენეში (სომხ.) – დამპალი.
ხერთვისი – перешеек.
ხეტება – უსაგნოდ, უაზროდ სიარული.
ხეტი – ბრიყვი, უზდელი.
ხვაშიადი – حواس باد – საიდუმლო.
ხვითქი – კორკოდილო.
ხვითქელი – ქაფი, ოფლი.
ხზედი – ნაბლისფერი, ქურანი.
ხიბლვა – შეგრძნება.

ხიზანი – ლტოლვილი.
ხინკალი – დუმისშაშხი.
ხისტაკი – ჩასაკერებელი ნაჭერი.
ხისტი – ფიცხი.
ხიშტაკი – სახლის ძირი.
ხმევა – ხმარება.
ხმილვა – ღამისთევა.
ხმორდლო – წყლისაგან ჩაფლატებული ადგილი.
ხონი – დიდი ტაბაკი.
ხოტა, ხოტბა – خطبه – დიდი ქება.
ხნარცივი – провал.
ხრაკი – гарь.
ხრაკვა – поджаривать.
ხრიაკი, კრიახი – ქვიანი, კლდიანი ადგილი.
ხრუკვა – ежиться.
ხუთო – ქვა გესლთ მკურნალი.
ხურაობა – აღრევა ცხენთა, ჯოროთა, აქლემთა, სპილოთა...
ხურუში – вождение.

ჯაბზანი – ძაბუნის, მოშიშარი.
ჯავრი – جوار – ზრუნვა, წუხილი.
ჯადაგო – ჯიუტი, უგვანი, უშვერი.
ჯადეგი, ჯადოქარი – მეჯადოვე.
ჯამა – جمع – сумма.
ჯამაგირი – جماعی
ჯამი – جام
ჯანი – جان
ჯარი – جارو
ჯარიმა – جرم
ჯაფა – جفا
ჯაშუში – جاسوس – მსტოვარი, აემბაგი.
ჯაჯა – წვალება, пытка.
ჯერანი – ქურციკი.
ჯერჩინება, – რვიჩინე, – რიჩინა, благоволение.

ჯინიბი – მარქაფა ცხენი.

ჯიქი – ბრიყვი.

ჯიქურ – პირ და პირ.

ჯიშკილა – ღანძილი.

ჯმნა – ხელის აღება, გმობა, განგდება.

ჯმუხი – მოდაბლო და მხნე კაცი.

ჯომარდი – ქველი.

ჰაეროვანი – ოქროსი – მშვენიერი.

ჰელი – ნეხვანახული.

– იდრა.

– იდრავლიკა.

– იდროგრაფია.

– იმნოსი.

– იპატოსი – კონსული.

– იპერბოლა.

– იპოთეკა.

– იპომნიმატოსი.

– იპოსტასი.

– იპოხონდრია.

– იპოდრომი – ათმეიდანია.

– იპოკენტავრო.

– ისტერიკა.

– ისტორია.

სახმილი – ცეცხლთა საგზებელი კაცთა დასაწვავად.

სახმილი – ცეცხლთა საგზებელი აბანოს გასახურებელი.

თუნი – კეცის ჭურჭელთ გამოსაწვავი.

თაკარი – ჭიქათ დასადნობელი და შესაქნელი.

ლუმილი – ფურნე პურის საცხობი.

თორნე – ღრმად პურის ჩასაკრავი.

აკუთა – ქვაბთა ქვეშ შესაკეთებელი.

ბრძმედი – ილეკროთ (მადნეულთ) დასადნობელი.

ვახუშტის განმარტებანი.

- 1) **არვა** – სული 4 გვარი: 1. ზიბაყი, ე. ი. ჯივა; 2. ნიშადური; 3. ზირნიეხი. – 4. ქიბრითი, ე. ი. გოგირდი.
- 2) **არჯასპი** 7: 1. შავი; 2. ყვითელი; 3. შაბი; 4. ჯალაყანდუს; 5. ყალაყანდუ; 6. ყალაყათარ და 7. ზაჯი სურხი.
- 3) **ბორაკი** – მასალა 7 გვარი: 1. ნანი; 2. მალრიბი; 3. ყათრანი; 4. საოქრომჭედლო; 5. თანაქარე; 6. ზარვანდი და 7. ნითელი.
- 4) **თვალი** – ძვირფასი კენჭი 12: 1. ამეთვისტო, ნითელი და იისფერი; 2. ანთრაკი, ნაკვერცხლის ფერი; 3. აკატი აიანალჰური და იამანი; 4. ბივრილი, ზღვისა და ცისფერი; 5. იასპი, მონითანო და ჭრელი; 6. ლიგვირი, ლურჯი; 7. ოქროსქვა, ყვითელი იაგუნდი და თილა; 8. ტოპაზიონი, თეთრი იაგუნდი; 9. სამარაგდე, ზურმუხტი; 10. საფირონი, ლურჯი იაგუნდი; 11. სარდიონი, სისხლისფერი და 12. ფრცხილი, მონითანო, ინდოეთშია. **ამათ გარდა:** ხრიზოლითი. – ლალსა ჰგავს, ჭიქაა და აღმოსავლეთის დუმბაზი, რომელარს თილიასფერი.
- 5) **მარილი** 11: 1. ტკბილი; 2. მწარე; 3. თაბარზადი; 4. ანდარანი; 5. ნავთისა; 6. ინდისა; 7. ჩინეთისა; 8. კალისა; 9. შარდისა; 10. კირისა და 11. ნაცრისა.
- 6) **ქვა** – 13 გვარი: 1. მარყიშუშა, მეხისნატეხი; 2. მაუნისა; 3. რუს-რკინის ლითონი; 4. თუთია-შაბიამანი; 5. ლაჟვარდი; 6. ზაჰრანჟი-ზირნიეხი; 7. ფირუზი; 8. შადანაჯი; 9. შაქი; 10. ქოლი ან სურმა; 11. თალხი; 12. ჯასინი და 13. ხორჯაჯი-მძივი.
- 7) **ჯასადი** 7 გვარი: ოქრო; ვერცხლი; ნას – სპილენძი; ადიდ – რკინა; კალა; ტყვია და ხარიჩინი.

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის ნაწერები ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმის შესახებ (აქვე მოხვდა „მიხეილ შარვაშიძის საქმე“ – დიმ. ყიფიანის მოხსენება კავკასიის ხელისუფლებისადმი 1853-1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში აფხაზეთის მთავრის, მიხეილ შარვაშიძის, პოზიციის შესახებ), რეცენზიები და 1882 წელს სანქტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი სახელმძღვანელო „ახალი ქართული გრამმატიკა“.

პასპორტში ვუთითებთ მონაცემებს ტექსტის ხელნაწერის, პუბლიკაციის, სათაურის, თარიღისა და დაწერის ადგილის, ავტორისეული ხელმოწერის შესახებ. როცა ეს მონაცემები ტექსტში არ არის (ვთქვათ, ტექსტი დაუსათაურებელია ან დაუთარილებელია და სხვ.), ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მითითება პასპორტში გამოტოვებულია და აუცილებელ განმარტებებს შენიშვნებსა და კომენტარებში ვიძლევი.

დიმ. ყიფიანის ნაწერები ხშირად არ იბეჭდებოდა, ამიტომ **„ნაბეჭდში“** მითითებული გვაქვს არა მხოლოდ პირველნაბეჭდი და ავტორის სიცოცხლეში გამოცემული ტექსტები, არამედ – ჩვენთვის ცნობილი პუბლიკაციებიდან უკლებლივ ყველა. როცა მითითებული არ არის **„ნაბეჭდი“**, ეს იმას ნიშნავს, რომ **ტექსტი ხელნაწერის საფუძველზე პირველად წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება.**

ტექსტების ერთი ნაწილი დათარილებულია ავტორის მიერ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კვლევით დადგენილ თარიღს ვუთითებთ კვადრატულ ფრჩხილებში. დაწერის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მაშინაც, როცა საკითხ-

ის გარშემო არ მოგვეპოვება რაიმე ხელმოსაჭიდი მონაცემი და მას (ტექსტს) ვათარილებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. სათანადო მონაცემები – ტექსტი პირველნაბეჭდის მიხედვით თარიღდება თუ თარიღი კვლევით დგინდება – შენიშვნებსა და კომენტარებშია მოცემული. თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს მითითებული, მოგვეავს ორივე მონაცემი.

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წწ. ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციონალურ, ასოებს (წ, ძ, ჯ, ჰ, შ; აგრეთვე – ჟ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია ჭავჭავაძის (ზოგადად „თერგდალეულთა“) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1860-1870 წწ. მიჯნიდან ამ ასოებს უკვე იშვიათად ხმარობდა. წინა (I-III) ტომებში, გარდა ერთი-ორი დასაბუთებული გამონაკლისისა, ძველი ასოები ამოღებული გვაქვს და სიტყვები ახალი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვითაა მოცემული. წინამდებარე ტომში შესულ ზოგიერთ რეცენზიასა და წიგნში „ახალი ქართული გრამმატიკა“ ძველ ასოებს ხშირად სპეციალური დატვირთვა აქვს [მაგალითად: „წ წარმოითქმის როგორც *ე* და არა როგორც *ეჟ* და გამოიყენება ჟ-ს შემდეგ...“ (იხ. აქვე, გვ. 201), „*ძ* წარმოითქმის როგორც *უ...*“ (გვ. 201), „*ჯ* გადაიქცევა ჟ-დ“ (იხ. აქვე, გვ. 224) და სხვ. ან, როცა ძველ ასოს რაიმე სახის ჩამონათვალში რიცხვითი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მაგალითად, „ა. თვლითი, ბ. რაოდენობითი, ... ზ. მოაზრებითი, წ. უსაზღვრო“ (გვ. 272) და სხვ.]. ამიტომ გადავწყვიტეთ, ასეთი ტექსტებისთვის ორთოგრაფიის მხრივ საერთოდ არ გვეხლო ხელი. ამასთანავე, როგორც წინა ტომებში, აქაც უარს ვამბობთ ე. წ. ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი. უნიფიკაციაზე უარის თქმა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ

დომ. ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საქმეში და სასურველია, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში მისი მონაწილეობის კვალი არ წაიშალოს.

შენიშვნებსა და კომენტარებში არ ვიძლევიტ მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია: ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვარით, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდევ, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამეორებებს, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) წიგნებისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, ტფილისი, Тифлис, Москва, Санкт-Петербург, Paris და სხვ.); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაა გამოყენებული („ივერია“, „Кавказ“, „Закавказье“ და სხვ.).

ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმე

ნატურალური ბებრის შესახებ
ამიერკავკასიის მხარეში (გვ. 11-43)

ხელნაწერი: სეა. ფონდი 10. საქ. 2. აღნ. I. ავტოგრაფი.
რუსულ ენაზე. ფ. 269-292.

ნაბეჭდი: შ. ჩხეტია. ნატურალური ბებრის საკითხისთვის
რეფორმამდელ საქართველოში. ა. ს. პუშკინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომე-
ბი. VI. თბილისი: 1949, გვ. 138-159.

სათაური: Записка о натуральных повинностях в Закавказском
крае.

თარიღი: 26 მარტი. 1841.

1830-1840-იანი წლების მიჯნაზე ამიერკავკასიაში ჩა-
ტარდა მმართველობის რეფორმა. სენატორ პავლე განის
კომისიის მიერ შედგენილი პროექტი რეფორმისა იმპერა-
ტორმა ნიკოლოზ I-მა 1840 წლის 10 აპრილს დაამტკიცა და
ამით პროექტს კანონის სახე მისცა. კანონი შედგებოდა ოთხი
დებულებისგან (ამიერკავკასიის მმართველობა, თბილისის
საზოგადოებრივი მმართველობა და დებულებები: ა) საბე-
გრო კომიტეტისა და ბ) ამიერკავკასიის მმართველობაში
მოსამსახურე მოხელეთათვის უპირატესობების მინიჭებ-
ის შესახებ). როგორც კი კანონი პრაქტიკულად ამოქმედდა,
გაირკვა რომ განის კომისიის მიერ შედგენილი პროექტი იყო
ნაჩქარევი, ზერელე და მასში იგნორირებული იყო რეალური

ვითარება და ადგილობრივი ისტორიული, სამართლებრივი, ეთნოფსიქოლოგიური და სხვ. ფაქტორებით განპირობებული გარემოებები.

დომ. ყიფიანის წინამდებარე მოხსენება 1840 წლის 10 აპრილს უმაღლესად დამტკიცებული კანონის ერთ-ერთ ნაწილს – ნატურალური ბეგრის საკითხს – ეხება. მოხსენების ადრესატია ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭო და იგი (მოხსენება) ეხება საკითხებს, რომლებიც კანონს პრაქტიკული განხორციელებისას დაუძლეველ პრობლემებს შეუქმნიდა. საბჭოს დომ. ყიფიანის ეს მოხსენება დაწერიდან სამ დღეში, 1841 წლის 29 მარტს, განუხილავს, თუმცა რა შედეგები მოჰყვა ამას, საქმიდან არ ჩანს (ჩხეტია 1949: 129; დომ. ყიფიანის მოხსენებასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. ჩხეტია 1949: 121-138; ზოგადად ზემოაღნიშნული რეფორმის შესახებ იხ.: ჩხეტია 1944: 24-47; ჩხეტია 1945: 33-64; გურული 2017: 484-490). **ვიმეორებთ შ. ჩხეტიას პუბლიკაციას.**

¹ (გვ. 12) **„საერობო საბეგრო კომიტეტების დაარსება“** – საერობო საბეგრო კომიტეტები ამიერკავკასიაში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ 1840 წლის 10 აპრილს დამტკიცებული და მოქმედებაში 1841 წლის 1 იანვრიდან შესული კანონის საფუძველზე დაარსდა. „დებულება ითვალისწინებდა ორი სახის, ან უკეთ, ორი ინსტანციის კომიტეტებს: 1) საგუბერნიო საერობო საბეგრო კომიტეტს, რომელიც არსდებოდა თბილისში, და 2) სამაზრო საერობო საბეგრო კომიტეტებს, რომლებიც არსდებოდა ყველა სამაზრო ქალაქში. საგუბერნიო საერობო კომიტეტს შეადგენდნენ: სამოქალაქო გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, სახაზინო პალატის თავმჯდომარე და სახელმწიფო ქონებათა პალატის მმართველი; ხოლო სამაზრო საბეგრო კომიტეტებს – მაზრის უფროსი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და მაზრის

სასამართლოს მსაჯული. საბეგრო კომიტეტების მოვალეობას შეადგენდა: 1) საერობო, სამოქალაქო და სამხედრო ბეგართა ხარჯთაღრიცხვის შედგენა, 2) მცხოვრებთა შორის ფულადი და ნატურალური ბეგარა-გადასახადთა განაწილება და 3) ამ ბეგარა-გადასახადების გადახდაზე თვალყურის დევნება. სამაზრო საბეგრო კომიტეტები ემორჩილებოდნენ საგუბერნიო საბეგრო კომიტეტს, ხოლო ეს უკანასკნელი მთავარმმართველს“ (ჩხეტია 1945: 53).

² (გვ. 12) „**ევგენი ალექსანდრეს ძემ**“ – იგულისხმება ევგენი გოლოვინი, საქართველოს მთავარმართველი და კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალი 1837-1842 წწ.

³ (გვ. 13) „**1840 წლის 10 აპრილის დაწესება ძალაში შევიდა**“ – იგულისხმება 1840 წლის 10 აპრილს უმაღლესად დამტკიცებული კანონი ამიერკავკასიის მმართველობითი რეფორმის შესახებ (იხ. ზემოთ).

⁴ (გვ. 14) „**მთავარმართველისა და ბარონ განის თბილისიდან გამგზავრებამდე საკითხზე მსჯელობა... მათ მაღალდამტკებულებათა თანდასწრებით უნდა დასრულდეს**“ – ამ საკითხზე შ. ჩხეტიას უწერია: „გოლოვინი და განი პეტერბურგში უნდა გამგზავრებულებიყვნენ 1841 წლის გაზაფხულზე მაინც: ერთიცა და მეორეც ჩქარობდა თავისი „ამაგი“ რეფორმის გატარების საქმეში პეტერბურგის მთავრობის ყურამდე მიეყვანა და ამისთვის შესაფერი ჯილდო მიეღო“ (ჩხეტია 1949: 128).

⁵ (გვ. 15) „**იმერეთის... ყოფილი ოლქის**“ – ამიერკავკასიის მმართველობითი რეორგანიზაციის შესახებ ნიკოლოზ I-ის მიერ 1840 წლის 10 აპრილს დამტკიცებული კანონის მიხედვით, გაუქმდა მანამდე არსებული იმერეთის ოლქი და იგი ახალშექმნილ საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა (კანონი პრაქტიკულად 1841 წლის იანვრიდან ამოქმედდა).

⁶ (გვ. 17) „**გორის მაზრაში ოქონის კარანტინის...**“ – დედანში: „...Страшно-Ожонского карантин“ (ჩხეტია 1949: 142).

⁷ (გვ. 19) „**დარაჩიჩაგიდან საკარინტინო ნივთებისა და ერევნის სახელმწიფო დაწესებულებების უკან დაბრუნებას...**“ – ზაფხულის აუტანელი სიცხის გამო სახელმწიფო დაწესებულებები და ჩინოვნიკობა 3-3¹/₂ თვით ერევნიდან დარაჩიჩაგში (ამჟამად ნალკადორი; მდებარეობს ერევნიდან 50-იოდე კილომეტრზე) გადადიოდა და შემდეგ უკანვე ბრუნდებოდა (ბროკჰაუზი-ეფრონი 1893: 130).

⁸ (გვ. 19) „**დუმბულის ხანის...**“ – **დუმბული:** ქურთების ტომი.

⁹ (გვ. 21) „**ჭარის მუდმივი მილიციისთვის**“ – *მილიცია* (ლათ. militia – მხედრობა) მთავრობის მიერ საგანგებო ვითარებაში ფორმირებული არარეგულარული (მათ შორის, მოხალისეებისაგან შემდგარი) სახალხო ლაშქარი (მილიციელი – სახალხო მოლაშქრე).

¹⁰ (გვ. 23) „**მთიელთა თავდასხმების მოსაგერიებლად**“ – „მთიელებში“ ჩრდილოკავკასიელები იგულისხმებიან.

¹¹ (გვ. 25) „**ხარვალი [ხალვარი]**“ – მარცვლეულის საწყაო, „კაბინი ათკოდიანი“, რომელიც უდრიდა დაახლოებით 28 ფუთს ან 100 ბათმანს (ჩუბინაშვილი 1961: 463).

¹² (გვ. 32) „**ლაბორატორიული ასეულისთვის...**“ – ასეული (Лабораторная порта), რომელიც არტილერიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს (ჩუდინოვი 1910).

¹³ (გვ. 32) „**ფუნტი**“ – აქ: ნონის ერთეული. XIX ს. რუსული ფუნტი ფუთის ¹/₄₀-ს უდრიდა (ჩუდინოვი 1910).

¹⁴ (გვ. 36) „**მისი უდიდებულესობა თბილისიდან რუსეთში სწორედ ამ მთიანი გზით ბრუნდებოდა**“ – იგულისხმება იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სტუმრობა ამიერკავკასიაში 1837 წლის სექტემბერ-ოქტომბერში [მარშრუტი: რედუტ-კალე (ამჟამად ყულევი), ზუგდიდი, ქუთაისი, სურამი, ახალციხე, ახალქალაქი, გიუმრი, სარდარაბადი (ამჟამად არმავირი), ერმიადინი, ერევანი, დილიჯანი, თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა, ვლადიკავკაზი...].

ამიერკავკასიის მხარის დაყოფისა და
სამოქალაქო მმართველობის წესდებულების
პროექტი (გვ. 44-64)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი.
საქ. №130. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. უთარილო. ფ. 12.

სათაური:

Проект положения о разделении Закавказского края и о
гражданском его управлении.

ტექსტი პროექტისა ხემოუნერელია. იგი დიმ. ყიფიანის
ხელითაა ნაწერი და მის მიერვეა ნასწორები. დიმ. ყიფიანი ამ
დროს (1846-1857) კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს
საქმეთა მმართველი იყო (ყიფიანი 2018: 400) და ლოგიკურია,
წინამდებარე პროექტის შედგენა მისთვის დაეკისრებინათ.

რაც შეეხება ტექსტის დათარიღების საკითხს...

ამიერკავკასიის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორი-
ული დაყოფა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ 1846 წლის 14
დეკემბერს დამტკიცებული დებულების საფუძველზე განხ-
ორციელდა, მაგრამ მხარე მაშინ ოთხ – თბილისის, ქუთაისის,
შემახისა და დერბენტის – გუბერნიებად დაიყო, დიმ. ყიფი-
ანის პროექტში ნახსენები ერევნის გუბერნია კი 1849 წელს,
[ივნისში], შეიქმნა (ჩხეტია 1944: 58), იმავე წლის ივლისში
შეიქმნა პროექტში ნახსენები ორდუბადის მაზრა (ფაშაევი
1998: 17). ამას გარდა, ალექსანდროპოლის (ამჟამად გიუმრი)
მაზრა მანამდე (1846 წლიდან) თბილისის გუბერნიის ნაწილი
იყო, ხოლო ახალშექმნილ ერევნის გუბერნიაში 1849 წელს
შეიყვანეს (კანონთა კრებული 1849: 312). შესაბამისად, **დიმ.
ყიფიანის პროექტი, ვფიქრობთ, 1849 წლით უნდა დათა-
რილდეს.**

¹ (გვ. 44) „...**მთიელ ხალხთა სპეციალური მმართველობისგან**“ – იგულისხმება თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქი, რომელიც 1846 წელს თბილისის გუბერნიის ფარგლებში შეიქმნა, 1859 წელს თიანეთის (თიონეთის) ოლქად, ხოლო 1874 წელს თიანეთის მაზრად გადაკეთდა.

² (გვ. 45) „**საპორტო ქალაქ რედუტ-კალეს მმართველობისგან**“ – რედუტ-კალე (დაარსდა 1804 წელს, საპორტო ქალაქის სტატუსი მიიღო 1846 წელს) მდებარეობდა მდ. ხობის შესართავთან, ქუთაისის გუბერნიის (ზუგდიდის მაზრის, ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტის) სოფელ ყულევის ადგილას. რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომის დროს ჯერ რუსებმა ააფეთქეს, შემდეგ ოსმალებმა გადაწვეს და ამის შემდეგ მან საპორტო მნიშვნელობა დაკარგა.

³ (გვ. 45) – ხელნაწერში ჩამონათვალი არ არის დასრულებული.

⁴ (გვ. 46) „**საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება**“ – „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება“ („Закавказский приказ общественного призрения“), მიხ. ვორონცოვის ინიციატივით დაარსებული საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ნიკოლოზ I-მა 1848 წ. მაისში დაამტკიცა, ოფიციალურად კი 1849 წ. 1 თებერვალს გაიხსნა. თავადაზნაურობას შეეძლო „პრიკაზში“ უძრავი ქონება დაეგირავებინა, ხოლო აღებული სესხით მამული მოეწყო და იგი მუდმივი შემოსავლის წყაროდ ექცია („პრიკაზზე“ იხ. გუგუშვილი 1956: 265-307). ქართველი თავადაზნაურობის ნაწილმა აღებული ფული გაფლანგა და საბოლოოდ გაჩანაგებული დარჩა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც „პრიკაზს“ გადარჩენის საშუალებად მიიჩნევდნენ და მისით კმაყოფილნი იყვნენ (ყიფიანი 2018^b: 312, 370).

⁵ (გვ. 47) – ხელნაწერში მონაკვეთი არ არის დასრულებული.

⁶ (გვ. 48) „**ორი მრჩევლისა...**“ – „მრჩეველი“ (СОВЕТНИК) აქ ნიშნავს სამოქალაქო ჩინს. რუსეთის იმპერიის რანგ-

თა ტაბელის მიხედვით, მრჩევლის სამოქალაქო ჩინები ასე იყო კლასიფიცირებული: **ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი** (Действительный тайный советник) – ჩინი II კლასისა; **საიდუმლო მრჩეველი** (Тайный советник) – ჩინი III კლასისა; **ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი** (Действительный статский советник) – ჩინი IV კლასისა; **სამოქალაქო მრჩეველი** (Статский советник) – ჩინი V კლასისა; **კოლეგიის მრჩეველი** (Коллежский советник) – ჩინი VI კლასისა; **კარის მრჩეველი** (Надворный советник) – ჩინი VII კლასისა; **ტიტულარული მრჩეველი** (Титулярный советник) – ჩინი IX კლასისა [იყო სხვა სამოქალაქო ჩინებიც. მაგალითად, **კანცლერი** (Канцлер) – ჩინი I კლასისა; **კოლეგიის ასესორი** (Коллежский асессор) – ჩინი VIII კლასისა და სხვ. – რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელი იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი 1901^ა: 440-441). დიმ. ყიფიანს გავლილი ჰქონდა სხვადასხვა საფეხური, 1854 წლის დეკემბერში კი მას მიენიჭა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის ჩინი (ყიფიანი 29: 99-100), რომელიც შეესაბამებოდა გენერალ-მაიორის სამხედრო და კონტრ-ადმირალის საზღვაო ჩინებს. ამიტომაც ამ ჩინის მქონე პირებს ზოგჯერ „სამოქალაქო გენერლებსაც“ უწოდებდნენ.

⁷ (გვ. 52) **„მასალის გაგზავნა „ვესტნიკში“ გამოსაქვეყნებლად“** – იგულისხმება ყოველკვირეული გაზეთი „Закавказский вестник“ („ამიერკავკასიის მაცნე“), რომელიც 1838-1855 წწ. რუსულ ენაზე გამოდიოდა თბილისში (თავიდან გაზეთის რედაქტორად დაინიშნა დიმ. ყიფიანი, თუმცა, წყაროების მიხედვით, ფაქტობრივად მას ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია – საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2018^ა: 408; უფრო ვრცლად: ჯოლოგუა 2002: 99-101; 1845-1846 წწ. თბილისში გამოდიოდა „Закавказский вестник“-ის ოფიციალური ნაწილის ქართული დუბლიკატი „კავკასიისა მხარეთა უწყებანის“ სახელწოდებით – ამ უკანასკნელ გამოცემაზე, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2013: 98-104).

⁸ (გვ. 52) „სენატსკიე ვედომოსტისა“ და ამიერკავკასიის მხარისთვის განკუთვნილი...“ – „Сенатские ведомости“ („სენატის უწყებანი“) იყო რუსეთის იმპერიის მმართველი სენატის (Правительствующий сенат) პერიოდული გამოცემა (1809-1917; 1899 წლამდე გამოდიოდა „Санктпетербургские сенатские ведомости“-ს სახელწოდებით), რომელშიც ქვეყნდებოდა ოფიციალური მასალა კანონთა მიღება-გაუქმების, სახელისუფლებო ბრძანებების, განკარგულებების, დებულებების, სახელმწიფო მოხელეთა დანიშნულება-დაჯილდოების, დანიშვნა-დათხოვნისა და სხვ. შესახებ.

⁹ (გვ. 54) „საგუბერნიო-სახაზინო სტრიაფჩებისთვის...“ – სიტყვას „სტრიაფჩი“ (რუს. „Стряпчий“) სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. აქ: სასამართლო მოხელე, „ვაჭილი, მეოხი, მოსაქმე ანუ მოლაპარაკე სხვის მაგიერად სასამართლოში“ (ჩუბინაშვილი 1973: 529).

¹⁰ (გვ. 58) „კავკასიის კომიტეტი“ („Кавказский комитет“) – პეტერბურგში მოქმედი საგანგებო უწყებათაშორისი ორგანო. აქ განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება აღემატებოდა როგორც კავკასიის ხელისუფლების, ისე იმპერიის ცალკეული სამინისტროების უფლებამოსილებას („კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. ყიფიანი 2017^ა: 335-336).

¹¹ (გვ. 58) „სამედიცინო პოლიციასთან...“ – სპეციალური დაწესებულება XIX ს. რუსეთის იმპერიაში, რომლის მოვალეობაში შედიოდა დაავადებათა გავრცელების პრევენცია, სანიტარული პრობლემების მოგვარება, საკვების ფალსიფიცირების აღკვეთა, შხამის შემცველი ნივთიერებების კონტროლი და სხვ. (საპოლიციო მედიცინის შესახებ იხ. გარინა 2018).

¹² (გვ. 64) XIII თავი ხელნაწერში არ არის. იგი (ხელნაწერი), როგორც ზემოთ აღინიშნა, შავია, თავები რამდენჯერმე გადანომრილი და, ადვილი შესაძლებელია, ავტორს თავების მორიგი გადანომვრისას შეცდომა მოსვლოდა.

მიხეილ შარვაშიძის საქმე
(გვ. 65-109)

ხელნაწერი:

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 3. აღნ. 2. საქ. №725. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 85-120.

ნაბეჭდი:

შ. ჩხეტია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 15-16. 1963, გვ. 202-225.

სათაური:

Доклад Действительного Статского Советника **Кипиани** [ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ყიფიანის, მოხსენება].

თარიღი: 12 ოქტომბერი. 1855 წ. სოფ. ქვეშხეთი. გორის მაზრა.

ხელმოწერა: Действительный Статский Советник **Кипиани** [ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**].

საქმე, რომელშიც შეტანილია მიხეილ შარვაშიძის* მოქმედებებთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალა და, მათ შორის, დიმ. ყიფიანის მოხსენება, ასეა დასათაურებული:

* დიმ. ყიფიანი ამ და საქმესთან დაკავშირებულ (რუსულ ენაზე დანერვილ) სხვა ტექსტებში იყენებს ფორმას – *შერვაშიძე*, თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგალითად, ვ. ბებუთოვისთვის გაგზავნილ 1855 წლის 1 ნოემბრის ბარათში (იხ. აქვე, კომენტ. 30) იგი წერს: „აფხაზეთის მთავრის, მიხეილ *შარვაშიძის*...“ („...владельца Абхазии Михаила Шарвашидзе“). ქართულ ენაზე დანერვილ ტექსტებში კი დიმ. ყიფიანი უპირატესობას ანიჭებს ფორმას – *შარვაშიძე* (მაგალითისთვის იხ. დიმ. ყიფიანის 1884 წლის 22 მაისის კერძო ხასიათის წერილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძისადმი – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №849, ფ. 1). ამას გარდა, წინამდებარე პუბლიკაციის კომენტარებში ჩართულ წერილებში (და ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვა მიმონერაშიც) თვითონ აფხაზეთის მთავარი იყენებს ფორმას – *შარვაშიძე*. გვარის დანერვილობისას სიტყვების თავიდან ასაცილებლად ყველგან (ტექსტების თარგმანშიც, კომენტარებშიც, საძიებლებშიც) ვწერთ „*შარვაშიძეს*“.

თ. ჯ.

„Дело о подозрениях, падающих на Владетеля Абхазии в измене правительству“ [„საქმე იმ ეჭვების შესახებ, რომლებიც აფხაზეთის მთავრისგან მართებლობის ღალატს ეხება“]. იგი დაწყებულია 1855 წლის 20 ივნისს, ხოლო დასრულებულია 1856 წლის 7 ივლისს. **წინამდებარე პუბლიკაციის დასათაურება ჩვენია.**

რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომის დროს, კერძოდ, 1854 წლის მაისში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ ცოლ-შვილი სამეგრელოში თავისი სიმამრის, გიორგი დადიანის, ოჯახში გადმოიყვანა, თვითონ კი ოსმალთა მიერ დაკავებულ აფხაზეთში დაბრუნდა. ამან როგორც ადგილობრივ (კავკასიის) ხელისუფლებაში, ისე პეტერბურგში გააჩინა ეჭვი, რომ აფხაზეთის მთავარი რუსეთს ღალატობდა. ვითარების გამოსარკვევად ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრის, გენერალ ვასილ ბებუთოვის, ინიციატივითა და მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვის თანხმობით 1855 წლის სექტემბერში დიმ. ყიფიანი საიდუმლო მისიით დასავლეთ საქართველოში მიავლინეს.

დიმ. ყიფიანმა, როგორც წინამდებარე ტექსტში ვკითხულობთ, მოიარა იმერეთი, სამეგრელო, გურია, შეკრიბა საჭირო ცნობები და ხელისუფლებას მიხეილ შარვაშიძის გამამართლებელი მოხსენება წარუდგინა (საკითხის ისტორიის, დიმ. ყიფიანის საიდუმლო მისიის, მიხეილ შარვაშიძისა და დიმ. ყიფიანის მოხსენებისადმი მეფისნაცვალ ნ. მურავიოვის დამოკიდებულების, პეტერბურგის მიერ საქმის განხილვისა და საბოლოოდ ნ. მურავიოვის სანინააღმდევგო და მიხეილ შარვაშიძის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების შესახებ იხ.: ჩხეტია 1963^ა: 123-263; ჩხეტია 1963^ბ: 30-37; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: აქტები 1888: 45-55; ესაძე 1907: 147-160; ჯორჯაძე 1909; ჯორჯაძე 1989: 419-422; ხუნდაძე 1936: 81-83, ჯანაშია 1988: 9-11; გურული 2017: 590-604).

ნ. მურავიოვი უნდობლად მოეკიდა დიმ. ყიფიანის მოხსენებას. ვ. ბებუთოვისადმი გაგზავნილ კონფიდენციალურ წერილში იგი აღნიშნავს: დიმ. ყიფიანის მოხსენება უფრო მთავარ შარვაშიძის გამართლების მცდელობაა, ვიდრე – საქმის გამოძიება (ჩხეტია 1963^ა: 229-230) და თვითონ ვ. ბებუთოვს ავალებს ძიების გაგრძელებას. თავის მხრივ, უკვე ვ. ბებუთოვი მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში და ძირითადად მთავრის მდივნის (სახოკია 1985: 394) გიგო ხოჯაევის (ხოჯაშვილის), მეშვეობით იქიდან ახერხებს საიდუმლო მიმონერას აფხაზეთში (ოჩამჩირე, გალი...) მყოფ მთავართან. ამ მიმონერასთან დაკავშირებული გარემოებები მეფისნაცვალ ნ. მურავიოვისა და სამხედრო მინისტრ ნიკოლოზ სუხოზანეტის მეშვეობით პერიოდულად ეუნყებოდა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს (ჩხეტია 1963^ა: 232-248; ჩხეტია 1963^ბ: 34-35). ვითარების მთელი სირთულის წარმოსადგენად ისიც უნდა ითქვას, რომ:

ა) ოსმალეთი მიხეილ შარვაშიძეს ერთგულების სანაცვლოდ სთავაზობდა, რომ „იგი ინიშნებოდა ოსმალეთის ჯარის ყველა კორპუსის მთავარსარდლად აზიასა და კავკასიაში, მისი შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთ სანაპიროს მფლობელად აღიარებით ნიკოლაევსკიდან (ნატანების შესართავთან) ანაფამდე“ (ჯანაშია 1988: 10).

ბ) ნ. მურავიოვს აფხაზეთის სამთავროს გაუქმება ჰქონდა განზრახული და მიხეილ შარვაშიძის ლალატის დადასტურება ფრიად ხელსაყრელი არგუმენტი და საფუძველი იქნებოდა მისი ამ განზრახულების განსახორციელებლად (ჩხეტია 1963^ა: 131; ჯანაშია 1988: 9-11; ზოგადად რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთის სამთავროს გაუქმების პარალელურად იქ რუსი კოლონისტების ჩასახლება ჰქონდა გადაწყვეტილი. 1864 წელს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე პეტერბურგში უმაღლეს ხელისუფლებას სწერდა აფხაზეთის ტერიტორიაზე „ყაზახთა სტანიცების“ დაარსების აუცილებლობის შესახებ: „...დასახლებულ იქნან ყაზახ-რუსები [შავი ზღვის] ნაპირის გასწვრივ ინგურის შესართავამდე; ბზიფის

ხეობის (ყაზახებისავე) მოსახლეობასთან ერთად მათ შეიძლება აფხაზეთის ყაზახთა „ვოისკო“ შეადგინონ“ და ა. შ. (ჯანაშია 1988: 6-7).

მიხეილ შარვაშიძის საქმის შესახებ დიმ. ყიფიანს თავის „მემუარებში“ უწერია (თარგმანი ნინო ტატიშვილ-ყიფიანისა):

„1855-ში, როდესაც ომერ-ფაშა თავის ძალებს იკრებდა სოხუმში, მე გამგზავნეს სამეგრელოში ერთი საკითხის გადასაწყვეტათ, დიდის საიდუმლოებით ცნობები უნდა შემეკრიბა, უღალატა თუ არა რუსეთს აფხაზეთის მთავარმა თ-მა მიხეილ შერვაშიძემ?

სრულებით საჭიროდ არ მიმაჩნია იმისი მტკიცება, რომ ჩემს მიერ შეკრებილ ცნობების გაშუქებაზე არა ჰქონია გავლენა ჩემს პირად გრძნობას, უანგარიშო სურვილის გრძნობას, რომ პასუხი ყოფილიყო უარყოფითი; მაშინ როდესაც დადებითი პასუხი იქნებ სასაყვედუროც ყოფილიყო იმ მთავრობისადმი, რომელსაც მე ვემსახურებოდი და რომელიც, ამიტომ, ჩემთვის იყო ძვირფასი.

მაგრამ ყველაფრიდან, რაც მე შევიტყე იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში და იმათგან, ვისაც თავად შერვაშიძის ბედი აინტერესებდა და იმათგანაც, რომლებიც გულგრილად უცქეროდნენ მას, და ბოლოს იმათგან, ვინც არა ჰფარავდა თავის სურვილს, რომ შერვაშიძე მოღალატე ყოფილიყო, მე დავრწმუნდი, რომ მიხეილ შერვაშიძე, თვით ომერ-ფაშას ბატონობის დროსაც კი, მოქმედებდა თავის მოვალეობის დიდი შეგნებით, როგორც ერთგული ქვეშევრდომი ხელმწიფე იმპერატორისა და როგორც გენერალ-ადიუტანტი მათი უდიდებულესობისა.

ამაზე დანვრილებითი ჩემი მოხსენება წარდგენილი იყო 1855 წ. ოქტომბერში...“ (ყიფიანი 1990: 61).

რაც შეეხება საკუთრივ წინამდებარე მოხსენებას, დიმ. ყიფიანმა იგი ვ. ბებუთოვს 1855 წლის 14 ოქტომბერს, ხოლო ვ. ბებუთოვმა ნ. მურავიოვს 16 ოქტომბერს წარუდგინა (ჩხეტია

1963^ა: 225). აქვე სრულად ვიმონწმებთ დიმ. ყიფიანის საიდუმლო წერილს ვ. ბებუთოვისადმი, რომლითაც ავტორმა ადრესატს თავისი მოხსენება წარუდგინა:

„მის ბრწყინვალეობას, თავად ვასილ იოსების ძე ბებუთოვს მაქვს პატივი გაახლოთ საგანგებო პატაკი, რომელშიც აღწერილია ჩემზე დაკისრებულ საიდუმლო დავალებებთან დაკავშირებული ყველა მოქმედება.

თავს ვალდებულად მივიჩნევ, დამატებით ისიც მოგახსენოთ, რომ:

1. გარდა იმ პირებისა, რომლებიც დავალებაში იყვნენ მითითებულნი [„**დავალების**“ შესახებ იხ. აქვე, კომენტ. 10 – თ. ჯ.], საჭიროდ ჩავთვალე მოგზაურობისას საზოგადოებრივი აზრისთვისაც მომესმინა და ამ გზით მოპოვებული ცნობები ჩამერთო წინამდებარე მოხსენებაში, და

2. ამ ცნობათაგან ერთ-ერთი საგანგებო მნიშვნელობას შეიძენს, თუ იგი პირადად ბატონი კავკასიის მეფისნაცვლის მიერაც იქნება დადასტურებული; წინააღმდეგ შემთხვევაში, ცნობა კარგავს ყოველგვარ ღირებულებას და, ამდენად, არც იმ წყაროს მითითება გახდება საჭირო, ვისგანაც ეს ცნობა მივიღე.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი**

14 ოქტომბერი. 1855.

თბილისი“ (სეა. ფონდი 3. აღწ. 2. საქ. №725. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 84).

დასასრულ, პეტერბურგში მიხეილ შარვაშიძის გამამართლებელი გადაწყვეტილების მიღებაში დიმ. ყიფიანის მოხსენებას, შ. ჩხეტიას მოსაზრებით, გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა (ჩხეტია 1963^ბ: 36-37), თუმცა საბოლოოდ აფხაზეთის სამთავრო მაინც გაუქმდა (1864 წელს), ხოლო მიხეილ შარვაშიძე მოტყუებით (თითქოს ფოთში მიჰყავდათ,

საიდანაც ქუთაისში უნდა გადაეყვანათ) გადასახლებულ იქნა რუსეთში (ნოვოროსიისკი, სტავროპოლი, ვორონეჟი – იხ.: ჯანაშია 1988: 11-13; სახოკია 1985: 392-394).

¹ (გვ. 65) **„მიმდინარე ომთან დაკავშირებულ გარემოებათა გამო...“** – იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომი, რომელიც არსებითად იყო ომი, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიასა, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთ-ბრიტანეთ-საფრანგეთ-სარდინიის კოალიციას შორის. კავკასიიდან კამჩატკასა და კურილიამდე გაშლილი ფრონტის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე (ახალციხის მაზრა, გურია, აფხაზეთი, სამეგრელო...) გადიოდა და მასში ჩართულნი იყვნენ როგორც ქართველი სამხედროები, ისე სახალხო ლაშქარი („მილიცია“). კოალიციის „გეგმებში ნავარაუდები იყო საქართველოს, ყირიმისა და ჩერქეზეთის ჩამოშორება რუსეთისაგან და მათი გადაცემა თურქეთისათვის“ (ჩხეტია 1963: 123). შესაბამისად, ამ ომის შედეგებს საქართველოს მომავლისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა.

² (გვ. 67) **„მათი დედა სამეგრელოს მთავრის და იყო“** – დიმიტრი (ომარ-ბეი) და მიხეილ შარვაშიძეების დედა იყო თამარ კაცია II-ის ასული დადიანი.

³ (გვ. 68) **„უშვილობის გამო ცოლი, მათივე წესის მიხედვით, მშობლების სახლს დაუბრუნა“** – მიხეილ შარვაშიძის პირველი ცოლი (1829-1831) იყო ჯიქეთის დიდგვაროვნის, ბესლანგურ არიდ-ბეის, ასული აკაია (ჩიქოვანი 2007: 43).

⁴ (გვ. 69) **„ეს ყველაფერი ორ თუ სამ წელიწადს გაგრძელდა“** – მიხეილ შარვაშიძის სამივე ჯვრისწერის, მთავარმართებელ გრიგოლ როზენის მიერ გამოხატული მწვავე პროტესტის (ჯერ ერთი, მთავარი ცოლად დედის მხრიდან ნათესავს ირთავდა და, ამას გარდა, მესამე ცოლს ისე ირთავდა, რომ მეორესთან ჯვარი არ ჰქონდა აყრილი), ამ თემაზე მთავარმართებლის მიმონერის, აგრეთვე, საკითხთან დაკავშირებული სხვა გარემოებების შესახებ იხ. აქტები 1881: 444-

455 [მიხეილ შარვაშიძისა და მენიკ დადიანის დაქორწინება „არასაკადრისად“, როგორც ჩანს, იმიტომ იქნა მიჩნეული, რომ ჯვრისწერა სიმამრის ოჯახში (და არა ეკლესიაში), თანაც დიდმარხვის დღეებში, მოხდა (ჩიქოვანი 2007: 43). ერთი ცნობით, ჯვრისწერიდან მესამე დღეს მიხეილ შარვაშიძემ გამოაცხადა – მე და ჩემი ცოლი ხასიათითა და მიდრეკილებებით ერთმანეთისაგან მეტისმეტად განვსხვავდებითო, ახალშერთული ცოლი სიმამრის, ნიკოლოზ დადიანის, ოჯახში, სამეგრელოს სოფელ ქვაშიხორში, დატოვა და თვითონ აფხაზეთში დაბრუნდა (ჩიქოვანი 2007: 43; იხ. აგრეთვე: აქტები 1881: 451); სხვა ცნობით, უკმაყოფილება იმან წარმოშვა, რომ მიხეილ შარვაშიძემ სიმამრის მიერ ქალიშვილისთვის მიცემული მზითევი დაიწუნა (ბოროზდინი 1934: 237-238; კ. ბოროზდინის თქმით, ნიკოლოზ დადიანმა სირცხვილი ვერ გადაიტანა და ამ ამბავს გადაჰყვა – ბოროზდინი 1934: 238). რაც შეეხება მიხეილ შარვაშიძისა და ალექსანდრა დადიანის ჯვრისწერას, იგი 1836 წლის იანვარში (სოფელ კოდორში) შედგა – აქტები 1881: 452).

⁵ (გვ. 70) „...როგორც მისი ხუთი შვილის დედა“ – მიხეილ და ალექსანდრა შარვაშიძეებს იმ დროისთვის, როცა დიმი. ყიფიანის მოხსენება იწერებოდა, ჰყავდათ ხუთი შვილი: **თამარი** (1840-1925), **გიორგი** (მთავრის მემკვიდრე; 1846-1918), **ელენე** (1848-1863), **ნინო** (1850-1868), **მიხეილი** (**არზაყანი, ბაბუშა**) (1854-1900). მანამდე კიდევ ჰყავდათ მცირეწლოვანებაში გარდაცვლილნი: **ანა** (1842-1853); **ნიკოლოზი** (1844-?); მერე ეყოლათ **ბარბარე** (1859-1946).

⁶ (გვ. 71) „იმ სახლეულობის სამფლობელოში, რომელთანაც მის ოჯახს გამწვავებული მტრობა ჰქონდა“ – იგულისხმება სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების გამწვავებული ურთიერთობა სამურზაყანოს გამო – XIX ს. დასაწყისში ხელისუფლებამ სამურზაყანო დადიანებს მიაკუთვნა, 1840 წელს კი დადიანებსაც ჩამოართვეს და იქ უშუალო რუსული მმართველობა დაამყარა (ჯვანაშია 1988: 8).

საკითხის გარშემო იხ.: აქვე – ნ. მურავიოვის შენიშვნა (გვ. 72); აგრეთვე, ეკატერინე დადიანის 1854 წლის 8 ნოემბრის წერილი კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ ნიკოლოზ რეადისადმი, რომელშიც სამეგრელოს დედოფალი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ აფხაზეთის მთავარი თავის ოჯახთან და დაახლოებულ პირებთან ერთად სამეგრელოში ცხოვრობს (ჩხეცია 1963³: 140-141, 145).

⁷ (გვ. 72) **„სამეგრელოს მმართველი დედოფლისთვის“** – იგულისხმება ეკატერინე დადიანი (ჭავჭავაძე).

⁸ (გვ. 72) **„მუხრანსკი, რომელსაც ... სამეგრელოს მფლობელთან ახლო ნათესაობა აკავშირებდა“** – იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი ივანე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი), რომლის მეუღლე იყო ნინო ლევან V დადიანის ასული მუხრანბატონი – და სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანისა (შესაბამისად, მული ეკატერინე დადიანისა).

⁹ (გვ. 75) **„...რომლის ერთგულება რუსეთისადმი იოტი-სოდენა ეჭვსაც კი არ იწვევს“** – სავარაუდოდ, დიმი. ყიფიანმა არ იცოდა, რომ ნ. მურავიოვს ეჭვი ეპარებოდა გიორგი დადიანის ერთგულებაში და ხელისუფლებას გიორგი დადიანსა და მის ძმებზე საიდუმლო მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული (ჩხეცია 1963³: 172, 179-180).

¹⁰ (გვ. 77) **„ალექსანდრასა და მისი მამის – თ-დ გიორგი დადიანისთვის, რომელთანაც ალექსანდრა ცხოვრობს...“** – მთავრის მეუღლე ალექსანდრასა და მის მამასთან, გიორგი დადიანთან, პირისპირ შეხვედრა დიმი. ყიფიანს საგანგებოდ ჰქონდა დავალებული. საქმეში დაცულია უცნობი ხელით დაწერილი საიდუმლო ინსტრუქცია (Памятная записка данная Д.С.С. Кипиани), რომელშიც ვკითხულობთ:

„ამჟამად აფხაზეთში მყოფი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის, განზრახულებებისა და მოქმედებების შესახებ მიღებული ცნობები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ერთნი მას ჩვენს

საწინააღმდეგო მოქმედებებსა და ლალატში ადანაშაულებენ, მაშინ, როცა სხვები ფიქრობენ – ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებსო. რათა დავამშვიდოთ მთავრის მეუღლე და მთელი მისი ოჯახი, გვევლება, რომ სამეგრელოში ყოფნისას ინახულოთ როგორც მთავარ შარვაშიძის სიმამრი, თავადი გიორგი დადიანი, ასევე წარუდგეთ მთავრის მეუღლეს, ალექსანდრა შარვაშიძეს; ამასთანავე, მოიპოვოთ სანდო ცნობები მთავრის მეუღლისა და მისი მდგომარეობის შესახებ. – საუბარი მთავრის მეუღლესა და მის მამასთან უნდა ჩატარდეს უალრესი სიფრთხილით. კითხვები თავიდან უნდა იყოს მარტივი, კერძოდ – რა იციან მიხეილის შესახებ? მთავრის მეუღლე ალექსანდრას პასუხმა და შემდეგ თქვენ მიერ დასმულმა შესაბამისმა კითხვებმა ადვილად უნდა დაგანახვოთ: როგორ უყურებს იგი მეუღლის აფხაზეთში ყოფნის ამბავს, სჭირდება თუ არა რაიმე დახმარება, სურს თუ არა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ვთქვათ, სამეგრელოდან იმერეთში ან თბილისში, თუ არავითარ შემთხვევაში არ სურს სამეგრელოს დატოვება? მთავრის მეუღლე ალექსანდრას თითოეულ პასუხსა თუ შეფასებას უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება და შემდეგ მთელი საუბრის შინაარსი მომხსენდეს მე“ (სეა. ფონდი ვ. აღნ. 2. საქ. №725. ფ. 82-83).

¹¹ (გვ. 77) „**მთავარსარდლის სურვილით დაბრუნდა**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ ნიკოლოზ მურავიოვი, რომელიც „ყირიმის ომში“ კავკასიის ფრონტს მთავარსარდლობდა.

¹² (გვ. 78) „**იმავე მიზნით მსურს შევხვედე მამა მაჭავარიანს**“ – ოქუმის ეკლესიის მღვდელი და სამურზაყანოს ბლალოჩინი დავით მაჭავარიანი ეგზარქოს ისიდორესადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილებში ეჭვებს გამოთქვამდა აფხაზეთში დაბრუნებული მიხეილ შარვაშიძის მოქმედებების გამო, თუმცა დაბეჯითებით ვერ ამბობდა – ლალატობდა თუ არა მთავარი რუსეთს (ჩხეტია 1963: 181-182, 185-186).

¹³ (გვ. 78) „**მასთან ერთად გაემგზავრა აფხაზეთში და**

ჟუან მარტო დაბრუნდა“ – გრიგოლ შარვაშიძე ამტკიცებდა, მიხეილ შარვაშიძე რუსეთს ლალატობსო და ამის შესახებ გენერალ კოცებუხსა და ივანე მუხრანბატონს (მუხრანსკის) აწვდიდა ცნობებს (ჩხეტია 1963: 152-154, 165).

¹⁴ (გვ. 80) „**ორპირში, ანუ ცხენისწყლისპირას...**“ – იგულისხმება სოფელი **ქვიშანჭალა** (აბაშასთან), რომელსაც ადრე ორპირი ერქვა (ქსე 1986: 523).

¹⁵ (გვ. 82) „**...ან სორტაიოანეში**“ – იგულისხმება სოფელი **სორტა** (სენაკთან). **სორტაიოანეს** შესახებ კ. ბოროზდინს უწერია: „1854 წელს ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში დაბანაკებული ჯარების სარდლად დანიშნულ იქმნა გენერალ-მაიორი, თავადი ივანე [იოანე] კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი... მუხრან-ბატონის აზრით, ბრძოლის ასპარეზად უნდა გამხდარიყო სამი ადგილი: ჩრდილოეთიდან – მდ. ინგური; სამხრეთიდან – მდინარე სუფსა; დასავლეთიდან – ზღვის ნაპირი. მტერი თუ შემოგვესია, ამ სამში ერთის ადგილიდან უნდა შემოგვესიოსო, ან ორიდან, ან სამსავე ადგილიდან ერთადო. თან იმის შიშიც უნდა გვექონდეს, რომ იმათი ჯარი, უეჭველია, ჩვენზე ძლიერი იქნებაო. ამ მოსაზრებით გურული რაზმი მუხრან-ბატონმა ისე გაანაწილა, რომ სამეგრელოს შუა-გულში, სოფ. სორტაში, უნდა მდგარიყო მთავარი რეზერვი, რომელიც საჭიროების დროს ან ერთს მიეშველებოდა, ან მეორეს, ან ორსავე ერთად, ან, თუ მტერი სორტას დაესხმოდა თავს, მაშინ ორგანვე დაყენებულს ჯარს გარს შემოიკრებდა და ისე მიეგებებოდა მტერს. მუხრან-ბატონის რჩევით, დედოფალი [ეკატერინე დადიანი] ჯარის მთავარ ბანაკის მახლობლად დაბინავდა, სოფელ ქვაშხორში, ერთის თავის ნათესავის, კნეინა მარიამ ნიკოლოზ დადიანის ასულის შარვაშიძის, სახლში. ჯარი მდ. ტეხურის პირას იყო დაბანაკებული, სოფ. სორტაზე მიკრულ მინდორზე, დედოფლის ბინიდან სამს ვერსზე. თვით ბანაკს „სორტიანი“ დაარქვეს, სიტყვების „სორტა“ და მუხრან-ბატონის სახელ „იოანეს“ ერთად შეხამებისაგან“ (ბოროზდინი 1934: 10-11).

¹⁶ (გვ. 84) „**ვასილ იოსების ძესთან...**“ – იგულისხმება ვასილ იოსების ძე (Осипович) ბებუთოვი.

¹⁷ (გვ. 85) „**სოხუმის მუშირის დაძახილზე...**“ – „**მუშირი**“ (თურქ.): „პირველი კლასის თურქი ფაშების ტიტული, შეესაბამება მარშლის წოდებას“ (ბროკჰაუზი-ეფრონი 1897: 253).

¹⁸ (გვ. 86) „**ვინაიდან, იქაური აღზრდიდან გამომდინარე, ჩერქეზთა შორის სახელი და პირადი კავშირები ჰქონდა...**“ – ტრადიციის მიხედვით, მიხეილ შარვაშიძე აღზარდა მამამძუძემ, უბიხების მეთაურმა ჰაჯი ისმაილ დაგუმოყვა ბარზეგმა, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი არა მარტო უბიხთა, არამედ ჩერქეზთა შორისაც. სხვათა შორის, მიხეილ შარვაშიძე, გარდა ქართული, აფხაზური, მეგრული, რუსული, თურქული ენებისა, უბიხურსა და ჩერქეზულსაც ფლობდა (ჯანაშია 1988: 29-30).

¹⁹ (გვ. 88) „**მილიციის რაზმები**“ – *მილიციის* (ლათ. militia – მხედრობა) შესახებ იხ. აქვე, გვ. 427.

²⁰ (გვ. 90) „**თ-დ გიორგი დადიანის...**“ – ასეა შ. ჩხეტიას პუბლიკაციაში (ჩხეტია 1963^ა: 214), თუმცა ეს ლაფსუს კალამია. დედანშია: **გრიგოლ** დადიანი (ლიტერატურაში „კოლხიდელის“ სახელით ცნობილი გენერალი).

²¹ (გვ. 90) „**იმედი მაქუს, აქ ჯარი ვერ შეკრიფოს**“ – ეს სიტყვები ტექსტში ქართულ ენაზეა.

²² (გვ. 91) „**თქვენ აღექსი პეტროვიჩის აღზრდილი ხართ**“ – აქ უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მთავარმართებელი (1816-1827) აღექსი პეტრეს ძე ერმოლოვი, რომელმაც აფხაზეთის მთავარ დიმიტრი (ომარ-ბეი) შარვაშიძის გარდაცვალების (1822 წ.) შემდეგ განმსაზღვრელი როლი შეასრულა სამთავრო ტახტზე მიხეილ შარვაშიძის ასვლაში [1820-იან წლებში უკვე მთავრად გამოცხადებული მიხეილ შარვაშიძე ერთხანს თბილისში ცხოვრობდა (ჯანაშია 1988: 31) და უდავოდ ექნებოდა მთავარმართებელთან ურთიერთობა. ა. ერმოლოვის 1823 წლის 17 მაისის წერილი, რომლითაც მთავარმართებელი მიხეილ შარვაშიძეს მისი გამთავრების

შესახებ იმპერატორ ალექსანდრე I-ის გადაწყვეტილებას აცნობებს, იხ. აქტები 1874: 663-664].

²³ (გვ. 91) „**აფხაზეთში მიხეილმა წაასწრო ერთ ხანს**“ – იგულისხმება იბრაჰიმ-ხანი, „კავკასიის ომებში“ შამილის მესამე ნაიბის, მაჰმად-ამინის, თანამოაზრე და თანამებრძოლი.

²⁴ (გვ. 92) „**ასლან-ბეის შვილის განდევნა**“ – ასლან-ბეი შარვაშიძის შვილის სახელი და ზოგადად მასთან დაკავშირებული ცნობები ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებსა და ლიტერატურაში ვერ ვნახეთ. ვერ უნახავს იგი ვერც იური ჩიქოვანს (ჩიქოვანი 2007: 40), რომელსაც შარვაშიძეთა გენეალოგიური საკითხები სკრუპულოზურად აქვს შესწავლილი.

²⁵ (გვ. 92) „**დიმიტრი შარვაშიძის დედა**“ – ი. ჩიქოვანის ვარაუდით, დიმიტრი (სეით-ბეი) შარვაშიძის დედა იყო **ტატა ნარჩოუს ასული ინალ-იფა (ინალიშვილი)** (ჩიქოვანი 2007: 50).

²⁶ (გვ. 96) „**ხელმწიფის მტრების დასამარცხებლად ლესავს**“ – წინადადების გასწვრივ, აშიაზე, უცნობი ხელით გვიანდელი მინაწერია: „Отточил. 1866 год“ [„გალესა. 1866 წელი“]. იგულისხმება 1866 წლის ივლის-აგვისტოს მოვლენები, როცა აფხაზები აჯანყდნენ რუსული მმართველობის წინააღმდეგ („ლიხნის აჯანყება“), მოითხოვეს სამთავროს აღდგენა და მთავრად მიხეილ შარვაშიძის მემკვიდრის, გიორგი შარვაშიძის, დამტკიცება. ლიხნში, სადაც სისხლის ღვრა დაიწყო, აჯანყებულებმა გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს, ერთგულება შეჰფიცეს, სამთავრო დროშა აღმართეს და სოხუმისკენ დაიძრნენ. ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ჩახშობა, ხოლო მეთაურთა წინააღმდეგ რეპრესიები განახორციელა (დახვრეტა, გაცემბირება...); აფხაზ მთავართა ლიხნის რეზიდენცია გადანვეს, გიორგი შარვაშიძეს კი ნოდებრივი პატივი აჰყარეს და კავკასიაში დაბრუნების უფლების აღკვეთით რუსეთში (ორენბურგში) გადაასახლეს

(საკითხის შესახებ, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯანაშია 1988: 14-16; ძიძარია 1955; სახოკია 1985: 394-397). ასე რომ, აქ სიტყვას „გალესა“ ირონიული დატვირთვა აქვს, რადგანაც თავისი „ხანჯალი“ გიორგი შარვაშიძემ „ხელმწიფის მტრების“ წინააღმდეგ კი არ გამოიყენა, არამედ – ხელმწიფის წინააღმდეგ აღმართა.

²⁷ (გვ. 101) „ასეთი მტკიცებულებებიდან უკანასკნელი ... ვ. ი. ბებუთოვმა ივნისში მიიღო“ – „[1855 წლის] ივნისში“ ვასილ ბებუთოვმა მიხეილ შარვაშიძისგან ორი წერილი მიიღო. პირველ, 7 ივნისის, წერილში მთავარი ვ. ბებუთოვს ატყობინებს: ვინაიდან ენგურს გადაღმა, სამეგრელოში, არაფრად ვიქეცი, აფხაზეთში დავბრუნდი და აქ ხელმწიფე იმპერატორის სასარგებლოდ უნდა ვიმოქმედო (ჩხეცია 1963: 148), ხოლო მეორე, 16 ივნისის, წერილით მიხეილ შარვაშიძე სოუქსუდან (ლიხნიდან) მიმართავს ვ. ბებუთოვს:

„თქვენო ბრწყინვალე ბავ
კნიაზო ვასილ იოსებჩი!

ამას წინეთ მოგართვით მოკლედ რაოდენნიმე ამბავნი. შემდგომ ამისა მესამეს დღეს გეახელ ბზუფუს, სადაც ჯიქისა და ჩერგეზის ჯარი მომავალნი სოხუმს შემხვდნენ. ზოგნი გზაზედ და ზოგთა გამომიარეს ჩემდა სანახავად. რაც შესაძლო იყო ჩემგან, ვიმეცადინე, რათა უთან-ხმობა შემომეტანა მუშირისა და ამათ შორის. –

ხსენებულნი ჯარებნი ნავიდნენ სოხუმს მოსალოდებლად მუშირისა, რომელიც იყო წარსული ანაფამდის, სადაც შეჰკრიბა პირუელ ჯიქეთი, უბიხი, შაფსული და აბაზახლები. გამოუცხადა, რომა აბაზახლები წარსულ-იყვნენ ყარაჩისკენ და სხუები ერთობით ჩვენკენ და მასთან დიდი პოლიტიკითა და საჩუქრით მიიღო ყუელანი და ერთპირად გამოუცხადეს თანხმობა მისის ბრძანებისა. –

მოხარული მუშირი და მობრუნებული მოვიდა სოხუმს,

მეორე დღეს მიიღო თავ თავისი კაცები ხალისად, რადგან მისი ბრძანება მსწრაფლ აღასრულეს, შემდგომ მუსაიფით გავიდნენ და მოციქული გამოუგზავნეს, რომ ამ დროს ჯარი-ანობა არ შაუძლიანთ. **ერთი** მიზეზი, რომ სიცხეებმა მოაწია და დახაშმავსთ, **მეორე** მეტის მეტი შორეა თავიანთის სამშობლო-ქუეყნიდან, რომ მკვდარისა და დაჭრილის წაღება არ შაუძლიანთ. ამ მიზეზით ვერ წავალთო.

გაიკვირვა მუშირმან მათი ლაპარაკი და უთხრა, რომ აგრე უცებ რამ გამოგცუალათ გ[ი]აურის ფული თუ არ მიიღეთო ან თუ გ[ი]აური თუ არა ხართ, უნდა წამოხვიდეთო. ეს სიტყუები იმჯავრეს და მათი ბაირაღები ააგლიჯეს და წავიდნენ და სხვანი შორებულნი მცხოვრებნი მათნი, რომელნიც მოდიოდნენ, გზითგან დაბრუნდნენ, რადგან ესენი შაიყარნენ გზაზედ, სარჯელი ჩემი უქმათ არ დარჩენილა. ანიც იმედი მაქუს აღვასრულო სურვილი წამესტნიკისა. – რომელიც ამას წინეთ წაიყუანეს მილიციები, მობრუნდნენ; გავათავებ მოქმედებასა ჩემსა და მოგახსენებთ წერილით. იმედი მაქუს, რომა გურიის ატრიადითგან ფარული იქმნება მოწერილობა ჩემი, სანამ გავათავებდე საქმესა. –

ვჰგებ მარად თქუენი ბრწყინვალეების
მორჩილი მოსამსახურე

მიხაილ შარვაშიძე

16 ივნისს 1855 წელსა

ს: სოუქსუ“.

[ჩხეტია 1963^ა: 163-164; ჯანაშია 1988: 33-34; ხელნაწერი ავტოგრაფია. ვიმონებთ დედნიდან (სეა. ფონდი 3. აღნ. 2. ფ. 39-40); აზრის უკეთ გასაგებად შეგვაქვს რამდენიმე აუცილებელი პუნქტუაციური ცვლილება].

²⁸ (გვ. 106) საქმეში დევს წერილის დედანი:

„საყვარელო ალექსანდრა

გრიგოლ შარვაშიძე და ქირთ ტაგუ [ე. ი. ქართველი ტაგუ

– ჯანაშია 1988: 34] გამომიგზავნია ვითომც შენი და ბავშვე-
ბის წამოსაყვანათ აქეთა და არამც არ დაუჯერო იმათ და
არ წამოხვიდე. ეს არავინ გაიგოს, რამეთნიც ხანს შაგეძლოს
შეიქციე და მამა შენი როცა მოვა, თვითონ მიხვტება, ეს წიგნი
უჩვენე და რავარც სჯობდეს, იქს. გიორგი შენთან მოაყვა-
ნინე, ლეჩხუმს არ წაიყვანონ. ბაბუშა ჩკოტუებს გამოატანე,
გულ ნაკლულათ არიან, გაზდილი წაგვართვიო. მე მალე
ვერ მოვალ, მაგრამე ჩემთვის ნუ სწუხხარ, პატარა გიორგი
შეგიქცევს.

შენი მიხაილ შარვაშიძე

18 მაისს 1855 წელსა

ოჩამჩირით“

[ჩხეტია 1963^ა: 146; ჯანაშია 1988: 34-35; კონვერტის
ფორმით დაკეცილ-დალუქული და ბეჭედდასმულია მთავრის
მიერ. მიხეილის ხელითვეა დაწერილი მისამართი: „აფხაზეთ-
ის მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულს. ჭკადუაშს. საკუ-
თარს ხელს“ (სეა. ფონდი 3. აღნ. 2. საქ. №725. ფ. 121)].

²⁹ (გვ. 108) **„დიმიტრი შარვაშიძე დაქორწინებული იყო
ან განსვენებული დავით დადიანის ღვიძლ დაზე...“** – დიმ-
იტრი (სეთ-ბეი) შარვაშიძე დაქორწინებული იყო სამეგრე-
ლოს მთავარ დავით დადიანის დაზე, ეკატერინე (პუპი) ლე-
ვან V დადიანის ასულზე, რომელიც დიმ. ყიფიანის საიდუმლო
მისიის დროს უკვე გარდაცვლილი იყო (1849 წ.). რაც შეეხება
ივანე მუხრანბატონის (მუხრანსკის) მეუღლეს, მის შესახებ
იხ. აქვე, კომენტ. 8.

³⁰ (გვ. 108) **„შიკრიკი არ გამოჩნდა“** – დიმ. ყიფიანმა
გიორგი დადიანისა და მიხეილ შარვაშიძის წერილები მოგ-
ვიანებით, 1855 წლის 1 ნოემბერს, თბილისში მიიღო, რასაც
იგი აღნიშნული წერილების თანდართვით დაუყოვნებლივ
აცნობებს ვ. ბებუთოვს (ყველა წერილი ავტოგრაფია. დიმ.
ყიფიანის მოხსენება ვ. ბებუთოვისადმი რუსულ ენაზე):

I

ფ რ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ
მის ბრწყინვალეობას, თავად ვასილ იოსების ძე ბებუთოვს
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ყიფიანის, მოხსენება
ახლახან ფოსტით მივიღე გიორგი დადიანის 10 ოქტომ-
ბრის ბარათი, რომელსაც ახლავს აფხაზეთის მთავრის, მიხ-
ეილ შარვაშიძის, წერილი (1 ოქტომბრისა). ერთსაც და მე-
ორესაც, თქვენო ბრწყინვალეობავ, ჩემ მიერ შესრულებული
ზუსტი თარგმანითურთ სასწრაფოდ წარმოგიდგენთ, რათა
ისინი დაემატოს ჩემ მიერვე ამა წლის 12 ოქტომბრის თარიღ-
ით შედგენილ და 14 ოქტომბერს წარმოდგენილ საიდუმლო
მოხსენებას.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**
1 ნოემბერი 1855.

თბილისი (სეა. ფონდი 3. აღწ. 2. საქ. №725. ფ. 127).

II

სარწმუნო მეგობარო,

მონყალეო ხელმწიფევი დიმიტრი ივანიჩ!

ერთის გულით მსურველი თქუენის კეთილად წარმატები-
სათვის გაგიცხადებთვე ჩემს უღრმეს სიყვარულსა და პატივ-
ისცემას.

იმედიანი ვშტები თქვენს წინაშე, მომიტევებთ მას, რომ
ესოდენ ხანს ჩემი უმორჩილესი წერილი ვერ გაახელით. არა-
თუ სხვებრ, თვინიერ მისა, რომ მიხაილის წიგნი ახლამდის
არ მიმიღია და მისგამო დამაგვიანდა. ეხლა კი გაახლებთ
ამასთანავე მიხაილის წერილს.

სხვა ანბავები აქეთ ეს გახლავს: ომერ ფაშა სოხუმშიდ
არის გვარიანი ძალის ჯარით; აპირებს მოსლვას ოდიშზედ;
მათმა მენინავე ჯარმა მოაწიეს სამურზაყანოს საზღვრამ-
დისინ; სახელწოდებით გუდავის ჩერქეზნი და აფხაზნი ჯერ
არ წამოყვენენ, და ანბობენ, რომა არც წამოყვებიანო. ჯერ ეს
ანბავი გახლამთ; აწ რა მოხდება, არ ვიცი.

გვიკითხამს შენი კეთილი გონება – გახლავართ მშვიდობით; გარნა მით უმეტეს გვასიამოვნე და თქვენის მშვიდობის ანბავი მოგვანვთინე თქვენის წერილითა.

ვგიებ მარადის უერდგულესისა გრძნობითა
მარად მოსამსახურე მეგობარი თქვენნი
გიორგი ნიკოლოზის ძე კზ. დადიანი

10-ს ოტომბრის 1855 წ.

მინგრელია (ჩხეტია 1963^ა: 199-200).

III

მონყალეო ხელმწიფევე

დიმიტრი ივანიჩ!

წერილი თქვენი მივიღე, რომელმაც გამაკვირვა: თურმე საეჭვო კაცი ვიყავი მე მთავრობის წინაშე, ანუ ეგრე ვეგულვები უმაღლეს მთავრობას. ძვირის მთქმელი ბევრი მყვანან, მაგრამ ხელმწიფის ორგულეებას ჩემზედ მთავრობასთან თუ ვინმე იტყოდა, არ მეგონა. მთქმელს პირს არ დაშვენდებოდა ჩემზედ მაგრე ლაპარაკი მითა, რომა მთავრობა მიცნობდა მეგონა, ვითარცა ერთპირი, პატიოსნების მცველი, ერთგული ხელმწიფე იმპერატორისა ვარ. ესენი, რომელნიც გამოვთქვი, ჭემარიტებს ერწმუნების ყოველნი კეთილშობილნი, ვისაცა ესმის აგრე ჩემი დაბეზლება.

როცა მურავიოვი მოვიდა ზუგდიდს, მაშინ მოვახსენე ყოველი აქაური ვითარება, უსარგებლობა ჩვენის მხრით. მაშინ მოვახსენე ჩემი სამურზაყანოშიდ წამოსვლაც. უარი არ უთქვამს – ცოტა ხანი მოითმინეო და უკეთ შეიტყობო, მიბრძანა. იმ დროსა უმაღლესი რესკრიპტი მივიღე, რომელშიდ სწერიან განახლება ერთგულეებანი ჩემნი, მამასადაამე, გამომეჩინა ერთგულეება ჩემი. რადგან სხვა ღონისძიება არავითარი მქონებია, მისთვის წამოველ აფხაზეთში – ჩემის ღონისძიებით სარგებლობა მექნა და დამემტკიცებინა ერთგულეება ჩემი უმეტესად; ამაზედ მივწერე წამესტინკსა, და ინება მონერა, რომა თვით ყარსს მიდის და ვასილ ბებუთოვთან მიწერა მქონდეს.

კნიაზ ვასილს ორი ქალაღდი მივწერე, პასუხი არა მიმ-
იღია. მაგრამ მუშავობა ჩემი არ დარჩენილა უსარგებლოთ,
რომელსაც ქვეყანა ხედავს და სჩანს, რაც ეს ოთხი თვე მე
ვისარგებლუ: პირველი, ათას ხუთასი რეკურტი უნდა გამოეყ-
ვანათ აფხაზეთში და ნებელს, რომელნიც იყო გამოყვანილი
ასოცამდე; მეორე, ჩერქეზის ჯარი სოხუმიდან მე დავაბრუნე
– უთანხმოება შემოუვიდათ მათ; ჩვენი მილიცია რომელიც
ბათუმსა და ქობულეთს იყო, დავაბრუნეთ. ჩერქეზის რეკურ-
ტი კი არა, მილიციაც ვერ იშოვეს. ამ დრომდის სამურზაყა-
ნოს აგრე დარჩენა ვის უნდა უმაღლონ? მათი რეკურტები თა-
თარში იქნებოდა. თუმც სხვა სარგებლობა ვერ ვქენი, ამდონი
ქრისტიანი აფხაზი და სამურზაყანო გადარჩა გაუთათრებე-
ლი და რეკურტად თათარში ნაუყვანელი.

მე ვგონებდი – მთავრობა დიდი მადლობელი იქნება, და
გამოსაჩენად სამსახურში ჩემი დაჯილდოებას ველოდი. მად-
ლობა ღმერთს! კაცი სანამ ცოცხალია, ყოველს ელოდეს. ხე-
დავ, ბიჭები ყბას მიქცევენ.

ვგიებ მარად თქვენი აღმატებულების
მორჩილი მოსამსახურე
მიხაილ შარვაშიძე

1 ოკტომბერს 1855 წელსა
სოუქსუ (ჩხეტია 1963: 195).

ამიერკავკასიის მხარის მიმოხილვა
ინსტრუქციის პროექტი
(ბვ. 110-167)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი,
საქმე №171. ავტოგრაფი. შავი. უთარილო. ხელმოუწერელი.
რუსულ ენაზე. ფ. 56.

სათაური:

Проект инструкции для обозрения Закавказского края.

ხელნაწერი რვეულადაა აკინძული. იგი ნაწერი და ნას-
წორებია დიმ. ყიფიანის მიერ (გარდა საკარანტინო-საბაჟო
ნაწილისა, რომელიც იპოლიტ დიუკრუასის მიერაა შედგენი-
ლი – იხ. კომენტ. №7).

ტექსტის დასათარიღებელ მონაცემს იძლევა სხვა ხელ-
ნაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „...პროექტის შედგენა მე
დავინყე 18 რიცხვში და დავამთავრე 23-ში“ (ხეც. დიმ. ყი-
ფიანის არქ., საქ. №167, ფ. 6; ეს უკანასკნელი ტექსტი სრუ-
ლად იხ. წინამდებარე ტომში: „სპეციალური განმარტებითი
ბარათი იმ შენიშვნების შესახებ, რომლებიც ინსტრუქციის
შედგენისას ვერ იქნებოდა სახელმძღვანელოდ მიღებული“).
ამ რიცხვს (23 მარტი) ამყარებს ინსტრუქციის ხელნაწერის
პირველი ფურცლის აშიაზე (r) დიმ. ყიფიანისავე მინაწერი:
„Возвр. 23 Марта пополудни“ [„დავაბრ[უნე] 23 მარტს, ნაშუად-
ღევს“]. ამ მონაცემებს აზუსტებს ინსტრუქციის 42-ე პარა-
გრაფის (ფ. 41r) აშიაზე დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი მინაწერი:
„Получ. 25 Марта в 7 ч. вечера“ [„მივიღე 25 მარტს, საღამოს
7 სთ-ზე“]. ასე რომ, დიმ. ყიფიანს ინსტრუქციის ძირითადი
ტექსტი დაუმთავრებია 23 მარტს, შემდეგ დაუმატებია 25
მარტს მიღებული 42-ე პარაგრაფი და ტექსტსაც საბოლოო
სახე ამ დღეს მიუღია. შესაბამისად, დიმ. ყიფიანის წინამდ-
ებარე ტექსტი, ჩვენი აზრით, **1857 წლის 25 მარტით უნდა და-
თარიღდეს.**

ხელნაწერთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი
გარემოების შესახებ სარწმუნო ცნობებს იძლევა ამონაწერი
მთავარმმართველობის საბჭოს 1857 წლის 7 მარტის ჟურ-
ნალიდან (№445) ამიერკავკასიის დანესებულებების რევი-
ზიისთვის ინსტრუქციის შედგენის შესახებ (1857 წ. 14 მარტი.
რუსულ ენაზე. ფ. 2 – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №162). სა-
ბუთის პირველ გვერდზე არის დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული
მინაწერი:

„კომიტეტმა 18 მარტის სხდომაზე ეს საქმე მე დამაკისრა.
ჩემ მიერ შედგენილი პროექტი ინსტრუქციისა საბჭოში შევი-

და 28 მარტს. მოსმენილ იქნა საბჭოზე და წარედგინა მეფის-ნაცვალს (ალ. ბარიატინსკის – თ. ჯ.) 29 მარტს“. შემდეგ დიმ. ყიფიანის ხელითვე ჩამონერილია სია იმ პირებისა, რომლებსაც ინსტრუქციის, როგორც ჩანს, დასრულებული და მოწონებული პროექტი დაეგზავნა: „ბ-ნ საბჭოს წევრებს: ა. მ. ფადეევს, ა. ფ. დესიმონს, თ. ე. კოცებუს, ი. ა. დიუკრუასის, ბარონ ალ. ნიკოლაის, თავად გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა და საბჭოს საქმეთა მმართველ დ. ი. ყიფიანს“.

წინამდებარე პროექტს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დიმ. ყიფიანის მოსაზრება ამიერკავკასიის მხარის რევიზიის შესახებ. ტექსტის სათაურია „Заметка Кипиани“ [„ყიფიანის შენიშვნა“] და მისი ადრესატი, როგორც ჩანს, არის იმ დროს ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი და კავკასიის საფოსტო ნაწილის მმართველი (ამ უკანასკნელ თანამდებობაზე მსახურობდა 1850 წლიდან – იხ. აქტები 1885: XXIII) თედორე კოცებუ (ყოველ შემთხვევაში, ტექსტს დართული აქვს თ. კოცებუს მინაწერი – მისი შეხედულება იმავე საკითხზე, დათარიღებული 1857 წლის 19 იანვრით). ხელნაწერი დიმ ყიფიანის „შენიშვნისა“ დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №161. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ხელმოუწერელი. კოცებუს მინაწერის მიხედვით თარიღდება 1857 წლის იანვრით) და მას აქ სრულად ვიმონწმებთ:

„მეფისნაცვლის წინადადებისა და კომიტეტი* გაკეთებული შენიშვნების საფუძველზე გადავამუშავე სენატის ინსტრუქცია და თავს მოვალედ ვთვლი, მოგახსენოთ ჩემი აზრი ამ საქმის გარშემო.**

* უნდა ვიფიქროთ, აქ იგულისხმება „კავკასიის კომიტეტი“ (იხ. აქვე, გვ. 431).

** დიმ. ყიფიანი „ამ საქმეს“ ინსტრუქციაში უწოდებს „მიმოხილვას“ (Обозрение), მოცემულ „შენიშვნაში“ კი, ისევე როგორც ი. დიუკრუასი ინსტრუქციის მე-40 და 41-ე პარაგრაფებში (იხ. კომენტ. №7) – რევიზიას (Ревизия).

პირველ რიგში, ვეყრდნობი რა საკუთარ გამოცდილებას, გიდასტურებთ, რომ რევიზიას შესაძლოა არაკეთილგანწყობით შეხვდეს ამიერკავკასიის მხარის ჩინოვნიკობა და არავითარ შემთხვევაში – მოსახლეობა. პირიქით, მთავრობა რაც უფრო მეტ მზრუნველობას აგრძნობინებს, მოსახლეობა მით უფრო დარწმუნდება, რომ ბოროტმოქმედება დაუსჯელი არ დარჩება. ვფიქრობ, ხელმძღვანელობას არ გაუჭირდება სწორი არჩევანი გააკეთოს ორ, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო, ინტერესს შორის. ესენია: ინტერესი ჩინოვნიკობისა და ინტერესი ხალხისა. ამგვარ ვითარებაში რაც უფრო საფუძვლიანი და რაც უფრო დეტალური იქნება რევიზია, მით უკეთესი იქნება ხელისუფლებისთვის იმდენად, რამდენადაც უკეთესი იქნება ხალხისთვის. – აქ ბუნებრივად წარმოიშობა კითხვა: რა წესით ჩატარდება რევიზია? – ამ კითხვაზე პასუხი, თავის მხრივ, განსაზღვრავს საკითხს, თუ რამდენად გამართული ან გაუმართავი იქნება თვითონ ინსტრუქცია.

ინსტრუქციის გამართულობისთვის, ვფიქრობ, საჭიროა: ან თითოეულ გუბერნიაში სპეციალურად გაიგზავნოს ცალკე რევიზორი, ან რევიზია ყველა გუბერნიაში რევიზორთა ერთ-მა და იმავე ჯგუფმა ჩაატაროს.

საჭიროა ამ ორი მიდგომის ავკარგიანობის გარკვევა.

პირველ შემთხვევაში რევიზია შეიძლება დასრულდეს **ოთხჯერ** ან **ხუთჯერ** უფრო ადრე, ვიდრე მეორე შემთხვევაში. ეს არის მნიშვნელოვანი, თუმცა ერთადერთი უპირატესობა.*

სამაგიეროდ, ეს გზა მოითხოვს გაცილებით მეტ მატერიალურ საშუალებებს, რევიზორთა და მათ თანმხლებ ჩინოვნიკთა მეტ რაოდენობას. – არც რევიზიის საერთო სურათი იქნება ერთგვაროვანი: რევიზორები ვერ მოილაპარაკებენ

* ამ აზვაცის გასწვრივ არის დიმ. ყიფიანის, როგორც ჩანს, გვიანდელი მინაწერი: „В этом расчёте я промахнулся, сознаюсь“ [„აქ ანგარიშში შევცდი, ვაღიარებ“].

ერთმანეთში და ვერ შეიმუშავებენ ერთიან შეხედულებებს. შესაბამისად, ნაცვლად ამიერკავკასიის მხარეში შექმნილი ვითარების მთლიანი სურათისა, მივიღებთ ცალ-ცალკე აღებული გუბერნიების სურათებს, ერთმანეთისაგან მეტად თუ ნაკლებად განსხვავებულს როგორც ცალკეული დეტალების, ისე ზოგადად მასალის საფუძვლიანად დამუშავების თვალსაზრისითაც. – ინსტრუქცია, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, ვერ მოხსნის ამგვარ უხერხულობებს.

მეორე გზა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, თუმცა შესაძლებლობას იძლევა, შეთანხმებული მიდგომით დადგინდეს მმართველობის ყველა მიმართულების რევიზიის შედეგები და ეს მოგვცემს მხარეში შექმნილი ვითარების ზუსტ, სანდო და დადგენილ საერთო სურათს.

ამ შემთხვევაში ნაცვლად ოთხი ან ხუთი რევიზორისა, საკმარისი იქნება ორი ან სამი რევიზორი და, ნაცვლად მათი თანმხლები 8 ან 10 ჩინოვნიკისა, საკმარისი იქნება 4 ან 5 ჩინოვნიკი.

ამას გარდა, ახლანდელი ინსტრუქცია მათთვის იქნება საკმარისად ნათელი და შესასრულებლადაც – მოსახერხებელი.

[იანვარი. 1857]“

ამიერკავკასიის მხარის მიმოხილვა-რევიზიის შესახებ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივში, გარდა ზემოთ მითითებული საბუთებისა, სხვა მასალაც არის დაცული:

№163 – ბარონ ალ. ნიკოლაის შენიშვნები ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის რევიზიის თაობაზე. ახლავს ავტორის მიწაწერი – დიმ. ყიფიანისადმი მოკლე მიმართვა საქმის შესახებ (1857 წლის 19 მარტი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2).

№164 – თავად გიორგი მუხრანბატონის (მუხრანსკის) შენიშვნები ამიერკავკასიის სასამართლო ნაწილის რევიზიისთვის (1857 წლის 20 მარტი. შავი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2).

№165 – თ. კოცებუს შენიშვნები ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილის სარევიზიოდ ინსტრუქციის მომზადების შესახებ (1857 წლის 22 მარტი. შავი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 6; ნასწორებია დიმ. ყიფიანის მიერ). დართული აქვს საგზაო ყურნალები საფოსტო დანესებულებებისა და საფოსტო სადგურების რევიზიისთვის.

№166 – საკარანტინო-საბაჟო ნაწილის რევიზიასთან დაკავშირებული შენიშვნები ინსტრუქციაში შესატანად (22 მარტი [1857 წ.]. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 2).

№168 – მითითებები სახელმწიფო ქონების ნაწილის რევიზორებისთვის მეფისნაცვლის წინადადებების შესასრულებლად ([1857 წ.]. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 2).

№169 – მითითებები სახელმწიფო ქონების ნაწილის რევიზიისთვის ([1857 წ.]. უცნობი ხელით ნაწერი, დიმ. ყიფიანის ორიოდე არაარსებითი ხასიათის შენიშვნა-მინაწერით. რუსულ ენაზე. ფ. 7).

№170 – მითითებები სახელმწიფო ქონების ნაწილის მართვა-გამგეობის გაუმჯობესებისა და სახაზინო გლეხთა კეთილმოწყობისათვის [სავარაუდოდ 1857 წ.]. უცნობი ხელით ნაწერი. უთარილო. რუსულ ენაზე. ფ. 7).

თვითონ საკითხის (ამიერკავკასიის მხარის მიმოხილვა-რევიზიის) ისტორიის შესახებ ორიოდე სიტყვით შეიძლება ითქვას შემდეგი:

კავკასიიდან მიხილ ვორონცოვის წასვლის შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალი იყო წინამორბედის როგორც მმართველობითი, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართ მტრულად განწყობილი ნიკოლოზ მურავიოვი (1854-1856). ნ. მურავიოვი მმართველობითი სისტემის საფუძვლიან გარდაქმნას, კერძოდ, კავკასიაში ჯერ კიდევ ერმოლოვისდროინდელი ნახევრად გასამხედროებული მმართველობის აღდგენას, აპირებდა, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია და 1856 წლის ივლისში ალექსანდრე II-მ იგი გაიწვია კავკასიიდან. 1856 წლის ივლისიდან მეფისნაცვლის თანამდებობაზე ნ. მურავიოვი

შეცვალა ალ. ბარიატინსკიმ, რომელსაც სურდა მიხ. ვორონცოვის მიერ დამკვიდრებული ადმინისტრაციულ-მმართველობითი ავტონომიის გაფართოება და მიაღწია კიდევაც ამას. ალ. ბარიატინსკიმ ფორსირებულად დაიწყო მხარის მმართველობითი სისტემის მიზანმიმართული რეორგანიზაცია (ალ. ბარიატინსკის მიერ ჩატარებულ რეფორმებზე იხ. ჩხეტია 1944: 67-80; ვანიშვილი 1989: 22-25; ორჯონიკიძე 1992: 247-257; ვრცლად – ზისერმანი 1891: 5-99). დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი წინამდებარე პროექტი ინსტრუქციისა ამ ფართო რეფორმისტული პროცესის ნაწილია.

¹ (გვ. 115) **„გაიცემა თუ არა ხელმძღვანელობის მიერ გუბერნიის მიმოხილვასთან დაკავშირებული სათანადო განკარგულებები...“** – ამ პუნქტს უცნობი ხელით მიწერილი აქვს შენიშვნა (რუსულ ენაზე): „ვის მიერ? არცთუ გასაგებია“.

² (გვ. 115) **„...ნაცვლად სათავადაზნაურო მამულებზე დანესებული კონკურსებისა“ – „კონკურსი“** აქ ნიშნავს სამართლებრივ წესებს, რომლებითაც უნდა დაკმაყოფილებულიყო კრედიტორის პრეტენზია მოვალის მიმართ („კონკურსის“ რაობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი 1895: 3-9).

³ (გვ. 118) **„...სახაზინო აფთიაქების პონდერაცია?“ – „პონდერაცია“** – აქ: სავაჭრო ბალანსი.

⁴ (გვ. 118) ხელნაწერში ასეა – მე-10 პუნქტს მოსდევს მე-12. ტექსტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შავია, დაწერილი და დანომრილია მეღნიტ, ხოლო შემდეგ ფანქრითაა გადანომრილი და, შესაძლებელია, გადანომვრისას მექანიკური შეცდომა იყოს დაშვებული.

⁵ (გვ. 133) **„ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დანესებულება“** – იგივეა, რაც „პრიკაზი“ („პრიკაზზე“ იხ. აქვე, გვ. 429).

⁶ (გვ. 146) – **„სადგურების რევიზიისთვის საჭირო საგზაო ყურნალის ფორმა...“** – ეს და ზემოხსენებული ფორმა

საფოსტო **დანესებულებების** რევიზიისთვის იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №165, ფ. 7-10.

⁷(გვ. 148) აქედან რამდენიმე ფურცელი (39r-40r; §წ 40, 41) ნაწერია სხვა ხელით, გვერდით კი (აშიაზე, ფ. 39r) ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველის, ი. დიუკრუასის (ინიციალებით – И. Д.), მინაწერია (რუსულ ენაზე): „ჩამოვწერე რა სახელდახელოდ საკარანტინო-საბაჟო ნაწილთან დაკავშირებული კითხვები, ამ კითხვებს საჩქაროდ ვუგზავნი დიმიტრი ივანეს ძეს (ყიფიანს – თ. ჯ.)“; 42-ე პარაგრაფიდან (ფ. 40r) კი ტექსტი ისევ დიმ. ყიფიანის ხელითაა ნაწერი.

⁸(გვ. 151) „...**მხოლოდ საქართველოს**“ – იგულისხმება აღმოსავლეთი საქართველო (თბილისის გუბერნია).

⁹(გვ. 151) „...**მააფების**“ – ფენა აზერბაიჯანის სახანოში, რომლის წარმომადგენლები სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გადასახადებისა და ბეგრისგან იყვნენ გათავისუფლებულნი (მააფების შესახებ იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი 1896: 281).

¹⁰(გვ. 152) „**ქუთაისის გუბერნიის ახალციხის მაზრასა...**“ – ახალციხის მაზრა, რომელიც 1840 წელს შეიქმნა, ჯერ საქართველო-იმერეთის, შემდეგ კი ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა და მხოლოდ 1867 წელს გადაეცა თბილისის გუბერნიას.

¹¹(გვ. 152) „**თბილისის მოქალაქეებისა**“ – თბილისის მოქალაქეებად „ინოვებოდნენ მხოლოდ მკვიდრი თბილისელები, ძირითადად სამეფო-სახასო ვაჭრები და ხელოსნები, რომლებსაც ქალაქში ჰქონდათ უძრავ-მოძრავი ქონება და ამ ქონების ფლობის საფუძველზე ქალაქის დავთარში იყვნენ აღრიცხულნი“ (თბილისის ისტორია 1990: 370; „თბილისის მოქალაქეების“ უფლებათა გარკვევის საკითხში ალ. ბარიატინსკის დამსახურების შესახებ იხ. ჩხეტია 1944: 76-77).

¹²(გვ. 153) „**თიულისტებისა და მულკადარების შესახებ...**“ – „**თიულისტი**“, ფენა (მუსლიმი ჩინოვნიკობა, სომეხი მელიქები), აგრეთვე, ეჩმიაძინის მონასტერი, რომლებზეც გლეხობის მიერ ხაზინაში შეტანილი გადასახადი (მოსავლის 1/5) ნაწილდებოდა (ბროკჰაუზი-ეფრონი 1901³: 325); „**მულკა-**

დარი“, პირი, რომელიც მიწას მუდმივი იჯარის წესით ფლობდა. მფლობელობის ეს ფორმა ძირითადად გავრცელებული იყო ერევნის გუბერნიაში, აგრეთვე, ელიზავეტპოლის, ბაქოს გუბერნიებსა და თბილისის მაზრის ნაწილზე (ბროკჰაუზი-ეფრონი 1897: 363).

¹³ (გვ. 153) **„კავკასიის კომიტეტის მიერ მიღებული...“** – „კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 431

¹⁴ (გვ. 155) **„მიმონერა იმერეთისა და გურიის თავადთა ... ქონებრივი უფლებების განსაზღვრის შესახებ“** – ამ მუხლის გასწვრივ, აშიაზე, უცნობი ხელით მინერილია (რუსულ ენაზე): „ვფიქრობ, ეს საკითხი უნდა გადაიდოს რევიზიამდე“. იქვე დიმ. ყიფიანის ხელით მინერილია: „ამოღებულ იქნეს!“

¹⁵ (გვ. 157) პარაგრაფის გასწვრივ, აშიაზე, დიმ. ყიფიანის ხელით მინერილია: „46-ე და 47-ე პარაგრაფები და ნაწილობრივ 48-ე პარაგრაფი, კერძოდ, ის პუნქტები, რომლებიც წარმოებს ეხება, საგანგებო საიდუმლო დანართებისა და ინსტრუქციების სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი“.

¹⁶ (გვ. 161) **„იხ. ქვემოთ შესაბამისი §“** – იგულისხმება § 56.

სპეციალური განმარტებითი ბარათი
იმ შენიშვნების შესახებ,
რომლებიც ინსტრუქციის შედგენისას ვერ იქნებოდა
სახელმძღვანელოდ მიღებული
(გვ. 168-173)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №167. შავი. უცნობი ხელით ნაწერი, ხელმოწერილი დიმ. ყიფიანის მიერ. უთარილო. რუსულ ენაზე. ფ. 6.

სათაური:

Особая записка о замечаниях, которые не могли быть приняты в руководство при составлении инструкции.

ხელმოწერა:

Действительный Статский Советник **Кипиани** [ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**]

ტექსტი დაწერილი უნდა იყოს **1857 წლის 23 მარტიდან** (როცა დიმ. ყიფიანმა დაასრულა ინსტრუქციის **ძირითადი** ნაწილი – იხ. აქვე, გვ. 458), **იმავე წლის 29 მარტამდე** (როცა ინსტრუქცია მთავარმმართველობის საბჭოში განხილვის შემდეგ მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის წარედგინა – იხ. აქვე, გვ. 451; თვითონ „ინსტრუქცია“ იხ. აქვე, გვ. 110-167).

¹(გვ. 168) „**მეფისნაცვალს მოახსენონ...**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ **ალექსანდრე ბარიატინსკი**.

²(გვ. 173) „**...ანდრეი მიხეილის ძემ**“ – იგულისხმება მეფისნაცვლის საბჭოს წევრი **ანდრეი ფადეევი**.

³(გვ. 173) „**დავინყე 18 რიცხვში და დავამთავრე 23-ში**“ – საინტერესოა, რომ უკიდურესად შეზღუდული ვადების გამო ტექსტის მინაწერებში აღნიშნულია ამა თუ იმ ნაწილთან დაკავშირებული არა მარტო თვე და რიცხვი, არამედ – დღის მონაკვეთიც: 39-ე პარაგრაფს (ფ. 38v) დიმ. ყიფიანის ხელით მიწერილი აქვს: „22 Марта 5 ч. вечер“ [„22 მარტი. 5 სთ. საღამომ“]; პირველი ფურცლის აშიაზე (r) მისივე მინაწერია: „Возвр. 23 Марта пополудни“ [„დავაბრ[უნე] 23 მარტს, ნაშუადღევს“]; 42-ე პარაგრაფის (ფ. 41r) აშიაზე დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი მინაწერია: „Получ. 25 Марта в 7 ч. вечера“ [„მივიღე 25 მარტს, საღამოს 7 სთ.“].

ამიერკავკასიაში სავაჭრო კატეგორიების

შემოღების შესახებ

(გვ. 174-179)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №181. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4.

სათაური: По вопросу о введении в Закавказском крае торговых разрядов.

თარიღი: 6 ივნისი. 1857.

ხელმოწერა: Действительный Статский Советник **Кипиани** [ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**].

ამიერკავკასიაში სავაჭრო კატეგორიების შემოღება შედიოდა ალ. ბარიატინსკის რეფორმისტულ გეგმებში (იხ. აქვე, გვ. 455). დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი ნაწილია ამ პროცესისა.

¹ (გვ. 174) „**მისი აღმატებულების, იპოლიტ ალექსანდრეს ძის...**“ – იგულისხმება კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი და ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჭო ოლქის მმართველი იპოლიტ ალექსანდრეს ძე დიუკრუასი.

მეფისნაცვლის საბჭოს შესახებ (გვ. 180-184)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი, საქმე №202. ავტოგრაფი. დაუსათაურებელი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

თარიღი: 12 მარტი. 1862.

ხელმოწერა: Член совета **Кипиани** (საბჭოს წევრი **ყიფიანი**).

ალ. ბარიატინსკის მიერ ჩატარებული მმართველობითი რეფორმა-რეორგანიზაციის (იხ. აქვე, გვ. 455) შემადგენელი ნაწილი იყო მთავარმმართველობის საბჭოს გადაკეთება მეფისნაცვლის საბჭოდ (1857 წ.), რამაც დააქვეითა საბჭოს მნიშვნელობა, გამოაცალა მას აღმასრულებელი ფუნქცია და იგი მთლიანად სათათბირო ორგანოდ აქცია. 1860-იანი წწ. დასაწყისში გაიმართა მსჯელობა კავკასიის მმართველობით სისტემაში მეფისნაცვლის საბჭოს ადგილისა და ფუნქციის შესახებ. დიმ. ყიფიანის ეს ტექსტი ამ პროცესის ნაწილია (საკითხის შესახებ იხ.: ორჯონიკიძე 1992: 250-251).

დასათაურება ჩვენია.

¹ (გვ. 180) „თუ ვიტყვით, რომ საჭირონი ვართ“ – დიმ. ყიფიანი 1857 წლის 9 აპრილიდან თვითონ იყო მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (ყიფიანი 29: 105).

² (გვ. 182) „მეფისნაცვლის თანამდებობრივ უფლებამოსილებაში ყველა სამინისტროს უფლება-მოვალეობებია თავმოყრილი“ – სამეფისნაცვლო, როგორც მმართველობის ფორმა, მთავარმართველობისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მეფისნაცვალს დამოუკიდებლობის შეუდარებლად მაღალი ხარისხი ჰქონდა მთავარმართველთან შედარებით. თავის დროზე (1844 წ.) პირველმა მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა ნიკოლოზ I-სგან მონიჭებული უფლებით შეძლო პირდაპირ იმპერატორს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნა (მიხ. ვორონცოვის მიერ მოპოვებული უფლებებისა და შედეგების შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ.: ჯოლოგუა 2011: 121-145). მიხ. ვორონცოვის თანამდებობრივი უფლებამოსილება კავკასიაში აღემატებოდა იმპერიის სამინისტროთა უფლებამოსილებას: „მინისტრებსა და სამინისტროებს აკრძალული ჰქონდათ კავკასიის საქმეებში ჩარევა უშუალოდ. მინისტრთა და სამინისტროების განკარგულებანი, რომელთაც ძალა ჰქონდა მთელს იმპერიაში, სავალდებულო არ იყო კავკასიისათვის, თუ ამის თანახმა არ იქნებოდა ვორონცოვი. მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს შეეძლო შეემონებინა და რევიზია მოეხდინა იმ საქმეებისა, რომელნიც ფულის შემოსავალ-გასავალსა და საერთოდ მატერიალურ ანგარიშს შეეხებოდა. სხვა მხრივ ვორონცოვი მხოლოდ მეფეს ცნობდა თავის უფროსად და მის წინაშე იყო პასუხისმგებელი თავის მოქმედებისათვის“ (ჩხეტია 1944: 58).

აღ. ბარიატინსკიმ, რომელსაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე II-სთან და მისი განუსაზღვრელი ნდობითაც სარგებლობდა, კიდევ უფრო გააფართოვა

კავკასიის მეფისნაცვლის უფლებები: „[ალ. ბარიატინსკიმ] პეტერბურგში ვორონცოვზე მეტი უფლებები და, შეიძლება ითქვას, სრული დამოუკიდებლობა მიიღო. მან უარი თქვა რუსეთის უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებთან [მათ შორის, ფინანსთა სამინისტროსთან (იხ. ჩხეთია 1944: 68) – თ. ჯ.] თანამშრომლობაზე და გადაწყვიტა თბილისში დაეარსებინა კანონმდებლობითი, უმაღლესი ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები, რის შემდეგაც მხარის მმართველობა ძირფესვიანად იცვლებოდა“ (ორჯონიკიძე 1992: 248). რაც მთავარია, კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა თავის ამ განზრახულებას მიაღწია კიდევაც – იგი კავკასიას ერთპიროვნულად განაგებდა და თავის გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში უშუალოდ და პირდაპირ მხოლოდ იმპერატორ ალექსანდრე II-ს ექვემდებარებოდა (ვრცლად იხ. ზისერმანი 1891: 5-99).

³(გვ. 184) „...საბჭოს თავმჯდომარემ უნდა იმსჯელოს“ – წინამდებარე ტექსტის დაწერის დროს მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარე იყო გრიგოლ ორბელიანი (ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1859 წლის თებერვალში – ცაიშვილი 1947: 353).

რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი

ქართული ენის პროგრამა შუაგენილი
ყოფიანობის მიერ (გვ. 187-188)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №238. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 3.

სათაური:

В комитет начертания учебных пособий [სახელმძღვანელოების შემდგენელ კომიტეტს].

თარიღი: თებერვალი. 1852.

ხელმოწერა:

Член комитета начертания учебных пособий, коллежский советник **Кипиани** [სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის წევრი, კოლეჯის მრჩეველი **ყიფიანი**].

1851 წლის დეკემბერში კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებულ „სახელმძღვანელოების შემდგენელ კომიტეტში“ ჩამოყალიბდა ქართული ენის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ დიმ. ყიფიანი დაინიშნა. განყოფილების დანიშნულება იყო თბილისის გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ მომზადებული პროგრამებისა და კონსპექტური კურსების განხილვა-შეფასება, ახალშექმნილი სახელმძღვანელოების, სასკოლო ქრესტომათიების, სასწავლებლებში გამოსაყენებელი სხვადასხვა ტიპის ლიტერატურის რეცენზირება, სამაზრო სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ქართული წიგნებით დაკომპლექტებისთვის საჭირო სიების შედგენა და სხვ. [ქართული ენის განყოფილების, მის მუშაობაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის, აგრეთვე, წინამდებარე ტექსტში მითითებულ (ბიბლიოთეკებისთვის განკუთვნილ) თხზულებათა რაობის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2002: 190-197]. ზ. ყორღანოვის მიერ შედგენილი პროგრამის რეცენზია, ისევე როგორც ტომში შესული რეცენზიების (1850-იანი წწ.) უმეტესობა, ამსახველია ამ მიმართულებით დიმ. ყიფიანის მუშაობისა. წინამდებარე პუბლიკაციის **დასათაურება ჩვენია**.

ორიოდე სიტყვა პროგრამისა და სიის შემდგენლის შესახებ:

ზაქარია (ზურაბ) სტეფანეს ძე ყორღანოვი (ყორღანაშვილი) 1806-1816 წწ. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1817 წელს, ჩაირიცხა სანქტ-პეტერბურგის მთავარ პედაგოგიურ ინსტიტუტში (Главный педагогический институт). 1819 წელს ინსტიტუტი უნივერსიტეტად გადაკეთდა და ზ. ყორღანოვი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, თუმცა 1821 წელს მშობლების გარდაცვალებისა და, ძირითადად, ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა, საკუთარი განცხადების საფუძველზე

შეეწყვიტა სწავლა და დაეტოვებინა პეტერბურგი. უნივერსიტეტში სწავლასთან დაკავშირებულ საბუთებში ზ. ყორღანოვი ნახსენებია როგორც „ქართველი აზნაური“ („...грузинский дворянин“) და ტომით ქართველი („...родом из грузинцев“; ზ. ყორღანოვის ცხოვრების „პეტერბურგის პერიოდზე“ იხ. ხარატიშვილი 2012: 154-156).

მოგვიანებით ზ. ყორღანოვს უსწავლია აგრეთვე მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში (ხუნდაძე 1951: 22). როცა 1832 წლის დეკემბერში შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სოლომონ დოდაშვილი დააპატიმრეს, მის ნაცვლად ქართული ენის მასწავლებლის ადგილი ზ. ყორღანოვმა დაიკავა. პეტრე მელიქიშვილის მოგონებების მიხედვით, ზ. ყორღანოვი თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას 60-იან წლებშიც ასწავლიდა, თუმცა მის ხელში ენის შესწავლა შეუძლებელი გამხდარა, „რადგანაც მასწავლებელი მოხუცებულობის გამო ხშირად არ დაიარებოდა კლასში და, როცა მოვიდოდა, მაშინაც მხოლოდ ძველ რვეულებს სინჯავდა, ანდა შეგირდების გვარებს ეცნობოდა“ (ხუნდაძე 1951: 36).

¹ (გვ. 187) „**კომიტეტის...**“ – იგულისხმება კავკასიის სასწავლო ოლქთან (შეიქმნა 1848წ.) არსებული „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტი“ (ჩამოყალიბდა 1849 წელს; დღიდან დაარსებისა დღემდე. ყიფიანი ამ ორგანიზაციის წევრია – ხეც. საქ. №29, ფ. 95; აგრეთვე: ხეც. საქ. №№8, 9). კომიტეტის ფარგლებში 1851 წელს შეიქმნა შემდეგი განყოფილებები: რუსული (აქვე იყო გაერთიანებული პედაგოგიკა, დიდაქტიკა და ლათინური ენა), ქართული, სომხური და აზერბაიჯანული (თათრული) ენებისა, საისტორიო, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და იურიდიული დისციპლინებისა. ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი, ხოლო წევრები: პლატონ იოსელიანი, ზაქარია ყორღანოვი, ივანე თურქისტანიშვილი (თურქისტანოვი), ზაქარია მჭედლიშვილი (მჭედლოვი) – იხ. ამონაწერი „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ სხდომის ოქმიდან კომიტეტის ფარგლებში 8 განყოფილების შექმნის შესახებ (10.XII.1851). ხეც. დიმიტრი ყიფიანის არქ., საქ. №236.

² (გვ. 187) „უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა თბილისის გიმნაზიებში“ – თბილისში იმ დროს ორი გიმნაზია იყო: 1. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია [დაარსდა 1830 წელს კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე; სხვადასხვა დროს იწოდებოდა სათავადაზნაურო, საგუბერნიო (1853 წლიდან), კლასიკურ (1864 წლიდან) გიმნაზიად – თავზიშვილი 1974: 282)]; 2. თბილისის კომერციული გიმნაზია, დაარსებული მიხ. ვორონცოვის ხელშეწყობით 1850 წელს („განკუთვნილი იყო ახალგაზრდობის მოსამზადებლად სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეობისათვის და კომერციულ ცოდნათა გავრცელებისათვის“ – თავზიშვილი 1974: 295).

სხვათა შორის, იმავე მიხ. ვორონცოვის ხელშეწყობით 1850 წელს საგუბერნიო გიმნაზია დაარსდა ქუთაისში (გაფრინდაშვილი 1970: 813) და სამივე ზემოდასახელებულ გიმნაზიაში 1851 წლისთვის 787 მოსწავლე ირიცხებოდა (თავზიშვილი 1974: 295).

პართანოვის „ქართული წერის დედანი“ (გვ. 189-191)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №240. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 2.

სათაური:

В комитет начертания учебных пособий [სახელმძღვანელოების შემდგენელ კომიტეტს].

თარიღი: თებერვალი. 1852.

ხელმოწერა:

Член комитета начертания учебных пособий, коллежский советник **Кипиани** [სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის წევრი, კოლეჯის მრჩეველი **ყიფიანი**].

წინამდებარე რეცენზია ასახავს დიმ. ყიფიანის საქმიანობას „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ ფარ-

გლებში (იხ. ზემოთ, გვ. 463; საკუთრივ რეცენზიის შესახებ იხ. წერეთელი 1959: 202-203).

დასათაურება ჩვენია.

რაც შეეხება „ქართული წერის დედნის“ ავტორს – ვართანოვს, მისი სახელი საბუთში არ არის მითითებული. ვფიქრობთ, ის უნდა იყოს **სოლომონ არტემის ძე ვართანოვი**, რომელიც 1845 წლის ჩათვლით ბაქოს სამაზრო სასწავლებელში მსახურობდა მასწავლებლად, 1846 წელს კი უკვე თბილისში მსახურობს (Кавказский календарь 1847: 259). 1852 წელს ვართანოვი თბილისის კომერციული გიმნაზიის მასწავლებელია (იხ. აქვე, კომენტ. 1).

¹ (გვ. 189) „**კომიტეტის ყურნალიდან ა. თ. 20 რიცხვის ამონაწერთან...**“ – იგულისხმება „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტი“ (იხ. აქვე, გვ. 463), ხოლო რაც შეეხება „ამონაწერს“, იგი საქმეში დევს (დათარიღებულია 1852 წლის 20 თებერვლით) და მას აქვე ვიმონებთ:

„მის მაღალშობილებას, დ. ი. ყიფიანს

მოვისმინეთ ბ-ნი განათლების მზრუნველის მიერ შემოტანილი 22 დეკემბრის წინადადება (№3125), რომელსაც დართული ჰქონდა თბილისის კომერციული გიმნაზიის I კლასის მასწავლებლის, ვართანოვის, „ქართული წერის დედანი“. ბ-ნი მზრუნველი გვთხოვს, განვიხილოთ იგი და მის აღმატებულებასვე წარვუდგინოთ დასკვნა.

დაადგინეს: გაეგზავნოს „წერის დედანი“ კომიტეტის წევრს, ბ-ნ ყიფიანს, და ეთხოვოს მას, წარმოადგინოს თავისი შეხედულება: I. ხელწერის სისწორისა და სილამაზის შესახებ, და II. სუფთა წერასთან დაკავშირებულ მაგალითებში ხომ არ გვხვდება რაიმე ურიგობა თუ შეუფერებლობა?“

ტექსტში ნახსენები „განათლების მზრუნველი“ არის ბარონი **ალექსანდრე ნიკოლაი**, რომელსაც ეს თანამდებობა 1852-1860 წლებში ეკავა.

² (გვ. 190) „**გვხვდება „თავისუფალის“ ... „კეთილშობილის“ ... მნიშვნელობით, მაგრამ – მაინცაღამაინც ძველ**

ქართულში – „ძველ ქართულში“ „აზნაურის“ მნიშვნელობის შესახებ დიმ. ყიფიანს თხზულებაში „ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის საქართველოში“ უწერია: „ეს სიტყვა ქართველებში ოფიციალურ ენაზე სოციალურ ფენას, აზნაურს, ნიშნავს, ხოლო ქართულ ლიტერატურაში კეთილშობილებას ან, უკეთ ვთქვათ, თავისუფლების კეთილშობილურ ბუნებას გამოხატავს: თავისუფალი მეცნიერებანი, მშვენიერი ხელოვნებანი აზნაურულად იწოდებიან. ასე, მაგალითად, ენის თეორია (რომ არაფერი ვთქვათ გრამატიკაზე) – შესაძლოა, იმიტომაც, რომ იგი მხოლოდ უმაღლესი განათლების პროგრამაში შედიოდა – იწოდებოდა თავისუფალ ხელოვნებად ანუ აზნაურულ მოძღვრებად“ (ყიფიანი 2016^ა: 107).

„აზნაურის“, როგორც „თავისუფალის“, განმარტებას იძლევა ს.-ს. ორბელიანი (ორბელიანი 1965: 45), ნ. ჩუბინაშვილთან ეს სიტყვა, გარდა წოდებრივი მნიშვნელობისა, ნიშნავს „თავისუფალს“ და „კეთილშობილს“ (ჩუბინაშვილი 1961: 133), დ. ჩუბინაშვილთანაც (გარდა წოდებრივი მნიშვნელობისა) ასეა: „თავის უფლობითი (свободный)“ (ჩუბინაშვილი 1984: 12).

ვახტანგ VI-ის კანონთა თარგმანი (გვ. 192-193)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №242. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2.
თარიღი: 3 აპრილი. 1852.

ხელნაწერი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შავია, ნასწორებია თვითონ ავტორის მიერ. იგი **დაუსათაურებელი და ხელმოუწერელია. დასათაურება ჩვენია.** არ არის მითითებული ვახტანგის კანონთა მთარგმნელის (სარაჯვევი; Сараджев) სახელი ან ინიციალები. ე. კელენჯერიძის მიერ შედგენილ დიმ. ყიფიანის

პირადი არქივის აღწერილობაში (იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი), როგორც ჩანს, რომელი-ღაც სხვა წყაროზე დაყრდნობით, მითითებულია სარაჯევის ინიციალები – **ა. ი.**; ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით კი ეს უნდა იყოს **ვასილ გრიგოლის ძე სარაჯიშვილი** (გარდ. 1888) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სანქტ-პეტერ-ბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილება (1850), **1850-იან წწ. მთარგმნელ-თარჯიმნად მსახურობდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიაში** („Кавказский календарь“ 1854: 629 და შმდ.; ივერია 1888), შემდეგ – საკანცელარიო მოხელედ ქარ-ბელაქნისა და დაღესტნის მმართველობაში, 1880-იან წწ. კი – კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში; იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი (Кавказский календарь 1852: 651) და „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (ნანიტაშვილი... 2004: 147). გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს წმ. გიორგის სახელობის კალოუზნის ეკლესიის გალავანში [კალოუზნის ეკლესია, რომელიც ჰაუპტვახტის უკან, დღევანდელი რუსთაველის გამზირისა და ანტონ ფურცელაძის ქუჩის კუთხეში (იქ, სადაც ამჟამად კინოთეატრი „რუსთაველია“) მდებარეობდა, აღარ არსებობს (ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ააფეთქა) და ეკლესიის გალავანში დაკრძალულთა საფლავები დაკარგულია (ბიოგრაფიული ცნობები ვ. სარაჯიშვილის შესახებ იხ. ივერია 1888).

¹ (გვ. 193) „...არ დასტურდება შემთხვევა, ძმასთან ერთად უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობითი უფლება დასაც ჰქონოდა“ – უნდა ვიფიქროთ, ავტორს მხედველობაში აქვს მონაკვეთი ვახტანგის სამართლის 257-ე მუხლისა (ქალის სამკვიდროსათვის): „...თუ გაუთხოვარი სახლში დარჩეს, თუ ღარიბია, ნახევარი საქონლისა მისცენ – **ჩვენს ქვეყანას მამულს არ მისცემენ**“ (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) (სამართ-

ლის ძეგლები 1963: 546). როგორც ჩანს, მთარგმნელის განმარტებით, დაწესება – ქალს უძრავი ქონებიდან მემკვიდრეობა არ ერგებო – მხოლოდ გლებთა ფენაზე ვრცელდებოდა, რასაც დიმ. ყიფიანი არ ეთანხმება.

² (გვ. 193) „**მთარგმნელებმა ზედმინვენით უნდა იცოდნენ ორივე ენა**“ – როგორც ჩანს, სარეცენზიო ტექსტს სხვა მთარგმნელებიც ჰყავდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სარაჯევს ვახტანგ VI-ის კანონთა მხოლოდ ნაწილის თარგმანი ეკუთვნის, სხვა მთარგმნელებმა კი სხვა ნაწილები თარგმნეს.

საკანცელარიო საქმის სახელმძღვანელოები (გვ. 194-197)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №243. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4.

სათაური: О руководствах к преподаванию канцелярского обряда.

თარიღი: 17 აპრილი. 1852.

ხელნაწერს პირველ გვერდზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: Мнение коллеж[ского] сов[етника] Кипиани [კოლეგის მრჩევლის, ყიფიანის, მოსაზრება].

რეცენზია ხელმოუწერელია. საქმეში დევს (ფ. 1r) ამონაწერი „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ 1852 წლის 8 მარტის სხდომის ჟურნალიდან, რომლის მიხედვითაც, სამაზრო სასწავლებლებისთვის შედგენილი საკანცელარიო საქმის სახელმძღვანელოები სარეცენზიოდ დიმ. ყიფიანისთვის უნდა გადაეცათ. ამონაწერის თარიღია 11 აპრილი. იქვეა დიმ. ყიფიანის მინაწერი: Ответ 17 апреля [პასუხი 17 აპრილს].

სარეცენზიო სახელმძღვანელოების ავტორები არიან 1840-1850-იან წწ. თბილისის სათავადაზნაურო და კომერციული გიმნაზიების მასწავლებლები (იხ. შესაბამისი წლებ-

ის „Кавказский календарь“): 1. ვასილ ლუკას ძე ფილიპიევი (ასწავლიდა სამართალწარმოებას); 2. ვასილ სტეფანეს ძე კლუჩარევი (ასწავლიდა კანონმცოდნეობას); 3. ვასილ გაბრიელის ძე სტელეცკი (ასწავლიდა კანონმცოდნეობასა და ლათინურ ენას); 4. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ფილიმონოვი (ასწავლიდა მათემატიკას).

¹ (გვ. 194) „კომიტეტის...“ – იგულისხმება „სახელმძღვანელობის შემდგენელი კომიტეტი“ (იხ. აქვე, გვ. 463).

² (გვ. 196) „ჩემი ოფიციალური მდგომარეობის გამო ვიცი...“ – დიმ. ყიფიანი, ამ დროს კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა მმართველი, „სინამდვილეში მაშინდელი ადმინისტრაციული მოღვაწეობის ერთი უმთავრესი ღერძთაგანი იყო“ (ნიკოლაძე 1964: 307).

„ყრმათა მეგობარი“ თარგმნილი ივანე კერესელიძის მიერ (გვ. 198-199)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №244. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 3.

თარიღი: 16 მაისი. 1852.

ხელნაწერი დაუსათაურებელია, ხელმოუწერელია, წინ უძღვის (ფ. 1) ამონაწერი „სახელმძღვანელობის შემდგენელი კომიტეტის“ 1852 წლის 22 აპრილის სხდომის ოქმიდან, რომლის მიხედვითაც, ივ. კერესელიძის მიერ თარგმნილი „ყრმათა მეგობარი“ სარეცენზიოდ ქართული ენის განყოფილებისტვის უნდა გადაეცათ (გადაუციათ 29 აპრილს). დიმ. ყიფიანის რეცენზიას დართული აქვს ავტორის გვიანდელი ავტოგრაფული მინაწერი (რუსულ ენაზე): „გასწორებული წიგნი განმარტებითურთ კომიტეტს გადაეცა 1852 წლის 27 სექტემბერს“ (ცნობები რეცენზიის შესახებ იხ. აგრეთვე: წერეთელი 1959: 203). **დასათაურება ჩვენია.**

„ყმათა მეგობარი“ პირველდანწყებითი სწავლებისთვის იყო განკუთვნილი. იგი ივ. კერესელიძემ გადმოაკეთა და თარგმნა რუსი პედაგოგის, სანქტ-პეტერბურგის სასწავლო ოლქის ინსპექტორის, პავლე მაქსიმოვიჩის, ანალოგიური სათაურის („Друг детей“) სახელმძღვანელოდან და გამოსცა 1852 წელს (კერესელიძე 1852). ქართული ენის განყოფილებას სწორედ ეს გამოცემა გაეგზავნა სარეცენზიოდ. განსხვავებული სათაურითა და გადამუშავებულ-შესწორებული სახით წიგნი თავიდან დაიბეჭდა 1853 (კერესელიძე 1853) და შემდგომ წლებში (კერესელიძე 1855; კერესელიძე 1861).

¹ (გვ. 198) „კომიტეტის 22 აპრილის სხდომის ოქმის ამონაწერის მიხედვით, განყოფილებას დაევალა განხილვა...“ – „კომიტეტისა“ და „განყოფილების“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 463.

დავით რუბინოვის „ქართული გრამატიკა“ და მისივე
„რუსულ-ქართული ლექსიკონი“
(გვ. 200-203)

ნაბეჭდი:

Цагарели А. А. Сведения о памятниках грузинской письменности. т. I. выпуск III. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук. 1894, გვ. 54-78.

სათაური:

В комитет начертания учебных пособий. От его отдела по Грузинскому языку [სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენის განყოფილებისაგან].

თარიღი: 31 მარტი. 1853. თბილისი.

1852 წელს კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებულ „სახელმძღვანელოების შემდგენელ კომიტეტში“ სარეცენზიოდ შევიდა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ადიუნქტ-პრო-

* ამ ტექსტის თარგმნაში განუღი დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ქართული ენის სპეციალისტ **ეთერ აფხაზავას**.

ფესორის, დავით ჩუბინაშვილის, „მოკლე ქართული გრამატიკისა“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ ხელნაწერი. ორივე ნაშრომი კავკასიის სასწავლო ოლქის სასკოლო დაწესებულებებისთვის იყო განკუთვნილი. კომიტეტმა ხელნაწერები ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარეს, დიმიტრი ყიფიანს, გადასცა. რეცენზენტის შენიშვნებიდან დ. ჩუბინაშვილმა ზოგი რამ გაითვალისწინა, ზოგიც – არა (ცაგარელი 1894: 79-96), ნიგინი კი სანქტ-პეტერბურგში 1855 წელს გამოსცა (Чубинов Д. Краткая грузинская грамматика. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук. 1855).

დიმ. ყიფიანის რეცენზია **ხელმოუწერელია**. რეცენზიაზე დ. ჩუბინაშვილის 1853 წლის 5 აგვისტოს პასუხი იხ. ცაგარელი 1894: 79-96; დიმ. ყიფიანსა და დ. ჩუბინაშვილს შორის გამართული პოლემიკის შესახებ იხ.: ჩიქობავა 1965: 296-300; ჩიქობავა 1998: 307; ჩიქობავა 2016: 23; შანიძე 1998: 303-304; შანიძე 2016: 25-27.

მოგვიანებით (1857 წელს) ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის კრიტიკული მიმოხილვა დ. ჩუბინაშვილის „გრამატიკისა“ (ცისკარი 1857: 39-45), რომელსაც ჩუბინაშვილმა ვრცელი პასუხი გასცა (ჩუბინაშვილი 1857).

¹ (გვ. 200) „**კომიტეტმა გასული წლის ... დადგენილებებით 13 რიცხვშივე განყოფილებას...**“ – „*კომიტეტისა*“ და „*განყოფილების*“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 463.

² (გვ. 203) „**წრფელობითი ... წოდებითი**“ – ბრუნვათა რიგი (წრფელობითიდან წოდებითის ჩათვლით) ტექსტში ქართულადაა (ცაგარელი 1894: 56).

³ (გვ. 203) „**II მოქმედებითი**“ – დ. ჩუბინაშვილთან ამ ბრუნვას (Творительный второй) ეწოდება **განვითარებითი** (ჩუბინაშვილი 1855: 5).

⁴ (გვ. 206) „**ბ-ნი ბროსე მაინც უარყოფს ქართულ ენაში მოთხრობითი ბრუნვის საჭიროებას**“ – მ. ბროსეს მიერ მოთხრობითი ბრუნვის უარყოფა, ა. შანიძის მიხედვით, ავსტრიელი ორიენტალისტის, ფრანც კარლ ალტერისგან

მომდინარეობს: „ამ (მოთხრობითის – თ. ჯ.) ბრუნვის უარყოფა მომდინარეობს ვენის პროფესორის Alter-ისაგან, რომელმაც ჯერ კიდევ 1798 წელს გამოსცა წიგნი ამ სათაურით „Über Georgische Literatur“ („ქართული ლიტერატურის შესახებ“), სადაც იგი ბიბლიის ქართ[ული] ვერსიის ენას ეხება და კაც-**მან** ისე აქვს გაგებული, როგორც ბერძ[ნული] ἰ ἀνθρώπου, ე. ი. **-მან** დაბოლოება ნანევრად (ე. ი. არტიკლად) აქვს მიჩნეული“ (შანიძე 1998: 304; ფ. კ. ალტერისა და მისი წიგნის შესახებ იხ.: ქსე 1975: 336; რევიშვილი 1977: 145-147).

⁵ (გვ. 206) „...ან განსვენებულმა თავადმა ზაქარია ფალავანდოვმა“ – უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანი აქ გულისხმობს ზ. ფალავანდიშვილის რეცენზიას დ. ჩუბინაშვილის მიერ 1840 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემული „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის“ (ჩუბინაშვილი 1840) შესახებ. კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე რეცენზიაში ნათქვამია: „[დ. ჩუბინოვის მიერ] ბრუნვათა რიგიდან გამორიცხულია ორი სავსებით ზედმეტი ბრუნვა“ (ფალავანდიშვილი 1841: 12). როგორც ჩანს, აქ ზ. ფალავანდიშვილი მოთხრობითსაც გულისხმობდა.

⁶ (გვ. 206) „მოუპოვა როგორც ამჟამინდელი საპატიო ნოდება...“ – დიმ. ყიფიანი „საპატიო ნოდებაში“, უნდა ვიფიქროთ, იმას გულისხმობს, რომ 1838 წლიდან მარი ბროსე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით.

⁷ (გვ. 213) „ჩვენი ღრმად პატივცემული თანაწევრის – პ. იოსელიანის...“ – პ. იოსელიანი იყო წევრი „სახელმძღვანელების შემდგენელი კომიტეტის“ ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებისა, რომელსაც დიმ. ყიფიანი თავმჯდომარეობდა (იხ. აქვე, გვ. 463).

⁸ (გვ. 226) „ძე იმერულ გვარებს დაერთვის, შული კი – ქართულს“ – „ქართულში“ აქ ქართლური/აღმოსავლურქართული იგულისხმება.

⁹ (გვ. 228) „...აკავშირებს თუ არა ქართულ ენას ან ნათესაობა, ან მსგავსება მსოფლიოს რომელიმე სხვა ენასთან“

– 1854 წელს გამოქვეყნებულ საისტორიო ნაშრომში – „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე“ – ქართული ენის ტიპოლოგიურ ბუნებაზე მსჯელობის შემდეგ დიმ. ყიფიანი დაასკვნის: „ქართულმა ენამ – მიიღო და შეითვისა რა სპარსული, არაბული, ბერძნული, ლათინური, თურქული და, ბოლოს, სლავური თუ რუსული სიტყვები – უძველესი დროიდანვე შეინარჩუნა საკუთარი ბუნება. იგი დღემდე რჩება თვითმყოფ ენად და პირდაპირი ნათესაობით არ არის დაკავშირებული არც ერთ იმ ენასთან, რომელზეც ლაპარაკობდნენ ან ლაპარაკობენ არათუ დაშორებული ქვეყნების, არამედ თვით კავკასიის ხალხებიც კი“ (ყიფიანი 2017^ა: 203).

კიდევ ერთხელ ჩუბინოვის „გრამატიკის“ შეხასხებ (გვ. 231-238)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №250. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 6.

ნაბეჭდი:

Цагарели А.А. Сведения о памятниках грузинской письменности. Т. I. Вып. III. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук. 1894, გვ. 96-101.

სათაური:

Отношение почетного попечителя Тифлисской губернской гимназии, коллежского советника Д. И. Кипиани к попечителю Кавказского учебного округа, барону А. П. Николаи, от 26 февраля 1854 года [თბილისის საგუბერნიო გიმნაზიის საპატიო მზრუნველის, კოლეჯის მრჩეველ დ. ი. ყიფიანის, 1854 წლის 26 თებერვლის მიმართვა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის – ბარონ ა. პ. ნიკოლაისადმი].

თარიღი: 26 თებერვალი. 1854.

ტექსტი ხელმოწერელია. საკითხის ისტორიის შესახებ იხ. წინა ტექსტი („დავით ჩუბინოვის „ქართული გრამატიკა“ და მისივე „რუსულ-ქართული ლექსიკონი“). პირველ პუბლიკატორს, ალ. ცაგარელს, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა ტექსტის სხვა ვარიანტი. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს ხელთ არსებულ (ხეც-ში დაცულ) ხელნაწერში არ არის ფრაზა: „**პეტრე აქიყო, პავლე ად იქა**“ (მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვა განსხვავება ალ. ცაგარლისეულ პუბლიკაციაში და ხეც-ში დაცულ ავტოგრაფულ ხელნაწერს შორის არ არის). ამას გარდა, ალ. ცაგარელს თავის პუბლიკაციაში მოხსნილი აქვს ტექსტის დასაწყისი – მიმართვა ადრესატისადმი და ბოლო ორი აბზაცი. წინამდებარე პუბლიკაციაში ჩვენ კურსივით აღვადგინეთ ხელნაწერისეული ვითარება.

დ. ჩუბინაშვილსა და დიმ. ყიფიანს შორის გამართულ პოლემიკაში ჩართული აღმოჩნდა კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, რომელიც ალ. ნიკოლაის სწერს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №255. რუსულ ენაზე. ფ. 1; ვიმონებთ სრულად):

„მონყალეო ხელმწიფეო,

ბარონო ალექსანდრე პავლეს ძე

დღეს მივიღე მომართვა №1514, რომლითაც თქვენი აღმატებულება მთხოვს, მოგახსენოთ ჩემი აზრი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ქართულ ენაში მოთხრობითი ბრუნვა, რომლის აღიარებაც ბ-ნ ადიუნქტ-პროფესორ ჩუბინოვს არ სურს აქაურის სასწავლებლებისთვის შედგენილ თავის „გრამატიკაში“.

საპასუხოდ მაქვს პატივი, მონყალეო ხელმწიფეო, მოგახსენოთ: მიუხედავად იმისა, რომ კარის მრჩეველ ჩუბინოვის ნაშრომი თავისთავად ქების ღირსად მიმაჩნია, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ ქართული გრამატიკიდან ხსენებული ბრუნვის ამოღება არათუ უხერხულობებს შექმნის, არამედ შეუძლებელს გახდის მისი ნაშრომის პრაქტიკულ გამოყენებას.

ბ-ნი ყიფიანის საფუძვლიანი ახსნა-განმარტების შემდეგ საკითხის შესახებ ვერცელი მსჯელობა ჩემი მხრიდან ზედმეტი იქნება: საქართველოს ვერც ერთი მკვიდრი, განათლებული იქნება იგი, თუ – გაუნათლებელი, ბ-ნი ყიფიანის მოსაზრებებს ეჭვქვეშ ვერ დააყენებს. ამასთანავე, დავსძენ, რომ საქართველო ჯერ კიდევ პატრიარქალური დროიდან ითვლებოდა კლასიკური განათლების ქვეყნად და, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის გავრცელების არეალი არ არის ვერცელი, ამ ენაზე 700 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იწერებოდა ისეთი თხზულებები, რომელთა ავტორებსაც ვერც ერთი აქაური თანამედროვე კარგი მწერალი ვერ შეედრება. ბოლო ხანებში ქართული გრამატიკის საკითხებზე მუშაობდნენ: სამღვდელოების მეთაური, თავისი განსწავლულობით ცნობილი კათოლიკოსი ანტონ I – ძე იესე მეფისა; ვარლამ არქიეპისკოპოსი – ქსნის ერისთავთა თავადური გვარის წარმომადგენელი, შემდგომ – მიტროპოლიტი და სინოდის ეგზარქოსი საქართველოში; სხვა ფრიად პატივსაცემი მოღვაწეები. არც ერთ მათგანს ზედმეტად არ მიუჩნევია მოთხრობითი ბრუნვა, რომელიც ისე შეისისხლხორცა ქართულმა ენამ, რომ მის ამოძიკვას ვერც ერთი ახალი წესი ვერ შეძლებს და ქართული ენის დამახინჯების ვერავითარ აუცილებლობასაც ვერ ვხედავ.

ვაბრუნებ თქვენი აღმატებულების მომართვასა და თანდართულ ქალაქებს, ამასთანავე, მაქვს პატივი დაგიდასტუროთ გულწრფელი პატივისცემა და სრული ერთგულება.

თავადი **ნ. ფალავანდოვი**

5 ივლისი 1854 წლისა.
თბილისი“.

საბოლოოდ პოლემიკა იმით დასრულდა, რომ დ. ჩუბინაშვილმა მოთხრობითი ბრუნვა თავის „გრამატიკაში“ მაინც შეიტანა, თუმცა უხალისოდ და საგანგებოდ დასძინა: სინამდვილეში მოთხრობითი ბრუნვა ქართულში არ არსებობს და აქ

იგი მხოლოდ და მხოლოდ ცნობილ ქართველ გრამატიკოსთა თვალსაზრისის გათვალისწინებით შემაქვსო (ჩუბინაშვილი 1855: 5).

ვიმეორებთ ალ. ცაგარლის პუბლიკაციას. წინამდებარე პუბლიკაციის დასათაურება ჩვენია.

¹ (გვ. 231) „**ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ**“ – იგულისხმება კავკასიის სასწავლო ოლქის იმდროინდელი ხელმძღვანელი („მზრუნველი“; Попечитель), ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1852-1860 წწ. მსახურობდა.

² (გვ. 231) „**გავეცანი აგრეთვე პროფესორ ჩუბინოვის მოხსენებით ბარათს...**“ – დ. ჩუბინაშვილის „*მოხსენებითი ბარათი*“ იხ. ცაგარელი 1894: 79-96; აქ ნახსენები „*კომიტეტი-სა*“ და „*განყოფილებების*“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 463.

³ (გვ. 232) „**თქვენი აღმატებულების წინამორბედის...**“ – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობაზე ალ. ნიკოლაის წინამორბედი ვასილ სემიონოვი (1848-1852) იყო (ვ. სემიონოვის სიტყვა წარმოთქმული კავკასიის სასწავლო ოლქის გახსნაზე იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1949).

⁴ (გვ. 232) „**თბილისში მ. ი. ბროსეს ყოფნისას...**“ – მარი ბროსე თბილისში სამეცნიერო მივლინებით 1847 წლის აგვისტოში ჩამოვიდა, მოიარა საქართველო (ქართლი, კახეთი, მესხეთი, სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, იმერეთი, რაჭა...), ეწვია ერმიადინს, ერევანს, 1848 წლის ივლისში კი დატოვა თბილისი და პეტერბურგში დაბრუნდა (ხანთაძე 1966: 70-80; ბუაჩიძე 1983: 176-240).

⁵ (გვ. 233) „**...საკუთარ „გრამატიკაზე“ ასე განაცხადა – მოუხერხებელია, ქართული ენა ამით ისწავლებოდესო**“ – იგულისხმება პლატონ იოსელიანის „პირუელ-დანყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა“ (თფილისი: ი. და დ. არზანოვთა საბეჭდავი. 1840; განმეორებით დაიბეჭდა 1851 და 1863 წლებში).

ივანე კერესელიძის „ქართული ქრესტომათია“
(გვ. 239-242)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი.
საქმე №249. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4.

სათაური:

Его превосходительству, господину попечителю Кавказского учебного округа. Члена совета попечителя Кавказского учебного округа... [მის აღმატებულებას, ბატონ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს წევრის...].

თარიღი: 26 თებერვალი. 1854.

ხელმოწერელი. დიმ. ყიფიანს ივ. კერესელიძის „ქართული ქრესტომათია“ განსახილველად გადაეცა, როგორც სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარეს („ქრესტომათიის“ რეცენზირების შესახებ ბარონ ალ. ნიკოლაის 1854 წლის 8 თებერვლის მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №248. ფ. 1; „კომიტეტისა“ და „განყოფილების“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 463).

ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდა ამის შემდეგ მოვლენები, მაგრამ ფაქტია, რომ ივ. კერესელიძის „ქართული ქრესტომათია“ არ გამოცემულა. **დასათაურება ჩვენია.**

¹(გვ. 239) **„ბ-ნ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს“** – იგულისხმება კავკასიის სასწავლო ოლქის იმდროინდელი ხელმძღვანელი („მზრუნველი“; Попечитель), ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი.

²(გვ. 240) **„...დახმარების ნაცვლად იგი მოკლა“** – არაკი, რომელიც ივ. კერესელიძეს თავის „ქრესტომათიაში“ შეუტანია და რომლის შესახებაც დიმ. ყიფიანი თავის რეცენზიაში

მსჯელობს, არის „**მაიმუნი და მხერხავი**“ „ქილილა და დამანადან“ (ქილილა და დამანა 1949: 47-48; ქილილა და დამანა 1975: 291-292). დედანში მაიმუნს შპურში (დიმ. ყიფიანი ამ სიტყვას ხმარობს; დედანში – „ძელის ნახერხში“) კუდი კი არ მოჰყვა, არამედ – „სასირცხო“ („რა სოლი მოგლიჯა, ძელის ნაპობმან პირი პირს მოუჭირა და მაიმუნის სასირცხო შიგ დაჰყვა“).

³(გვ. 240) „...**ხოლო ერეკლემ – 1797 წლამდე**“ – ამ აბზაცში თარიღები არ არის სწორად მითითებული: ვახტანგ VI გარდაიცვალა 1737 წელს, თეიმურაზ II-მ 1762 წლამდე „იმეფა“ (თუმცა ბოლო ორი წელი რუსეთში გაატარა და იქვე აღესრულა), ხოლო ერეკლე II-მ „იმეფა“ 1798 წლამდე.

⁴(გვ. 241) „...**მას, ყოვლადძლიერს, მისთვის აღარაფერი დარჩა**“ – ტექსტის ეს მონაკვეთი ეხება ფ. შილერის ლექსს „განყოფა სოფლისა“, რომლის გიორგი ერისთავისეული თარგმანი „ცისკრის“ 1852 წლის მე-5 ნომერში დაიბეჭდა (შილერი 1852: 1-2; ერისთავი 1966: 47).

პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული ქართული ნიბნები (გვ. 243)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №254. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

სათაური:

Его превосходительству господин-у попечителю Кавказского учебного округа [მის აღმატებულებას, ბატონ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს].

თარიღი: 30 აპრილი. 1854.

ხელმწიფი: Член совета попечителя Кавказского учебного округа, коллежский советник **Кипиани** [კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს წევრი, კოლეგიის მრჩეველი **ყიფიანი**].

დღმ. ყიფიანს პლატონ იოსელიანის გამოცემები გაეგზავნა, როგორც სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარეს (ბარონ ნიკოლაის 1854 წლის 21 აპრილის მიმართვა, რომლის პასუხიც არის დღმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი, იხ. ხეც. დღმ. ყიფიანის არქ., საქ. №253. ფ. 2; „კომიტეტისა“ და „განყოფილების“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 463). **დასათაურება ჩვენია.**

¹ (გვ. 243) „კავკასიის მეფისნაცვლის...“ – იგულისხმება მიხეილ ვორონცოვი, რომლის უშუალო დავალებითაც გამოსცა პლატონ იოსელიანმა წინამდებარე ტექსტში ჩამოთვლილი თხზულებები. ამის შესახებ თვითონ პ. იოსელიანს უწერია:

„მ. ს. ვორონცოვი, ვითარცა მეცენათე ქართუელთა ენისა და მნიგნობრობისა და უმეტეს ვრცლად მხედუელი კაცთა ნათესავისა მნიშუნელობისა, ზრუნვიდა, რათა არა-დაკარგულ იყუნენ წიგნნი და მწერლობა მის მცირედისა ქართუელთა ერისა, რომელიცა იყო ძუელად მეფობითისა პატივისა მექონე და ქრისტიანობისა გამო ზღუდე მტკიცე პირის პირ მაჰმადიანობისა, აზიისა ჩამყლაპავისა და წამმუსვრელისა. ამან, აზიისა და ევროპისა შორს მხედუელმან კაცმან, დასაცუელად ქართუელთა სახელისა და პატივად ენისა მათისა ძუელისა ინება და ბრძანა დაბეჭდვით ქართუელთა წიგნთა, არა დაეკარგოს კაცთა ნათესავისა საუნჯე გონებისა უნჯად ისტორიისა და მოსახმარად მეცნიერთა ევროპისა... ესრეთ სურვილისა თუისისა აღსრულებისა, წყურვილით, ნამდვილ წყურვილით მონადინემან აღმირჩია მე. განმხნევებულმან მისგან, მისისავე ხარჯითა და ბრძანებითა დაგბეჭდე 5 წიგნი:

1.) დ ი დ - მ ო უ რ ა ვ ი ა ნ ი, დანერილი ლექსად იოსებ თბილელ მიტროპოლიტისაგან.

2.) მ ი მ ო ს უ ლ ა პ ა ლ ე ს ტ ი ნ ე დ და წ მ ი ნ დ ა თ ა ა დ გ ი ლ თ ა ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისა.

3.) მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა და მ ო ხ ი ლ უ ა წ მ ი ნ დ ა თ ა ა დ გ ი ლ თ ა და ე ვ რ ო პ ი ს ა იონა მროველ-მიტროპოლიტისა.

4.) ცხოვრებათეიმურაზპირუელისა, არჩილის-
აგან მეფისა ლექსად შედგენილი.

5.) წყობილ-სიტყუაობა კათოლიკობისა ანტონი
პირუელისაგან“ (იოსელიანი 1869: 2-3).

²(გვ. 243) „...**იოსებ თბილელის მოურავი**ადა“ – ხელნაწ-
ერში: „**იოანე** თბილელის მოურავიადა“ („Моуравиада *Иоанна*
Тифлисского“), რაც უნებური შეცდომაა. მიზეზი კი ამ შეც-
დომისა უნდა იყოს დიმ. ყიფიანისადმი ბარონ ალ. ნიკოლაის
ზემოხსენებული მიმართვა, რომელშიც პ. იოსელიანის მიერ
გამოცემული წიგნების ჩამონათვალში ასე წერია: „Моуравиада
в стихах, соч. Иоанна Тифлисского“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ.,
საქ. №253. ფ. 2). დიმ. ყიფიანმა, როგორც ჩანს, ეს ჩამონათ-
ვალი თავის პასუხში მექანიკურად გაიმეორა.

³(გვ. 243) „...**სწავლაში წასახლისებლად და სავარჯი-
შობისათვის ქართულ სიტყვიერებაში**“ – „კავკასიის არ-
ქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ გამოქვეყნებულია მიმონ-
ერა მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორს, მიხ. შჩერბინ-
ინსა და ბარონ ალ. ნიკოლაის, შორის. როგორც ირკვევა,
პ. იოსელიანის მიერ გამოცემული წიგნები წარჩინებულ
მონაფეთა დასაჯილდოებლად (ყოველწლიურად), აგრეთვე,
ბიბლიოთეკებისთვის უნდა დაერიგებინათ როგორც გიმნა-
ზიებში, ისე იმ სამაზრო სასწავლებლებში, რომლებშიც ქარ-
თული ენა ისწავლებოდა. ჩამოთვლილია გორის, სიღნაღის,
თელავისა და თბილისის სამაზრო სასწავლებლები (აქტები
1888: 754).

მულიკოვსკის სტატიის შესახებ

(გვ. 244-245)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი.
საქმე №232. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1.

სათაური:

В комитет Кавказского отдела Императорского русского географического общества [რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების კომიტეტს].

თარიღი: 24 ივნისი. 1857.

ტექსტი ხელმოუნერელია. „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება“ მის. ვორონცოვის ინიციატივით თბილისში 1850 წლის 27 ივლისს დაარსდა, პრაქტიკულად კი მუშაობას 1851 წლის 10 მარტიდან შეუდგა. იმავე წლის 26 მარტს დიმ. ყიფიანს ოფიციალურად ინვევენ „კავკასიის განყოფილების“ წევრად (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1722, ფ. 1; ზოგადად ამ ორგანიზაციის დანიშნულება იყო „კავკასიის მხარის სისტემური გეოგრაფიული, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული კვლევა, მისი ფლორისა და ფაუნის შესწავლა, რითაც საფუძველი ჩაეყარა კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებას“ – ქსე 1980: 306). 1856 წლის მაისიდან დიმ. ყიფიანი „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ განმკარგულებელი კომიტეტის წევრია (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №230, ფ. 1). როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გადასცეს მას ა. მულიკოვსკის სტატია სარეცენზიოდ (მულიკოვსკის სტატიის შესახებ ვასილ ბებუთოვის ორი მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№231, 233; პირველი, 1857 წლის 25 მაისის, მიმართვით ვ. ბებუთოვი სტატიას დიმ. ყიფიანს სარეცენზიოდ უგზავნის, ხოლო მეორე, იმავე წლის 27 ივნისის, მიმართვით სტატიის შემოკლება და განყოფილების „შრომებში“ გაგზავნას სთხოვს).

დიმ. ყიფიანის მიერ რეცენზირებული სტატია ალექსანდრე პავლეს ძე მულიკოვსკისა იმავე 1857 წელს გამოქვეყნდა [მულიკოვსკი 1857: 194-226; ალ. მულიკოვსკის, როგორც „გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრ-კორესპონდენტის (Член-сотрудник), შესახებ იხ. „Кавказский календарь“ 1852: 651].

დასათაურება ჩვენია.

¹ (გვ. 244) „კომიტეტის...“ – იგულისხმება „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ განმკარგულებელი კომიტეტი, რომლის წევრიც დიმ. ყიფიანი იყო 1856 წლიდან (იხ. ზემოთ).

² (გვ. 244) „...განყოფილების „შრომებში“ მისი დაბეჭდვა“ – იგულისხმება „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ პერიოდული სამეცნიერო გამოცემა „Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества“ (1852-1916; სულ გამოვიდა 30 წიგნი). აქ იბეჭდებოდა როგორც რუს, ისე ქართველ ავტორთა (პ. იოსელიანი, დიმ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ალ. ხახანაშვილი...) ნაშრომები.

³ (გვ. 244) „არტილერიის გენერალ ერმოლოვს ინფანტერიის გენერლად მოიხსენიებს“ – იგულისხმება საქართველოს მთავარმართებელი (1816-1827) ალექსი ერმოლოვი. უნდა ითქვას, რომ ა. ერმოლოვს ინფანტერიის გენერლის ხარისხი ჯერ კიდევ 1818 წლიდან ჰქონდა მინიჭებული, არტილერიის გენერლობა კი მას 1837 წელს მიენიჭა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“
(გვ. 246-250)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. იაკობ გოგებაშვილის არქივი. საქმე №139. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2.

ნაბეჭდი:

შ. გოზალიშვილი. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერა იაკობ გოგებაშვილთან. „მნათობი“, 1940, №10, გვ. 99-101.

თარიღი: 2 ოკტ[ომბერი]. 1876.

ხელმოწერა: დიმ. ყიფიანი.

დიმ. ყიფიანის რეცენზია ეხება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველ, 1876 წლის, გამოცემას (გოგებაშვილი 1876). ტექსტი გადმოგვაქვს ავტოგრაფული ხელნაწერიდან. იგი დაუსათაურებელია. **დასათაურება ჩვენია.**

1894 წელს გაზეთ „კვალის“ „რაზმთან“ (ა. ნერეთელი, სილ. ხუნდაძე, კ. დოდაშვილი, გ. ნერეთელი...) პოლემიკისას ი. გოგებაშვილი დიმ. ყიფიანის რეცენზიას ამ ფორმით იმონებებს:

„ბ-ნი გიორგი ნერეთელი იხსენიებს დაუფინყარის დიმიტრი ყიფიანის სახელსა იმ აზრით, ვითომც იგი ყოფილიყოს წინააღმდეგი ჩემის სახელმძღვანელოებისა. დიდს მადლობას ვუძღვნი ბატონს გიორგის ამ ინსინუაციისათვის. მე იგი მაძღვეს ამითი მშვენიერს შემთხვევას დავამტკიცო უტყუარის ფაქტებით, რომ ეს უსახელოვანესი ქართველი, მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვეთანხმებოდი მას ზოგიერთა საგრამატიკო მოსაზრებაში (იგი, მაგალითად, აღიარებდა მხოლოდ ოთხს ბრუნვასა, მე კი ვამტკიცებდი, რომ შვიდი ბრუნვაა მეთქი და ეს უკანასკნელი რიცხვი ბრუნვათა ახლა ყველასაგან მიღებულია) დიდად აფასებდა ჩემს სახელმძღვანელოებსა და ერთს მათგანზედ დასტოვა შემდეგი წერილებითი მსჯელობაც კი, თავისი ხელით დაწერილი: „ეს წიგნი ძალიან გამოსადეგია, ძალიან სასარგებლო და საუცხოვოდ არის შედგენილი“ (გოგებაშვილი 1894; გოგებაშვილი 1990: 434).

¹ (გვ. 246) „...ამას წინა, იმას აქეთ, მაგას იქით, ამ სახლს უკან, ამ კაცს გარდა და სხვ.“ – აბზაცის გასწვრივ (აშოაზე) იაკობ გოგებაშვილის მინაწერია: **დედა ჩემის გარდა, მამა ჩემის გარდა.**

² (გვ. 248) **„დამისახელეთ ტანის ასოები, თუ ნაწილები?“** – ეს ფრაზა გადათეთრებულ ტექსტში ფანქრითაა ჩამატებული. პირველ პუბლიკატორს, შალვა გოზალიშვილს, მიუჩნე-

ვია, რომ ჩამატება ეკუთვნის ი. გოგებაშვილს (გოზალიშვილი 1940: 100), თუმცა სინამდვილეში ფრაზა დიმ. ყიფიანის ხელ-ითაა დაწერილ-ჩამატებული.

³ (გვ. 249) **„ვანოს აკვირვებდა ... მრავალი დუქნები ხე-ლოსნებისა და ვაჭრებისა, რომლებიც სავსენი იყვნენ მყიდველებითა“** – ეს მონაკვეთი დიმ. ყიფიანს უკვე დასრულებულ-გადათეთრებულ ტექსტში ფანქრით აქვს ჩამატებული.

იაკოვ გოგებაშვილის „ბუნების კარი“
(გვ. 251-256)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №81. ავტოგრაფი. შავი. თავნაკლული. ქართულ ენაზე. ფ. 2.

ნაბეჭდი:

მასალები დ. ი. ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობისა. გაზ. „ჩვენი დროება“. 27 იანვარი, 1913, №26. ს. მაგალობლიშვილის პუბლიკაცია, მისივე წინასიტყვაობით.

სათაური: ბ-ნს „დროების რედაქტორს.“

თარიღი: 3 ნოემბერი. 1883. ს. ქვიშხეთი.

ხელმოწერა: დიმიტრი ყიფიანი.

თავნაკლული ავტოგრაფული ხელნაწერი, რომელიც ხეც-შია დაცული, ტექსტის მხოლოდ ბოლო ნაწილია (ინყება მონაკვეთიდან: „ეს ჩემი ბრალია თუ ვისი, ახლა საქმეს გას-ნორება უნდა როგორმე...“).

პირველნაბეჭდს, საიდანაც ჩვენ წინამდებარე პუბლიკ-აცია გადმოგვაქვს, წინ უძღვის გაზეთ „ჩვენი დროების“ რედაქტორის, სოფრომ მაგალობლიშვილის, წინათქმა (ვიმონ-მებთ სრულად):

„ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი არ. ჯორჯაძე აგერ ერთი ხანია ათავსებს „სახალხო გაზეთში“ წერილებს დიდებული

მამულიშვილის დ. ი. ყიფიანის შესახებ ამ სათაურით: „**დიმიტრი ყიფიანი** (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატრიანე)“.* რაც კი რამ არის დ. ყიფიანის შესახებ ან დაწერილი ან თქმული, ყველაფერი უნდა შეიკრიბოს და გამოქვეყნდეს. „ჩვენი დროების“ რედაქციას მოუვიდა ი. მერკვილაძისაგან წერილი დიმიტრი ყიფიანისა „დროების“ რედაქციის სახელზე 3 ნოემბრის 1883 წ. თარიღით. ამ წერილში დ. ყიფიანი არჩევს ი. გოგებაშვილის „ბუნების კარსა“ და უჩვენებს ენის შეცთომებს, ქართული სიტყვების წარამარა ხმარებასა. როგორც დანამდვილებით ვიცით, ეს წერილი ი. მაჩაბელს ჰქონდა. განსვენებულ იაკობსაც აჩვენა; იაკობმა სახეში მიიღო დიმიტრისაგან ნაჩვენები შეცთომები და შემდეგ გამოცემებში შეასწორა. თვით ი. მაჩაბელიც დიდი მცოდნე იყო ქართულისა, იმანაც დაამონმა სიმართლე დიმიტრის შენიშვნებისა. დღევანდელ „ბუნების კარის“ და სხვა სახელმძღვანელოები განსვენებულმა ბოლოს დროს შეასწორა და, სხვათა შორის, ხელმძღვანელობდა დიმიტრი ყიფიანის და ი. მაჩაბლის შენიშვნებითა.

ანინდელ გამოცემებს ი. გოგებაშვილისას წუნი აღარ აქვთ ენის მხრივ.

ჩვენ თუ ვბეჭდავთ დღეს დიმიტრი ყიფიანის წერილს, ვბეჭდავთ როგორც ისტორიულს მასალას, მაჩვენებელს იმისა, თუ როგორ ღრმად იცოდა დიმიტრიმ ქართული ენის ბუნება, თუ როგორ უყვარდა თვისი სამშობლო ენა, რანაირად გული სტკიოდა, როცა იმას ვინმე უცოდინარობით ამახინჯებდა, როგორ უფრთხილდებოდა „მცნებათ კილობანსა“, „ჩვენს წმიდას-წმიდათას“.

„ჩვენი დროების“ რედაქცია დიდის სიამოვნებით დაბეჭ-

* ა. ჯორჯაძის „დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატრიანე)“ პირველად დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ 1913 წლის შემდეგ ნომრებში: 794-797, 799-811, 813; შემდეგ – ჟურნალ „ცისკარსა“ (ჯორჯაძე 1988) და წიგნში: ჯორჯაძე 1989: 393-585.

დავს ყოველივე ცნობას, წერილებს, მოგონებებს დიდებული მამულიშვილის შესახებ“.

რეცენზია მაშინ არ გამოქვეყნებულა. ამის მიზეზი ჩანს დიმი. ყიფიანისა და გაზეთ „დროების“ რედაქტორის, ივ. მაჩაბლის, მიმონერაში, რომელსაც ჩვენ აქ სრულად ვიმონებთ:

I.

12 ნოემბერი 1883. ს. ქვიშხეთით.

მონყალეო ხელმწიფე

კნიაზო ივან გიორგისძე,

4 ამ თვეს გამოგიგზავნეთ „ბუნებისკარის“ შესახები ჩემი წერილი დასაბეჭდავად.

შევსცდი.

ამასთან 3-ს ფორტის მარკას გიგზავნით და გთხოვთ, თუ დასტამბული არ იყოს, **დამიბრუნოთ**.

ამას გარდა:

„დროების“ 222 №-ში არის დაბეჭდილი ვ. ო-ს ლექსი „ძველს მეგობარს“.*

ეს ჩემთან არის მონწერილი და რადგან თქვენს გაზეთშია დაბეჭდილი, ვჰგონებ სიმართლე მომიძლოდეს, რომ ჩემი პასუხიც იქ დაიბეჭდოს.

ამ იმედით გიგზავნით ჩემი ფსევდონიმით მონწერილს „ძველი მეგობრის პასუხს“. –

თქვენის ბრწყინვალეების

უუმორჩილესი **დიმი. ყიფიანი** (ქლსმ. №14934-ბ.

ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1).

* იგულისხმება ვახტანგ ორბელიანის ლექსი „ძველს მეგობარს“ („დროება“, 5.XI, 1883, №222). ივ. მაჩაბლისადმი დიმი. ყიფიანის წერილში ნახსენები ლექსი („ძველი მეგობრის პასუხი“) „ბაქარ ქართლელის“ ფსევდონიმით მალევე დაიბეჭდა „დროებაში“ (17.XI, 1883, №231), რასაც მოჰყვა ვ. ორბელიანის კიდევ ერთი ლექსი – „ბაქარ ქართლელს“ („დროება“, 19.I, 1884, №13; საკითხის გარშემო იხ. ყიფიანი 2016^ა: 391-392).

II.

უპატივცემულესო ბატონო დიმიტრი

გაახლებთ ამასთანავე თქვენს წერილს „ბუნების კარის“ შესახებ და მოგახსენებთ მიზეზს აქამდის დაუბეჭდველობისას. მე ვერიდებოდი, რომ თქვენს წერილს რაიმე უსიამოვნება არ გამოეწვია; რაკი თქვენს წერილს დავბეჭდავდი, გოგებაშვილსაც მიეცემოდა უფლება ცხარე კრიტიკაზედ ცხარევე პასუხი დაენერა და ამგვარი პოლემიკა არ მოუხდებოდა ეხლანდელს დროს, როდესაც იანოვსკიმ სასტიკი ომი გამოუცხადა ქართველთა შორის განათლების საქმეს და თავის უკანასკნელს ცირკულიარში წერა-კითხვის საზ. გამგეობის წევრთა უწოდა „неразумные педагоги“.*

მაინც და მაინც თუ ისურვებთ თქვენის წერილის დაბეჭდვას, უკანვე გვიბოძეთ და მაშინვე დავბეჭდავთ.

თქვენი ლექსი პირველსავე ნომერში დაიბეჭდება.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი

ი. მაჩაბელი

16 ნოემბერი. 1883. თბილისი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1460. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2; ჩხეტია 1947: 389).

III.

18 ნოემბერი 1883. ქვიშხეთი.

უძვირფასესო ბატონო

კნიაზო ივანე,

ჩხუბში მე თქვენი მხარე უნდა დავიჭირო და, ჯერჯერობით მაინც, ისეთი აღარა დავაბეჭდინოთ რა, რომ კვერის დაკვრას ეგვანებოდეს მტრისას.

მაგრამ გთხოვთ ეს გადასცეთ ბატონს იაკობს, რომ თუ მესხეთედ დაბეჭდილს ნიგნშიაც ამნაირი საბრალლო ჩვენი

* უგუნური პედაგოგები.

ენის გაუპატიურება ვნახე; მაშინ კი ნუ რას უკაცრავად, რომ აღარც ჩხუბს მივჰხედო, აღარცა რა ვის ხათრი შევეუნახო და მოურიდებლად ღა ვთქვა ჩემი სათქმელი.

ვარიანი რომ ვახსენე, მე ეს არ მიხუმრია. იქაურია ბ. იაკობი და მგონია იქ არა ვინ უთხრას უარი, თუ სთხოვს ვისმე და შინაურულად გადააქართულებინებს, რაც ქართული არ არის.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი
დიმ. ყიფიანი (ქლსმ. №14935-ბ.

ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1; ჩხეტია 1947: 389; აღწერილობა 2016: 446 – ფოტოასლი; მთვარელიძე 2018: 102).

ი. გოგებაშვილის „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ დიმ. ყიფიანისეულ რეცენზიებზე იხ. აგრეთვე: ხომერიკი 1961: 35-41.

¹ (გვ. 251) **„ბ-ნო რედაქტორო! ... თქვენს პატივცემულ გაზეთში“** – *რედაქტორში* ივ. მაჩაბელი, *პატივცემულ გაზეთში* კი „დროება“ იგულისხმება.

² (გვ. 251) **„პირდაპირ მცნებათ კიდობანს ეხება ჩვენსას, ჩვენს წმიდას-წმიდათას“** – *მცნებათა კიდობანსა* და *წმიდა-წმიდათაში* ქართული ენა იგულისხმება.

³ (გვ. 252) **„მეოთხეთაც დაებეჭდათ და ერთს დილას შემომიტანეს ახალი წიგნი“** – იგულისხმება „ბუნების კარის“ 1882 წლის გამოცემა (გოგებაშვილი 1882; „ბუნების კარი“ პირველად 1868 წელს დაიბეჭდა – გოგებაშვილი 1868). „ბუნების კარის“ მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობას, 1882 წლის 25 ივნისით დათარიღებულს, ი. გოგებაშვილი ასე იწყებს: „ამ ახალს გამოცემაში ჩვენ მოვახდინეთ ზოგიერთა ცვლილება-ნი. პირველად ყურადღება მივაქციეთ ენის გაუკეთესობასა. ამ გაუკეთესობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო დიდათ პატივცემულმა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა, რომელმაც გულდადებით გადაიკითხა ეს სახელმძღვანელო და თავის შენიშვნები ენის შესწორების შესახებ გამოგვიგზავნა ჩვენა. ამ შენიშვნებით, რა საკვირველია, ჯეროვანად ვისარგებლეთ

და ენა ყველგან გადავასწორეთ, სადაც კი მის უკანონობაზედ დავრწმუნდით“ (გოგებაშვილი 1882: III).

⁴ (გვ. 255) „...**გადასდვას საზოგადოებამ**“ – იგულისხმება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

⁵ (გვ. 256) „...**ქართლის სოფელს ვარიანში**“ – ვარიანი იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელია (იქ დაიბადა და ბავშვობაც იქვე გაატარა).

ახალი ქართული გრამმატიკა
სხარტულად დანერილი მამისაგან შვილებისათვის
(გვ. 258-418)

ნაბეჭდი:

ახალი ქართული გრამმატიკა სხარტულად დანერილი მამისაგან შვილებისათვის დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა. სანკტ-პეტერბურლი: სამეცნიერო აკადემიის სტამბა. 1882. 199 გვ.

დიმიტრი ყიფიანი – 200. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 520-724.

თარიღი: 5 დეკემბერი]. 1881. შაბ[ათი].

წიგნში სათაურს მოსდევს კორექტურული შეცდომების გასწორება („ბეჭდვაში შემოპარულს რამდენსამე შეცდომას მოვკუპარით თვალი და გასწორებას ვითხოვთ“ – ყიფიანი 1882: I-IV). **წინამდებარე პუბლიკაციაში ავტორის მიერ მითითებული კორექტურა ჩვენ მიერ გასწორებულია.**

ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში, დაცულია:

1. „ახალი ქართული გრამმატიკის“ ერთ-ერთი თავის („სახელი არსებითი“) ხელნაწერი (საქ. №107. ხელმოუწერელი. უთარილო. ფ. 4).

2. მიმონერა დიმ. ყიფიანსა და სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბის წარმომადგენლებს შორის. ამ მიმონერიდან ირკვევა, რომ:

ა) „ახალი ქართული გრამმატიკის“ ტირაჟი იყო 610 ეგზემპლარი და მისი გამოცემა ავტორს დაუჯდა 427 მან. და 88 კაპ. (საქ. №101. ფ. 1).

ბ) დიმ. ყიფიანი სტამბის წარმომადგენელს, ვინმე აგვუსტ ივანეს ძეს, 1883 წლის 25 იანვრის წერილით სთხოვს, რომ „ახალი ქართული გრამმატიკის“ თითო ეგზემპლარი ავტორის სახელით საჩუქრად გაუგზავნონ პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს: დავით იესეს ძე ჩუბინოვს, ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკის, ვასილ გიორგის ძე მაჩაბელს, ივანე ალექსანდრეს ძე ნაკაშიძეს; აგრეთვე, მიხეილ პავლეს ძე საბინინს (საქ. №102, ფ. 1).

გ) დიმ. ყიფიანისადმი სტამბის წარმომადგენლის 1883 წ. 11 აპრილის წერილის მიხედვით, სტამბა საქართველოში აგზავნის „გრამმატიკის“ ტირაჟს, აგრეთვე, იტყობინებთან, რომ დიმ. ყიფიანის მიერ მითითებულ ზემოხსენებულ (პეტერბურგში მცხოვრებ) პირებს უკვე გაუგზავნეს წიგნის თითო ეგზემპლარი. საბუთს ბოლოში დართული აქვს დიმ. ყიფიანის მინაწერი, რომლის მიხედვითაც მას თავისი „გრამმატიკა“ საჩუქრად გაუგზავნია გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორ დავით ერისთავისთვის და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისთვის („დროება“, „ივერია“, „იმედი“ – თბილისში; „შრომა“, „ქართული ბიბლიოთეკა“ – ქუთაისში) (საქ. №103. ფ. 3).

დ) სტამბის წარმომადგენლის, ფ. მარტენსის, 1882 წლის 25 სექტემბრის წერილის მიხედვით, დიმ. ყიფიანის ხელნაწერს თავიდანვე აკლდა ორი (93-ე და 94-ე) გვერდები. ფ. მარტენსი ვარაუდობს, რომ ეს უნდა იყოს ნუმერაციის დროს დიმ. ყიფიანის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომა. აქვე ისიც არის ნათქვამი, რომ წიგნის კორექტურის კითხვაში მონაწილეობს დავით ჩუბინაშვილი (საქ. №1455. ფ. 1).

„ახალი ქართული გრამმატიკის“ რამდენიმე მონაკვეთის ავტოგრაფული ვარიანტი (შავი) დაცულია ქლსმ-ში (№14770-ბ. ფ. 2).

როგორც ითქვა (აქვე, გვ. 261), დიმ. ყიფიანი თავის „ახ-

ალ ქართულ გრამმატიკაში“ იყენებს მთავრულ ასოებს. აღსანიშნავია, რომ მას ნაბეჭდ ტექსტებში ასომთავრულის გამოყენების სურვილი ადრეც გამოუთქვამს. მაგალითად, 1879 წელს დაწერილ თხზულებაში „უცნაური ნადირობა“ ვკითხულობთ:

„ახლანდელი ქართული სტამბა მეტად მიჭირვებს საქმეს. ძალიან მიყვარს ახალი ამბეების კითხვა: მაგრამ თვალს მოსვენება კი არა აქვს, და მეტადრე, როდესაც „ივერიაში“ ვჭკითხულობ რასმე: ფურცელზედ თავივად ბოლომდინ სულ ლარათ გაყვანილი გარანდული სტრიქონებია, თითქო ხშირი ხაზებით არის ქალაღი დახაზულიო!.. რატომ ნაწილ-ნაწილად არა ჰყოფთ ხოლმე თქვენა უშველებელს პერიოდებსა?.. რატომ ასომთავრულებს აღარა ხმარობთ, რისთვის გადააგდეთ ეს ასომთავრულები?.. ევროპიული, ქრისტიანური მართლწერა გეთაკილებათ თუ უფრო თათრულსა და არაბულს ამჯობინებთ?.. თქვენი თხზულების კითხვაში იქნება რა გაჭირება დამადგა, რომ ერთ წამს თვალი მოვაცილო და სხვაგან მივიხედო; მაგრამ სად შევაყენო აქა, რომ მსხვილი ასო მთელს გვერდზედ ერთიც არსად არის და წერტილი არსადა ჰსჩანს?.. თუ კი დაგვაბრმავებთ, ვიღამ უნდა იკითხოს თქვენი ნაჯღაბი და ნაკანრი? ვიღა ეშმაკებში გაასაღებთ?..“ (ციფიანი 1880: 103-104; ციფიანი 2016^ა: 178-179).

მოგვიანებით (XX ს. 60-იანი წწ.) ეს საკითხი (ასომთავრულის გამოყენება) აკაკი შანიძემ დასვა (შანიძე 1962: 49-62; შანიძე 1967^ა; შანიძე 1967^ბ: 13-14). მსჯელობისას იგი დიმ. ციფიანსაც ახსენებს (შანიძე 1967^ბ: 14) და არგუმენტებიც არსებითად იგივე მოჰყავს, რაც – დიმ. ციფიანს (ევროპული წესი, „დამღლევი კითხვა...“ – შანიძე 1962: 56, 57, 60; შანიძე 1967^ა; საინტერესოა, რომ 1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, რომელშიც ღვანლმოსილი მეცნიერისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მთლიანად (მთელ კრებულში) ასომთავრულია გამოყენებული – ორიონი 1967].

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზ ყიფიანის ცნობით, დიმ. ყიფიანს, სანამ „ახალი ქართული გრამმატიკის“ წერას შეუდგებოდა, სპეციალურად უსწავლია ლათინური ენა: „...დააპირა ქართული გრამმატიკის შედგენა და ამისათვის საჭიროდ სცნო ლათინური ენაც ესწავლა, შეუდგა ლათინურის სწავლასა და ისე საფუძვლიანად ისწავლა, რომ ოვიდის და ვირგილის თხზულებებს თავისუფლად კითხულობდა“ (ყიფიანი 1894: 89; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 19). დიმ. ყიფიანმა ლათინური რომ იცოდა, ამას შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: 1881 წელს მას იონა მეუნარგიას თხოვნით ლათინური ენიდან ორ ვარიანტად უთარგმნია XVII ს. ფრანგი მწერლისა და სასულიერო მოღვაწის ჟაკ ბენინ ბოსიუეს [დიმ. ყიფიანთან – ბოსვეტი; ი. მეუნარგიასთან – ბოსსიეტი] ერთ-ერთი ქადაგების ტექსტი (ქლსმ. №17462-ბ. ფ. 2; მეუნარგია 1954: 189-190; მთვარელიძე 2018: 47-49).

დიმ. ყიფიანის „ახალ ქართულ გრამმატიკას“ ჰქონდა არა მხოლოდ პედაგოგიური დანიშნულება, არამედ მკაფიოდ გამოხატული სამეცნიერო მიზანდასახულობა და პოლიტიკური კონტექსტი. „გრამმატიკას“ მაღალ შეფასებას აძლევდნენ გამოჩენილი მეცნიერები აკაკი შანიძე (შანიძე 1998: 303-305; შანიძე 2016: 25-28) და არნოლდ ჩიქობავა (ჩიქობავა 1998: 306-314; ჩიქობავა 2016: 11-24). ა. შანიძის აზრით, „ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით მისი [დიმ. ყიფიანის – თ. ჯ.] გრამატიკა წინანდელ გრამატიკებზე უფრო მაღლა დგას და მათ შორის დ. ჩუბინაშვილისაზედაც“ (შანიძე 1998: 305; შანიძე 2018: 28), ხოლო არნ. ჩიქობავას შეფასებით, „ეს გრამატიკა ობიექტურად, მართლაც, ახალი გრამატიკაა; იგი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ... სამწუხარო ისღაა, რომ არც ნ. მარს, არც მათ, ვისაც შემდეგში ქართული ენის აგებულებისა და, კერძოდ, ქართული ზმნის უღვლილების პრობლემებზე მუშაობა უხდებოდათ, არსად, ერთის სიტყვი-

თაც არ მოუხსენებიათ ის შესანიშნავი ნაშრომი, რომელშიაც უკვე ამოცნობილი იყო ძირითადი თვისება ქართულის ზმნისა – მიმართვითი ფორმების არსებობა“ (ჩიქობავა 1998: 309, 314; ჩიქობავა 2016: 16, 22; დიმ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკის შესახებ იხ. აგრეთვე: შანიძე 1969: 13-14; ლეჟავა 1986: 60-90; ლეჟავა 2004: 6-18).

„ახალი ქართული გრამმატიკის“ პოლიტიკური კონტექსტის შესახებ სიმონ ხუნდაძეს უწერია:

„დ. ყიფიანს... პოლიტიკური მომენტებიც ამოქმედებდა ამ წიგნის გამოქვეყნების დროს... ვორონცოვის შემდეგ პერიოდში თვითმპყრობელობის პოლიტიკა ადგილობრივ ერებისადმი საგრძნობლად იცვლება, ხოლო შამილის შეპყრობისა და მთიელების საბოლოო დამარცხების (1864 წ.) შემდეგ რუსიფიკატორული პოლიტიკა თავის სააშკარაოზე გამოვიდა. განსაკუთრებით 70-იანი წლების მეორე ნახევარში და 80-იან წლებში... განსაკუთრებით მიზანში იყო ამოღებული ქართული სკოლა და ქართული ენა. ქართული ენის შევიწროვებისა და სკოლის გარუსების საშუალებით შავი რეაქცია ცდილობდა დენაციონალიზაცია თავის ლოლიკურ შესაძლებლობამდე მიეყვანა... ამტკიცებდენ, რომ ქართველებს არა ყავთ შესაფერისი კადრი პედაგოგიური პერსონალისა და შესაფერისი სახელმძღვანელოები ქართულს ენაზე, რომ შესაძლებელი იყოს ქართული სკოლის არსებობა და უზრუნველყოფა... დ. ყიფიანი თავდადებით იცავდა ქართულ სკოლასა და ქართულ ენას რუსიფიკატორთა შემოტევისაგან. მისი „ახალი ქართული გრამმატიკა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღთაგანი იყო, ამ შავრაზმელების წინააღმდეგ მიმართული“ (ხუნდაძე 1936: 188-189).

პოლიტიკურ კონტექსტით იყო განპირობებული ისიც, რომ „ახალი ქართული გრამმატიკის“ გამოცემას კრიტიკულად შეხვდა ჟურნალი „იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ (თბილისში გამოდიოდა) და ამას დიმ. ყიფიანის მწვავე პასუხი მოჰყვა (ყიფიანი 2017^b: 96-101, 307-321).

¹ (გვ. 260) **„თვალთ დამანახვეს, რომ მართლა არ მოხ-
ვრხდებოდა“** – 1882 წლის 18 იანვრიდან 12 ივნისამდე დიმი-
ციფიანი ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკის მამულებთან დაკა-
ვშირებულ საქმეებზე პეტერბურგში იმყოფებოდა. ამ პერი-
ოდის „დღიურში“, 27 აპრილის ჩანაწერში, მას აღნიშნული
აქვს: „დღეს მივეც სტამბაში გრამმატიკა“ (ციფიანი 2012:
271), 8 მაისს კი იმავე „დღიურში“ ჩაუწერია: „პირველი კორ-
რექტურა გრამმატიკისა“ (ციფიანი 2012: 271).

² (გვ. 260) **„ამას დასჭირდებოდა – დრო ორიოდ თვე და
ფული ათიოდე თუმანი“** – იმ დროს პეტერბურგში მყოფ დიმი-
ციფიანს (იხ. წინა კომენტარი) არც დრო ჰქონდა საკმარისი
(არ იცოდა, სამშობლოში დაბრუნება როდის მოუწევდა) და
მატერიალურადაც ისეთ კრიზისს განიცდიდა, რომ თბილის-
ში დავით ჩუბინაშვილისაგან ნასესხები ფულით დაბრუნდა
(ციფიანი 1990: 96). სხვათა შორის, სწორედ ხელმოკლეობამ
აიძულა დიმიციფიანი მოგვიანებით (1883 წლის 1 ნოემბერს)
სტამბისთვის ვალის გადავადება თბილისიდან ეთხოვა: „ფუ-
ლის მხრივ ჩემი ამჟამინდელი უმძიმესი კრიზისი სამწუხარო
და უხერხული ვითარების წინაშე მაყენებს – იძულებული
ვარ, უმორჩილესად გთხოვოთ ვალის კიდევ ერთხელ გადა-
ვადება დაახლოებით ოთხი თვით“ [ხეც. დიმიციფ. არქ., საქ.
№754. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1].

³ (გვ. 263) **„ღრამმატიკა არხიეპისკოპოზის გაიოზისა,
კრემენჩუგში დაბეჭდილი 1789-ს“** – გაიოზ რექტორის „ქა-
რთული ღრამმატიკა“ კრემენჩუგშია **დანერილი** („წელს[ა]
1789, თთუესა ოკტომბერს 2. კრემენჩუკს. გაიოს“ – ქართუ-
ლი წიგნი 1941: 74; ნიკოლაიშვილი 1970: 17), თუმცა **დაიბეჭ-
და** მოგვიანებით, მოზდოკში, 1796-1800 წლებს შორის (ქარ-
თული წიგნი 1941: 74).

⁴ (გვ. 263) **„ღრამმატიკა დავით ბატონიშვილისა, ანგარ-
იშით 1798-ს შედგენილი“** – დავით ბატონიშვილის „ღრამმა-
ტიკა“ შედგენილია 1792 წელს – იხ. 1792 წლის 13 ოქტომბრით
დათარიღებული ხელნაწერი დავით ბატონიშვილის „ღრამმა-

ტიკისა“, გადანერილი გიორგი დიაკონის მიერ – S-3443; აღწერილობა იხ. აღწერილობა 1967: 50-51.

⁵ (გვ. 263) **„ღრამმატიკა იოანე ქართველოვისა, 1809-ს. ხელნაწერი“** – იოანე ქართველიშვილის (ქართველოვის) „გრამატიკის“ ხელნაწერი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-4432): „ქართული ღრამმატიკა, შეთხზული ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებლის მოძღურის პროტოტოპის იოანე ქართველოვისაგან სახმარად მისვე სასწავლებლისა 1809 წელსა ტფილისს“ (აღწერილობა იხ. აღწერილობა 1967: 308-310).

ცნობები, თითქოს 1815 წელს თბილისში გამოცემული და 1825 წელს მოსკოვში ხელმეორედ დაბეჭდილი „ქართული ღრამმატიკა“ იოანე ქართველიშვილისა იყოს, სწორი არ არის და სინამდვილეში მისი ავტორი იესე ჩუბინაშვილია (აღწერილობა 1967: 310; ბერძნიშვილი 1983: 201).

⁶ (გვ. 263) **„ღრამმატიკა დეკანოზის იესე ჩუბინოვისა, ხუცურად დაბეჭდილი, როდის და სად, არა სჩანს“** – იესე ჩუბინაშვილის „გრამატიკა“ ავტორის, გამოცემის ადგილისა და წლის მიუთითებლად ორჯერ გამოიცა: ა) ქართული ღრამმატიკა [თბილისი: 1815]; ბ) ქართული ღრამმატიკა [მოსკოვი: 1825].

„ქართულ წიგნში“ (ბიბლიოგრაფია. თბილისი: 1941, გვ. 88, 97) ამ „გრამატიკის“ ავტორად იოანე ქართველიშვილია მითითებული, რაც არ არის სწორი (იხ. წინა კომენტარი).

⁷ (გვ. 264) **„პროფესსორის დავით იესეს ძის ჩუბინოვისა, 1855-ს. დაბეჭდილი სპ.-ბურღს“** – დავით ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის) „გრამატიკასთან“ (ჩუბინაშვილი 1855) დიმ. ყიფიანის დამოკიდებულების შესახებ იხ. აქვე, გვ. 200-238, 470-476.

⁸ (გვ. 264) **„არის გამოკვლეული და დაფასებული ჩვენი პატივცემული პროფესსორი ალექსანდრე ცაგარლისაგან 1873-ში“** – იგულისხმება წიგნი: Цагарели А. О грамматической литературе грузинского языка. Критический очерк. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук. 1873

⁹(გვ. 288) „შრომის“ მოღვაწენი ... ზოგი და ზოგი „დროებისა“ და „ივერიის“ – მოღვაწენი...“ – იგულისხმება პერიოდული გამოცემები:

„შრომა“ (1881-1883) – ქუთაისში გამოცემული პირველი ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი [რედაქტორი დიმ. დადიანი, გამომცემელი დიმ. ნაზარიშვილი (ნაზაროვი)];

„დროება“ (1866-1885) – საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ყოველდღიური (1877 წლიდან) გაზეთი. რედაქტორები: გიორგი წერეთელი (1866-1869), სერგეი მესხი (1869-X.1873; X.1874-1882), კირილე ლორთქიფანიძე (X.1873-X.1874), ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი (1880-1881), ივანე მაჩაბელი (1883-1885), გამომცემლები: სტეფანე მელიქიშვილი (1866-1882), გიორგი ქართველიშვილი (1883-1885);

„ივერია“ (1877-1906) – საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გამოცემა (1877-1878 – ყოველკვირეული გაზეთი, 1879 – ყოველთვიური ჟურნალი, 1880 – სამთვიური ალმანახი, 1881-1885 – ყოველთვიური ჟურნალი, 1886-1905 – ყოველდღიური გაზეთი, 1906 – ყოველკვირეული გაზეთი). დამაარსებელი, რედაქტორი (1877-1901; 1880-1881 – სერგეი მესხთან ერთად) და გამომცემელი (1877-1902) ილია ჭავჭავაძე. ბოლო წლებში „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ: ალექსანდრე სარაჯიშვილი (1902-1903), გრიგოლ ყიფშიძე (1903-1905) და ფილიპე გოგიჩაიშვილი (1905-1906). გამომცემლები: ალექსანდრე სარაჯიშვილი (1902-1905) და პავლე თუმანიშვილი (1905-1906).

¹⁰(გვ. 288) „თავისი თანშეხვედლი იდიოტიზმები“ – **იდიოტიზმი**: ლიტერატურულ ტექსტში ადგილობრივი (კუთხური, დიალექტური) ენობრივი ფორმებისა თუ გამოთქმების გამოყენება. ზოგჯერ ენობრივ პროვინციალიზმთან აიგივებენ.

¹¹(გვ. 296) „თვისება აზნაურების“ („აზნაურის“, „აზნაურულის“) შესახებ იხ. აქვე, გვ. 466.

¹²(გვ. 364) „...ზოგი, როგორც ჩვენი პატივცემული რაფ. ერისთავი, ჩვიდმეტადაც“ – ავტორს მხედველობაში აქვს რაფიელ ერისთავის „ღრამმატიკა. მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა, რომელიცა აჩუენებს ყრმათა მაგალითსა განყოფილებისა მათისასა მოკლედ, რომლითაცა უადვილესად შესაძლო არს გულისა ხმის ყოფა და ადვილად დაენერგვისთ გულთა შინა“ (Тифлис: Типография С.Г. Меликова. 1880).

და მ ო ნ მ ე ბ ა ნ ო

აქტები 1874: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. VI. Ч. I. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1874.

აქტები 1881: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. VIII. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1881.

აქტები 1885: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. т. X. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1885.

აქტები 1888: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. XI. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1888.

აღწერილობა 1967: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია). ტ. V (შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა ე. მეტრეველის რედაქციით). თბილისი: მეცნიერება. 1967.

აღწერილობა 2016: ხელნაწერთა აღწერილობა. XIX საუკუნე. ნგნ. II. გამომცემელი ლ. ბაქრაძე. შემდგენელ-რედაქტორი თ. თვალავაძე. ტექსტი მოამზადეს: ი. ლაღუამ, ნ. კიკნაძემ, მ. ყიფიანმა. თბილისი: გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. 2016.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

ბოროზდინი 1934: ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1934.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1893: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 19. Т. X. С.-Петербург: Типо-Литография И.А. Ефрона. 1893.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1895: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 31. Т. XVI. С.-Петербург: Типо-Литография И.А. Ефрона. 1895.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1896: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 35. Т. XVIII. С.-Петербург: Типо-Литография И.А. Ефрона. 1896.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1897: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 39. Т. XX. С.-Петербург: Типо-Литография И.А. Ефрона. 1897.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1901^ა: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 63. Т. XXXII. Санкт-Петербург: Типография Акц. Общ. „Издательское Дело“, Брокгауз-Ефрон. 1901.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1901^ბ: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 65. Т. XXXIII. С.-Петербург: Типография Акц. Общ. „Издательское Дело“, Брокгауз-Ефрон. 1901.

ბუაჩიძე 1983: Буачидзе Г.С. Мари Броссе. Страницы Жизны. Тбилиси: Мерани. 1983.

გარინა 2018: Гарина О.В. К вопросу о деятельности медицинской полиции XIX в. <https://research-journal.org/law/k-vo-prosu-o-deyatelnosti-medicinskoj-policii-v-xix-v/>

(9.IX.2019)

გაფრინდაშვილი 1970: გაფრინდაშვილი მ. ქართული კულტურა XIX საუკუნეში. // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). ტ. V (საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში). ტომის რედაქტორი ი. ანთელავა. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1970.

გოგებაშვილი 1868: ბუნების კარი. საყმანვილო წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი. შედგენილი ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ. საქართველოს კარტით. მელიქიშვილისა და კამპანიის სტამბა. ტბილისი: 1868.

გოგებაშვილი 1876: გოგებაშვილი ი. დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის, შედგენილი ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ. გამოცემა პირველი, სურათებით. თბილისი: მელიქიშვილის და კამპ[ანიის] სტ[ამბა]. 1876.

გოგებაშვილი 1882: ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროს კლასებში სახმარებელი. შედგენილი ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ. მეოთხე შეცვლილი გამოცემა. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა. 1882.

გოგებაშვილი 1894: იაკობ სიმონიძე [გოგებაშვილი, იაკობ]. პასუხი „კვალის“ რაზმსა (დასასრული მესამე წერილისა). „ივერია“, 26 ოქტომბერი, 1894, №226.

გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი. პასუხი „კვალის“ რაზმსა (წერილი მესამე). // ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად). ტ. IV (ტომის შემდგენელი: ვ. რამიშვილი, ლ. ქაჯაია. შენიშვნები და კომენტარები ვ. რამიშვილისა). თბილისი: განათლება. 1990.

გოზალიშვილი 1940: გოზალიშვილი შ. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერა იაკობ გოგებაშვილთან. „მნათობი“, 1940, №10.

გუგუშვილი 1956: გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. II. თბილისი: სახელგამი. 1956.

გურული 2017: გურული ვ. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). წგნ. I. თბილისი: ქართული უნივერსიტეტი. 2017.

ერისთავი 1966: ერისთავი გ. თხზულებანი. ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.

ესაძე 1907: Эсадзе С. С. Историческая записка об управлении Кавказом. т. I. Тифлис: Типография „Гуттенберг“. 1907.

ვანიშვილი 1989: ვანიშვილი შ. ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში (1864-1917 წწ.). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.

ზისერმანი 1891: Зиссерман А. Д. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879. т. III. Москва: Унив. тип. 1891.

თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. // გ. თავზიშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ი. ბოცვაძის რედაქციით. ტ. I. თბილისი: განათლება. 1974.

თბილისის ისტორია 1990: თბილისის ისტორია. ტ. I (თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე). ტომის რედაქტორები: მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა. თბილისი: მეცნიერება. 1990.

ივერია 1888: ახალი ამბავი („გუშინ დაასაფლავეს კალოუბნის ეკლესიის გალავანში...“). „ივერია“, 29 მარტი, 1888, №66.

იოსელიანი 1869: იოსელიანი პ. სიტყუა საყოველთაოდ საუნყებელი, ნიგნთა ქართულთა ბეჭუდისა-გამო. „ცისკარი“, 1869, №3 (მარტი).

კანონთა კრებული 1849: Полное собрание законов Российской Империи. Собрание второе. Т. XXIV. Отд. 1. 1849. <https://www.runivers.ru/bookreader/book9907/#page/312/mode/1up> (9.IX.2019)

კერესელიძე 1852: ყრმათა მეგობარი. პირველად დაწყებისა თვს წარკითხვისა. გადმოთარგმნილი რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა ივ. კერესელიძისა მიერ (პირველად გამოცემული). ტფილისი: 1852.

კერესელიძე 1853: საკითხავი ნიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვს. რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი

ივ. კერესელიძის მიერ. ტფილისი: კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის სტამბა. 1853.

კერესელიძე 1855: საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის, რუსულითგან გაკეთებული ივ. კერესელიძის-მიერ. ტფილისი: ნამესტნიკის კანცელარიის სტამბა. 1855.

კერესელიძე 1861: საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის, რუსულიდგან გადმოკეთებული ივ. კერესელიძისაგან. მეოთხედ გამოცემული. ტფილისი: კერესელიძის სტამბა. 1861.

ლეჟავა 1986: ლეჟავა ლ. დიმიტრი ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკა“. // კრბ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (XXV. 1986).

ლეჟავა 2004: ლეჟავა ლ. მეტყველების კულტურის საკითხები დიმიტრი ყიფიანის „ახალ ქართულ გრამმატიკაში“. // ლ. ლეჟავა. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალ-იზაციის ისტორია და პრინციპები. თბილისი: 2004.

მეუნარგია 1954: მეუნარგია ი. ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.

მთვარელიძე 2018: მთვარელიძე მ. დიმიტრი ყიფიანი – ლიტერატორი. თბილისი: უნივერსალი. 2018.

მულიკოვსკი 1857: Муликовский А. П. Об имениях Греческой Церкви в Закавказском крае. „Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества“. Изданная под редакциею действ. членов отдела А.Т. Филадельфина и Л.П. Загурского. Книга IV. Тифлис: 1857.

ნანიტაშვილი... 2004: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თანამედროვეთა მოგონებები. შემდგენელი ლ. ნანიტაშვილი. წინასიტყვაობა, რედაქცია, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები, სახელთა საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: რჩეული. 2004.

ნიკოლაიშვილი 1970: ნიკოლაიშვილი ე. გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა. // გაიოზ რექტორი. ქართული ღრამმატიკა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ე. ნიკოლაიშვილმა. თბილისი: მეცნიერება. 1970.

ნიკოლაძე 1964: ნიკოლაძე ნ. დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი. // ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1964.

ორბელიანი 1965: ორბელიანი ს.-ს. ლექსიკონი ქართული. // ს.-ს. ორბელიანი. თხზულებანი (ოთხ ტომად). ტ. IV₁. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1965.

ორიონი 1967: ორიონი – აკაკი შანიძეს (საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1967.

ორჯონიკიძე 1992: ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის პირველი ნახევარი). თბილისი: მეცნიერება. 1992.

რევიშვილი 1977: რევიშვილი შ. გერმანულ-ქართული ეტიუდები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1977.

სამართლის ძეგლები 1963: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1963.

საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. [ტ.] II. თბილისი: ზეკარი. 2007.

სახოკია 1985: სახოკია თ. მოგზაურობანი (გურია. აჭარა. სამურზაყანო. აფხაზეთი). გ. ჩიტაიას რედაქტორობითა და წინათქმით. ბათუმი: საბჭოთა აჭარა. 1985.

ფალავანდიშვილი 1841: Князь П. [Палавандишвили (Палавандов), Захарий]. Грузинско-Русско-Французский словарь, составленный Давидом Чубиновым. „Журнал министерства народного просвещения“. Октябрь. 1841.

ფაშაევი 1998: Пашаев А. А. Город Ордубад в XIX-начале XX вв. (Историко-этнографическое исследование). Баку: Элм. 1998. [<http://www.elibrary.az/docs/BOOKS/R1743%D1%81.pdf>]

(9.IX.2019)

ქართული წიგნი 1941: ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. I (1629-1920). თბილისი: წიგნის პალატის გამოცემა. 1941.

ქეგლ 1955: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1955.

ქილილა და დამანა 1949: ქილილა და დამანა (იგავ-არაკები). ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1949.

ქილილა და დამანა 1975: ქილილა და დამანა. სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ. თბილისი: მერანი. 1975.

ქსე 1975: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. [ტ.] 1. თბილისი: 1975.

ქსე 1980: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. [ტ.] 5. თბილისი: 1980.

ქსე 1986: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. [ტ.] 10. თბილისი: 1986.

ყიფიანი 29: დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია (1831-1864 წწ.). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29.

ყიფიანი 1880: ბაქარ ქართლელი [ყიფიანი, დიმიტრი]. უცნაური ნადირობა. „ივერია“. 1880, №1 [იანვარი].

ყიფიანი 1882: ყიფიანი დიმ. ახალი ქართული გრამმატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის. სანკტ-პეტერბურლი: სამეცნიერო აკადემიის სტამბა. 1882.

ყიფიანი 1894: ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. „მოამბე“, 1894, №4 (აპრილი), ნაკვ. II.

ყიფიანი 1990: ყიფიანი დიმ. მემუარები. რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუცოშვილისა. თბილისი: საქართველო. 1990.

ყიფიანი 2012: ყიფიანი დიმ. დღიური 1882 წლისა. // XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები (სერია – „ჩანაწერები“). [შემდგენელი და] რედაქტორი თ. ჯოლოგუა. თბილისი: ინტელექტი. 2012.

ყიფიანი 2016^ა: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. I (პოეზია. პროზა. თარგმანები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: არტანუჯი. 2016.

ყიფიანი 2016^ბ: ყიფიანი დიმ. ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. I. თბილისი: არტანუჯი. 2016.

ყიფიანი 2016^გ: ბაქარ ქართლელი [ყიფიანი, დიმიტრი]. უცნაური ნადირობა. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. I. თბილისი: არტანუჯი. 2016.

ყიფიანი 2017^ა: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. II (პუბლიცისტიკა. ლიტერატურული წერილები. საისტორიო თხზულებები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2017.

ყიფიანი 2017^ბ: ყიფიანი დიმ. ბატონ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკა. 2017.

ციფიანი 2017^ა: ციფიანი დიმ. რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე. // დიმ. ციფიანი. თბზულე-ბანი... ტ. II. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2017.

ციფიანი 2018^ა: ციფიანი დიმ. თბზულებანი. ტ. III (ბატონ-ყმობა. საბანკო-საკრედიტო საქმე. იურიდიული თბზულე-ბები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2018.

ციფიანი 2018^ბ: ციფიანი დიმ. შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ. // დიმ. ციფიანი. თბზულე-ბანი... ტ. III. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2018.

შანიძე 1962: შანიძე ა. დაფარული საუნჯე (ქართული მთავრული შრიფტის საკითხის გამო). ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1962, №9.

შანიძე 1967^ა: შანიძე ა. მთავრული ასოების ხმარების გამო ქართულში. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 30.VI, 1967, №26.

შანიძე 1967^ბ: შანიძე ა. ქართული ორთოგრაფიის ისტორიიდან (მთავრული ასოების ხმარების გამო). ჟურნ. „დროშა“. 1967, №10.

შანიძე 1969: შანიძე ა. იძულებითი განმარტება. ჟურნ. „დროშა“, 1969, №1.

შანიძე 1998: შანიძე ა. დიმიტრი ციფიანი, როგორც გრამატიკოსი. // ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. VII. თბილისი: 1998.

შანიძე 2016: შანიძე ა. დიმიტრი ციფიანი, როგორც გრამატიკოსი. // დიმიტრი ციფიანი (ცხოვრებისა და მოღვაწეობის, შემოქმედების ამსახველი წერილები, გამოკვლევები, მოგონებები, მისდამი მიძღვნილი ლექსები). შეადგინა, ბიბლი-

ოგრაფიული შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო თ. ლაცაბიძემ. წგნ. II. თბილისი: თაზისი. 2016.

შილერი 1852: განყოფა სოფლისა. შილლერისაგან. [თარგმანი თ[ავად] გ[იორგი] ერი[სთავისა]. „ცისკარი“, 1852, №5.

ჩიქობავა 1965: ჩიქობავა არნ. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისი: განათლება. 1965.

ჩიქობავა 1998: ჩიქობავა არნ. დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი. // ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. VII. პუბლიკაცია მოამზადა თ. ჯოლოგუამ. თბილისი: 1998.

ჩიქობავა 2016: ჩიქობავა არნ. დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი. // დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრებისა და მოღვაწეობის, შემოქმედების ამსახველი წერილები, გამოკვლევები, მოგონებები, მისდამი მიძღვნილი ლექსები). შეადგინა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო თ. ლაცაბიძემ. წგნ. II. თბილისი: თაზისი. 2016.

ჩიქოვანი 2007: Чиковани Ю. Род Абхазских Князей Шервашидзе (историко-генеалогическое исследование). Тбилиси: Универсал. 2007.

ჩუბინაშვილი 1840: Чубинов Д. Грузинско-русско-французский словарь. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук. 1840

ჩუბინაშვილი 1855: Чубинов Д. Краткая грузинская грамматика. Санкт-Петербург: Типография Императорской Академии Наук. 1855.

ჩუბინაშვილი 1857: Ответ на отзыв о Грузинской Грамматике профессора Чубинова, помещенный в №5 грузинского журнала „Заря“. „Кавказ“. 25.VI, 1857, №48.

ჩუბინაშვილი 1961: ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.

ჩუბინაშვილი 1973: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული

ლექსიკონი. ალ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით.
II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.

ჩუბინაშვილი 1984: ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული
ლექსიკონი. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურ-
თო ა. შანიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984.

ჩუდინოვი 1910: Чудинов А. Н. Словарь иностранных слов,
вошедших в состав русского языка. [http://rus-yaz.niv.ru/doc/for-
eign-words-chudinov/index-203.htm#203](http://rus-yaz.niv.ru/doc/foreign-words-chudinov/index-203.htm#203).

(9.IX.2019).

ჩხეტია 1944: ჩხეტია შ. რუსული მმართველობის სისტე-
მა საქართველოში (1840-1864). საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის მ ო ა მ ბ ე. XII-B. 1944.

ჩხეტია 1945: ჩხეტია შ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. I (მა-
სალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ). თბილისი: სსსრ
შინსახკომის საარქივო სამმართველოს გამომცემლობა. 1945.

ჩხეტია 1947: ჩხეტია შ. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვ-
ლელობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947.

ჩხეტია 1949: ჩხეტია შ. ნატურალური ბეგრის საკითხ-
ისთვის რეფორმადელ საქართველოში. ა. ს. პუშკინის სახ-
ელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის
შრომები. VI. 1949.

ჩხეტია 1963: ჩხეტია შ. აფხაზეთის სამთავროს ისტორი-
ისათვის (1853-1856). „საისტორიო მოამბე“, [ტ.] 15-16. 1963.

ჩხეტია 1963^ბ: ჩხეტია შ. აფხაზეთის სამთავროს გაუქმე-
ბის საკითხი ყირიმის ომის დროს და დიმიტრი ყიფიანი. ა. მ.
გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-
სტიტუტის შრომები. XVI. 1963.

ცაგარელი 1894: Цагарели А. А. Сведения о памятниках
грузинской письменности. Т. I. Вып. III. Санкт-Петербург:
Типография Императорской Академии Наук. 1894.

ცაიშვილი 1947: ცაიშვილი სოლ. გრიგოლ ორბელიანის
ნამსახურებითი სია. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთ-
ნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. I. 1947.

ცისკარი 1857: ღრამმატიკა უფ. ჩუბინოვისა, დაბეჭდილი

ს. პეტერბურღში, საიმპერატორო აკადემიის სტანბაში. „ცის-კარი“. 1857, №5 (მაისი).

ძიძარია 1955: Дзидзария Г.А. Восстание 1866 года в Абхазии. Сухуми: Абхазское государственное издательство. 1955.

წერეთელი 1959: წერეთელი ქ. კავკასიის სასწავლო ოლქის მუშაობაში დ. ყიფიანის მონაწილეობის საკითხისათვის. // ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. III. 1959.

ხანთაძე 1966: ხანთაძე შ. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1966.

ხარატიშვილი 2012: Харатишвили Г. С. Захар Корганов (Зураб Корганашвили). В память о первом (?) грузинском студенте Санкт-Петербургского университета (1817-1821) // Вестник Санкт-Петербургского Университета. Серия 13. Выпуск 1. 2012. <https://aasjournal.spbu.ru/issue/view/182/2012-1%20PDF>

(9.IX.2019).

ხომერიკი 1961: ხომერიკი ნ. დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროში. // ნ. ხომერიკი. ლიტერატურული ჩანაწერები. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1961.

ხუნდაძე 1936: ხუნდაძე ს. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936.

ხუნდაძე 1951: ხუნდაძე ტ. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა. 1951.

ჯანაშია 1988: ჯანაშია ს. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. //ს. ჯანაშია. შრომები. VI. თბილისი: მეცნიერება. 1988.

ჯოლოგუა 2002: ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002.

ჯოლოგუა 2011: ჯოლოგუა თ. მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ. // „აკაკი წერეთელი – 170“

(საიუბილეო კრებული). თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2011.

ჯოლოგუა 2013: ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი: არტანუჯი. 2013.

ჯორჯაძე 1909: ჯორჯაძე ა. წარსულის გაკვეთილი. „დროება“, 25 ნოემბერი, 1909, №262.

ჯორჯაძე 1988: ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნებისა და მოღვაწეობის მატიანე. 1913 წელი, ტფილისი, „სახალხო გაზეთი“). თ. მაღლაფერიძის პუბლიკაცია, მისივე წინათქმით. „ცისკარი“, 1988, №№4-8.

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე). // ა. ჯორჯაძე. ნერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ა. თ. – ამა თვის.

ავტ. – ავტორი.

არქ. – არქივი.

აღწ. – აღწერილობა.

ბ. (ბ-ნი) – ბატონი (თავაზიანი ხსენების ან მიმართვის ფორმა).

ბერძ. – ბერძნული/ბერძნულ ენაზე.

გაზ. – გაზეთი.

თბ. – თბილისი

თ-დ (თ-დი) – თავადი.

თურქ. – თურქული/თურქულ ენაზე.

იხ. – იხილე.

კაპ. – კაპიკი (რუსული ფულის ერთეული).

კზ. – კნიაზი (თავადი).

კომენტ. – კომენტარი.

კრზ. – კრებული.

ლათ. – ლათინური/ლათინურ ენაზე.

ლიტ. – ლიტერი.

მან. – მანეთი (რუსული ფულის ერთეული).

მდ. – მდინარე.

ნან. – ნანილი.

პოლკ. – პოლკოვნიკი.

ჟურნ. – ჟურნალი.

რუს. – რუსული/რუსულ ენაზე.

საკ. – საკუთარი.

საქ. – საქმე.

სახ. – სახელობის.

სეა – საქართველოს ეროვნული არქივი.

სთ. – საათი.

სომხ. – სომხური.

სოფ. – სოფელი.

სსრ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სსსრ – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სტ. (სტრ.) – სტრიქონი.

ტ. – ტომი.

უფ. – უფალი (თავაზიანი მიმართვის ან ხსენების ფორმა).

ფ. – ფურცელი.

ფსევდ. – ფსევდონიმი.

„ქმნ-კგ საზოგადოება“ – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ქლსმ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

შინსახკომი – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

შმდ. – შემდეგ/შემდგომ.

წგნ. – წიგნი.

წმ. – წმინდა.

ხ. – ხელნაწერი.

ხეც – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Вып. – Выпуск (ნაკვეთი).

ДСС (Д.С.С.) – Действительный Статский Советник (ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი).

Отд. – Отделение (განყოფილება).

Т. – Том (ტომი).

Тип. – Типография (ტიპოგრაფია/სტამბა).

Ч. (I) – Час (საათი).

Ч. (II) – Часть (ნაწილი).

S, H – კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები.

r – რექტო [ნიგნის ან ხელნაწერის წინა (კენტი) გვერდი].

v – ვერსო [ნიგნის ან ხელნაწერის უკანა (ლუწი) გვერდი].

ს ა ძ ი ე ზ ლ ე ბ ი :

პირთა*

ა

ა. ი. – 467

აბულაძე ილია (1901-1968) – ქართველოლოგი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მის სახელს უკავშირდება კავკასიის ალბანელთა ანბანის აღმოჩენა – 503

ავგუსტ ივანეს ძე – პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბის თანამშრომელი – 490

აკაია არიდ-ბეი ბესლანგურის ასული შარვაშიძე – აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძის პირველი მეუღლე (1829-1831; ქორწინების წინ აკაიამ ქრისტიანობა მიიღო). მიხეილ შარვაშიძესთან განქორწინების შემდეგ გაათხოვეს ჩერქეზ დიდგვაროვან გეჩ-ედირ-ბეიზე, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა – 437

ალექსანდრა (ცუცუ) შარვაშიძე (1822-1864) – აფხაზეთის დედოფალი (1836-1864). ნიკო დადიანის („დიდი ნიკოს“; დაახლ. 1780-1834) შვილიშვილი. დედა პოეტ გიორგი შარვაშიძისა (1846-1918). გამოირჩეოდა მახვილი ჭკუით, მაღალი ზნეობით, არაჩვეულებრივი სილამაზით და ამის გამო აფხაზთა გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. ერთხანს (აფხაზეთში მუდღის არყოფნისას) განაგებდა ბზიფის ოლქს და ოსმალების წინააღმდეგ ჩატარებული ერთ-ერთი ოპერაციის დროს გამოჩენილი აქვს „განსაკუთრებული თაოსნობა“ (ს. ჯანაშია). დაკრძალულია მის მიერვე აღდგენილ მოქვის ტაძარში – 69, 70, 77, 78, 83, 98, 100, 104, 438-440, 445, 446

1 პირთა საძიებელში ლიტერატურული პერსონაჟების სახელებიცაა შეტანილი.

ალექსანდრე I (1777-1825) – რუსეთის იმპერატორი (1801-1825). ტახტზე ავიდა სასახლის კარზე დაგეგმილი და განხორციელებული გადატრიალების შემდეგ (მამამისი პავლე I შეთქმულმა ოფიცრებმა მოკლეს 1801 წ. 11 მარტს); 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და ქართლ-კახეთში რუსეთის უშუალო მმართველობა დაამყარა; 1820-იან წწ. მისტიციზმმა გაიტაცა, რამაც წარმოშვა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც იმპერატორი მართლაც 1825 წელს კი არ მოკვდა (ტაგანროგში), არამედ ტახტი დატოვა, ბერად აღიკვეცა და დარჩენილი სიცოცხლე ციმბირის ერთ-ერთ მონასტერში გაატარა – 443

ალექსანდრე II (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი (1855-1881), მსოფლმხედველობით კონსერვატორი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, განეხორციელებინა ლიბერალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი (მათ შორის სამხედრო, სასამართლო, 1861 წ. საგლეხო, საცენზურო, თვითმმართველობის...) რეფორმები, რის გამოც რუსეთის ისტორიაში შესულია ეპითეტით – „განმათავისუფლებელი“. 1881 წ. 1 მარტს ალექსანდრე II მოკლეს „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით (მკვლელობის დღეს აპირებდა მსვლელობა მიეცა მის. ლორის-მელიქოვის მიერ შემუშავებული რუსეთის კონსტიტუციის პროექტისთვის) – 454, 460, 461

ალექსანდრე პავლეს ძე – იხ. ნიკოლაი ალექსანდრე

ალექსი-მესხიშვილი (ალექსევი) ეფრემ (1793-1861) – სასულიერო პირი, პოეტი, მნიგნობარი, პედაგოგი (1816-1830 წწ. ქართულ ენასა და საღვთო სჯულს ასწავლიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ითვლებოდა კარგ მოქართულედ და, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი მონაწილეობის – მათ შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის – აღზრდაში), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს), გ. ერისთავისა ივ. კერესელიძის „ცისკრის“ ცენზორი – 187

ალექსი პეტრეს ძე (ალექსეი პეტროვიჩი) – იხ. ერმოლოვი ალექსი
ალტერი ფრანც კარლ (1749-1804) – ავსტრიელი ორიენტალისტი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი წიგნისა „ქართული ლიტერატურის შესახებ“ (ვენა: 1798; გერმანულ ენაზე) – 471, 472

ანდრეი მიხეილის ძე – იხ. ფადეევი ანდრეი

ანდრია (საკ. სახელი) – 224, 235, 254, 255, 271

ანთელავა ირაკლი (1912-1978) – ისტორიკოსი, ძირითადად მუშაობდა XVII-XIX სს. საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემეტიკაზე. ავტორი მონოგრაფიებისა: „სახელმწიფო გლეხები XIX საუკუნის საქართველოში“ (I-II. თბ.: 1962-1969), „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში“ (თბ.: 1967) და სხვ. – 499

ანნა (საკ. სახელი) – 271, 284

ანტონ I (ერისკაცობაში – **თეიმურაზ ბაგრატიონი**) (1720-1788) – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1744-1755 და 1764-1788 წწ.), საეკლესიო ცხოვრების რეფორმატორი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი (ევროპული ორიენტაციის მიმდევარი), მწერალი, მეცნიერი, თვალსაჩინო ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში. ავტორი ნიგნისა „ქართული ღრამბატიკა“ [არსებობს ვრცელი (1753) და მოკლე (1767) რედაქციები; ეს უკანასკნელი რედაქცია ბოლოს გამოიცა 1997 წელს]. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 213, 243, 263-265, 273, 310, 363, 368, 474, 480

ანტონი (საკ. სახელი) – 224, 282, 283

არზანოვი დავით – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი; „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, 1850-იან წწ. მსახურობდა კავკასიის სასწავლო ოლქის საცენზურო კომიტეტში ცენზორად, თავის ძმასთან, ი. არზანოვთან, ერთად 1830-იან წწ. თბილისში სურდა ქართულ ენაზე გამოეცა ჟურნალი „აღმოსავლეთის ფუტკარი“, მაგრამ ხელისუფლების წინააღმდეგ ვერ მოიპოვა – 476

არზანოვი იაკობ – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი; თავის ძმასთან, დ. არზანოვთან, ერთად 1837 წელს თბილისში დააარსა კერძო სტამბა, სადაც უნდა დაბეჭდილიყო მათ მიერვე გამოსაცემად განზრახული ქართული ჟურნალი „აღმოსავლეთის ფუტკარი“, თუმცა ხელისუფლებამ არზანოვების ეს ინიციატივა ჩამალა – 476

არჩილ II (შახნაზარ ხანი) (1647-1713) – იმერეთისა (1661-1663, 1678-1679, 1690-1691, 11695-1696, 1698) და კახეთის (1664-1675) მეფე, ქართულ კულტურაში სპარსული გავლენების მონაწილე, თვალსაჩინო პოეტი (ქართულ ლიტერატურაში

„მართლის თქმის“ პრინციპის დამამკვიდრებელი), ავტორი ისტორიული პოემისა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალულია იქვე (დონის მონასტერში) – 243, 480

არჩილი (საკ. სახელი) – 255

აფხაზავა ეთერ – ფილოლოგი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენის ჯგუფის მთავარი სპეციალისტი – 470

ბ

ბაგრატი (საკ. სახელი) – 224, 255

ბაგრატიონი დავით – იხ. **დავით ბატონიშვილი**

ბაგრატიონი ვახუშტი – იხ. **ვახუშტი ბაგრატიონი**

ბაგრატიონი თეიმურაზ – იხ. **თეიმურაზ ბატონიშვილი**

ბაგრატიონი ნინო ლევან V დადიანის ას. – იხ. **მუხრანბატონი ნინო**

ბაგრატიონ-მუხრანსკი (მუხრანსკი) – იხ. **მუხრანბატონი**

ბარათაშვილი ნიკოლოზ (1817-1845) – პოეტი, წვერი თბილისის გიმნაზიის მონაფეთა იმ ჯგუფისა, რომელიც 1835-1836 წლებში უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“), „ტფილისის კერძო საამბანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა განჯაში, საიდანაც 1893 წ. ჩამოსვენეს სამშობლოში და დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. 1938 წ. გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში – 508

ბარამიძე ალექსანდრე (1902-1994) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, მემუარისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ძირითადად იკვლევდა XI-XVIII სს. ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ პრობლემათიკას – 504

ბარზეგი (ბერზეგი) ჰაჯი ისმაილ დაგუმოყვა (1763-1846) – აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, აღმზრდელი (მამამძუძე). რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ჩერქეზი ხალხის ბრძოლის მეთაური – 442

ბარიატინსკი ალექსანდრე (1815-1879) – კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალი (1856-1862), იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან დაახლოებული პირი. 1859 წლის 25 აგვისტოს დაატყვევა შამილი, რისთვისაც მიიღო გენერალ-ფელდმარ-

შლობა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი. 1862 წ. ავადმყოფობის გამო გადადგა კავკასიის მეფისნაცვლობიდან. გარდაიცვალა ჟენევაში, საიდანაც გადაასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს საგვარეულო სამარხში, კურსკის გუბერნიის სოფელ ივანოვსკოეში. იქვეა დაკრძალული მისი მეუღლეც – ელისაბედ (ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიანი-ბარიატინსკაია (1836-1899; ელისაბედი იყო ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ძმისწული) – 72, 109, 451, 455, 456, 458-461; იხ. აგრეთვე: **Барятинский А. И.**

ბაქარ ქართლელი – დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი – 486, 505; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი**

ბაქრაძე აკაკი (1928-1999) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლიტერატურული-, თეატრალური- და კინოკრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 510

ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890) – ისტორიკოსი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ინიციატორი (1889), პეტერბურგის მეცნიერებათა სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 482

ბაქრაძე ლაშა – ისტორიკოსი, გერმანისტი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (2010 წლიდან), ავტორი მონოგრაფიისა „გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“ (თბ.: 2009) – 498

ბებუთოვი (ბებუთაშვილი) ვასილ (1791-1858) – ინფანტერიის გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, თვალსაჩინო ფიგურა ე. წ. „კავკასიისა“ და „ყორიმის“ ომებში, ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (1847-1856). დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანჯის სასაფლაოზე – 65, 80, 84, 96, 97, 101, 432-436, 442, 444, 446-449, 481

ბეჟუაშვილი ბეგო – ფილოლოგი, საქართველოში დისიდენტური მოძრაობის წევრი („ჰელსინკის ჯგუფის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი წევრი), შემდგენელი (გ. მურღულუასთან ერთად) კრებულისა „მსოფლიო ლიტერატურა. რჩეული მოთხრობები“ (ტ. 1-12. თბ.: 2007-2019) – 4

- ბერზეგი** – იხ. **ბარზეგი (ბერზეგი) ჰაჯი ისმაილ დაგუმოყვა**
- ბერძნიშვილი მაქსიმე** (1889-1967) – ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი). მისი თაოსნობით დაარსდა პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემები: „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, „ნიგნის მატიანე“, „გაზეთის მატიანე“. იკვლევდა საქართველოს როგორც ძველ, ისე XIX ს. ისტორიას – 495, 498
- ბესლანგური არიდ-ბეი** – ჯიქეთის დიდგვაროვანი, აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, სიმამრი (1829-1831) – 437
- ბიბილეიშვილი ცისანა** – მკვლევარი, მთარგმნელი, პედაგოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი – 204
- ბლუდოვი დიმიტრი** (1785-1864) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, გრაფი (1842 წლიდან), სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1862-1864), სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь; 1826 წლიდან), ლიტერატორი (საზოგადოება „არზამასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი) და ისტორიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1855-1864) – 11
- ბოროზდინი კორნილი** (1828-1896) – რუსი მწერალი, მემუარისტი, სახელმწიფო მოხელე, საქართველოში მსახურობდა 1853-1867 წწ.: ჯერ ეკატერინე დადიანის მდივნად და შვილების აღმზრდელად (1853-1856), შემდეგ – სენაკისა (1856-1861) და თელავის (1861-1865) მაზრების უფროსად, საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრად (1865-1867). ამის შემდეგ ცხოვრობდა ჯერ მოსკოვში, 1870 წლიდან – პეტერბურგში. დაკრძალულია პეტერბურგში, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში – 438, 441, 499
- ბოსიუე (ბოსვეტი, ბოსსიეტი)** (1627-1704) – ფრანგი მწერალი, თეოლოგი, სასულიერო მოღვაწე, საფრანგეთის აკადემიის წევრი, მონარქის ღვთაებრივი წარმომავლობის იდეოლოგი – 492
- ბოცვაძე იოსებ** (1914-1981) – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა, წინასიტყვიით, შენიშვნებითა და კომენტარებით გამოსცა სერგეი მესხის „თხზულებანი“ (I-III. თბ.: 1962-1964) – 501
- ბრევაძე თამარ** (1921-1989) – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი – 498

ბროკჰაუზი ფრიდრიხ არნოლდ (1772-1823) – გერმანელი გამომცემელი, რომელმაც დააარსა საგამომცემლო ფირმა „ბროკჰაუზი“ და რომლის მიერ გამოცემული „ბროკჰაუზის ენციკლოპედია“ საფუძვლად დაედო ბროკჰაუზ-ეფრონის რუსულ ენციკლოპედიას (1890-1907) – 427, 430 455-457, 499; იხ. აგრეთვე: **Брокгауз Ф. А.**

ბროსე (ბროსე) მარი-ქსავიე ფელისიტე (რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში – **მარი ივანეს ძე**) (1802-1880) – ფრანგი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1838 წლიდან); საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში, ფრანგულ ენაზე თარგმნა და მეცნიერული კომენტარებით 1849-1858 წწ. შვიდ ტომად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის“ გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის საისტორიო თხზულებები. არსებობს სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ მარი ბროსე 1832 წლის შეთქმულების მინიმუმ საქმის კურსში იყო – 188, 201, 204-206, 213, 228, 231-233, 236, 264, 471, 472, 476, 509

ბუაჩიძე გასტონ – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ძირითადად იკვლევს ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ, სამეცნიერო და სახელოვნებო ურთიერთმიმართებებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, მოღვაწეობს საქართველოსა და საფრანგეთში – 476, 499

ბუბბერგი ალექსანდრე (1796/1797-1876) – გენერალ-ადიუტანტი და კავალერიის გენერალი, შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსი 1843-1853 წწ. – 73

ბ

გაბაშვილი ტიმოთე (ტიმოთე მთავარეპისკოპოსი) (გარდ. 1764) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ქუთათელი მიტროპოლიტი (1830-იანი წწ.), ქართლის მთავარეპისკოპოსი (1850-იანი წწ.), მწერალი, მეცნიერი, დიპლომატი, მოგზაური, კარტოგრაფი, მხატვარი, ავტორი სამოგზაურო-მემუარული ხასიათის თხზულებისა „მიმოსვლა“ („მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“). გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში) – 188, 243, 479

გაბრიელი (საკ. სახელი) – 266, 295

გაიოზ (გაიოს) რექტორი (1746-1821; სავარაუდო გვარი – **ბარათაშვილი**, **ბარათაშვილ-თაყაშვილი** ან **ვაგოშაშვილი**) – სასულიერო მოღვაწე (ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსი 1808-1821 წწ.), პედაგოგი (თელავის სასულიერო სასწავლებლის რექტორი 1782-1783 წწ.), მეცნიერი, მწიგნობარი, მთარგმნელი, მქადაგებელი და ორატორი, დიპლომატი (ერეკლე II-ის საგარეო კურსის მიმდევარი), ანტონ I-ის მონაწილე. 1783 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში. გარდაიცვალა ასტრახანში. იქვეა დაკრძალული – 263, 312, 354, 494, 503

გამეზარდაშვილი დავით (1920-1985) – ლიტერატურათმცოდნე, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეადგინა და გამოსცა ნ. ნიკოლაძის, კ. აბაშიძის, ვ. კოტეტიშვილისა და სხვ. თხზულებათა კრებულები. დამაარსებელი და რედაქტორი სამეცნიერო პერიოდული გამოცემისა „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (I–VIII. 1968-1981) – 503

განი (ჰანნი) პავლე (1793-1862) – ბარონი, საიდუმლო მრჩეველი (*Тайный советник*), რუსეთის სახელმწიფო საბჭოსა და „კავკასიის კომიტეტის“ წევრი, 1830-1840-იან წწ. ხელმძღვანელობდა კომისიას, რომელმაც ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობითი, სამართალწარმოების, ფინანსური და სხვ. მიმართულებით რეფორმირების პროექტი შეიმუშავა. „განის რეფორმა“ შეუფერებელი აღმოჩნდა ადგილობრივი პირობებისთვის, გამოიწვია როგორც მოსახლეობის, ისე მმართველი წრეების უკმაყოფილება, ვერც ნიკოლოზ I-ის მიერ სპეციალურად დანიშნული კომისიის რევიზიას გაუძლო და ყოველივე ამან მისი კარიერა შეინირა (1847 წ. დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურიდან) – 11-14, 24, 37, 425, 427

გარინა ო. – რუსი იურისტი, ქალაქ ორლოვის იურიდიული ინსტიტუტის პროფესორი – 431, 499

გაფრინდაშვილი მიხეილ (1927-1999) – ისტორიკოსი, ქართული განმანათლებლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 464, 499

გედევანიშვილი იონა (ერისკაცობაში – **ივანე გედევანიშვილი**) (1737-1821) – ანტონ I-ის მონაწილე, რუსის მიტროპოლიტი (1785 წლიდან), მწერალი, მოგზაური, გარდაიცვალა მოსკოვ-

ში. მის კალამს ეკუთვნის სამოგზაურო თხზულება „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“ – 243, 479

გერმანე (ერისკაცობაში – **დიმიტრი გოგოლაშვილი**; გარდ. 1868) – 1845 წლიდან მისიონერი აფხაზეთში, აფხაზეთის ეპისკოპოსი 1851 წლიდან (მთავარ მიხეილ შარვაშიძის მოძღვარი), იმერეთის ეპისკოპოსი 1856-1860 წწ.; (გადააყენეს და იგი გაბრიელ ეპისკოპოსმა შეცვალა). ეპისკოპოსი გერმანე გარდაიცვალა ხონში, იქვეა (ხონის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში) დაკრძალული – 78

გიორგი (საკ. სახელი) – 266

გიორგი (წმ.) (დაახლ. 275-303) – კაპადოკიელი დიდმოწამე, საქართველოს მფარველი წმინდანი – 467

გიორგი დიაკონი – სასულიერო პირი, მწიგნობარი და კალიგრაფი – 495

გოგებაშვილი იაკობ (1840-1912) – მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი (მატერიალურად ეხმარებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოსწავლე ახალგაზრდობას, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებსა და სხვ.) „ქმნ-კგ საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (თავისი ქონება და საავტორო უფლებები „ქმნ-კგ საზოგადოებას“ უანდერძა), ავტორი „დედა ენისა“ და „ბუნების კარისა“, რომლებითაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო არაერთი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. დაკრძალულია მთანმინდის პანთეონში – 8, 246-248, 251-253, 255, 256 482-485, 487-489, 500, 509; იხ. აგრეთვე: **იაკობ სიმონიძე**

გოგია რევაზ – ფილოლოგი, ისტორიკოსი, მთარგმნელი (გ. კ. ჩესტერტონი, ვ. გარშინი...), ავტორი ნაშრომისა „პონტოელი ბერძნები საქართველოში“ – 4

გოგიჩაიშვილი ფილიპე (1872-1950) – ეკონომისტი (განათლება ლაიფციგის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე (ერთხანს იყო „ქმნ-კგ საზოგადოების“ გამგეობის წევრი), გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორი (1905-1906), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და საქართველოში საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლების ფუძემდებელი. დაკრძალულია უნივერსიტეტის პანთეონში – 496

გოზალიშვილი შალვა (1909-1993) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 482-484, 500

გოლოვინი ევგენი (1782-1858) – ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალი (1837-1842). 1840-იან წწ. მისი სახელი ეწოდა თბილისის მთავარ ქუჩას, რომელიც 1918 წლიდან რუსთაველის სახელობისაა – 11-13, 426

გორკი მაქსიმ (ნამდვილი სახელი და გვარი – **ალექსი პეშკოვი**) (1868-1936) – რუსი მწერალი, ე. წ. სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი. 1918 წ. ნომინირებული იყო ნობელის ლიტერატურულ პრემიაზე – 508

გრიგოლი (საკ. სახელი) – 266

გუგუშვილი ჰაბატა (1905-1987) – მეცნიერი (ეკონომისტი, სოციოლოგი, ქართული წიგნისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი), აკადემიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“ (ტ. I-VII, თბ.: 1949-1984) – 429, 500

გურიელი დავით (დათა) (1802-1856) – გურიის მთავრის, ვახტანგ III გურიელის (გარდ. 1805) ძე, პოეტ მამია გურიელის (1836-1891) მამა. თან ახლდა ოსმალეთში გადახვეწილ გურიის უკანასკნელ დედოფალს, მამია V გურიელის (1789-1826) ქვრივს – სოფიოს, თუმცა სოფიოს გარდაცვალების (1829) შემდეგ დავით გურიელი რუსულმა ხელისუფლებამ შემოირიგა და დააბრუნა სამშობლოში – 80

გურიელი ელისაბედ – და გურული თავადის, მიხეილ ერისთავისა (1817-1870), დიმ. ყიფიანის დედობილი – 83

გურიელი მალაქია – რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომის მონაწილე (მეთაურობდა გურიის ლაშქარს – ე. წ. „მილიციას“), დიმ. ყიფიანთან დაახლოებული პირი – 88

გურული ვახტანგ – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევს საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემათიკას – 425, 433, 500

გუჩუა ვიქტორ (1914-1985) – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემათიკას – 501

დ

დ. ყ. – დიმიტრი ყიფიანის ინიციალები – 28, 34 150, 160, 201, 263, 264, 403; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი**

და-ნორჩია ჯიროლამო – კათოლიკე მისიონერი – 264

დადიანები (დადიანი) – სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს გამგებლები – 67, 438

დადიანი ალექსანდრა – იხ. **ალექსანდრა შარვაშიძე**

დადიანი გიორგი – მეგრელი თავადი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, სიმამრი; ისტორიკოსის, მწერლის, დიპლომატის, მსაჯულისა და მქადაგებლის, „დიდ ნიკოდ“ ნოდებულის ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის (დაახლ. 1780-1834), შვილი [ხეც-ში, დიმი ყიფიანის არქივში (№№ 1115-1119. ფ. 6), დაცულია გიორგი დადიანის ხუთი ბარათი დიმი. ყიფიანისადმი – მიწერილი 1860-იან წწ., აგრეთვე, დიმი. ყიფიანის ერთი ბარათი გ. დადიანისადმი (იქვე: №703, ფ. 2), რომელიც ეხება სამეგრელოს სამთავროს საქმეებს] – 69, 72-75, 77, 83, 85, 89, 92, 95, 96, 99, 107, 108, 433, 439, 440, 442, 446-448

დადიანი გრიგოლ ლევან V დადიანის ძე (1814-1901) – ოდიშის მთავარ ლევან V დადიანის (1791-1846) ძე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 და 1877-1878 წწ. ომებში, აგრეთვე, „კავკასიის ომში“, მათ შორის, ლუნიბის ალებაში (სადაც შამილი დაატყვევეს), ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ომებს სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას წინააღმდეგ; პოეტი (ფსევდ.: „კოლხიდელი“, „იოანე გეგეჭკორი“, „კ.“, „გ.“, „დ.“, „მეგრელი“...), „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მონაწილეობდა 1880 წ. დაარსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, დიდი ამაგი დასდო პოემის ი. ბარტდინსკისეულ რუსულ თარგმანს; ქველმოქმედი – სიკვდილის წინ ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქმნ-კგ საზოგადოებას“, შესწირა ფული სხვადასხვა სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დაანესა პრემია „საუკეთესო თხზულებისათვის ქართულ ენაზე“, საგანგებოდ დატოვა თანხა ქუთაისის ღარიბ მოსახლეობაში დასარიგებლად... სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ლეჩხუმში, სადაც, საზოგადოებას გარიდებული, განმარტოებით ცხოვრობდა სოფ. სურმუშში, მამისეულ სახლში. გარდაიცვალა 1901 წ. 24 დეკემბერს

ქუთაისში, დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში – 90, 91, 442; იხ. აგრეთვე: **კოლხიდელი**

დადიანი გრიგოლ ტარიელის ძე – სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, ნდობით აღჭურვილი პირი (მას ებარა მთავრის ოჯახისა და სასახლის უსაფრთხოების დაცვა) – 92

დადიანი დავით – იხ. **დავით დადიანი**

დადიანი დიმიტრი (გარდ. 1895) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, აგრონომილი განათლება ჰქონდა მიღებული საფრანგეთში (მონპელიე, პარიზი), გაზეთ „შრომის“ რედაქტორი (1881-1883; გაზეთი გამოდიოდა ქუთაისში. იყო ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გამოცემა), ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელი (1884-1890). სიცოცხლის ბოლო წლებში იყო სენაკის თავადაზნაურობის დეპუტატი. ტუბერკულოზით დაავადებული, სამკურნალოდ გაემგზავრა ავსტრიაში, თუმცა გზაში (ოდესაში) გარდაიცვალა. დაკრძალულია სენაკში – 496

დადიანი ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ას. – იხ. **ეკატერინე დადიანი**

დადიანი ეკატერინე (პუპი) ლევან V-ის ას. – იხ. **შარვაშიძე ეკატერინე ლევან V-ის ას.**

დადიანი თამარ – იხ. **თამარ კაცია II-ის ას. დადიანი**

დადიანი კესარია – იხ. **შარვაშიძე კესარია**

დადიანი ლევან – იხ. **ლევან V დადიანი**

დადიანი მენიკ (მარიამ) – აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძის მეორე მეუღლე [მანამდე დაქორწინებული იყო თავად გიორგი სიმონის ძე წერეთელზე (სხვა წყაროებით – წულიკიძეზე), თუმცა მალე დაქვრივდა] – 68, 78-80, 108, 438, 441

დადიანი ნიკოლოზ – მეგრელი თავადი (ცხოვრობდა ქვაშიხორში), მენიკ (მარიამ) დადიანის მამა – 438, 441

დადიანი-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) (1847-1903) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1867 წ. იანვარში ნებაცოფლოზით თქვა უარი მთავრის უფლებებზე, რასაც სამეგრელოს სამთავრო ტახტის გაუქმება მოჰყვა), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი, დამფუძნებელი წევრი „ქმნ-კვ საზოგადოებისა“, რომელსაც 1885 წელს უმდიდრესი და უძვირფასესი ბიბლიოთეკა შესწირა; 1886 წ. მისი კანდიდატურა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ წარდგე-

ნილი იყო ბულგარეთის მთავრის თანამდებობაზე, მაგრამ იმ დროს ბულგარეთში გავრცელებული ანტირუსული სულისკვეთების გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა; გარდაიცვალა პეტერბურგში, საიდანაც ჩამოასვენეს სამშობლოში და მარტვილის ტაძარში დაკრძალეს – 490, 494

დადიანი ნინო ლევან V-ის ასული – იხ. მუხრანბატონი ნინო

დადიშქელიანი – ფეოდალური საგვარეულო სვანეთში – 299

დავით ბატონიშვილი (1767-1819) – გიორგი XII-ის ძე, სამეფო ტახტის მემკვიდრე, ქართლ-კახეთის გამგებელი 1801-1803 წლებში. 1803 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. მწერალი, მეცნიერი (ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, გრამატიკოსი, სამართალმცოდნე, ფიზიკოსი), გენერალ-ლეიტენანტი და რუსეთის სენატის წევრი. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში – 263, 494

დავით დადიანი (1813-1853) – სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წწ. (1840-1846 წწ. თანამმართველი იყო მამასთან, ლევან V დადიანთან, ერთად, ხოლო 1846-1853 წწ. ერთპიროვნულად განაგებდა სამეგრელოს სამთავროს); გენერალ-მაიორი, მნივნობარი და ბიბლიოფილი. ჰქონდა ხელნაწერ და ნაბეჭდ ნიგნთა უძვირფასესი ბიბლიოთეკა, რომელიც მისმა შვილმა, ნიკო დადიან-მინგრელსკიმ (1847-1903), „ქმნ-კგ საზოგადოებას“ შესწირა; ენერგიულად ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს მმართველობითი სისტემისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ევროპეიზაციას, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. გარდაიცვალა გორდის სასახლეში. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 72, 108, 439, 446

დავითი (საკ. სახელი) – 222, 224

დანიელ-ბეგი (გარდ. 1870) – ელისუს (ძველი ჰერეთის აღმოსავლეთის განაპირა ნაწილი) სულთანი (1831-1844). გენერალ-მაიორი (1842). 1844 წელს შამილს მიემხრო და რუსებს სამკედრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. მიუხედავად იმისა, რომ შამილის დამარცხების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ შეინცალა და გენერლის ხარისხიც აღუდგინა, 1869 წელს ოსმალეთში გადავიდა და იქ (სტამბოლში) გარდაიცვალა – 73

დგებუაძე მანუჩარ – მეგრელი თავადი, 1855 წელს პრაპორშჩიკია – 92

დესიმონი ანდრია (1806-1879) – საიდუმლო მრჩეველი. მონაწილეობდა 1828-1829 წწ. რუსეთის ომში (მონაწილეობა აქვს მიღებული ახალციხის აღებაში). სხვადასხვა წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი, ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი. დაკრძალულია მაცესტაში – 451

დიმიტრი (ომარ-ბეი) შარვაშიძე (1795-1822) – აფხაზეთის მთავარი (1821-1822), აფხაზეთის მთავარ საფარ-ბეი (გიორგი II) შარვაშიძის (დაახლ. 1780-1821) ძე. აღიზარდა პეტერბურგში (პაჟთა კორპუსში), აფხაზეთის სამთავრო ტახტისთვის გამართულ ბრძოლაში მონაწილეობის გლეხ ურუს ლაკობას, რის გამოც ეს უკანასკნელი ლიხნში საჯაროდ ჩამოახრჩვეს – 67, 437, 442

დიუკრუასი (დიუკრუასი-დასპიკი; Дюкрусси-Даспик) იპოლიტ (გარდ. 1873) – სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს (1859 წლიდან – მეფისნაცვლის საბჭოს) წევრი და ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველი (1853 წლიდან), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник). გარდაიცვალა თბილისში – 174, 178, 450, 451, 456, 459

დოდაშვილი კონსტანტინე (კოტე) (გარდ. 1919) – გრამატიკოსი, ლიტერატორი, მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი ქართული ლექსმცოდნეობის საკითხებზე, სოლომონ დოდაშვილის შვილიშვილი – 483

დოდაშვილი (დოდაევი) სოლომონ (1805-1836) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი), ჟურნალისტი, პედაგოგი, ბიბლიოფილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი და იდეოლოგი (გადაასახლეს ვიატკაში, გარდაიცვალა იქვე; 1994 წელს ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში). ავტორი წიგნისა „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“ (ტფილისი: 1830) – 263, 463

დოლიძე ისიდორე (1915-1982) – იურისტი, სამართლის ისტორიკოსი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1957-1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1960-1966), სამეცნიერო აპარატის თანდართვით შეადგინა „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეული (თბ.: 1963-1985) – 503

დუმბაძე მამია (1915-1990) – ისტორიკოსი. იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 501

ე

ევნატე ონისიმე ხუცის ძე – სასულიერო პირი (მთავარდიაკონი), კალიგრაფი, ანტონ I-ის „ქართული ღრამმატიკის“ გადამწერი (1783) – 263

ევგენი ალექსანდრეს ძე – იხ. **გოლოვინი ევგენი**

ეკატერინე (წმ.) (287-305) – ალექსანდრიელი დიდმოწამე. რუსეთის იმპერიაში წმ. ეკატერინეს ორდენი დააარსა პეტრე I-მა – 69

ეკატერინე დადიანი (1816-1882) – სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი (პოეტმა უძღვნა რამდენიმე ლექსი, აგრეთვე, თავისი ლირიკული შედევრებისა და „ბედი ქართლისას“ ორი ავტოგრაფული კრებული, რომელთაგან ერთი დაკარგულად ითვლება); სამეგრელოს სამთავროს გაუქმებით დაინტერესებულმა რუსეთის ხელისუფლებამ 1857 წ. ეკატერინე დადიანი „მიიწვია“ პეტერბურგში, საიდანაც მხოლოდ 1868 წელს, სამთავროს გაუქმების შემდეგ, შეძლო დაბრუნება. „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში. 1859-1867 წწ. მისი ქონება-მამულეზისა და მცირეწლოვანი ძის, სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის, ნიკო დადიანის (მინგრელსკის) (1847-1903), მეურვე იყო დიმი. ყიფიანი – 89, 439, 441

ენუქიძე თინა (1922-1988) – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი – 498

ერეკლე II (1720-1798) – კახეთისა (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე. საქართველოს ისტორიული მტრებისაგან უკიდურესად შევიწროებულმა, მას მერე, რაც ევროპაში ვერ იპოვა მოკავშირე, სამეფოს ბედი დაუკავშირა რუსეთს – 1783 წ. გააფორმა „გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი“. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 240, 478

ერისთავი – აფხაზეთის მთავარ მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის ადიუტანტი – 95, 100, 102

ერისთავი გიორგი (1813-1864) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის (დაარსდა 1850 წ.) პირველი ხელმძღვანელი, ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) რედაქტორ-გამომცემელი, 1832 წლის შეთქმულების წევრი. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 478, 500, 507

ერისთავი დავით (1847-1890) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ერისთავის (1813-1864) შვილი; თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება“, „კრებული“, „ივერია...“), ისე რუსულ პრესაში („ტიფლისკი ვესტნიკ“, „ფალანგა“ და სხვ., აგრეთვე, „კავკაზ“, რომელსაც 1882-1884 წწ. რედაქტორობდა კიდევაც), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს, მონაწილეობდა „ქმნ-კგ საზოგადოებისა“ და „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაფუძნებაში, გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის, ვ. სარდუს, პიესა „სამშობლო“ („Patrie“), რომლის დადგმას შთამბეჭდავი რეზონანსი მოჰყვა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 490

ერისთავი მიხეილ (1817-1870) – გურული თავადი, ჩაის კულტურის პიონერი საქართველოში (გურიაში, კერძოდ, გორაბერეჟოულში), დიპ. ყიფიანთან დაახლოებული პირი და მისი მძახალი (ნიკოლოზ ყიფიანის სიმამრი). გაურკვეველი მიზეზით მოკლეს საკუთარ სახლში. მიხეილის მიერ წამოწყებული მეჩაიეობის საქმე გააგრძელა მისმა შვილმა ანდრია ერისთავმა (1855-1932; გარდაიცვალა ემიგრაციაში – პარიზში. იქვეა დაკრძალული) – 82-84, 86-89, 97

ერისთავი რაფიელ (1824-1901) – მწერალი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქართული მუზეუმის დამაარსებელთაგანი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ თავმჯდომარე (1884-1886), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატორთაგანი (1882) და სხვ.; ანდერძის თანახმად, დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ქისტაურში, საიდანაც 1938 წელს თელავში, ერეკლე II-ის სასახლის გალავანში, გადაასვენეს – 364, 497

ერმოლოვი ალექსი (1777-1861) – ინფანტერიისა და არტილერიის გენერალი, მნიშვნელოვანი ფიგურა ნაპოლეონის წინააღმ-

- დეგ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში, საქართველოს მთავარმართველი 1816-1827 წწ., ხოლო 1816-1826 წწ. – კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (ორივე თანამდებობაზე ი. პასკევიჩმა შეცვალა). დეკაბრისტებთან მეგობრული და კეთილმოსურნე ურთიერთობის გამო მას არ ენდობოდა ნიკოლოზ I. ძირითადად სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იმპერატორმა ა. ერმოლოვი გადააყენა ჯერ მთავარსარდლობიდან, შემდეგ – მთავარმართველობიდან (1827 წლის 27 მარტს გაიწვია კავკასიიდან და საერთოდ ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს). საქართველოს მართვისას ა. ერმოლოვი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკითა და ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაციის ძალადობრივი მეთოდებით – 91, 178, 244, 442, 454, 482
- ესაძე სიმონ** (1868-1927) – ისტორიკოსი, არქეოგრაფი, კინომოდვანე (სცენარისტი, ოპერატორი), სამხედრო პირი (პოლკოვნიკი). მის არაერთ ნაშრომს დღესაც პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება; სათანადო მასალის მიწოდებით დიდი სამსახური გაუწია ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატზე“ მუშაობისას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 433, 501
- ეფრონი ილია** (დაბ. 1847) – გამომცემელი, დამაარსებელი საგამომცემლო ფირმისა „ბროკჰაუზი-ეფრონი“, რომელმაც რუსულ ენაზე გამოსცა „ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედია“ (1890-1907) – 427, 430, 442, 455-457, 499; იხ. აგრეთვე: **Ефрон И. А.**
- ელნატე** (საკ. სახელი) – 266

3

- ვ. ო. – იხ. ორბელიანი ვახტანგ**
- ვანიშვილი შალვა** – მკვლევარი (ისტორიკოსი, იურისტი), პედაგოგი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სიტემაში“ (თბ.: 1989) – 455, 501
- ვანო** (საკ. სახელი) – 249, 484
- ვართანოვი სოლომონ** – თბილისის კომერციული გიმნაზიის მასწავლებელი, მამა რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტისა და ანტიბოლშევიკური ბრძოლის მონაწილის, არტემ ვართანოვისა (1855-1937; არტემ ვართანოვმა სიცოცხლის ბოლო წლები ემიგრაციაში გაატარა. დაკრძალულია ბოსნია და ჰერცეგოვინის ქალაქ ბანია-ლუკაში) – 7, 189, 190, 464, 465

ვარლამ (ვარლაამ) ერისთავი (1763-1830) – სასულიერო მოღვაწე (მიტროპოლიტი), საქართველოს პირველი ეგზარქოსი (1811-1814), მქადაგებელი, „მოკლე ქართული გრამატიკის“ შემდგენელი (Краткая грузинская грамматика, сочиненная на российском языке. СПб.: 1802). გარდაიცვალა მოსკოვში; დაკრძალულია იქვე, დანიელის მონასტერში – 263, 475

ვასილ იოსების ძე – იხ. ბებუთოვი ვასილ

ვახტანგ VI (ვახტანგ სჯულმდებელი) (1675-1737) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714), ქართლის მეფე (1716-1724), პოეტი, მეცნიერი. იბრძოდა ირანის გავლენის შესუსტებისა და ქვეყნის მმართველობითი ცენტრალიზაციისათვის. 1708-1709 წწ. თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. მისი თაოსნობით შეიქმნა სამართლის წიგნთა კრებული, რისთვისაც „სჯულმდებელი“ ეწოდა. 1724 წ. დახმარების იმედით გაემგზავრა რუსეთში, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ადრინდელ წყაროებში ასეც იხსენიება: ვახტანგ მეხუთე („მეხუთე ვახტანგი“) – 7, 192, 193, 240, 466-468, 478, 503, 504

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) – ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, ვახტანგ VI-ის შვილი, ავტორი ნაშრომისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან („დასაბამიდან“) XVIII საუკუნის I ნახევრამდე და გამსჭვალულია ქართველთა ეთნიკური და პოლიტიკური ერთიანობის იდეით. 1724 წელს მამას გაჰყვა რუსეთში, იქვე დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში – 188, 418

ვერგილიუსი (ვირგილი) (ძვ. წ. 70-ძვ. წ. 19) – რომაელი პოეტი, რომლის თხზულებებსა („ბუკოლიკები“, „გეორგიკები“, „ენეიდა“) და მათზე დართულ ადრეულ კომენტარებში საყურადღებო ცნობებია კოლხეთზე – 492

ვორონცოვი მიხეილ (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854; კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა). მიიჩნევა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება იმპერიის ძლიერების წყარო იყო და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი.

ამიტომაც, თუ ერთი მხრივ, ზრუნავდა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასიმილირებაზე, იმავდროულად, ხელს უწყობდა ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას – 142, 429, 454, 455, 460, 461, 464, 479, 481, 493, 509

ზ

ზაგურსკი ლეონარდ (1827-1891) – კავკასიისმცოდნე (ლინგვისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, სახელმწიფო მოხელე); დასრულებული ჰქონდა კიევის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1850 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ აქტიური წევრი (1851 წლიდან) და საქმეთა მმართველი (1876 წლიდან). გარდაიცვალა თბილისში – 502

ზისერმანი არნოლდ (1824-1897) – გერმანული წარმოშობის რუსი სამხედრო ისტორიკოსი, მემუარისტი, კავალერიის პოლკოვნიკი; 1842 წლიდან მსახურობდა კავკასიაში (თბილისში), „კავკასიის ომის“ მონაწილე, ავტორი წიგნისა „Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879“ (ტ. 1-3. 1888-1891) – 455, 461, 501; იხ. აგრეთვე: **Зиссерман А. Д.**

ზურაბი (საკ. სახელი) – 278

თ

თ. ჯ. – 65, 71, 73, 190, 200, 204, 228, 247, 248, 261, 265, 293, 373, 397, 432, 436, 451, 452, 456, 461, 467, 472, 485-487, 492; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

თავზიშვილი გიორგი (1902-1963) – ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 464, 501

თამაზი (საკ. სახელი) – 249

თამარ კაცია II-ის ას. დადიანი (1778-1818) – აფხაზეთის მთავრის (1810-1821), საფარ-ბეი (გიორგი II) შარვაშიძის მეუღლე, დედა აფხაზეთის მთავარ მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძისა – 437

თამარი (საკ. სახელი) – 249, 278

თამარი (დაახლ. 1160-1213) – საქართველოს მეფე 1184 წლიდან (გიორგი III-ის თანამოსაყდრე 1178-1184 წწ.) – 278

თბილელი იოსებ – იხ. **იოსებ თბილელი (სააკაძე)**

თევდორე (საკ. სახელი) – 236

თეიმურაზ I (1589-1663) – კახეთისა (1606-1648) და ქართლ-კახეთის (1625-1632) მეფე, პოეტი (განიცდიდა სპარსული პოეზიის ძლიერ გავლენას); იბრძოდა საქართველოში ირანის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც შეეწირა კიდეც. გარდაიცვალა ტყვეობაში – ასტრახადის (ირანი) საჰყრობილეში. დაკრძალულია ალავერდის ტაძარში – 243, 480

თეიმურაზ II (1700-1762) – კახეთის მეფე (1709-1715), გამგებელი (1733-1744), ქართლის მეფე (1744-1762), პოეტი, მთარგმნელი, ატარებდა ანტიირანულ პოლიტიკას. 1760 წელს დახმარების სათხოვნელად გაემგზავრა რუსეთში, თუმცა მისი ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალულია ასტრახანში (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში) – 240, 478

თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) – გიორგი XII-ის ძე, მწერალი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოებების წევრი, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. 1810 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში – 188

თეიმურაზი (საკ. სახელი) – 269

თეოფილაქტე (ერსიკაცობაში – **თედორე რუსანოვი**) (1765-1821) – საქართველოს ეგზარქოსი (1817-1821), მიტროპოლიტი, ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი; ატარებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას (შემოიღო კვირაში სამჯერ რუსულ ენაზე წირვა-ლოცვა; მის მიერ განხორციელებულ რეფორმებს მოჰყვა იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყება). ტიფისგან გარდაიცვალა ბოდბის მონასტერში, იქვეა დაკრძალული – 244

თვალავაძე თეა – მკვლევარი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ოტია პაჭკორიას თხზულებათა ოთხტომეულის შემდგენელი (თბ.: 2015) – 498

თოდუა მაგალი (1927-2016) – ფილოლოგი (აღმოსავლეთმცოდნე, ტექსტოლოგი), მთარგმნელი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1995-2008) – 504

თომა (საკ. სახელი) – 295

თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი (1774-1837) – პოეტი, მწიგნობარი, კალიგრაფი, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორი, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მდივნის, ეგნატე თუმანიშვილის (1746-1820), ვაჟი, გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი; რუსეთის სამსახურში შესულს სამოქალაქო მრჩევლის (Статский советник) ხარისხი ჰქონდა მინიჭებული – 242

თუმანიშვილი პავლე (გარდ. 1935) – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1900-1910), გაზეთ „ივერიისა“ (1905-1906) და ჟურნალ „ნაკადულის“ (1906-1920) გამომცემელი. გარდაიცვალა ემიგრაციაში (პოლონეთში) – 496

თუმანოვი – 1850-იან წწ. ქუთაისში ცხოვრობს და სამოქალაქო მრჩეველია – 74

თურქისტანიშვილი (თურქისტანოვი) ივანე – თბილისის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი – 234, 463

ი

იაკობ სიმონიძე – იაკობ გოგებაშვილის ფსევდონიმი – 500; იხ. აგრეთვე: **გოგებაშვილი იაკობ**

იანოვსკი კირილე (1822-1902) – უკრაინული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე (რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი), ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების“ წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1899), უკიდურესი რეაქციონერი, კავკასიაში ცარიზმის ასიმილაციური პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი. გარდაიცვალა სოხუმში, იქვეა დაკრძალული – 487

იბრაჰიმ-ხანი – შამილის მესამე ნაიბის, მაჰმად-ამინის, თანამებრძოლი – 109, 443

იესე, *ალიყული-ხანი* (დაახლ. 1880/1881-1872) – ქართლის მეფე (1714-1716), გამგებელი (1724-1727), ძმა ვახტანგ VI-ისა, მამა ანტონ I-ისა – 475

იესო ქრისტე – ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი – 241, 263, 410, 412

ივანე (საკ. სახელი) – 224, 271, 274-276, 368

ივანე გიორგის ძე – იხ. **მაჩაბელი ივანე**

ინალ-იფა (ინალიშვილი) ტატა – იური ჩიქოვანის ვარაუდით, დიმიტრი (სეით-ბეი) შარვაშიძის დედა – 443

ინგოროყვა პავლე (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომში პარლამენტის) წევრი – 504

იოანე თბილელი – იხ. **იოსებ თბილელი**

იოანე პეტრინი – XI-XII სს. ქართველი ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკოსი, მწერალი, მთარგმნელი. მწირი ბიოგრაფიული ცნობების მიხედვით, განათლება მიუღია მანგანის აკადემიაში (კონსტანტინოპოლი); მოღვაწეობდა პეტრინონის (ბაჩკოვო) მონასტერში, შავ მთაზე, გელათის აკადემიაში – 264

იოანე შავთელი – თამარის ეპოქის (XII-XIII სს.) ქართველი მწერალი, მიიჩნევა ქართული ლიტერატურის კლასიკური სახოტბო ძეგლის, „აბდულმესიანის“ ავტორად. მისი სახელითაა მოღწეული აგრეთვე რამდენიმე სასულიერო ხასიათის ტექსტი (მათ შორის, „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“) – 188

იოანესოვი იოსებ – სტამბის მფლობელი პეტერბურგში – 263

იონა (მიტროპოლიტი) – იხ. **გედევანიშვილი იონა**

იოსებ თბილელი (სააკაძე) (1620-1688) – სასულიერო მოღვაწე (თბილისის მიტროპოლიტი 1862 წლიდან), პოეტი, გიორგი სააკაძის ძმისწული, ავტორი პოემისა „დიდმოურავიანი“, რომელშიც მოცემულია გიორგი სააკაძის აპოლოგია – 243 479, 480

იოსელიანი (საკ. სახელი) – 299

იოსელიანი პლატონ (1809-1875) – მეცნიერი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი), ჟურნალისტი, გამომცემელი, ათენის არქეოლოგიური საზოგადოების წამდელი წევრი; ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპებით ეკუთვნოდა „მამების“ თაობას – 8, 203, 213, 217, 228, 233, 234, 243, 263, 312, 363, 463, 472, 476, 478-480, 482, 501

იპოლიტ ალექსანდრეს ძე – იხ. **დიუკრუასი იპოლიტ**

ირაკლი (საკ. სახელი) – 221

ისიდორე (ერისკაცობაში – იაკობ ნიკოლსკი) (1799-1892) – საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წწ.; საქართველოში ყოფ-

ნისას ენერგიულად იღვწოდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ისლამის შევიწროებისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელებისათვის. 1849 წ. მისი ინიციატივით შეიქმნა ბიბლიის ქართული თარგმანის შემსწორებელი პირველი კომიტეტი. 1858 წ. გადაიყვანეს კიევის მიტროპოლიტად. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში – 440

ისლამი – მიხეილ შარვაშიძესთან დაახლოებული პირი; გერმანე აფხაზეთის ეპისკოპოსის თარჯიმანი – 109

3

კანკრინი ეგორ (1774-1845) – ინფანტერიის გენერალი, რუსეთის ფინანსთა მინისტრი 1823-1844 წწ. – 36

კეკელიძე კორნელი (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი. ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ კვლევას. საქართველოს გასაბჭოებამდე იყო სასულიერო მოღვაწე (დეკანოზი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი). დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში – 1, 495, 512, 513

კელენჯერიძე ელენე – ფილოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. აღწერა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დიძე. ყიფიანის პირადი არქივი – 466

კერესელიძე ივანე (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 8, 198, 199, 239, 242, 469, 470, 477, 501, 502

კესარია – იხ. შარვაშიძე კესარია

კიკნაძე ლია – ფილოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, ავტორი ნიგნისა „გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ.: 1993) – 498

კიკნაძე ნანა – გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი – 498

კიკოლა (საკ. სახელი) – 236

კლუჩარევი ვასილ – პედაგოგი (1850-იან წწ. კანონმცოდნეობას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში) – 194, 195, 197, 469

კობაძე ბონდო – პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულებისა: „აკაკი წერეთელი – 170“ (თბ.: 2010), „გალაკტიონი – 120“ (თბ.: 2011), „დიმიტრი ყიფიანი – 200“ (თბ.: 2014) და სხვ. – 489

კოზლიანი ნოვი გრიგოლ (1793-1851) – გენერალ-ლეიტენანტი (1842 წლიდან), კავკასიის სამხედრო კორპუსის საარტილერიო ნაწილის უფროსი 1834-1848 წწ. – 35

კოლიუბაკინი ნიკოლოზ (1810-1868) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი; ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი (1857), ერევნისა (1858-1861) და ქუთაისის (1861-1862) სამხედრო გუბერნატორი. 1862 წელს გაინვიეს კავკასიიდან. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა მოსკოვში, სადაც იყო ვლ. ოდოევსკის ლიტერატურული წრის წევრი. ნ. კოლიუბაკინი იყო სხვადასხვა წლებში სამეგრელოს მმართველის, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორისა და ბაქოს გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ მიხეილ კოლიუბაკინის (1806-1872), ძმა – 79, 80, 103

კოლხიდელი – გრიგოლ დადიანის ფსევდონიმი – 442; იხ. აგრეთვე: **დადიანი გრიგოლ**

კოცებუ თედორე – გერმანული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1826 წლიდან მსახურობდა კავკასიაში. კარიერა დაასრულა 1860 წელს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობაზე. დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო სამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი – 173, 451, 454

კოცებუ პავლე (1801-1884) – გენერალ-ლეიტენანტი და ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1821 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 და 1853-1856 წწ. და სხვა ომების მონაწილე, 1837 წლიდან დანიშნული იყო კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსად – 28, 441

ლ

ლაზარევი ოვანეს (ივანე) (1735-1801) – რუსეთის საიმპერატორო კარის იუველირი, პოლიტიკური და დიპლომატიური მოღ-

ვანე, ეკატერინე II-ის ეპოქის ერთ-ერთი უმდიდრესი პირი იმპერიაში. მის მიერ ანდერძით დატოვებული თანხით დაარსდა მოსკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი (1815; თავიდან ოთხკლასიანი სომხური სასწავლებელი იყო, მოგვიანებით გადაკეთდა გიმნაზიად, შემდეგ – ინსტიტუტად; 1921 წელს მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს შეუერთეს. სხვადასხვა წლებში აქ ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას ალექსანდრე ხახანაშვილი, ილია ოქრომჭედლიშვილი-სერებრიაკოვი...) – 463

ლარაძე პეტრე (1770-1837) – პოეტი, კალიგრაფი, მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში, 1803-1810 წწ. ახლდა სპარსეთში გადახვენილ თეიმურაზ ბატონიშვილს, შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში, მაგრამ საბოლოოდ (1820-იანი წწ.) საქართველოში დაბრუნდა. ავტორი ლირიკული და ეპიკური ნაწარმოებებისა (მათ შორის, პოემისა „დილარიანი“) – 242

ლაცაბიძე თამაზ – ისტორიკოსი, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომებისა: „იგრია“ (თამარ ლაცაბიძესთან ერთად; 2010), „ხაშურის რაიონის ისტორია ტოპონიმებში“ (2010), „ოსიაური“ (2013) და სხვ.; შეადგინა დი. ყიფიანის ბიბლიოგრაფია („ხაშურის მუზეუმის მოამბე“. III. 2011) – 507

ლევან V დადიანი (1791-1846) – სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი (1805-1840; ოდიშის მართვას უშუალოდ 1811 წლიდან შეუდგა), სამთავრო ტახტი სიცოცხლეშივე გადასცა თავის მემკვიდრეს – დავით დადიანს, თუმცა მთავრის ტიტული სიკვდილამდე შეინარჩუნა; მხარს უჭერდა რუსეთის პოლიტიკას დასავლეთ საქართველოში – 92

ლეონიძე გიორგი (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „საფირონისა“ (1916; გამოვიდა ერთი ნომერი) და გაზეთ „ბახტრიონის“ (1922-1923) რედაქტორ-გამომცემელი. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გიორგი ლეონიძის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი, პერიოდული გამოცემა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ და სხვ. – 1, 498, 512

ლეჟავა ლია (1924-2000) – ენათმეცნიერი, ავტორი გამოკვლევებისა დი. ყიფიანის გრამატიკული შეხედულებების შესახებ – 493, 502

ლობჯანიძე გიორგი – პოეტი, მთარგმნელი (იბნ ალ-მუკაფფა, ჯალალ ედ-დინ რუმი, საადი შირაზელი, ყურანი და სხვ.), აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგი, „კავკასიური სახლის“ აღმოსვლური განყოფილების გამგე, „ისლამური კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი, პრემია „საბას“ ორგზის ლაურეატი (2008; 2011), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – 373

ლორთქიფანიძე კირილე (1839-1919) – „თერგდალეულთა“ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1873-1874), აღმანახ „ჩონგურის“ (1864) შემდგენელ-გამომცემელი. დაკრძალულია ქუთაისში (მწვანეყვავილაზე) – 496

ლუარსაბი (საკ. სახელი) – 255

მ

მართა (საკ. სახელი) – 271, 284

მარი ივანეს ძე – იხ. **ბროსე მარი-ქსავიე ფელისიტე**

მარი ნიკო (1864-1934) – ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, ავტორი ჰიპოთეზისა, რომლის მიხედვით, ქართველური ენები ენათესავენა სემიტურ ენებს და მიეკუთვნება იაფეტურ ენათა ოჯახს – 492

მარიამი (საკ. სახელი) – 271, 278

მარტენსი ფ. – პეტერებურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბის თანამშრომელი – 490

მარლანიები – თავადური საგვარეულო – 109

მარშანიები – თავადური საგვარეულო – 109

მაქსიმოვიჩი ჰავლე (1796-1888) – რუსი პედაგოგი, პეტერებურგის სასწავლო ოლქის ინსპექტორი და განათლების სამინისტროს სწავლულთა კომიტეტის წევრი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник); ძმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამემწისა და საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის (1850-იან წწ.), ალექსანდრე მაქსიმოვიჩისა (1799-1873 წ. შემდეგ) – 470

მალაფერიძე თეიმურაზ (1936-1994) – მწერალი, კინოდრამატურგი, ლიტერატურათმცოდნე (ძირითადად იკვლევდა XIX-XX სს. კულტურულ-სალიტერატურო პროცესებს) – 510

მაჩაბელი ვასილ (1845-1918) – იურისტი (ნაფიცი ვექილი), საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის (1854-1898) ძმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრის, გიორგი მაჩაბლის (1885-1935), მამა. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ი. ჭავჭავაძესთან, თუმცა ილიასა და ივ. მაჩაბლის ცნობილმა კონფლიქტმა ვასილ მაჩაბლისა და ილიას მეგობრული ურთიერთობაც გააფუჭა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 490

მაჩაბელი ივანე (1854-1898) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ივერიის“ თანარედაქტორი (1882-1883; ი. ჭავჭავაძესთან ერთად), „დროების“ რედაქტორი (1883-1885), „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის „ქართველიშვილისეული“ გამოცემის ფაქტობრივი რედაქტორი, ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა, „ქმნ-კგ საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“. უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგის, ჰოპენჰაიმის, სორბონის უნივერსიტეტებში. კონგენიალურად თარგმნა უ. შექსპირის პიესები („ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“ და სხვ.). 1890-იან წლებში ი. ჭავჭავაძესთან ჰქონდა საბედისწერო პოლემიკა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ე. წ. „ბანკობიდა“), რომელშიც დამარცხდა და ამ დამარცხებამ საზოგადოებრივ-კულტურული ასპარეზიდან მისი გარიყვა გამოიწვია. 1898 წლის 26 ივნისს გავიდა სახლიდან და დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა – 485-488, 496

მაჭავარიანი დავით – სასულიერო პირი (დეკანოზი), სამურზაყანოს ბლალორჩინი 1850-იან წწ. (დეკანოზი დავით მაჭავარიანი აფხაზეთში მოღვაწეობდა 1890-იან წლებშიც და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ენერგიულად უძღვებოდა თავის საქმეს – „ივერია“. 1894, №253) – 77-79, 107, 108, 440

მაჭავარიანი სპირიდონ – სამხედრო (გენერალ-მაიორი) და საზოგადო („ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი) მოღვაწე. ოზურგეთის მაზრის უფროსი 1850-1857 წწ. (იმ დროს მაიორის ჩინი ჰქონდა). დაკრძალეს შორაპნის მაზრის სოფ. ცხრანყაროს (ამჟამად ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის ეკლესიაში – 88

მაჯო (მაჯჯო) ფრანცისკო-მარია (1612-1686) – იტალიელი მი-სიონერი (საქართველოში მოღვაწეობდა 1630-1640-იან წწ.), „ქართული ენის გრამატიკის“ ავტორი და გამომცემელი (რო-მი: 1643, 1670) – 264

მაჰმად-ამინი (1818-1901) – შამილის მესამე ნაიბი, ჰაზავათის არ-მიის მეთაური, აფხაზეთისა და ჩერქეზეთის იმამი 1848-1859 წწ.; 1856 წლიდან შეწყვიტა ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო 1859 წელს რუსეთის ერთგულების ფიცი დადო. გარდა-იცვალა ოსმალეთში (სოფელ არმუთში, ბურსასთან) – 91, 443

მგალობლიშვილი სოფრომ (1851-1925) – მწერალი, ჟურნალის-ტი, პუბლიცისტი, მემუარისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღ-ვაწე, ხალხოსნური იდეების აქტიური პროპაგანდისტი მწერ-ლობაში და პრაქტიკული საქმიანობითაც, რის გამოც 1876 და 1878 წწ. დაპატიმრებული იყო; გაზეთების „ჩვენი დროება“ (1912-1913; 1915 წ. გამოვიდა ერთადერთი ნომერი) და „თემის“ (1912) რედაქტორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 484

მელიქიშვილი პეტრე (1850-1927) – თვალსაჩინო ქართველი ქი-მიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი (1918-1919). დაკრძალულია უნივერსიტეტის პანთე-ონში – 463

მელიქიშვილი სტეფანე (1841-1887) – გაზეთ „დროების“ გამომ-ცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, მესტამბე. მთელი თავისი ავლადიდება შესწირა „დროების“ გამოცემას და, მატერიალუ-რად უკიდურესად შევიწროებული, კომერციული მიზნით წა-ვიდა შუა აზიაში, სადაც (აშხაბადში) თავი მოიკლა – 496, 500

მერკვილაძე იოსებ (სოსიკო) (1854-1934) – გამომცემელი, ჟურ-ნალისტი (ფსევდ. „მეთვალყურე“), ფოლკლორისტი, ბუკინის-ტი, გამომცემლობა „ცოდნისა“ და ამავე სახელწოდების წიგ-ნის მაღაზიის მფლობელი, გაზეთების: „სავაჭრო გზა“ (1908), „ჩვენი ხმა“ (1909), „ცოდნა“ (1911; გამოვიდა ერთი ნომერი) რედაქტორ-გამომცემელი, აკაკი წერეთელთან დაახლოებუ-ლი პირი – 485

მესხი სერგეი (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრი-ტიკოსი, მთარგმნელი, კულტურისა და განათლების პოპუ-ლარიზატორი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1883; 1880-1881 წწ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი). თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული კულტურის ისტორია-

ში. გარდაიცვალა აბასთუმანში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ რიონში – 496

მეტრეველი ელენე (1917-2003) – ფილოლოგი-ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა VIII-XIX სს. ქართულ მწერლობას, ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების ისტორიას; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დირექტორი (1968-1988) – 498

მეუნარგია იონა (1852-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართულ მწერლობაში ბიოგრაფიული ჟანრის დამამკვიდრებელი, „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის (ე. ნ. ქართველიშვილისეული) გამოცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესასთან („დროება“, „ივერია“, „Кавказ“, „Новое обозрение“ და სხვ.). ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (თარგმანი და კარგულად ითვლება). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ცაიშში – 492, 502

მთვარელიძე მურად – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „დიმიტრი ყიფიანი – ლიტერატორი“ (თბ.: 2018) – 488, 492, 502

მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) – იხ. **დადიანი-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

მიქაძე (საკ. სახელი) – 295

მიქელაძე არჩილ – იმერელი (კულაშელი) თავადი – 88, 89

მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (1832-1909) – დიდი მთავარი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალის და ჯარების სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; კავკასიის მეფისნაცვლობიდან ოფიციალურად გათავისუფლდა 1881 წ. 23 ივლისს, ხოლო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ მანამდე, 14 ივლისს, დაინიშნა. 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ). მისი მმართველობის დროს დამთავრდა რუსეთის იმპერიის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სისხლისმღვრელი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად (1817-1864 წწ. „კავკასიის ომი“). შედარებით ლოიალურად იყო განწყობილი ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების განვითარების მიმართ,

თუმცა მიზანმიმართულად ცდილობდა სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის რუსიფიკაციას – 434

მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე (1806-1866) – აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი (1822-1864), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (მინიჭებულ ჰქონდა გენერალ-ადიუტანტის წოდებაც). 1864 წ. ჩამოართვეს მთავრის უფლებები და, მიუხედავად იმისა, რომ ითხოვდა საცხოვრებლად დატოვებას აფხაზეთში ან იმერეთსა და რაჭაში, რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა ვორონეჟში. დაკრძალულია მოქვის ტაძარში – 7, 65-95, 98-109, 421, 432-447, 449

მოძღვაროვი ივანე (იოანე) – 1840-იან წწ. მოსკოვში ცხოვრობს და კოლეგიის მდივნის (Коллежский секретарь) ჩინი აქვს. რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და 1846 წელს მოსკოვში, სინოდის სტამბაში, გამოსცა „ვრცელი ქრისტიანებრივი კატეხისმო მართლმადიდებელისა კათოლიკე აღმოსავლეთის ეკკლესიისა“ – 188

მჟედლოვი ზაქარია – იხ. **მჭედლიშვილი ზაქარია**

მულიკოვსკი ალექსანდრე – მკვლევარი, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ ნევრ-კორეჟსონდენტი – 8, 244, 245, 480, 481, 502

მურავიოვი ნიკოლოზ (1794-1866) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1854-1856). დაკრძალულია ზადონსკის (ვორონეჟის გუბერნია, ამჟამად ლიპეცკის ოლქი) მონასტერში – 65, 71, 72, 150, 433-435, 439, 440, 448, 454

მუხრანსკი – იხ. **მუხრანბატონი**

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) გიორგი (1821-1877) – ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის შთამომავალი (ერეკლე II-ის შვილთაშვილი), რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში დანიშნურებული დიდმოხელე (სენატორი და საიდუმლო მრჩეველი), 1872 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ („ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“) ამტკიცებდა გაბატონებულ ერებში მცირერიცხოვან ერთა ასიმილაციის ისტორიულ კანონზომიერებასა და პროგრესულობას, რასაც ქართველ

მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი და სხვ.) მწვავე რეაქცია მოჰყვა. გ. მუხრანბატონი იგულისხმება ი. ჭავჭავაძის ლექსში „პასუხის პასუხი“: „პირველ თქვენგანმა / იმა ბედშავმა / მას (ქართულ ენას – თ. ჯ.) მკვდრის სუდარი გადააფარა“. გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია საგვარეულო სამარხში – სვეტიცხოვლის ტაძარში – 168, 169, 451, 453

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ივანე (იოანე) (1812-1895) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), გავლენიანი მემამულე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“; 1885-1891), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და რიგით მეორე თავმჯდომარე (1882-1885). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 72, 75, 77, 80-83, 88-91, 103, 108, 439, 441, 446

მუხრანბატონი ნინო (1816-1886) – ლევან V დადიანის (1791-1846) ასული, ივანე (იოანე) მუხრანბატონის (1812-1895) მეუღლე, დედა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის (1894-1900) კონსტანტინე მუხრანბატონისა (1838-1903). ნინო მუხრანბატონი დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში, მეუღლის გვერდით – 439

მჭედლიშვილი (მჭედლოვი) ზაქარია – სასულიერო პირი (მღვდელი), კავკასიის სასწავლო ოლქის „სახელმძღვანელობის შემდგენელი კომიტეტის“ ქართული ენის განყოფილების წევრი – 463

6

ნაზარიშვილი (ნაზაროვი) დიმიტრი (1854-1927) – ექიმი (დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის ქირურგიული აკადემია), ჟურნალისტი, ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „შრომის“ გამომცემელი (1881-1883; გაზეთი გამოდიოდა ქუთაისში. იყო ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გამოცემა), დიდი ამაგი მიუძღვის წყალტუბოს სამკურნალო წყლების შესწავლაში. დაკრძალულია ქუთაისში (მწვანეყვავილას პანთეონში) – 496

ნაკაშიძე ივანე (1848-1917) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-ოს-
მალეთის 1877-1878 წწ. ომის მონაწილე, წითელი ჯვრის რუსე-
თის მთავარსამმართველოს წევრი (1900-იანი წწ.). ცხოვრობ-
და პეტერბურგში (1882 წ. პეტერბურგში მყოფ დიმი. ყიფიანს
მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ივ. ნაკაშიძესთან) – 490

ნანიტაშვილი ლეილა – მკვლევარი, ლიტერატორი, გამომცემე-
ლი. ძირითადად იკვლევს XIX-XX სს. ქართული ლიტერატურ-
რის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას
– 467, 502

ნიკოლაი ალექსანდრე (1821-1899) – შვედური წარმოშობის რუსი
სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი, სენატორი და სახელმწიფო მდი-
ვანი (Статс-секретарь). სხვადასხვა წლებში იყო მეფისნაცვალ
მიხ. ვორონცოვის საღამქრო კანცელარიის დირექტორი, კავკა-
სიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნ-
ველი, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფის-
ნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, რუსეთის სახელმწი-
ფო საბჭოს წევრი, განათლების მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს
კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე; მთავარი ფიგურა იმ
რეფორმების პრაქტიკული განხორციელებისას, რომლებიც მე-
ფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1862-1881) კავკასიაში
გაატარა; მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა. ალ. ნი-
კოლაი გარდაიცვალა ბეთანიაში, საკუთარ მამულში; მეუღლეს-
თან ერთად დაკრძალულია მშობლიურ ქ. ვიბორგში – 169, 170,
231, 243, 451, 453, 465, 473, 474, 476, 477, 479, 480

ნიკოლაიშვილი ელენე (1928-2018) – ენათმეცნიერი (ძველი ქარ-
თული ენა, ქართველური ენების მორფოლოგიისა და ლექსი-
კოლოგიის საკითხები, ქართული ენის შესწავლის ისტორია,
დიალექტოლოგია). შეისწავლა და გამოსცა გაიოზ რექტორის
„ქართული ღრამმატიკა“ (თბ.: 1970) – 494, 503

ნიკოლაძე ნიკო (1843-1928) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი,
კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ
„კრებულის“ (1871-1873) ფაქტობრივი რედაქტორი, გაზეთის
„Огонь“ (1878-1880) დამაარსებელი და რედაქტორი, გაზეთის
„Новое обозрение“ რედაქტორი (1887-1891), ფოთის ქალაქის
თავი (1894-1912), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917-
1918) და დამფუძნებელი კრების (1919-1921) წევრი ეროვნულ-
დემოკრატიული პარტიიდან. დაკრძალულია მთაწმინდის პან-
თეონში – 469, 503

- ნიკოლოზ I** (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855). სახელმწიფოს მართვაში აბსოლუტური მონარქიის მიმდევარი, თუმცა მის მიერვე წახალისებულმა ბიუროკრატებმა იმპერატორის აბსოლუტიზმი ბიუროკრატული ტირანიით შეცვალა. თანამიმდევრული რუსიფიკატორი. გარდაიცვალა პეტერბურგში 1855 წლის 18 თებერვალს [მისი სიკვდილის ოფიციალური ვერსია ბანალურია – გაციება, რომელიც მწვავე ფორმის ციებ-ცხელებითა და სიკვდილით დასრულდა, თუმცა გავრცელებული იყო არაოფიციალური ვერსიაც – „ყირიმის ომში“ (1853-1856) განცდილი კატასტროფული მარცხით დათრგუნვილი იმპერატორის დაბეჯითებული მოთხოვნით პირადმა ექიმმა, ნიკ. მანდტმა, შხამი დააღვინა] – 425-429, 434, 460
- ნინო** (წმ.) – ქართველთა განმანათლებელი (დაახლ. IV ს. პირველი მესამედი), მოციქულთასწორი, წარმოშობით კაპადოკიელი. აღესრულა სოფელ ბოდინში/ბოდში (ამჟამად ბოდბე). იქვეა დაკრძალული – 241

ო

- ოვიდიუსი (ოვიდი) პუბლიუს ნაზონ** (ძვ. წ. 43-ახ. წ. 18) – რომელი პოეტი, ავტორი პოემისა „მეტამორფოზები“, რომელმაც შესამჩნევი გავლენა იქონია ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე – 492
- ომერ-ფაშა (ლატასი მიხაილ)** (1806-1871) – სერბული წარმოშობის ავსტრიელი ოფიცრის შვილი, რომელმაც ისლამი მიიღო და შთამბეჭდავი კარიერა შეიქმნა ოსმალეთის სამხედრო ძალებში... 1868 წ. დატოვა სამხედრო სამსახური. გარდაიცვალა სტამბოლში. ომერ-ფაშა მთავარი პერსონაჟია ნობელიანტი ივო ანდრიჩის რომანისა „ომერ ფაშა ლატასი“ – 80, 90, 93, 94, 102, 108, 109, 435, 447
- ორბელიანი** – ფედალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში – 299
- ორბელიანი გრიგოლ** (1804-1883) – პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეო-

ბას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე (იცავდა „მამების“ პოზიციას), 1832 წლის შეთქმულების წევრი [მისაჯრა გადაყვანა „პირველი ლინიის“ (მოიცავდა ტერიტორიას ყუბანიდან თერგის შესართავამდე) ქვეით კორპუსში რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით]. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 254, 258, 461, 502, 508

ორბელიანი ვახტანგ (1812-1890) – პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და კალუგაში გადაასახლეს). იყო „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1850-იან წლებში დიდი ამაგი დასდო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 486

ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725) – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, განმანათლებელი, სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე. 1713-1716 წწ. ვახტანგ VI-ის დავალებით (მოკავშირეთა მოპოვების დიპლომატიური მისიით) იმოგზაურა ევროპაში (საფრანგეთი, იტალია...), თუმცა ეს მისია უშედეგოდ დამთავრდა. ევროპაში ყოფნისას მიიღო კათოლიკობა, რამაც მის მიმართ საქართველოს სასულიერო წრეების მწვავე აგრესია გამოიწვია. გარდაიცვალა მოსკოვში და იქვეა (ვსეს-ვიატსკოეში) დაკრძალული – 466, 503, 504

ორჯონიკიძე ეთერ (1927-2007) – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომებისა „რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში. XIX ს. პირველი ნახევარი“ (თბ.: 1992), „ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები“ (თბ.: 1999) – 455, 459, 461, 503

ოქრო (საკ. სახელი) – 224, 255

3

პავლე (საკ. სახელი) – 235 275, 276, 284, 285, 308, 371, 474

პავლე – ქრისტეს მოციქული; მიეკუთვნება ახალი აღთქმის 14 ეპისტოლე (პავლენი) – 278

პავლე ვასილის ძე – იხ. განი (ჰაანი) პავლე

პასკევიჩი ივანე (1782-1856) – უკრაინული წარმოშობის (პოლტავიდან) რუსი გენერალ-ფელდმარშალი (1829 წლიდან), კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831); ერევნის ალებისათვის მოპოვებული ჰქონდა გრაფ ერივანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.), ხოლო ვარშავის დამორჩილებისათვის – უგანათლებულეს თავად ვარშავსკის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულები; თვალსაჩინო ფიგურა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომში, ხოლო მანამდე, უნგრეთის 1848-1849 წწ. რევოლუციის ჩახშობისას, რუსეთის არმიას სარდლობდა; რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ წინ აღუდგა ქართველი მაჰმადიანებისაგან დაცლილ ჯავახეთში დასავლეთ საქართველოდან ქართული მოსახლეობის გადმოყვანის ინიციატივას და იქ ოსმალეთიდან გადმოსული სომხები ჩაასახლა. გარდაიცვალა ვარშავაში. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს სოფელ ივანოვსკოეში (ყოფილი დემბლინი) – 31

პეტრე (საკ. სახელი) – 235, 255, 271, 274, 276, 284, 365, 370, 371, 474

პეტრინი – იხ. იოანე პეტრინი

პუშკინი ალექსანდრე (1799-1837) – რუსი მწერალი. ითვლება ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლად – 424, 508

რ

რამიშვილი ვალერიან (1907-1990) – მკვლევარი, პედაგოგი, დიდი ამაგი მიუძღვის ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობის პუბლიკაციასა და კვლევაში – 500

რეადი ნიკოლოზ (1792-1855) – კავალერიის გენერალი, მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებსა და პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში, აგრეთვე, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომში (დაიღუპა 1855 წლის 4 აგვისტოს). 1854 წელს დროებით ასრულებდა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას – 72, 109, 439

რევიშვილი შოთა (1919-1995) – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა გერმანულ-ქართულ ისტორიულ და კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს – 472, 503

როზენი გრიგოლ (1782-1841) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბარონი, მონაწილეობდა პოლონეთის 1830-

1831 წ. აჯანყების ჩახშობაში, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური 1831-1837 წწ. (უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ). 1837 წლის ნოემბერში იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გაიწვია კავკასიიდან და საერთოდ ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს. კავკასიიდან წასვლის შემდეგ იყო რუსეთის სენატის წევრი. დაკრძალულია მოსკოვში, წმ. დანიელის მონასტერში – 36, 37, 68, 69, 437

რუსთველი (რუსთაველი) შოთა – პოეტი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ – 467, 510

ს

საბინინი მიხეილ (გობრონ) (1845-1900) – რუსი მღვდლის, პავლე საბინინისა და ქართველი ეკატერინე მირზაშვილის ძე, დამთავრებული ჰქონდა თბილისის კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგის სასულიერო აკადემია, ბერი, საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსი, 1882 წ. სანქტ-პეტერბურგში გამოსცა ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ილუსტრირებული კრებული – „საქართველოს სამოთხე“. გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალეს იქვე (წმ. დანიელის მონასტერში) – 490

სალომე (საკ. სახელი) – 365

სარაჯიშვილი ალექსანდრე (1851-1914) – მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის, ყაზანის, კიევის უნივერსიტეტებში, საბოლოოდ კი ფენევის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი დაასრულა (1876). იყო „ქმნ-კგ საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი (1902-1903) და გამომცემელი (1902-1905), „ვისრამიანის“ გამომცემელი (1884; ი. ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარებაში – 496

სარაჯიშვილი (სარაჯვეი) ვასილ (გარდ. 1888) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), საზოგადო მოღვაწე („ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი) – 192, 466-468

სახოკია თედო (1868-1956) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; სხვადასხვა დროს სწავლობდა ჟენევისა და პარიზის (სორბონის) უნივერსიტეტებში, პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში (იყო პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრი). 1903-1905 წწ. რედაქტორობდა (ა. ჯორჯაძესა და გ. ლასხიშვილთან ერთად) პარიზში გამოქვეყნებულ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „საქართველოს“; დიდი ამაგი დასდო ქართულ ენას, ლიტერატურას, ზოგადად ეროვნულ კულტურას თავისი ეთნოგრაფიული და სამოგზაურო ხასიათის თხზულებებით, მემუარებით, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა შეკრებითა და გამოცემით, თარგმანებით (ბოკაჩო, ვოლტერი, ზოლა, მოპასანი და სხვ.) – 434, 437, 444, 499, 504

სემიონოვი ვასილ (1801-1863) – სახელმწიფო მოხელე, ლიტერატორი, აღ. პუშკინთან დაახლოებული პირი. 1827-1836 წწ. პეტერბურგში მსახურობდა ცენზორად. თბილისში გადმოიყვანეს 1842 წლის დეკემბერში და დანიშნეს ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრად. 1847 წლიდან კავკასიის სასწავლო უწყების ხელმძღვანელია. 1848 წლიდან – კავკასიის ახალშექმნილი სასწავლო ოლქის მზრუნველი. 1852 წლის იანვარში გავიდა სამსახურიდან და რუსეთში დაბრუნდა – 476

სტელეცკი ვასილ (1802-1860) – პედაგოგი (1840 წწ. კანონმთმცოდნეობასა და ლათინურ ენას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში) – 194, 469

სუმბათაშვილი (სუმბათოვა) სოფიო – თავადის ასული (გორის მაზრა) – 20

სუხოზანეტი ნიკოლოზ (1794-1871) – ბელორუსული წარმოშობის რუსი სამხედრო მოღვაწე (გენერალ-ადიუტანტი), რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი (1856-1861) – 434

ტ

ტაგუ (*ქირტაგუ, ქირთ ტაგუ*) – აფხაზეთის მთავრის, მიხეილ შარვაშიძის, ნდობით აღჭურვილი პირი – 105, 445

ტარაკანოვი ივანე (გარდ. 1849) – გენერალ-მაიორი, 1830-1831 წწ. მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში, 1818-1846 წწ. მსახურობდა კავკასიაში – 23

ტატიშვილ-ყიფიანი ნინო (1867-1937) – დიმ. ყიფიანის რძალი (კოტე ყიფიანის მეუღლე), პუბლიცისტი (ფსევდ.: „ნ-ნო ყ-სა“, „მეთვალყურე“, „მეგობარი“...), მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, რ. ჯოვანიოლის „სპარტაკის“ (ტფ.: 1900) მთარგმნელი. 1923 წ. მემკვიდრის უფლებით დიმ. ყიფიანისეული სახლ-კარი უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს მწერალთა კავშირს. დაკრძალულია ქვიშხეთში, მაცხოვრის აღდგომის დედათა მონასტრის ეზოში – 435

ტიმოთე მთავარეპისკოპოსი – იხ. გაბაშვილი ტიმოთე

უ

ურიდია ოთარ (1923-1998) – გრამატიკოსი, პედაგოგი, გიორგი ერისთავის (1813-1864) თხზულებათა მკვლევარი და გამომცემელი – 500

ფ

ფადეევი ანდრეი (1789-1867) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მემუარისტი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), 1841-1846 წწ. იყო სარატოვის გუბერნატორი, 1846 წელს მიხ. ვორონცოვმა მოიწვია ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრად და ამის შემდეგ სამუდამოდ აქ დარჩა. 1860-იან წწ. აქტიურად მონაწილეობდა საგლეხო რეფორმის ჩატარებაში. გარდაიცვალა თბილისში და აქვე, მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის ეზოში, არის დაკრძალული – 173, 451, 458

ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ზაქარია (1818-1845) – მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების გამცემის, იასე ფალავანდიშვილის, ძმისწული, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი (მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად. „ვეფხვის ტყაოსანი. რუსულად Барсова кожа. პოემა დანერილი შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვანლითა უფალთა ბროსეც, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ-პეტერბურღს: 1841), გაზეთ „კავკასიისა მხარეთა უწყებანის“ (1845-1846) მთარგმნელი და ფაქტობრივი რედაქტორი, მარი ბროსეს ახლო თანამშრომელი და კორესპონდენტი. სწავლობდა ჯერ მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, შემდეგ –

პეტერბურგის უნივერსიტეტში (დაამთავრა 1840 წ.). მოულოდ-
ნელად გარდაიცვალა 27 წლისა. დაკრძალეს მთანმინდაზე, მა-
მადავითის გალავანში (საფლავი დაკარგულია) – 206, 472, 504;
იხ. აგრეთვე: **Палавандишвили (Палавандов) Захарий**

ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ნიკოლოზ (1790-1855) –
თვალსაჩინო ფიგურა კავკასიის ხელისუფლებაში, „ნამდვილი
სამოქალაქო მრჩეველი“ (Действительный статский советник;
1831 წლიდან), 1832 წ. შეთქმულების გამცემის, იასე ფალა-
ვანდიშვილის, ძმა. 1832-1838 წწ. წ. ფალავანდიშვილი იყო სა-
ქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (1837 წ. ნოემბრიდან
1838 წ. მარტამდე ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის
მოვალეობას. ამის შემდეგ გავიდა სახელმწიფო სამსახურიდან
და ტაბახმელაში დასახლდა). 1850-იანი წწ. დასაწყისში მეფის-
ნაცვალ მიხ. ვორონცოვის თხოვნით იგი კვლავ დაუბრუნდა
სახელმწიფო სამსახურს: ჯერ მეფისნაცვლის განსაკუთრე-
ბულ დავალებათა მოხელედ (1851 წლიდან), შემდეგ – მეფის-
ნაცვლის საბჭოს წევრად; რუსეთის ხელისუფლებას ემსახურა
არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ სამხედრო სფეროშიც:
პ. ციციანოვის მხარდამხარ იბრძოდა ბაქოს მისადგომებთან
(1806), ვოლონტიორად იყო საფრანგეთში (1815), ჩრდილოეთ
კავკასიაში მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვთან ერთად
დალაშქრა ხასან-სუ (1826) და სხვ.; გამოირჩეოდა წიგნიერე-
ბით, იშვიათი მეხსიერებით, დიპლომატიური და ორატორული
ნიჭით; დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოპოვებული არა
მარტო კავკასიის მმართველ წრეებში, არამედ ქართველ არის-
ტოკრატისა და ამიერკავკასიის მუსლიმთა მალალ ფენებში.
1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი
ჰქონდათ, გამარჯვების შემთხვევაში წ. ფალავანდიშვილისთ-
ვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა შეეთავაზებინათ (მო-
საზრება, თითქოს იასე ფალავანდიშვილი ძმამ აიძულა – გაე-
ცა შეთქმულება, დოკუმენტურად არ დასტურდება) – 474, 475

ფარნავაზ I (ძვ. წ. IV-III სს.) – ქართლის (იბერიის) პირველი მეფე,
ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი; ტრადიციის მი-
ხედვით, ქართული დამწერლობის შემომღები – 312

ფატერი იოჰან სვერინ (1771-1826) – გერმანელი თეოლოგი და
ლინგვისტი, მის მიერ 1822 (არნ. ჩიქობავასთან – 1823) გერმანულ
ენაზე გამოცემული „ქართული გრამატიკა კომპილაციაა მაჯოს,
ფირალოვისა და გაიოზის შრომათა“ (არნ. ჩიქობავა) – 264

- ფაშაევი ასლან** – აზერბაიჯანელი ისტორიკოსი – 428, 504
- ფილადელფინი ანდრეი** – რედაქტორი (ლ. ზაგურსკისთან ერთად) „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ პერიოდული სამეცნიერო გამოცემისა „Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества“; 1840-იან წწ. თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა მათემატიკას და იმავდროულად იყო ობსერვატორიის დირექტორი – 502
- ფილიმონოვი ალექსანდრე** – პედაგოგი (1840-იან წწ. მათემატიკას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში) – 194, 195, 469
- ფილიპიევი ვასილ** – პედაგოგი (1840-იან წწ. სამართალწარმოებას ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში) – 194, 469
- ფირალიშვილი (ფირალოვი) გოდერძი** (1768-1823) – პოეტი, მთარგმნელი, კალიგრაფი, რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირების (ტრაგედიის) ავტორი (1805), გრამატიკოსი, ავტორი წიგნისა „თუით მასწავლებელი, რომელი იპყრობს თვის-შორის ღრამმატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონსა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა: შეთხზული მმსახურებელისა სახელმწიფოსა კოლლეგიასა შინა უცხო-მხარისათა, ნადვორნის სოვეტნიკის და კავალერის გოდერძი ფირალოვისაგან სანკტპეტერბურლს, სტამბასა შინა იოსებ იოანესოვისასა, წელს ჩუკ [1820]“. XIX ს. დამდეგიდან ცხოვრობდა პეტერბურგში – 263
- ფურცელაძე ანტონ** (1839-1913) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, თანამშრომლობდა როგორც ქართულ (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“ და სხვ.), ისე რუსულ პრესაში (ფსევდონიმები: „ქერელი ბექა“, „ზურაბ მოენიძე“, „თავხედი“ და სხვ.). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ მერეთში (გორთან) – 467

ქ

- ქართველიშვილი გიორგი** (1836-1901) – კომერსანტი (I გილდიის ვაჭარი), ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1883-1885), „ქმწ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (შემდგომში: გამგეობის წევრი, ხაზინადარი, საპატიო წევრი). მისი ხარჯით 1885 წ. გამოიცა ვახუშტი ბატონიშვილის (ბაგრატიონის) „საქართველოს ისტორიის“ I

ნანილი (დიმ. ბაქრაძის გამოცემა), „ვეფხისტყაოსანი“ მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით (1888 წლის ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა); მატერიალურად ეხმარებოდა „ქმნ-კვ საზოგადოებას“, ქართულ თეატრს, ინახავდა რუსეთში მყოფ ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს, იღვწოდა ეკლესია-მონასტრებისა თუ სხვა სიძველეების განახლება-აღდგენისათვის და ა.შ.; დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 496

ქართველიშვილი (ქართველოვი) იოანე (1772-1816) – სასულიერო მოღვაწე, პედაგოგი, მთარგმნელი, მემუარისტი, გრამატიკოსი, იულონ ბატონიშვილთან დაახლოებული პირი – 263, 495

ქაჯაია ლ. – იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა სრული კრებულის ერთ-ერთი შემდგენელი – 500

ქეთევან დედოფალი (ნმ.) (გარდ. 1624) – კახეთის მეფე დავით I-ის მეუღლე, აშოთან მუხრანბატონის ასული, თეიმურაზ I-ის დედა. 1614 წლიდან მძევლად იმყოფებოდა შაჰ-აბას I-ის კარზე; გამაჰმადიანებაზე უარი თქვა და 1624 წლის სექტემბერში შირაზში მონამებრივად აღესრულა – 241

ქეთევანი (საკ. სახელი) – 269

ქირტაგუ (*ქირთ ტაგუ*) – იხ. **ტაგუ**

ქრისტე – იხ. **იესო ქრისტე**

ღ

ღაბრიელი – იხ. **გაბრიელი** (საკ. სახელი)

ღაღუა ია – მკვლევარი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი – 498

ღეორღი – იხ. **გიორგი** (საკ. სახელი)

ღლონტი ალექსანდრე (1912-1999) – ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, იკვლევდა ქართული ენისა და მისი დიალექტების, ლექსიკოლოგიის, ონომასტიკის, ფოლკლორის საკითხებს – 507, 508

ღრიღოლ – იხ. **გრიგოლი** (საკ. სახელი)

ყ

ყიფიანი (საკ. სახელი) – 299

ყიფიანი დიმიტრი (1814-1887) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, თეატრალი, 1832 წლის შეთქმულე-

ბის მონაწილე (გადასახლეს ვოლოგდაში), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამაარსებელი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქმნ-კვ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882)... მოკლეს გადასახლებაში (სტავროპოლში). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 2-4, 65, 200, 252, 258, 259, 261, 262, 421, 422, 426, 428-436, 438, 439, 446-469, 471-494, 502-505, 507-510; იხ. აგრეთვე: **ბაქარ ქართლელი; დ. ყ.; Кипиани Д.И.**

ყიფიანი მარინე – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი, შემდგენელი წიგნებისა: ა. წერეთელი. საარქივო გამოცემა (I-II. თბ.: 2010), რაზიკაშვილების მიმონერა (თბ.: 2011) და სხვ. – 498

ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო) (1846-1905) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი, მემუარისტი, გამომცემელი, ვეჟილი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, შესამჩნევი ფიგურა 1870-1880 წწ. ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, დიპ. ყიფიანის უფროსი შვილი. 1890 წ. საზღვარგარეთ გაემგზავრა სამკურნალოდ და სამუდამოდ იქ დარჩა – ცხოვრობდა საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, საბოლოოდ კი ბელგიაში დამკვიდრდა; იყო ბრიუსელისა და მოსოს უნივერსიტეტების პროფესორი, ბრიუსელის უნივერსიტეტში განაგებდა რუსული სიტყვიერების კათედრას, იქვე დააარსა პოლიგლოტთა კათედრა. ბელგიაში ფემინისტური საზოგადოების დამფუძნებელი. მიუხედავად უცხოობაში ყოფნისა, არ გაუნყვეტია კავშირი სამშობლოსთან – ქართულ ჟურნალ-გაზეთებს უგზავნიდა კორექსპონდენციებს, სტატიებს, მოგონებებს. იყო ქართული კულტურის პროპაგანდისტი ევროპაში. საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის საკითხებზე აქვეყნებდა ნაშრომებს ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ ენებზე. გარდაიცვალა ბრიუსელში. იქვეა დაკრძალული – 492

ყიფიანი ნინო – იხ. **ტატიშვილი-ყიფიანი ნინო**

ყიფშიძე გრიგოლ (გიგა) (1858-1921) – მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ საქმეთა მწარმოებელი (1881-1885), გაზ. „ივერიის“ რედაქტორი (1903-1905),

ი. ჭავჭავაძის უახლოესი თანამშრომელი და მისი ბიოგრაფი; ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.) აქვეყნებდა პუბლიცისტურ, კრიტიკულ-ლიტერატურულ, სამეცნიერო წერილებს, თარგმანებს (მ. სალტიკოვ-შჩედრინი, ა. დოდე, მოჰასანი, ჰ. სენკევიჩი და სხვ.; ფსევდ.: „გ. ყ.“, „გრ. ყ-ძე“, „უზუცესი“ და სხვ.). მეულ-ლესთან, მსახიობ ბარბარე კორინთელთან, ერთად დაკრძალულია ქარელთან ახლოს, სოფ. სალოლაშენის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის გალავანში – 496

ყორღანოვი (ყორღანაშვილი) ზაქარია (ზურაბ) – თბილისის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი (1830-1860-იანი წწ.), კავკასიის სასწავლო ოლქის „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ ქართული ენის განყოფილების წევრი (1850-იანი წწ.) – 7, 187, 234, 461-463

შ

შავთელი – იხ. იოანე შავთელი

შამილი (1797-1871) – ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეთაური რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში (ეროვნებით ავარიელი). 1834 წლიდან – იმამი. მიურიდიზმზე დაყრდნობით შექმნა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო – იმამატი. 1859 წ. 26 აგვისტოს თავის უკანასკნელ თავშესაფარში, ლუნიბში, ჩაბარდა კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის. დარჩენილი წლები რუსეთში (ძირითადად კალუგაში) გაატარა. 1866 წ. მიიღო რუსეთის ერთგულქვეშევრდომობა (ВЕРНОПОДДАНСТВО). გარდაიცვალა მედინაში. დაკრძალულია იქვე, ალ-ბაქიას სასაფლაოზე – 443, 493

შანიძე აკაკი (1887-1987) – ენათმეცნიერი (ქართველური ენების სტრუქტურა და ისტორია, ქართული დიალექტოლოგია, ტექსტოლოგია, ეპიგრაფიკა, ფოლკლორისტიკა, რუსთველოლოგია, არმენისტიკა, ალბანოლოგია...), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი – 471, 472, 491-493, 503, 506, 508

შანიძე მზექალა – ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი – 498

შანშოვანი ზურაბ – გრამატიკოსი, მთარგმნელი, რუსეთში ქართული ემიგრაციის წევრი (შედიოდა ვახტანგ VI-ის ამაღლ-

ში), ავტორი წიგნისა „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა. ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა“ (1881 წელს სანქტ-პეტერბურგში დაბეჭდა ალ. ცაგარელმა) – 263, 273, 277, 368

შარვაშიძე აკაია – იხ. **აკაია არიდ-ბეი ბესლანგურის ასული შარვაშიძე**

შარვაშიძე ალექსანდრა – იხ. **ალექსანდრა შარვაშიძე**

შარვაშიძე ანა (1842-1853) – აფხაზეთის მთავარ მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის ასული – 438

შარვაშიძე არზაყან – იხ. **შარვაშიძე მიხეილ (არზაყან, ბაბუშა)**

შარვაშიძე ასლან-ბეი (დაახლ. 1778-1830 წ. შემდეგ) – აფხაზეთის მუსლიმი მთავარი (1808-1810). პროთურქული მიმართულების ასლან-ბეიმ მოანამვლინა მამა და ამ გზით სამთავრო ტახტი ჩაიგდო ხელში. 1810 წელს აფხაზეთმა რუსეთის ჯარის მეშვეობით გააძევეს (თავი ოსმალეთს შეაფარა) – 67, 92, 99, 443

შარვაშიძე ბაბუშა – იხ. **შარვაშიძე მიხეილ (არზაყან, ბაბუშა)**

შარვაშიძე ბათალ-ბეი (1787-1842 წ. შემდეგ) – აფხაზეთის მთავრის, ქელემ-ბეი შარვაშიძის (1780-1810), ძე, ცხოვრობდა მერხეულში, საბოლოოდ თურქეთში გადაიხვეწა – 67

შარვაშიძე ბარბარე (ბაბო) (1859-1946) – აფხაზეთის მთავარ მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის ასული, მემუარისტი, გათხოვილი იყო ჯერ თავად ნიკოლოზ წულუკიძეზე, შემდეგ (1907 წლიდან) – რუს იურისტსა და პოლიტიკურ მოღვაწეზე ალექსანდრე ფონ-მეიენდორფზე (1869-1964) – 438

შარვაშიძე გიდი (ნიკოლოზ) (1833-1884 წ. შემდეგ) – გენერალ გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძის (1819-1898) ძმა – 81, 99

შარვაშიძე გიორგი (1846-1918) – პოეტი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის (1811-1865), მემკვიდრე. 1866 წ. რუსეთის მიერ გაუქმებული სამთავრო ტახტის აღდგენისათვის მებრძოლმა აჯანყებულმა აფხაზეთმა მთავრად გამოაცხადეს, თუმცა აჯანყება დამარცხდა, ხოლო გ. შარვაშიძე შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს. ერთხანს ცხოვრობდა პეტერბურგში და დიდად მიღებული პირი იყო იმპერატორის კარზეც და ოჯახშიც, თუმცა საქართველოში დაბრუნება არჩია. აფხაზეთში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა და ამიტომ დაფუძნდა ქუთაისში (მხოლოდ 1905 წ. მიიღო მშობლიურ აფხაზეთში ცხოვრების უფლება); თანამშრომ-

ლობდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“, „სამშობლო“), აქვეყნებდა ლექსებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს (ფსევდო: „პონტოქსელი“, „გარდახვენილი“, „გარდანახვენი“). მისი შემოქმედების უმეტესი ნაწილი დაკარგულად ითვლება. გარდაიცვალა სოხუმში, დაკრძალულია მოქვის ტაძარში – 77, 96, 106, 438, 443, 444, 446, 509

შარვაშიძე გრიგოლ ალექსანდრეს (ალი-ბეის) ძე – (1819-1898) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 („ყირიმის“) და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, აბუჯის მმართველი წლების განმავლობაში, კულტურტრეგერი, აფხაზთა შორის მშობლიურ ენაზე განათლების ხელშემწყობი და პოპულარიზატორი, ქართველ მოღვაწეებთან (დიმ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.) დაახლოებული პირი. დაკრძალულია აფხაზეთის სოფ. ათარაში – 96, 432

შარვაშიძე გრიგოლ ბათალ-ბეის ძე – სამხედრო პირი, 1855 წ. გვარდიის როტმისტრია – 67, 78, 81, 82, 92, 99, 100, 105, 106, 109, 441, 445

შარვაშიძე დიმიტრი (ომარ-ბეი) საფარ-ბეის ძე – იხ. დიმიტრი (ომარ-ბეი) შარვაშიძე

შარვაშიძე დიმიტრი (სეით-ბეი) ჰასან-ბეის ძე (1818-1858) – გვარდიის პოლკოვნიკი; დამთავრებული ჰქონდა თბილისის გიმნაზია, გავრცელებული ხმებით, მონამწვლინა აფხაზეთის მთავარმა მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძემ – 67, 78, 81, 82, 92, 99, 102-104, 108, 109, 443, 446

შარვაშიძე ეკატერინე (პუპი) – ლევან V დადიანის ასული, დიმიტრი (სეით-ბეი) შარვაშიძის (1818-1858) მეუღლე – 446

შარვაშიძე ელენე (1848-1863) – აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, ასული – 438

შარვაშიძე თამარ (1840-1925) – აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, ასული – 438

შარვაშიძე კესარია – ნიკო დადიანის („დიდი ნიკოს“; დაახლ. 1780-1834) ასული, აბუჯის მფლობელის, ალი-ბეი (ალექსანდე) შარვაშიძის ქვრივი, აფხაზეთის სამთავრო ტახტის მემკვიდრისა და პოეტის, გიორგი შარვაშიძის (1846-1918), აღმზრდელი – 69, 96, 106

შარვაშიძე მაჟარა (ლევან) (1832-1870) – თურქოფილი, გენერალ გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძის (1819-1898), ძმა – 81, 92, 99

- შარვაშიძე მენიკ (მარიამ)** – იხ. **დადიანი მენიკ (მარიამ)**
- შარვაშიძე მიხეილ (ჰამუთ-ბეი)** – იხ. **მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე**
- შარვაშიძე მიხეილ (არზაყან, ბაბუშა)** (1854-1900) – აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, ძე – 106, 438, 446
- შარვაშიძე ნიკოლოზ** (1844-?) – აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, ძე. გარდაიცვალა მცირეწლოვანი – 438
- შარვაშიძე ნინო** (1850-1868) – აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, ასული. გარდაიცვალა ტუბერკულოზით – 438
- შარვაშიძე საფარ-ბეი (გიორგი II)** (დაახლ. 1780-1821) – აფხაზეთის მთავარი (1810-1821), ქელეშ-ბეი შარვაშიძის უკანონო შვილი, ასლან-ბეი შარვაშიძის მიერ მამის მკვლელობის შემდეგ თავი შეაფარა სამეგრელოს, სადაც ქრისტიანობა მიიღო, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, ცოლად ჰყავდა თამარ კაცია II დადიანის ასული (1778-1818) – 67
- შარვაშიძე ქელეშ-ბეი (ქეილაშ)** (1747-1808) – აფხაზეთის მუსლიმი მთავარი (1780-1808). თავიდან ოსმალეთის მხარდაჭერით სარგებლობდა, თუმცა შემდეგ სცადა, აფხაზეთის სამთავრო რუსეთის ქვეშევრდომობაში შეეყვანა. ამის გამო ოსმალეებმა შეთქმულება მოუწყვეს და შვილს, ასლან-ბეის, მოაწამვლინეს – 67, 92
- შარვაშიძე ჰასან-ბეი** (გარდ. 1837) – აფხაზეთის მთავრის (1780-1808), ქელეშ-ბეი შარვაშიძის, ძე, მიხეილ შარვაშიძის გამთავრების შემდეგ (1821 წ.) გადაასახლეს ციმბირში, თუმცა ანგარიში გაუწიეს აფხაზი ხალხის აღშფოთებას და 1827 წელს დააბრუნეს სამშობლოში, დაუბრუნეს ყველაფერი, რასაც გადასახლებაზე ფლობდა, თუმცა 1837 წელს სანამღავით მოაკვდინეს – 67
- შარვაშიძეები** – აფხაზ მთავართა საგვარეულო – 67
- შერვაშიძე** – იხ. **შარვაშიძე**
- შილერი ფრიდრიხ** (1759-1805) – გერმანელი მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი, გერმანული განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი პიესები („ყაჩაღები“, „დონ კარლოსი“) წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ფ. შილერის ნაწარმოებებიდან ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა ლექსი „განყოფა სოფლისა“ („ცისკარი“, 1852, №5; მთარგმნელი – გიორგი ერისთავი) – 241, 478, 507

შჩერბინინი მიხეილ (1807-1881) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სენატორი, მწერალი-მემუარისტი, მიხ. ვორონცოვთან დაახლოებული პირი და მისი ბიოგრაფი. კავკასიაში ჩამოვიდა 1845 წელს. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1851-1856; ამის შემდეგ დატოვა კავკასია). მოსკოვის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე (1860-1865). მონაწილეობდა გ. ერისთავის „დავის“ 1850 წ. 3 (15) მაისის წარმოდგენაში (ასრულებდა ხარიტონ ფილიპჩის როლს) – 480

ჩ

ჩახრუხაძე – XII-XIII სს. ქართველი პოეტი, რომელიც სახოტბო პოემა „თამარიანის“ ავტორად მიიჩნევა – 188

ჩერნიშოვი ალექსანდრე (1785-1857) – გრაფი, გენერალ-ადიუტანტი და კავალერიის გენერალი, რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი (1832-1852; აქტიურად იყო ჩართული 1832 წლის შეთქმულების გამოძიებაში), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1848 წლიდან), „კავკასიის კომიტეტის“ თავმჯდომარე (1840-1856) – 28

ჩიტაია გიორგი (1890-1986) – ისტორიკოსი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალ-დემოკრატი; 1918-1921), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 504

ჩიქობავა არნოლდ (1898-1985) – ენათმეცნიერი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი. მისი საერთო რედაქციით გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (I-VIII. თბ.: 1950-1964) – 207, 471, 492, 493, 504, 507

ჩიქოვანი იური (1937-2018) – გენეალოგი, მოჭადრაკე და ჭადრაკის თეორეტიკოსი, საქართველოს გენეალოგიური საზოგადოების დამფუძნებელი (1995) და პირველი თავმჯდომარე, გენეალოგთა საერთაშორისო აკადემიის წევრი (2004 წლიდან) – 437, 438, 443, 507

ჩკოტუები – იხ. ჩქოტუები

ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავით (1814-1891) – ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის პოპულარიზატორი რუსეთსა და ევროპაში, პეტერბურგის უნი-

ვერსიტეტის პროფესორი და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე (1855-1871). გამოცემული აქვს „მოკლე ქართული გრამატიკა“ (სანქტ-პეტერბურგი: 1955, რუს. ენაზე), „ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ“ (ნაწ. I-II. სანქტ-პეტერბურლი: 1846), „ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილნი სტატიები სხავთა და სხვათა ჩინებულთა მწერალთა-გან“ (ნაწ. I-II. სანქტ-პეტერბურლი: 1863). გარდაიცვალა პეტერბურგში, იქვეა დაკრძალული – 8, 188, 200, 203, 204, 206, 210, 213, 215, 216, 218, 220, 222-226, 228-235, 237, 238, 259, 264, 312, 314, 363, 466, 470-476, 490, 492, 494, 495, 507, 508

ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) იესე (1780-1821) – სასულიერო პირი (დეკანოზი), პედაგოგი, გრამატიკოსი, მწიგნობარი, თბილისის სასულიერო სემინარიის ქართული ენის მასწავლებელი (1818 წლიდან), დავით ჩუბინაშვილის (1814-1891) მამა – 263, 495

ჩუბინაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1788-1845) – ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ქართული სიძველეების მკვლევარი. 1825-1837 წწ. მსახურობდა პეტერბურგში. 1845 წ. იმოგზაურა პალესტინაში (აღწერა ჯვრის მონასტრის სიძველეები, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხელნაწერი, გადმოიღო რუსთველის პორტრეტი და სხვ.). გარდაიცვალა პეტერბურგში, იქვე, სმოლენსკის სასაფლაოზეა დაკრძალული – 427, 431, 466, 507

ჩუდინოვი ალექსანდრე (1843-1908) – რუსი მწერალი, ჟურნალისტი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, განმანათლებელი – 427, 508; იხ. აგრეთვე: **Чудинов А. Н.**

ჩქოტუები (ჩყოტუები) – მიხეილ შარვაშიძის შვილის, მიხეილ (არზაყან, ბაბუშა) შარვაშიძის, აღმზრდელები – 106, 446

ჩხეტია შალვა (1899-1978) – ისტორიკოსი, არქივმცოდნე, საზოგადო მოღვაწე; დიდი ამაგი დასდო დიმ. ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევას – 65, 424-426, 428, 432-437, 439-442, 444-446, 448, 449, 455, 456, 460, 461, 487, 488, 508

ც

ცაგარელი ალექსანდრე (1844-1929) – მეცნიერი (ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი), კრიტიკოსი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ჟურნალისტი (თანამშრომლობდა ივ. კერესელიძის „ცისკართან“, გაზეთ „დროებასთან“ და

სხვ.), პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი (1886-1917) და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე (1871-1917), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1920-1929). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 263, 264, 312, 470, 471, 473, 476, 495, 508

ცაიშვილი სოლომონ (1900-1957) – ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი. იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 461, 502, 508

ციციანოვი პავლე (1754-1806) – ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმმართველი 1802-1806 წწ. [მისი პაპა – პაატა (პავლე) ზაზას ძე ციციშვილი – ვახტანგ VI-ის ამალის წევრი იყო, ასე მოხვდა რუსეთში და იქვე დარჩა სამუდამოდ; ქართული წარმოშობისა (ბაგრატიონ-დავითაშვილთა გვარიდან) იყო პავლე ციციანოვის დედაც – ელისაბედ დავიდოვა]. წინაპართა სამშობლოში ჩამოსული პ. ციციანოვი ენერგიულად შეუდგა საქართველოს რუსიფიკაციას: რუსეთში გადასახლა მარიამ დედოფალი, დარეჯან დედოფალი, დავით, ვახტანგ, ფარნაოზ, იულონ ბატონიშვილები... სისხლში ჩაახშო 1804 წლის მთიანეთის აჯანყება; ამასთანავე, გარკვეული წესრიგი შეიტანა მმართველობის სისტემაში, გაიყვანა ან მოაწესრიგა გზები, დაამყარა საფოსტო კავშირები, აღადგინა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურებული სტამბა, თბილისში დააფუძნა კეთილშობილთა სასწავლებელი და სხვ.; მიაღწია შთამბეჭდავ სამხედრო წარმატებებს – დაიმორჩილა განჯის, შაქის, ყარაბაღის, შირვანის სახანოები, შურაგელის სასულთნო... დაიღუპა 1806 წლის 8 თებერვალს ბაქოს მისადგომებთან; ერთხანს ბაქოში, სომხურ ეკლესიაში, იყო დაკრძალული; 1811 წ. მისი ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს და განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს სიონის ტაძარში – 31

d

ძიძარია გიორგი (1914-1988) – აფხაზი ისტორიკოსი, კავკასი-ისმცოდნე, აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1966-1988). გარდაიცვალა სოხუმში, დაკრძალულია ლიხნში – 444, 509

ნერეთელი აკაკი (1840-1915) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მთარგმნელი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „აკაკის თვითური კრებულისა“ (1897-1900) და გაზეთ „ხუმარას“ (1907) რედაქტორ-გამომცემელი, ალმანახ „ზურნას“ (1908) რედაქტორი, ჟურნალ „ცეცხლის“ (1907-1908) ფაქტობრივი რედაქტორი – 483, 509

ნერეთელი გიორგი (1842-1900) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეულთა“ თაობის თვალსაჩინო წევრი, გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (1866-1869), „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელი (1868; 1870-1873), ჟურნალ „კრებულის“ (1871-1873) ოფიციალური რედაქტორი, გაზეთ „კვალის“ ფაქტობრივი ხელმძღვანელი (1893-1897). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 483, 496

ნერეთელი ქ. – მკვლევარი, ავტორი ნაშრომისა „კავკასიის სასწავლო ოლქის მუშაობაში დ. ყიფიანის მონაწილეობის საკითხისათვის“ – 465, 469, 509

ჭ

ჭავჭავაძე ეკატერინე – იხ. **ეკატერინე დადიანი**

ჭავჭავაძე ილია (1837-1907) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ბანკირი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფუძემდებელი, პერიოდული გამოცემების – „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ – რედაქტორ-გამომცემელი, ავტორი „ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონცეფციისა, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ კონსოლიდირებულ ერს შეუძლია, ერთი მხრივ, ტრადიციებზე დაფუძნებული და ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი ეროვნული კულტურის განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ახალი იდეებისა და ღირებულებებისათვის გახსნილი, დროის გამოწვევების მიმართ ადეკვატური საზოგადოების ჩამოყალიბება – 422, 496

ჭანკიევი ცაცა (1932-1991) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი – 498

ხანთაძე შოთა (1924-1988) – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XVIII-XIX სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემათიკას – 476, 509

ხანიკოვი ნიკოლოზ (1822-1872) – რუსი ორიენტალისტი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისში მოიწვია მიხ. ვორონცოვმა, რომლის კანცელარიის დიპლომატიური ნაწილის წევრი იყო ნ. ხანიკოვი 1840-1850-იან წწ.; მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი კავკასიის შესახებ; 1847-1848 წწ. თან ახლდა საქართველოში სამეცნიერო მივლინებით მყოფ მარი ბროსეს, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი; გარდაიცვალა საფრანგეთის ქალაქ რამბუიეში – 232

ხარატიშვილი ჰენრიკო – ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის პროფესორი – 463, 509

ხახანაშვილი ალექსანდრე (1864-1912) – მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფოლკლორისტი), საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტსა და მოსკოვის უნივერსიტეტში; ავტორი ფუნდამენტური ნაშრომისა „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (რუსულ ენაზე, ტ. 1-4. 1895-1907); მისი ნაშრომები ქვეყნდებოდა ევროპულ (ფრანგულ, გერმანულ) გამოცემებში, რაც ხელს უწყობდა ევროპულ სამეცნიერო წრეებში საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას; გარდაიცვალა რუსეთის ქ. სამარაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 482

ხელაძე ექვთიმე (1846-1905) – მესტამბე, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. მის სტამბაში იბეჭდებოდა როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთები (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ჯეჯილი“ და სხვ.), ისე წიგნებიც (მათ შორის, ი. გოგებაშვილის „დედა ენა“). საკუთარ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ნაწილს უფასოდ უგზავნდა სკოლებსა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. 1902 წელს ზემით აღინიშნა ე. ხელაძის სტამბის 30 წლისთავი – 500

ხომერიკი ნუნუ – ფილოლოგი, მთარგმნელი, ავტორი ნაშრომისა „დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროში“ – 488, 509

ხოჯაშვილი (ხოჯაევი) გიგო – მიხეილ შარვაშიძის მდივანი, რომელსაც აფხაზეთის მთავარსა და ვასილ ბებუთოვს შორის საიდუმლო წერილები მიმოჰქონდა. მისი ძირითადი საცხოვრებელი იყო ქუთაისი – 434

ხუნდაძე სილოვან (1860-1928) – მწერალი, პედაგოგი, მეცნიერი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამფუძნებელთაგანი, პრესაში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „კოლხიდა“ და სხვ.) აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს, დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენაში. ქართველი ხალხის ეროვნული და პოლიტიკური ინტერესების დაცვისას გამოირჩეოდა უჩვეულო სიმამაცით. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული – 483

ხუნდაძე სიმონ (1894-1933) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი); ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 433, 493, 509

ხუნდაძე ტროფიმე (1889-1977) – ისტორიკოსი, პედაგოგი, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, საიდანაც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის გარიცხეს (დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი), იკვლევდა XIX ს. და XX ს. დასაწყისის ქართული კულტურის (ძირითადად განათლების) ისტორიას – 463, 509

ხუციშვილი სოლომონ (1908-1995) – ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 502, 505

ჯ

ჯანაშვილი მოსე (1855-1934) – ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი, საზოგადო მოღვაწე. დაიბადა და აღიზარდა საინგილოში, სოფ. კახში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 482

ჯანაშია სიმონ (1900-1947) – ისტორიკოსი, საქართველოსა (1941 წლიდან) და საბჭოთა კავშირის (1943 წლიდან) მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაკრძალულია მთანმინდის პანთეონში – 433-435, 437, 439, 442, 444-446, 509

ჯოლოგუა თამაზ – XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 3, 4, 430, 460, 462, 503, 505-507, 509, 510; იხ. აგრეთვე: **თ. ჯ.**

ჯორჯაძე არჩილ (1872-1913) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციოლოგი, პუბლიცისტი (ფსევდ. „საბუელი“), „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ფაქტობრივი მეთაური, პარიზში გამოძვალა ქართული გაზეთის, „საქართველოს“ (1903-1905), თანარედაქტორი (გიორგი ლასხიშვილსა და თედო სახოკიასთან ერთად), თვალსაჩინო ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში – 433, 484, 485, 510

ჰ

ჰომეროსი (სავარაუდოდ, ძვ. წ. VIII ს.) – ძველი ბერძენი პოეტი; მოღწეულია მისი პოემები („ილიადა“, „ოდისეა“) და რამდენიმე ჰიმნი – 73

ფატერი სევერინ – იხ. **ფატერი იოჰან სევერინ**

ფირალოვი გოდერძი – იხ. **ფირალიშვილი (ფირალოვი) გოდერძი**

Антон – 224; იხ. აგრეთვე: **ანტონი** (საკ. სახელი)

Баграг – 224; იხ. აგრეთვე: **ბაგრატი** (საკ. სახელი)

Барятинский А.И. – 501; იხ. აგრეთვე: **ბარიატინსკი ალექსანდრე**

Брокгауз Ф.А. – 499; იხ. აგრეთვე: **ბროკჰაუზი ფრიდრიხ არნოლდ**

Броссе М.И. – 206, 499; იხ. აგრეთვე: **ბროსე მარი-ქსავიე ფელისიტი**

Буачидзе Г.С. – 499; იხ. აგრეთვე: **ბუაჩიძე გასტონ**

Гарина О.В. – 499; იხ. აგრეთვე: **გარინა ო.**

Давид – 222, 224; იხ. აგრეთვე: **დავითი** (საკ. სახელი)

Дзидзария Г.А. – 509; იხ. აგრეთვე: **ძიძარია გიორგი**

Дюкруасси-Даспик И.А. – 456; იხ. აგრეთვე: **დიუკრუასი (დიუკრუასი-დასპიკი) იპოლიტ**

Ефрон И.А. – 499; იხ. აგრეთვე: **ეფრონი ილია**

Загурский Л.П. – 502; იხ. აგრეთვე: **ზაგურსკი ლეონარდ**

Зиссерман А. Д. – 501; იხ. აგრეთვე: **ზისერმანი არნოლდ**

И. Д. – იხ. **Дюкруасси-Даспик И.А.**

Иоани Тифлисский – იხ. **იოსებ თბილელი**

Кипиани Д.И. – 432, 439, 451, 458, 459, 462, 464, 468, 473, 478; იხ.

აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი**

Князь П. – იხ. **Палавандишвили (Палаванидов) Захарий**

Корганов (Корганашвили) З.С. – 509; იხ. აგრეთვე: **ყორღანოვი (ყორღანაშვილი) ზაქარია (ზურაბ)**

Меликов С.Г. – 497; იხ. აგრეთვე: **მელიქიშვილი სტეფანე**

Михаил (Хамуд-бей) Шервашидзе (Шарвашидзе) – 108, 432; იხ.

აგრეთვე: **მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე**

Муликовский А.П. – 502; იხ. აგრეთვე: **მულიკოვსკი ალექსანდრე**

Николаи А.П. – 473; იხ. აგრეთვე: **ნიკოლაი ალექსანდრე**

Палавандишвили (Палавандов) З. М. – 206, 504; იხ. აგრეთვე: **ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ზაქარია**

Пашаев А.А. – 504; იხ. აგრეთვე: **ფაშაევი ასლან**

Сараджев В.Г. – 466; იხ. აგრეთვე: **სარაჯიშვილი (სარაჯევი) ვასილ**

Филадельфин А.Т. – 502; იხ. აგრეთვე: **ფილადელფინი ანდრეი**

Харатишвили Г.С. – 509; იხ. აგრეთვე: **ხარატიშვილი ჰენრიკო**

Цагарели А.А. – 470, 473, 495, 508; იხ. აგრეთვე: **ცაგარელი ალექსანდრე**

Чиковани Ю.К. – 507; იხ. აგრეთვე: **ჩიქოვანი იური**

Чубинов Д.И. – 206, 471, 504, 507; იხ. აგრეთვე: **ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავით**

Чудинов А. Н. – 508; იხ. აგრეთვე: **ჩუდინოვი ალექსანდრე**

Шервашидзе – 507; იხ. აგრეთვე: **შარვაშიძეები**

Эсадзе С. С. – 501; იხ. აგრეთვე: **ესაძე სიმონ**

Alter F.C. – 472; იხ. აგრეთვე: **ალტერი ფრანც კარლ**

Maggio Francisko-Maria – 264; იხ. აგრეთვე: **მაჯო (მაჯჯო) ფრანცისკო-მარია**

გეოგრაფიულ სახელთა

აბაშა – 91, 441

აზერბაიჯანი – 456

აზია – 150, 243, 434, 479

აკეთი – 82, 88

ალექსანდროპოლი – იხ. გიუმრი

ალტი-ოგაჩი (ალტი-ოლაჩი) – 147

ამიერკავკასია – 4, 7, 11, 12, 14, 16, 20, 21, 24, 30, 31, 34, 35, 37, 43, 45-52, 57-64, 110, 130, 133, 142, 148, 150, 151, 174, 179, 182, 195-197, 231, 234, 244, 425-431, 433, 450-456, 458, 459, 500, 501, 505

ანაპა (ანაფა) – 434, 444

ანატოლია – 100, 109

ანაფა – იხ. ანაპა (ანაფა)

ანგლია – იხ. ინგლისი

არაბეთი – 297

არაქსი – 25

არმავირი (სარდარაბადი) – 427

ასტრახანი – 119

აფრიკა – 243

აფხაზეთი – 65-84, 86-95, 98-100, 102-109, 152, 421, 432-440, 442-444, 446-449, 476, 504, 508

აჭარა – 504

ახალქალაქი – 427

ახალციხე – 15-19, 27, 38, 40, 43, 45, 152, 154, 427, 437, 456

ახტამა – 147

ბათუმი (ბათომი) – 271, 449
ბაიაზეთი – იხ. ნოვო-ბაიაზეთი
ბაქო – 45, 59, 154, 457, 465
ბელაქანი – 15, 24, 27, 37, 44, 45, 47, 59, 62, 120, 467
ბელი კლუჩი – 147
ბზიფი (ბზუფუ) – 434, 444
ბორჯომი – 96, 97
ბოსნია – 297
ბრაზილია – 297
ბრიტანეთი – 437

გალი – 434
გეგუთი – 17
გერმანია – 297
გიუმრი (ალექსანდროპოლი) – 15, 17, 24, 27, 38, 45, 59, 427, 428
გომბორი – 39
გორა (გორაბერეჟოული) – 88
გორდი – 79, 89, 108
გორი – 15, 17-20, 27, 37, 38, 44, 57, 59-61, 63, 109, 427, 480
გუდავა – 447
გურია – 19, 23, 24, 27, 37, 72, 77, 84, 86, 88, 151, 155, 172, 226, 297,
433, 435, 437, 445, 457, 504
გურიანთა (გურიამთა) – 88

დარაჩიჩაგი – იხ. ნალკადორი
დალესტანი – 467
დერბენტი – 24, 44, 45, 47, 49, 56, 59, 61, 62, 120, 152, 428
დიდი კოკი – იხ. კოკი
დილიჯანი – 38, 427
დონი – 32
დუშეთი – 12

ევროპა – 71, 149, 243, 479
ელიზავეტპოლი – 27, 38, 44, 59, 457
ელისუ – 45
ელუსამეთი – 309
ენგური (ინგური) – 98, 434, 441, 444

ერევანი – 17, 19, 24, 27, 38, 44-46, 49, 56, 59, 120, 127, 152, 154,
427, 428, 457, 476

ესპანეთი (ესპანია, ისპანია) – 267, 297

ეჩმიადინი – 427, 456, 476

ვარიანი – 256, 488, 489

ვარშავა – 21, 25

ვარციხე – 17

ვლადიკავკაზი – 427

ვორონეჟი – 437

ზუგდიდი – 77, 79, 82, 89-92, 95, 106, 427, 429, 448, 508

თბილისი – 11, 14, 27, 29, 30, 36, 42, 44, 46, 49, 56-64, 77, 87, 94, 95,
100, 102, 109, 126, 134, 136, 152, 153, 167, 187, 203, 230, 423,
425-430, 436, 440, 442, 446, 447, 456, 457, 461-465, 473, 475, 476,
480, 481, 490, 491, 493-495, 503, 508, 509; იხ. აგრეთვე: ტფილი-
სი

თელავი – 19, 21, 22, 24, 27, 37, 44, 57, 59-61, 63, 480, 509

თიანეთი (თიონეთი) – 429

თურქეთი – 23, 39, 67, 75, 81, 100, 437; იხ. აგრეთვე: ოსმალეთი

თურქესტანი – 297

თუშეთი – 429

იალბუზი – 271

ივერია – 423

იმერეთი – 13, 15, 16, 18, 19, 24, 26, 37, 39, 40, 42, 45, 72, 73, 77, 79,
134, 151-155, 172, 226, 296, 427, 433, 435, 440, 456, 457, 476

ინგლისი (ანგლია) – 297

ინგური – იხ. ენგური

ინდოეთი – 297

ინჟირლი – 17, 19

ისპანია – იხ. ესპანეთი

იტალია – 267, 297

კავკასია – 23, 28, 31, 34-36, 45, 59, 65, 142, 143, 153, 161, 163, 192,
194, 231, 239, 243, 244, 271, 421, 427, 428, 430, 431, 433, 434,
436, 437, 439, 440, 442, 443, 451, 454, 457, 459-463, 467, 469,
471, 473, 474, 476-482, 502, 509

კალოუბანი – 467, 501
კამჩატკა – 437
კარნახი – 15
კასპია – 13, 24
კახეთი – 19, 21, 22, 39, 226, 269, 296, 476
კოდორი – 438
კოკი – 72
კონსტანტინოპოლი – 91
კოჯორი – 286
კრემენჩუგი (კრემენჩუკი) – 263, 494
კულაში – 89
კურზუ – 92, 95, 107
კურილია – 437

ლეკეთი – 39
ლენქორანი – 45, 59
ლეჩხუმი – 106, 446
ლიახვი – 19, 41
ლიხნი (სოუქსუ) – 443-445, 449

მარანი – 89
მარტვილი – 79, 107
მესხეთი – 476
მთიულეთი – 297
მინგრელია – 448; იხ. აგრეთვე: ოდიში სამეგრელო
მოზდოკი – 494
მოლითი – 18-19
მოსკოვი – 463, 495
მტკვარი – 271, 286
მცხეთა – 243

ნაგომარი – 88
ნატანები – 434
ნახიჩევანი – 17, 24, 25, 27, 45
ნიგოთი – 80
ნიკოლავესკი – 434
ნიჟეგოროდი (ნიჟეგოროდი, ნიჟნი-ნოვგოროდი) – 33
ნოვო-ბაიაზეთი – 45

ნოვოროსიისკი – 437

ნოლა – 106

ნუხა – 45, 59

ოდში – 447; იხ. აგრეთვე: მინგრელია, სამეგრელო

ოზურგეთი – 37, 45, 88

ორდუბადი – 45, 428

ორენბურგი – 443

ორპირი – იხ. ქვიშანჭალა

ოსმალეთი – 421, 429, 433, 434, 437; იხ. აგრეთვე: თურქეთი

ოქონა – 17, 427

ოქუმი – 440

ოჩამჩირე – 106, 434, 446

პალესტინა – 479

პატარა კოკი – იხ. კოკი

პეტერბურგი (პეტერბურლი) – 427, 431, 433, 436, 461, 463, 472,
476, 490, 494; იხ. აგრეთვე: სანქტ-პეტერბურგი

პოლონეთი – 34

რაჭა – 45, 74, 109, 476

რედუტ-კალე – იხ. ყულევი

რიონი – 271

რუსეთი – 12, 36, 66-68, 71, 73, 75, 84-86, 94, 98, 99, 103, 107, 108,
262, 297, 421, 429, 431, 433-435, 437, 439, 441, 461, 467, 478,
481, 482, 501

საბერძნეთი – 267, 297

საგაბრიელო – 295

სალხინო – 107

სამეგრელო – 65, 67, 71-73, 77, 79, 81-83, 85, 86, 88, 89, 92, 99, 102,
108, 109, 152, 433, 435, 437-441, 444, 446, 476, 499; იხ. აგრეთვე:
მინგრელია, ოდიში

სამიქაო – 295

სამურზაყანო – 72-74, 77, 78, 89, 90, 93, 95, 438, 440, 447-449, 476,
504

სანქტ-პეტერბურგი (სანქტ-პეტერბურლი, ს.-პეტერბურლი, სპ.
ბურლი) – 200, 258, 263, 264, 421, 462, 467, 470-472, 489, 495,
509; იხ. აგრეთვე: პეტერბურგი

სარდარაბადი – იხ. არმავირი
სარდინია – 437
საფრანგეთი (ფრანცია) – 297, 437
საქართველო – 1, 12, 13, 22, 24, 26, 32, 33, 36, 42, 45, 68, 134, 151,
154, 155, 188, 243, 244, 262, 263, 278, 297, 307, 425, 427, 432-
434, 437, 456, 466, 473, 475, 476, 490, 499, 500, 502, 503, 505,
506, 508, 509, 512
საჯავახო – 82, 89
სენაკი – 82, 441
სვანეთი – 92, 499
სიღნაღი (სიღნახი) – 22, 44, 57, 59-61, 254, 480
სომხეთი – 297
სორტა – 441
სორტიოანე (სორტიანი) – 82, 441
სოუქსუ – იხ. ლიხნი (სოუქსუ)
სოხუმი – 81, 85, 93, 100, 108, 435, 442-444, 447, 449, 508
სპარსეთი – 19, 23, 39, 297
სტავროპოლი – 437
სურამი – 427
სუფსა – 88, 441

ტეხურა – 91, 441
ტფილისი – 228, 263, 271, 423, 495; იხ. აგრეთვე: თბილისი

ფინეთი – 34
ფოთი – 436
ფრანცია – იხ. საფრანგეთი
ფშავი – 429

ქართლი – 226, 241, 255, 296, 476, 489
ქვაშიხორი (ქვაშხორი) – 438, 441
ქვიშანჭალა (ორპირი) – 80, 82, 84, 88, 441
ქვიშხეთი – 109, 256, 259, 432, 484, 486, 487
ქობულეთი – 105, 449
ქსანი – 475
ქუთაისი – 15, 17, 24, 27, 37, 39, 44-46, 49, 56, 57, 59, 61-63, 74, 76-
80, 107-109, 120, 127, 129, 152, 154, 269, 271, 427-429, 437, 441,
456, 464, 490, 496

ყაზბეგი – 271
ყარაბალი – 23, 24
ყარაჩაი (ყარაჩი) – 444
ყარსი – 99, 448
ყირიმი – 429, 433, 437, 440, 508
ყუბა – 24, 45, 147
ყულევი (რედუტ-კალე) – 45, 63, 427, 429

შავი ზღვა – 32, 44-46, 67, 72, 73, 434
შავშეთი – 296
შაქი – 24
შემასხა – 44-46, 49, 56, 59, 120, 147, 428
შვედეთი (შვეცია) – 297
შირვანი – 24
შორაპანი – 39, 45
შუშა – 45, 59

ჩერქეზეთი – 437
ჩინეთი – 297, 418
ჩოლოქი – 80

ცხენისწყალი – 80, 441

ნალენჯიხა – 92
ნალკაძორი (დარაჩიჩაგი) – 19, 427
ნებელდა (ნებელი) – 449

ჭარი – 15, 21, 44, 45, 47, 59, 62, 120, 427, 467
ჭკადუაში – 446
ჭოროხი – 269, 271

ხევსურეთი – 429
ხოზი (მდ.) – 429
ხოზი (მუნიციპალიტეტი) – 429
ხოზაფინი – 15
ხონი – 78

ჯეღალ-ოღლი – 147

ჯიქეთი – 437, 444

ჯუმათი – 88

Абхазия – 432, 433, 509; იბ. აგრეთვე: აფხაზეთი

Закавказье – 423, 424, 428, 429, 430, 449, 459, 502; იბ. აგრეთვე: ამი-
ერკავკასია

Кавказ – 423, 431, 473, 477, 478, 481, 482, 498, 501, 502; იბ. აგრეთ-
ვე: კავკასია

Москва – 423; იბ. აგრეთვე: მოსკოვი

Ордурад – 504; იბ. აგრეთვე: ორდუბადი

Россия – 501; იბ. აგრეთვე: რუსეთი

Санкт-Петербург – 423, 509; იბ. აგრეთვე: პეტერბურგი, სანქტ-პე-
ტერბურგი

Тифлис – 423, 473; იბ. აგრეთვე: თბილისი, ტბილისი, ტფილისი

Georgia – 264; იბ. აგრეთვე: საქართველო

Paris – 423.

დაიბეჭდა შპს „კოლორში“

